ResearchGate

See discussions, stats, and author profiles for this publication at: https://www.researchgate.net/publication/337856916

Xalxta migraciebi

Book · December 2019

CITATIONS
0

READS
18

1 author:

Roland Topchishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

34 PUBLICATIONS **3** CITATIONS

SEE PROFILE

All content following this page was uploaded by Roland Topchishvili on 10 December 2019.

The user has requested enhancement of the downloaded file.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
საქართველოს სამეზობლო კვლევების ინსტიტუტი

როლანდ თოფჩიშვილი

ხალხთა მიგრაციები

სახელმძღვანელო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2015

UDC (უაკ) 325.1
თ-778

ROLAND TOPCHISHVILI. MIGRATIONS OF NATIONS. TBILISI. 2015.
РОЛАНД ТОПЧИШВИЛИ. МИГРАЦИИ НАРОДОВ. ТБИЛИСИ. 2015.

„ხალხთა მიგრაციების“ სალექციო კურსს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის მიმართულების სტუდენტები ისმენენ. კურსისადმი ინტერესი გაჩნიათ სხვა მიმართულების სტუდენტებსაც. მიგრაციების შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ ისინი მოსახლეობის გადასახლებას ეძღვნება. ეთნიკური მიგრაციების შესახებ დაწერილი წიგნები კი იშვიათობაა. წინამდებარე წიგნი ეთნოსების/ხალხების მიგრაციებს ეხება. ეთნიკური მიგრაციები მხოლოდ ეთნოლოგიური და საისტორიო მეცნიერებების ინტერესის სფეროში შედის. სახელმძღვანელოში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს შიდა და გარე მიგრაციულ პროცესებსაც. გარდა ეთნოლოგი და ისტორიკოსი სტუდენტებისა ხალხთა მიგრაციებით ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სხვა მიმართულების წარმომადგენლებიც დაინტერესდებიან.

რედაქტორები:
ნუგზარ მგელაძე
თამაზ ფუტკარაძე
ბეჟან ხორავა

© რ. თოფჩიშვილი, 2015

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2015

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-542-0

I.ხალხთა მიგრაციების შესახებ

I.1. შესავალი

მეცნიერთა მტკიცებით, კაცობრიობა დაახლოებით 200 ათასი წლის წინ აფრიკის კონტინენტზე გაჩნდა. სწორედ მიგრაციის გზით მოხდა ევროპის, აზიის, ავსტრალიის, ამერიკის კონტინენტებზე ადამიანების გავრცელება. ადამიანები მუდმივად გადაადგილდებოდნენ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე – ნომადები საქონლისათვის საკვებსა და წყალს ეძებდნენ, რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები დევნისაგან იცავდნენ თავს, ახალი მიწების აღმომჩენი ხალხი ამ ახალ მიწებზე გადადიოდა საცხოვრებლად. **მიგრაციების შემსწავლელი მეცნიერები კაცობრიობის ისტორიას მიგრაციის ისტორიასაც უწოდებენ. მიგრაციები განაპირობებდა აგრეთვე კულტურულ კონტაქტებს, იდეების გავრცელებას და, რაც მთავარია, ახალი ეთნოსების წარმოქმნას.**

ისტორიულად არა მხოლოდ ცალკეული ადამიანები გადასახლდებოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე, არამედ ეთნოსების და ეთნიკური ჯგუფების მიგრაციებიც ხდებოდა. ასეთ გადასახლებებს ეთნიკურ მიგრაციებსაც უწოდებენ. ხალხთა მიგრაციები ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ეთნიკური ცვლილებების საფუძვლად იქცეოდა ხოლმე. მაგრამ ისტორიამ იცის ორი დიდი მიგრაციული ნაკადი, რომლებიც რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა და რომლებმაც პირველ შემთხვევაში ევროპის კონტინენტზე მთელი რიგი ახალი ეთნოსების წარმოქმნა გამოიწვია. ესაა ხალხთა დიდი გადასახლებანი, რომელიც II-IX საუკუნეებში მიმდინარეობდა. ამ დროს მოხდა ანტიკური ცივილიზაციის მოსპობა და რომის იმპერიის დაცემა. მის დასავლეთ ნაწილში გერმანული ტომების შექმნილი „ბარბაროსული სამეფოები“ წარმოიქმნა, აღმოსავლეთ ნაწილში კი – ბიზანტიის იმპერია. გადასახლების პროცესში გერმანელებმა და სლავებმა ფართო ტერიტორია დაიკავეს ბრიტანეთიდან, გალიიდან და ესპანეთიდან ფინეთის უბემდე, ვოლგისა და დონის სათავეებამდე. ჩამოყალიბდა ახალი, შუა საუკუნეების ცივილიზაცია. ყოფილი რომის იმპერიის პროვინციებში ლათინიზირებული ხალხებისა

და ბარბაროსების შერევით რომანულენოვანი ხალხები წარმოიქმნენ. ყოველივე ამან არსებითად შეცვალა ევროპის ეთნიკური რუკა: ბევრი ხალხი დედამიწის ზურგიდან საერთოდ გაქრა. ხალხთა დიდი გადასხლების შედეგად წარმოქმნილი ევროპის ეთნიკური იერსახე დღემდე განაგრძნობს არსებობას.

აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ჯერ ირანულენოვანი და შემდეგ თურქულენოვანი ეთნოსების მიგრაცია თუ ახალი საძოვრების დაუფლების სურვილით იყო განპირობებული, გერმანული ტომების გადაადგილებას კი სხვა მიზეზი განაპირობებდა. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში გერმანელები 3-4 მილიონის ფარგლებში იყვნენ. მათი მეურნეობის ძირითად დარგს, მართალია, მეცხოველეობა წარმოადგენდა, მაგრამ ისინი მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ, მაგრამ მარცვლეული კულტურები მათი ძირითადი საკვები არ იყო. ისინი ძირითადად მეცხოველეობის პროდუქტებით იკვებებოდნენ. მარცვლეული კულტურებისაგან (ძირითადად ქერისაგან) გერმანელები ლუდს ხდიდნენ. გერმანელთა პრიმიტიული მიწათმოქმედება კი შედარებით მიწის დიდ ფართობებს მოითხოვდა. ასეთი მიწების ძებნაში გერმანული ტომები ამოძრავდნენ. ჯერ თანამემამულეებს ტაცებდნენ მიწას, შემდეგ კი ამ პროცესმა რომის იმპერიის ტერიტორიაზე გადაინაცვლა. ახალი ეთნოსები, ახალი კულტურები რამდენიმე ეთნოკულტურული ერთობის გადადნობით წარმოიქმნა; ესენი იყო: რომაული, გერმანული, სლავური და აზიური კომპონენტები. სხვადასხვა ეთნოსებისა და კულტურების გადადნობა კი მიგრაციის შედეგად ხდებოდა.

ხალხთა დიდი გადასახლების ანალოგიური მოვლენა ევროპის კონტინენტზე აღარ ყოფილა, მაგრამ თავისი მასშტაბებით მას არ ჩამოუვარდებოდა XVI-XIX საუკუნეებში ევროპელთა და აფრიკელთა ამერიკის კონტინენტზე გადასახლებანი, რამაც ამერიკაში რამდენიმე ასეული ეთნოსის გაქრობა და ახალი ხალხების, ახალი კულტურების წარმოქმნა გამოიწვია. ევროპელი ხალხები დასავლეთ ნახევარსფეროში თუ საკუთარი ნებით მიგრირდებოდნენ, აფრიკელები იქ იძულებითი მიგრაციის გზით ხვდებოდნენ. ევროპიდან ამერიკასა და ავსტრალიაში მოსახლეობის მიგრაცია ძირითადად ეკონომიკური მიზეზით იყო განპირობებული. მაგრამ რელიგი-

ური დევნაც დიდ როლს თამაშობდა. დარბევისაგან თავის გადარჩენის მიზნით, ბევრი ებრაელი XIX საუკუნეში აღმოსავლეთ ევროპიდან და რუსეთიდან გაიქცა, ხოლო XX საუკუნის 30-იან წლებში – გერმანიიდან. ხშირად მასობრივ მიგრაციებს ომები იწვევდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (1914-1918 წწ.) ევროპის ფარგლებში 7,7 მილიონი ადამიანი გადაადგილდა, მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ კი – 25 მილიონი. ხალხთა გადასახლებანი ჩვენი ეპოქისათვისაც დამახასიათებელი მოვლენაა. ძირითადი ტენდენცია კი აღმოსავლეთის ხალხების დასავლურ სამყაროში შეღწევაა. ეს მიგრაციებიც ეკონომიკური ფაქტორებითაა გაპირობებული, თუმცა ლომის წილი ამ მიგრაციულ პროცესებში დემოგრაფიულ ფაქტორსაც უდევს. არაა გამორიცხული, რომ დასავლეთის ეთნიკური იერსახე შეუმჩნევლად შეიცვალოს.

ხალხთა მიგრაციები საქართველოსაც ყოველთვის ეხებოდა. გარე მიგრაციული პროცესების შედეგი იყო საქართველოს ტერიტორიის ეთნიკური აჭრელება. ამასთანავე საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში ქვეყანაში შიდა მიგრაციული პროცესებიც მიმდინარეობდა, რამაც ფაქტობრივად, ქართველი ერი გადაარჩინა, ის გაქრობისაგან იხსნა.

წინამდებარე წიგნში პლანეტისათვის, მისი მოსახლეობისათვის, სხვადასხვა ხალხებისათვის დამახასიათებელ მიგრაციულ პროცესებზეა საუბარი, საუბარია საქართველოს მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაციულ პროცესებზე. ისტორიულად მიმდინარე მიგრაციული პროცესების შესწავლის ძირითადი მიზანი კი მომავლის უკეთესად განჭვრეტას ემსახურება. სწორედ ამიტომაც ეკითხებათ „ხალხთა მიგრაციების“ სალექციო კურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს. წინამდებარე სალექციო კურსი სწორედ მათთვის დაიწერა. ხალხთა გადასახლებების შესახებ უამრავი სამეცნიერო გამოკვლევაა დაწერილი, მაგრამ განმაზოგადებელი წიგნი, რომელშიც მეტ-ნაკლებად ყველა ცნობილი და მნიშვნელოვანი მიგრაციული პროცესი იქნება წარმოდგენილი, ფაქტობრივად, არ არსებობს. ამდენად, სალექციო

კურსი ეთნიკური მიგრაციების შესახებ, ისევე როგორც ნებისმიერი სახელმძღვანელო, კომპილაციური სახითაა წარმოდგენილი. რაც შეეხება საქართველოში ისტორიულლად მიმდინარე მიგრაციულ პროცესებს, ეს მონაკვეთები ძირითადად ავტორის მიერ შესრულებულ სხვადასხვა გამოკვლევებს ეფუძნება.

ბუნებრივია, მსოფლიოს ხალხთა მიგრაციული პროცესები წიგნში სრულყოფილად არაა წარმოდგენილი. შედარებით სრულყოფილი წიგნის შექმნა მომავლის საქმეა. ამას თუ მომავალი თაობა შეძლებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის წინსვლის საქმეს მოემსახურება, რადგან ზემოთ თქმულს თუ კიდევ გავიმეორებთ, წარსული პროცების შესწავლა უკეთესად დაგვანახებს როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში მიმდინარე თანამედროვე მიგრაციულ პროცესებს. თანამედროვე გარე მიგრაციული პროცესები კი რეალური საფრთხის წინაშე აყენებს ქართველი ერის მომავალს – არსებული ვითარების შენარჩუნების შემთხვევაში – მას გაქრობის საფრთხე ელის.

I.2. ტერმინების შესახებ

რამდენადაც წინამდებარე წიგნი ხალხთა მიგრაციებს ეხება, ამდენად მოკლედ ზოგერთი ტერმინის შესახებ:

I. **„მიგრაცია“** ლათინური სიტყვაა და გადასახლებას ნიშნავს. მეცნიერებაში მას ***მექანიკურ მოძრაობადაც*** მოიხსენიებენ. მიგრაცია ხდებოდა და ხდება როგორც ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. თუ მიგრაციულ პროცესში ერთი ეთნოსის წევრები მონაწილეობენ, მაშინ ასეთი მიგრაცია ***ეთნიკურ მიგრაციად*** იწოდება. წინამდებარე წიგნს „ხალხთა მიგრაციები“ ჰქვია. მას შეიძლებოდა „ეთნიკური მიგრაციებიც“ წოდებოდა. ეთნოლოგიას სწორედ ხალხების/ეთნოსების მიგრაციები აინტერესებს, ანუ ეთნიკური მიგრაციები. გარდა ამისა, ერთი ეთნიკური ტერიტორიის, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში გადასახლება ***შიდა მიგრაციად*** იწოდება, ხოლო ერთინიკური ტერიტორიიდან, ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადასახლება კი ***გარე მიგრაციად***. ამასთანავე მიგრაციები არის როგორც ჯგუფური, ისე ინდივი-

დუალური სახის. ეთნიკური მიგრაციები საზოგადოების თანმხლები მოვლენაა მთელი ისტორიის მანძილზე. პირველყოფილი საზოგადოებიდან მოყოლებული ისინი გამოწვეული იყო სასიცოცხლო მოთხოვნილებებით, ადგილობრივი ეკონომიკური კრიზისებითა და კატასტროფებით, ხშირი ომიანობით. ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები (ეთნოსები) ცდილობდნენ უკეთეს ბუნებრივ-გეოგრაფიულ, კლიმატურ და ლანდშაფტურ გარემოში, წყალთან სიახლოვეს ეცხოვრათ. თავისთავად უკეთეს გარემოში ცხოვრების სურვილიც მნიშვნელოვნად განაპირობებდა მიგრაციებს. მიწათმოქმედთათვის გადასახლება ხშირად განპირობებული იყო ნიადაგის სიმწირითა და სიმცირით. საამისო მაგალითად ძველი ბერძნებისა და საქართველოს მთის მოსახლეობის მიგრაციაც შეიძლება დავასახელოთ. ამ ფაქტორის გამო, ქართველი მთიელი, მთის ნამატი მოსახლეობა მუდმივად გადასახლდებოდა მთისწინეთსა და ბარში, მითუმეტეს, რომ ბარში, მტერთა ხშირი შემოსევების დროს, მოსახლეობა გამეჩხერებული იყო. მიგრაციული პროცესები განსაკუთრებით ინდუსტრიულ ეპოქაში გახშირდა, როდესაც მათ საკონტინენტთაშორისო ხასიათი მიიღეს. თანამედროვე მიგრაციული პროცესების დიდი ნაწილი ეკონომიკური ფაქტორებითაა გაპირობებული. ამ მიზეზითაა დღეს ქართველთა დიდი ნაწილი საკუთარ ქვეყანას მოწყვეტილი და გადასახლებული. მიგრაციები ხშირად იძულებითაც ხდებოდა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აფრიკელი ტყვე-მონების ამერიკის კონტინენტზე გადაყვანა. შორს რომ არ წავიდეთ იძულებითი მიგრაციის არაერთი შემთხვევა მოხდა რუსეთის იმპერიაში. ამავე იმპერიის მიერ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან გამოყრაც და დევნილებად და ლტოლვილებად ქცევაც იძულებითი მიგრაციის კატეგორიას მიეკუთვნება.

II. „ემიგრაცია“ – ადამიანთა მიგრაციის ერთ-ერთი ფორმა ერთი ქვეყნიდან მეორეში. ემიგრაცია ნებაყოფლობითი ან იძულებითი წასვლაა ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად. ემიგრაციის მოტივები სხვადასხვაა: პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური, რელიგიური, საოჯახო-ყოფითი. ზოგიერთი სახელმწიფო (აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სხვა) ძირითადად ემიგრანტებისა და ემიგრანტთა შთამო-

მავლებისაგან შედგება. შრომითი ემიგრაციები ძირითადად განვითარებადი ქვეყნებიდან დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს. ევროკავშირის ქვეყნებში 1990-იანი წლების შუა ხანებში ემიგრანტთა რაოდენობა დაახლოებით 20 მილიონს შეადგენდა.

III. **„იმიგრაცია“** – ადამიანთა მიერ საცხოვრისის შეცვლის პროცესი, დროებით ან მუდმივად საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გამგზავრება. იმიგრაციის მიზეზები შეიძლება იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნოსთა შორის კონფლიქტი, საოჯახო-ყოფითი. ქვეყნისათვის იმიგრაციას შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ისე ნეგატიური შედეგები. ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკაზე, იწვევს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების შერევას, რის შედეგადაც ახალი ეთნოსები ყალიბდება. ასიმილაციის ტემპები დამოკიდებულია იმიგრანტებისა და მკვიდრი მოსახლეობის კულტურულ და ენობრივ სიახლოვეზე, განსახლების ხასიათზე, მიმღები ქვეყნის ხელისუფლების მათთან ურთიერთობაზე და ა. შ. მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში დადგენილია სპეციალური იმიგრანტული კვოტები, რომლის ფარგლებშიც რეგულირდება უცხოელ მოქალაქეთა ყოველწლიური ნაკადი. თუ ადრე, კონკრეტულად კი საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, ვიდრე საბჭოთა კავშირის დაშლამდე, საქართველში ძირითადად ქვეყნის გარედან ხდებოდა მიგრაციული პროცესები და, შესაბამისად, საქართველო ***იმიგრაციულ ქვეყანად*** მიიჩნეოდა, ბოლო 20 წლის განმავლობაში განვითარებულმა პირიქითმა მიგრაციულმა პროცესებმა (მოსახლეობის ქვეყნის გარედან გადინებამ) ის ***ემიგრაციულ ქვეყანად*** აქცია.

IV. **„მიგრანტი“** – ადამიანებს, რომლებიც მიგრაციულ პროცესებში მონაწილეობენ მიგრანტებს უწოდებენ. **ემიგრანტი** – ადამიანი, რომელიც სამშობლოდან გადასახლებულია სხვა ქვეყანაში. მიმღებ ქვეყანაში მას **იმიგრანტს** უწოდებენ. მაგალითად, საფრანგეთში გადასახლებული ქართველი თანამემამულეებისათვის **ემიგრანტია**, ხოლო ფრანგებისათვის – **იმიგრანტი**.

I.3. ხალხთა მიგრაციები: ეთნოლოგია და ისტორია

ადანიანთა და ადამიანთა ჯგუფების გადაადგილება ერთი გეოგრაფიული პუნქტიდან მეორეში, ერთი გეოგრაფიული არეალიდან სხვა გეოგრაფიულ არეალში კაცობრიობისათვის დამახასიათებელი თანმდევი მოვლენაა. ადამიანების გადასახლებას ერთი ადგილიდან მეორეზე მეცნიერები გამოხატავენ საერთაშორისო ტერმინით **მიგრაცია**. ასე რომ, წინამდებარე წიგნი მიგრაციებს ეხება. თუმცა აუცილებელია ვიცოდეთ, რომ მიგრაციებს რამდენიმე მეცნიერება სწავლობს და ყველა მეცნიერებას მიგრაციების მიმართ თავისი კვლევის ასპექტები გააჩნია. ეს მეცნიერებებია: *დემოგრაფია, გეოგრაფია (ეკონომიკური გეოგრაფია, მოსახლეობის გეოგრაფია), სოციოლოგია, ხალხთმოსახლეობა,* ***ისტორია, ისტორიული გეოგრაფია, ეთნოლოგია***. ისტორიისა და ეთნოლოგიისაგან განსხვავებით, ზემოთ დასახელებეული მეცნიერებები მოსახლეობის მიგრაციებს სწავლობენ, მაგრამ ამ მეცნიერებებისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს მიგრირებული მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას. ხოლო ეთნოლოგია და ისტორია, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას მოსახლეობის ეთნიკურობაზე ამახვილებს. ამავე დროს ამ ორ მეცნიერებას არა მცირე მიგრაციები, არამედ დიდი, მასობრივი მიგრაციები აინტერესებს. ერთი სიტყვით, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეთნოლოგიას და ისტორიას აინტერესებს ხალხების/ეთნოსების მიგრაცია. ეთნოლოგები იკვლევენ იმას, თუ რა გავლენას ახდენდა და ახდენს ეთნოსების/ხალხების მიგრაცია მსოფლიოს ხალხთა ეთნიკურ ისტორიაზე, როგორ ენაცვლებოდა ამა თუ იმ გეოგრაფიულ რეგიონში ერთი ხალხი მეორე ხალხს. ეთნოსების/ხალხების გადასახლებანი იწვევდა აგრეთვე მათ ერთმანეთში შერევას, რის დროსაც გარდუვალი იყო ეთნოგენეტიკური პროცესი, ე. ი. ხდებოდა ახალი ეთნოსების წარმოქმნა ანუ ეთნოგენეზი. გარდა ამისა, მიგრაციის შედეგად ეთნიკური კონტაქტები იწვევდა ენებრივ და კულტურულ გავლენებს, ერთი ენის და მთელი რიგი კულტურული მახასიათებლების ერთმანეთში შერევას, სესხებას. ეთნოლოგებს აინტერესებთ აგრეთვე გადასახლების შედეგად როგორ ხდებოდა და ხდება ახალ გეოგრაფიულ და ლან-

დშაფტურ გარემოში ეთნოსის ან ეთნიკური ჯგუფის, ლოკალური ერთეულის ადაპტაცია, ტრადიციების შენარჩუნება თუ ახალი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შეთვისება. როდესაც ეთნოლოგი ამა თუ მიგრაციულ მიმართულებას იკვლევს, ბუნებრივია, უნდა ისიც გაარკვიოს – რატომ ირჩევს ესა თუ ის ჯგუფი და ინდივიდი აქ და არა სხვაგან განსახლების არეალს. ეთნოლოგთა და ისტორიკოსთა ყურადღების სფეროში ექცევა აგრეთვე რელიგიური/კონფესიური მიგრაციები და ა. შ. ისტორიკოსები კი ამ მოვლენას ხშირად პოლიტიკურ ჭრილში განიხილავენ, კერძოდ, ბუნებრივია, ხალხთა მიგრაციები ხშირად დიდი თუ ლოკალური ომების მიზეზიც ხდებოდა.

საქართველო არნახულმა მიგრაციულმა მიმართულებებმა მოიცვა; აქ მიმდინარეობს გარე და შიდა მიგრაციული პროცესები. ისტორიიდან ცნობილია, რომ ქართული ეთნოსის წარმომადგენლები იშვიათად ტოვებდნენ საქართველოს. ახლა სამშობლოდან აყრა-გადასახლებამ არნახული მასშტაბები მიიღო. ეთნოლოგის მოვალეობაა ასეთ მიგრანტებთან მოპოვებულ მასალას ანალიზი გაუკეთოს და ხელისუფლებას სათანადო ინფორმაციაც მიაწოდოს ქვეყნაში არსებული მიგრაციული პროცესების შესახებ, რათა მან უკეთესად მართოს აღნიშნული პროცესი. ეს პროცესები სხვა მეცნიერებებსაც აინტერესებს, მაგრამ ეთნოლოგს კვლევის სხვა ასპექტი და მეთოდი გააჩნია – ველზე მიგრანტებთან მხოლოდ ისინი კრებენ მასალებს.

ამრიგად, **ეთნოლოგები და ისტორიკოსები თუ ხშირად ხალხთა/ეთნოსთა მიგრაციებზე საუბრობენ, დემოგრაფები, გეოგრაფები და სოციოლოგები უპირატესად მოსახლეობის მიგრაციებს სწავლობენ.** ყველა ჩამოთვლილი მეცნიერება იკვლევს ადამიანთა და ადამიანთა ჯგუფების გადასახლების მიზეზებს, ან ჭვრეტს მომავალში ასეთ სავარაუდო მიგრაციებს. რისთვის სწავლობს სხვადასხვა მეცნიერება მოსახლეობისა თუ ხალხთა მიგრაციებს? ამ კითხვაზე მარტივი პასუხი არსებობს: რათა უკეთ განვჭვრიტოთ საზოგადოების მომავალი.

ეთნოლოგიური და საისტორიო მეცნიერებანი ხალხთა მიგრაციებს იკვლევენ ქრონოლოგიური ასპექტით. აუცილებელია აღი-

ნიშნოს, რომ ზუსტი მონაცემები მიგრაციების შესახებ მხოლოდ XIX საუკუნიდან გაგვაჩნია, რადგან ევროპაში მიგრაციული ნაკადების სტატისტიკური აღრიცხვა სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყეს. მაგრამ ეთნოლოგიას თანამედროვე მიგრაციული პროცესებიც აინტერესებს. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიმდინარე გადასახლებანი, როდესაც ქართველთა გარკვეული ჯგუფები მასობრივად ტოვებენ სასოფლო განსახლების არეალებს და გადასახლდებიან როგორც ქვეყნის შიგნით, უპირატესად ქალაქებში, ისე სხვა ქვეყნებში. რას უქადის ეს ქართულ ეთნიკურ ერთობას მომავალში? ანდა რა ელის ქართული ეთნიკური ერთეულით განსახლებულ და აწ გამოცარიელებულ რეგიონებს, აქ არსებულ მეურნეობის ტრადიციულ ფორმებს? რას მოგვიტანს მეურნრობის ტრადიციული დარგების დაკარგვა? რა ელის უცხო ეთნიკურ გარემოში გადასახლებულ ქართულ ეთნიკურ ერთობას? ეთნოლოგებს სხვა ეთნიკურ და გეოგრაფიულ არეალში გადასახლებული ქართული ეთნიკური ერთობის მომავლის პრობლემაც აინტერესებთ.

ეთნიკური მიგრაციების მიმართ გარკვეული ინტერესი გააჩნია ფიზიკურ ანთროპოლოგიასაც. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დიდი გადასახლებანი პლანეტაზე იწვევდა ეთნიკურ ცვლილებებს, ეთნოგენეტიკურ პროცესებს, ახალი ეთნოსების წარმოქმნას. მაგრამ დედამიწის მოსახლეობა ერთმანეთისაგან მხოლოდ ეთნიკური თვალსაზრისით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისინი ანთროპოლოგიური ტიპითაც სხვადასხვაგვარნი იყვნენ. მიგრაციის პროცესში კი სხვადასხვა ანთროპოლოგიური ტიპის ჯგუფებიც ხვდებოდნენ ერთმანეთს. ერთი რასის წარმომადგენელთა მეორე რასის ტერიტორიაზე გადასახლება რასობრივ შერევებსაც იწვევდა. სწორედ მიგრაციის შედეგია გარდამავალი რასობრივი ტიპების წარმოქმნაც. მეცნიერებს იმის საშუალებაც აქვთ გაარკვიონ როდის წარმოიქმნა ესა თუ ის გარდამავალი რასობრივი ტიპი.

I.4. მიგრაციის სახეები და მიზეზები

მეცნიერები გამოყოფენ მიგრაციის სხვადასხვა სახეს. მიგრაციების ძირითადი სახეებია მუდმივი და დროებითი. რამდენადაც დროებითი მიგრაციები ამჯერად ჩვენი ინტერესის სფეროში არ შემოდის, ამდენად მას წინამდებარე წიგნში ნაკლებად შევეხებით. საზოგადოებისა და მსოფლიოს და მისი რეგიონების ეთნიკურ ვითარებაზე ძირითადად გავლენას მუდმივი მიგრაციები ახდენდა და ახდენს. მუდმივი მიგრაციები არის შიდა და გარე მიგრაციული პროცესები. შიდა მიგრაციული პროცესია, როდესაც ადამიანთა გადაადგილება ხდება ერთი ქვეყნის შიგნით, ხოლო გარე მიგრაციული პროცესია, როდესაც გადასახლება ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში, ერთი კონტინენტიდან მეორე კონტინენტზე მიმდინარეობს. ხალხთა მიგრაციაზე როდესაც ვსაუბრობთ, სწორედ მხედველობაში გვაქვს ადამიანთა ეთნიკური ჯგუფების ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყნებში ან ერთი კონტინენტიდან მეორე კონტინინენტზე გადასახლება.

მეცნიერები მიგრაციებს მხოლოდ ქრონოლოგიური თვალსაზრისით არ იკვლევენ. ეთნოლოგიისა და ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ქრონოლოგიური პრინციპით შესწავლა. მიგრაციების ქრონოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა კი გულისხმობს სამ გეოგრაფიულ დონეზე კვლვას: ა)მაკროგეოგრაფიული დონე (კონტინენტიდან კონტინენტზე მიგრაცია), ბ)მეზოგეოგრაფიული დონე (ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასახლებას) და გ)მიკროგეოგრაფიული დონე (ქვეყნის შიგნით, რეგიონიდან რეგიონში გადასახლება). კვლევის ეს ასპექტები ძირითადად გეოგრაფებს აინტერესებთ, თუმცა ისინი თავის მხრივ, გვერდს ვერ უვლიან ისტორიზმის პრინციპსაც.

ხალხთა და მოსახლეობის მიგრაციების მიზეზები სხვადასხვაა. რაც კი კაცობრიობა არსებობს, ადამიანები თითქმის მუდმივად ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ საცხოვრებელი პირობები, დასახლებულიყვნენ უფრო ხელსაყრელ ბუნებრივ-გეოგრაფიულ და ლანდშაფტურ პირობებში. თუმცა ეთნიკური ერთობების ჩამოყალიბების შემდეგ, ეთნოსები საკუთარ ეთნოსფერას, თავიანთ მუდმივ

განსახლების არეალს ქმნიდნენ. განსახლების არეალთან ისინი ადაპტირებულნი იყვნენ და მთლად ადვილი არ იყო ადაპტირებული/მშობლიური გარემოდან აყრა და სხვაგან გადასახლება. ასეთ შემთხვევაში ეთნოსის ან მისი ნაწილის მიერ გადასახლების მიზეზი რამდენიმე იყო, მათ შორის შეიძლება დასახელდეს დემოგრაფიული, როდესაც გამრავლებული მოსახლეობა გარკვეულ ლანდშაფტში ვეღარ ეტევა. დემოგრაფიულ მიზეზთან მჭიდროდ დაკავშირებულია ეკონომიკური მიზეზი. გამრავლებულ მოსახლეობას როდესაც ლანდშაფტი ვეღარ უზრუნველყოფდა საკვებით, ისინი ეკონომიკურ შეჭირვებას განიცდიდნენ და ეთნოსი ან მისი ერთი ნაწილი იძულებული იყო ეთნოსფერა/განსახლების არეალი შეეცვალა ან თუ ასეთი თავისუფალი არეალი არ არსებობობდა, ახალი განსახლების არეალის მოპოვებაში ის სხვას უპირისპიდებოდა. ხალხთა მიგრაციის მიზეზები ერთმანეთთანაა დაკავშირებულია. ეკონომიკურ მიზეზებთან მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკური მიზეზები. ეთნოლანდშაფტის პოლიტიკური მიზეზით დაკარგვის შემთხვევაში, ეთნოსი იძულებული ხდებოდა აგრესია სხვა ეთნოსის მიმართ გამოეჩინა და სხვას დაპირისპირებოდა, სხვის ეთნოლანდშაფტში შეჭრილიყო, სხვისთვის წაერთმია განსახლების არეალი.

ხალხთა გადასახლების მიზეზებს შორის ხშირად ასახელებენ ბუნებრივ ფაქტორებსაც. მაგალითად შეიძლება ზღვის დონის აწევა, ციკლონების გადაადგილება და ხშირი გვლვა დავასახელოთ. ევრაზიის სივრცეში ათასწლეულების განმავლობაში ეთნოსების გადაადგილებას, მიგრაციას სწორედ ამ მიზეზებით ხსნიან. ბუნებრივ-გეოგრაფიულ ფაქტორებზე, კლიმატზე განსაკუთრებით დამოკიდებულნი იყვნენ ნომადები, რომლებიც ევრაზიის სტეპებში თუ არაბეთში ამთაბარებდნენ თავის საქონელს. გვალვა კი მათ უბიძგებდათ საქონლის საკვების მოსაპოვებლი სხვა წყლიანი არეალი მოეძებნათ. ეს სხვა არეალი კი თავისუფალი არ იყო. მის მოსაპოვებლად, უფრო სწორედ სხვისათვის წასართმევად კი ომს მიმართავდნენ. დამარცხებული სხვას, სხვის ეთნოლანდშაფტს მიმართავდა და ა. შ. აღნიშნული სახის ბუნებრივი კატაკლიზმები — კლიმატის მკვეთრი ცვლილება განსაკუთრებულ ზეგავლენას ნომა-

დებზე ახდენდა. მიწათმოქმედ ხალხებს გვალვებთან ბრძოლის ისეთი ხერხი ჰქონდათ გამომუშავებული როგორიცაა სარწყავი მიწათმოქმედება, რაც უკვე კულტურის სხვა დონის გამოხატულებას წარმოადგენდა. ექსტენსიური, სარწყავი მიწათმოქმედების მიმდევარი ხალხი ნაკლებად მოძრაობითობით ხასიათდებოდა. საკუთარი განსახლების არეალიდან მათ აყრას და სხვაგან გადასახლებას კი უფრო პოლიტიკური ფაქტორები განაპირობებდა. **მიგრაციისადმი მეტი მიდრეკილება ჰქონდათ პრიმიტიული მიწათმოქმედების მიმდევარ ხალხებს.** მეურნეობის ასეთი ფორმის მიმდევარნი იყვნენ ახალი ერის დასაწყისში გერმანული ტომები, რაც ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო მათი ხალხთა დიდ გადასახლებაში ჩართვისა.

ბუნებრივი მიზეზით განპირობებულ ხალხთა მიგრაციებს შორის მეცნიერები ხშირად ასახელებენ გერმანული ტომების სკანდინავიიდან სამხრეთით – აღმოსავლეთ ევროპაში მიგრაციას II საუკუნეში. გუთების წინაპრებმა იმიტომ დატოვეს სკანდინავია, რომ ზღვის დონემ ძალიან აიწია და ახალი მიწის საძებნელად სამხრეთისაკენ – ბალტიიდან შავ ზღვამდე განსახლდნენ.

თანამედროვე მსოფლიოში ხშირად ჭარბობს პოლიტიკური მიზეზით გამოწვეული მიგრაციები. ერთმანეთის მეზობლად ერთ არეალში განსახლებული ეთნოსები ხშირად ერთმანეთს ტერიტორიას ედავებიან. აქედან გამომდინარე ამა თუ იმ ტერიტორიაზე ხშირია დავა: ვინ ავტოქტონი ეთნოსია და ვინ შემდეგ მოსული. დავა ხშირად საომარი ქმედებებით წყდება ან ვერ წყდება, დამარცხებულ ეთნოსს გამარჯვებული ხშირად დევნის. ამის მკაფიო მაგალითები პოსტსაბჭოთა სივრცეში ბევრი გვაქვს. შორს რომ არ წავიდეთ, საამისოდ საქართველოს მაგალითის მოყვანაც საკმარისია, როგორ გამოაძევეს საკუთარი განსახლების არეალიდან აფხაზებმა და ოსებმა (უფრო მართალი ვიქნებით, რომ ვთქვათ, რუსეთის სახელმწიფომ) ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი და როგორ აქციეს ისინი დევნილებად.

მეცნიერებაში ხშირად გამოიყენებენ აგრეთვე ტერმინს „ეთნიკური ექსპანსია“. ეთნიკური ექსპანსია მიგრაციის ისეთს სახეს გულისხმობს, როდესაც მიზანმიმართულად ხდება ერთი ეთნოსის განსახლების არეალის სხვა ეთნოსის მიერ დაკავება, ერთის მიერ

მეორის გამოძევება, ბინადრობის არეალის გაფართოვება. ეთნიკურ ექსპანსიას ხშირად მოსდევდა ასიმილაციური პროცესებიც. ეთნიკური ექსპანსიის ანუ მიგრაციის კლასიკურ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ რუსების მიერ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში სხვა ეთნოსების განსახლების არეალებში შეჭრა და დაპყრობილ ადგილებზე დასახლება. ეთნიკური ექსპანსიის დროს, უმეტეს შემთხვევაში, რუსები საომარ მოქმედებებს აჩაღებდნენ. ადგილობრივ ეთნოსებს აიძულებდნენ ეთნოლადშაფტის დატოვებას, რის შემდეგაც ახდენდნენ რუსული ან მათ მიმართ ლოიალურად განწყობილი სხვა ეთნოსების დასახლკარებას. მაგალითად კავკასიელთა მუჰაჯირობა შეიძლება დასახელდეს. ეთნიკური ექსპანსიის ტიპური მაგალითია იმავე კავკასიაში რუსეთის იმპერიის მიერ ოსმალეთიდან სომხებისა და ბერძნების გადმოსახლება. საამისოდ სომეხთა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში — ჯავახეთსა და თრიალეთში — სომხური და ბერძნული დიასპორების გაჩენის დასახელებაც საკმარისია. აქ ისინი ქართველთა ეთნიკურ ერთობას ჩაენაცვლნენ. ეთნიკური ექსპანსიის/მიგრაციის კლასიკურ მაგალითად შეიძლება აგრეთვე დასახელდეს კოლონიურ იმპერიებში მიზანმიმართული გადასახლებები, მაგალითად, ჰოლანდიელთა სამხრეთ აფრიკაში გადასახლება.

მეცნიერები შენიშნავენ, რომ ეთნიკური ექსპანსიები ყოველთვის არ იყო გამოწვეული ბინადრობის ტერიტორიის უკმარისობით, მოსახლეობის ნამატით. შეინიშნება, რომ ეთნიკურ ექსპანსიას/მიგრაციას შუა საუკუნეებსა და ახალი ისტორიის პერიოდში სხვა კონტინენტების მიმართულებით ძირითადად ევროპის ხალხები ახდენდნენ, თანამედროვე ვითარებაში კი თვით ევროპა განიცდის აზიელთა და აფრიკელთა ეთნიკურ ექსპანსიას/მიგრაციას. თუმცა მიგრაციის ფორმები სხვადასხვაგვარია.

I.5. ხალხთა მიგრაციები და ეთნოსები

თანამედროვე მსოფლიოს ეთნიკური რუკა განსხვავდება ძველი მსოფლიოს ეთნიკური რუკისაგან. ხალხები (ეთნოსები) მთელი ისტორიის მანძილზე იცვლებოდნენ, რაზედაც მნიშვნელოვან გავ-

ლენას ახდენდა დაპყრობები, მიგრაციები... ეთნოსები ერთმანეთს ერწყმოდნენ, დიდი ეთნოსები პატარა ეთნოსების ასიმილირებას ახდენდნენ. დროდადრო იცვლებოდა მსოფლიოს ეთნიკური რუკაც. არ შევუდგებით იმის აღწერას, თუ როგორი იყო მსოფლიოს ეთ-ნიკური შემადგენლობა ძველად, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ძველ ხალხთა (ეთნოსთა) მხოლოდ მცირე რაოდენობამ მოაღწია ჩვენამდე.

სხვასასხვა ეპოქაში განსხვავებული ეთნიკური ვითარება გვქონდა თითქმის ყველა კონტინენტზე. ეთნიკური ვითარების ცვლილებაში ლომის წილი სწორედ ხალხთა/ეთნოსთა ერთი ად-გილიდან მეორე ადგილზე გადასახლებაზე მოდის. შორს რომ არ წავიდეთ და კავკასიის ეთნიკურ რუკას დავხედოთ, დავინახავთ, რომ ის სრულიად სხვადასხვაგვარი იყო ძველი და ახალი წელ-თაღრიცხვების მიჯნაზე, განვითარებული შუა საუკუნეებისა და XIX საუკუნის ბოლოს. კავკასიაში ეთნოსების ცვლას, ეთნოგე-ნეტიკურ პროცესებს იწვევდა ხალხთა ხშირი გადასახლებანი. ირ-კვევა, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ახალ წელთაღრიცხვა-მდე აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობები არ ცხოვრობდნენ: ისინი ძირძველი კავკასიელები არ არიან და მათი კავკასიელებად გადაქცევა მიგრაციის შედეგად მოხდა, როდესაც აზოვის ზღვის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სანაპიროდან უფრო სამხრეთით გად-მოიწიეს. IV საუკუნის 70-იან წლებში მნიშვნელოვნად შეცვალეს ეთნიკური ვითარება კავკასიაში შორეული აღმოსავლეთიდან მიგ-რირებულმა ჰუნებმა. ვოლგასა და დონს შორის მომთაბარე ალა-ნები ჰუნების თავდასხმებმა კავკასიელებად აქცია, რადგან მათ აღნიშნული ეთნოსფერადან სამხრეთით – კავკასიის სტეპებში გა-დაინაცვლეს. შეიცვალა ეთნიკური ვითარება სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში. კავკასიელი ალბანელების განსახლების არეალში თურქული ტომების მიგრაციამ აქ ახალი ეთნოგე-ნეტიკური პროცესები გამოიწვია და მოსული და დამხვდური ეთნოსების ურთიერთშერევის შედეგად ახალი აზერბაიჯანული ეთნოსის ფორმირება მოხდა. უფრო ადრე, V-VI საუკუნეებში თურქული ტომები ალთაის მხარიდან შუა აზიაში გადმო-სახლდნენ. ამ მიგრაციამაც აქ ახალი ეთნოსების წარმოქმნა გა-

მოიწვია – ადგილობრივ ირანულენოვან მოსახლეობასთან თურქული ტომების შერევის შედეგად ახალი ეთნოსები, თურქულენოვანი ხალხები წარმოიქმნენ. ამ მიგრაციამ არა მხოლოდ ახალი ეთნოსების წარმოქმნა გამოიწვია, არამედ რეგიონი რასობრივი თვალსაზრისითაც შეიცვალა: შუა აზია ძირითადად ევროპეიდი ირანულენოვანი ეთნოსების განსახლების არეალი იყო. აქ მიგრირებულიები მონღოლოიდურ რასას მიეკუთვნებოდნენ. ორი რასის შერევამ ახალი, უფრო მართებული ვიქნებით თუ ვიტყვით, გარდამავალი რასის შექმნა გამოიწვია.

ირანში ირანული ეთნიკური ერთობა მიგრაციის შედეგადაა მისული. ძველი წელთაღრიცხვის მეორე და პირველი ათასწლეულების მიჯნამდე ირანის ტერიტორიაზე ჩვენთვის გაურკვეველი ეთნოსები ცხოვრობდნენ. ჩრდილოეთიდან – შუა აზიიდან გადმოსახლებულმა ირანულენოვანმა ტომებმა აქ ეთნიკური ვითარება შეცვალეს. ადგილობრივი და მოსული ირანულენოვანი მოსახლეობის შერევის შედეგად ახალი – ირანული ეთნოსი წარმოიქმნა.

XVIII საუკუნის ბოლომდე თურქულენოვანი თათრები მკვიდრობდნენ ყირიმში. რუსების ეთნიკურმა ექსპანსიამ/მიგრაციამ ყირიმში ეთნიკური ვითარება რადიკალურად შეცვალა. დღეს ყირიმი ეთნიკურად რუსული რეგიონია. ყირიმში რუსების ეთნიკური ექსპანსია ორჯერ მოხდა: 1. XVIII საუკუნის ბოლოს ყირიმელი თათრები მასობრივად გადასახლდნენ თურქეთში და 2. ყირიმელი თათრების აბსოლუტური უმრავლესობა საბჭოთა იმპერიამ 1943 წელს შუა აზიაში გადაასახლა. ყირიმელი თათრების გამოთავისუფლებული ეთნოსფერა ორივე შემთხვევაში ძირითადად რუსული ეთნოსის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

თანამედროვე თურქები არ იყვნენ ამ ტერიტორიის ოდინდელი მკვიდრნი. იქამდე დღევანდელი თურქების განსახლების არეალი ძირითადად ბიზანტიელთა ეთნოსფერას წარმოადგენდა. ბიზანტიის ტერიტორიაზე სელჩუკები მხოლოდ XI საუკუნეში გამოჩნდნენ. ამ დროიდან მოკიდებული თურქებმა, ფაქტობრივად, მოახრჩვეს ბიზანტიური ეთნოსი და მათი ეთნოსფერა დაიკავეს.

მთელ რიგ ქვეყნებში მნიშვნელოვნად შეცვალეს ეთნიკური ვითარება მონღოლებმა. მაგალითად სამხრეთ რუსეთის, სამხრეთ უკ-

რაინისა და ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში XIII საუკუნის 20-იან წლებამდე, ალანებთან ერთად, ყივჩაღები იყვნენ გაბატონებულნი, რომლებიც ასევე უფრო ადრე აღმოსავლეთიდან იყვნენ მიგრირებულნი. მონღოლთა ეთნიკური ექსპანსიის შედეგად მოისპო ყივჩაღთა ეთნოლანდშაფტი. ისინი ხუთი სხვადასხვა მიმართულებით დაიფანტნენ და განსახლდნენ: 1. დასავლეთით, ევროპაში. წავიდნენ ვალახეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, სადაც ასიმილირდნენ; 2. სამხრეთ კავკასიაში – აზერბაიჯანში; 3. ჩრდილო-დასავლეთით, ლიტვასა და რუსულ სათავადოებში; 4. შევიდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთებში, სადაც ადგილობრივ კავკასიელებთან შერევის შედეგად სათავე დაუდეს ახალ ყარაჩაულ-ბალყარულ ეთნოსს; 5. მახლობელ აღმოსავლეთსა და ეგვიპტეში, სადაც ყივჩაღები არა მხოლოდ გადასახლების შედეგად, არამედ მონების სახითაც გხვდებოდნენ. მონღოლებმა ეთნიკური ვითარება ახ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში აზიისა და ევროპის სხვა რეგიონებშიც შეცვალეს. მათ უპირატესად თურქული მოდგმის ხალხები დაიპყრეს, რომლებიც XIII საუკუნეში ჩინგის-ხანისა და მის მემკვიდრეთა ფართო, თუმცა ეფემერული იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ. ვრცელ ტერიტორიაზე მონღოლთა დაპყრობებს თან ახლდა მთელ რიგ ეთნიკურ ერთობათა გადაადგილებანი, რასაც შედეგად მოჰყვა სრულიად სხვადასხვა წარმოშობის ხალხების ერთმანეთთან შერევა და შეიქმნა წინაპირობები ცენტრალური, შუა და წინა აზიის, კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ახალი ეთნოსების ფორმირებისა. ამ ეთნიკური პროცესების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თათრების სხვადასხვა ჯგუფის გამოჩენა ციმბირში, ვოლგა-კამასა და ყირიმში. მონღოლ-თათართა კვალდაკვალ კავკასიასა და მცირე აზიაში, ოდნავ მოგვიანებით კი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, შეიჭრა თურქული მოდგმის ხალხების ახალი ჯგუფი – ოღუზები, რომლებიც თანამედროვე შუააზიელი თურქმანების მონათესავენი იყვნენ. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ და არსებითი როლი ითამაშეს ახალი ეთნოსების ჩამოყალიბებაში, მათ შორის აზერბაიჯანელებისა და თურქ-ოსმალებისა, რომლებმაც XV საუკუნეში გაანადგურეს ბიზანტია და რამ-

დენიმე საუკუნით დაიპყრეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის ბევრი ხალხი. XV საუკუნეში აზიაში, ევროპასა და აფრიკაში ჩამოყალიბდა თითქმის ყველა ეთნოსი, რომელიც დღევანდლამდე არსებობს.

ხალხთა მიგრაციის შედეგად წარმოიქმნენ თანამედროვე ევროპული ეთნოსებიც. V-VI საუკუნემდე არც ერთი სლავური ეთნოსი არ მკვიდრობდა ბალკანეთში. აქ სლავების, სხვადასხვა თურქულენოვანი ტომებისა და სხვათა მიგრაციამ განაპირობა ეთნოგენეტიკური პროცესები, ძველი ეთნოსების (თრაკიელები, ილირიელები, დაკები, გეტები...) გაქრობა და ახალი ეთნოსების წარმოქმნა. ადრე შუა საუკუნეების ეპოქის ხალხთა გადასახლების პროდუქტს წარმოადგენს თითქმის ყველა დასავლეთ ევროპული ეთნოსი: გალებს ფრანგები ჩაენაცვლნენ, იბერებს – ესპანელები და პორტუგალიელები, რომაელებს – იტალიელები, კელტებს – ინგლისელები და გერმანელები.

ახალი ისტორიიდან ევროპელებმა მთლიანად შეცვალეს ამერიკის კონტინენტისა და ავსტრალიის ეთნიკური ვითარება, რაც, ბუნებრივია, ევროპელთა ეთნიკურმა ექსპანსიამ/მიგრაციამ განაპირობა. ევროპელთა აგრესიამ ადგილობრივი ეთნოსების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობის გაქრობამდე მიგვიყვანა. ადგილობრივებისა და მიგრირებული ევროპელებისა და აფრიკელების შერევის შედეგად კი სრულიად ახალი ეთნოსების/ხალხების ფორმირება მოხდა.

აფრიკის ჩრდილოეთი დღეს არაბული ეთნოსებითაა დასახლებული. VII საუკუნიდან ჩრდილოეთ აფრიკასა და მახლობელ აღმოსავლეთში არაბთა მიგრაცია-ექსპანსიის შედეგად ადგილობრივი ეთნოსები ისტორიის კუთვნილებად იქცნენ. არაბებისა და ადგილობრივ ხალხთა შერევის შედეგად წარმოიქმნენ თანამედროვე სირიელები, ლიბანელები, ეგვიპტელები, ტუნისელები, მაროკოელები...

ძველი ჩინური წყაროების თანახმად, თანამედროვე ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთში ევროპეიდები ცხოვრობდნენ, რომლებიც სიმაღლით, თეთრი კანითა და ცისფერი თვალებით ხასიათდებოდნენ. ეს ევროპეიდული ეთნოსი ახალი წელთაღრიცხვის დასაწყი-

სიდან ქრება. არის შეხედულება, რომ ეს ეთნოსი ავარიელები იყვნენ, რომლებიც კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში VI საუკუნეში გამოჩნდნენ.

ამრიგად, ისტორიიდან ათასობით მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ იმის დასადასტურებლად თუ როგორ მჭიდროდაა დაკავშირებული მიგრაციული პროცესები ახალი ეთნოსების წარმოქმნასთან, ეთნოგენეზთან, ახალი ენებისა და ახალი კულტურების ფორმირებასთან. ეს იყო პროცესი, რომელიც, ფაქტობრივად, არასდროს არ წყდებოდა. სწორედ ათასობით ასეთმა მაგალითმა მიაღებინა *ლ. გუმილიოვს* დასკვნა, რომ ხალხები/ეთნოსები იბადებიან, იზრდებიან, ვითარდებიან და კვდებიან, ქრებიან. ის თითოეული ეთნოსის ასაკს 1200-1500 წლით განსაზღვრავდა. თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ რამდენიმე ეთნოსის, მათ შორის, ქართული ეთნოსის ისტორია ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ვერ თავსდება. მათი არ გაქრობა და გადარჩენა მთელმა რიგმა შინაგანმა ფაქტორებმა განაპირობა.

II. მსოფლიოს ხალხთა მიგრაციები

II. 1. ბერძენთა კოლონიზაცია

მსოფლიოს უძველესი ხალხებიდან მიგრაციისადმი განსაკუთრებული მიდრეკილებით ბერძნები გამოირჩეოდნენ. კოლონიზაციის პერიოდი ძვ.წ II ათასწლეულის დასასრულს დაიწყო და, ზოგიერთი შესვენებით, რომის იმპერიის ადრეულ ეპოქამდე გრძელდებოდა. **ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე ბერძნულ კოლონიებს ფინიკიელთა კოლონიზაცია უსწრებდა წინ**. ფინიკიელებს თავისი დასახლებები ჰქონდათ დაარსებული, ისინი აქტიურ ვაჭრობას ეწეოდნენ. ფინიკიელების კოლონიური საქმიანობა ძვ.წ. IX საუკუნეში დაიწყო. ისინი ძვ.წ. VII საუკუნის ჩათვლით სავაჭრო ფაქტორიებს ქმნიდნენ კვიპროსში, ჩრდილოეთ აფრიკაში (კართაგენი), სიცილიის დასავლეთ ნაწილსა და სამხრეთ ესპანეთის სანაპიროზე (მაგალითად გადესი, ახლანდელი კადესი). კვიპროსიდან გაჰქონდათ სპილენძი და ვერცხლი, ესპანეთიდან – რკინის მადანი და სხვა საქონელი. ფინიკიელთა კოლონიურ საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლი მონებით ვაჭრობასაც ეჭირა.

ანტიკურ სამყაროში ბერძენთა კოლონიზაცია, მასობრივი გადასახლებით, თავდაპირველად პოლისებში (ქალაქ-სახელმწიფოებში) მარცვლეულის მწვავე უკმარისობამ განაპირობა. კოლონიზაცია მხოლოდ მოგვიანებით იქცა ვაჭრობის გაფართოების საშუალებად. ისინი ძირითადად სოფლის მეურნეობისათვის ვარგის მიწებს ეტანებოდნენ. კოლონიზაციით ძველი ბერძნები პოლიტიკური გავლენის სფეროებსაც იფართოვებდნენ. განსაკუთრებით ეს დამახასიათებელი იყო ძვ. წ. V საუკუნეში ათენის კოლონიური ქმედებებისათვის და ელინისტური რომის კოლონიზაციის პერიოდისთვის. ბუნებრივია, ბერძენთა განსახლება ანტიკური კულტურის განვითარებასა და გავრცელებასაც უწყობდა ხელს.

დაახლოებით ძვ.წ. 1200 წელს ხმელთაშუაზღვისპირეთის ტომების ინტენსიური გადასახლების დროს, ბერძნები ეგეოსის კუნძულსა და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე დასახლდნენ. თავ-

დაპირველად თესალიიდან აქეელები ლესბოსზე, ტენედოსსა და მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე დასახლდნენ. ამას ხიოსის, სამოსის და სხვათა ათვისება მოჰყვა. მცირე აზიაში სმირნიდან ვიდრე მილეტამდე იონიელებმა ეოლიელები შეცვალეს. ბოლოს დორიელებმა კრეტის, როდოსის და მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს კოლონიზაცია მოახდინეს. მცირე აზიელ ბერძენთა შორის მალე წამყვანი მდგომარეობა იონიელებმა დაიკავეს. სწორედ იონიელებთან არის დაკავშირებული ბერძნული ეკონომიკისა და კულტურის აყვავება.

ბერძენთა მასობრივი გადასახლებები ძვ. წ. VII საუკუნიდან იწყება. მიგრირდებოდა ძირითადად თავისუფალი მოსახლეობა; ისინი ახალ-ახალ ტერიტორიებს ითვისებდნენ. კოლონიზაციას ბევრად განაპირობებდა პოლისებს შიგნით პოლიტიკური ბრძოლის გაძლიერება. ბრძოლებში დამარცხებულნი თავის გადასარჩენად შორეული მიწებისაკენ მიისწრაფოდნენ. ბერძენთა ამ სახის მიგრაციებს „დიდ საკოლონიზაციო მოძრაობასაც“ უწოდებენ. მან ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში თითქმის მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთი მოიცვა და ის მოიფინა ბერძნული ახალშენებით. საკოლონიზაციო მოძრაობამ ბერძენთა ფსიქიკაზეც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. მათ ჩამოუყალიბდათ საკუთარი ენის, კულტურის, სოციალურ-ეკონომიკური წყობის განსაკუთრებულობის შეგრძნება. ძვ. წ. VIII–VI საუკუნეებში ბერძნული კოლონიზაცია არა მარტო ხმელთაშუაზღვისპირეთში, არამედ შავი ზღვის მთელ სანაპიროზეც ხდებოდა. კოლონიზაციაში, მატერიკისა და კუნძულების ბევრ ქალაქთან ერთად, მცირე აზიის ქალაქებიც მონაწილეობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კოლონიზაციის პროცესი სპონტანურად მიმდინარეობდა ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოსათვის ბერძნული ახალშენებით მოფენილი იყო ზემოთ დასახელებული ორივე ზღვის სანაპირო.

კოლონიზაციას ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზის გამო იწყებდენენ. კოლონიებისათვის ეს ქალაქ-სახელმწიფოები დედაქალაქებად ანუ მეტროპოლიებად მიიჩნეოდნენ. საბერძნეთში მეტად ჭარბი მოსახლეობა, მიწათმოქმედების დაბალი პროდუქტიულობა ძველ ბერძენს აიძულებდა

ახალი გადასახლების არეალი ეძებნა. აგრეთვე შიდა პოლიტიკურ ბრძოლებში დამარცხებულ პარტიებს აიძულებდნენ სახელმწიფოდან განსახლებულიყვნენ. ასეთ პროცესს მაშინ „საბერძნეთის უბედურებაც“ კი უწოდეს. ახალ კოლონიებს ძირითადად სამიწათმოქმედო ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ხშირად წინ მეტროპოლიის სავაჭრო ინტერესები წამოიწეოდა. ამიტომაცაა, რომ ბევრი კოლონია ისეთ ადგილებზე დაარსდა, რომლებიც სავაჭრო ურთიერთობისათვის იყო ხელსაყრელი. მრავალრიცხოვანი ქალაქების გაჩენის მნიშვნელოვნად ხელშემწყობი გარემოება გახლდათ სანავიგაციო ხელოვნების მაღალი დონე, სხვანაირად წარმოუდგენელი იყო საბერძნეთიდან ძალიან დაშორებულ მხარეებში ბერძნული კოლონიების დაარსება.

დიდი ბერძნული კოლონიაზაცია სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობდა: 1. აღმოსავლეთის (ანატოლია და ახლო აღმოსავლეთი). 2. სამხრეთის (ეგვიპტე, აფრიკის სანაპირო), 3. დასავლეთის (იტალია, სიცილია სამხრეთ გალია და ესპანეთი), 4. ჩრდილოეთის (ადრიატიკა, მაკედონია, ილირია, თრაკია) 5. ჩრდილო-აღმოსავლეთის (შავიზღვისპირეთის).

თავდაპირველად ბერძენთა ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან გადასახლება ანატოლიისა და აღმოსავლეთის მიმართულებით დაიწყო. აქ მათ ეგეიდის იონიური და ეოლიური ნაწილები აითვისეს, რის შემდეგაც ისინი საბერძნეთის ორგანულ ნაწილად იქცნენ. ძვ. წ. VII საუკუნეში ეს მიმართულება ძველბერძნებს უკვე ათვისებული ჰქონდათ. ახლო აღმოსავლეთში მათ ძირითადად სამ რეგიონთან ჰქონდათ ურთიერთობა: *ჩრდილოეთი სირია, ფინიკია* და *პალესტინა*, ახლომდებარე კუნძულ *კვიპროსით*, რომლის ათვისება ბერძნებმა ყველაზე ადრე მოახდინეს. შემდეგ კი ესენი იყო ანატოლია, ფრიგია, ლიდია. აქედან გავრცელდა ძველ აღმოსავლეთში ბერძნული გავლენა. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზი აქვს გასმული იმას, რომ ელინური კოლონიზაცია აღმოსავლეთში მაღალგანვითარებული სახელმწიფოების კონკურენციის პირობებში მიმდინარეობდა. აღმოსავლური პოლისები ითვისებდნენ, გადახარშავდნენ და ელინურ სამყაროს გადასცემდნენ აღმოსავლეთის მდიდარ ტრადიციებს.

როგორც აღინიშნა ძველბერძენთა მიგრაციისა და კოლონიზაციის მიმართულება სამხრეთი იყო. ეგვიპტე და ხმელთაშუა ზღვის მთელი აფრიკული სანაპირო ძალიან იზიდავდა ბერძენ მოახალშენეებს. ძვ. წ. VII საუკუნიდან ეგვიპტელი ფარაონები იონიელებისა და კარიელების დაქირავებულ ლაშქარს გამოიყენებდნენ ხოლმე, რომლებსაც VI საუკუნეში მიწაც კი გამოეყოფოდათ სამხედრო ბანაკებისათვის. მათ მოამზადეს საფუძველი ეგვიპტეში ბერძნული კოლონიის – ნავკრატისის დასაარსებლად. ეს კოლონია მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო. ეგვიპტიდან ელინებს გაჰქონდათ მარცვლეული, პაპირუსი (საწერი მასალა), აფრის ტილო, ეგვიპტეში კი შეჰქონდათ ღვინო, კერამიკული ნაწარმი (ამფორები), ვერცხლი. ავკრატისის თავისებურება ის იყო, რომ იგი დაარსებული იქნა ცივილიზებულ ქვეყანაში, ამ ქვეყნის მმართველთა ინიციატივით. ლიბიის ბერძნული კოლონიიდან შეიძლება *კირინე* დავასახელოთ (დააარსდა დაახლ. ძვ. წ. 630 წ.); ის კუნძულ თერას მკვიდრებმა დაარსეს. შემდეგში კირინეს გარშემო პელეპონისელებმა და დორიელებმა სხვა ახალშენებიც დააარსეს. აქედან მიწათმოქმედების პროდუქტები გაჰქონდათ საბერძნეთში.

ელინთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ძველბერძენთა მიერ იტალიისა და მიმდებარე კუნძულების კოლონიზაციას. ბერძნული ახალშენები აქ ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში შეიქმნა. აქტიური კოლონიზაცია ძვ. წ. VIII საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება. დასაწყისში განსაკუთრებით ევბეელები აქტიურობდნენ, შემდეგ მათ სხვადასხვა ბერძნული პროვინციების კოლონისტებიც დაემატნენ. ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევრისათვის მთელი ცენტრალური, სამხრეთ იტალიისა და სიცილიის სანაპირო ბერძნული ახალშენებით იყო დაფარული. იტალიაში კოლონიები დაარსებული ჰქონდათ ევბეელებს, დორიელებს, აქეელებს. იტალიაში დააარსებულ ქალაქებს ელინურ სამყაროში წამყვანი ადგილი ეჭირათ. სამხრეთ იტალიის ბერძნულ ნაწილს „დიდ საბერძნეთსაც“ უწოდებდნენ. დასავლეთის მიმართულებით ბერძნებს ფინიკიელების კვალდაკვალ საფრანგეთისა და ესპანეთის სანაპიროებზეც ჰქონდათ ფეხი მოკიდებული. ძვ. წ. 600 წელს ფოკეელებმა სამხრეთ საფრანგეთში მასალია (თანამე-

დროვე მარსელი) და ემპორიონი (თანამედროვე ამპურია) დაა-არსეს.

ჩრდილოეთის მიმართულებით ბერძნული კოლონიები ადრიატი-კის ზღვის სანაპიროზე იყო განლაგებული. VII-VI საუკუნეებში ილირიის სანაპიროსა და ეგეოსის ზღვის სანაპიროზე მაკედონიასა და თრაკიაში მრავალი ბერძნული ახალშენი დააარსდა. ეს რეგიო-ნი იმდენად იყო კოლონიზებული, რომ მან ძლიერი ელინიზაცია განიცადა. შავი ზღვის მთელი სანაპირო ზოლი მოფენილი იყო ბერძნული კოლონიებით. იმის გამო, რომ თავდაპირველად ბერძ-ნებს გაუჭირდათ შავი ზღვის სანაპიროს ათვისება, მას „არასტუ-მართმოყვარე ზღვა“ („აქსეინოს“) შეარქვეს. შემდეგ კი იგი „სტუმართმოყვარე ზღვა“ („ევქსეინოს პონტოს“) გახდა. პირველი კოლონიები ძვ. წ. VIII საუკუნეში დააარსებული ტრაპეძუსი და კიძიკოსი იყო. შავი ზღვის კოლონიზაცია იონიელთა ხელში იყო. ბიზანტიუმიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ახალშენი იყო. შავი ზღვის გარშემო, ბულგარეთის, რუმინეთის ტერიტორიაზე ბერძ-ნებს ათეულობით კოლონია ჰქონდათ. მოფენილი იყო ბერძნული კოლონიებით შავი ზღვის ჩრდილოეთითაც. ბერძნებს კოლონიები საქართველოს შავი ზღვის სანპიროზედაც ჰქონდათ. შეიძლება და-ვასახელოთ დიოსკურია (თანამედროვე სოხუმის მახლობლად), გი-ენოსი (ოჩამჩირესთან) და ფაზისი (თანამედროვე ფოთი). სამივე მილეთელ მოახალშენეებს დაუარსებიათ. საერთოდ, შავი ზღვის სანაპიროზე 90-მდე ბერძნული დასახლება ყოფილა.

კოლონიების დაარსებაში ხშირად სახელმწიფო მოღვაწეები მონაწილეობდნენ. დამაარსებლის ხელმძღვანელობით ხდებოდა მი-წის გაყოფა. მეტროპოლია რომელიმე იოკოსტის (დამფუძნებლის) ხელმძღვანელობით აგზავნიდა კოლონისტებს ახალი მიწების ასა-თვისებლად და უზრუნველყოფდა მათ ხომალდებით, ტექნი-კით... დასახლებების უმეტესობა აგრარული იყო, რადგან მიგრა-ციის ძირითადი მიზეზი მეტროპოლის მოსახლეობის სიჭარბე და ვარგისი მიწის მოპოვება იყო. კოლონისტებს თავადაც უხდებოდათ მიწის დამუშავება და ადგილობრივ მკვიდრთა შრომასაც იყენე-ბდნენ.

კოლონიებს დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოს სტატუსი

გააჩნდათ, კავშირს ინარჩუნებდნენ მეტროპოლიასთანაც. მეტროპოლიას და კოლონიას საერთო კულტი ჰქონდათ. რაც მთავარია უაღრესად მჭიდრო იყო ეკონომიკური ურთიერთობა. კოლონიზატორები ადგილობრივ ხალხებს ძალიან ხშირად სრულიად იმორჩილებდნენ და ექსპლუატაციას უწევდნენ, ზოგჯერ საკუთარი ტერიტორიიდან განდევნიდნენ კიდევაც ხოლმე. კოლონიებიდან გაჰქონდათ პირველ რიგში: მარცვლეული, საქონელი, თევზი, მარილი, სამშენებლო ხე-ტყე, გაყავდათ მონები. მეტროპოლია კი ხელოსნების ნაწარმის ექსპორტს ახდენდა (კერამიკა, რკინის ნაკეთობანი, ქსოვილები, ღვინო, ზეთი). კოლონიზაციამ საბერძნეთში ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები გამოიწვია. ქალაქები ეკონომიკური ცხოვრების ცენტრებად იქცნენ. სწრაფად ვითარდებოდა ხელოსნობა, გაჩნდა ვაჭართა და მეზღვაურთა დიდი ფენა, შესუსტდა გვაროვნული კავშირები, ქალაქები მონათმფლობელურ ცენტრებად გადაიქცა. ფართო სავაჭრო კავშირები კულტურის აღმასვლის წინაპირობად იქცა. ხშირად კოლონიებში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება უფრო ჩქარი ტემპით ხდებოდა, ვიდრე მეტროპოლიებში.

იმ ტერიტორიებზე, რომელიც ძვ. წ. V საუკუნის პირველ ნახევარში ათენის მეზღვაურთა კავშირს ეკუთნოდა, პოლიტიკური ხელისუფლების განსამტკიცებლად *კლერუხიების* შექმნა დაიწყეს. *კლერუხია იყო სამხედრო დასახლება, რომელსაც დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოს სტატუსი არ ჰქონდა.* კლერუხიების მცხოვრებნი ათენის მოქალაქეობას ინარჩუნებდნენ. სამხედრო დასახლებების შექმნის ერთ-ერთი მიზანი ღარიბი ათენელი მოქალაქეების შესუსტებაც იყო. ათენური სახის სამხედრო დასახლებები გვიან დაპყრობილ ტერიტორიებზე აზიაში ალექსანდრე მაკედონელმაც შექმნა.

ბერძნებს ახალშენთა მეორე ჯგუფიც – ემპორიები გააჩნდათ. ემპორიების ძირითადი ფუნქცია იყო სავაჭრო საქმიანობა, ელინური ნაწარმისათვის გზის გახსნა, საბერძნეთში სხვა ქვეყნებიდან საჭირო პროდუქციის ექსპორტი.

ბერძნული დასახლებები წამყვან პოლიტიკურ ძალად იქცეოდნენ ისეთ რეგიონებში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა გან-

ვითარებისა და სახელმწიფო ორგანიზაციის დაბალ საფეხურზე იდგა. განსაკუთრებით აქტიურ ძალად წარმოგვიდგნენ ბერძნები სიცილიასა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. თითქმის ყველა დასახლებას შენარჩუნებული ჰქონდა ბერძნული (ელინური) სული, ბერძნულენოვნება. კვლავ ძლიერი იყო დაპირისპირება ელინსა და ბარბაროსს შორის.

მეცნიერთა შორის საერთო აზრი არ არსებობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბერძნული ახალშენების შესახებ. ერთნი მიიჩნევენ, რომ *დიოსკურია, გიენოსი* და *ფაზისი* კლასიკური ტიპის კოლონიები იყო, მეორენი მათ ემპორიონებად განიხილავენ. ერთი რამ აშკარად ცხადია: აქ საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო ბერძნული ენა. მჭიდრო უშუალო კონტაქტებმა ელინურ სამყაროსთან განაპირობა შავიზღვისპირეთში ბერძნული კულტურის ზოგიერთი ელემენტის გავრცელება და ათვისება ადგილობრივ მკვიდრთა მიერ. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ბერძნული დასახლებები არა მხოლოდ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, არამედ რიონ-ყვირილის მაგისტრალზეც არსებობდა (ვანი).

ბერძნული კოლონიები თუ პოლიტიკურად დამოუკიდებელი იყო მეტროპოლიისგან, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით რომაულ კოლონიებზე. რომის კოლონიათა მცხოვრებნი სრულყოფილ რომაელ მოქალაქეებს წარმოადგენდნენ. რომაულ კოლონიებში ფაქტობრივად ყველგან ადგილობრივი მოსახლეობის რომანიზაცია მოხდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებული რამ ბერძნულ და რომაულ კოლონიებს შორის ისაა, რომ ბერძნული კოლონიების დაარსება ხდებოდა საზღვაო გზით, რომაულის კი – სახმელეთო გზით.

II.2. რომაელთა კოლონიზაცია

კოლონიური პროცესი რომმა ძვ. წ. IV საუკუნიდან იტალიის დაპყრობის პროცესში დაიწყო. სამოქალაქო კოლონიების დააარსების მიზანი ტერიტორიების დაცვია იყო – თავდაპირველად სანაპირო მხარეებში, ხოლო შემდეგ – ნახევარკუნძულის სიღრმეში. რომაული კოლონიები ახალი ადმინისტრაციული ერთეულები არ

იყო. ხოლო იტალიის გარეთ კოლონიების დააარსება გრაკხუსის მმართველობის პერიოდა ემთხვევა. მას შემდეგ რაც მარიუსმა არმიის რეორგანიზაცია მოახდინა (107 წ.), კოლონიებში მიწებს ურიგებდნენ სამსახურგავლილ მეომრებს, ვეტერან-ლეგიონერებს, წვრილ მიწათმფლობელებს. რომაული კოლონიზაციის აღმავლობა იულიუს ცეზარის და ავგუსტუსის დროს დაიწყო.

იტალიკებისა და რომაელების ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთში დასახლება დაიწყო რომის მიერ ძვ. წ. 168-176 წლებში არდიეის სამეფოს (ილირიას, მეზიასა და მაკედონიას შორის) დაპყრობის შემდეგ. რომაელთა კოლონიების შექმნა ორი გზით ხდებოდა: I. იტალიელი ვაჭრებისა და მიგრანტების (მათ შორის, მონების, ლუმპენების და თავდასხნილების) სტიქიური დასახლებით და II. მოგვიანებით – რომაელი ვეტერან-ჯარისკაცების დასახლებით. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ მეორე სახის კოლონიები პირველთან შედარებით მცირე რაოდენობით იყო. ჩვეულებრივ ვეტერანებს სამოქალაქო კოლონიებში ასახლებდნენ. ასე, მაგალითად, სკარდონეში (სკარდინი) XI ლეგიონის – „კლაუდიას“ ვეტერანები დაასახლეს 6-9 წლებში. დანამდვილებით ცნობილია, რომ მხოლოდ კოლონია ევკუმი (სოფელი ჩიტლუკი, მდინარე ცეტინზე) დააარსდა სპეციალურად VII ლეგიონის – „კლაუდია“ – ვეტერანებისათვის კლავდიუსის დროს, როგორც ჩანს, ახ. წ. 45 წელს. რომაული კოლონიზაციის დასაწყისი ეტაპისათვის ეს იყო ერთადერთი კოლონია, რომელიც დააარსდა არა სანაპირო ზონაში, არამედ ქვეყნის შიდა ოლქებში. როგორც გადმოსახლებულები, ისე ვეტერანები ბინადრდებოდნენ ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე უკვე არსებულ ბერძნულ და ილირიულ დასახლებულ პუნქტებში, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთ-აღმოსავლეთ დალმაციის ქალაქ-პორტებში. ასე, მაგალითად, ნარონეში (სოფ. ვიდი ქვემო ნერეტვეზე) მას შემდეგ, რაც 135 წელს რომაელებმა დაიქვემდებარეს არდიებისა და პლერეების ტომები, შეიქმნა რომაული სავაჭრო ცენტრი, სადაც 167 წლის შემდეგ ბევრი იტალიელი ვაჭარი დასახლდა.

ეპიდავრეში ძვ. წ. II საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიქმნა რომაელი ვაჭრების მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი, რის შედე-

გად ბერძენი ვაჭრების ხვედრითი წილი აღმოსავლეთ ადრიატიკის კომერციულ ოპერაციებში მნიშვნელოვნად შემცირდა. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ბერძნულმა ელემენტმა აქ საერთოდ უკანა პლანზე გადაინაცვლა.

კოლონიზაციური პროცესი მნიშვნელოვნად გაძლიერდა რესპუბლიკის უკანასკნელ ასწლეულში, მაგრამ განსაკუთრებით ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებში. რომაელები ციცერონიდან მოყოლებული კოლონიებს განიხილავდნენ როგორც სახელმწიფოს გამაგრებულ პუნქტებს. ციცერონი წინაპრების სიფხიზლეს ფრიად აფასებდა, რომლებმაც კოლონიები იმ ადგილებში დააარსეს, საიდანაც საშიშროება იყო მოსალოდნელი. ილირიასა და სხვა მიმდებარე ქვეყნებში რომაულ კოლონიზაციას რამდენიმე მიზანი გააჩნდა, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო კომერციული მიზანი; დასავლეთ ბალკანეთში ისინი სავაჭრო ცენტრებს ქმნიდნენ, სადაც რომაელები უფრო და უფრო მტკიცედ იკიდებდნენ ფეხს. კოლონიზაციის მეორე მიზეზი იყო აგრარული – მიწის გამოყოფა უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხებისათვის და ამ გზით ლუმპენ-პროლეტარიატისაგან თავის დაღწევა. და, ბოლოს, მნიშვნელოვანი იყო სამხედრო-სტრატეგიული მიზანიც – დაპყრობილ პროვინციებში რომი სახელმწიფოს პოზიციებს იმაგრებდა. ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყების შემთხვევაში რომაელი მოქალაქე-კოლონისტები ყოველთვის შეიძლებოდა გამოეყენებინათ როგორც სამხედრო ძალა.

თავდაპირველად რომაულ საქალაქო თემებს ანუ კოლონიებს ოფიციალური სტატუსი არ ჰქონდათ. წარმატებული ალყის შემდეგ, ადგილობრივ მოსახლეობას ნაწილობრივ ან მთლიანად დაპყრობილი დასახლებული პუნქტებიდან აძევებდნენ, ხოლო გამარჯვებული მხედართმთავარები იქ ასახლებდნენ თავის ვეტერანებს, კოლონიის ოფიციალური დააარსების გვერდის ავლით. რომაელი მოქალაქე-ვაჭრები ადრიატიკის ზღვის ნაპირებზე ძირითადად ადრიატიკის მეორე, საპირისპირო მხრიდან და ჩრდილოეთ იტალიიდან ასახლებდნენ.

ილირიაში რომაული კოლონიები ძირითადად ცეზარისა და ტიბერიუსის დროს დააარსდა.

ქალაქები კოლონიის ავტონომიურ სტატუსს იმ შემთხვევაში იღებდნენ, თუ მასში დასახლებული იტალიელები/რომაელები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ. კოლონიები იყო იადერი, სალონა, ნარონა, ეპიდავრი, სკოდრა. გარდა კოლონიებისა არებობდა ავტონომიური მუნიციპიებიც. მუნიციპიებში ვაჭრობა და ხელოსნობა შედარებით მცირე როლს თამაშობდა, ვიდრე კოლონიებში. წყაროების თანახმად, დალმაციაში 7 მუნიციპია არსებობდა: ტრაგური, ისა, რიზინია, აკრუვია, ბუტუა, ოლცინია, ლისი.

ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში პროვინციის გაბატონებულ ფენას შეადგენდნენ რომაელი კოლონისტები, რომლებსაც საუკეთესო მიწებიც ეკუთვნოდათ. კოლონიზაცია იყო რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაპყრობითი და გაძარცვითი პოლიტიკის გაგრძელება. ადგილობრივ მოსახლეობას ასახლებდნენ ნაწილობრივ ან მთლიანად არა მხოლოდ ქალაქებიდან, არამედ ნაყოფიერი მიწებიდანაც, რომლებიც კოლონიებს ეკვროდა.

მშობლიური ადგილებიდან გარეკილ ილირიელებს რომაელთა ლაგერების სიახლოვეს ასახლებდნენ, რათა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ყოლოდათ. ლაგერების სიახლოვეს მუდმივად აღმოცენდებოდნენ სალაგერო პატარა ქალაქები, რომლებიც საბოლოო ჯამში ასევე კოლონიებად გადაიქცეოდნენ და სადაც სახლდებოდნენ არა მხოლოდ ვეტერანები, არამედ ვაჭრებიც.

კოლონიების ეკონომიკურ საფუძველს ძირითადად საშუამავლო ვაჭრობა წარმოადგენდა. მათი საშუალებით იტალიიდან ილირიკში გადიოდა ხელოსნური ნაწარმი (აგური, კრამიტი, კერამიკა, მინა, სამკაული), აგრეთვე საუკეთესო ხარისხის ღვინო და ზეითუნის ზეთი; პროვინციას კი იტალიის ქალაქებში შეჰქონდა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (საქონელი, ტყავი, სამშენებლო ხე-ტყე), აგრეთვე შეყავდათ მონები. მონებად აქცევდნენ, უპირველეს ყოვლისა, დაუსრულებელი ტომთაშორისი ომებისა და პირატული თავდასხმებისას დატყვევებულებს.

რომაელთა იმიგრაცია პირინეის ნახევარკუნძულზე ჯერ კიდევ II პუნიკური ომების პერიოდში დაიწყო. უკვე პირველი რომაელი მხედართმთავრები, რომლებიც აქ მოქმედებდნენ, ქალაქების დამაარსებლებად იქცნენ. მათი დაარსებულია ტარაკონა, იტალიკი.

რესპუბლიკურ პერიოდში ესპანეთში გადასახლდნენ შემდეგში ცნობილი გვარები: *ელიები, ანიები, აპონიები, დასუმიები, ულპიები* და სხვ. საკმაოდ ბევრი გადასახლდა ესპანეთში ცეზარის დროს; მათი რაოდენობა უფრო მეტად გაიზარდა ცეზარისა და მისი მემკვიდრეების მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად.

რომაელთა იმიგრაციის შემსწავლელი მეცნიერები მთელი რიგი პრობლემის წინაშე დგებიან. პირველი მათგანი – იმიგრანტების წარმოშობაა. ლინგვისტური და ონომასტიკური გამოკვლევები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ, რომ უშუალოდ რომიდან გადასახლებულები უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ. ძირითადი ნაკადი მიედინებოდა კამპანიიდან და მისი მიმდებარე რაიონებიდან, სადაც გაბატონებული იყო ოკსკური ენა, თანაც ის მიმდინარეობდა იმ დროს, როდესაც ლათინური ენის მატარებლებს, რომლებიც ესპანეთში მიდიოდნენ, შედარებით ახალი შესწავლილი ჰქონდათ ლათინური და ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ ოკსკური მეტყველების ბევრი ნიუანსი. მეორე, მაგრამ შედარებით მცირე ნაკადი ეტრურიიდან მიდიოდა.

რომაული ემიგრანტების ძირითად წყაროდ მიიჩნევენ ნახევარკუნძულზე დიდხანს ნამსახურებ ვეტერანებს, რომლებიც ამ პერიოდში მიეჩვივნენ ქვეყნის პირობებს და სიამოვნებით დასახლდნენ აქ სამსახურის შემდეგ. კოლონიებში ვეტერანების განსაკუთრებულად აქტიურ დარჩენაზე მიუთითებენ ძვ. წ. 45-13 წლებში.

მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს იტალიის „საქმიანმა ადამიანებმა“, მათ ყურადღებას ძირითადად იქცევდა მაღაროები. დიოდორი წერს იტალიკების მასის შესახებ, რომლებიც მიაწყდნენ ესპანეთის მაღაროებს. კერძოდ, ახალი კართაგენის ონომასტიკა მიუთითებს, რომ ასეთი საქმიანი ადამიანების ძირითადი მასა კამპანიიდან წარმომავლობდა. ესპანეთის სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილი დაღდასმული ზოდები მიანიშნებენ, რომ ბევრი იტალიკი მაღაროების არენდატორი გახდა. ბევრი მათგანი ესპანეთში დარჩა. ამ ადამიანებმა შეისყიდეს მონების ძალიან დიდი რაოდენობა, რომლებიც ოქროსა და ვერცხლის მოპოვებაზე მუშაობდნენ.

იტალიკების ემიგრაციას განაპირობებდა აგრეთვე სულას რეპრესიები და კონფისკაციები. აპიანეს სიტყვებით, ძლევამოსილმა

დიქტატორმა დაანგრია ბევრი ქალაქი, მათ მცხოვრებლებს ჯარიმები და მძიმე გადასახადები შეაწერა, ხოლო ქალაქებში აგზავნიდა კოლონისტებს, რომლებსაც აძლევდა მოქალაქეთა მიწებს. ეს გარემოებაც მასობრივ მიგრაციას იწვევდა. ცნობილია, რომ ამ დროს ბევრი ეტრუსკი გადასახლდა აფრიკაში; კამპანიისა და ლაციოს ოლქების მოსახლეობის ნაწილი გადაბარგდა პირინეის ნახევარკუნძულზე. როგორი იყო ამ გადასახლებულთა სოციალური შემადგენლობა, თქმა ძნელია. აპიანე ამტკიცებს, რომ სულამ არა მხოლოდ უბრალოდ დაატეხა იტალიკთა ქალაქებს რეპრესიები, არამედ თავისი ვეტერანებისათვის მათ წაართვა მიწები. ცეზარიც, რომელიც დაუპირისპირდა სულას, მის მფლობელებს მიწებს ართმევდა თავისი ჯარისკაცებისათვის. ვარაუდობენ, რომ სულას ძირითადი მსხვერპლნი იყვნენ მიწათმოქმედები და სწორედ ისინი გადასახლდნენ პროვინციაში.

ცეზარის დროს მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა. ცეზარისა და ცეზარის შემდგომ სამხედრო ელემენტის კოლონიზაცია გაიზარდა, მაგრამ ძვ. წ. 13 წლის შემდეგ ესპანეთში ორგანიზებული კოლონიზაცია თითქმის შეწყდა. თუმცა ცნობილია, რომ მარკ ავრელიუსის დროს ესპანეთში იტალიიდან ახალი ადამიანების გადასახლება მოხდა, რასაც ესპანეთის ეპიდემიით გამოწვეულ დაცარიელებას მიაწერენ.

ასე რომ, რომაელ-იტალიკთა იმიგრანტების სოციალური შემადგენლობა საკმაოდ ჭრელი იყო, მაგრამ ძირითად ნაწილს მაინც იტალიელი გლეხები შეადგენდნენ.

ესპანეთში რომაულ-იტალიურ ქალაქებზე როდესაც საუბრობენ, აღნიშნავენ, რომ პირველი დასახლებები იქმნებოდა არსებულთა ხარჯზე და მათ მახლობლად. რომაელებმა ესპანეთის სამხრეთში რამდენიმე ქალაქი დააარსეს. მაგალითად ასეთი იყო ვალენსია. მაგრამ მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, რომ ეს იყო სპეციალური დასახლება, რომელიც შეიქმნა ვირიატოსთან ომის შედეგად, და არა იტალიელი ემიგრანტებისათვის, არამედ ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ ომში.

ესპანეთში რომაულ-იტალიური კოლონიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ის იყო, რომ რომაელთა მიერ შექმნილმა მთელმა რიგმა ქალაქებმა მაშინვე არ მიიღეს პრივილეგირებულის სტატუსი. ტარაკონა იყო პირველი რომაული ქალაქი ესპანეთში. ის საკმაოდ მალე გარდაიქმნა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრად. აქ გადმოსახლდებოდნენ იტალიის მცხოვრებნი, რომელთა ნაწილი იტალიაში ბრუნდებოდა, ხოლო ესპანეთში თავის შეწყალებულ მონებს აგზავნიდა, რომლებშიც უკვე იტალიური სული იყო შესული.

ესპანეთის რომაულ-იტალიურ ქალაქები იყო ნარევი. აქ გადმოსახლებული იტალიკების ნაწილს არ ჰქონდა რომაული მოქალაქეობა. ცხოვრობდნენ ამ ქალაქებში ადგილობრივებიც, მაგრამ კოლონიებში იტალიური ელემენტი ჭარბობდა. ყოველ შემთხვევაში ქალაქის ელიტაში იმიგრანტებისა და მათი შთამომავლების წილი დიდი იყო, ვიდრე ადგილობრივებისა.

პლინიუსის მონაცემებით, ესპანეთში 26 კოლონიას ითვლიდნენ. ძირითადად ისინი მდებარეობდნენ მთის მიმდებარე რაიონებსა და სანაპიროზე. კოლონიზაციის მეორე მნიშვნელოვანი რაიონი იყო იბერიის ველი. არსებობდა კოლონიები ხმელთაშუაზღვის სანაპიროზეც. ორი ლათინური კოლონია მდებარეობდა ბალეარის კუნძულზე. ნახევარკუნძულის შიდა რაიონებში კოლონიები ცოტა იყო. ლუზიტანიაში კოლონიები განლაგებული იყო მხოლოდ პროვინციის განაპირას და არ იყო შეჭრილი კელტური ტერიტორიის სიღრმეში. ახალკასტიულიურ მესეტში მხოლოდ ერთი კოლონია — ლიბისოსა არსებობდა. ერთადერთი კოლონია იყო ესპანეთის ჩრდილოეთში. როგორც მეცნიერები მიუთითებენ, ბეტიკისა და ესპანეთის ტარაკონის აღმოსავლეთ ნაწილის რომანიზაციაში კოლონიები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ.

ამრიგად, ესპანეთის პროვინციის რომანიზაციის პროცესში კოლონიზაცია ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მისი მოქმედება შემოისაღზვრებოდა გარკვეული ტერიტორიით. ამ რაიონებში ის აქტიურად ხორციელდებოდა; ისინი იმპერიის უფრო რომანიზებულ ტერიტორიებად იქცნენ.

თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორია, როგორც ცნობილია, კელტი გალებით იყო დასახლებული. გალების რომანიზაციაც გამოწვეული იყო ამ ტერიტორიის რომის იმპერიაში შეყვანითა და შესაბამისად რომაელების მიგრაციითა და დასახლებით, რომლებმაც აქ ხალხური ლათინური ენა გაავრცელეს. ქვეყნის რომანიზაცია დაიწყო სამხრეთიდან, რომელიც მიიწევდა ზევით მდინარე რონას ხეობაში, შემდეგ კი შეეხო უფრო ჩრდილოეთ ოლქებს (ვალონია). მიუხედავად ამისა, ძლიერი კელტური სუბსტრატი გალიაში ძალიან დიდხანს შემორჩა. რომაელთა დაპყრობის ერთი საუკუნის შემდეგაც გალები ქვეყნის ცენტრსა და ჩრდილოეთში მოსახლეობის უმეტესობას შეადგენდნენ. მხოლოდ დიდ ქალაქებსა და სამხრეთ სანაპიროზე ცხოვრობდა შთამომავლობითი ბევრი რომაელი. იქმნებოდა ბევრი შერეული ოჯახი (რომაელები, კელტები, ბერძნები და სხვ.). მაგრამ III საუკუნის ბოლოსაც ლიონის მიდამოებში შემორჩენილი იყო კელტური მოსახლეობა, რომლებთანაც კონტაქტი თარჯიმანის გარეშე შეუძლებელი იყო. და მაინც იმპერატორ კარაკალის 212 წლის ედიქტის შემდეგ რომაული მოქალაქეობა მიიღო იმპერიის, მათ შორის, გალიის მთელმა მოსახლეობამ ეთნიკურობის მიუხედავად. ამან დააჩქარა ლათინურ ენაზე გადასვლა, რომელსაც კელტური ენებისაგან განსხვავებით, კარგად განვითარებული დამწერლობა გააჩნდა. დროთა განმავლობაში გალების მემკვიდრეები არა მხოლოდ რომაელებად იწოდნენ, არამედ დაკარგეს მშობლიური ენა და გადავიდნენ ვულგარულ ლათინურ ენაზე. რომაული პერიოდის ბოლოს გალიაში 10-დან 12 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობდა, რომელთა უმეტესობა გალო-რომაელი იყო, რომელიც ქრისტიანობას აღიარებდა და ლაპარაკობდა ლათინურ ენაზე.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ ეთნიკური თვალსაზრისით არც რომაელები იყვნენ შეურევნელნი. აქაც დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი მიგრაციული პროცესები მიმდინარეობდა. ანტიკური სამყაროს ამ მონათმფლობელური საზოგადოების მოსახლეობის უმეტესობა, როგორც წესი, თავისუფალი მეთემეებისაგან შედგებოდა, რომლებიც უპირატესად მიწათმოქმედნი იყვნენ. ძირითადი ექსპლუატირებული კლასი, მონები, მონათმფლობელებისა და თავი-

სუფალი მეთემეებისაგან, ეთნიკური მიკუთვნებულობით განსხვავდებოდა. მონები სხვადასხვა ეთნიკურ ერთეულებს მიეკუთვნებოდნენ და, ბუნებრივია, თავდაპირველად არ შედიოდნენ არც ბერძნულ და არც რომაულ ეთნოსში. რომის იმპერიაში მონათა უმეტესობა იმ ხალხების წარმომადგენლები იყვნენ, რომლებთანაც რომაელები დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ. მონებად ჰყავდათ ათასობით სამხედრო ტყვე: თრაკიელები, ილირიელები, გალები (კელტები), გერმანელები, სლავები და ბევრნი სხვანი, რომელთა მიწები ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და დასავლეთ აზიაში რომაელთა ჯარების მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ იყო დაპყრობილი. ახალი ერის პირველ საუკუნეებში, როდესაც რომის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება თანდათანობით დასუსტდა, ბევრმა შორსმჭვრეტელმა რომაელმა მონათმფლობელმა თავისი მონების მიწაზე დასმა დაიწყო. ამასთანავე, მათ ნებას რთავდნენ დაქორწინებულიყვნენ და შეექმნათ ოჯახები. თავისთავად ცხადია, ამ მონათა შთამომავალნი შედიოდნენ იმ ხალხის (ეთნოსის) შემადგენლობაში, რომელთა გარემოცვაშიც ცხოვრობდნენ.

II. 3. ებრაელთა მიგრაციები

მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ხალხი ებრაელები არიან. ამ ეთნოსს ერთი დიდი თავისებურება ახასიათებდა – მათ მუდმივი განსახლების არეალი, ტერიტორია არ ჰქონდათ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ებრაელებს თავდაპირველადაც არ ჰქონდათ საკუთარი ტერიტორია. რა თქმა უნდა, ებრაული ეთნოსი გარკვეულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა. ესაა მახლობელი აღმოსავლეთი, სადაც შექმნეს განსაკუთრებული კულტურა და მსოფლიოში პირველი მონოთეისტური რელიგია – იუდაიზმი. ებრაელთა ეთნოგენეზი მდ. იორდანის მარცხენა ნაპირზე მოხდა. მათ ძვ.წ. XIII საუკუნეში (1250-1200 წლებს შორის) მდ. იორდანის დასავლეთ ნაპირიც დაიკავეს. ქანაანის დაპყრობა ერთდროული აქტი არ ყოფილა და გადასახლებას არც ძალადობრივი ხასიათი ქონია. ქანაანში გადასახლებას წინ უძღოდა მდ. იორდანის მარცხენა მხარეს ხანგრძლივი მომთაბარე მწყემსური ცხოვრება. თავდაპირვე-

ლად მდ. იორდანის მარჯვენა ნაპირზე ცალკეული ჯგუფები გადადიოდნენ, შემდეგ ეს პროცესი მიწის ნაკლებობამ და ახალი მომთაბარეების ზეწოლამ დააჩქარა. განსახლების ახალ ადგილზე ისრაელელები ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ. აქ ისინი ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, დაიწყეს მშვიდობიანი სამიწათმოქმედო ცხოვრება. მდ. იორდანის მარჯვენა ნაპირზე დარჩენილები კი, ადგილმდებარეობის გამოისობით კვლავ მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ქანაანში ისრაელთა საბოლოო დამკვიდრებიდან, ვიდრე საულისა და დავითის გამეფებამდე, ისრაელელები ტომობრივი ყოფით ხასიათდებოდნენ.

ებრაელთა ორი სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვამ ამ ხალხის შემდგომი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება მთლიანად შეცვალა. პირველ რიგში ეს იყო ებრაელთა ტყვედ წაყვანა და ახალ, სრულიად განსხვავებულ გარემოში დასახლება. ძვ.წ. VIII საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ ისრაელის სამეფო დაეცა. სამარიას სამწლიანი ალყის შემდეგ ის ასირიის მეფემ სარგონმა აიღო (ძვ. წ. 721 წ.). მოსახლეობის „საუკეთესო ნაწილი" მეფის მეთაურობით ქვეყნიდან იქნა გაყვანილი; ტყვეები ასირიის სხვადასხვა ადგილებში განასახლეს, ძირითადად ქვეყნის ჩრდილოეთსა და, ნაწილობრივ, აღმოსავლეთის „მიდიურ ქალაქებში". ასირიული წყაროების მიხედვით, ასირიაში გადასახლებული ისრაელების რაოდენობა 27.290 კაცი იყო. მართალია, იმდროინდელი ისრაელისთვის ეს რაოდენობა ძალიან მნიშვნელოვანი არ იყო, მაგრამ მხედველობაში ის იყო მისაღები, რომ ქვეყნიდან გაიყვანეს ისრაელის სამეფოს „საუკეთესო ნაწილი". ადგილზე კი დარჩა უღარიბესი მიწათმოქმედი მოსახლეობა, რომელსაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და მოღვაწეობის უნარი არ გააჩნდა. ასირიელთა მიერ დატყვევებული ისრაელთა ნაწილი სხვადასხვა ბაბილონურ ქალაქებში დაასახლეს. ყოფილი ისრაელის სახელმწიფოს ტერიტორია კი მეზობელ ხალხთა საძარცვავ ობიექტად იქცა. მისი ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ოლქები არამეელებმა დაიკავეს. იორდანიის იქითა სტეპებს ამონიატი მომთაბარეები დაეუფლნენ. ყოველივე ამან ადგილზე დარჩენილი მოსახლეობის ერთგვარი ეთნიკური ცვლილება

გამოიწვია; ამ დროიდან ებრაელები სუფთა ებრაული წარმომავ-ლობის აღარ იყვნენ. იუდაველები მათ ახალი სახელწოდებით – სამარინებით მოიხსენიებდნენ.

ძვ. წ. VI საუკუნეში იუდეველთა სამეფოც დაეცა. ეგვიპ-ტელთა დახმარების იმედით ბაბილონს ვასალურ დამოკიდებულე-ბაზე უარი უთხრეს (597 წ.) და იერუსალიმს ბაბილონელთა მრავალრიცხოვანი არმია მიადგა. არმიას თვით მეფე ნაბუ-ქოდონოსორი მეთაურობდა. ამ შემოჭრას მთელი იერუსალიმის გასახლება მოყვა (მოსახლეობის 95%). გაასახლეს ზედა ფენის ყველა წარმომადგენელი, მებრძოლი, ყველა ხურო და მჭედელი, სულ 10.000 კაცი. იუდეველთა სამეფოში მხოლოდ ქვედაფენა, მიწისმოქმედი ღარიბი ხალხი დარჩა. ტყვედ წაიყვანეს თვით მეფე, დედამისი, დედოფალი და ჰარამხანის მსახური საჭურისებიც კი. ბაბილონის მეფემ ისინი ბაბილონში დაასახლა. თუმცა ამჯე-რად იუდეველთა სამეფო სრულიად არ გაანადგურეს, მისგან რა-ღაც პოლიტიკური აჩრდილი დატოვეს. იერუსალიმის მეფედ ნაბუ-ქოდონოსორმა მეფის იეჰონის ბიძა – სედეკი დასვა, თუმცა მხო-ლოდ დროებით. თერთმეტი წლის შემდეგ სამეფო საბოლოოდ გაანადგურეს. ამჯერად არა მხოლოდ ზედაფენა, არამედ ყველა, „ქალაქში დარჩენილი უბრალო ხალხიც“ გადაასახლეს ბაბილონ-ში. ასირიული მონაცემებით, სენჰერიბის მეფობის დროს (705-681 წწ.) იერუსალიმში 25 ათასი კაცი ცხოვრობდა, დანარჩენი იუ-დეაში – 20 ათასამდე. ადგილზე დარჩენილი იუდეველები თავისი ნებით ეგვიპტეში წავიდნენ. ეს იყო, ფაქტობრივად, ებრაელთა მესამე განდევნა საკუთარი ქვეყნიდან. განდევნილთა ნაწილი მე-სოპოტამიის დედაქალაქში, ან მის მახლობლად დასახლდა, ნაწი-ლი ევფრატის შუა დინებაზე, ნაწილი – ტიგროსის ზედა მხარე-ში, და, ბოლოს, ნაწილი – სუზიანში. ეს გადასახლება განსხ-ვავდებოდა სამარიის დაცემის შემდგომი ისრაელელების განდევ-ნისაგან. თუ მაშინ ისინი სახელმწიფოს განაპირას დაასახლეს, ახლა, პირიქით, – ბაბილონის სახელმწიფოს ცენტრალურ ნაწილ-ში, და თანაც დიდ საქალაქო ცენტრებში.

ახალ გარემოსა და პირობებში გადასახლებულ იუდეველებს თავი რომ გაეტანათ, სავაჭრო და ხელოსნურ საქმიანობას მიჰყვეს

ხელი. საქმიანობის შერჩევაში იუდეველებს სრული თავისუფლება ჰქონდათ, ისინი შევიწროებას არ განიცდიდნენ. სამშობლოში მათი ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო, აქ კი ამის საშუალება საერთოდ არ ჰქონდათ, რასაც დასამუშავებლად ვარგისი მიწების შეზღუდული რაოდენობა იწვევდა, რადგან მესოპოტამიაში მოსახლეობა მჭიდროდ იყო განსახლებული. გარდა ამისა, აქ მიწას იუდეველებისგან განსხვავებული წესით ამუშავებდნენ. მიწის დამუშავება შუამდინარეთში ირიგაციის რთულ სისტემას ეყრდნობოდა. ამასთანავე, როგორც ზემოთ აღინიშნა, გადასახლებულთა ძირითადი ნაწილი ქალაქის მოსახლეობას მიეკუთვნებოდა, ისინი უმაღლეს ფენას შეადგენდნენ.

ბაბილონის სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ახალმა დამპყრობელმა – სპარსეთის მეფემ კიროსმა – იუდეველებს სამშობლოში დაბრუნების ნება დართო. ნებართვა მხოლოდ განდევნილთა ნაწილმა გამოიყენა; უმეტესობა ადრინდელ სამშობლოში აღარ დაბრუნდა და ნებაყოფლობით მესოპოტამიაში დარჩა. მესოპოტამია მათთვის მეორე სამშობლოდ იქცა. ისინი იმ განდევნილთა შთამომავლები იყვენენ, რომლებმაც შემოსავლიან და სარფიან საქმიანობას მოჰკიდეს ხელი, ე. ი. ახალ ადგილს სათანადოდ შეეგუენ. ახალ პირობებთან შეგუების ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტი ისიც გახლავთ, რომ მათ ჯერ ბაბილონური და შემდეგ სპარსული საკუთარი სახელები ადვილად შეითვისეს.

მესოპოტამიაში გადასახლებული მიწათმოქმედი ებრაელი ხალხი მოკლე დროში ქალაქების მაცხოვრებლებად იქცა, შეიცვალეს ცხოვრების წესი და წეს-ჩვეულება. ებრაელები ძირითადად ვაჭრობის მიმდევარ ხალხად იქცა. დევნილობაში ებრაელი ხალხი (ერი) გლეხობის, მიწისმოქმედთა გარეშე არსებობდა. ისინი მხოლოდ ქალაქის მკვიდრებისაგან შედგებოდნენ. ამ დროიდან მოყოლებული იუდეველი ხალხის მთელი დანარჩენი განვითარება ამ გზით ხდებოდა. ებრაელთა მთელი შემდეგდროინდელი ისტორია არა მხოლოდ ქალაქებში ცხოვრებით განისაზღვრებოდა, არამედ გარკვეული პროფესიების ფლობითაც. ბაბილონელთა ტყვეობამ ებრაელთა ცხოვრებაში ტეხილი სხვა მხრივაც გამოიწვია – შეიცვალა ებრაელთა ნაციონალური ხასიათი. ამ დროიდან მკვეთრი

განსხვავება არსებობდა დიასპორის ებრაელებსა და პალესტინის ებრაელებს შორის.

სპარსელთა ხელისუფლების დაცემამ განდევნილ იუდეველთა სავაჭრო საქმიანობის უფრო გავრცელება განაპირობა. ამ დროიდან ისინი ფართოდ განსახლდნენ სპარსეთის მონარქიის ფარგლებში. იუდეველთა დასახლებები საკუთრივ სპარსულ ქალაქებში და, უპირველეს ყოვლისა, დედაქალქ სუზაში წარმოიქმნა, სადაც მათ მოკლე დროში მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვეს. იუდეველები სპარსეთის სახელმწიფოს თითქმის ყველა ოლქში მკვიდრობდნენ. თავდაპირველად მხოლოდ სპარსეთის სამეფოს აღმოსავლეთ ოლქებში იყვნენ – ყოფილი ახალბაბილონური მონარქიის ტერიტორიასა და საკუთრივ სპარსეთში. მცირე აზიის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში ისინი იშვიათად გვხვდებოდნენ. აქ სანაპირო ზოლში მხოლოდ ბერძნულ კოლონიებში ცხოვრობდნენ.

სპარსეთის მონარქიის შემადგენლობაში იმ დროს შემავალი ოლქებიდან იუდეველები მნიშნელოვანი რაოდენობით იყვენენ ეგვიპტეში. ეგვიპტეში პირველი იუდეური დასახლებები ჯერ კიდევ სამეფოს ბოლოს, ფსამეტიხ I-ის მეფობის დროს გაჩნდა, ძირითადად სამხედრო გარნიზონების სახით, მაგრამ ეგვიპტეში ფართო და მრავალრიცხოვანი კოლონიები იუდეველთა სამეფოს განადგურების შემდეგ, იერუსალიმის დანგრევის დროს წარმოიქმნა. ბევრი იუდეველი ხსნას ეგვიპტეში ეძებდა. ებრაელები ეგვიპტეში არამხოლოდ მოსაზღვრე ადგილებში განსახლდნენ, არამედ მთელ ქვეყანას, ზემო ეგვიპტემდე, მოედვნენ. **ბაბილონსა და სპარსეთში იუდეველები თუ სავაჭრო საქმიანობასა და ფულად ოპერაციებს მისდევდნენ, ეგვიპტეში, რადგან იმ დროს ვაჭრობა და ხალოსნური წარმოება სუსტად იყო განვითარებული, ისინი სამხედრო გარნიზონებში მოღვაწეობდნენ, რომლებიც სასაზღვრო სიმაგრეებში იყვნენ განლაგებულნი.**

იუდეველთა დიასპორებმა ყოველმხრივი და ფართო მასშტაბები ელინისტურ ეპოქაში მიიღო. ამ დროს ისინი ფართოდ გავრცელდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის დასავლეთ ოლქებში. ებრაელები უპირატესად ელინისტური სახელმწიფოების დიდ საქალაქო ცენტრებში სახლდებოდნენ. ალექსანდრიაში პტოლემეოს I-ის დროს

სამშობლოდან იუდაველთა გადასახლებები ნებაყოფლობით ხდებოდა. გადასახლებისათვის ერთგვარი სტიმულის მიმცემი სავაჭრო საქმიანობის სარფიანობა გახლდათ. ალექსანდრიაში იუდეველები იმდენად დიდი რაოდენობით იყვენენ, რომ მომზენი მას უწოდებდა როგორც ბერძნულ, ისე იუდეურ ქალაქს. ძვ. წ. III საუკუნიდან იუდეველები მეზობელი სირიის სამეფოშიც იყვნენ გავრცელებული, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იყვნენ მის დედაქალაქ ანტიოქიაში. ამის შემდეგ მათ მცირე აზიის ნახევარკუნძულის დასავლეთში შეაღწიეს. II საუკუნეში იუდეველები მეტ-ნაკლები რაოდენობით ცხოვრობდნენ ბერძნულ კუნძულებზე, საბერძნეთსა და მაკედონიაში. რომში იუდეველები ძვ. წ. II საუკუნის შუა ხანებიდან გამოჩნდნენ. იუდეური თემები და დასახლებები III-II საუკუნეებში მთელ ბერძნულ სამყაროში არსებობდა (მცირე აზიის ბერძნული ქალაქები, ეგეოსის არქიპელაგი, ბერძნული მეტროპოლია). მაგრამ ბერძნულ-ებრაულ ურთიერთობებს თავისებურება ახასიათებდა – ბერძნული დასახლებები იუდეაშიც ასრებობდა. თუ ებრაელები ელინისტურ ეპოქაში ფართოდ გავრცელდნენ ბერძნულ სამყაროში, თავის მხრივ ბერძნები პალესტინასა და მის მიმდებარე ადგილებში დასახლდნენ. იუდეველები ბერძნული კულტურის გავლენას განიცდიდნენ. ასეთმა ყოველდღიურმა ურთიერთობებმა იუდეველებს საკუთარი ენა დააკარგვინა და ეს ფუნქცია ბერძნულმა ენამ შეიძინა. ბერძნული ენა ებრაელებს შორის საყოველთაოდ გავრცელდა. ენობრივი ვითარება შეიძლება XIX საუკუნის ევროპელ ებრაელთა მდგომარეობას შევადაროთ, როდესაც აქ ამ დროს საყოველთაოდ გავრცელებული ენა გერმანული იყო. იტალიაში მცხოვრები იუდეველებიც კი ბერძნულ ენაზე მეტყველებდნენ, რომში იუდეველთა სასაფლაოს წარწერები ბერძნულ ენაზეა შესრულებული.

რომის ეპოქის ეკონომიკურ ცხოვრებაში ებრაელები ისეთ წამყვან როლს არ თამაშობდნენ, როგორც შემდგომში შუა საუკუნეების ევროპაში. ჩვენი ერის დასაწყისში ებრაელები, მართალია, არათანაბრად, მაგრამ მაინც რომის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე იყვნენ განფენილნი. განსაკუთრებით მჭიდროდ ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქალაქებში მკვიდრობდნენ. დასავლეთით მცხოვრები ებ-

რაელები, აღმოსავლური თემებისაგან განსხვავებით, ავტონომიური თვითმმართველობით არ სარგებლობდნენ. ძველი და ახალი წალ-თაღრიცხვების მიჯნის ცნობილი ბერძენი გეოგრაფი *სტრაბონი* წერდა: **ებრაელები შეჭრილნი არიან ყველა ქალაქში, საკმაოდ ძნელია დედამიწაზე ისეთი ადგილი მოძებნო, სადაც ისინი არ გვხვდებიან და არ არიან გაბატონებულნი.** ებრაელებისთვის დასავლეთიდან განსაკუთრებით მიმზიდველი იყო რომის იმპერიის დედაქალაქი. რომის გარდა მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვენენ სიდიდით მეორე საქალაქო და სავაჭრო ცენტრში პუტეოლში (იტალია).

ალექსანდრიის ხუთი კვარტლიდან ორი წმინდად ებრაული იყო. ამას გარდა ისინი სხვა კვარტლებშიც იყვენენ გაფანტული. აქ ანტიებრაული უწესრიგობის დრო (38 წ.) იმპერატორ გაიუსის მეფობისას 400-მდე ებრაელის სახლი დაუნგრევიათ. ტიბერიუსის მმართველობის პირველ წლებში რომიდან იარაღის ტარების შემძლები 4 ათასამდე ებრაელი გაუძევებიათ. ამ პერიოდში რომში ხუთი ებრაული სასაფლაო ყოფილა. აქ ისინი დიდ სიმდიდრეს ფლობდნენ. ციცერონის დროს რომაელი ებრაელები იერუსალიმში ტაძრის შესამკობად მნიშვნელოვან ფულად სახსრებს აგზავნიდნენ. ებრაული თემების სიმდიდრის შესახებ ტაციტიც აღნიშნავდა. იმ-პერიის ეპოქის ბოლოს ასევე განსაკუთრებული სიმდიდრით მილა-ნისა და გენუას ებრაული თემები გამოირჩეოდა.

ებრაული დიასპორის ყველა უმსხვილეს ცენტრში — მესოპოტამიაში, ალექსანდრიაში, რომსა და, ბოლოს, ბიზანტიაში — ებრაელები ვაჭრობასთან ერთად ხელოსნობასაც მისდევდნენ. ბიზანტიის იმპერიაში, იუსტინიანე I-ის ეპოქიდან ებრაელებმა აბრეშუმის წარმოებაში დაიკავეს წამყვანი ადგილი. XII საუკუნის წყაროს ცნობით, ამ პერიოდის კონსტანტინეპოლსა და სალონიკში მრავალი ებრაელი ხელოსანი მკვიდრობდა. მოგზაურები ხაზს უსვამენ ებრაელთა გაბატონებას აბრეშუმის წარმოებაში. იმავე პერიოდში წამყვანი როლი ეკავათ სამღებრო საქმიანობაში.

რომის იმპერიის დიდ ქალაქებსა და ხელოსნობის ცენტრებში ბევრი ებრაელი ე. წ. თავისუფალი პროფესიის მიმდევარი იყო. სამხრეთ იტალიის ბევრი ებრაული საფლავის ქვების წარწერებში

დასახელებული არიან ებრაელი ექიმები, მსახიობები, ფერმწერები.

რომში მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიყვანეს ებრაელები პომპეუსის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ – ისინი მონებად გაყიდეს. ახალი და დიდი ტალღა აქ იუდეველთა ავჯანყების ჩაქრობის შემდეგ გაჩნდა. რომიდან იმპერატორ ტიბერიუსის დროს 4 ათასამდე თავდახსნილი იუდეველი კუნძულ სარდინიაზე გადაუსახლებიათ. V საუკუნეში რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში ებრაელ მიწათმოქმედთა თემები არსებობდა ბალიარის კუნძულებზე.

სხვა ხალხებს შორის ცხოვრებამ ებრაელებს გარე სამყაროსთან ურთიერთობაში გამოუმუშავდათ სოლიდარობის გრძნობა, კარჩაკეტილობა და სრული განსაკუთრებულობა. მშობლიური ენის დაკარგვის შემდეგ (რომის იმპერიაში ებრაელები ბერძნულ ენაზე ლაპარაკობდნენ) ეთნიკურობის შენარჩუნების ერთადერთი საშუალება რელიგია იყო.

VI საუკუნეში ებრაელები ევროპის ჩრდილოეთშიც, ახლად შექმნილ ბარბაროსულ სახელმწიფოშიც გავრცელდნენ. რომის იმპერიის დროს ისინი სახელმწიფოს აღმოსავლეთ ნაწილში უფრო იყვნენ განფენილნი, დასავლეთისაკენ მათი რაოდენობა თანდათანობით იკლებდა, დასახლებებიც უფრო მცირერიცხოვანი იყო. დასავლეთის ოლქებიდან, იტალიის გარდა, მნიშვნელოვანი რაოდენობით ესპანეთსა და აფრიკაში მკვიდრობდნენ. ებრაული დასახლებები გალიაში (თანამედროვე საფრანგეთი) VI საუკუნიდან გაჩნდა. შეიძლება დავასახელოთ: *არლი, ნარბონა, ნიცა, მარსელი, ბოსედო, კლერმონა, ბურჟე, ტურე, ორლეანი.* შემორჩენილია იმდროინდელი საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები, რომლებიც ებრაელი და ქრისტიანი მოსახლეობის მრავალრიცხოვნობაზე მიუთითებს. ფრანკთა სახელმწიფოში ებრაელებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით არ გამოირჩეოდნენ. ამის ერთ-ერთი დადასტურებად ქალაქ ბურჟეში მათ ძალადობრივ მონათვლასაც მიიჩნევდნენ. ცნობილია აგრეთვე ნარბონიდან მეფე ვამბოს დროს ებრაელთა განდევნა. თუმცა ნარბონაში ებრაელები შემდგომშიც იყვნენ. VIII საუკუნის შუა ხანებში პაპი სტეფან III ნარბონის არქიეპისკოპოსისადმი მიწერილ წერილში გულისტკივილით აღნიშნავს სამეფო ებრაელების სასიკეთო მდგომარეობის შესახებ და ქრისტიანი

მოსახლეობის მათთან მუდმივ და საყოველთაო ურთიერთობაზე.

ინგლისში ებრაელები ადრე შუა საუკუნეებში ჩნდებიან. VII საუკუნეში კენტერბერიის და VIII საუკუნეში იორკის არქიეპისკოპოსები თავიანთ ეპარქიებში კრებებს ატარებდნენ, რომლებზედაც იღებდნენ გადაწყვეტილებებს (დადგენილებებს) ქრისტიანთა და ებრაელთა საქორწინო ურთიერთობის აკრძალვის შესახებ. ამავე გადაწყვეტილებით ებრაელებს ეკრძალებოდათ ყოლოდათ ქრისტიანი მონები. პირველი პირდაპირი მითითება ინგლისში ებრაელთა ცხოვრების შესახებ 833 წლით თარიღდება. ებრაელების მნიშვნელოვანი რაოდენობით გაჩენა ინგლისში ნორმანულ დაპყრობებს უკავშირდება. ამავე პერიოდში ებრაელობამ ღრმად გაიდგა ფესვები იტალიასა და ესპანეთში. VIII საუკუნეში *ლუკა, პავია, სარდინია* ებრაული მეცნიერებისა და განათლების ცენტრებს წარმოადგენდა.

ებრაელები V საუკუნის ესპანეთში საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ. ვესტგუთური სამართლის თანახმად (VI-VII სს.) ებრაელები იმ დროის ესპანეთში არა მხოლოდ ქალაქებში ცხოვრობდნენ. აქ ისინი თემებად იყვნენ ორგანიზებულნი. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ვესტგუთი მეფეების დროს ესპანეთში ებრაელები იდევნებოდნენ, ისინი მაინც დიდი რაოდენობით იყვნენ, მასობრივად ტოვებდნენ ესპანეთს და ფრანკთა სახელმწიფოს მეზობელ ოლქებში სახლდებოდნენ. VII საუკუნეში იძულებით მონათლულ ებრაელთა რაოდენობა 90 ათასი კაცი ყოფილა. არაბებისათვის ესპანეთის დაპყრობაში ებრაელებს გარკვეული ხელიც შეუწყვიათ. ვესტგუთთა სამეფოს დედაქალაქის ტოლედოს ხელთგდება სწორედ ებრაელთა ღალატმა განაპირობა. სხვა შემთხვევებში ებრაელები დამპყრობლებს ენერგიულ დახმარებასაც უწევდნენ.

ადრე შუა საუკუნეებში დამკვიდრდნენ ებრაელები ხაზარეთშიც. აქ ებრაელებს იმდენად გავლენიანი მდგომარეობა ჰქონდათ მოპოვებული, რომ იუდაიზმი სახელმწიფო რელიგიად იყო გამოცხადებული.

იტალიელი და ესპანელი ებრაელები იმითაც გამოირჩეოდნენ, რომ ისინი მონათვაჭრობასაც მისდევდნენ. ებრაელებს იმ დროს

ერთგვარ კონკურენციას სირიელი ვაჭრები უწევდნენ, რომლებიც ფრანკთა სამეფოს ყველა დიდ ქალაქში გვხვდებოდნენ.

გერმანულ მიწაზე ებრაელებმა X საუკუნიდან შეაღწიეს. ამ საუკუნის დასაწყისში ებრაელთა ყოფნა დოკუმენტურად დასტურდება ქალაქებში ვორმსსა და მაინცში. X საუკუნეშივე იხსენიებიან *ბავარიაში, მაგდებურგში, მერზებურგში, ნაუმბურგში, პრაღაში*, XI საუკუნის დასაწყისში – *მეისენში.* გერმანია ებრაელებისათვის სლავებით დასახლებული ოლქებისაკენ ერთგვარ გზას წარმოადგენდა, სადაც მონებს იძენდნენ და მიჰყავდათ ისინი საფრანგეთსა და ესპანეთში გასაყიდად. XI საუკუნეში ებრაელები მთელ გერმანიაში იყვნენ გაფანტულნი. აქ ისინი გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ.

ინგლისში ებრაელებს დიდი დასახლებები ჰქონდათ ლონდონში, ოქსფორდში, იორკსა და ლინკოლნში. ინგლისში ებრაელების ხელში იყო როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობა. საფრანგეთიდან ინგლისში მოსული ებრაელები ფართოდ მონაწილეობდნენ ფულად ოპერაციებშიც. XIII საუკუნეში ინგლისელი ებრაელები ფართოდ მისდევდნენ მევახშეობას. მევახშეობა XIII საუკუნის დასასრულს ფართოდ გავრცელდა ესპანელ ებრაელთა შორისაც.

ახალი ეპოქის დადგომამდე ებრაელები თითქმის მთელ ევროპაში იყვენენ განსახლებულნი. ისინი გაფანტულნი იყვნენ მდიდარი საეპისკოპოსო რეზიდენციების ირგვლივ, სხვადასხვა ბარონების, ჰერცოგების, გრაფების ციხე-სიმაგრეებსა და სოფლებში. ებრაელები არა მხოლოდ მოვაჭრეები, არამედ ერთგვარი კომისიონერებიც იყვნენ, რომლებიც საერო და სასულიერო არისტოკრატის განკარგულებაში იყვნენ. ყოველ სენიორს ჰყავდა თავისი ებრაელი, რომლის საშუალებითაც იძენდა ყველა აუცილებელ პროდუქტსა და ნაწარმს.

XI-XII საუკუნეებიდან ევროპის ზოგიერთი ქვეყნის (საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი) სავაჭრო სფეროდან ებრაელები ფაქტობრივად განდევნილი იქნენ. აქ ისინი ამ დროიდან უფრო მევახშეობას მისდევდნენ, იტალიაში კი უფრო ხელოსნურ საქმიანობას.

ებრაელთა განდევნამ მასობრივი ხასიათი მიიღო XIV საუკუნის მეორე ნახევარსა და XV საუკუნეში. გერმანიიდან ებრაელთა

გაძევება სისტემატიური იყო XV საუკუნის 20-იანი წლებიდან.

ებრაელები რუსეთში, შედარებით გვიან, გერმანული ქვეყნებიდან დასახლდნენ. მკვიდრობდნენ ისინი შუა აზიაშიც, სადაც მათი სალაპარაკო ენა ტაჯიკური იყო. ორი ებრაული ჯგუფი (*კრიმჩაკები* და *კარაიმები*) ყირიმში ცხოვრობდა, რომლებიც თურქულ ენაზე ლაპარაკობდნენ. მიაჩნიათ, რომ ისინი ხაზარეთში მცხოვრები ებრაელების შთამომავალნი არიან.

განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენდნენ ქართველი ებრაელები, რომელთა დედაენაც ქართული იყო. საქართველოში ებრაელ მიგრანტთა რამდენიმე ტალღა მოსულა ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში. ლეონტი მროველი ებრაელების პირველ დასახლებას საქართველოში ბაბილონის მეფე *ნაბუქოდონოსორის* მიერ *იერუსალიმის* აღებას უკავშირებს (ძვ.წ. VI ს.): „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი“. ებრაელთა შემდეგი მიგრაციული ნაკადი ძვ. წ. 169 წელს მოსულა. კიდევ ერთი ნაკადი ახ. წ. I საუკუნეში დასახლებულა საქართველოში: „... უესპანიონოს ჰრომთა კეისარმან წარმოტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძველთავე ურიათა თანა...“ მცხეთაში აღმოჩენილი ებრაული ეპიტაფიები ებრაელთა დიდი კოლონიების არსებობას ადასტურებს. ქართველთა დედაქალაქში „უბანი ჰურიათა“ არსებობდა. აქ მათ „ბაგინი ჰურიათა“ (სინაგოგა) ჰქონდათ.

შუა საუკუნეებში ებრაელები საქართველოს თითქმის ყველა მხარეში ცხოვრობდნენ. მათ განსახლების ადგილებს ჩამოგვითვლის ვახუშტი ბაგრატიონი. XIX საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში ქალდეველი ებრაელებიც სახლდებიან. წინამორბედის მსგავსად მათაც შეითვისეს ქართული ენა, ქართული ყოფა-ცხოვრება, XIX საუკუნეში საქართველოში ცხოვრობდნენ სპარსეთისა და ევროპელ ებრაელთა მცირერიცხოვანი თემები. ისინი ძირითადად თბილისში ცხოვრობდნენ და ფლობდნენ ქართულ ენას. 1886 წლის საოჯახო სიებით თბილისისა და ქუთისის გუბერნიებში 14.714

სული ებრაელი მკვიდრობდა. ქართველ ებრაელებს ყველა სხვა ებრაელებისაგან განსხვავებით ერთი თვისებაც ახასიათებდათ – ისინი გარიყული არასოდეს ყოფილან და ისეთივე ყმები იყვენენ თავადაზნაურებისა, როგორც ქართველი გლეხები.

XX საუკუნის II ნახევრიდან მსოფლიოში გაფანტულმა ებრაელობამ ისრაელში დაიწყო თავმოყრა. ისრაელი ერთადერთი ქვეყანაა მახლობელ აღმოსავლეთში, რომელიც ხელს უწყობს მუდმივ იმიგრაციას. ისრაელის მოსახლეობა მუდმივად იზრდება მიგრაციის ხარჯზე. 1985-1996 წლებში ისრაელის მოსახლეობის მატებაში მიგრანტთა წილი ნახევარი იყო. ძალიან მოიმატა ისრაელის მოსახლეობამ 1989-1995 წლებში, როდესაც ყოფილი სსრკ-დან 700.000 ებრაელი გადასახლდა, რაც ქვეყნის მოსახლეობის 10% იყო. ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მიგრირებული ებრაელები სხვა მიმართულებითაც მიდიოდნენ – აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

II.4. ხალხთა დიდი გადასახლებანი

ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ეთნიკური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ე. წ. ხალხთა დიდ გადასახლებებს, რომლებიც IV-IX საუკუნეებში მიმდინარეობდა. ამ გადასახლებებს, განპირობებულს პირველყოფილი საზოგადოების დაშლით, მოსახლეობის მატებით, პრიმიტიული მეურნეობით, წინ უსწრებდა ევროპის ჩრდილო-დასავლეთიდან გუთების ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე გადასახლება (II-III საუკუნეების მიჯნა). ყირიმი გუთების განსახლების არეალად იქცა. ბუნებრივია, გუთების ამ გეოგრაფიულ სივრცეში განსახლებამ ასევე სხვა ხალხების ამოძრავება გამოიწვია. მაგალითად აქედან სამხრეთით გამოაძევეს მათ ადიღეელთა ერთ-ერთი წინაპრები კერკეტები. ევრაზიის სივრცე ხანგრძლივმა მიგრაციებმა მოიცვა. ძველი იმპერიების ნანგრევებზე ჩამოყალიბდა ფეოდალური სახელმწიფოები და მასთან ერთად დაიწყო ახალ ეთნოსთა ჩამოყალიბების პროცესი, რომელთაგან ბევრი დღესაც არსებობს. სწორედ ამ დროს მოხდა სლავების განსახლება აღმოსავლეთ ევროპაში და თითქმის მთელი ბა-

ლკანეთის ნახევარკუნძულის ათვისება მათ მიერ; გერმანელების დასახლება ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში და მათი შეღწევა ბრიტანეთის კუნძულზე, სადაც ადრე კელტები ცხოვრობდნენ. ამავე დროს მოხდა რომის ყოფილი იმპერიის სხვადასხვა პროვინციაში ლათინიზირებული მოსახლეობის შერევა ბარბაროს გერმანულ ტომებთან და რომანული ენებისა და, შესაბამისად, ეთნოსების ჩამოყალიბება.

ადამიანებიც და ეთნოსებიც გარემოს გარეშე ვერ იარსებებენ. სწორედ ის კვებავს ყველა ჩვენთაგანს. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ გერმანელთა წინარე სამშობლოში – დანიასა და სამხრეთ სკანდინავიაში მრავალრიცხოვანი მოსახლეობა არ იყო. სკანდინავიის მოსახლეობა ვიკინგების ეპოქაში არ აჭარბებდა 1 მილიონ ადამიანს, რომელთაგანაც 0.5 მილიონი დანიაზე მოდიოდა. მოსახლეობის ამ რაოდენობის შესანახად ბუნებრივი რესურსები არასაკმარისი იყო. ამ გარემოებამ ისინი საზღვაო პირატებად აქცია. მათი ნაწილი კი იძულებული იყო რომაელებსა და შემდეგ ბიზანტიელებს მიქირავებოდა. ნაყოფიერი მიწის უკმარისობით ხსნიან მეცნიერები ვიკინგების ფენომენსაც. ამასთანავე ვიკინგების ლაშქრობების დასაწყისი ჩრდილოეთ ევროპაში გლობალურ დათბობასაც დაემთხვა.

წერილობითი წყაროები მოგვითხრობენ და არქეოლოგიური მასალებიც გვიდასტურებენ, რომ ევროპაში ადრე არნახული მიგრაციული პროცესები მიმდინარეობდა. გერმანელთა ზეწოლით კელტურმა ტომებმა ჩვეული ადგილსაცხოვრისი დატოვეს და სამხრეთისაკენ დაიძრნენ – დუნაიზე, საბერძნეთში, იტალიასა და მცირე აზიაშიც კი. გალური მოდგმის ხალხებმა ჩრდილოეთ იტალიის ოკუპაციაც მოახდინეს.

კელტების შემოსევების მიზეზი იყო ცენტრალური ევროპის მცხოვრებლებზე მათი ჩრდილოელი მეზობლების უწყვეტი ზეწოლა. თანაც გერმანელთა ძალა და მოსახლეობა ყოფნიდა იმას, რომ პრაქტიკულად ერთდროულად ორი მიმართულებით ემოძრავათ. დასავლეთელი გერმანელები უტევდნენ ევროპის კონტინენტის შუა გულს, იქ, სადაც შემდგომში შეიქმნება საკუთრივ გერმანია, მათმა მრავალრიცხოვანმა აღმოსავლელმა ნათესავებმა კი ოდნავ

გვიან დაიკავეს მთელი სივრცე ბალტიიდან შავი ზღვის სანა-პირომდე. აქ შეიქმნა გუთი ხალხის სახელმწიფო. ეს იყო ფართო-მასშტაბიანი ნამდვილი მიგრაცია – ჩრდილოეთიდან სამხრეთისა-კენ ხალხთა მასების გადაადგილება, რომლებმაც გასაოცრად ერთ-გვაროვანი სამაროვნები და ნაქალაქარები დატოვეს.

გუთების შემოსევა ახ. წ. II საუკუნეში ეს იყო ჩრდილოეთი-დან ხალხთა დიდი მასების მიგრაცია. გუთებთან ერთად გადა-ადგილდნენ სხვა აღმოსავლეთ გერმანელებიც. უფრო ადრე, ათას-წლეულების მიჯნაზე, პრაქტიკულად იმავე ადგილებიდან მიგრირ-დნენ მრავალრიცხოვანი ვანდალები, რუგიები და გერულები. უფ-რო ადრე ძვ. წ. II-I საუკუნეების მიჯნაზე რომის იმპერიას თავს სხვა გერმანელები – კიმვრები და ტევტონები ესხმოდნენ. შეიარა-ღებულთა რაოდენობა 300 ათასი კაცი იყო, ხოლო ბავშვები და ქალები, რომლებიც მათ უკან მოსდევდნენ, უფრო მეტი. ისინი სა-ჭიროებდნენ მიწას, რათა როგორმე გამოეკვებათ მოსახლეობს აღ-ნიშნული რაოდენობა. რომაელებმა ეს გერმანული ტომები გაანად-გურეს. მხოლოდ ტყვედ 60 ათასი კაცი ჩაიგდეს. დაახლოებით ამდენივე დახოცეს გალიასა და ჩრდილოეთ იტალიაში.

თითქმის ყველა მეცნიერი ერთსულოვანია იმაში, რომ გერმანე-ლთა წინარესამშობლო სადღაც მოშორებით, განაპირას მატერი-კულ ევროპის მახლობლად, მაგრამ მისგან განცალკევებით მდება-რეობდა. XIX საუკუნის გერმანულ მეცნიერებაში კი გერმანელთა წინარესამშობლოდ ურალი მიაჩნდათ.

ზღვა განუხრელად უტევდა სკანდინავიას და უფრო მეტი მიწა ექცეოდა მის ქვეშ. ამის შესახებ მონაცემები დაცული აქვთ რო-მაელ და ბერძენ ავტორებს. მაგალითად, სტრაბონი აღწერს რა კიმვრებსა და ტევტონებს, აღნიშნავს, რომ მათი მომთაბარეებად და ავაზაკებად (ყაჩაღებად) გადაქცევის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ისინი თავიანთი საცხოვრებლიდან გამოძევებული იქნენ ძლი-ერი ზღვის მოქცევისგან, როდესაც ცხოვრობდნენ ნახევარკუნძულ-ზე. სწორედ წყლის სტიქია იყო, რომელიც რეგულარულად იტა-ცებდა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის გერმანელთა მი-წებს და აიძულებდა მათ უცხო ადგილებში გადანაცვლებულიყვნენ და ეძებათ ახალი ტერიტორიები. გერმანელთა წინარესამშობლო

დანია და სამხრეთ შვეცია იყო. რეგიონი იზოლირებული იყო დანარჩენი ევროპისაგან საზღვაო, სამდინარო და ჭაობის ზღუდეებით.

II საუკუნეში აღმოსავლეთგერმანელი ხალხების მორიგმა ტალღამ იძულებით დატოვა კუნძული სკანძა – ისინი ბალტიის სამხრეთ სანაპიროზე გადასხდნენ. გუთებმა ერთ-ერთმა ბოლოს დატოვეს წინაპრების საცხოვრისი და განსახლების ახალ ადგილს „გოტისსკანძი“ (გუთების სანაპირო) უწოდეს. მიიჩნევენ, რომ ისინი სადღასაც ვისლის შესართავთან დაფუძნდნენ. იორდანის მოწმობით, მათთან ერთად ამ მხარეში გადავიდნენ გეპიდებიც. მატერიკზე გუთებს მონათესავე ვანდალებთან მოუხდათ შეტაკება. ეს ხალხი ცოტა ადრე იყო მატერიკზე გადმოსახლებული და ეკავა ვისლისა და ელბის შუამდინარეთი. თავის მხრივ კი მათ აქედან გაძევებული ჰყავდათ კელტები. თავიანთი მეხუთე მეფის – ფილიმერის დროს გუთები დაიძრნენ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, სკვითთა მიწისაკენ. ამ ქვეყანას, რომელიც დნეპრის ნაპირებზე მდებარეობდა, იორდანი აღმოსავლეთ გერმანელებისათვის „სასურველს“ უწოდებს. სწორედ აქ განლაგდა მათი ძირითადი ტომი – ოსტგუთები ან სხვანაირად – გრეიტუნგები. ძალიან მოკლე დროში აღმოსავლეთ ევროპის ახალმა პატრონებმა კონტროლი დაამყარეს თითქმის ყველა აღმოსავლეთევროპელ ხალხზე. შეიქმნა გუთთა დიდი სახელმწიფო. მათმა სამეფომ აყვავებას IV საუკუნეში მიაღწია მეფე გერმანარიხის დროს. ამ დროს დაიმორჩილეს სლავები (ვენეტები, ანტები, სკლავინები). დაიმორჩილეს ესტებიც. გუთების სახელმწიფო ბალიტიკიდან შავ ზღვამდე იყო გადაჭიმული. ის იმდროინდელ ევროპაში რომის იმპერიის შემდეგ ტერიტორიითა და მოსახლეობის რაოდენიბით, მეორე იყო. გუთები ამით არ დაკმაყოფილდნენ და შავი ზღვის სანაპიროზე ძლიერი ფლოტი შექმნეს და აწყობდნენ საზღვაო ლაშქრობებს მცირე აზიაში, საბერძნეთსა და თრაკიის პროვინციებში. გუთები დაპყრობილ ხალხებთან ერთად ხშირად გადადიოდნენ დუნაიზე და ძარცვავდნენ მოსაზღვრე რომის იმპერიის ტერიტორიებს: მეზიას და თრაკიას. ამ დროს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, დონზე და ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში მომთაბარეობდნენ ირანულენოვანი ტომები: სავ-

რომატები, ალანები, როკსოლანები, იაზიგები. III-IV საუკუნეებში იმპერატორთა არმია ძირითადად ბარბაროსებისაგან შედგებოდა, სადაც რომაელებს უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ ოფიცრების თანამდებობები ეკავათ. ეს კი გამოწვეული იყო იმით, რომ III საუკუნის შუა ხანებში იმპერიის მოსახლეობის დიდი ნაწილი შავმა ჭირმა მოსპო. 330-იან წლებში გუთებს რომაელებმა დაკიის (რუმინეთი) მთელი პროვინცია დაუთმეს, რომლის მოსახლეობა ორგანიზებულად გაყვანილი იქნა მეზიაში (ბულგარეთი).

IV საუკუნის 70-იან წლებში ჰუნებმა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადანაცვლებით მიაღწიეს ევროპას, სადაც მათ დუნაის აუზში ეთნიკურად ძალზე შერეული საკმაოდ დიდი, მაგრამ არამტკიცე სახელმწიფო დააფუძნეს. **ჰუნების ნაკვალევზე მოვიდნენ აღმოსავლეთ ევროპაში სხვა თურქული ტომები – ხაზარები, ავარები, ბულგარელები, პაჭანიგები, ყივჩაყები და სხვ.** ბულგარელთა ერთმა ჯგუფმა ვოლგის აუზში გადაინაცვლა. მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თათრებისა და ჩუვაშების ეთნოგენეზში. ბულგარელების მეორე ჯგუფი 679 წელს დუნაიზე გადავიდა, სამხრეთით მცხოვრებ სლავებში გაითქვიფა და თავისი სახელწოდება გადასცა დღევანდელ ბულგარელ ხალხს. VIII-IX საუკუნეებში სამხრეთ ურალიდან შუა დუნაიზე გადასახლდნენ უნგრელები (მადიარები), რომლებიც ენობრივად მონათესავენი იყვნენ დასავლეთ ციმბირელი უგრებისა – ხანტებისა და მანსებისა. თურქული მოდგმის ხალხების მასობრივი გადასახლება მოხდა სამხრეთ ციმბირში, ცენტრალურსა და შუა აზიაში, სადაც ახ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში ჩამოყალიბდა ერთმანეთის შემცვლელი სატომო გაერთიანებები და სახელმწიფოები, რომლებშიც სხვადასხვაგვარი ეთნიკური ერთობები შევიდნენ. VI საუკუნესა და VII საუკუნის დასაწყისში დაიწყო არაბთა დაპყრობები, რასაც თან ახლდა არაბთა განსახლება წინა აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში და მათ მიერ ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაციის პროცესი.

გადასახლებებში მონაწილე ხალხების ზუსტი რაოდენობის დადგენა გაძნელებულია. ზოგიერთი მონაცემით, ვესტგუთები, რომლებმაც რომის პროვინცია – მეზია დაიკავეს, 376 წელს 15 ათას

კაცს ითვლიდნენ. ვანდალები, რომლებიც 406 წელს იტალიისაკენ მიემართებოდნენ, 200 ათასიდან 400 ათასამდე იყვნენ. ბალკანეთში გადასახლებული სლავები 100 ათასის ფარგლებში იყვნენ.

ხალხთა დიდი მიგრაციები ფრანგულ ისტორიოგრაფიაში „გერმანელთა თარეშებადაა“ სახელდებული. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ **ამ მიგრაციებმა თუ თარეშებმა ევრაზიის ვეებერთელა სივრცე მოიცვა და რადიკალურად შეცვალა სამყაროს ეთნიკური, კულტურული და პოლიტიკური იერსახე**. ხალხთა დიდი გადასახლებები იყო გარდამავალი ეპოქის უნიკალური ისტორიული ფენომენი. ეს ფაქტობრივად იყო ძველი ცივილიზებული სამყაროს – რომისა და ბარბაროსული გერმანული, თურქული, სლავური, ირანული ეთნოსების ჭიდილი. შვიდსაუკუნოვან მიგრაციებს, თარეშებს დიდი სისხლის ღვრა და ახალი ცივილიზაციების წარმოქმნა მოჰყვა. წარმოიქმნა ახალი სახელმწიფოები, ახალი ხალხები, ახალი სოციალ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, მორალი, ფასეულობები, სულიერი სამყარო.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ხალხთა დიდ მიგრაციებს ანტიკურობასა და შუა საუკუნეებს შორის დროებით „ღრიჭოს“ უწოდებენ** და მას სამ ეტაპად ყოფენ: პირველი (II-IV საუკუნეები) – **„გერმანული“**, მეორე (IV-V საუკუნეები) – **„ჰუნური“**, მესამე (VI-VII საუკუნეები) **– „სლავური“**. მაგრამ ამ სამ ეტაპს აუცილებლად მეოთხე (VIII-IX საუკუნეები) – **„თურქულ-მადიარული“** უნდა დაემატოს, რადგან ის თურქთა და მადიართა მიგრაციებს არ ასახავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, VIII–IX საუკუნეებში ევროპაში აღმოსავლეთის ხალხთა მიგრაცია-თარეშები მადიარებმა (უნგრელებმა) დააგვირგვინეს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რამ გამოიწვია ხალხთა დიდი გადასახლებები? ხალხთა დიდი გადასახლებების წინ გერმანულ და სლავურ ტომთა ცხოვრებაში თვისობრივი ცვლილებები მოხდა (საზოგადოებრივი ქონების ინდივიდუალურ საკუთრებაში გადასვლა და ნაყოფიერ შრომაში დაუსაქმებელი ადამიანების რაოდენობის ზრდა). სატომო ელიტა ქონების დაგროვებისკენ მიისწრაფოდა. ქონების მოპოვებისა და დაგროვების საშუალებას კი იმპერიის ტერიტორიაზე ლაშქრობები წარმოადგენდა. ეს ლაშქრობები, თა-

ვის მხრივ, რომის სახელმწიფოს ფარგლებში გადასახლებებისათვის ნიადაგს ამზადებდა. ამასთანავე, რომის იმპერიაც ხშირად ბარბაროსების მიგრაციას უწყობდა ხელს. ჰუნების ცენტრალურ ევროპაში გამოჩენამ მიგრაციული პროცესები მკვეთრად დააჩქარა და ადგილობრივი ეთნოსები აამოძრავა. ჰუნების გადასახლების მიზეზი სხვა ფაქტორით იყო განპირობებული, ვიდრე ბინადარი ხალხებისა. ბუნებრივი ფაქტორები კი ნომადთა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე უფრო დიდ გავლენას ახდენდა, ვიდრე მიწათმოქმედებზე. „მომთაბარულმა ფაქტორმა“ და გერმანულ და სლავურ საზოგადოებებში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურმა ძვრებმა და რომის იმპერიის კრიზისმა ევრაზიის სივრცეში ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან IX საუკუნემდე შეუჩერებელი მიგრაციული პროცესები გამოიწვია.

ხალხთა დიდი გადასახლებები ეს იყო ევრაზიაში მასობრივი მიგრაციები. ზოგიერთი მეცნიერი ამ მოვლენის აღსანიშნავად გამოიყენებს ცნებას „ეთნიკური რევოლუცია“. ამ ტერმინით ხაზი ესმის იმას, რომ I ათასწლეულში მიმდინარე მიგრაციულმა პროცესებმა შეცვალა ევროპისა და აზიის ეთნიკური რუკა. მასშტაბური გადაადგილებების პროცესში გადაირეცხა და შეიცვალა ადრინდელი ტომობრივი არეალები, იმრავლა ეთნოსთა შორის კონტაქტებმა, ერთმანეთს ერეოდნენ სხვადასხვა ეთნიკური კომპონენტები, რამაც ახალი ეთნოსებს წარმოქმნამდე მიგვიყვანა. მრავალი თანამედროვე ხალხის ეთნოგენეზი ამ ეპოქაში იღებს სათავეს. მიგრაცია ევროპული ნაციების ეთნოგენეზის ფონად და მთავარ პირობად იქცა. მიგრაციამ მოიცვა ფაქტობრივად მთელი ევროპის კონტინენტი.

მეცნიერებაში ხალხთა დიდი გადასახლებების სხვადასხვა მიზეზებს ასახელებენ. პოპულარულია შეხედულება, რომ III-IV საუკუნეებში ბარბაროსების (რომლებიც ცხოვრობდნენ რომის იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრების იქით) რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ მათ მიწა აღარ ყოფნიდათ. ფრიად პოპულარულია შეხედულება, რომ ხალხთა დიდი გადასახლებანი გამოწვეული იყო კლიმატის გლობალური ცვლილებით – გვალვებით გამოწვეული გადახმობით (*ა. ტოინბი, გ. გრუმ-გრჟიმაილო*), დატენიანე-

ბით (*ლ. გუმილიოვი*). ასევე მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ გადასახლებების მიზეზი იყო მომთაბარე საზოგადოებებში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პროცესები – სტეპების გადამეტსახლება ექსტენსიური სამომთაბარეო მესაქონლეობისათვის; აღნიშნავენ იმასაც, რომ მიგრაციებს ხელი შეუწყო ნომადებში სოციალური წინააღმდეგობის ზრდამ და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებამ; ისინი მწირ ეკონომიკას მიწათმოქმედ ხალხებზე თარეშით ავსებდნენ. ლ. გუმილიოვი ერთ-ერთ მიზეზად ეთნოინტეგრირებად იმპულსებს ასახელებდა, რომელიც პერიოდულად წარმოიქმნებოდა ამა თუ იმ მომთაბარე საზოგადოებაში.

სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში იყო თავისებური ეთნიკური ქვაბი, რომელშიც იბადებოდა და იღუპებოდა ბევრი ეთნოსი და საზოგადოება. სტეპური ხალხები ახალი სასიცოცხლო სივრცეების ძებნაში იჭრებოდნენ რაიონებში, რომლებიც მიწათმოქმედი ეთნოსებით იყო დასახლებული. ჰქონდათ რა აშკარა სამხედრო უპირატესობა და ახასიათებდათ რა ცხოვრების მილიტარიზებული სახე, ნომადები პრაქტიკულად ყოველთვის გამარჯვებულები გამოდიოდნენ. მიწათმოქმედები იძულებული იყვნენ ან დაეტოვებინათი გამართული/მოწყობილი დასახლებული პუნქტი, ან სტეპების მბრძანებელთა მოხარკეები გამხდარიყვნენ. ხალხთა დიდი გადასახლების დაწყებამდე აღმოსავლეთ ევროპაში თითქმის ათასი წლის განმავლობაში ბატონობდნენ ჩრდილოირანული წარმომავლობის ნომადები, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ კიმირიელები, სკვითები, სარმატები და ალანები. ხალხთა დიდი გადასახლების დასაწყისისათვის შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი ეთნიკური შერევა ნახევრადბინადრობაზე გადასულ სკვითური ტომების ნარჩენებსა და მომთაბარეთა ახალ ტალღებს შორის, რომლებიც ურალისა და ყაზახეთის სტეპებიდან და შუა აზიიდან მოდიოდნენ. ეს მიგრაციები განპირობებული იყო კომპლექსური მიზეზებით, რომელთაგან ძირითადს კლიმატური პროცესები წარმოადგენდა.

პერიოდმა, რომელსაც ხალხთა დიდი გადასახლება ეწოდება, ფაქტობრივად ევროპული სამყარო გადაატრიალა. ბარბაროსების

შემოტევებისა და შინაგანი უწესრიგობის შედეგად დაეცა რომის იმპერია, ისტორიის არენიდან გაქრა ბევრი ეთნოსი, მაგრამ დაიბადა მრავალი ახალი ეთნოსი და სახელმწიფო, რომლებმაც მომდევნო საუკუნეების განმავლობაში ევროპისა და აზიის ცხოვრება განსაზღვრეს. სწორედ ამ დროს ცხადად გაიჟღერა სლავებისა და რუსების ტომთა სახელწოდებებმა. რამდენადაც მასშტაბური იყო ეს ცვლილებები, იმდენად გაურკვეველი და საიდუმლოა დღემდე ეს ეპოქა ისტორიკოსებისათვის. ეთნოსები ადგილსაცხოვრისს ადრეც იცვლიდნენ, მაგრამ მისი შედეგი ჩვეულებრივ მხოლოდ იმ ტომებს ეხებოდა, რომლებიც პირველყოფილი განვითარების სტადიაზე იმყოფებოდნენ, „ცივილიზაციური სამყარო“ კი მათზე გამარჯვებას და კატასტროფებს გვერდიდან უყურებდა. აქ კი დიდი გადასახლებების შედეგად უწინდელი ცივილიზაცია დაინგრა, და მის ნანგრევებზე რომაულისა და ბარბაროსულის სინთეზის შედეგად შეიქმნა ახალი ევროპა. საკუთრივ, ხალხთა დიდი გადასახლებების დასაწყისად მიიჩნევენ IV საუკუნის დასასრულს – ჰუნების შეჭრას დუნაისპირეთში. მაგრამ უფრო ადრე ჰუნები შეიჭრნენ აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც იმ დროს დასახლებული იყო ალანებით, როკსოლანებით, სარმატებით, გუთებით, გეპიდებით, რუგიებით და სხვებით. ჰუნების თარეშებმა ასი წლით შეცვალა ძალთა განლაგება ევრაზიის სტეპებში. აგრეთვე: შემდგომ ხალხთა დიდი გადასახლების მთავარი შემოქმედნი იყვნენ გერმანული ტომები. უფრო ადრე არ დაიწყეს გერმანელმა გუთებმა სკანდინავიიდან – ბალტიის ზღვიდან ვიდრე ყირიმამდე/შავ ზღვამდე – II სუკუნეში ვებერთელა ტერიტორიაზე განსახლება?

გადაადგილების პროცესში წარიხოცებოდა/იშლებოდა და იცვლებოდა ადრინდელი ტომობრივი ტერიტორიების საზღვრები, მიმდინარეობდა ტომთაშორისი კონტაქტების მკვეთრი ზრდა, ერთმანეთში ხდებოდა სხვადასხვა ეთნიკური კომპონენტების შერევა. მრავალი თანამედროვე ხალხის ისტორია თავის დასაწყისს ამ ეპოქაში იღებს. მიგრაცია ევროპული ერების ეთნოგენეზის საწყის ფონად და მთავარ პირობად იქცა. ხალხთა დიდი გადასახლებების პირველი ტალღა დაკავშირებულია გერმანელებთან. ახალი ერის დასაწყისში რომის იმპერიის პერიფერიაში მცხოვრები ბარბარო-

სული ტომების (გერმანელები, სარმატები და სხვ.) შეჭრამ (166-180 წწ. მარკომანების ომი, გერმანული და სარმატული ტომების მიერ დაკიის დაპყრობა...) IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში რომისათვის კატასტროფიული შედეგი მოიტანა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, II-III საუკუნეებში აღმოსავლეთ ევროპის დაბლობის გავლით ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (აღმოსავლეთ ბალტიისპირეთიდან ყირიმისაკენ) მოძრაობდნენ გუთების გერმანული ტომები.

რომისათვის მოვლენების კატასტროფიული შემობრუნება მოხდა IV საუკუნის ბოლოს. აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში გამოჩენილმა ჰუნებმა ელვისებური დარტყმით გაანადგურეს გუთები, რომლებიც აკონტროლებდნენ თანამედროვე უკრაინის ტერიტორიას. დამარცხებულთა ნაწილი გამარჯვებულებისაკენ გადავიდა. სხვებმა, დამცირებულებმა სთხოვეს იმპერატორ ვალენტის ნება დაერთო გადასულიყვნენ დუნაიზე და რომის იმპერიის ფარგლებში დასახლებულიყვნენ. მალე გუთებისა და რომაელების ურთიერთუნდობლობამ სამხედრო კონფროტაციამდე მიგვიყვანა, რომლის კვანძის გახსნა/დასრულება 378 წლის 9 აგვისტოს მოხდა. რომაელთა განადგურება ადრიანოპოლთან თრაკიაში იმდენად შემმუსვრელი იყო, რომ თვით იმპერატორი ვალენტი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ამასწინანდელი ლტოლვილები მოულოდნელად მდგომარეობის ბატონ-პატრონები აღმოჩნდნენ. ადრიანოპოლის კატასტროფა წარმოადგენს გარდამტეხ მომენტს იმპერიისა და შეტევაზე გადასულ ბარბაროსთა ურთიერთობაში. სამხედრო შეჯახებებისა და მოლაპარაკებების მწკრივში გუთების ერთპიროვნული კონტროლის ქვეშ ფაქტობრივად გადავიდა რომის მთელი პროვინციები ბალკანეთსა და დუნაისპირეთში.

იტალიაში რადაგაისის წინამძღოლობით გუთების შეჭრა, ბარბაროსების ურდოების განადგურებით დამთავრდა. მაგრამ 406 წლის 31 დეკემბერს ვანდალებმა, ალანებმა და სვევებმა გაარღვიეს იმპერიის საზღვარი რეინზე. სამი წლის ძარცვისა და ძალადობის შედეგად გალია სამგლოვიარო კოცონად იქცა. 409 წლის შემოდგომაზე ვანდალებმა, ალანებმა და სვევებმა შეძლეს პირინეის გადასავლელების გადალახვა ესპანეთში და დამაგრდნენ იქ.

410 წლის 24 აგვისტოს მეფე ალარიხის მეთაურობით ვესტგუთების მიერ რომის აღების ცნობამ თანამედროვეები შეძრა და თავზარი დასცა მათ. სამი დღის განმავლობაში მუდმივი ქალაქი ბარბაროსების ხელში იყო. რომის ხელისუფლებასთან ხელშეკრულებით გუთებმა მიიღეს სამხრეთ გალიის მნიშვნელოვანი ტერიტორიები, რომელიც სამხედრო გზით უფრო გაიფართოვეს და ღრმად წაიწიეს ესპანეთში, საიდანაც გამოდევნეს ვანდალები. ვანდალები, მათთან მიკედლებულ ალანებთან ერთად, ჰერკულესის (თანამედროვე გიბრალტარის) სრუტით გადავიდნენ რომაულ აფრიკაში – ალჟირისა და ტუნისის თანამედროვე ტერიტორიაზე. 455 წელს მათ ზღვიდან მეორედ შეუტიეს რომს.

აღმოსავლეთ რომის იმპერიამ (ბიზანტიამ), იუსტინიანე I იმპერატორის დროს 630-650 წლებში ომით შესძლო დაებრუნებინა ბარბაროსებისაგან მიტაცებული ჩრდილოეთი აფრიკა, იტალია და ესპანეთის ნაწილი; მოახდინეს რომაული წესრიგის ნაწილობრივ რესტავრირება. ხალხთა გადასახლების გერმანული დამამთავრებელი ეტაპი VI საუკუნის ბოლოთი და VII საუკუნით თარიღდება. 568 წელს ლანგობარდები დამკვიდრდნენ ჩრდილოეთ და შუა იტალიაში. სლავებმა, ზოგჯერ ავარებითა და პროტობულგარელებით მხარდაჭერილებმა, დაიწყეს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დამკვიდრება, რომელიც VII საუკუნეში თითქმის მთლიანად დასახლებული იქნა სლავური ტომებით. მათ აქ ჩამოაყალიბეს თავიანთი სამთავროები – ე. წ. სლავინია (პელოპონესში და მაკედონიაში), შვიდი სლავური ტომის კავშირი, სლავურ-ბულგარული სახელმწიფო; სლავების ნაწილი მცირე აზიაში ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე განსახლდა. სლავები დასავლეთშიც – ალემანებისა და საქსების დაკავებულ ტერიტორიებამდე – გადაადგილდნენ. ხალხთა დიდი გადასახლების სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები ძალიან დიდი იყო. მან განაპირობა მონათმფლობელური წყობილების დაცემა და დაანგრია რომაული სახელმწიფოებრივი მექანიზმი (დასავლეთ რომის იმპერიაში). ჩრდილოეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის მნიშვნელოვან ნაწილში გავრცელდა თავისებური გლეხური მიწათმოქმედება, მცირე წარმოებამ საბოლოოდ გამოდევნა მონათმფლობელური ლატიფუნდია, და ფე-

ოდალური წყობის ფორმირების წინაპირობა შეიქმნა. **ხალხთა დიდი გადასახლების საერთო შეფასება სამეცნიერო ლიტერატურაში ფრიად სხვადასხვაგვარია: გერმანული მიმართულება გერმანულ ტომებს მიაწერს განსაკუთრებით შემოქმედებით როლს; რომაული მას აფასებს როგორც ანტიკური ცივილიზაციის დამანგრეველს**. საბჭოთა საისტორიო მეცნიერებაში გაბატონებული იყო წარმოდგენა რომანულ-გერმანულ და შესაბამისად ბიზანტიურ-სლავური სინთეზის შესახებ, როგორც ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმირების წყაროზე. რომაული წესრიგის დანგრევაში სხვადასხვა ტომების როლი სხვადასხვა იყო: ვესტგუთებმა, ოსტგუთებმა, ვანდალებმა შეინარჩუნეს ბევრი რომაული ინსტიტუტი, ფრანკებმა და ლანგობარდებმა სრულიად დაამსხვრიეს ტრადიციული წეს-წყობილება; აღმოსავლეთ რომის იმპერიაში სლავურ კოლონიზაციას არ ახლდა რომაული სახელმწიფოებრიობის დამსხვრევა. რთულია ბარბაროსებისა და რომაული მოსახლეობის ურთიერთმიმართების პრობლემა. საბჭოთა საისტორიო მეცნიერებაში ის შეხედულებაც კი არსებობდა, რომ ეს იყო „მონებისა და კოლონების რევოლუცია“, რომელიც მხარდაჭერილი იყო ხალხთა დიდი გადასახლებით. გლეხებისა და მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც ბარბაროსების თარეშებისაგან დაზარალდნენ, მათ წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ხალხთა დიდ გადასახლების უკანასკნელ ტალღას მიაკუთვნებენ არაბთა დაპყრობებს, რომელიც დაიწყო VII საუკუნეში და რომელმაც მოიცვა არაბეთი, დასავლეთი და შუა აზია. სულ ბოლოს კი მათ პირინეის ნახევარკუნძულს მიაღწიეს. **ადრე შუა საუკუნეების აღნიშნული მოვლენა მეცნიერებაში „ხალხთა გადასახლების“ სახელით გერმანელებისაგან გავრცელდა. ფრანგი ისტორიკოსები ჩვეულებრივ მას „გერმანელთა თარეშებს“ უწოდებენ.** კარგად თუ დავაკვირდებით მხოლოდ ინტონაციაშია განსხვავება. ფაქტი ერთია: მიგრაციულმა პროცესებმა მოიცვა ევრაზიის ძალიან დიდი სივრცეები და რადიკალურად შეცვალა მთელი კონტინენტის ეთნიკური, კულტურული და პოლიტიკური იერი.

ხალხთა დიდი გადასახლებების აქტიური ლიდერები, დინამიური მონაწილენი და გადაადგილების კატალიზატორები იყვნენ გე-

რმანული, თურქული, სლავური, ალანურ-სარმატული ტომები. ამ დროს პასიურობდნენ ბალტიური და კელტური მოდგმის ხალხები. გერმანელები რომის იმპერიის ტერიტორიაზე არა მხოლოდ დიდი ჯგუფებით (ტომები) გადასახლდებოდნენ, არამედ სხვა ტიპის მიგრაციებიც მიმდინარეობდა. შეიძლება დავასახელოთ ცალკეული რაზმების მოძრაობა, „პროფესიული“ მიგრაცია (მცველები იმპერატორის კარზე), „საქმიანი“ მიგრაციები (გერმანელი ხელოსნები და ვაჭრები). ირანულმა და თურქულმა ტომებმა კი დიდი როლი ითამაშეს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ეთნოგენეტიკურ პროცესებში.

ხალხთა დიდი გადასახლებანი – ესაა გარდამავალი ეპოქის უნიკალური ისტორიული ფენომენი, ისტორიული განვითარების განსაკუთრებული პერიოდი, როდესაც მნიშვნელოვან ისტორიულ სივრცეში (უკვე აღარაა ანტიკურობა, მაგრამ ჯერ კიდევ არაა შუა საუკუნეები) მან მოიცვა სამი კონტინენტი (ევროპა, აზია, აფრიკა). ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში ბარბაროსობისა და ცივილიზაციის ურთიერთქმედებამ ინტენსიურობის ფაზას მიაღწია. მისი შედეგი იყო ცივილიზაციის ახალი ტიპის ჩასახვა. გადასახლებათა შვიდმა საუკუნემ განსაზღვრა ევროპის შემდგომი განვითარების ტენდენციები, ძლიერი ბიძგი მისცა ახალი ხალხების, ახალი სახელმწიფოების, ახალი ენების, ახალი სოციალურ-ფსიქოლოგიური და სულიერი ატმოსფეროს, მორალისა და ზნეობის წარმოქმნას.

ხალხთა დიდ გადასახლებებზე როდესაც საუბრობენ ისტორიკოსები ძირითადად აქცენტს აკეთებენ ომებზე, განსახლებაზე და ხელისუფალთა ცვლაზე, მაგრამ ხშირად მხედველობის არედან რჩებათ უფრო ღრმა პროცესების დასაწყისი. ევროპაში კვლავ ჩამოყალიბდა „სამყაროს ორპოლარული სისტემა“. ამჯერად ერთ პოლუსზე აღმოჩნდა „პოსტბარბარიკუმი“ – გერმანული ტომები, რომელთა კონსოლიდირება მოდხა ფრანკთა სამეფოს ჩარჩოებში და მეორეზე – „მეორე რომი“ – რომეების ბიზანტიური ცივილიზაცია. მათმა ურთიერთქმედებამ კი ევროპის ისტორიის ბევრი შემდგომი მოვლენა განსაზღვრა.

II.5. სლავი ტომების მიგრაცია ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში

სლავები პირველად მოხსენიებული არიან ხალხთა დიდ გადასახლებამდე. მიიჩნევენ, რომ პლინიუს უფროსისა და ტაციტის მიერ მოხსენიებული ერთობა – „ვენედები“ სლავები იყვნენ (თუმცა მთელი რიგი მეცნიერები ვენედების სლავობას უარყოფენ). პლინიუსის თანახმად ვენედები ცხოვრობდნენ ბალტიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით – ვისლის აღმოსავლეთ მხარეს. მათი მეზობლები იყვნენ გერმანელი-ინგვეონები. ნახევარი საუკუნის შემდეგ, ტაციტი აღნიშნავდა რა გერმანული, სლავური და სარმატული სამყაროს ეთნიკურ განსხვავებულობას, ვენედებს ფართო ტერიტორიაზე – ბალტიის სანაპიროსა და კარპატისპირეთს შორის ათავსებდა. ტაციტი ვენედების გადაადგილებისადმი მიდრეკილებასაც აღნიშნავდა. III-IV საუკუნეებში სლავების განსახლების ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ისინი მიგრირდებიან სამხრეთით. გარდა ვისლის აუზისა, სლავები იკავებენ ზემო დნესტრისპირეთს, დნესტრისა და დნეპრის შუამდინარეთს. მათმა დასახლებებმა ბოლოს დუნაის ქვემო დინებამდე მიაღწია. მიიჩნევენ, რომ გადასახლების ამ ეტაპზე მოხდა ერთიანი ვენედების ეთნიკური ერთობის ორ ნაწილად – სლავებად (სკლავენებად) და ანტებად გაყოფა. უკვე II საუკუნის დასასრულს გუთების მიგრაციულმა ტალღამ ვენედების მიწას ჩაუქროლა. დაიწყო ამ უკანასკნელთა ინტენსიური გადაადგილება დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მეზობელი მიწების მიმართულებით. ჰუნების თარეშებმა სლავური მოსახლეობის ნაწილი აიძულა მიეტოვებინა თავისი მიწა-წყალი და თავის გადასარჩენად ახალი ტერიტორიები მოეძებნა. ამ თარეშებმა სათავე დაუდო სლავების მოძრაობას, რომელიც განსაკუთრებული ძალით V საუკუნეში ამოქმედდა, რამაც ისინი ბიზანტიის იმპერიასთან დაპირისპირებამდე მიიყვანა და რის შემდეგაც დაიწყო ბალკანეთის ნახევარკუნძულის ათვისება. სლავების ამ მიმართულებით მიგრაცია კი ძირითადად VI-VII საუკუნეებში განხორციელდა. სლავების მიგრაციის ძირითადი მიმართულება იყო დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი. ვისლიდან დასავლეთის მიმა-

რთულებით მიგრირებულმა სლავებმა IV საუკუნეში მიაღწიეს თანამედროვე ჩეხეთის ტერიტორიის საზღვრებს, ხოლო V საუკუნეში – სლოვაკეთისას. ცნობილია, რომ სლავების „წყნარი ექსპანსია“ გავრცელდა ოდრისა და ლაბის შუამდინარეთშიც. პოლაბიაში სლავები გამოჩნდნენ V-VI საუკუნეების მიჯნაზე, სადაც სლავების გადაადგილება გრძელდებოდა VIII საუკუნემდე.

სლავური ტომების ერთ-ერთი ტალღა ბიზანტიის იმპერიის საზღვრებს დუნაის მარცხენა სანაპიროს მხრიდან მიუახლოვდა. დუნაისპირეთიდან სლავების განსაკუთრებულ ყურადღებას პანონია და დაკია იქცევდა – აქ სხვადასხვა სლავური ტომები სახლდებოდნენ. VI საუკუნის პირველ ნახევარში ისინი შეიჭრნენ იმპერიის ფარგლებში. სკლავინები ამ დროს ბინადრობდნენ ბალატონის ტბის ირგვლივ და მდინარე სავის ხეობაში. მათი განსახლება ვრცელდებოდა დნესტრამდე. ქვემო დუნაისპირეთის მარცხენა სანაპიროზე და მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონები ანტებით იქნა დასახლებული. როგორც წესი, სლავური ტომები არ სახლდებოდნენ იმპერიის სანაპირო ხაზის სიახლოვეს, იკავებდნენ ტრადიციულ „ფედერატიულ“ ტერიტორიებს, სადაც მიგრანტთა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფეები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ბიზანტიის იმპერიაზე სლავთა თავდასხმები მიმდინარეობდა ანასტასი I-ის მმართველობის დროს (491-518 წწ.). დადასტურებულია იმპერიაზე თავდასხმები იუსტინეს (515-527 წწ.) დროსაც, მაგრამ VI საუკუნის 40-იანი წლებიდან იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) მმართველობისას იწყება ფართო და ხშირი თავდასხმები ბიზანტიის მიწებზე. თავდასხმები მასობრივი ხასიათსა იყო და ძირითადად სასოფლო რაიონებისაკენ იყო მიმართული. 540-542 წლებში ჰუნ-ბულგარელებთან გაერთიანებული სკლავინები სამჯერ შეიჭრნენ იმპერიაში. ისინი კონსტანტინეპოლის აღებასაც კი შეეცადნენ. 545 წელს სლავები თრაკიაში შეიჭრნენ. ყველაზე ხშირი და მასობრივი იყო ანტების თავდასხმები ქვემო მეზიასა და სკვითიაზე (დობრუჯა). ანტებსა და სკლავინებს შორის შუღლით ისარგებლა ბიზანტიის იმპერიამ და ანტებთან ელჩები მიავლინა და, როგორც მოკავშირეებს, მათ ქალაქ ტურისში (თანამედროვე გალაციის სიახლოვეს) დასახლება შესთავაზა, რათა დუნაის ეს საზღვარი

დაეცვათ. მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. სლავების ზეწოლა ამის შემდეგაც დიდხანს გრძელდებოდა ილირიასა და დალმაციაზე, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, თრაკიაში.

VI საუკუნის შუა ხანებიდან სლავების თარეშებმა სხვაგვარი ხასიათი მიიღო. ამიერიდან სლავები ხანგრძლივად ჩერდებოდნენ იმპერიის ფარგლებში. 550 წელს სლავების ილირიასა და თრაკიაში შეჭრა დაიწყო. იგივე გაიმეორეს 551 წელს. ამ დროიდან დაიწყო სლავების მიერ ბალკანეთის ნახევარკუნძულის მასობრივი ათვისება.

ბალკანეთსა და ცენტრალურ ევროპაში სლავების გადაადგილებანი გადაჯაჭვული იყო თურქული მომთაბარე ტომების შემოჭრასთან. ჰუნების იმპერიის დაცემის შემდეგ, აღმოსავლეთ ევროპის სამხრეთ რაიონებში მრავალრიცხოვანი მომთაბარე ტომები დარჩნენ: *აკაცირები, სავირები, უტიგურები, ხუნუგურები, სარაგურები, უგორები, ავარები, ონოგურები, კურტიგურები, ბულგარები, ხაზარები...* ძალიან მალე თურქულენოვანი ნომადები ავარების საერთო სახელით შემოდიან ევროპაში. უკვე 463 წელს კონსტანტინოპოლში მივიდა ბულგარ-სარაგურების ელჩობა, რომლებმაც ბიზანტიის ხელისუფალს აცნობეს, რომ თავს ახალი მომთაბარეები – ავარები – დაესხნენ. 558 წელს ავარებმა კონსტანტინეპოლში იუსტინიანთან ელჩობა გააგზავნეს, რომლებმაც ბიზანტიელებს მოკავშირეობა შესთავაზეს. თავდაპირველად ავარებმა, გარკვეული ყოველწლიური ხარკის სანაცვლოდ, იკისრეს ბიზანტიის დუნაისპირა საზღვრების სხვა ბარბაროსების თავდასხმებისაგან დაცვა. მაგრამ შემდეგ იმპერიამ ხარკის გადახდაზე უარი უთხარა. ამის შემდეგ თითქმის ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მათ შორის დაიწყო უთანხმოება, კონფლიქტები და ომები. 562 წელს ავარები მიუახლოვდნენ ქვემო დუნაის. ავარებმა დუნაისპირეთის საზღვრებში ბიზანტიისაგან მოითხოვეს განსახლების მუდმივი ადგილი. მათ მეორე პანონიაში დასახლებაზე უარი თქვეს, რომელიც გერულების წასვლის შემდეგ თავისუფალი იყო; არ სურდათ დუნაის დელტისაგან შორს წასვლა. უარის მიღების შემდეგ, ავარებმა დაიკავეს სლავების და ნაწილობრივ ჰუნების ნარჩენთა ბინადრობის ადგილები. 567 წელს გაანადგურეს გეპიდები

და VII საუკუნის დასაწყისში მათ მიწაზე დალმაციაში დასახლ-დნენ. ავართა ყაღანატის ძირითად სიძლიერეს ქმნიდნენ მათ მიერ შუა დუნაისპირეთში დამორჩილებული სლავები. მაგრამ ქვემო დუნაის სკლავინებმა და ანტებმა დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეძლეს. სლავი მეომრები ბიზანტიისა და ფრანკების წინააღმდეგ მრავალრიცხოვან ომებში ავარებისათვის დამხმარე ძალას წარ-მოადგენდნენ.

სლავებმა და ავარებმა მოაოხრეს ბალკანთი. 576 და 577 წლებში ტომთა ეს კოალიაცია თავს ესხმის თრაკიას. 578 წელს სლავების ასიათასიანმა ჯარმა გადალახა დუნაი და გააუდაბურა თრაკია და საბერძნეთი. იმპერიამ სლავებზე ავარების თავდასხმის პროვოცირებაც მოახდინა, მაგრამ ამან ისინი ახალი შემოჭრისაგან ვერ დაიცვა. 581 წელს სლავებმა ბიზანტიაზე წარმატებული ლა-შქრობა განახორციელეს, რის შემდეგაც ბარბარიკუმში უკან აღარ დაბრუნდნენ და იმპერიის ფარგლებში დასახლდნენ. 584 წელს სლავებმა პირველი თავდასხმა განახორციელეს თესალონიკიაზე. 585-586 წლებში მოხდა ახალი ავარიულ-სლავური შეჭრა და მეორე დასახლება თესალონიკიაში. წარუმატებლობის შემდეგ მათ მაკედონიისა და საბერძნეთის ძარცვა დაიწყეს. შეჭრის შემდეგ სლავების გარკვეული ნაწილი მათ მიწებზე დარჩა. 587-588 წლე-ბში სლავები შეიჭრნენ თესალიაში, ეპირში, ატიკაში, პელოპო-ნესში.

593-595 წლებში ბიზანტიის იმპერიამ დუნაის მარცხენა მხარეზე დასახლებულ სლავებსა და ავარებს დარტყმები მიაყენა, მაგრამ ამ სადამსჯელო ექსპედიციებმა შედეგი ვერ გამოიღო. სლავები განაგრძობდნენ ზეწოლას სამხრეთზე. 597 წელს ისინი დაბანაკდნენ სოლუნში, 599 წელს თავს დაესხნენ თრაკიას. 602 წელს ბიზანტიის არმიამ ანტების რაღაც ნაწილს მათსავე მიწაზე დარტყმა მიაყენა. იმპერიამ გამარჯვების შენარჩუნება ვერ შეძლო, რადგან მალე დუნაისპირეთის გარნიზონებში ჯარისკაცთა ამბოხე-ბამ იფეთქა. დუნაი უკვე აღარ იყო საზღვარი, რომელიც რამდე-ნიმე ასწლეულის განმავლობაში რომისა და შემდეგ ბიზანტიურ სამყაროსა და ბარბაროსებს ერთმანეთისაგან აცალკევებდა. ბარბა-რიკუმის ტომებმა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეუფერხებელი

დასახლების შესაძლებლობა მიიღეს. ამ პროცესში ყველზე აქტიურები სლავები იყვნენ. ბალკანეთზე ისინი რიგრიგობით ახდენდნენ თავდასხმებს როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან. 626 წელს სლავებმა ავარებთან და სპარსელებთან კავშირში სცადეს იმპერიის დედაქალაქის დაპყრობა, მაგრამ წარუმატებლად. როგორც ამ, ისე ყველა წინა შეჭრისას სლავმა ტომებმა „გაჟონვითი“ მცირე ჯგუფებით აითვისეს ბალკანეთის ნახევარკუნძულის მიწები. VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნეში მიმდინარეობდა სლავების მიერ მაკედონიის, თრაკიის, მეზიის, საბერძნეთის, პელოპონესის მასობრივი დასახლება.

მრავალრიცხოვანი სლავი ტომები VII საუკუნეში დასახლდნენ მცირე აზიაში – მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, ბიფინიაში და კაპადოკიაში – სირიაში. იმპერიაში სლავი მიგრანტების ძირითადი მასა შუა დუნაისპირეთიდან გადმოსახლდა. მათი აქ მიგრაცია დუნაის გზით ხდებოდა. გადასახლება ძირითადად შემოდგომით მიმდინარეობდა, რათა გადასახლებულ ბარბაროსებს სხვათა მიერ მოყვანილი ჭირნახულით თავიანთი ცოლ-შვილი გამოეკვებათ. დუნაიზე გადასვლის შემდეგ სლავი გადასახლებულები, როგორც წესი, ორი მიმართულებით მოძრაობდნენ. ერთი მიმართულება იყო მაკედონია, თესალია, ალბანეთი, საბერძნეთი, პელოპონესი და კრეტა, მეორე – ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ სანაპირო და მარმარილოს ზღვისპირეთი.

ჩრდილო თრაკიაში, მაკედონიაში, თესალიაში სლავებით დასახლებულმა ოლქებმა „სლავინიის“ სახელწოდება მიიღო. სლავთა ეს გაერთიანებები ტერიტორიულ საფუძველზე წარმოიქმნა და ზოგიერთი მათგანი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არსებობდა. რომის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მეზიაში VII საუკუნეში წარმოიქმნა სლავთა „შვიდი გვარის (ტომის)“ გარეთიანება. მეზიაში მოსულმა პროტობულგარელებმა, რომლებსაც ასპარუხი მეთაურობდა, ამ კავშირში შემავალი სლავური ტომები დაიქვემდებარეს და 681 წელს შექმნეს ბულგარული სახელმწიფო. VII საუკუნის 20-30-იან წლებში სლავთა გაერთიანება შეიქმნა შუა დუნაიზეც, რომელსაც ფრანკი სამო ხელმძღვანელობდა. ისინი სამოს წინამძღოლობით ებრძოდნენ ფრანკებს და რამდენიმეჯერ

შეიჭრნენ ფრანკთა „სამეფოს“ სხვადასხვა მხარეში. ამ ტომთა გაერთიანებამ ძლიერი დარტყმა მიაყენა ავართა ყაღანატს, რომელიც საბოლოოდ 791 წელს *კარლოს დიდმა* გაანადგურა.

ასე რომ, ხალხთა დიდი გადასახლების მესამე ეტაპის რეალური შედეგი ბალკანეთის სლავებით დასახლება იყო. ამავე პერიოდში მოხდა გერმანული ტომების „ფრანკთა სამეფოში“ გაერთიანება.

VI-VII საუკუნეებში ბალკანეთში დასახლებული სლავების შემადგენლობაში შევიდნენ თრაკიელები, ილირიელები, და კელტები. მათვე მოახდინეს თურქულენოვანი ბულგარელების ასიმილაცია. ასე ჩაეყარა საფუძველი სამხრეთ სლავურ ეთნოსებს. ბალკანეთში სლავები სხვა ეთნოსების, მაგალითად, ბერძნების შემადგენლობაშიც შევიდნენ.

II.6. ირანული და თურქული ეთნოსების მიგრაციები

ისტორიისათვის ხელშესახები 2800 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ევრაზიის სტეპიდან სხვადასხვა მომთაბარე ეთნოსების თითქმის შეუწყვეტელი მიგრაციული პროცესები – აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადანაცვლება მიმდიმარეობდა. ამ პროცესს ხშირად მეცნიერები **დემოგრაფიულ ამოფრქვევასაც** კი უწოდებენ. კავკასიის ჩრდილეთი ნაწილი, როგორც ევრაზიის სტეპის განაპირა მხარე, თითქმის ყველა ამ კოლიზიასთან გარკვეულ შეხებაში იყო. ამ თავისებურ ვეებერთელა კორიდორში მყოფი ყველა ადგილობრივი ტომი, რომლებიც შემოსაზღვრული იყვნენ შავი და კასპიის ზღვებით, კავკასიის მთებით და მნიშვნელოვანი სტეპური სივრცით, რომელსაც მომთაბარეები აკონტროლებდნენ, მუდმივ საგარეო-პოლიტიკურ პრესინგს განიცდიდა. შეუძლებელია სრული აღრიცხვაც კი რამდენმა ნომადური კულტურის ხალხმა გაიარა ამ კორიდორში. ირანულენოვანთაგან, მაგალითად, ესენი იყვნენ კიმირიელები, სკვითები, სარმატები, ალანები.

ქრისტეს დაბადებამდე VII საუკუნეში შავი ზღვის ჩრდილოეთ გაშლილ სივრცეებში სამეფო სკვითები ბატონობდნენ. ოთხი საუ-

კუნის შემდეგ ისინი საერთოდ გაქრნენ. ამ ტერიტორიაზე II-III საუკუნეებში გამოჩნდნენ აღმოსავლეთგერმანული ტომები: გუთები, გეპიდები, რომლებიც VIII საუკუნისათვის უკვე აღარ იხსენიებიან. გერმანული ტომების შავიზღვისპირეთიდან აყრა კი ჰუნებს უკავშირდება. **რა იწვევდა ევრაზიის სივრცეში ნომადების ხშირ გადაადგილებას, შემოსევებს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლებას? მეცნიერები ძირითადად ეკოლოგიურ მიზეზებზე მიუთითებენ. ამ თეორიის მიხედვით ხალხების შორეულ მოგზაურობას კლიმატური პირობების შეცვლა უბიძგებდა**. გეოგრაფები მიუთითებენ, რომ პლანეტაზე ამინდი არსებით ცვალებადობას განიცდიდა. გვალვიან ეპოქას ცვლიდა ტენიანი ეპოქა. ტემპერატურისა და ტენიანობის ვარდნა უფრო მეტად ევრაზიის სტეპურ და ტყესტეპურ ზოლს ახასიათებდა. დიდი სტეპი თითქოს სუნთქავდა – ხან მცირდებოდა, უთმობდა რა ტერიტორიას ტაიგას ჩრდილოეთში და უდაბნოს – სამხრეთში, ხან კი იფართოვებდა თავის ფარგლებს. **საძოვრების შემცირება, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, „ზედმეტ“ მომთაბარეებს ამოტყორცნიდა, რომლებსაც საძოვარი და სამომთაბარეო ადგილი აღარ ყოფნიდათ და იწყებოდა გადასახლება.**

ხალხთა ახალ მიწაზე, ხშირად კი რამდენიმე ათასი კილომეტრის იქით, წინარე სამშობლოდან გადანაცვლება, მხოლოდ კლიმატური პირობებით არ იყო განპირობებული. ბარბაროსი და ნომადი ტომების მოძრაობას დიდი ცივილიზაციების მხრიდან პოლიტიკური ზეწოლაც განაპირობებდა: ჩინეთი, სპარსეთი, ასირია, რომი. არათანაბრად ვითარდებოდა სამხედრო ხელოვნებაც. ახალი ტიპის იარაღი და მასთან დაკავშირებული ნოვაციები ცალკეულ ტომებს დიდ უპირატესობას ანიჭებდა. ამ მხრივ ბრინჯაოს მახვილის ნაცვლად რკინის ცულის გამოგონებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. აღსანიშნავია აგრეთვე მოკლე ლახვარის გრძელი შუბით ჩანაცვლება, მხედრისათვის უნაგირის გამოგონება; დაახლოებით ძვ. წ. III ათასწლეულში სტეპის ხალხებში გაჩნდა ახალი და ძლიერი იარაღი – საბრძოლო (საომარი) ეტლი, რაც საბრძოლო საქმეში ერთგვარი რევოლუციასაც კი წარმოადგენდა. საბრძოლო ეტლის დახმარებით ნომადები უფრო სწრაფად გადაადგილდებოდნენ.

სკვითები აზიის სიღრმიდან მოვიდნენ. ისინი ირანულენოვანი ინდოევროპეიდები იყვნენ. მეცნიერთა აზრით, სკვითების ყველა მონათესავე ტომმა არ დატოვა შუა აზია, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იქ დარჩა; ადგილზე დარჩენილები აღმოსავლეთში ცნობილი იყვნენ საკებისა და მასაგეტების სახელით. სპარსელები ყველა სკვითს უწოდებდნენ „საკა“, რაც ნიშნავდა ირემს. შუა აზიის მომთაბარეები, შავიზღვისპირელ თანამოძმეებისაგან განსხვავებით, ყოველთვის ღარიბად ცხოვრობდნენ. ისინიც გამოირჩეოდნენ მეომრულობითა და თავისუფლებისმოყვარეობით. მათი ეს თვისებები კარგად გამოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის დროს, როდესაც მან სირდარიის გადაკვეთა და „სტეპნიაკების“ დამორჩილება მოისურვა. ამის შედეგად ამ ხალხების ნაწილი ევროპაში აღმოჩნდა, რომლებსაც ბერძნებმა და რომაელებმა „სარვომატები“, ანუ „სარმატები“ უწოდეს. ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისიდან სკვეთები, რომლებიც მოულოდნელად გაქრნენ ისტორიული ქრონიკებიდან, სარმატებმა შეცვალეს.

აღმოსავლეთარიული ტომები – სკვითები და სარმატები (გვიან – ალანები) – ახლო მონათესავენი იყვნენ, ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს სამოსით, ჩვევებით, ენით და რასობრივი ტიპით. სკვითები ორ ნაწილად იყოფოდნენ: სამეფო სკვითები დნეპრსა და დონს შორის ვრცელ მონაკვეთზე მომთაბარეობდნენ. მათ მეზობლად განლაგებული იყვნენ მომთაბარე სკვითები.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან ევრაზიის სამომთაბარეო არეალში ალანები გამოჩნდნენ. ისინიც შუა აზიიდან მოვიდნენ და მათი სამომთაბარეო არეალი ვოლგასა და დონს შორის იყო. ალანების შემდეგ ირანულენოვანი ტომების დასავლეთით შემოდინება, ფაქტობრივად, შეწყდა.

ირანული მოდგმის ეთნოსებზე საუბარისას არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შუა აზიაშიც ისინი მიგრირებული იყვნენ. ირანულენოვანმა ეთნიკურმა ერთობებმა შუა აზიაში და შემდეგ სამხრეთით შეღწევა ძვ. წ. III ათასწლეულში დაიწყეს. ინდოევროპული ეთნოსების აქტიური მიგრაციის შედეგად, აღნიშნულ ეპოქაში და ამასთანავე შედარებით მოკლე დროში, მათ პირველყოფილი წყობილების საფეხურზე მდგომი ხალხების ასიმილირება მოახ-

დინეს. ინდოირანულმა ეთნოსებმა აზიაში შექმნეს ძველი ცივილიზაცია და სახელმწიფოები. შუა აზიაში მრავალრიცხოვანი თურქული ტომების მიგრაციების შედეგად ირანულენოვანი მოსახლეობა შეერია თურქულ მოსახლეობას. ირანულენოვანი ეთნოსები უფრო სამხრეთით წავიდნენ: თანამედროვე ირანში, ტაჯიკეთში, ავღანეთსა და პაკისტანში. ირანის ზეგანზე ირანული ტომების მიგრაცია ძველი და ახალი წელთაღრიცხვების II-I ათასწლეულების მიჯნაზე მოხდა.

შუა აზიაში ირანული ეთნოსების ადგილი ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუა ხანებში თურქულმა ტომებმა დაიკავეს, რომლებიც აქ აღმოსავლეთიდან – ალთაის მხრიდან მიგრირდნენ. თურქული ტომების თავდაპირველი განსახლების არეალი იყო მონღოლეთისა და ჩრდილოეთ ჩინეთის მოსაზღვრე ტერიტორიები, საიდანაც წარმომავლობდნენ ჰუნები. ჩინურ წყაროებში თურქული ტომები – ყირგიზები, უიღურები და ყივჩაღები – მოიხსენიებიან ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულში. მეცნიერთა გარკვეულ ჯგუფს მიაჩნია, რომ თავდაპირველად ისინი ლაპარაკობდნენ ურალურ ენებზე და ჰუნების პერიოდში ასიმილირებული იქნენ. საერთოდ, სხვადასხვა თურქული ტომების მოხსენიება ჩინურ წყაროებში მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ იმ დროს უკვე თურქულენოვანი მასივის დიფერენციაციის პროცესი დიდი ხნის დაწყებული იყო.

ევრაზიის სივრცეში დასავლეთის მიმართულებით თურქული ტომების მიგრაციის დაწყება ჰუნების სახელთანაა დაკავშირებული. ჰუნებმა მოახდინეს სხვადასხვა თურქული ტომების კონსოლიდირება, რაც მათი დასავლეთისაკენ მიგრაციის მიზეზი გახდა.

IV საუკუნის 70-იანი წლებიდან ისტორიის სარბიელზე უკვე თურქულენოვანი მომთაბარე ტომები გამოჩნდნენ. ესენი იყვნენ: ჯერ ჰუნები, შემდეგ – ავარები, ბულგარები, ხაზარები. X საუკუნიდან – პაჭანიკები, ყივჩაყები. XIII საუკუნიდან თურქულ ტომებს მონღოლები შეენაცვლნენ. თუმცა მათ თურქული ეთნოსების ევრაზიის სივრცეში ბატონობა ვერ მოსპეს – დროთა განმავლობაში მონღოლების მნიშვნელოვანი ნაწილი თურქული მოდგმის ეთნოსებში გაითქვიფა.

IV საუკუნიდან ვიდრე XIII საუკუნემდე ნომადი თურქული მოდგმის ეთნოსების სამი ძლიერი ეთნიკური ბიძგი განხორციელდა (IV, X და XIII საუკუნეები). მაგრამ ამის შემდეგაც იყვნენ ნოღაელები, ყალმუხები. „ველური ველი“, ე. ი. ევრაზიის სტეპების დასავლეთი ნაწილი, XVIII საუკუნემდე ღელავდა; აქ მრავალი ტომი დაეხეტებოდა და ერთმანეთს ეჯახებოდა, წარმოიქმნებოდა ახალი ეთნოსთაშორისი კოლიზიები, რაც, თავის მხრივ, ახალი ეთნოსების წარმოქმნას იწვევდა. შეიძლება დავასახელოთ თათრები (ყაზანის, ყირიმის, ასტრახანის), ბაშკირები, ყაზახები, კაზაკები...

მუდმივი „ხალხთა დიდი გადასახლება“ შესამჩნევი იყო დასავლეთ ევროპისათვის. ევროპაში IV საუკუნიდან დაწყებული ეთნიკური ბიძგები და ასიმილაციური პროცესები სტეპების ეთნოსების, ნომადების მიგრაციებმა განაპირობა. როგორც აღნიშნავენ, მათ დასავლეთ ევროპას ჩაუქროლეს. XIII საუკუნიდან დიდი ბიძგის მიზეზს მონღოლ-თათრები წარმოადგენდნენ, რომლებმაც ადრიატიკამდეც მიაღწიეს. ყველა დანარჩენი მხოლოდ სლავებსა და კიევის რუსეთამდე აღწევდა. ამრიგად, ზუსტად რომ ვთქვათ, „ხალხთა დიდი გადასახლება“, მეტი თუ ნაკლები ინტენსივობით, XVIII საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა, რაც, ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიად გადაქცევამ შეწყვიტა.

უნდა აღვნიშნოთ ერთი თავისებურების შესახებ. თუ IV საუკუნემდე უპირატესად ირანული მოდგმის ხალხები – კიმირიელები, სკვითები, სარმატები, ალანები – გადაადგილდებოდნენ, IV საუკუნის დასაწყისიდან ასპარეზზე ძირითადად თურქული ეთნოსები – ჰუნები, ავარიელები (თუმცა, **ამ ორი ეთნოსის შესახებ მეცნიერებაში განსხვავებული შეხედულებაცაა გამოთქმული – *ი. კალომიიცევი* მიიჩნევს, რომ ავარები ძვ. წ. III საუკუნეში გაუჩინარებული სკვითების შთამომავალნი იყვნენ, რომლებიც დასავლეთიდან აღმოსავლეთით წასულები ჩინეთის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ. ცნობილი ალთაისტის და თურქოლოგის გ. დერფერის მტკიცებით, ჰუნები არც თურქები იყვნენ და არც მონღოლები – ისინი ლაპარაკობდნენ გამქრალი ენათა ოჯახის ენაზე**), ბულგარები, ხაზარები, პაჭანიკები, ყივჩაღები... – გამოდი-

ან. ყველა ეს გადასახლება და აქედან გამომდინარე შერევები ახალ-ახალ ეთნოსებს ბადებდა.

ახლა რამდენიმე სიტყვა ნომადების მუდმივი გადასახლების მიზეზების შესახებ. როგორც ლ. გუმილიოვი სამართლიანად აღნიშნავდა, მომთაბარეებთან მოსახლეობის რაოდენობა განისაზღვრებოდა საკვების რაოდენობით, ე. ი. საქონლით, რაც, თავის მხრივ, საძოვარი სავარგულებით ლიმიტირდებოდა. ამიტომ გვალვა, რომელიც საძოვრებს ამცირებდა, ნომადებს ახალი საძოვრების ძიებისაკენ და იქითკენ გადაადგილებისაკენ უბიძგებდა, სადაც ის ბევრი იყო. ასე რომ, მთელ ვეებერთელა ევრაზიის სივრცის სამომთაბარეო არეალში ეთნოსები პირდაპირ კლიმატზე იყვნენ დამოკიდებული: კლიმატი–>საძოვარი–>ცხოველი–>ადამიანი–>ეთნოსი. კლიმატის ცვლილებას კი იწვევდა ციკლონის მიმართულების შეცვლა. გვალვების დაწყება გავლენას ახდენდა მომთაბარეთა მეურნეობასა და მიგრაციაზე. როგორც გარკვეულია, განსახილველ პერიოდში ევრაზიის სტეპებში გვალვის პერიოდი სამჯერ დადგა. ეს იყო II–III, X და XVI საუკუნეები. იმდენჯერვე გამეორდა ერთი და იგივე სურათი. სტეპი გადაიქცა უდაბნოდ. ადამიანები, ცხოველებთან ერთად, მიემართებოდნენ იქით, სადაც ბალახისა და წყლის სიუხვე იყო. ასეთი გადაადგილება კი თითქმის ყოველთვის იწვევდა ეთნოსთაშორის კონტაქტებს. ეს კონტაქტები უმეტესად „ტრაგიკული“ გახლდათ.

მომთაბარეები დიდი სტეპის განაპირა ზოლებს ეტანებოდნენ. ერთი ასეთი განაპირა მხარე კავკასიის ჩრდილოეთი სტეპები იყო. ამიტომაა, რომ თითქმის ყველა მომთაბარე ეთნოსმა ან აქამდე მიაღწია, ან გაიარა ეს გეოგრაფიული არეალი და მისი გავლით შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთ სტეპებში მივიდა.

ბუნებრივია, ნომადებს თან მოჰქონდათ ყოფისა და ქცევის ახალი ნიშნები. კავკასიის სტეპებში კი მოიტანეს ახალი საცხოვრებელი – იურტა, რომელიც სტეპებს აღარ გასცდა; იურტა მთისწინეთისათვის მოუხერხებელი აღმოჩნდა. ხალიჩა კი კავკასიელი ხალხების ცხოვრებაში მტკიცედ შევიდა და მათი ყოფის შემადგენელ ნაწილად იქცა. ზოგიერთი თურქული კერძი კი მტკიცედ დამკვიდრდა კავკასიელი ხალხების სამზარეულოში. დაბოლოს,

კავკასიის ბევრმა მწვერვალმა თურქული სახელწოდება –„ტაუ“ (მთა) – მიიღო, მაგალითად, *ბეშტაუ* პიატიგორსკის რაიონში. თვით სიტყვა „პიატიგორსკი“ ესაა თურქული „ბეშტაუს“ თარგმანი, რაც „ხუთ გორას“ ნიშნავს.

IV საუკუნის 70-იან წლებში დაწყებულმა ჰუნების შემოსევებმა საბოლოოდ მეოტების ეთნიკური სისტემის გაქრობა გამოიწვია, რომელიც დაახლოებით 1200 წლის განმავლობაში არსებობდა. აზოვისპირეთსა და შავი ზღვის სანაპიროზე დასახლებული მეოტები ახალი აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ძირითად ბირთვად იქცნენ. ასე რომ, მეოტები პროტოაფხაზური-ადიღეური ტომები იყვნენ.

ჰუნების სამხრეთი ნაწილი ყირიმში შეიჭრა, სადაც მათ გუთები და ბოსფორის ქალაქები გაანადგურეს. აქ, დნეპრისა და დონის შუამდინარეთში, გუთები ჰუნების ძირითად მასას შეუერთდნენ. ჰუნების ნაწილმა ჩრდილოეთი კავკასია გაიარა და სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში შეიჭრა. აქედან ირანს, სირიას და მცირე აზიასაც მიწვდნენ.

ჰუნებმა ჩრდილოეთ კავკასიის „თურქიზაციას“ მისცეს დასაბამი. ჰუნთა შემადგენლობაში შედიოდნენ სხვადასხვა თურქული ტომები, მათ შორის იყვნენ ბულგარებიც. ჰუნების ძირითადი ნაწილი თუ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთს მიადგა, ბულგარებმა სამომთაბარე არედ ყუბანისპირეთის სტეპები ამოირჩიეს. ამ ტერიტორიას დიდი ბულგარეთი ეწოდა. დიდ ბულგარეთში შედიოდა არა მხოლოდ მოსული „სტეპნიაკი“-ბულგარები, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის რაღაც ნაწილიც, რომელთა ძირითად ბირთვს მეოტების ეთნიკური სისტემის ნარჩენნი, უფრო სწორედ, პროტოადიღეები შეადგენდნენ.

558 წელს კონსტანტინეპოლის ხმაურიან ქუჩებში ადამიანთა უცნაური ჯგუფი გამოჩნდა; ესენი იყვნენ აქამდე უცნობი ტომის მხედარი-ელჩები. ისინი შემოსილი იყვნენ ბარბაროსთა უხეში შინაქსოვი ტანსაცმელით და თხისა და ცხვრის ტყავისაგან ცუდად გამოყვანილი მოსასხამით. წელზე შემორტყმული ჰქონდათ ვიწრო ქამრები, რომლებსაც მოოქროვილი ბალთები ჰქონდა. ფეხებზე ეცვათ მხედრისათვის მოხერხებული შარვლები და ჯიქის ტყავისა-

გან შეკერილი ჩექმები. უცნობები ერთი რამითაც გამოირჩეოდნენ – ხშირი თმები უკნიდან აკურატულად ჰქონდათ დაწნული სქელი და გრძელი ნაწნავით. ისინი იმპერატორს წარუდგნენ როგორც ავარი ხალხის წარმომადგენლები. ავარებმა მოითხოვეს მოკავშირეობა, ფული და მიწა დასასახლებლად. ავარების გამოჩენით იწყება ხალხთა დიდი გადმოსახლების მეორე ტალღა. ავარების გამოჩენამ გამოიწვია მშვიდობიანი სლავური ეთნოსის ჩვეული უღარანი ტყეებიდან და საფლობი ჭაობებიდან საშიშ, მაგრამ თავისუფალი სტეპების სივრცეში გამოსვლა, რამაც საბოლოოდ ისინი აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ნახევარი სივრცის პატრონებად აქცია.

პირველმა მიგრაციულმა ტალღამ, რომელიც ჰუნების ალანებსა და გერმანელებზე თავდასხმით დაიწყო, იმსხვერპლა დიდი რომის იმპერია, ახალმა, თარეშების მეორე ტალღამ დიდი პრობლემები შეუქმნა ბიზანტიელებსა და ფრანკებს. დაიწყო აზიის სიღრმიდან ორი ტომის – ავარებისა და თურქოიტების – ქროლვა. ევროპაში აზიიდან მოსულმა დიდმა ჯგუფებმა დააქციეს ქალაქები და სახელმწიფოები, გააქრეს მთელი რიგი ეთნოსები, როგორც მიუთითებენ, ისინი თავისი ცხენებით ფრინავდნენ და მათ თითქოს გადარეულ დევნას ბოლო არ უჩანდა. ავარები შეჩერდნენ მხოლოდ თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიაზე – იძულებულნი იყვნენ ცხენები უკან მოებრუნებინათ.

ეს ორი ტომი – ავარები და თურქები – არა მარტო აღმოჩნდნენ ხალხთა დიდი გადასახლების მეორე ეტაპის მამოძრავებელნი, არამედ შეაერეთეს ევროპის მატერკის აღმოსავლეთი და დასავლეთი. VI საუკუნის ბოლოს სწორედ თურქებისა და ავარების ძალისხმევით ევრაზიის კონტინენტზე ჩამოყალიბდა სახელმწიფოთა ერთიანი ჯაჭვი: ჩინეთიდან ფრანკთა ჩრდილოატლანტიკურ სახელმწიფომდე, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი იყვნენ მეგობრული თუ მტრული კავშირებით. გერმანელები და არაბები, მავრები და უიღურები, სლავები და ენისეის ყირგიზები – ცივილიზაციის ორივე ზონაში მცხოვრებთაგან ამ საყოველთაო გლობალურ ხანძრს თითქმის ვერავინ გადაურჩა. ეს იყო სერიოზული სასაკლაო. იღუპებოდნენ უკვე არა ცალკეული ადამიანები, არამედ

მთელი ტომები. 583 წელს კავკასიის მთავარი ქედის გადმოკვეთით ძველ თურქთა არმია შეეცადა ევროპაში შემოღწევას. 589 წელს მძიმედ შეიარაღებული თურქთა გრანდიოზული ცხენოსანი არმია მხედართმთავარ *სვე-ხანის* მეთაურობით შუა აზიის ტერიტორიიდან შეიჭრა აღმოსავლეთ ირანის მიწებზე. თურქმა მხედარმთავარმა ირანის შაჰინ-შაჰს ულტიმატუმით მიმართეს, რომ ბიზანტიაში სალაშქროდ მიმავლებისათვის გზა უნდა მოეწესრიგებინა და ყველა მდინარეზე ხიდები გაედო. ევროპის კონტინენტის ხალხები ხელახლა მონღოლოიდთა დაპყრობის რეალური საშიშროების წინაშე დადგნენ. როგორც თავისი ქვეყანა, ისე მთელი ევროპა, გამოცდილმა სპარსელმა მხედართმთავარმა *ბაგრამ ჩუბინმა* იხსნა. მან დამპყრობლები თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიაზე მდინარე გერიტრუდის ხეობაში შეიტყუა და მახეში გააბა. თურქთა საბრძოლო სპილოების წინააღმდეგ *ბაგრამ ჩუბინმა* ცეცხლი გამოიყენა. ამან სპილოების, ცხენების, ადამიანების ზედახორა და პანიკა გამოიწვია. 300 ათასიანი თურქ მომთაბარეთა გრანდიოზული არმიიდან უკან, სტეპებში ერთეულები დაბრუნდნენ. ევროპა გადარჩა.

თურქებმა მაინც შექმნეს თურქთა ყაღანატი და მაშინვე დაიწყეს დაპყრობითი ლაშქრობები და ექსპედიციები. აღმოსავლეთ ყაღანატის ხელისუფალმა და თურქთა უმაღლესმა მბრძანებელმა ჩინეთის ჩრდილოეთში *ჟუჟანები* დაამარცხა და შემდეგ წელს ჩრდილოეთში სახელმწიფო *ციგუ* დაიპყრო, უფრო სწორედ, ენისეის *ყირგიზები.* მალევე მის ერთგულებაზე დაიფიცეს მანჯურიაში მცხოვრებმა პროტომონღოლურმა ტომებმა. თურქული სახელმწიფო გადაიჭიმა და თავისი გავლენა გაავრცელა ჩრდილოეთ ჩინეთის სტეპებიდან ყვითელ ზღვამდე. თურქულმა ყაღანატმა თავისი ძალაუფლება გაავრცელა კავკასიის ჩრდილოეთ და დნეპრის ნაპირებამდე, აგრეთვე ციმბირის ტაიგიდან ტროპიკულ ინდოეთამდე.

თურქთა დასავლეთის მიმართულებით ლაშქრობა დაიწყო *ისტემი ხანმა.* 554 წელს თურქებმა დაამარცხეს *ჟუან-ჟუანის* ყაღანატი და ისინი დასავლეთისაკენ დაედევნენ მათ. პრაქტიკულად ამ არმიიდან უკან, მშობლიურ მხარეში არავინ დაბრუნებულა. ისტი-

ომის თურქებმა დააარსეს დასავლეთ თურქული ყაღანატი. არსებობს მოსაზრება, რომ თურქები დასავლეთისაკენ გაემართნენ დიდი აბრეშუმის გზის ხელში ჩასაგდებად. ცენტრალურ აზიაში კი ახ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში მხოლოდ ორი ნამდვილი სახელმწიფო იყო: ეფტალიტების სამეფო და ჟუჟანის ყაღანატი. 555 წელს შუა აზიის სტეპებში გამოჩნდნენ მძიმედ შეიარაღებული თურქი მხედრები *ისტემი-ხანის* მეთაურობით. ამ წელს მათ კასპიის ზღვას მიაღწიეს. ჩრდილოეთ აზიაში კი წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. სუსტმა, მცირერიცხოვანმა და გაბნეულმა ყაზახეთის სტეპების ტომებმა ან აღიარეს ახალი მეპატრონეების ხელისუფლება ან გაიქცნენ მთებსა და ტაიგაში. 558 წელს ისინი უკვე კასპიის ზღვის ნაპირებზე გავიდნენ. შუა აზიის ჩრდილოეთი ნაწილის დაპყრობა დამთავრდა. თითქოს აქ უნდა გაჩერებულიყვნენ: შექმნეს ვეებერთელა სახელმწიფო კასპიიდან ყვითელ ზღვამდე, მაგრამ *ისტემი-ხანს* ეფტალიტების ძლიერ სახელმწიფოსთან ომისაკენ ჰქონდა სწრაფვა.

558 წელს ავარები ჩრდილოეთ კავკასიაში გამოჩნდნენ. აზიელი ნომადები, ჩვეულებრივ, დონის სტეპებსა და ყუბანში ვოლგიდან შემოდიოდნენ. ვოლგისა და ურალის შუამდინარეთში ყოველთვის იყვნენ დასახლებულნი მრავალრიცხოვანი მებრძოლი ტომები. ამიტომ ნებისმიერი ახალი ეთნოსის გამოჩენა იწვევდა თავისებურ მიგრაციულ ტალღებს: ერთი ხალხი ავიწროებდა მეორეს, მეორე – მესამეს და ა. შ. მათ მოძრაობას მკვლევარები ზოგჯერ დაცემულ დომინოს ქვებს ადარებენ. ასეთ მიგრაციულ პროცესში ხდებოდა მრავალი ტომის ჩართვა.

ავარები თითქოს ციდან ჩამოცვივდნენ. პირველი ხალხი, რომელთანაც ისინი კონტაქტში შევიდნენ, იყვნენ არა ყუბანის, დონისა და ვოლგის სტეპების მკვიდრნი, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ მთისწინეთში მცხოვრები ალანები, რომლებიც, თავის დროზე, კავკასიელებად ჰუნებმა აქციეს. ალანებს კონსტანტინეპოლი შავი ზღვის ბერძნული ქალაქების (ყოფილი კოლონიების) ფარად იყენებდა. ალანებთან შეჯახებული ავარები კავკასიაში მოვიდნენ არა ვოლგისა და ურალის მხრიდან, არამედ სამხრეთ კავკასიიდან (დარუბანდის გზით). მიიჩნევენ, რომ ავარები სპარსელე-

ბმა გაატარეს და ისინი ჩრდილოეთ კავკასიისაკენ მიმართეს.

ახალი ბარბაროსები ალანებთან მტრულ ურთიერთობაში არ შევიდნენ, ალანთა რჩევით კონსტანტინეპოლში იუსტინიანთან ელჩობა გააგზავნეს. საროგურები და მათი მოკავშირეე ონოგურები ჰუნთა ტომების — სავირების — კავშირმა ჩაყლაპა. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები სავირები ძარცვავდნენ ბიზანტიისა და ირანის მოსაზღვრე ტერიტორიებს. კურტიგურები მომთაბარეობდნენ დნეპრისა და დნესტრის დაბლობებში, დონის მარჯვენა ნაპირამდე, მათი ახლო მონათესავე უტიგურები — დონის მარცხენა ნაპირიდან ყუბანის დაბლობამდე და ალანების მთისწინეთამდე ჩრდილოეთ კავკასიაში. ერთი წლის განმავლობაში ავარებმა შესძლეს მთლიანად დაეძლიათ წინააღმდეგობა და პრაქტიკულად დაემორჩილებინათ ატილას სახელმწიფოს ყველა ნარჩენი — ვოლგისპირეთის, ჩრდილოეთ კავკასიისა და შავიზღვისპირეთის აგრესიული ტომები.

558-559 წელს ავარებმა გაანადგურეს მრავალრიცხოვანი ჰუნთა ტომები და მთელი ჩრდილოეთ კავკასიის პატრონებად იქცნენ. მაგრამ უკვე 559 წელს კასპიის ჩრდილოეთ სანაპიროზე გადმოდიან თურქები. მეზობელ თურქებს გამოქცეული ავარები მივიდნენ ბოსფორში, შემდეგ დატოვეს ევქსინის პონტოს ნაპირები და წავიდნენ წინ, რომლებიც გზადაგზა ბარბაროსებს ებრძოდნენ. 560 წელს, ავართა გამოჩენამდე, ერთიანი სლავური ტომი უკვე ერთი საუკუნის გაყოფილები იყვნენ სლავებად და ანტებად. უკრაინის სამხრეთი ეკუთვნოდათ მომთაბარე კურტიგურებს, ანტების ჩრდილოეთით დასახლდნენ მონათესავე ბალტები, ჩრდილო-აღმოსავლეთით — ფინო-უგრები. თანამედროვე რუმინეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა გეპიდების გერმანული ტომი. დასავლეთ უკრაინისა და სამხრეთ პოლონეთის ტერიტორიაზე — დანარჩენი სლავური ტომები, რომლებსაც შენარჩუნებული ჰქონდათ ადრინდელი სახელწოდება — სლავები. დნეპრისპირეთის მცხოვრებთა უმეტესობა ავარების ბრძანებით ტოვებს მშობლიურ ადგილებს და მომთაბარეებთან ერთად სამხრეთისაკენ გადასახლდებიან. ასე დაიწყო ძველი სლავების ბალკანური ეპოპეა. დღევანდელი აღმოსავლეთ სლავები კი არიან მემკვიდრეები იმ სლავებისა, რომლებიც დნეპრ-დნეს-

ტრის რეგიონში დარჩნენ, ე. ი. ადრინდელ საცხოვრებელში და რომლებიც ავარებთან ერთად არ წავიდნენ ბალკანეთში. 562 წელს კონსტანტინეპოლში მეორედ მივიდნენ ახალმოსული ბარბაროსების ელჩები და, მენანდრეს სიტყვით, იმ მიწების დათვალირება მოსთხოვეს, რომელზედაც შეიძლებოდა დასახლებულიყვნენ. ავარებს შესთავაზეს მეორე პანონია: ტერიტორია მდინარეებს სავოიასა და დრავას შორის. უკეთესს მიწას ვერც ინატრებდა კაცი. ვინც ამ ტერიტორიას ფლობდა აკონტროლებდა მთელ ილირიასა და დალმაციას. მაგრამ აქ ნაწილობრივ ლანგობარდები, ნაწილობრივ გეპიდები ცხოვრობდნენ. ამ ტერიტორიაზე ეს გერმანული ტომები მუდმივად დაპირისპირებული იყვნენ ერთმანეთთან. ლანგობარდებს თანამედროვე უნგრეთისა და სერბეთის ნაწილებიც ეკუთვნოდათ. ავარებმა და ლანგობარდებმა ერთად დაამარცხეს გეპიდები. შემდეგ კი ლანგობარდებს შესთავაზეს ჩრდილოეთ იტალიაში გადასახლება, რასაც ხანგრძლივი თათბირის შემდეგ დათანხმდნენ. 568 წელს გაზაფხულზე ლანგობარდებმა თავისი მიწა მოკავშირე ავარებს დაუთმეს და თვითონ გადასახლდნენ იქ, სადაც 200 წელი დამოუკიდებელი სახელმწიფო ჰქონდათ.

ავარები, დანარჩენი ევროპელებისათვის მოულოდნელად, ევროპის ცენტრში დიდი იმპერიის მფლობელაბად გადაიქცნენ. მათ ეკუთვნოდათ ანტების დნეპრისპირეთი, აგრეთვე მთელი ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთი – კურტუგურების, უტიგურების და სხვა გვიანდელი ჰუნების სამფლობელოები. აზიელი ლტოლვილების გამოჩენის ათი წლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპაში წარმოიქმნა ახალი დიდი სახელმწიფო – ავარიის ყაღანატი, რომელიც ტერიტორიითა და მოსახლეობით უთანაბარდებოდა თავისი დროის წამყვან სახელმწიფოებს – ფრანკთა სამეფოს, ბიზანტიისა და სპარსეთის იმპერიებს. დიდ ტერიტორიაზე ბავარიიდან და ავსტრიის ალპებიდან დნეპრამდე და დუნაიმდე ყველაფერი ექვემდებარებოდა ავართა მფლობელის *ბაიანის* რკინის ნებას. ყველა სლავი ხალხის – პოლონელების, ჩეხების, სლოვაკების, სამხრეთ სლავების, ბულგარელების, ბელორუსების, უკრაინელებისა და რუსების ფორმირება პრაქტიკულად ავართა ყაღანატის ჩარჩოებში დაიწყო. ავართა ყაღანატის არსებობის ბოლო პერიოდამდე ბიზანტიის დი-

დი იმპერია მომთაბარეებს დამამცირებელ ხარკს უხდიდა. ყოველ-წლიურად უხდიდნენ 80 ათას ოქროს სოლიდს, შემდეგ – 100 ათასს და ბოლოს – 120 ათასს. 626 წლამდე ბიზანტიამ მომთა-ბარეებს საერთო ჯამში 25 ტონა ძვირფასი ლითონი გადაუხადა.

VI საუკუნის მესამე მეოთხედიდან ავარები ევროპის ყველაზე მდიდარ და აყვავებულ ხალხად იქცნენ. 578 წელს მომთაბარეებმა დაიმორჩილეს სკლავინები. 580 წელს ავარებმა სლავი ხალხების დახმარებით ააშენეს თავიაანთი ფლოტი. ამავე წელს დაიწყო მომ-დევნო ავარელ-ბიზანტიელთა ომი, რომლის მსვლელობაში ბერძ-ნებმა მერამდენედ სამარცხვინო დამარცხება განიცადეს. ბიზანტი-ელების ავარებთან შეჯახება 600 წელსაც მოხდა. ბიზანტიელები იძულებული იყვნენ არმიის რეორგანიზაცია მოეხდინათ. ბიზანტი-ელთა ახალი კავალერია ზუსტად ავარელთა ასლი იყო. ყაღანა-ტის ტერიტორიაზე ავარები ხელოსნურ-სავაჭრო ცენტრებსაც ქმნიდნენ, სადაც აღმოსავლეთ რომის იმპერიის პროვინციებზე თა-რეშისას თან მიერეკებოდნენ ბიზანტიური მოსახლეობის დიდ მა-სებს, მაგალითად, 619 წელს ავარიის ტერიტორიაზე გაიყვანეს თითქმის 270 ათასი კაცი და ქალი, პირველ რიგში მოქალაქე-ხელოსნები. ამავე დროს, ავარებმა, თავიაანთი ისტორიის ბოლომ-დე, უარი არ თქვეს თავისი ცხოვრების წესზე და ისინი მომთაბა-რეობდნენ თანამედროვე უნგრეთის დაბლობში. თუმცა ავარებს ბე-დი სხვა რამეს უმზადებდა. კონსტანტინეპოლზე მორიგი შეტევი-სას არმიას შეეყარა საშინელი ეპიდემია და მისი ძირითადი ნაწი-ლი დაიღუპა. 631 წელს გარდაიცვალა დიდი ყაღანი *ბაიანი*. ის ამ დროს თითქმის 90 წლისა იყო. მისი 11 ვაჟიდან არც ერთი ცოც-ხალი აღარ იყო. შვიდი მათგანი ეპიდემიამ იმსხვერპლა, დანარჩე-ნი ოთხი კი 601 წელს ბრძოლაში იქნა მოკლული. ყაღანის ოქ-როს ტახტისათვის სამოქალაქო ომი დაიწყო. ავარების გარდა მასზე პრეტენზია ჰქონდა კურტიგურ-ბულგარებსაც. მათმა უნი-კალურმა სახელმწიფომ VIII საუკუნის ბოლომდე იარსება და და-ეცა მხოლოდ კარლოს დიდის არმიასთან დიდი შერკინების შედე-გად.

კრანიოლოგიური მონაცემებით ყაღანატის მცხოვრელნი არ იყვნენ წმინდა მონღოლოიდები და რასობრივად ნარევს, გარდამა-

ვალ ტიპს წარმოადგენდნენ, თანაც მონღოლოიდურ წილს მხოლოდ 30-50 %-ით განსაზღვრავენ. მიიჩნევენ, რომ IV საუკუნის შუა ხანებში ჩინეთის იმპერიის საზღვრებთან გამოჩენილი ახალი ხალხი ჟიჟანები, რომლებიც თავიანთ თავს უწუდებდნენ უარ-ს ანუ ავარებს, აშკარად ევროპეიდები იყვნენ. ლაპარაკობდნენ ინდოევროპული ენის ირანული ჯგუფის ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ ავარებმა დაიმორჩილეს ბევრი ქვეყანა, ქალაქი და მიწა, შეინარჩუნეს მომთაბარული ტრადიციული ცხოვრებისადმი ერთგულება. ფიზიკურად ავარები ასევე არ გავდნენ ირგვლივ მყოფ მონღოლოიდურ მოსახლეობას – პროტომონღოლებს, ძველ თურქებს და გვიანდელ ჰუნებს. ისინი ყოფით ძალიან გვანდნენ სამეფო სკვითებს და ატარებდნენ გრძელ თმებს.

VI საუკუნის 50-იან წლებში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ბულგარების ავარებთან შეჯახება მოხდა, რომლებიც ასევე აღმოსავლეთიდან იყვნენ მოსული. დროის რაღაც მონაკვეთში ბულგარები მათზე დამოკიდებული აღმოჩნდნენ, მაგრამ მალე ავართა ურდო დასავლეთისაკენ წავიდა. ბულგარებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა, მაგრამ დიდი ხნით არა, რადგან 576 წელს მათ საზღვრებში თურქეთის ყაღანატის თურქოიტები შეიჭრნენ. ბულგართა მეორე ნაწილი ხან ასპარუხის მეთაურობით დასავლეთით, დუნაისაკენ დაიძრა, სადაც, დაიმორჩილეს აქ მცხოვრები სლავები. დამპყრობლებმა ბულგარეთის სახელმწიფო შექმნეს. იმის გამო, რომ ბულგარები ბევრნი არ იყვნენ, ისინი ბოლოს და ბოლოს მთლიანად იქნენ ასიმილირებულნი სამხრეთ სლავების მიერ, შეითვისეს მათი ენა, მაგრამ შეინარჩუნეს თან მოტანილი ეთნონიმი და ქვეყნის სახელწოდება ბულგარეთი.

ბულგართა მესამე ნაწილი წავიდა ჩრდილოეთით, ვოლგაზე, სადაც დააარსა ვოლგის ბულგარეთი. ამ მოვლენებით ისარგებლეს ხაზარებმა, დაიმორჩილეს ის ბულგარები, რომლებიც ჩრდილოდასავლეთ კავკასიაში დარჩნენ. დარჩენილი ბულგარელები ხაზართა ყაღანატის შემადგენლობაში შევიდნენ. VIII–IX საუკუნეებში არაბ-ხაზართა ომს ბულგარებმა თავი აარიდეს, გადაინაცვლეს ყუბანის შუა და ქვემო ნაწილში და იალბუზის მთისწინა ზოლში.

576 წელს ბულგარელები შეეჯახნენ აღმოსავლეთიდან მოსულ

თურქოიტებს, რომლებმაც VI საუკუნეში შექმნეს ვეებერთელა თურქული ყაღანატი ყვითელი ზღვიდან შავ ზღვამდე და თავის შემადგენლობაში გააერთიანეს ევრაზიის სტეპების ყველა ეთნოსი. თურქების ექსპანსია მიმდინარეობდა უფრო დასავლეთისაკენ. დაიმორჩილეს რა „სტეპნიაკი“ ბულგარები, თურქოიტები 582-583 წლებში კავკასიის გავლით ბიზანტიაში შეჭრას შეეცადნენ, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. კავკასიელი ეთნოსების დამორჩილებას კი არ შეეცადნენ, რადგან თურქოიტები იყვნენ სტეპნიაკები, კავკასიელები კი – მთიელები. სხვა საკითხია კავკასიელთა სოფლების გაძარცვა ან მათი ბიზანტიის წინააღმდეგ სამხედრო საქმეში ჩართვა, რაც სინამდვილეში მოხდა კიდეც. როგორც მიუთითებენ, თურქოიტებისათვის ინერციული ფაზა დაახლოებით 200 წელი გაგრძელდა (567-747 წწ.), რის შემდეგაც თურქოიტები, როგორც ეთნოსი, განსახლდა და გაქრა.

თურქული მოდგმის ხაზართა ეთნიკური ერთობა ქვემო ვოლგისპირეთში ჩამოყალიბდა. ლ. გუმილიოვის მიხედვით, VII-VIII საუკუნეებში ისინი ეთნიკური აღმავლობის ფაზაში იმყოფებოდნენ, ე. ი. მეზობლებთან შედიოდნენ ეთნიკურ კონტაქტში. ხაზარების ექსპანსია ნაწილობრივ იძულებითი იყო, რადგან მათი ეთნიკური აკვანი კაპიის ზღვით დაიტბორა. VI საუკუნიდან XIV საუკუნის ჩათვლით კასპიის ზღვის დონემ 18 მეტრით აიწია. ხაზარების ეთნიკური ისტორია პირველიდან უკანასკნელ დღეებამდე მუდმივი ეთნიკური კატასტროფის ნიშნით მიმდინარეობდა. X საუკუნის შუა ხანებისათვის ხაზარებმა თავიანთი ადგილგანვითარებისა და ეთნიკური განსახლების დაახლოებით 2/3 დაკარგეს. ამიტომაც ხაზარების ექსპანსია იყო სწრაფი და წარმატებული. მათი ექსპანსია ძირითადად დასავლეთით, კავკასიის ქედის გასწვრივ მიემართებოდა. ხაზართა ექსპანსიის ეს მიმართულება ბუნებრივი იყო, რადგან ის, პირველ რიგში, ნაცნობი ლანდშაფტისა და კლიმატის გეოგრაფიულ არეალში ხდებოდა. აგრეთვე ის უმიშვნელოვანეს აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო გზებს ეხებოდა. ამ გზის ფლობა მთელ მის გასწვრივ მონაკვეთზე აზოვის ზღვამდე ყაღანატის ეკონომკის სიცოცხლისათვის აუცილებელი იყო. ხაზარების საბოლოო მიზანი იყო ტამანის ექსპანსია, რომელზედაც ვოლგი-

დან ჩრდილოეთ კავკასიის სტეპის გავლით მთავარი სავაჭრო გზები გადიოდა. მაგრამ ლოგიკამ ხაზარები ქერჩის სრუტეზე მიიყვანა, რომელზედაც გადიოდა სავაჭრო გზა შავ ზღვაზე და შემდეგ დასავლეთისაკენ. ამისათვის საჭირო იყო აღმოსავლეთ ყირიმის ფლობა, რომელსაც ეკრა ეს სავაჭრო გზები და ხაზარებმა ეს გააკეთეს კიდეც.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ხაზარები შეეჯახნენ ბულგარებს, რომლებიც გაანადგურეს. კავკასიის ეს მხარეც ხაზართა გავლენის სფეროში აღმოჩნდა. ხაზართა ყაღანატმა 300 წელზე მეტხანს – VII საუკუნის შუა ხანებიდან X საუკუნის მეორე ნახევრამდე – იარსება. ხაზართა ნარჩენები გაიფანტნენ დიდ ფართობზე კასპიის ზღვიდან კარპატებამდე. მათ ნაკვალევს ტრანსილვანიაშიც კი ხედავენ. მიაჩნიათ, რომ უნგრელთა ლოკალურ-ეთნოგრაფიული ჯგუფი – *შეკლერები* მადიარიზებული ხაზარები არიან. უნგრეთის მეფეები შეკლერებს კარპატების საზღვრების დასაცავად იყენებდნენ. ხაზართა რელიქტები შემორჩენილია დონის ქვემო წელზე (აქ ისინი მომავალი დონელი კაზაკების სუბსტრატად იქცნენ), ყირიმსა და ლიტვაში, ტრაკაის მახლობლად (კარაიმები). ხაზარების ყაღანატთან მჭიდროდაა დაკავშირებული მთის ებრაელების ეთნიკური ისტორიაც. ისინი ამ დროიდან განსახლდნენ მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლებიც სამხრეთ (ირანის) აზერბაიჯანიდან იყვნენ მოსული. მთის ებრაელებმა შეინარჩუნეს იუდაიზმი, მაგრამ თან მოიტანეს თათური ენა, განსახლდნენ სხვადასხვა ადგილას, მათ შორის, ყუბანისპირეთის მთის აულებში. ხაზართა ყაღანატის ოფიციალური რელიგია იყო იუდაიზმი და მთის ებრაელები ადვილად ჩაეწერნენ ყაღანატის ეთნიკურ სიჭრელეში.

მონღოლ-თათართა შემოჭრამდე – IX საუკუნის ბოლოდან XIII საუკუნემდე – სტეპებში სხვა თურქული მოდგმის ეთნოსი იყო გაბატონებული, რომელიც კავკასიის ეთნიკურ პროცესებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. მომთაბარეთა გადასახლების მეორე ტალღას საფუძველი დაუდეს *პაჭანიკებმა*, რომლებსაც ყაზახეთის ტერიტორიიდან მოყვნენ თურქები და ბარაბინის სტეპებიდან – ყივჩაღები/პოლოვცები/კუმანები. პაჭანიკები შავიზღვისპი-

რეთის სტეპებში გამოჩნდნენ 889 წელს. დასავლეთისაკენ გადასახლებას ბიძგი მისცა მორიგმა გვალვამ, რაც ციკლონის ჩრდილოეთით გადანაცვლებასთან იყო დაკავშირებული.

თურქული ტომების ოღუზურ კონფედერაციაში შემავალმა პაჭანიკებმა მათ მიერ უდაბნოდ გადაქცეული არალის ზღვის მიმდებარე ტერიტორია და სირ-დარიის დაბლობის სტეპები მიატოვეს და დასავლეთის მიმართულებით დიდი სტეპებისაკენ, შავიზღვისპირეთისა და აზოვისპირეთისაკენ გაემართნენ. პაჭანიკებმა ოღუზთა დასავლეთისაკენ ექსპანსიას დაუდეს საფუძველი. შემდეგი მიგრაციული ტალღა ერთი საუკუნის შემდეგ დაიწყო — ის ცნობილია სელჯუკების ექსპანსიის სახელით, რომლებმაც კასპიის სამხრეთით გზა აირჩიეს, ირანის პლატოს გავლით და მესოპოტამიით ბიზანტიის საზღვრებამდე და არაბთა იმპერიამდე მიაღწიეს. ეთნონიმი „პაჭანიკი“ ამ ოღუზურ ტომს ბიზანტიელებმა IX საუკუნეში შეარქვეს.

ლ. გუმილიოვის კონცეფციით, პაჭანიკების ექსპანსია, ისევე როგორც თურქებისა და ყივჩაღებისა, იყო არა დაპყრობითი, არამედ პატარა ჯგუფების თანდათანობითი შეღწევა. ამ შეხედულებას ზოგიერთი ავტორი, განსაკუთრებით არქეოლოგები, არ იზიარებს. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მოსული პაჭანიკები, ისევე როგორც ყველა მომთაბარე, თავის გზაზე ყველაფერს წვავდნენ და ძარცვავდნენ. მთელი რიგი ზღვისპირა დასახლებები IX-X საუკუნეების მიჯნაზე, განადგურდა. ეს პერიოდი სწორედ ქვემო დონისა და ყუბანის შუამდინარეთში პაჭანიკების მოსვლას ემთხვევა. X საუკუნის შუა ხანებში პაჭანიკების ტერიტორია გადაჭიმული იყო ვეებერთელა სივრცეზე — ვოლგიდან დუნაიმდე, რომელიც ესაზღვრებოდა როგორც რუსეთს, ისე ბიზანტიას. ფაქტობრივად პაჭანიკებმა, სლავებთან (კიევის რუსებთან) ერთად, გაანადგურეს ხაზართა ყაღანატი. ხაზართა წინააღმდეგ სვიატოსლავის ლაშქრობა პაჭანიკების შეჭრის ფონზე მიმდინარეობდა. დასავლეთიდან თუ კიეველი რუსები უტევდნენ, აღმოსავლეთიდან — პაჭანიკები. ამ ომის ორ ფრონტზე ბრძოლას ხაზარეთმა ვერ გაუძლო და დაეცა. მისი მოსახლეობა შედარებით წყნარ მხარეებში — ტამანში (ტმუტარაკანი), სარკელში (დონზე) და დუნაიზე... — გაიქცა. რჩებოდა

მხოლოდ ყაღანის პირადი დომენი თანამედროვე ყალმუხეთის ტერიტორიაზე.

ხაზართა ყაღანატის განადგურებას, როგორც რუსეთისათვის, ისე ბიზანტიისათვის უარყოფითი შედეგი ჰქონდა – დაირღვა ეთნოგეოპოლიტიკური წონასწორობა და როგორც ხშირად ხდება ისტორიაში, გამარჯვებული მხარე არაერთი ძლიერი და ჩვეული მოწინააღმდეგის წინააღმდეგ, არამედ ახალი ბევრი მოულოდნელი საშიშროების პირისპირ აღმოჩნდა. ასე დაემართათ რუსეთსა და ბიზანტიას. ხაზარეთი მათთვის, რა თქმა უნდა, გარკვეულ საშიშროებას ქმნიდა, მაგრამ, უფრო მეტად, ის იყო გარკვეული ბარიერი აღმოსავლეთიდან მომდინარე მომთაბარეთა მიგრაციული ტალღების შესაჩერებლად. ნომადებისათვის ახლა გზა გახსნილი იყო. ამის შემდეგ დასავლეთისაკენ მიგრირდნენ პაჭანიკები, თურქები, პოლოვცები (ყივჩაყები).

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასა და ყირიმში პაჭანიკები ეთნიკურ კონტაქტში შევიდნენ ბიზანტიელებთან. ურთიერთობა მათ შორის იყო ხან მტრული, ხან სამოკავშირეო. ურთიერთობის სახეს კი ეთნოპოლიტიკური სიტუაცია განსაზღვრავდა. პაჭანიკები რვა თემისაგან/ურდოსაგან შედგებოდნენ.

შენიშნულია, რომ დიდი სტეპის განაპირა რეგიონი – ჩრდილოეთ-დასავლეთი კავკასია – ყაზახეთის სიღრმეებში, შუა აზიასა და სამხრეთ ციმბირში ჩამოყალიბებულ მომთაბარეთა ქცევის სტერეოტიპს მკვეთრად ცვლიდა. აღმოსავლეთში მომთაბარეები კლასიკურ ნომადებს/სტეპნიაკებს წარმოადგენდნენ, რაც განპირობებული იყო ცენტრალური აზიისა და მონღოლეთის კლიმატით, სადაც ზამთრობით თოვლი უმნიშვნელო რაოდენობით მოდიოდა და ცხოველებს შეეძლოთ მის ქვეშ საკვები მოეძიათ. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში კი სხვაგვარი ვითარება იყო. აქაური ბევრად ტენიანი ჰავაა განაპირობებდა უფრო სქელი თოვლის საფარის (30 სანტიმეტრამდე) დადებას და თოვლის საფარის ქვეშ საკვების მოპოვება შეუძლებელი იყო. ამიტომაც საქონლისათვის საჭირო იყო მუდმივი საზამთრო სადგომის გამართვა, საკვების მარაგის დამზადება, რათა საქონელი უჭმელობით არ დაეღუპათ, ან ზამთარში იქ დამდგარიყვნენ, სადაც საქონელი თოვლის საფარვე-

ლის ქვეშ მშრალი ბალახის მოპოვებას შეძლებდა (ეს კი შესაძ-ლებელი იყო აზოვისპირეთში). ამიტომ ყველა აღმოსავლეთიდან მოსული მომთაბარე, რომელიც განსხვავებულ კლიმატურ პირობე-ბში აღმოჩნდებოდა, იძულებული იყო სწრაფად გადასულიყო მომ-თაბარეობიდან ნახევრადმომთაბარე ან ბინადარ მეურნეობაზე. აზო-ვისპირეთში, ყუბანისპირეთსა და ყუბანისპირა სტეპებში მოსული ყველა მომთაბარე – ბულგარები, პაჭანიკები, ყივჩაღები – მომთა-ბარეობიდან ნახევრად მომთაბარე ცხოვრების ყაიდაზე გადადიოდა. ქცევის სტერეოტიპის შეცვლამ აქამდე მტრებისათვის ხელმიუწვ-დენელნი დასაძლეველნი გახადა და მოწინააღმდეგებს მათი სამხე-დრო დამარცხების საშუალება მისცა, რამაც საბოლოოდ მათი განადგურება და ეთნიკური ისტორიის არენიდან სრული გაქრობა გამოიწვია.

პაჭანიკებს ეს დაემართათ XI საუკუნეში. პაჭანიკების ტერი-ტორია აღმოსავლეთიდან შემოჭრილმა ახალმა თურქულმა ეთნოს-მა – ყივჩაღებმა დაიკავეს. მათ შორის ომი იყო გამანადგურებელი. ყივჩაღებისაგან შევიწროვებულმა პაჭანიკებმა, თავის მხრივ, რუსე-ბსა და ბიზანტიაზე გააძლიერეს ზეწოლა, მაგრამ განადგურებული იქნენ ორჯელ: 1036 წელს კიევთან – *იაროსლავ ბრძენის* მიერ და 1091 წელს – ლებურნთან *ალექსი კომნენოსის* მიერ. XII სა-უკუნეში ეთნონიმი – პაჭანიკი – მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური ისტორიიდან გაქრა.

პაჭანიკების ადგილზე ყივჩაღები მოვიდნენ, რომლებმაც სტე-პებში დაქსაქსული პაჭანიკების, გუზების ურდოების და ნაწილობ-რივ ბულგართა და ალანთა ნარჩენები შეიწოვეს და გადაიქცნენ ეთნოსად, რომელიც შეცვლილი ფიზიკური ტიპითა და ნაწილობ-რივ კულტურული იერსახით გამოირჩეოდა; რუსეთში მათ „პო-ლოვცების“ სასახელწოდებით მოიხსენიებდნენ, ევროპაში – კუმა-ნებისა. ლოკალიზებულ იქნენ აზოვის ზღვის ჩრდილოეთით, ჩრდილოეთ დონცის აუზში. პოლოვცების გვერდით დნეპრიდან და-სავლეთით ჩამოყალიბდა მათი მონათესავე კუმანების ეთნოსი. XI საუკუნის 60-იან წლებში ყივჩაყები საბოლოოდ ფორმირდნენ დო-ნცის აუზში, ქვემო დონზე და აზოვისპირეთში. აქ ისინი იყვნენ არა ტიპური მომთაბარე ეთნოსი, არამედ ნახევრადმომთაბარენი,

რომლებიც ზამთარში გამოზამთრების ადგილზე იყვნენ მიჯაჭვულნი, ზაფხულში კი – საძოვრებზე. იმის გამო, რომ ამ სტეპებს „მესაქონლე-მომთაბრეების“ მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის გამოკვება შეეძლოთ, XII საუკუნის შუა ხანებიდან დაწყებული დემოგრაფიული აღმავლობის ფონზე, ყივჩაღებმა დაიწყეს აქტიური განსახლება დასავლეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ. კავკასიისწინეთში ყივჩაღები ჯერ კიდევ XI საუკუნეში გამოჩნდნენ, საუკუნის ბოლოს კი საბოლოოდ გააძევეს რა პაჭანიკები, დაიკავეს დომინირებული მდგომარეობა და გავრცელდნენ მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში.

ყივჩაღების განსახლებას ყველგან თან ახლდა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეჯახება, მაგალითად, ასეთი შეჯახება კავკასიაში მოუხდათ ადიღეელებთან და ალანებთან. ყივჩაღთა ექსპანსიის შედეგად, ადიღეელების მიწები ყუბანისპირეთში მნიშვნელოვნად შემცირდა. ეთნიკური საზღვარი ყივჩაღებს, ადიღეელებსა და ალანებს შორის საბოლოოდ ყუბანის დინებზე დადგინდა. ყივჩაყების კავკასიისწინეთში გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი საშიში მტრის კიევის რუსეთისაგან შორს წასვლა იყო. მეცნიერებს დადასტურებული აქვთ ყივჩაღების შეღწევა ადიღეელების ტერიტორიაზე. ასეთივე მოვლენას ჰქონია ადგილი მონღოლებამდე პერიოდში დასავლეთ ალანიის ტერიტორიაზე.

სხვაგვარი აღმოჩნდა მონღოლთა ექსპანსია. ისინი ბევრნი არ ყოფილან – XIII საუკუნის დასაწყისში 700 ათასს ითვლიდნენ. მათ დაამარცხეს მრავალმილიონიანი სახელმწიფოები: ჩინეთი, ხორეზმი. მონღოლ-თათრები დარტყმებს აყენებდნენ იმავე ლანდშაფტურ ზონაში მომთაბარე ეთნოსებს, რომლის ანალოგიურ ლანდშაფტში თვითონ მომთაბარეობდნენ, ე. ი. სტეპებში. ასე დაუპირისპირდნენ ყივჩაღებსა და ალანებს. სხვა ლანდშაფტურ ზონებში კი ისინი აქ მოკლე, მაგრამ სწრაფი ლაშქრობებს აწყობდნენ, მაგალითად, კავკასიის მთისწინეთში ადიღეელების, კიევის, ვლადიმირისა და სუზდალის სამთავროების წაინააღმდეგ. განსხვავებულ ლანდშაფტში მონღოლ-თათრები იყენებდნენ წერტილოვან დარტყმებს და მალევე უბრუნდებოდნენ ჩვეულ ლანდშაფტს – სტეპებს. ასე რომ, განადგურებული ეთნოსების ტერიტორიაზე მონღოლები

დიდხანს არ ჩერდებოდნენ — დაადებდნენ გადასახადს და მალევე ჩვეულ გარემოს უბრუნდებოდნენ.

მონღოლებმა ბევრი ეთნოსი გაანადგურეს, მაგალითად, ალანები, ყივჩაყები, რომლებსაც განსახლების არეალი დააკარგვინეს. ყივჩაღებისა და ალანებისაგან მხოლოდ რაღაც მცირე ნაწილიბიღა შემორჩა, რომლებმაც უკვე სხვა არეალში გააგრძელეს არსებობა; უმეტესი მათგანი სხვა ეთნოსებს შეერია. 1237 წელს ყივჩაღები/კუმანები მონღოლებმა გაანადგურეს. პირველი ცდა ყივჩაღებისა და ალანების განადგურებისა მათ 1222-1223 წლებში ჰქონდათ. ყივჩაღთა ურდოები თავშესაფარს ეძებდნენ მეზობელ ქვეყნებში და ნახულობდნენ თავშესაფარს კიევისა და ვლადიმირ-სუზდალის სამთავროებში, უნგრეთში, ლიტვაში. სხვა ეთნოსფერაში გადასახლებისა და მართლმადიდებლობისა და კათოლიკობის მიღების შემდეგ ყივჩაღებმა დეეთნიზაცია განიცადეს, მიიღეს სხვათა ეთნიკური ქცევის სტერეოტიპი.

ყველაზე ძლიერი იყო მონღოლების მესამე შემოსევა (1237-1239 წლები), რომელმაც მთელი ჩრდილოეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ეთნიკური რუკა საბოლოოდ შეცვალა. მესამე შემოსევის დროსაც მონღოლთა მიზანს ყივჩაღების განადგურება წარმოადგენდა. ისინი ცდილობდნენ სტეპებში ყივჩაღები დაექსაქსათ და მთლიანად დაუფლებოდნენ აღმოსავლეთ ევროპის — აზოვისპირეთის, შავიზღვისპირეთისა და ვოლგისპირეთ-დონის სტეპებს. ალანებმა წინააღმდეგობა 1239 წლამდე გააგრძელეს; ალანების სახელმწიფომ მალე არსებობა შეწყვიტა. პოლოვცები/კუმანები/ყივჩაღები ვეებერთელა სივრცეში უნგრეთიდან დაღესტანამდე და აღმოსავლეთ რუსებიდან ეგვიპტემდე გაიფანტნენ. ყივჩაყები გაიფანტნენ ხუთი ძირითადი მიართულებით: 1. დასავლეთით ევროპაში. აქ პოლოვცები წავიდნენ ვალახიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, სადაც ასიმილირდნენ; 2. სამხრეთ კავკასიაში, სადაც იგივე ბედი ეწიათ; 3. ჩრდილო-დასავლეთით: ლიტვაში, რუსულ სამთავროებში; 4. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთებში. მათი შთამომავალნი არიან ბალყარელები და ყარაჩაელები; 5. ახლო აღმოსავლეთსა და ეგვიპტეში, სადაც ყივჩაღები მოხვდნენ როგორც მონები და როგორც გადასახლებულები. 1250 წლიდან 1381

წლამდე ეგვიპტე გაივსო დეშტ-ი-ყიფჩაღიდან გამოსულებით. საბოლოოდ აქაც ისინი ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფნენ.

მონღოლი სამხედრო მეთაურები ხალისით იყენებდნენ ყივჩაყებს განსაკუთრებით რთულ ლაშქრობებში. ცნობილია, რომ ყივჩაღთა რამდენიმე ასეული ვოლგის ბულგარეთის დასაპყრობად იბრძოდა. ისინი დარჩნენ აქ და ყივჩაღური ენა ვოლგის ბულგარელთა ენად იქცა.

XVIII საუკუნემდე ყარაჩაელები ბალყარელების გვერდზე ცხოვრობდნენ ბაქსანის ხეობაში დღევანდელი ბალყარეთის ტერიტორიაზე. XVII–XVIII საუკუნეების მიჯნაზე ყარაჩაელებმა დატოვეს ცენტრალური კავკასია და დასახლდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ყუბანის სათავეებში და თებერდის აუზში.

პოლოვცებმა/ყივჩაყებმა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთისწინა რაიონებში ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში მონღოლების შემოსევებამდე დაიწყეს შეღწევა. XI-XII საუკუნეები იყო ყივჩაღების ინფილტრაციის დასაწყისი სტეპური და კავკასიური ეთნოსების საკონტაქტო ზონაში. ყარაჩაელ-ბალყარელთა ეთნოგენეზის დასკვნითი მომენტი კი იყო ყივჩაღების ჯგუფური გადასახლება XIII საუკუნეში.

უკანასკნელ წლებში აზერბაიჯანში დაიბეჭდა არაერთი გამოკვლევა, რომლებშიც ამტკიცებენ, რომ თურქები კავკასიის ავტოქტონი ხალხია. რა თქმა უნდა, ეს სინამდვილეს არ შეესაბამება და ისინი აქ მიგრირებული არიან. აზერბაიჯანის ტერიტორია კავკასიელი ალბანელებით იყო დასახლებული. ისინი აქ ჯერ სომხების (ყარაბაღის ტერიტორიაზე) და შემდეგ მიგრირებული თურქების მიერ იქნენ ასიმილირებული. თურქთა პირველი დიდი ჯგუფები კავკასიაში XI საუკუნეში გამოჩნდნენ. ასევე არ მკვიდრობდნენ თურქულენოვანი ტომები მცირე აზიაში (მხედველობაში თუ არ მივიღებთ უმნიშვნელოდ დასახლებულ პაჭანიკებსა და ღუზებს). მიგრირებულმა თურქებმა დროთა განმავლობაში ადგილობრივი და მაღალი კულტურის ბიზანტიური მოსახლეობის თურქიზაცია მოახდინეს. ასიმილაცია ძირითადად ისლამიზაციის ფონზე მიმდინარეობდა. გარდა ამისა, მცირე აზიაში ოღუზური და ყივჩაღური მოსახლეობის დიდი ნაკადების მიგრაცია მონღოლთა თარეშებმაც

განაპირობა. შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ როგორც თურქეთის, ისე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ადგილობრივი ხალხების თურქიზაცია ერთჯერადი აქტი არ ყოფილა – ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა, I ათასწლეულში დაწყებული პროცესი თითქმის XIX-XX საუკუნეებმდე მიმდინარებდა.

შუა საუკუნეებში ეთნიკური ისტორიის სცენაზე გამოჩნდნენ ყაზანელი თათრები – ბულგართა შთამომავლები, ასტრახანის თათრები – ხაზართა შთამომავლები, ნოღაელები – გუზების შთამომავლები, ყირიმის თათრები – სხვადასხვა ხალხის შენარევი ეთნოსი. ნოღაელთა სუბსტრატს წარმოადგენდნენ როგორც მონღოლები, ისე სხვადასხვა თურქული მოდგმისანი, განსაკუთრებით, ყივჩაღები და, შესაძლოა, გუზები, რომლებმაც ნოღაელებს გადასცეს თავიანთი ენა. ნოღაელთა განსახლების არეალი საბოოლოოდ რუსეთის იმპერიამ მოსპო. დაახლოებით 700 ათასი ნოღაელი ოსმალეთის იმპერიაში ემიგრაციაში წავიდა. მათ დაუდეს საფუძველი ემიგრაციის პირველ ტალღას. მიგრაციის მეორე ტალღა კავკასიური ომების დასასრულს მოხდა. 1790 წელს უკვე ოსმალეთ-რუსეთის ომის დროს ნოღაელთა ნაწილი გადასახლებული იქნა უფრო შორს მდინარე კუმასა და კასპიის ზღვის ნაპირებზე. 1787 და 1790 წლებში ადიღეელების ზეწოლით ნოღაელები, რომლებიც მომთაბარეობდნენ ურუპისა და ლაბის შესართავებს შორის, რუსეთის ხელისუფლების ნებართვით კიდევ ერთხელ გადაადგილდნენ ყუბანის მარჯვენა ნაპირზე. XVIII საუკუნის 80-იან წლებში კავკასიის გუბერნიის ფარგლებში ცნობილი იყო ნოღაელთა სამი ძირითადი ჯგუფი. ესენი იყვნენ ყიზლიარის (ძირითადად ყარანოღაელები), მოზდოკის (ყუბანიდან გადმოსახლებულნი) და ბეშტოველები, რომლებიც ცხოვრობდნენ პიატიგორიეს რაიონში.

XIII საუკუნეში მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში ახალი ოსმალური ეთნოსი წარმოიქმნა. თურქ-ოსმალების, ისევე როგორც თურქ-სელჯუკების განვითარების ადგილი ანატოლიაა, რომელიც სტეპურ პლატოს წარმოადგენს. სწორედ აქ ჩვეულ ლანშაფტში გაჩერდნენ, დაფუძნდნენ და შექმნეს თავიანთი ეთნოსფერა თურქმენებმა, რომლებიც აქ XI საუკუნის დასაწყისში შემოიჭრნენ შუა აზიიდან და გადაიქცნენ თურქ-სელჯუკებად და თურქ-ოსმა-

ლებად. თურქი-სელჯუკები გამოვიდნენ **კინიკის ტომიდან**, ოსმალები — **კაიის ტომიდან**. ოსმალურმა ეთნიკურმა სისტემამ აითვისა ახალი — ანატოლიის — ეთნოსფერა.

ვრცელ ტერიტორიაზე მონღოლთა დაპყრობებს თან ახლდა მთელ რიგ ეთნიკურ ერთობათა გადაადგილებანი, რასაც შედეგად მოჰყვა სრულიად სხვადასხვა წარმოშობის ხალხების ერთმანეთთან შერევა და ცენტრალური, შუა და წინა აზიის, კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ახალი ეთნოსების ფორმირების წინაპირობები შეიქმნა. ამ ეთნიკური პროცესების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თათრების სხვადასხვა ჯგუფის გამოჩენა ციმბირში, ვოლგა-კამასა და ყირიმში. მონღოლ-თათართა კვალდაკვალ კავკასიასა და მცირე აზიაში, ოდნავ მოგვიანებით კი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, შეიჭრა თურქული მოდგმის ხალხების ახალი ჯგუფი — ოღუზები, რომლებიც თანამედროვე შუაზიელი თურქმენების მონათესავენი იყვნენ. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ და არსებითი როლი ითამაშეს ახალი ეთნოსების ჩამოყალიბებაში, მათ შორის აზერბაიჯანელებისა და თურქ-ოსმალებისა, რომლებმაც XV საუკუნეში გაანადგურეს ბიზანტია და რამდენიმე საუკუნით დაიპყრეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის ბევრი ხალხი. XV საუკუნეში აზიაში, ევროპასა და აფრიკაში ჩამოყალიბდა თითქმის ყველა ეთნოსი, რომელიც დღევანდლამდე არსებობს.

II.7. არაბთა მიგრაციები

არაბები მახლობელი აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის 19 ქვეყანაში ცხოვრობენ. ბიბლიური ისტორიული გადმოცემების თანახმად არაბები ძვ. წ. XIV საუკუნეში იორდანიის იქით მოიხსენიებიან, შემდეგ კი სამხრეთ არაბეთიდან პალესტინაში გამოჩნდა არამეელი მწყემსების ტომი. თავდაპირველად ამ ტომებს „იბრი“-ს უწოდებდნენ, რაც „მდინარის მეორე მხრიდან“ („გაღმა მხარის“ ანუ „მდინარეზე გადმოსულებს“ ნიშნავს). როგორც მეცნიერებმა გაარკვიეს, ამ მდინარეში მდინარე ევფრატი იგულისხმება. ერთი სიტყვით, არაბეთიდან გამოსულმა ტომებმა თავდაპი-

რველად ჩრდილოეთისაკენ – მესოპოტამიაში წამოიწიეს, შემდეგ კი უკან გაბრუნდნენ.

არაბები თავიაანთ სამშობლოს უწოდებენ არაბეთს – *ჯაზირათ ალ-არაბ*, ე. ი. „არაბთა კუნძულს“. სინამდვილეში დასავლეთიდან არაბეთის ნახევარკუნძულს აკრავს წითელი ზღვა, სამხრეთიდან – ადენის ზღვა, აღმოსავლეთიდან – ომანისა და სპარსეთის ყურეები. ჩრდილოეთით კი გადაჭიმულია ძნელად გასავლელი სირიის უდაბნო. ბუნებრივია ასეთ გეოგრაფიულ გარემოში ძველი არაბები, ფაქტობრივად, იზოლირებული იყვნენ და ამიტომაც საკუთარ თავს „კუნძულზე მაცხოვრებლებს“ უწოდებდნენ.

არაბთა წარმოშობაზე როდესაც საუბრობენ, ჩვეულებრივ გამოყოფენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს, რომლებსაც თავისებურებები გააჩნიათ. ესენია: 1. სირიისა და იორდანიის აღმოსავლეთი რაიონები. 2. მეორე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ზონა (ანუ ოლქი) მოიცავს დანარჩენი სირიის, იორდანიის ტერიტორიებს, აგრეთვე ლიბანსა და პალესტინას; 3. ცალკე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ზონად მიიჩნევენ ერაყს; 4. ერთ ზონაში გაერთიანებული არიან ეგვიპტე, ჩრდილოეთი სუდანი და ლიბია. დაბოლოს, 5. მაღრიბულ-მავრიტანიული ზონა მოიცავს: ტუნისს, ალჟირს, მაროკოს, აგრეთვე მავრიტანიასა და დასავლეთ საქარას.

არაბეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე არაბეთის მოსახლეობა ორ ჯგუფად იყოფა: ბინადარი მიწათმოქმედები და მომთაბარე-მესაქონლეები. ამასთანავე არსებობდა შერეული მეურნეობის სხვადასხვა ტიპებიც.

დაახლოებით ძვ. წ. III ათასწლეულში არაბეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა სემიტებმა მესოპოტამიასა და სირიაში დაიწყეს დასახლება. ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან დაიწყო არაბების ინტესიური გადაადგილება „ჯაზირათ ალ-არაბიის“ ფარგლებს გარეთ. მაგრამ ის არაბული ტომები, რომლებიც გამოჩნდენენ შუამდინარეთში ძვ. წ. III-II ათასწლეულებში, მაშინვე ასიმილირდნენ იქ მცხოვრები აკადელების მიერ. გვიან, ძვ. წ. XIII საუკუნეში სემიტური ტომების ახალი გადაადგილება დაიწყო, რომლებიც არამეულად ლაპარაკობდნენ. ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში სირიაში არამეულმა აკადური ენა შეავიწროვა და ის

ძირითად სალაპარაკო ენად იქცა.

ახალი ერის დასაწყისში არაბთა მნიშვნელოვანი მასები გადასახლდნენ მესოპოტამიაში, სამხრეთ პალესტინასა და სინაის ნახევარკუნძულზე. ზოგიერთმა ტომმა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნიც კი შექმნა. სხვათა შორის, არაბთა ტომების სირია-პალესტინის რეგიონში ცხოვრებამ შეაფერხა მათი შემდგომი მასობრივი მიგრაციები. შემდეგი ეტაპი იყო არაბების მიერ ეგვიპტეში შეღწევა. ასე, მაგალითად, ზემო ეგვიპტის ქალაქი კოპტოსი ჯერ კიდევ მუსლიმურ დაპყრობებამდე ნახევრად არაბებით იყო დასახლებული.

არაბთა ტომების გაერთიანებას ხელს უშლიდა რელიგიური ვითარება. ძველი არაბები წარმართები იყვნენ. ყოველი ტომი თავის ღვთაება-მფარველს ეთაყვანებოდა, თუმცა ზოგიერთი მათგანი შეიძლება საერთოარაბულად ჩავთვალოთ: ალახი, ალ-უზა, ალ-ლათი. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში არაბეთში ცნობილი იყო იუდაიზმისა და ქრისტიანობის შესახებ. უფრო მეტი, იემენში ამ ორმა რელიგიამ წარმართული კულტები პრაქტიკულად განდევნა. სპარსული დაპყრობის წინ იემენელი იუდეველები ებრძოდნენ იემენელ ქრისტიანებს, ამასთანავე იუდეველები ორიენტირებდნენ სასანურ სპარსეთზე (რამაც გაუადვილა სპარსელებს ხიმიარიტის სამეფოს დაპყრობა), ქრისტიანები კი — ბიზანტიაზე. ამ პირობებში წარმოიქმნა არაბული მონოთეიზმის თავისებური ფორმა, რომელშიც (განსაკუთრებით ადრეულ ეტაპზე) მნიშვნელოვნად, მაგრამ თავისებურად აისახა იუდაიზმისა და ქრისტიანობის ზოგიერთი პოსტულატი. მისი მხარდამჭერები — ხანიფები — ერთიანი ღმერთის იდეის მატარებელნი გახდნენ. თავის მხრივ, მონოთეიზმის ამ ფორმამ ნიადაგი შეუმზადა ისლამის წარმოსაქმნას.

აღნიშნულ პერიოდში უფრო ფართოდ გავრცელდა არაბული დამწერლობა, რომელმაც შემდგომში დიდი როლი ითამაშა შუა საუკუნეების არაბული კულტურის ფორმირებაში, ხოლო ისლამის ჩასახვის ეტაპზე განაპირობა ინფორმაციის დაგროვება და გადაცემა. პოეზიის ერთი და იმავე ენის გამოყენებამ არაბული ერთობის ფორმირებასაც შეუწყო ხელი. ბუნებრივია, რომ არაბული ენის გავრცელების პროცესი ერთდროულად არ მიმდინარეობდა.

ის ყველაზე სწრაფად ვრცელდეობდა იმ ოლქებში, სადაც სემიტური ჯგუფის მონათესავე ენებზე ლაპარაკობდნენ. სხვა რაიონებში არაბიზაციის პროცესი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა — რიგმა ხალხებმა, რომლებიც არაბთა ხალიფატის ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდნენ, თავიანთი ენობრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეძლეს.

როგორც აღინიშნა, არაბები წარმოადგენენ არაბეთის ნახევარკუნძულის ძირძველ მობინადრეებს. ეთნონიმი „არაბი“ არ წარმოადგენს თვითსახელწოდებას. უპირველეს ყოვლისა ამ ტერმინს გამოიყენებდნენ მესოპოტამიისა და წინა აზიის მცხოვრებნი, რომლებიც ასე უწოდებოდნენ არაბეთიდან გამოსულებს. შემდგომში, როდესაც არაბეთის ტომებმა მუჰამედისა და მისი მემკვიდრეების ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება დაიწყეს, სწორედ ეს ტერმინი მიემაგრა მათ, ვინც შევიდა მის ნაქადაგარ ტომთა გაერთიანებაში. ამრიგად, საუბარია მონათესავე ტომების ჯგუფების შესახებ, რომელთათვისაც საერთოს წარმოადგენდა არა მხოლოდ ბინადრობის გარემო, რელიგიური შეხედულება, არამედ უპირველეს ყოვლისა ენა (კოინე), რომელიც განასხვავებდა მათ იმათგან, რომელიც ლაპარაკობდა არამეულად, ბერძნულად ან ებრაულად. ამ ენის ბაზაზე უკვე IV-V საუკუნეებში წარმოიქმნა ზეპირი (პოეტური) ლიტერატურა. მთლიანად არაბები შედიან სემიტი ხალხების ჯგუფში, რომელთა სახელწოდება დაკავშირებულია ბიბლიური პერსონაჟის *ცემის* სახელთან, რომელიც იყო ნოეს ერთ-ერთი შვილთაგანი.

არაბთა ეთნიკური ერთობის შიგნით მეცნიერები სხვადასხვა ანთროპოლოგიურ ტიპებს გამოყოფენ. ეს იმას მოწმობს, რომ განსახლების პროცესში არაბებმა სხვადასხვა წარმომავლობის ეთნიკური ჯგუფების არაბიზაცია მოახდინეს. ასე, მაგალითად, ერაყსა და აღმოსავლეთ არაბეთში არსებობს არმენოიდული ტიპი, ხოლო სამხრეთ არაბეთში — ეთიოპური ანთროპოლოგიური ტიპი. საერთოარაბული ეთნოსის ჩამოყალიბა მნიშვნელოვნად განაპირობა ისლამის გავრცელებამ. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ეს პროცესი — არაბიზაცია და ისლამიზაცია — სინქრონულად მიმდინარეობდა. როგორც წესი, ისლამიზაცია წინ უსწრებდა დაპყრობილი, დამო-

რჩილებული მოსახლეობის არაბიზაციის (ასიმილაციის) პროცესს. ახალმოქცეულები ხდებოდნენ უმის (თემის) წევრები, რაც მათ საგადასახადო ტვირთს უმსუბუქებდა. არაბთა სახალიფოს მოსახლეობის გამაერთიანებელ ფაქტორად ფაქტობრივად ისლამი იქცა. თუმცა არაბიზაციის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ხალიფა უმარის დროს (632–644 წწ.) არაბები შეადგენდნენ ხალიფატის მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედს. დამახასიათებელია, რომ არაბიზაციის პროცესი სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა მახლობელ აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. მახლობელი აღმოსავლეთის ავტოქტონური მოსახლეობა ძირითადად იყო სემიტური (არამეელები, ფინიკიელები), ამიტომ არაბიზაციისა და ისლამიზაციის პროცესი უფრო მშვიდად მიმდინარეობდა.

ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი (მაგალითად, ეგვიპტის, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა – კოპტები, აგრეთვე ლიბიური და ბერბერული ტომები) ქამიტურ ჯგუფს მიეკუთვნებოდა. ამიტომ არაბ დამპყრობთა მიერ აქ ავტოქტონი მოსახლეობის მუდმივი ასიმილაციის პროცესი ადგილობრივი ენების არაბული ენის მიერ გამოდევნის პარალელურად ხდებოდა. დაპყრობილ ტერიტორიებზე არაბულ ენასთან ერთად არაბული კულტურაც სწრაფად ვრცელდებოდა.

სრულიად სხვაგვარი იყო ვითარება იმ ქვეყნებში, სადაც არაბები ცოტანი იყვნენ. რაც უფრო აღმოსავლეთით მივდიოდით, მით უფრო ნაკლებ იგრძნობოდა არაბული ენის გავლენა, თუმცა ეს ისლამიზაციის პროცესს ხელს არ უშლიდა. მაგალითად, ირანში კულტურული სუბსტრატი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ არაბიზაციას აქ რაიმე წარმატება არ ჰქონია. ირანში ისლამი დაექვემდებარა ადგილობრივ კულტურულ ტრადიციებს, რის გამოც წარმოიქმნა მისი შიიტური შტო.

პრაქტიკულად არაბეთის ხალიფატის მთელი ისტორია მოწმობს იმას, რომ არაბიზაციის პროცესი მომდინარეობდა ბუნებრივი გზით, რადგან მმართველების წინაშე მოსახლეობის სრული არაბიზაციის საკითხი არც იდგა. ახალმოქცეულთათვის ეკონომიკური პრივილეგიები ისლამს მიმზიდველად აქცევდა.

ამრიგად, არაბებმა, არაბულმა ენამ, არაბულმა კულტურამ და არაბულმა სახელმწიფოებრიობამ არსებითი როლი ითამაშა იმ სართო არეალის ფორმირებაში, რომელსაც ჩვენ დღეს პირობითად ვუწოდებთ „არაბულ სამყაროს“. ეს სამყარო წარმოიქმნა და ჩამოყალიბდა არაბთა დაპყრობების, მიგრაციის შედეგად და ისლამის გავლენით ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. მომდევნო დროის განმავლობაში ირანიდან ატლანტიის ოკეანემდე ჩამოყალიბდა და განვითარდა ყოფის ძირითადი პრინციპები და ნორმები, ურთიერთობათა და კულტურული ღირებულებების იერარქია, რომლებიც წარმოქმნა მუსლიმური რელიგიის ზემოქმედებით და მათთან დაკავშირებული არაბული კულტურული ტრადიციებით.

II. 8. უნგრელების მიგრაცია

უნგრული ტომები, რომლებიც თავის თავს მადიარებს უწოდებენ, ფინურ-უგორულ ხალხთა ჯგუფს მიეკუთვნებიან; ისინი ევროპაში გამოჩნდნენ IX საუკუნის შუა ხანებში. აქამდე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მომთაბარეობდნენ ურალისწინეთში, მდინარე კამაზე და მისდევდნენ მეირმეობას. მაგრამ გვაროვნულ-ტომობრივი სტრუქტურის მოშლამ და მეზობელი ნომადების ზეწოლამ, შეტევებმა მადიარები აიძულა დასავლეთისაკენ დაძრულიყვნენ და თითქმის ჰუნებისა და ავარების ნაკვალევზე გადაადგილებულიყვნენ. IX საუკუნის შუა ხანებში ბელადის – *არპადის* მეთაურობით უნგრელები, ბიზანტიელთა პოლიტიკური თამაშების ორბიტაში აღმოჩნდნენ. იმპერატორი ლევ VI შეეცადა ისინი თავისი მოწინააღმდეგეების – ბულგარების წინააღმდეგ გამოეყენებინა, მაგრამ როგორც კი უნგრელებმა გადალახეს კარპატების მთები, მათი პრიორიტეტები შეიცვალა: მადიარები ბულგარებსა და პაჭანიკებს შორის ჩაჭედილები აღმოჩნდნენ. მათი დიდი ნაწილი ევროპაში, სტეპების უკანასკნელ კერაში პანონიაში (მომავალ უნგრეთში) გადასახლდა.

პანონიამ შედარებითი სიწყნარე ავარების განადგურების შემდეგ მოიპოვა, რომელიც მეტნაკლებად გერმანელების მიერ იყო ათვისებული – ბალატონის ტბის ჩრდილოეთით ზალცბურგის არ-

ქიეპისკოპოსმა საძირკველი ჩაუყარა ქრისტიანულ ეკლესიას (850 წელი). მაგრამ 895-სა და 899-ს წლებს შორის მშვიდობა დასრულდა; ახალმა მომთაბარეებმა პანონია თავისი ინტერესის ობიექტად აირჩიეს. განსახლებისთანავე უნგრელებმა დაიწყეს არა დაპყრობითი, არამედ ძარცვითი ლაშქრობები. მთელი მომდევნო 56 წელი უმძიმესი იყო დასავლეთ ევროპისათვის; არაბთა თარეშებს და ვიკინგების თავდასხმებს უნგრელთა ექსპანსიაც დაემატა.

თითქმის ყოველ წელს მადიარების ცხენოსანი ჯარი სხვადასხვა მიმართულებით მიემართებოდა და ატერორებდა მოსახლეობას, რის შედეგადაც ტოვებდა გაპარტახებულ და დაქცეულ სოფლებს. ქალაქები მათ არ აინტერესებდათ და სასოფლო რაიონების ძარცვას მისდევდნენ. ფაქტობრივად, მრალარიცხოვან და მოძრავ უნგრულ კავალერიას ღირსეულ წინააღმდეგობას ვერავინ უწევდა.

899-955 წლებში წყაროებში მადიარების 33 ლაშქრობაა დაფიქსირებული. მოლაშქრეები ძირითადად მიემართებოდნენ გერმანის, საფრანგეთისა და იტალიისაკენ; ხშირად უნგრული კავალერია ერთდროულად სხვადასხვა რეგიონებში მიემართებოდა: 915 წელს მადიარებმა მიაღწიეს ბრემენამდე, 937 წელს – ორლიანამდე, 947 წელს – იტალიის ოტრანტომდე. არსებითად, მათი თარეშების არენად იქცა მთელი დასავლეთი ევროპა, ატლანტიის ოკეანის სანაპიროსა და ესპანეთს გარდა. უნგრელები 11-ჯერ შეიჭრნენ ბავარიაში, 13-ჯერ – ლომბარდიაში. მხოლოდ გერმანელი მეფეების გადამწყვეტმა პოლიტიკამ შეძლო სიტუაციის გარდატეხა.

II. 9. ნორმანების (ვიკინგების) ექსპანსია/მიგრაცია

ევროპის კონტინენტზე მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ნორმანების (ვიკინგების) ექსპანსიამ. პროფესიონალი ვიკინგები მარგინალები იყვნენ, რომლებიც მთელ ცხოვრებას ომებსა და თარეშებში ატარებდნენ. ბოლო ეტაპამდე ძირითადი მოქმედი პირები, რომლებიც ლაშქრობებში მონაწილეობდნენ ბონდების (თავისუფალი ადამიანები) ოჯახებიდან იყვნენ გამოსული. რამდენიმე სეზონის განმავლობაში ექსპანსიის შემდეგ, შეიძენდნენ რა სიმდი-

დრეს, სოციალურ კავშირებსა და ავტორიტეტს, ტოვებდნენ ამ საქმიანობას და სტაბილურ და ბინადარ ცხოვრებაზე გადადიოდნენ. ზღვისიქითა, უცხოურ ლაშქრობებში მონაწილეობა მიიღო სკანდინავიის მთელი ასაკოვანი თავისუფალი მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედმა.

ვიკინგების ექსპანსიის ფორმები მრავალფეროვანი იყო. გამოყოფენ ძარცვითი ლაშქრობების სამ ვარიანტს. ეპოქის დასაწყისში – დაახლოებით IX საუკუნის პირველი მესამედის ბოლომდე დომინირებდა აშკარად პირატული თავდასხმები ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის სანაპიროებზე, რომელიც ხორციელდებოდა მცირე რაზმებით (როგორც წესი რამდენიმე ან ერთი ხომალდით). ასეთ შემთხვევაში ვიკინგებს არავითარი სტრატეგიული მიზანი არ ჰქონდათ; ხდებოდა ერთეჯადი გაუდაბურება, აგრეთვე მონასტრების მარაგისა და ძვირფასეულობის ძარცვა. ექსპანსიის მეორე ფორმა იყო ათეულობით ხომალდით, რაზმებით ორგანიზებული თავდასხმები. ასეთი შემთხვევები მიზნად ისახავდა სანაპიროს ახლოს მდებარე ტერიტორიების ოკუპაციას ან ბეგარის შეწერვას. ამ დროს ვიკინგებმა დაიწყეს გამაგრებული ბანაკების მშენებლობა (მაგალითად, დუბლინი) და კონტროლირებად ტერიტორიას განიხილავდნენ არა როგორც ძარცვის ობიექტს, არამედ როგორც სტაბილური სიმდიდრის წყაროს.

X საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც სკანდინავიაში სახელმწოფოების ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო და გამოჩნდნენ *კონუნგები*, რომლებსაც პრეტენზია ჰქონდათ მეფის სტატუსზე, დადგა ექსპანსიის ფინალური ეტაპი. ის გამოიხატებოდა ლაშქრობებში, რომლებიც ხდებოდა არა კერძო ინიციატივით, არამედ ახალი მბრძანებლების მონაწილეობით. მაგრამ, ამასთან ერთად, ექსპანსიის სხვა ვარიანტებიც თანაარსებობდა. ასე მაგალითად, სკანდინავიელთა ძალიან დიდი რაოდენობა თანამემამულეთა ასეთ ლაშქრობებში არ მონაწილეობდა, არამედ დაქირავებულ ჯარისკაცებად მსახურობდნენ ინგლისში, განსაკუთრებით კი რუსეთსა და ბიზანტიაში, სადაც სკანდინავიელები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იმპერატორთა გვარდიების ძირითად და ბრძოლისუნარიან რაზმებს შეადგენდნენ.

კოლოსალური მნიშვნელობა ჰქონდა ვაჭრობასაც, რადგან ყოველი მეომარი-ვიკინგი ერთდროულად ვაჭარსაც წარმოადგენდა. აღმოსავლეთის მიმართულებით სავაჭრო ოპერაციებს ანიჭებდნენ უპირატესობას. სკანდინავიელთა სავაჭრო საქმიანობის წყალობით წარმატებით ფუნქციონირებდა დიდი სავაჭრო გზა ჩრდილოეთის ზღვით, რომელიც დასავლეთს მუსლიმურ და ბიზანტიურ სამყაროსთან აკავშირებდა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ხმელთაშუაზღვის მიმართულებით ვაჭრობის შესუსტების პერიოდში. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მონებით, იარაღით და ბეწვეულით ვაჭრობის საშუალებით სკანდინავიაში შემოვიდა დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის ექვივალენტის ფასეულობა (ძირითადად ვერცხლით), რამაც ჩრდილოეთის შესამჩნევი სოციალური პროგრესი განაპირობა.

დაბოლოს, **ვიკინგების ეპოქის უმნიშვნელოვანესი თავისებურება გახდა მასშტაბური კოლონიზაცია – ზღვით ათეულობით ათასი სკანდინავიელი გადასახლდებოდა, რომლებიც როგორც ომით მოპოვებულ, ისე თავისუფალ და დაცარიელებულ მიწებს ითვისებდნენ.** სკანდინავიელთა ნაწილმა დააარსა ხუტორები აღმოსავლეთ ევროპაშიც, მაგრამ უპირატესობას მაინც ანიჭებდნენ ფინეთსა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ინგლისს (საიდანაც სკანდინავიელებმა გამოდევნეს **ანგლოსაქსები**), საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთს (ნორმანდია), აგრეთვე ატლანტიკის კუნძულებს. ჩრდილოეთიდან გამოსულებმა შეტლანდის, ორკნეის და გებრიდის კუნძულების კოლონიზირებაც მოახდინეს, **874 წელს დაიწყეს ისლანდიის დასახლება, დაახლოებით 982 წელს დააფუძნდნენ გრელანდიაში.** ვიკინგების ინგლისური და ნორმანდიული დასახლებების შექმნას ეთნიკური ექსპანსიის ტიპურ მაგალითებად განიხილავენ. ხოლო ისლანდიური პერიოდის დროს (874-930 წლები) კუნძულზე დაახლოებით ათასი ოჯახი (30 000 კაცი) გადავიდა. ფორმირდა უნიკალური საზოგადოება. მისი განსაკუთრებულობა იყო სოციალური თვალსაზრისით აბსოლიტურად თვითორგანიზებადი დემოკრატიზმი. ისლანდიაში გადასახლებულმა სკანდინავიელებმა შექმნეს განუმეორებელი კულტურა ორიგინალური მითოლოგიით, ეპიკური და ლიტერატურული ტრადიციებით.

სკანდინავიელთა ევროპაში წინ წაწევა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე პირველი შეტევის, მიწოლის შემდეგ ისინი გადავიდნენ მასობრივ თარეშებზე. 820-850 წლებში ათეული და ზოგჯერ ასეული ხომალდისაგან შემდგარი რაზმები (ერთ ხომალდზე მეომართა რაოდენობა, როგორც წესი, მერყეობდა 50-70 კაცის ფარგლებში) ახდენდნენ ლა-მანშის, ბრიტანეთის, ირლანდიის და ფრანკთა სამეფოს სანაპიროების სისტემატურ გაპარტახებას. შემონახულია ცნობილი ვიკინგების არანაკლებ 40 სახელი. იმდროინდელი ყველაზე ცნობილი ბელადი იყო *რანგარ ლოდბროკი* (ტყავის შარვალი) – ლეგენდარული პიროვნება, რომელიც ჰოლივიდური ფილმის – „ვიკინგები“ ერთ-ერთი გმირი გახდა. არანაკლები დიდება მოიპოვა ფრანკების მიერ რეინის დელტის დამცველად მოღვაწე ქ. დორესტადში დანიელმა ვიკინგმა *სკოლდუნგების* გვარიდან *რერიკმა* (*ხრერეკრმა*), რომელიც მეტსახელებს – იუტლანდიელს და ფრისლანდიელს – ატარებდა. დასავლეთსა და სკანდინავიაში თავისი მშფოთვარე მოღვაწეობის გარდა, ის ოდნავ მოგვიანებით გახდა ცნობილი როგორც თავადი *რიურიკი* – რუსული სამთავრო დინასტიის დამფუძნებელი.

830-860 წლებში ვიკინგები აწყობდნენ ბანაკებს დასავლეთ ევროპაში, რომლებიც სპორადულიდან რეგულარულ თარეშებზე გადადიოდნენ – ასეთი ბაზები წარმოიქმნა დუბლინში, გენტში, კუნძულებზე ლუარას შესართავთან, აგრეთვე ტანეტში და შეპტში (ტემზის შესართავთან). დასავლეთში წარმოიქმნა სკანდინავიელებით დასახლებული ერთმანეთზე მიბჯრილი რაიონები. ლაშქრობის ზონაში ხვდებოდა ბევრი ახალი რეგიონი – 844 წელს ვიკინგები დაესხნენ მუსლიმურ სევილიას, რეგისტრირდება მათი ლაშქრობა იტალიის ნაპირებზე.

880 წლისათვის ვიკინგების შეტევის ინტენსიურობა კულმინაციას აღწევს. ამ დროის ძირითად მოვლენად იქცა პარიზის თითქმის ერთწლიანი ალყა (885-886 წწ.), რომელშიც დაახლოებით 40 ათასმა სკანდინავიელმა მიიღო მონაწილეობა. აქ ისინი 700 ხომალდით მიცურდნენ. სიმპტომატურია, რომ სწორედ 888 წელს ქალაქ მეცის ტაძარში დადგენილება იქნა მიღებული ღვთისმსახუ-

რების ტექსტში ჩაერთოთ სიტყვები: **„...და ნორმანების მძვინვარებისაგან დაგვიხსენი, ჩვენ, ღმერთო!“**. მაგრამ 890 წელს ბრეტანში, 891 წელს კი ფლანდრიაში ლევენთან ვიკინგებმა დამარცხება განიცადეს და რამდენიმე ათასი კაცი დაკარგეს. ამავე პერიოდში მათი შეტევა ინგლისში *მეფე ალფრედ დიდმა* შეაჩერა.

X საუკუნის დასაწყისში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ვიკინგების მიერ ფრანკთა სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის დაპყრობა. ამ მომენტიდან ვიკინგების მიერ ნეისტრიის ნაწილის დაკავების შემდეგ მას ეწოდა ნორმანდია. აქ სკანდინავიელების მასობრივმა მოზღვავებამ განაპირობა ახალი საჰერცოგოს სოციალური წყობილების თავისებურებანი. მთელი X საუკუნის განმავლობაში ნორმანდია გარდაიქმნა ყველაზე ძლიერ და ყველაზე მართვად ფეოდალურ სამფლობელოდ დასავლეთში. აღსანიშნავია, რომ სხვა ვიკინგებისაგან თავდასაცავად ნორმანდია საფრანგეთის ფარად იქცა. 920-950 წლებში ვიკინგებმა ინგლისზე თავდასხმები კვლავ გააქტიურეს, ისინი ძირითადად მის ჩრდილოეთ ტერიტორიებს უტევდნენ.

სკანდინავიელებმა, ფაქტობრივად, დაასრულეს გერმანული ტომების მიგრაცია ევროპაში. მათი პირველი ექსპანსიაც ხომ აქედან დაიწყო (გუთები). დანებისა და ნორმანების ექსპანსიის მიზეზი ეკონომიკური იყო. გამრავლებულთა მოთხოვნილებებს ჩრდილოეთი ვეღარ აკმაყოფილებდა. გადამეტსახლება მიწის უკმარისობას იწვევდა. მთები, ზღვა, ბნელი ზამთარი და ცივი კლიმატი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებას ხელს უშლიდა. არსებითია ისიც, რომ სხვათა მიწებზე დასახლება თავდაპირველად ნორმანებმა დაიწყეს, შემდეგ დანებმა, რადგან დანია უფრო ბარაქიანი იყო. აგრეთვე ადამიანების რაოდენობის სწრაფ ზრდას მრავალცოლიანობის ტრადიციაც განაპირობებდა. ვიკინგების ექსპანსიის მასშტაბებს ორიგინალურმა ხომალდებმაც შეუწყო ხელი (სიგრძე 23 მ., სიგანე 6 მ.). ვაჭრობას მოყვა ძარცვა, ძარცვას – ომი და სხვათა მიწებზე დასახლება.

II. 10. რუსების მიგრაცია

რუსი ხალხის ისტორია სათავეს ძველრუსული სახელმწიფოს ეპოქაში იღებს, რომელიც წარმოიქმნა ახ. წ. IX საუკუნეში აღმოსავლეთ-სლავური ტომების გაერთიანების შედეგად. ძველრუსული სახელმწიფოს შემადგენლობაში, გარდა ძველი რუსებისა, შედიოდნენ ფინურ-უგრული, ბალტიური და თურქული ტომები. IX-X საუკუნეებში რუსების ისტორიულ-ეთნიკურ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ აგრეთვე ფინურ-უგრული ტომები (ვესი, მურუმა, მეშჩერა, მერია...), აგრეთვე ბალტიური წარმოშობის გოლიადები. ადგილობრივი ტომები გადმოსახლებულ სლავებთან ასიმილირდნენ, რასაც ფინური ტომების მცირერიცხოვნობითა და გადმოსახლებულთა საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალი დონით ხსნიან. ასიმილირებულმა ფინურ-უგრულმა ტომებმა გადმოსახლებულებს ზოგიერთი ანთროპოლოგიური ნიშანი და ტოპონიმიკური ნომენკლატურა (მდინარეების, ტბების, სოფლების და სხვა ადგილების სახელწოდებანი) და აგრეთვე ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების ელემენტები დაუტოვეს. თვით **ტოპონიმი** „მოსკოვი“ ფინური ენით იხსნება. აქედან ერთმნიშვნელოვანი დასკვნა: **რუსები თანამედროვე ცენტრალურ რუსეთში დასავლეთიდან არიან გადმოსახლებული.**

კიევის აყვავების ხანაში ცნებები „რუსი“ და „რუსეთის მიწა“, უწინარეს ყოვლისა, ვრცელდებოდა მხოლოდ კიევისა და ჩერნიგოვის მიწებზე, ხოლო XIII-XIV საუკუნეებში ისინი ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებთან ასოცირდებოდნენ. *ვლადიმირ მონომახის* გარდაცვალების შემდეგ (1125 წ.) დამთავრდა რუსეთის მთავრების ბატონობა და უფლებები ჩრდილო-აღმოსავლეთის მიწებზე. ძველრუსული მიწების პოლიტიკურმა ცენტრმა ვლადიმირში გადაინაცვლა. ამ დროს დაიწყო *კრივიჩების* გაძლიერებული კოლონიური მოძრაობა დასავლეთისაკენ და *ვიატიჩებისა* – ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჩრდილო-აღმოსავლეთში გაჩნდა ახალი ქალაქები.

რუსებზე თათარ-მონღოლთა ბატონობამ აღმოსავლეთ ევროპის სივრცეში პოლიტიკური სიტუაცია შეცვალა. დაირღვა ჩრდილო-აღმოსავლეთის რუსული სამთავროების კავშირი სამხრეთრუსულ

მიწებთან, ნოვგოროდის რესპუბლიკა და ფსკოვი სხვა რუსული ოლქებისაგან განცალკევდნენ. ჩინგის-ხანის მიერ მჭიდროდ დასახლებული მიწებისა და მათი ცენტრების (ვლადიმირი, სუზდალი, როსტოვი, პერეიასლავლი) აოხრებისა და XIII საუკუნის მეორე ნახევარში აქ მონღოლ-თათართა შემოჭრის შემდეგ დაიწყო რუსული მოსახლეობის უკუქცევა აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის ცენტრიდან უფრო მეტად ტყიან და უსაფრთხო დასავლეთში, მდ. მოსკოვის აუზისა და ვოლგის ზემო დინებისაკენ. XIII საუკუნის ბოლოს ამან მოსკოვისა და ტვერის გაძლიერება განაპირობა. ვოლგა-ოკის შუამდინარეთის შინაგან კოლონიზაციას ხელს ბოიარები, თავადები და მონასტრები უწყობდნენ. აშკარა გახდა მოსკოვის, ტვერისა და ნიჟნი ნოვგოროდის (მდებარეობის) უპირატესობა. ვოლგა-ოკის შუამდინარეთში სხვადასხვა ოლქებიდან მოსულთა თავმოყრამ რუსი ხალხის ძირითადი ბირთვის ჩამოყალიბება განაპირობა. მომდევნო საუკუნეებში მისი ეთნიკური ტერიტორიის გაფართოებამ მოიცვა ჩრდილოეთის ოლქები კარელიიდან ურალის მთებამდე, რომელმაც პომორიეს შემკრებლობითი სახელწოდება მიიღო. ისინი მიადგნენ თეთრ ზღვასა და ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეს. პომორიაში გადასახლებული რუსები ეთნიკურად რთული შემადგენლობის მოსახლეობას – კარელებს, ვეპსებს, კომი-ზირიანებს, კომი-პერმელებს, ნენცებსა და სხვ. შეხვდნენ. ბათო-ყაენის შემოსევისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის აოხრების შემდეგ მოსახლეობის ჩრდილოეთით გადასახლების პროცესი გაძლიერდა. XIV-XV საუკუნეები ამ მხარის ინტენსიური ათვისების პერიოდი იყო.

პომორიეში გადმოსახლებულები და მათი შთამომავალნი რუსი ხალხის ეთნოკულტურის განსაკუთრებულ ნაწილად იქცნენ, რომელთაც მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებერებანი ახასიათებდათ.

XVI საუკუნის შუა ხანებში რუსებმა გაანადგურეს ყაზანისა და ასტრახანის სახანოები. ყირიმის სახანოსა და თურქეთთან ბრძოლა კი XVIII საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. მიგრაციის შედეგად რუსებით დასახლებული ეთნიკური ტერიტორია თანდათან იზრდებოდა. მათ აითვისეს ურალის, ვოლგისპირეთისა და

შემდეგ ციმბირის ტერიტორიები. ურალსა და ციმბირში მოსახლეობა ძირითადად XVII საუკუნეში პომორიედან გადასახლდა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში რუსები ინტენსიურად დასახლდნენ პერმის მიწაზე, სადაც ფინურ-უგრულ მოსახლეობას – კომებს, ხანტებსა და მანსებს შეეჯახნენ. XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის რუსეთი ევრაზიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. სახელმწიფოებრივ გაფართოებას, ჩვეულებრივ, თან ახლდა რუსების მიგრაცია. XVIII საუკუნისათვის ციმბირში მიგრირებული რუსი მოსახლეობა ადგილობრივ სხვადასხვა ეთნოსებს რაოდენობრივად უკვე აჭარბებდა. 1710 წელს ციმბირში 314 ათასი რუსი იყო გადასახლებული, რაც 100 ათასით აჭარბებდა ადგილობრივ მოსახლეობას. 1795 წლისათვის ციმბირში რუსი მოსახლეობის რაოდენობამ უკვე 1 მილიონს გადააჭარბა.

XVI საუკუნეში რუსები ინტენსიურად სახლდებოდნენ სამხრეთშიც. XVIII საუკუნეში ბალტიისპირეთსა და უკრაინაში რუსული მოსახლეობა ცოტა იყო. XVIII საუკუნის განმავლობაში რუსი ხალხის ისტორიულ-ეთნიკური ტერიტორია საკმაოდ მაღალი ბუნებრივი მატების პირობებში, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთის მიმართულებით გაფართოვდა, რომელმაც მოიცვა სამხრეთ ურალი, ქვემო ვოლგისპირეთი, შავიზღვისპირეთი (ნოვოროსია), აზოვისპირეთი, სტავროპოლი, ყირიმი, ჩრდილოეთი კავკასია, შემდეგ კი ყუბანი. ეს პროცესი თურქეთთან წარმატებული ომების შედეგად იმპერიის საზღვრების გაფართოებით იყო განპირობებული.

1721 წელს შვეციასთან დადებული ნიშტადტის ზავით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ესტლანდია და ლიფლანდია, გვიან კი კურლანდია, XIX საუკუნის დასაწყისში – ფინლანდია, ბესარაბია და საუკუნის მეორე ნახევარში – შუა აზია და შორეული აღმოსავლეთი. რუსებმა ამ რეგიონებში დასახლებაც დაიწყეს. დაპყრობილ ახალ მხარეებში ეთნიკური სიტუაცია რთულდებოდა და ყალიბდებოდა ახალი რაიონები, სადაც ეთნიკურად ნარევი მოსახლეობა მკვიდრდებოდა. ნოვოროსიასა და ყირიმში ეთნიკურად რთული რაიონები იქმნებოდა (რუსულ-უკრაინული და რუსულ-ყირიმულ-თათრული).

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოსა და ეკლესიას (რელიგიას). სწორედ ასეთი როლი იკისრა მოსკოვის სახელმწიფომ და რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ. გარდა თათარ-მონღოლებისა, რუსული ეთნოსის შემადგენლობაში არაერთი სხვა ეთნოსის წარმომადგენელიც შევიდა. **რუსეთის სახელმწიფო და რუსული კულტურის შემქმნელი რუსი ერი ცენტრიდან პერიფერიებისაკენ მოსახლეობის თანდათანობითი მიგრაციის, ახალი ტერიტორიების ათვისებისა და სხვადასხვა ხალხის ასიმილაციის შედეგად ჩამოყალიბდა.** მეცნიერებს გამოთვლილი აქვთ, რომ რუსული ეთნოსის შემადგენლობაში ევრაზიის სივრცეში მობინადრე და მომთაბარე 50-დან 100-მდე ეთნოსი შევიდა. თავდაპირველად აღმოსავლეთ სლავებს ხომ თანამედროვე რუსეთის ტერიტორიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ეჭირათ. ესაა ამ ტერიტორიის დასავლეთი მონაკვეთი იმ მდინარეთა აუზებში, რომლებიც ბალტიისა და შავ ზღვებს ერთმანეთთან აკავშირებდა. თანამედროვე რუსეთის დიდი ნაწილი თავდაპირველად „თურანული“, ანდა „ურალურ-ალთაური“ ტომებით იყო დასახლებული. რუსების აღმოსავლეთით და სამხრეთით გადაადგილებას თან ახლდა ზემოთ აღნიშნული ეთნოსების გარუსება.

რუსების აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით მიგრაცია თავდაპირველად განპირობებული იყო სოფლის მეურნეობის წარმოების სიძნელეებით. ასეთ მიზეზთა შორის ხშირად საზღვრების ღიაობასაც ასახელებენ. მიგრაციულმა პროცესებმა ინტენსიური ხასიათი XVI საუკუნიდან მიიღო. ინტესიურობის საბაბი გადასახადების ამკრებთა უმოწყალობაც იყო. საუკუნეთა განმავლობაში დაუსრულებელი მიგრაციული ნაკადი ხან ძლიერდებოდა და ხან სუსტდებოდა. **კლიუჩევსკი მიგრაციულ და კოლონიზაციურ პროცესებს „რუსეთის ისტორიის მახასიათებელს“** უწოდებდა. გადასახლება ძირითადად ტყიანი ზოლიდან სტეპებში მიმდინარეობდა. ახალ საცხოვრებელ ადგილებში მართალია ნიადაგი უფრო ნაყოფიერი იყო, მაგრამ მომთაბარეთა თარეშის გამო ცხოვრება საშიში იყო.

ახალი დასახლების ადგილებში მიგრანტი რუსები მკვიდრ არარუს მოსახლეობასთან აქტიურ ურთიერთობას ამყარებდნენ (ვაჭრობა, შერეული ქორწინებები). დამხვდური და მოსული მოსახლეობა განვითარების თვალსაზრისით თითქმის თანაბარ დონეზე იდგა. კოლონიზაციის პროცესი მთლად უმტკივნეულო არ ყოფილა. რუსეთის ხელისუფლება მომთაბარეებს ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას აიძულებდა. ასეთი პოლიტიკა მტრობას აღვივებდა. რუსებს განსაკუთრებით ბაშკირები უპირისპირდებოდნენ. ჩრდილოეთ კავკასიელებიდან განსაკუთრებით დაუმორჩილებელნი ჩაჩნები იყვნენ. ყალმუხებმა კი საძოვრების დიდი ნაწილი მოსულ მოსახლეობასა და მის არმიას დაუთმეს. ვოლგის ქვემო დინებაზე ყალმუხებს ნორმალური განვითარების საშუალება აღარ ჰქონდათ, ამიტომ გაცლა ამჯობინეს, ცენტრალურ აზიაში წინაპართა სამშობლოში გადასახლება გადაწყვიტეს, მაგრამ 1770 წელს მხოლოდ მესამედმა მიაღწია მიზანს (დაახლოებით 100 ათასი კაცი შიმშილისაგან, ავადმყოფობისაგან, სიცხისაგან, სიცივისაგან და მომთაბარე ყაზახთა თავდასხმებისაგან დაიღუპა).

მიგრაციული პროცესები მოსახლეობის სწრაფ ზრდასაც განაპირობებდა. ამის შედეგად XVIII საუკუნეში რუსები ევროპის თითქმის ყველაზე მრავალრიცხოვან ხალხად იქცნენ.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ რუსეთში ორ მილიონამდე ლტოლვილი მივიდა.

II. 11. სომხეთა გადასახლებანი

სომხების ეთნიკური ისტორია არანაკლებ 2500 წელს მოიცავს. სომეხი ხალხი კავკასიისა და წინა აზიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა. მათი განსახლების არეალი სომხეთის მთიანეთის სახელითაა ცნობილი. სომხეთის მთიანეთი ზღვის დონიდან 1500-1800 მეტრზეა. სომხეთის მეზობლები საუკუნეთა განმავლობაში ისეთი ძლიერი სახელმწიფოები იყვნენ, როგორებიცაა რომის, შემდეგ კი ბიზანტიის იმპერია, ბოლოს კი ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული ოსმალეთის იმპერია. აღმოსავლეთით სომეხთა მეზობლები ირანელები იყვნენ. სომხებისაგან შორს არც

არაბები ბინადრობდნენ. სომხეთის გეოგრაფიული მდებარეობა ზემოთ დასახელებული ქვეყნების დიდ ინტერესს იწვევდა. ამიტომაც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე სომხეთი ძირითადად სხვა სახელმწიფოების მიერ იყო დაპყრობილი. კავკასიაში სომეხთა მეზობლები ქართველები იყვნენ და არიან. საუკუნეების განმავლობაში ქართულ-სომხური ურთიერთობები მშვიდობიანი იყო. ეს ხალხები ერთმანეთზე კულტურულ ზეგავლენასაც ახდენდნენ. სომხებს აზერბაიჯანელებიც ესაზღვრებიან. უფრო ადრე კი მათ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეთნოსთან – ალბანელებთან ჰქონდათ ურთიერთობა.

დიდ სახელმწიფოთა აგრესიის შედეგად ხშირი იყო სომეხთა მიგრაცია სხვადასხვა მიმართულებით. ქვეყანა არაერთგზის აოხრებულა და გაუკაცრიელებულა. სომეხთა დიდი მასების საკუთარი ეთნიკური ტერიტორიიდან განსახლება ჯერ კიდევ დაახლოებით ათასი წლის წინ დაიწყო, რაც ყველაზე დიდი მასშტაბით პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წლის გაზაფხულზე მოხდა. სომხური წყაროების თანახმად, ამ დროს სომხურ-თურქულ კონფლიქტს დაახლოებით 1,5 მილიონი სომეხი შეეწირა, დაახლოებით ერთი მილიონი კი სხვადასხვა მიმართულებით განსახლდა. აქედან 600 ათასი სომეხი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში მიგრირდა. პირველი მსოფლიო ომის დასრულებისას სომეხ ლტოლვილთა დიდი მასა კონცენტრირებული იყო სირიისა და ლიბანის ტერიტორიაზე. ამ ქვეყნებში არსებულმა არასასურველმა პირობებმა განაპირობა ლტოლვილი სომხების შემდგომი მიგრაცია. პირველ რიგში ისინი ევროპის ქვეყნებში – საფრანგეთში, საბერძნეთში, ბულგარეთში და რუმინეთში – გადასახლდნენ. ევრაზიულ მარშრუტთან ერთად სომხებმა დაიწყეს უფრო შორეული გადასახლებანი, კერძოდ, აშშ-ში, კანადაში, არგენტინაში, ბრაზილიაში და სხვ. ამის მიუხედავად, სომხების დიდი ნაწილი საბოლოოდ დაფუძნდა აღმოსავლეთის ქვეყნებში – სირიაში, ლიბანში, ირანში, ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში. 1950-იანი წლების დასაწყისისათვის მიგრანტი სომხები უკვე წარმატებით იყვნენ ინტეგრირებული ადგილობრივ საზოგადოებებში და ეთნოკონფესიურ თემების სოციალურ-ეკონომიკურ იერარქიაში მაღალი მდგომარეობა ეკავათ.

300 ათასმა სომეხმა რუსეთის იმპერიას მიაშურა. აქ ისინი ძირითადად კავკასიაში განსახლდნენ. ამასთანავე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე აღმოსავლეთ (რუსეთის) სომხეთის ტერიტორიაზე დასავლეთი (ოსმალეთის) სომხეთის მოსაზღვრე რაიონებიდან მიაწყდა სომეხ ლტოლვილთა ტალღა (დაახლოებით 250 ათასი). ამ დროიდან შვიდი ათეული წლის შემდეგგ – 1989-1991 წლებში – სომხეთს უკვე აზერბაიჯანიდან მოუხდა 400 ათასი სომეხი ლტოლვილის მიღება. არანაკლები რაოდენობით იყვნენ სომხეთიდან დევნილი ეთნიკური აზერბაიჯანელები (224 ათასი. ამასთანავე, საბრძოლო მოქმედებების დროს, დაახლოებით 600 ათასმა აზერბაიჯანელმა დატოვა დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორია), რომლებმაც თავშესაფარი აზერბაიჯანში მონახეს. აზერბაიჯანიდან ლტოლვილი სომხების დიდი ნაწილი ოდნავ მოგვიანებით ხელახალი ემიგრაციის გზას დაადგა – ისინი აშშ-ში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში გადასახლდნენ. მათ ადგილობრივი სომხური მოსახლეობაც არ ჩამორჩა. დღეისათვის სომხეთიდან გასული ემიგრანტების რაოდენობა თითქმის 1 მილიონია.

სომეხთა მასობრივი გაწყვეტა და დეპორტაცია მნიშვნელოვანწილად სომხური უკიდურესად ექსტრემისტული პარტიის „დაშნაკცუტუნის“ ქმედებებმა განაპირობა. მათი მიზანი იყო დიდი სომხეთის სახელმწიფოს აღდგენა. ამ მიზნის მიღწევის საშუალებად პარტიის პროგრამაში ეწერა თურქეთში სომეხთა შეიარაღებული აჯანყების მოწყობა. „დაშნაკცუტუნის“ პარტიის პროგრამაში ხაზი ესმოდა რევოლუციური პროპაგანდის გაწევას არა მხოლოდ სომხებს შორის, არამედ თურქეთში მცხოვრებ სხვა ხალხებს შორისაც. ამ პარტიის პროგრამაში დიდი ადგილი ეკავა აგრეთვე ტერორს და სახელმწიფო დაწესებულებების აოხრებასა და ძარცვას. დიდი სომხეთის სახელმწიფო მათ უნდა შეექმნათ არა მხოლოდ თურქეთის სომხეთისა და რუსეთის სომხეთის შეერთებით, არამედ მეზობელი ხალხების (ქართველების, აზერბაიჯანელების) მიწების მიტაცებითაც. 1915 წელს, რუსეთის არმიის კონტრშეტევისთანავე, „დაშნაკცუტუნის“ მოწოდებით, სომხებმა საერთო სომხური აჯანყება დაიწყეს, რომლის ეპიცენტრსაც ვანის

ვილაიეთი წარმოადგენდა. რუსების შეტევის დროს სომეხმა მოხალისეებმა მშვიდობიანი თურქი მოსახლეობის ულმობელი ხოცვა-ჟლეტა მოახდინეს. დაშნაკების ეს ქმედება განპირობებული იყო აგრეთვე სომხური საკითხის ცარისტული გეგმის გადაწყვეტითაც. თურქებმა საპასუხოდ სომხების ხოცვა-ჟლეტა მოაწყო. უფრო ნაკლებმა თავს გაქცევით უშველა. დაშნაკების ავანტურისტულმა ქმედებამ, რომლებიც „დიდი სომხეთის“ შექმნაზე ოცნებობდნენ, სომეხი ხალხი დიდ ტრაგედიამდე მიიყვანა. 1917 წლის რევოლუციის გამო, რუსეთი პირველ მსოფლიო ომს გამოეთიშა და რუსეთის არმიამ დაპყრობილი ტეირტორიებიც მიატოვა. ამას კი ასეულ ათასობით სომხის სამხრეთ კავკასიაში – ქართულ და აზერბაიჯანულ მიწებზე – დასახლება მოჰყვა. ასე დაკარგეს მათ სომხეთის ისტორიული მიწა-წყალი – სომეხთა განსახლების ერთ-ერთი ძირითადი არეალი.

სომხები ევროპაში (იტალია, პოლონეთი) ჯერ კიდევ გვიან შუა საუკუნეებში ცხოვრობდნენ. 1915 წლის შემდეგ სომხები მიგრირდნენ საფრანგეთში, აშშ-ში, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, ავსტრალიაში. თითოეულ ამ ქვეყანაში სომხებს დიდი დიასპორები აქვთ, გააჩნიათ სომხური სკოლები.

სომხეთი თითქმის მონოეთნიკური ქვეყანაა. სულ რაღაც 10-12 წლის წინ სომხეთში დიდი აზერბაიჯანული დიასპორა არსებობდა. დღეს სომხეთში აღარცერთი აზერბაიჯანელი აღარ მკვიდრობს. 1886 წლისათვის ერევნის გუბერნიაში თათრების პროცენტული რაოდენობა 37,44 იყო, თვით სომხებისა კი – 56%. აქ კომპაქტურად ცხოვრობდნენ აგრეთვე ქურთები (1886წ. – 5,5%. დღეს მათი რაოდენობა 56 ათასის ფარგლებშია), ასირიელები (0,25%. დღეს 6 ათასი კაცი). დღევანდელი მონაცემებით, სომხეთში რუსების რაოდენობა 15 ათას კაცს არ აჭარბებს. ერევნის მაზრასა და ქალაქ ერევანში თათრების რაოდენობა ბევრად აღემატებოდა სომხების რაოდენობას (შესაბამისად 1886 წელს სომხები 36.426 იყვნენ, თათრები – 52.800).

ისტორიული და თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე არსებობდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო – ურარტუ, რომელიც ეთნიკურად სომხური არ ყოფილა. ურარტუ პოლი-

ეთნიკური ქვეყანა იყო და მის სხვადასხვა ეთნოსებს შორის ერთ-ერთ კომპონენტს პროტოსომხური მოსახლეობაც შეადგენდა. ურარტუს სამეფომ განსაკუთრებულ აღმავლობას ძვ. წ. VIII საუკუნეში მიაღწია. ურარტუს მეფეები, როდესაც ახალ ქვეყნებს იპყრობდნენ და დამორჩილებულ ტომთა ავჯანყებებს ახშობდნენ, ბევრ დაქვემდებარებულ ეთნოსს ქვეყნის ცენტრალურ ოლქებში ასახლებდნენ, მათ შორის, არარატის ველზეც. ხოლო ცენტრალური ოლქების მოსახლეობა პერიფერიებში გადაჰყავდათ საცხოვრებლად. ამ დროს მოხდა სომხური ტომების არარატის ველზე დასახლება. აქედან ჩაეყარა საფუძველი აღნიშნულ ტერიტორიაზე სომხურ ეთნოსს. VIII-VII საუკუნეში „სომხეთის მთიანეთში“ ინტენსიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა ტომების შერევისა თუ განცალკევების პროცესი. სომხური ენა და სომხური ეთნოსი საბოლოოდ სომხეთის მთიანეთში ჩამოყალიბდა. მცირე აზიიდან სომხეთის მთიანეთში გადაადგილების დროს, სომეხთა წინაპრების ინდოევროპული ტომების ენაში ცვლილებები მოხდა. ამ დროს სომეხთა შორის არაერთი ადგილობრივი ხალხი გაითქვიფა. მათი ენები ქრებოდა, სომხური ენა კი ახალ ელემენტებს იერთებდა, ვითარდებოდა და მკვიდრდებოდა.

სომხეთს განსაკუთრებული ზიანი მიაყანეს არაბთა და თურქ-სელჯუკთა შემოსევებმა. არაბები აქ VII საუკუნეშიში გაბატონდნენ. მხოლოდ არაბთა სახალიფოს დასუსტების დროს – IX საუკუნის ბოლოს მცირე ხნით დაიბრუნეს დამოუკიდებლობა. ეს იყო ანისის ფეოდალური სამეფო, რომელსაც ბაგრატიდების სამეფო დინასტია მართავდა. XI საუკუნის ბოლოს სომხეთი სელჯუკებმა დაიპყრეს. ამ დროიდან დაიწყო სომეხთა სხვა ქვეყნებში გადასახლება. ბიზანტიის იმპერია ადრეც მიზანმიმართულად ასახლებდა მათ ქვეყნის მიყრუებულ რაიონებში. ასეთი გადასახლებულებისაგან შექმნეს სომხებმა კილიკიის სამეფო. ის ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა. ამ სახელმწიფომ დაახლოებით 300 წელი იარსება (1080-1375 წწ.). კილიკიის დამოუკიდებელი სამეფო ეგვიპტის მამლუქებთან თითქმის ასწლიან უთანასწორო ბრძოლაში დაიშალა. თუ არ ჩავთვლით კილიკიის სამეფოს, XI საუკუნდან სომხებს, მათი განსახლების

ისტორიულ ტერიტორიაზე, სახელმწიფოებრიობა აღარ ჰქონიათ. XVI საუკუნიდან დასავლეთ სომხეთი თურქეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა, აღმოსავლეთი კი სეფევიდური ირანის პროვინცია იყო. სომხეთის ტერიტორიის აღნიშნული ორი სახელმწიფოს შემადგენლობაში გადასვლა საბოლოოდ 1555 წელს გაფორმდა. იქამდე, XII-XIII საუკუნეებში ჩრდილოეთ სომხეთი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. რამდენიმე სომხური სამთავრო უშუალოდ შედიოდა საქართველოს სამეფოში. 1827 წელს ირანის დაქვემდებარებაში მყოფი სომხური მიწები რუსეთმა შეიერთა. **რუსეთის ხელისუფლებამ 1829-1830 წლებში როგორც ირანის, ისე თურქეთის სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მცხოვრები სომხები დღევანდელ სომხეთსა და საქართველოში (ჯავახეთი, სამცხე, თრიალეთი) დაასახლა. ამ დროს მოხდა საქართველოში სომეხთა კომპაქტური განსახლება და საქართველოს აღნიშნული მხარეები, რომლებიც ყოველთვის ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული, ამიერიდან ეთნიკური სომხებით განსახლებულ არეალებად იქცა**. ამ დროს რუსეთის იმპერიაში (კავკასიაში) გადმოსახლებულ სომეხთა საერთო რაოდენობა 140 ათასი კაცი იყო. ამის შემდეგ აღმოსავლეთ სომხეთში (დღევანდელი სომხეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე) სომეხთა რაოდენობამ 56%-ს გადააჭარბა.

ზემოთ აღინიშნა, რომ სომხები მსგავსად ებრაელებისა, მსოფლიოს რამდენიმე ათეულ ქვეყანაში არიან განსახლებული. თავდაპირველად მიგრანტები, ქალაქის მოსახლეობა – ვაჭრები და ხელოსნები – იყვნენ. შემდეგ კი თანდათან დიდი რაოდენობით მიწათმოქმედ სომეხთა თემებიც გაჩნდა. უცხოეთის ქვეყნებში სომეხთა მასობრივი და უწყვეტი გადასახლებების მიზეზად მუდმივ ომებს, მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას და სხვათა ნაციონალურ და რელიგიურ ბატონობას ასახელებენ. ჯერ კიდევ V საუკუნემდე სომხებს კოლონიები ჰქონდათ მახლობელ აღმოსავლეთში. სომეხთა ემიგრაცია V-VII საუკუნეებშიც გრძელდებოდა. ზემოთაც აღვნიშნეთ და აქაც გვინდა გავიმეოროთ, რომ ქვეყნიდან განსახლებამ მასობრივი ხასიათი მიიღო არაბთა და სელჯუკთა დაპყრობების დროს. სომეხთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მცირე აზიისა და ბალკანეთის გავლით ევროპაში, ყირიმში, პოლონეთში, უკრაინაში

სახლდებოდა. უკვე XI საუკუნეში კიევში სომხური ეკლესია არსებობდა. **XI-XIII საუკუნეებში ძალიან მოიმატა სომხების რაოდენობამ ბიზანტიაში, ეგვიპტეში, სირიაში, ლიბანში; დიდი სომხური კოლონიები წარმოიქმნა გალიციაში, ბუკოვინაში, მოლდოვაში, უნგრეთში, ვალახეთში, ტრანსილვანიაში. ევროპაში სომეხთა კულტურული ცენტრი ლვოვი იყო. სომეხთა ემიგრაცია ძალიან გაძლიერდა მონღოლ-თათართა პერიოდში. XIV საუკუნეში სომეხი მიგრანტების რაოდენობა გაიზარდა საქართველოში, მცირე აზიაში, რუსეთში, ყირიმში.** ყირიმში პირველი სომხური დასახლებები 1061 წელს გაჩენილა, ერთ-ერთი არაბი ავტორის აღნიშვნით ყირიმის დედაქალაქ სოლხათში 1263 წელს მოსახლეობის დიდი ნაწილი სომხები იყვნენ. სოლხათის მახლობლად სუგდეაში სომხები იმდენად ბევრნი ყოფილან, რომ მათ რელიგიური კამათი გაუმართავთ ძველ მაცხოვრებელ ბერძნებთან. XVII საუკუნეში სომხებს ფეოდოსიაში რამდენიმე ეკლესია ჰქონიათ. 1735 წელს რუსეთის ყარასუბაზარში შეჭრის მომენტისათვის, აქ 300 სომხური ოჯახი ყოფლა. ჩრდილოეთ ყირიმში ახლაც დიდი რაოდენობითაა სომხური მოსახლეობა. როგორც ყველგან, ისინი აქაც ძირითადად ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევენ. XVII საუკუნის დასაწყისში ირანში შაჰ-აბას I-ის მიერ გადასახლებულმა სომხებმა ქალაქი **ახალი ჯულფა** დაარსეს. რუსეთში სომხური კოლონიები არსებობდა ასტრახანში, მოსკოვში, პეტერბურგში. ჩრდილოეთ კავკასიაში კი მათ ბევრი პატარ-პატარა კოლონია ჰქონდათ. 1778-1779 წლებში ყირიმელი სომხების დიდი ნაწილი დონის შესართავთან დასახლდა, სადაც მათ რამდენიმე სოფელი და ქალაქი **ახალი ნახიჭევანი** დაუფუძნებიათ. კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ სომეხთა დიდი მიგრაცია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ოსმალეთიდან პირველი მსოფლიო ომის დროს მოხდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1946-1948 წლებში სომხეთში უცხოეთში მცხოვრები სომხების რეპატრიაცია დაიწყო. სომხეთში ამ დროს 100 ათასი ეთნიკური სომეხი დასახლდა. 1962-1973 წლებში ამ რიცხვს 26 ათასი დაემატა. თუმცა შემდეგ ბევრი სომეხი უკან დაბრუნდა, რადგან მათ საბჭოთა წყობილებასთან ადაპტაცია გაუჭირდათ. ბუნებრივია, სხვადასხვა ქვეყნებში განსახ-

ლებულმა სომეხთა მრავალრიცხოვანმა ჯგუფებმა გარშემომყოფი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის გარკვეული გავლენა განიცადეს. მაგრამ მათ მაინც თითქმის ყველგან შეინარჩუნეს ეთნიკურობა, ენა. ამასთანავე, სომხური კულტურის ცენტრები სწორედ აქ იყო და არა სომხეთში. გამოსცემდნენ ლიტერატურას, ასწავლიდნენ მშობლიურ ენას, მკაცრად იცავდნენ სამშობლოდან მოტანილ ეთნიკურ კულტურას, ტრადიციებს, საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებს. ამას ვერ ვიტყვით XIX საუკუნემდე საქართველოში გადმოსახლებულ სომხებზე. ამ პერიოდისათვის თბილისში მცხოვრებმა სომხებმა, ფაქტობრივად, არ იცოდნენ სომხური ენა; მათთვის დედაენა ქართული იყო და სომხობა მხოლოდ რელიგიით იყო განპირობებული.

საქართველოში სომხური მოსახლეობა ჯერ კიდევ V საუკუნეში ქვემო ქართლში – საქართველო-სომხეთის საზღვრისპირა ზოლში შეინიშნებოდა. VII საუკუნის დამდეგისათვის ნარევი სომხურ-ქართული მოსახლეობა იყო ტაშირში. საისტორიო წყაროებით ჩანს 726 წელს ქალკედონისტი სომხების ტაოში მიგრაცია. სომეხთა მიგრაცია საქართველოსკენ VII საუკუნეში არაბთა შემოსევების დროს გაძლიერდა. ერთ-ერთი ასეთი მიგრაციული ტალღა დასავლეთ საქართველოში – სამეგრელოშიც კი გადასულა. თუმცა აქ ისინი დიდხანს არ გაჩერებულან, ფოთში სულ ექვსი წელი დაუყვიათ. X საუკუნეში ქართლის ცენტრალურ რაიონებში სომეხთა კვალი ჩანს. მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ დროისათვის ქართული ქრისტიანული საკულტო ცენტრები კვლავ იზიდავდნენ გარედან მოსულ სომხურ მოსახლეობას. X საუკუნის ბოლოს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე თბილისის საამიროსთან ბრძოლაში ტაშირ-ძორაგეტის ანუ ლორე-ტაშირის მცირე სომხური სამეფო ჩამოყალიბდა, რომელსაც სათავეში კვირიკიან ბაგრატუნები ედგნენ. ამ გარემოებამ დმანისში, სამშვილდეში, ლორესა და ქვემო ქართლის სხვა ქალაქებში სომხური ეთნიკური ელემენტის მომრავლება გამოიწვია. მაგრამ მაინც ამ დროს ქვემო ქართლში მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. პირველი რეალური ცნობა სომეხ მიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილის საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლების შესახებ და-

ვით აღმაშენებლის ღონისძიებებთანაა დაკავშირებული. მათე ურა-ჰაეცის ცნობით, დავით აღმაშენებელი სომეხთა ტომის მოყვარუ-ლი იყო. მან სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი გარშემო შემოიკ-რიბა და ისინი ქალაქ გორში დაასახლა. მონღოლთაგან დარბეუ-ლი ყარსის სომხური მოსახლეობის ნაწილს თავშესაფარი თბი-ლისში მოუნახავს. სომხური ეკლესიის აშენების შესახებაა საუბ-არი თბილისში XIII საუკუნის 50-იან წლებში. ბუნებრივია, თბი-ლისში დიდვაჭარ უმეკის მიერ სომხური ეკლესიის აშენება საქა-რთველოს დედაქალაქში სომეხთა რაოდენობის ზრდით იყო გან-პირობებული. საისტორიო წყაროებში აღნიშნულია, რომ საქარ-თველოს ტერიტორიიდან მონოფიზიტი სომხები რწმენის გამო არასოდეს არ იდევნებოდნენ. **XII-XIII საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე სომხური ეკლესიების აშენების სანაცვლოდ, საქართველოს მესვეურნი ჩრდილოეთ სომხეთის ტერიტორიაზე ქართულ ეკლესიებს აშენებდნენ,** რაც სომხეთში ქართული კულ-ტურისა და ენის სფეროს გაფართოებას იწვევდა. **სომეხთა მიგ-რაციები განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XV საუკუნეში.** ერ-თი საუკუნის განმავლობაში თითქმის მთელი იმდროინდელი მსო-ფლიო სომხური კოლონიებით დაიფარა. არარატის ველი და არაქ-სის მიდამოები ადგილობრივი სომხური მოსახლეობისაგან დაიცა-ლა. ამ დროს სომხები საქართველოშიც მოვიდნენ. წყაროები სივ-ნიეთიდან საქართველოში 1435-1438 წლებში 6000 კომლ მიგ-რანტ სომეხს მიუთითებენ. დიდი რაოდენობით ესახლებოდნენ ამ დროს სომხები ლორეს მხარეშიც. არაერთი სომხური სოფელი გაჩნდა XVII-XVIII საუკუნეებში ქვემო ქართლსა და შიდა ქარ-თლშიც. შიდა ქართლში მათი კომპაქტური განსახლების არეალი სოფელი ახალქალაქი იყო. XVIII საუკუნეში საქართველოში სო-მეხთა რაოდენობის განსაზღვრა ერთობ ჭირს, რადგან მოსახლე-ობის ფენების აღსანიშნავად ქართული წყაროების მიერ გამოყენე-ბული ეთნიკური ტერმინები (თათარი, სომეხი, ფრანგი) უფრო კონფესიური შინაარსის მატარებელნი არიან. ე. წ. სომხებად მოხ-სენიებულ მოსახლეობაში მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ მო-ნოფიზიტი ქართველებიც. ქართველ მეცნიერთა (*გ. მაისურაძე*) გა-მოანგარიშებით XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში თბილისის

სომხური მოსახლეობა მთელი მოსახლეობის მხოლოდ ერთ მესამედს შეადგენდა. *ვახუშტი ბაგრატიონი* ქვემო ქართლის მოსახლეობის უმეტესობის მხოლოდ მათ სარწმუნოებით სომხობაზე და ეთნიკურობით (ენით, ზნე-ჩვეულებით) ქართველობაზე საუბრობს. 1721 წლის აღწერით სრულიად შესაძლებელია ქვემო ქართლში მოსახლე მონოფიზიტი ქართველებისა და სომხების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ცნობილია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე სომხებს გვარები არ ჰქონდათ. ამ აღწერაში ქართველი გრიგორიანელები გვარებით არიან ჩაწერილნი, ხოლო ეთნიკური სომხები – მხოლოდ საკუთარი სახელებით. 1721 წლის აღწერით ქვემო ქართლში ეთნიკური სომხები უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ. შიდა ქართლში სომხები ქართველებსა და ებრაელებთან ერთად, ვახუშტის მონაცემებით, შემდეგ ქალაქებში ცხოვრობდნენ: *ატენი, მძორეთი, ახალგორი, გორი, ცხინვალი, თამარაშენი, ალი, სურამი;* სამცხის ასეთ ორ ქალაქს (*აწყურსა* და *ახალციხეს*) ასახელებს. ჯავახეთში ქართველებსა და ებრაელებთან ერთად, სომხები *გოკიასა* და *ბარალეთში* მკვიდრობდნენ. იმერეთში ასეთ დასახლებულ პუნქტებს შორის ის *ჭალა-ტყეს, ჩიხორს, საჩხერეს* და *ქუთაისს* მიუთითებს. ასე რომ, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში მთელ საქართველოში სომხები (ტაშირის გამოკლებით) ქართველთა გვერდით და ძირითადად მათ შორის გაფანტულად მოსახლეობდნენ. XVIII საუკუნესა და XIX საუკუნეშიც საქართველოში (და, მათ შორის, თბილისშიც) მცხოვრები სომხების ენა ძირითადად ქართული იყო. მათმა უმეტესობამ სომხური საერთოდ არ იცოდა. თბილისელმა სომხებმა სომხურად ლაპარაკი მხოლოდ XIX საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ დაიწყეს. რაც შეეხება ჯავახეთსა და თრიალეთის ნაწილს, აქ დასავლეთ (ანუ თურქეთის) სომხეთიდან სომეხთა დიდი ნაკადი ცარიზმმა 1830 წელს შემოასახლა.

ჩრდილოეთ კავკასიაში სომხური მოსახლეობის ფორმირება XVIII საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე მოხდა. აქ სომხები ძირითადად ირანიდან და თურქეთიდან გადმოსახლდნენ. სომეხთა ყველაზე ადრინდელი მიგრაცია, რაც დოკუმენტურად ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებშია დაფიქსირებული, ძირითადად სამხრეთ დაღესტანსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში განხორ-

ციელდა. 1869 წელს სტანიცებს ხანსკაიასა და ბელორეჩინსკაიას შორის აღმოაჩინეს სომხური ეკლესიის ნანგრევები, რომელიც 1171 წელს ყოფილა აგებული. XIV-XVII საუკუნეებში დარუბანდელი და შემახიელი სომხები ასტრახანის საშუალებით რუსეთის სახელმწიფოსთან ვაჭრობდნენ. 1728 წელს დარუბანდში რუსეთში გადმოსახლებული პოლონელი სომხები დაფუძნდნენ. XVIII საუკუნის ბოლოს დარუბანდში დაახლოებით ასამდე სომხური ოჯახი მკვიდრობდა. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში სომხები მდ. თერგის აუზში ირანიდან მიგრირდნენ. ჯერ კიდევ სპარსეთში ლაშქრობამდე პეტრე I ირანელ სომხებს რუსეთში გადმოსახლებისაკენ მოუწოდებდა, რომლებსაც გარკვეულ შეღავათებსაც ჰპირდებოდა. სომხებს ნება დართეს იმ ადგილას დასახლებულიყვნენ, სადაც შემდეგ ქალაქი ყიზლარი დაარსდა. 1710 წელს ერთ-ერთმა სომეხმა ვაჭარმა და მრეწველმა თერგის მარცხენა ნაპირზე აბრეშუმის გადამამუშავებელი ქარხანა ააგო. ქარხნის ირგვლივ დასახლებაც გაჩნდა. იგი მოგვიანებით *შელკოზავოდსკოეს* სახელწოდებას ატარებდა. XVIII საუკუნის ბოლოს ამ დასახლებაში 227 მამაკაც სომეხთან ერთად 153 ქართველი მამაკაციც მკვიდრობდა. *ყიზლარის* ციხე-სიმაგრის დაარსების შემდეგ (1736 წ.), დარუბანდიდან 450 სომეხი დასახლებულა. სომხები აქ ყარაბაღიდან და სპარსეთიდანაც მოსულან. ისინი ძირითადად პეტრე I-ის სპარსეთში ლაშქრობის მონაწილენი იყვნენ. XVIII საუკუნის 60-იან წლებში *მოზდოკში* სხვა ხალხებთან ერთად სომხებიც დასახლდნენ. 1795 წელს კავკასიის ხაზზე *ბაქოს, დარუბანდისა* და *ყუბის* სახანოებიდან 5000-ზე მეტი სომეხი გადმოსახლდა. ყიზლარის მაზრაში ამ დროს კიდევ რამდენიმე სომხური დასახლება წარმოიქმნა, სადაც 1800-1811 წლებში დარუბანდელი სომხების კიდევ ერთი ჯგუფი მოვიდა. 1799 წელს სომეხ მრეწველებსა და ვაჭრებს ნება დართეს *ძველი მაჯარის* ადგილზე ახალი ქალაქის აშენებისა, რომელსაც „სვიატოი კრესტ“ (თანამედროვე *ბუდიონოვსკი*) უწოდეს. თანდათან იზრდებოდა *ყიზლარის* სომხური მოსახლეობა. ასე, მაგალითად, 1785 წელს აქ 2,2 ათასი სომეხი ცხოვრობდა, 1806 წლისათვის მათმა რაოდენობამ 5,4 ათასს გადააჭარბა. მოზდოკში 1781 წელს 700 სომეხი იყო აღრიცხული,

XVIII საუკუნის ბოლოს – 2300. მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობდნენ სომხები მოზდოკიდან 35 კილომეტრით დაშორებულ სოფელ *ედისში,* სადაც სომხები ყუბის სახანოდან იყვნენ გადმოსახლებული. თერგის გაყოლებით მცხოვრები სომხები თავისუფლად ლაპარაკობდნენ ახლო-მახლო მცხოვრები ხალხების ენებზე (ნოღაურ ენაზე, მთიელთა ენებზე). კავკასიაში მცხოვრებ სომხებს შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი რწმენა, ეთნოკულტურული ტრადიციები.

ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაზე დიდი ხნის მოსული ჩერქეზეთის ანუ მთის სომხები არიან, რომლებიც დასავლეთ ადიღეელთა შორის ბინადრობდნენ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეს სომხები XIV საუკუნეში კილიკიის სომხური სახელმწიფოს განადგურების შემდეგ არიან მოსული. სხვათა აზრით, მათი მიგრაცია XV საუკუნეში ყირიმიდან მოხდა. ჩერქეზებს შორის დისპერსიულად განსახლებულმა სომხებმა ინტენსიური ეკონომიკური, საოჯახო, კულტურულ-ყოფითი კონტაქტი დაამყარეს მათთან. ჩერქეზული კულტურა არა მარტო შეიჭრა სომეხთა ცხოვრებაში, არამედ გაბატონებულიც კი გახდა. მაგრამ ჩერქეზებს შორის განსახლებულმა სომხებმა ეთნიკური თვითშეგნება არ დაკარგეს, რაც ქრისიტანული რელიგიისა და მაღალი სოციალურ სტატუსის შენარჩუნებამ განაპირობა. დანარჩენი სომხებისაგან ისინი თავიანთ თავს ანსხვავებდნენ. მათი როგორც ენდოეთნონიმი, ისე ეგზოეთნონიმი იყო „ერმენლი“ (სომხების აღმნიშვნელი ყირიმელი თათრების ტერმინი). XVIII საუკუნის ბოლო ათწლეულსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩერქეზეთის სომხები მთიდან ბარში გადასახლდნენ და *არმავირი* დააარსეს (1841 წ.). XIX საუკუნის 40-იან წლებში არმავირში ნამყოფი ერთ-ერთი სასულიერო პირი აღნიშნავდა, რომ ჩერქეზეთის სომხები თითქმის არაფრით განსხვავდებიან ჩერქეზებისაგანო – იგივე ენა, წეს-ჩვეულებები, საჭმელები, საოჯახო ჭურჭელი და ტანსაცმელი. არ იცოდნენ სომხური ენაც. იგივეს აღნიშნავდა 1859 წელს რუსეთის სამეფოს ადმინისტრაციის ერთ-ერთი წარმომადგენელიც. ის ხაზს უსვამდა, რომ ჩერქეზეთის სომხებმა სომხური ენა არ იციან და ადიღეური ენის აზაძეხურ დიალექტზე მეტყველებენო. მიუხედავად იმისა, რომ

სომხები ჩერქეზებად იყვნენ გარდაქმნილნი, მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ისინი სომხები არიან.

XIX საუკუნეში სომხური მოსახლეობის რაოდენობა იზრდებოდა *ეკატერინოდარშიც* (კრასნოდარი). *სტავროპოლში* კი პირველი სომხური დასახლებები XVIII საუკუნის ბოლოს წარმოიქმნა. აქ ისინი ცალკე ერთ ქუჩაზე იყვნენ დასახლებულნი. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში იმატებდა *ვლადიკავკაზის* სომხური მოსახლეობაც. სამხრეთ რუსეთში დასავლეთ სომეხთა მასობრივი მიგრაცია XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. XIX საუკუნის ბოლოს ლტოლვილი სომხების დიდი რაოდენობა კავკასიის შავიზღვისპირეთსა და ყირიმს მიაწყდა (*ანაპის, ნოვოროსიისკის, ტუაფსეს, სოჭის, იალტის, ქერჩის, სიმფეროპოლის* რაიონები). ჩრდილოეთ კავკასიაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოვიდნენ 1915-1916 წლებში. 1926 წელს *მაიკოპის* ოკრუგში ნაციონალური სომხური რაიონიც კი ჩამოაყალიბეს, რომლის ცენტრიც სოფელი *შაუმიანი* იყო. 1979 წელს კრასნოდარის მხარეში 120,8 ათასი სომეხი ცხოვრობდა. 1989 წელს კი მათმა რაოდენობამ 182 ათასს გადააჭარბა. 1996 წლის მონაცემებით კრასნოდარის მხარეში სომეხთა რაოდენობა 223,8 ათასი კაცი იყო.

დღევანდელ სომხეთში (ანუ ისტორიულ აღმოსავლეთ სომხეთში) მოსახლეობის ორი ფენა გამოიყოფა: ერთი – ადგილობრივი და მეორე დასავლეთ სომხეთიდან (ანუ თურქეთიდან) მიგრირებულნი. ასე რომ, სომხეთის რესპუბლიკა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ორ ძირითად ოლქად იყოფა – დასავლეთ სომხების განსახლების არეალი და აღმოსავლეთ სომხების განსახლების ოლქი. სომხეთში ეს ორი ეთნოგრაფიული არეალი 1830-იანი წლების შემდეგ ჩამოყალიბდა, როდესაც თურქეთიდან დასავლეთ სომხების დიდი მასა რუსეთის შემადგენლობაში მყოფ სომხეთის ტერიტორიაზე განსახლდა. ისინი დღევანდელი სომხეთის აღმოსავლეთ და ცენტრალურ რაიონებში (*არაგაწი, არარატის ველი, გეხარკუნი, ვაიოც-ძორი*) დასახლდნენ. აღმოსავლეთ სომხეთის დანარჩენ ნაწილს ძირითადად შენარჩუნებული ჰქონდა ძირძველი მოსახლეობა და, მასთან ერთად, კულტურისა და ყოფისათვის დამახასიათებელი გარკვეული სპეციფიკაც. ასეთ ძირძველ სომხურ

მოსახლეობად სომეხი მეცნიერები ყარაბაღის სომხებსაც მიიჩნევენ. თუმცა, აზერბაიჯანულ საისტორიო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ XIX საუკუნემდე მთიან ყარაბაღში სომხები მცირე ჯგუფების სახით იყვნენ განსახლებული და რომ ისინი აქ, ისევე როგორც აზერბაიჯანის სხვა რაიონებში, ძირითადად 1828 წლის შემდეგ, ცარიზმმა დაასახლა.

II.12. ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიზაცია

მთელი მსოფლიოს ეთნიკური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვასა და განვითარებას, რასთანაც დაკავშირებულია XVI-XIX საუკუნეებში ევროპელთა დიდი ჯგუფების ამერიკაში, ავსტრალიაში, ოკეანიასა და სამხრეთ აფრიკაში გადასახლება. ამ გრანდიოზულ მიგრაციებში მთავარი და წამყვანი როლი თავდაპირველად ესპანელებმა და პორტუგალიელებმა ითამაშეს. ამერიკის კონტინენტზე მიგრირებულმა, მშობლიურ ეთნოსებს მოწყვეტილმა ევროპელებმა უცხო საბინადრო ადგილებში ახალ ეთნიკურ ერთობებს მისცეს დასაბამი. ახალი ეთნოსების ჩამოყალიბებაში ერთ შემთხვევაში მთავარი როლი ითამაშა კოლონიური ქვეყნების ადგილობრივმა ავტოქტონმა მოსახლეობამ, მეორე შემთხვევაში კი – ევროპიდან გადასახლებულთა შთამომავლებმა, რადგან ადგილობრივი, ავტოქტონი მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში თითქმის მთლიანად გაანადგურეს, ხელოვნურად იზოლაციაში მოაქციეს და თავიანთი ეთნიკური ტერიტორიიდან გააძევეს. პირველი გზით მოხდა მექსიკის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ბევრი ხალხის ფორმირება. ეთნიკური განვითარების მეორე გზა დამახასიათებელი იყო კანადელებისათვის, აშშ-თვის, არგენტინისათვის, ურუგვაისათვის, ავსტრალიისათვის, ოკეანიის ბევრი კუნძულისათვის (ახალი ზელანდია, ჰავაი და სხვ.). ანალოგიური გზით სამხრეთ აფრიკაში ჰოლანდიიდან გადასახლებულთა შთამომავლებისაგან (ე. წ. ბურები) ჩამოყალიბდა ახალი ეთნოსი – აფრიკანერები, რომლებიც ლაპარაკობენ „აფრიკანსის“ განსაკუთრებულ ენაზე (6 მილიონზე მეტი), რომელიც ახლოსაა ჰოლანდიურთან და ამავე დროს მისგან ბევრი

თავისებურებით განსხვავდება. ზოგიერთ ამერიკულ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი კარიბის ზღვის აუზის კუნძულებზე, ვენესუელის, ბრაზილიისა და გაიანის ეთნიკურ ისტორიაში ევროპელების გვერდით დიდი როლი ითამაშეს ინდიელებმა და აფრიკული წარმოშობის მონათა შთამომავლებმა.

1524 წელს ფლორენციელი *ჯოვანი ვერაცანო* ფრანგული დროშით აკვირდებოდა ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს და მას „ახალი გალია“ უწოდა. 1553 წელს საფრანგეთის მეფემ ფრანცისკ I-მა რომის პაპთან მოლაპარაკებისას მიაღწია გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ 1493 წელს პორტუგალიასა და ესპანეთს შორის „ჩატარებული“ მსოფლიოს გაყოფა ძალაში დარჩენილიყო მხოლოდ უკვე აღმოჩენილი მიწების მიმართ; ამან საფრანგეთს იურიდიული საფუძველი მისცა კოლონიური ექსპანსია დაეწყო, რომლის ძირითადი ობიექტიც კანადა აღმოჩნდა. თავისი პირველი მოგზაურობისას (1534 წლის აპრილი-სექტემბერი) *ჟ. კარტიემ* აღმოაჩინა წმ. *ლავრენტის ყურე* და პრინც *ედუარდის* კუნძული და გადავიდა კანადის სანაპიროზე (*გასპეს ნახევარკუნძულზე*). მეორე მოგზაურობისას (1535–1536 წლები) აღმოაჩინა მდ. წმ. ლავრენტის შესართავი და გაემართა ზემოთ მის დინებაზე მდინარე ოტავის შესართავამდე. მაგრამ კანადის კოლონიზაციის მცდელობის დაწყება (ჟ. კარტიეს მესამე მოგზაურობა 1541-1542 წლებში და რობერვალეს ექსპედიცია 1542-1543 წწ.) წარუმატებლად დამთავრდა. **XVI საუკუნის მეორე ნახევარში შიდა რელიგიურმა ომებმა საფრანგეთი აიძულა უარი ეთქვა აქტიურ კოლონიალურ პოლიტიკაზე; ამ დროს კი ინიციატივა გადავიდა ინგლისელების მხარეზე,** რომლებმაც 1583 წელს ნიუფაუნდლენდზე დააარსეს ფორტი (ციხე-სიმაგრე, ციტადელი) სენტ-ჯონსი, 1584 წელს წარუმატებლად შეეცადნენ დასახლებულიყვნენ თანამედროვე აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩეზაპინის უბის სამხრეთით (ვირგინია). ისინი აგრეთვე იწყებენ ინდოეთსა და ჩინეთში მიმავალი ჩრდილო-დასავლეთი გზის ძებნას, რომლის დროსაც აღმოაჩინეს გრელანდიის სამხრეთი სანაპირო და ბაფინის მიწის კუნძული (1576-1578 წწ.), გრელანდიასა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის დევისის ყურე (1585 წ.).

XVII საუკუნის დასაწყისიდან ფრანგების კანადაში შეღწევის პროცესი განახლდა: 1603 წელს ფ. გრავეს ექსპედიცია იკვლევდა მდ. წმ. ლავრენტის; 1605 წელს ფრანგები აარსებენ სიმაგრეს პორ-რუიალს ფანდის ყურეში და მის მიმდებარე ოლქს უწოდებენ აკადიას; 1605-1607 წლებში *ს. დე შამპლეინმა* განახორციელა მოგზაურობა დიდი ტბების რაიონში, ხოლო 1608 წელს საძირკველი ჩაუყარეს კვებეკის სიმაგრეს, რის შემდეგაც დაიწყო კანადის სისტემატიური კოლონიზაცია; მანვე წამოიწყო ექსპედიცია მდ. რიშელიეს ხეობაში და გამოაცხადა ის საფრანგეთის სამფლობელოდ. მიუხედავად ამისა, ფრანგებს ჩრდილოეთით – გუძონის ყურეს მიმართულებით – ინდიელთა წინააღმდეგობა ხელს უშლიდა. ამავე დროს გააქტიურდა ინგლისელების ჩრდილოეთ ამერიკაში შეღწევა: 1607 წელს ისინი დაეფუძნენ ვირჯინიაში (ჯეიმსტაუნი), 1620 წელს – მასაჩუსეტში (პლიმუტი); ჩეზაპინის ყურის ჩრდილოეთით რაიონს უწოდეს ახალი ინგლისი; 1624 წელს ვირჯინიელი კოლონისტები გადასახლდნენ მერილენდში და აქ დაარსეს პირველი კოლონია. 1626 წელს ჰოლანდიელებმა დაიკავეს მდ. გუძონის შესართავი (ახალი ნიდერლანდები) და აქ ააშენეს სიმაგრე – **ახალი ამსტერდამი (თანამედროვე ნიუ-იორკი).** 1627 წელს ინგლისელებმა დაიწყეს კანადის ექსპანსია და ძველი პორ-რუალიეს ადგილას საფუძველი ჩაუყარეს ახალი შოტლანდიის დასახლებას. 1628 წელს მდინარე წმინდა ლავრენტის შესართავში მათ დაიპყრეს ფრანგული ფორტები, ხოლო 1629 წელს დაიპყრეს კვებეკი და დაიწყეს ფრანგების აკადიდან გაყრა. მაგრამ 1632 წელს ზავმა აკადია და წმ. ლავრენტის ხეობა საფრანგეთს შეუნარჩუნა, ინგლისელები კი გამაგრდნენ თანამედროვე აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

საყურადღებო ფაქტია, რომ ევროპელები XVIII საუკუნის ბოლომდე მხოლოდ ამერიკის კონტინენტზე მიგირდებოდნენ. ავსტრალია მათთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო. ხოლო სამხრეთ აფრიკაში დიდ გადასახლებებს ხელს უშლიდა ჰოლანდიელთა ოსტინდური კომპანია. XVIII საუკუნის ბოლოს ევროპელების მთავარი მიგრაციული მიმართულება ამერიკა იყო, ხოლო ავსტრალიასა და სამხრეთ აფრიკაში მხოლოდ მცირე მიგრაციული ნაკადები მიემა-

რთებოდა. უფრო სუსტი იყო გადასახლებულთა ნაკადი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისაკენ. ასე რომ, XVIII ს-ის ბოლომდე ევროპელთა ოკიანის იქით მიგრაცია თანემთხვევა ამერიკის კოლონიზაციას. ევროპა ამერიკას ამარაგებდა შრომითი რესურსებით.

ევროპული კოლონიური პოლიტიკის ხასიათი და მიმართულება ისტორიულად დაკავშირებულია ამერიკაში ახალი მიწების აღმოჩენასთან. ევროპელი კოლონისტები XVII საუკუნის განმავლობაში და XVIII საუკუნის პირველ ათწლეულებში ესახლებოდნენ ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, რომლებიც დაპყრობილი ჰქონდათ ესპანელებსა და პორტუგალიელებს. XVII საუკუნის შუა ხანებიდან ახალი სამყაროს კოლონიზაციაში უფრო მეტ მონაწილეობას იღებდნენ ფრანგები და ინგლისელები. XVII საუკუნეში მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალი ინგლისის მოსახლეობის რაოდენობა. ამ პერიოდში ამერიკის კოლონიზაციის მასშტაბები მაინცდამაინც დიდი არ იყო. რაც შეეხება სამხრეთ აფრიკას, აქ იმიგრანტების სუსტი ნაკადები XIX საუკუნის 60-იან წლებამდე გრძელდებოდა. ამის მიზეზი ევროპელთათვის არასასურველ კლიმატურ პირობებთან ერთად იყო ესპანეთისა და პორტუგალიის კოლონიური პოლიტიკის თავისებურებანი. ასე, მაგალითად, ვენეციელებს კოლონიებში აკრძალული ჰქონდათ არა მხოლოდ ვაჭრობა, არამედ დროებითი ყოფნაც. ცნობილია შემთხვევები, როდესაც პიროვნებები XVIII საუკუნის შუა ხანებში თვითნებურად შედიოდნენ ესპანეთის კოლონიებში, მათ ციხეში ამწყვდევდნენ. კოლონიებში შესასვლელად აუცილებელი იყო ესპანეთის ხელისუფლების მიერ სპეციალურად გაცემული ნებართვა. ესპანურ კოლონიებში შესვლისა და დასახლების უფლება არ ჰქონდათ აგრეთვე ევროპაში რელიგიურ ნიადაგზე დევნილ პროტესტანტებს. ხოლო XVII საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ ამერიკაში ანგლიკანური ეკლესიის მიერ დევნილი კათოლიკეები და სხვა პროტესტანტები მიისწრაფოდნენ. მიუთითებენ, რომ ესპანეთის ეს პოლიტიკა სამხრეთ ამერიკაში არა მხოლოდ ზღუდავდა იმიგრაციას, არამედ ამუხრუჭებდა წარმოების განვითარებას, ხოლო ინგლისის პოლიტიკა კი პირიქითი შედეგის მომტანი იყო.

ამერიკის კონტინენტის როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ნაწილში იმიგრაცია გაძლიერდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამერიკელი დემოგრაფი *ვ. უილკოკსი* მიიჩნევს, რომ თუ ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობა 1650 წლიდან 1750 წლამდე დაპყრობითი და შინა ომების შედეგად 1 მილიონით შემცირდა (7 მილიონიდან 6 მილიონამდე), 1750-დან 1800 წლამდე ის 2,5-ჯერ გაიზარდა და მიაღწია 15 მილიონ კაცს.

რა იწვევდა ევროპელი ხალხების ამერიკის კონტინენტზე მასობრივ მიგრაციას? – ევროპის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების რთული პროცესი. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება განსაზღვრავდა კოლონიზაციის მასშტაბებს მის ცალკეულ პერიოდებში. ამერიკის კონტინენტის წიაღისეულით სიმდიდრე, ვრცელი და ნაყოფიერი სივრცეები და მათი ათვისება მუდმივად თხოულობდა მუშახელს. XIX საუკუნეში ახალად წარმოქმნილი ქვეყნების კანონმდებლობა იმიგრანტების მფარველობას ითვალისწინებდა.

ინგლისიდან ამერიკის მიმართულებით წასულთა სრულ აღრიცხვას ახდენდნენ. 1853 წლიდან კი დაიწყეს მიგრანტების ეროვნული თვალსაზრისით აღრიცხვა, რადგან ბევრი მიგრანტი ამ ქვეყნის ნავსადგურებიდან მიემგზავრებოდა. ემიგრანტების რეგისტრაცია გერმანიაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყეს: ბერლინში (1832 წლიდან), ჰამბურგში (1846 წლიდან), ბრემენში (1866 წლიდან). აღრიცხავდნენ ემიგრანტების მიმართულების ქვეყანასაც. დოკუმენტებით დგინდება, რომ ევროპის ქვეყნებიდან ამერიკაში ასწლიან პერიოდში (1801 წლიდან 1900 წლის ჩათვლით) ემიგრირდა 28 მილიონი ადამიანი. 1831-1840 წლებში ევროპელ მიგრანტთა 80% (150 ათასი) ინგლისზე მოდიოდა. ევროპის ქვეყნებიდან ემიგრანტთა რაოდენობით მთელი XIX საუკუნის განმავლობაში დიდ ბრიტანეთს პირველი ადგილი ეკავა – 1815-1900 წლებში აქედან 13 მილიონი ადამიანი გადასახლდა, თუმცა მათ შორის ბევრი არაბრიტანელიც იყო. ბრიტანელ მიგრანტთა რაოდენობას კი 8,9 მილიონით განსაზღვრავენ. 85 წლის განმავლობაში ბრიტანეთიდან წასული ემიგრანტების 65% აშშ-ში მიემართებოდა, 15% – კანადაში, 11% – ავსტრალიაში, 5% – სამხ-

რეთ ამერიკაში. ემიგრაციის შესამჩნევი აღმავლობა XIX საუკუნის 40-იან და 50-იანი წლების დასაწყისში იყო, რაც ირლანდიაში ე. წ. „კარტოფილის შიმშილმა“ განაპირობა. ამ დროს ირლანდიის მოსახლეობა განახევრდა.

XIX საუკუნეში ემიგრანტების რაოდენობით ევროპაში მეორე ადგილი ეკავა გერმანიას – 1841-1900 წლებში აქედან 4 მილიონ 853 ათასი კაცი ემიგრირდა. გერმანელი მიგრანტები უპირველეს ყოვლისა ჯერ აშშ-კენ მიემართებოდნენ და შემდეგ – ბრაზილიისაკენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ინტენსიური იყო იტალიელთა მიგრაცია. აქედან ემიგრანტები მიემართებოდნენ არგენტინაში, ბრაზილიასა და აშშ-ში. 1876 წლიდან საუკუნის ბოლომდე იტალია 3 მილიონ 859 ათასმა კაცმა დატოვა (არგენტინაში – 250 ათასი, ბრაზილიაში – 290 ათასი, ურუგვაიში – 80 ათასი, აშშ-ში – 280 ათასი...). გრძელდებოდა ესპანელთა და პორტუგალიელთა მიგრაციაც. ამერიკის მიმართულებით დიდი იყო მიგრაციული ნაკადები შვედეთიდან, ნორვეგიიდან, ნიდერლანდებიდან, შვეიცარიიდან... დადგენილია, რომ კოლონიზაციის დასაწყისიდან მეორე მსოფლიო ომამდე ევროპიდან ოკეანის გაღმა დაახლოებით 60 მილიონი ადამიანი ემიგრირდა. ამ რაოდენობიდან 60% აშშ-ში გადასახლდა.

II.13. ლათინური ამერიკის კოლონიზაცია

ლათინური ამერიკის ქვეყნების კოლონიზაცია კოლუმბის პირველი მოგზაურობისთანავე დაიწყო, რასაც თან ახლდა ადგილობრივი მოსახლეობის დამორჩილება და მიწების დაპყრობა, ინდიელთა ნაწილის განადგურება და ცოცხლად გადარჩენილთა სამუშაო ძალად გამოყენება, მოსულთა ადგილობრივ მოსახლეობაში შერევა და ახალი ხალხების ჩამოყალიბება. ეს პროცესები მექსიკაში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში გაცილებით უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ახალი სამყაროს ჩრდილოეთ ნაწილში და უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე ამ უკანასკნელში. მნიშვნელოვანი განსხვავებაა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სხვა თვალსაზრისითაც. ჩრდილოეთ ამერიკაში კოლონიურ პერიოდში მოსულმა

ევროპელებმა არა მარტო დაიპყრეს და აითვისეს მიწის უმეტესი ნაწილი, არამედ ადგილობრივი მოსახლეობაც გაანადგურეს. ლათინურ ამერიკაში მრავალმილიონიანი ხალხები კოლონიზაციის შემდეგაც აგრძელებდნენ არსებობას; ისინი თავიანთ ძირძველ ეთნიკურ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და თვითმყოფად კულტურებს ავითარებდნენ.

1492 წლის 12 ოქტომბერს კასტილიიდან გამოსული ქრისტეფორე კოლუმბის სამგემიანი ექსპედიცია პირველად ბაგამის კუნძულებს, გუანახამის კუნძულს მიადგა, რომელსაც ესპანელებმა სან-სალვადორი უწოდეს. **კარიბის ზღვაში რამდენიმე თვის ცურვისა და დაკვირვების შემდეგ კოლუმბმა ახალ სამყაროში – კუნძულზე – პირველი ევროპული დასახლება დააარსა.**

1493 წლის ბოლოს ჰაიტში კოლუმბის მეორე ექსპედიცია მივიდა. მან აქ დაახლოებით 500-მდე ესპანელი მოიყვანა, რომელთა შორის სასჯელმოხდილი დამნაშავეებიც იყვნენ. ახალი სამყაროს კოლონისტებიდან ნაწილი თავისი ნებით წამოსული, ნაწილი კი იძულებით იყო წამოყვანილი. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ესპანელები ჰაიტში მკვიდრად დაფუძნდნენ. მოიყვანეს მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ცხენი, სახედარი... დაინერგა სხვადასხვა მარცვლოვანი კულტურები (პირველ რიგში, ხორბალი), ვაზი, აგრეთვე შაქრის ლერწამი.

1498 წელს, მესამედ მოგზაურობისას, კოლუმბმა სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაპირებს მიაღწია. 1502-1504 წლებში, თავისი უკანასკნელი მოგზაურობისას, კოლუმბი ცენტრალური ამერიკის ნაპირებთან მივიდა, სადაც ახლა ჰონდურასის, კოსტა-რიკისა და პანამის სახელმწიფოებია.

კოლუმბის ოთხი ექსპედიციის შედეგად (1492-1505 წლები) აღმოაჩინეს დიდი ანტილიისა და პატარა ანტილიის ყველა კუნძული, ბაგამის კუნძულები და კარიბის ზღვის ყველა მცირე კუნძული. მან ისინი ესპანეთის ტახტს დაუქვემდებარა.

ახალაღმოჩენილი მიწების დაპყრობასა და კოლონიზაციას მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებდა, რადგან **ესპანეთში მიემგზავრებოდნენ არა ესპანეთის სამეფოს ჯარისკაცები, არამედ დაქირავებული რაზმები – *კონკისტადორები*. რაზმებს აგროვებდ-**

ნენ და წინამძღოლობას უწევდნენ მეთაურები – *ადელანტადოები*. ადელანტადოები მეფესთან მოლაპარაკების მიხედვით მოქმედებდნენ. თვით დაპყრობების დროს კი მეფის პირდაპირ მითითებებს არ ასრულებდნენ. ისინი ჯარს ხელმძღვანელობდნენ და დაპყრობილ მიწებზე წესრიგს თავიანთი შეხედულებისამებრ ამყარებდნენ. მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ მთავრდებოდა ადელანტადოს ხელისუფლება და ის უშუალოდ სამეფოს ხელში გადადიოდა.

კუნძული ჰაიტი ესპანელებმა მთლიანად XVI საუკუნის პირველ ათწლეულში დაიპყრეს, სადაც მეფის ნაცვალი დაინიშნა. კოლონიზაციის შემდეგი ობიექტი პანამის ყელი იყო. 1513 წელს ესპანელებმა ***ვასკო ნუნეს ბალბოას*** **მეთაურობით წყნარ ოკეანეს მიაღწიეს, რომელსაც „სამხრეთის ზღვა“ უწოდეს** და მასში არსებული ყველა კუნძული ესპანეთის სამფლობელოდ გამოაცხადეს. 1574 წელს პანამის ყელზე ესპანური კოლონია დაარსდა, რომელიც 1500-მდე კაცს ითვლიდა. იმავე წელს დაიპყრეს კუბა, საიდანაც ***ერნანდეს დე კორდობას*** კონკისტადორების რაზმი 1517 წელს გემით მატერიკის მიმართულებით გაემგზავრა. ექსპედიციას ქარიშხალი დაატყდა თავს. გემები იუკატანის ნაპირზე გაირიყა, სადაც ესპანელები პირველად შეეჯახნენ მაიას ინდიელებს და შეიარაღებული შეტაკების შემდეგ დიდი დანაკარგებით რაზმი უკან დაბრუნდა.

1519 წელს იუკატანში ახალი რაზმი გაემგზავრა. მის მეთაურად ახალგაზრდა **ღარიბი აზნაური ერნანდო კორტესი** დაინიშნა. კორტესმა მნიშვნელოვანი თანხის მოპოვების შემდეგ 500 ჯარისკაცი დაიქირავა. ფლოტილია 11 გემისა და 10 ქვემეხისაგან შედგებოდა. ოფიცრებისათვის თან წაიყვანეს 11 ცხენი. კორტესის რაზმი ტაბასკოში ადგილობრივ მოსახლეობას – მაიას ხალხს შეეჯახა. ცეცხლსასროლი იარაღის წყალობით ესპანელებმა გაიმარჯვეს. ტაბასკოში გამარჯვების შემდეგ ინდიელებმა კორტესს ძღვენი მიართვეს, რომელთა შორის ახალგაზრდა ტყვეებიც იყვნენ. ისინი მონათლეს და მეთაურებს ცოლებად დაურიგეს. წარმოშობით აცტეკი ტყვე ქალი (რომელიც მაიას მონობაში აღმოჩნდა) კორტესის ცოლი და თარჯიმანი გახდა. იუკატანიდან კორ-

ტესმა მოლაპარაკებები გამართა აცტეკთა მმართველ **მონტესუმას** წარმომადგენლებთან, რომელმაც თავისი მდიდარი საჩუქრებით დამპყრობთა მადა გააძლიერა.

ზოგიერთმა ადგილობრივმა ტომმა ესპანელთა მხარე დაიჭირა, რადგან ისინი აცტეკების მიერ იყვნენ დაპყრობილნი. როდესაც ესპანელები **ტენონჩიტლანს** მიადგნენ და დაინახეს დიდი ქალაქი თეთრი ქვის ტაძრებით, თავი ზღაპრული სიმდიდრით განთქმულ ქვეყანაში იგრძნეს. აცტეკებმა იცოდნენ ესპანელების ტაბასკოსთან გამარჯვების შესახებ და, მიუხედავად ამისა, **თეთრსახიანი ევროპელები ცის მცხოვრებლებად მიიღეს**. მონტესუმა კორტესს ისე მიესალმა, როგორც ღმერთ ***კეცალკოატლის*** გამოგზავნილს და სრული მორჩილება გამოუცხადა, მაგრამ მალე აცტეკები დარწმუნდნენ, რომ მათ წინაშე მოკვდავები იყვნენ. ესპანელების მოულოდნელი შეტაკებისას აცტეკებთან, რომელიც მოსულთა მიერ იყო პროვოცირებული, რამდენიმე ესპანელი იქნა მოკლული. კორტესმა მონტესუმა მძევლად აიყვანა და მას ქვეყნის მართვა ესპანელთა მითითებებისა და ბრძანებების მიხედვით მოსთხოვა.

მიღებული ძვირფასეულობიდან კორტესმა ერთი მეხუთედი ესპანეთის მეფისათვის შეინახა, მეორე მეხუთედი თავისთვის აიღო, ხოლო დანარჩენი ჯარისკაცებს გაუყო. შემდეგ დამპყრობლებს შორის შეხლა-შემოხლა და უთანხმოება დაიწყო. ყოველი მხარე აცტეკების თავისი ინტერესებისათვის გამოყენებას ცდილობდა, რომლებიც ახლა უკვე უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. ტენონჩიტლანში ცხარე ბრძოლების დროს ესპანელებმა მონტესუმა აიძულეს ხალხის წინაშე გამოსულიყო და დამპყრობლებზე თავდასხმების შეწყვეტა ებრძანა, მაგრამ შეძახილების შემდეგ ხალხმა მას ქვები დაუშინა. რამდენიმე დღეში მონტესუმა ჭრილობებისაგან გარდაიცვალა. აცტეკების შემდეგ ბრძოლებს მონტესუმას ძმისშვილი და მემკვიდრე – კუაუტემოკი მეთაურობდა. ესპანელები ტენონჩიტლანიდან გავიდნენ და ერთმანეთის მიყოლებით დაიპყრეს ანსუაკის ქალაქები. **1521 წლის აგვისტოში ესპანელებმა აცტეკები საბოლოოდ დაიმორჩილეს**.

შემდეგ წლებში დაპყრობილ იქნა მექსიკის ველის სამხრეთით მდებარე ქვეყნები. 1523-1524 წლებში ესპანელებმა დაიკავეს მიწე-

ბი, რომლებზედაც ახლა გვატემალის, ჰონდურასისა და ნიკარაგუას სახელმწიფოები მდებარეობს.

იუკატანში მაიას ინდიელები ესპანელებს ჯერ კიდევ უწევდნენ წინააღმდეგობას. ესპანელებმა მათი დაპყრობა მხოლოდ XVI საუკუნის 40-იან წლებში შეძლეს. დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ ესპანელები მეხიკოს ველის ჩრდილოეთით მდებარე მიწების დაპყრობისას. მათთვის უცხო ბუნებრივი პირობებისა და აქ მცხოვრები ტომების მხრიდან დიდი წინააღმდეგობის გაწევის გამო კოლორადოს აუზისა და რიო-გრანდე-დელ-ნორტეს ოლქის მკვიდრთა დამორჩილება მხოლოდ XVI საუკუნის ბოლოს მოახერხეს.

ცენტრალურ ამერიკაში ესპანეთის კოლონიები ახალი ესპანეთის სახელწოდების ქვეშ გაერთიანდა. დანგრეული ქალაქის – ტენონჩიტლანის ადგილზე ააშენეს ქალაქი მეხიკო, რომელიც კოლონიის დედაქალაქად იქცა. კორტესი მის პირველ გუბერნატორად დაინიშნა.

ახალი სიმდიდრეების საძებნელად ამერიკაში ესპანელთა ახალ-ახალი ექსპედიციები მიემგზავრებოდა. 1536-1538 წლებში მათ ჩიბრა-მუისკას ქვეყანა (ახლანდელი კოლუმბია) დაიპყრეს. 1524 წელს ესპანელები სამხრეთისაკენ გაემგზავრნენ. **ინკების სახელმწიფო მხოლოდ 1572 წელს, ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ დაეცა**. პერუდან ესპანელები ახლანდელ ბოლივიასა და ჩრდილოეთ ჩილეში გადავიდნენ. 1539-1569 წლებში მათ ჩილეს მთელი სანაპირო დაიპყრეს, მაგრამ ქვეყნის შიგნით შეღწევის მცდელობისას ისინი ინდიელთა ტომის – **არაუკანელების** დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. აქ ბრძოლა ორასი წელი გაგრძელდა. ამრიგად, XVI საუკუნის შუა ხანებისათვის ესპანური კოლონიები ძალიან ვრცელ სივრცეზე გადაიჭიმა – ჩრდილოეთ მექსიკიდან და ფლორიდიდან ამერიკის კონტინენტის სამხრეთამდე. სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთი ნახევრის კოლონიზაციაში პორტუგალიური დაპყრობებიც დიდ როლს თამაშობდა.

ლათინური ამერიკის ინდიელთა მთელი რიგი ტომები ესპანელმა და პორტუგალიელმა კოლონისტებმა გაწყვიტეს. ინდიელთა სიკვდილს არა მარტო ევროპელთა უხეში ძალადობა, არამედ ყვავილის ეპიდემია და სხვა სნეულებანიც იწვევდა, რომელიც მათ აქ

შემოიტანეს. 1554 წლისათვის ვესტ-ინდოეთის კუნძულებზე იმდენად ცოტა ინდიელი დარჩა, რომ ამ წელს ისინი გამოსაღებისა და იძულებითი სამუშაოებისაგან გაათავისუფლეს. 1574 წელს პუერტო-რიკოში არ დარჩა არც ერთი ადგილობრივი ინდიელი. ინდიელთა კატასტროფულმა შემცირებამ სამუშაო ძალის ნაკლებობა გამოიწვია, რაც პლანტაციური მეურნეობის განვითარების შედეგად უფრო აშკარა გახდა.

XVII საუკუნეში ინგლისელებმა ვესტ-ინდოეთში ბრაზილიიდან შაქრის ლერწმის კულტურა შეიტანეს. XVII საუკუნის მეორე ნახევარში იამაიკა, ბარბადოსი და კუბა შაქრის ლერწმის წარმოების ცენტრები გახდნენ. პლანტაციებსა და ქარხნებში სამუშაოდ ბევრი მუშახელი იყო საჭირო. დაიწყო ევროპიდან მუშების შემოყვანა, აფრიკიდან კი – მონებისა. მუშების შეგროვებისა (გადაბირებისა) და მონებით ვაჭრობის საქმე ინგლისელებმა ჩაიგდეს ხელში. XVII საუკუნის დასაწყისიდან ღარიბ ევროპელთა (თეთრების) მასები ამერიკაში გადასახლდნენ. გამგზავრების წინ ისინი კონტრაქტს გარკვეული ვადით აწერდნენ ხელს. კოლონიური პერიოდის განმავლობაში ამ კატეგორიის 250 ათასი ადამიანი ემიგრირდა. მათი უმეტესობა ცენტრალური ამერიკის კოლონიებისაკენ მიემართებოდა.

მიგრანტთა სხვა კატეგორიას პოლიტიკური მიზეზით გადასახლებულები წარმოადგენდნენ. კრომველმა ვესტ-ინდოეთში დაუმორჩილებელი ირლანდიელები და შოტლანდიელები გადაასახლა. დღესაც კი ბრიტანული ვესტ-ინდოეთის ბევრ რაიონში ირლანდიური მეტყველება ხშირად ისმის.

აფრიკიდან პირველი მონების შემოყვანა 1505 წლიდან დაიწყეს. შავკანიანებს სამუშაოდ იყენებდნენ მაღაროებსა და შაქრის ლერწმის პლანტაციებში. პლანტაციებში ევროპელებიც მუშაობდნენ, მაგრამ მათი მდგომარეობა სხვაგვარი იყო. დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ ევროპელებს შეეძლოთ მიწის მიღება, ზანგები კი სიცოცხლის ბოლომდე კოლონიზატორებზე იყვნენ დამოკიდებულნი.

ევროპელებისათვის აფრიკელი მონები უფრო სასარგებლონი აღმოჩნდნენ, ვიდრე ინდიელთა პირველყოფილი ტომები და ევრო-

პელები. ისინი ძირითადად გვინეიდან მოჰყავდათ, სადაც განვითარებული იყო მიწათმოქმედება. გვინეის სახელმწიფოში ფართოდ გამოიყენებოდა მონების შრომა. **აფრიკელებს ერთმანეთთან ურთიერთობა არ შეეძლოთ, რადგან ხშირად ისინი სხვადასხვა ეთნოსებს მიეკუთვნებოდნენ და ერთმანეთის ენა არ ესმოდათ. ამიტომ თავდაპირველად მათ ბრძოლისა და გაქცევის საშუალება არ ჰქონდათ.** სპეციალურად ორგანიზებულ ინგლისურ მონათმფლობელურ კომპანიებს ვესტ-ინდოეთში მონები დასავლეთ აფრიკიდან შემოჰყავდათ. ამერიკის ინგლისურ კოლონიებში 1680 წლიდან 1780 წლამდე ორ მილიონზე მეტი აფრიკელი შემოიყვანეს.

XVII-XVIII საუკუნეებში შავკანიანი მონების მნიშვნელოვანი რაოდენობა ესპანეთის კოლონიებშიც შემოიყვანეს. პლანტაციებში სამუშაოდ მონათა შემოყვანამ ის შედეგი გამოიღო, რომ ლათინური ამერიკის მოსახლეობის შემადგენლობაში ახალი კომპონენტი – აფრიკელები შემოვიდნენ, რომლებმაც თავიანთი კულტურა მოიტანეს თან. ინდიელთა რაოდენობა კი სწრაფად მცირდებოდა. ევროპელების, ძირითადად ესპანელების, რაოდენობა მთელი XVI საუკუნის განმავლობაში იზრდებოდა, მაგრამ კოლონიური პერიოდის მომდევნო საუკუნეებში მიგრანტ ესპანელთა რაოდენობა შემცირდა. გაჩნდა აგრეთვე მოსახლეობის სხვა ჯგუფი. ევროპიდან მოსული ესპანელების გვერდით სწრაფად იზრდებოდა ადგილზე დაბადებული ევროპული წარმოშობის ადამიანების რაოდენობა, რომლებმაც **კრეოლის** სახელწოდება მიიღეს. კრეოლები ისეთივე თეთრ ადამიანებად მიიჩნევდნენ თავს, როგორადაც **გაჩუპინები** (ესპანეთიდან უშუალოდ მოსულები), რომლებიც ფაქტობრივად ინდიელებს ერეოდნენ.

კოლონიურ კანონმდებლობაში არაერთხელ წამოიჭრა ინდიელ ქალებთან ქორწინების საკითხი. ფართოდ იყო გავრცელებული ქორწინების გარეშე თანაცხოვრება. ესპანელი ჯარისკაცები, რომლებიც ახალ სამყაროში ცოლების გარეშე მოდიოდნენ, ადგილობრივ ქალებს ხარჭად ისვამდნენ. განვითარდა ხარჭებით ვაჭრობაც. ესპანეთის სამეფო კარი დაინტერესებული იყო ესპანელი კოლონისტებისაგან ბინადარი მოსახლეობა შეექმნა, ამიტომ მონათლულ ინდიელებთან კანონიერი ქორწინებებს ახალისებდნენ.

კანონიერი ქორწინებების გარდა, ბევრი იყო ქორწინებისგარეშე კავშირებიც. ამ კავშირების შედეგად გაჩენილი ბავშვები საცხოვრებლად უფრო ხშირად დედებთან (ინდიელებთან) რჩებოდნენ და ხშირად ინდიელებად მიიჩნეოდნენ. სხვა შემთხვევაში ეს თაობა **მეტისებს** მიეკუთვნებოდა. ასე უწოდებდნენ თეთრისა და ინდიელი ქალის ქორწინების შედეგად გაჩენილ ბავშვებს. ფაქტობრივად კრეოლებიც მეტისირებულნი იყვნენ. მათ შორის სხვაობა მეტად მცირეა. მეტისების ჯგუფი თანდათან იზრდებოდა.

1810 წლისათვის ევროპელები და ევროპელთა შთამომავლები (ინდიელთა და შავკანიანთა სისხლის შერევის გარეშე), ე. წ. ***გაპუჩინები,*** აგრეთვე კრეოლები, მექსიკაში 1 მილ. 230 ათას კაცს ითვლიდნენ, გვატემალაში – 280 ათასს, კუბასა და პუერტო-რიკოში – 339 ათასს, კოლუმბიაში – 642 ათასს, პერუსა და ჩილეში – 468 ათასს, ბუენოს-აირესსა და მის პროვინციებში – 320 ათასს (სულ 3 მილ. 260 ათასი). ამავე დროს ზანგები კუბასა და პუერტო-რიკოში 389 ათასი იყვნენ, კონტინენტზე – 397 ათასი (სულ 776 ათასი). შერეული წარმოშობის მოსახლეობა (მეტისები, მულატები, სამბო) მექსიკაში 1 მილ. 860 ათასი იყო, გვატემალაში – 420 ათასი, კოლუმბიაში – 1 მილ. 256 ათასი, პერუსა და ჩილეში – 853 ათასი, ბუენოს-აირესსა და მის პროვინციებში – 742 ათასი, კუბასა და პუერტო-რიკოში 197 ათასი (სულ 5 მილ. 328 ათასი). ესპანურ ამერიკაში მთლიანად 7 მილიონ 530 ათასი (45%) ინდიელი, 3 მილიონ 276 ათასი (19%) თეთრი ადამიანი, 776 ათასი (4%) ზანგი, 5 მილიონ 328 ათასი (32%) შერეული წარმოშობის ადამიანი იყო – სულ 16 მილიონ 910 ათასი. იმავე დროს ესპანური კოლონიების გარეთ ასეთი მდგომარეობა იყო: ინდიელები – 686 ათასი, თეთრები – 1 მილიონ 70 ათასი, ზანგები – 3 მილიონ 737 ათასი.

ცენტრალურ ამერიკასა და ანდის ქვეყნებში კოლონიზატორები განვითარებული კულტურის ადამიანებს შეხვდნენ. დიდი ინდიელი ხალხები (***აცტეკები, მაია, კეჩუა, აიმარა, არაუკანები***) არსებობას შემდეგაც აგრძელებდნენ და თავიანთ კულტურას ავითარებდნენ. მათმა მაღალმა კულტურამ თეთრებთან ფიზიკური და კულტურული ხასიათის შერევა დააჩქარა, რამაც მეტისთა ჯგუფების ჩამო-

ყალიბება გამოიწვია. ვესტ-ინდოეთში, არგენტინაში, ურუგვაიში შერეული ხასიათის კულტურები მივიღეთ. კოლონიზატორებმა პირველყოფილი თემური წყობილების საფეხურზე მდგომი ინდიელი მოსახლეობის უმეტესობა, მათი მიწების ხელში ჩაგდების მიზნით, გაწყვიტეს. ამავე დროს ევროპელებმა ვერ შეძლეს ინდიელთა შრომის ექსპლუატაცია. არგენტინელი და ურუგვაიელი ხალხების ფორმირებაში ევროპული წარმოშობის ჯგუფები (ძირითადად ესპანელები) პრევალირებდნენ. ინდიელთა და შავკანიანთა კომპონენტი აქ უმნიშვნელო იყო.

II.14. ხალხთა გადასახლებები რუსეთის იმპერიაში

ხალხთა საკუთარი განსახლების არეალიდან სხვაგან გადასახლება დამახასიათებელი მოვლენაა როგორც ძველ, ისე შუა საუკუნეებისათვის. საამისოდ სომეხთა წინაპრების ურარტუს სახელმწიფოს ცენტრში გადასახლება შეიძლება გავიხსენოთ. პოლიტიკური მიზნით ხალხთა აყრა-გადსახლების ერთ-ერთი ყველაზე კლასიკური მაგალითია ებრაელთა სამშობლოდან მიგრაცია. ასეთი მიგრაცია საქართველოსთვისაც იყო დამახასიათებელი. საკმარისია შაჰ-აბასის მიერ ქართველთა ირანში გადასახლება გავიხსენოთ (ირანის მბრძანებელმა საქართველოდან ირანში უამრავი ქართველი გადაასახლა – ფაქტობრივად კახეთი მოსახლეობისაგან დაიცალა). ძალადობრივ მიგრაციებს სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად დეპორტაციის სახელით მოიხსენიებენ (ლათ. *deportatio* – განდევნა, გასახლება). ცნება „დეპორტაცია“ ცალკეულ პირების, ადამიანთა ჯგუფებისა და ხალხებისა ძალადობრივ გადასახლებას ნიშნავს. დეპორტაციას ხშირად ეთნიკური რეპრესიები განაპირობებდა. ახალ და უახლოეს ისტორიაში ეთნიკური რეპრესიებით გამოწვეული დეპორტაციის კლასიკურ მაგალითს რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა იმპერია იძლევა.

XIX საუკუნეში, რუსეთის მიერ კავკასიური ომების წარმოების დასრულების შემდეგ, კავკასიიდან დაახლოებით სამი მილიონი ადგილობრივი მკვიდრი იქნა გასახლებული. ესენი არიან: აბაზები, აფხაზები, ადიღეელები, ბალყარელები, ყარაჩაელები, ჩაჩნე-

ბი, დაღესტნის ხალხები. ამ ხალხებმა ოსმალეთის იმპერიაში – თურქეთში, სირიაში, ერაყში, ეგვიპტეში – ახალი სამშობლო „მოძებნეს“. კავკასიაში რუსების შემოსვლას ადგილობრივ უბიხთა სრული აყრა და შედეგად ამ ეთნოსის სრული გაქრობაც მოყვა. მეცნიერები რუსების აგრესიის ქმედების ამ შედეგს ***„კავკასიის გამოცარიელების“*** სახელითაც კი მოიხსენიებენ. რუსების საქართველოში შემოსვლასაც არ მოუტანია ამ თვალსაზრისით ხეირი – ქართველი მაჰმადიანებიც იქცნენ მუჰაჯირებად. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მოსახლეობის დიდი ნაწილი მამა-პაპათა სამკვიდრებლიდან აიყარა და ანატოლიაში გადასახლდა. გადასახლება-გადმოსახლების პოლიტიკის შედეგად რუსეთის იმპერიამ ეთნიკურად ააჭრელა საქართველო. საქართველოში გამოჩნდნენ ისეთი ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც იქამდე არ ცხოვრობდნენ, ან აქ უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ. საბჭოთა პერიოდში, მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად, ფაქტობრივად, ეთნიკურ უმცირესობებად იქცნენ თავიანთ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებში ყაზახები, ლატვიელები, ესტონელები...

რუსეთის იმპერია განაპირა მხარეების დაპყრობის პარალელურად ადგილებზე ე. წ. „სანდო რუსულ ელემენტს“ ამკვიდრებდა. რუსეთის შიდა გუბერნიებიდან არასაიმედო მართლმადიდებელ რუს სექტანტებსაც ასახლებდნენ: მოლოკნებს, დუხობორებს, სუბოტნიკებს და სხვებს. სამხრეთ კავკასიაში რუსმა სექტანტებმა მთელი რიგი დასახლებები შექმნეს. შენიშნულია, რომ სექტანტების გადასახლების პროცესში 25 ათასამდე კაცი დაიღუპა. **1897 წელს სამხრეთ კავკასიაში ცარიზმმა დაახლოებით 1,5 მილიონი კაცი გადმოასახლა, რომელთა შორისაც უმეტესობას სომხები წარმოადგენდნენ; ისინი თურქეთიდან და ირანიდან გადმოასახლეს**. მიგრანტთა შორის 240 ათასი რუსი იყო. რუსეთის ევროპული ნაწილიდან გადასახლებული იქნენ აგრეთვე ბერძნები (32 ათასი კაცი), ებრაელები (30 ათასი კაცი), პოლონელები (17 ათასი კაცი), ლატვიელები (4500 კაცი), ესტონელები (5240 კაცი) და ა.შ. XIX საუკუნეში ბერძნები სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთიდან და ირანის აზერბაიჯანიდან გადმოასახლეს.

1794 წელს რუსებმა პოლონეთის აჯანყება *თადეუშ კოსტიუშკოს* მეთაურობით სისხლში ჩაახშეს. *ალექსანდრე სუვოროვმა* ამის შემდეგ 150 ათასი პოლონელის დეპორტაცია მოახდინა ურალისპირეთში. ამავე მიწაზე, რომელიც პუგაჩოვის აჯანყების შედეგად მოსახლეობისაგან გამეჩხერდა, იმავე გენერალსიმუსმა – ა. სუვოროვმა ეკატერინე II-ის ბრძანებით XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებიდან ნოღაელი ხალხის დეპორტირება მოახდინა.

ეკატერინე II-ის მანიფესტის თანახმად (1763 წ.) რუსეთში მთელი რიგი ევროპელი ხალხების, ძირითადად გერმანელების, მასობრივი ნებაყოფლობითი გადმოსახლება დაიწყო. გერმანელებს ძირითადად რუსეთის განაპირა მხარეებში ასახლებდნენ. უკვე 1770 წლისათვის 117 კოლონია იყო შექმნილი, რომელთაგან 102 სარატოვისა და სამარის გუბერნიებში იყო განლაგებული. 1908 წლისათვის რუსეთში 2 მილიონ 70 ათასს გერმანელს ითვლიდნენ. 1817 წელს გერმანელები საქართველოშიც დაასახლეს. აქ რამდენიმე გერმანული კოლონია არსებობდა. პირველი მსოფლიო ომის დროს, რომელშიც რუსეთი გერმანიის წინააღმდეგ იბრძოდა, იმპერიაში ძლიერი ანტიგერმანული განწყობილებანი გაღვივდა. მიიღეს კანონები, რითიც იზღუდებოდა გერმანლეთა მიერ მიწათსარგებლობა, რეგლამენტირებული იყო მათი გადაადგილება. რუსეთს ამ დროს დარბევების ტალღამაც გადაუარა. „საზოგადოების გავლენით“ მეფემ მიიღო ბრძანება „არაკეთილსაიმედო“ გერმანელების ციმბირში დეპორტაციის შესახებ. თვითმპყობელობის დამხობამ გერმანელთა დეპორტაცია მეოთხედი საუკუნით გადაწია.

საბჭოთა პერიოდში პირველი დეპორტაცია პოლონელებს შეეხო (1936 წლის აპრილი). ესენი უკრაინის მოსაზღვრე რაიონებში მცხოვრები პოლონელები იყვნენ. 35.820 პოლონელი, როგორც არაკეთილსაიმედო „ელემენტი“, უკრაინიდან ძირითადად ყაზახეთში იქნა დეპორტირებული. 1939 წელს ყოფილი პოლონეთის ტერიტორიიდან გაასახლეს პოლონეთის არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, პოლონური პოლიციის ჩინოსნები. ასეთი ადამიანების რაოდენობა კი 131.938 კაცი იყო. ისინი „ტყის დამუშავების რაიონში“ გაასახლეს.

საბჭოთა იმპერიის დეპორტაციის პირველი ტალღა კორეელებსაც შეეხო. 1923 წელს „რევოლუციური მიზანშეწონილობის ძალით“ შორეული აღმოსავლეთიდან იაპონიაში დაახლოებით 800 კორეელი გაასახლეს. ამჯერად უზბეკეთსა და ყაზახეთში 21 ათასი კორეელის დეპორტირება მოხდა. კორეელების გასახლება შემდეგაც მიმდინარეობდა. დეპორტირებულ კორეელთა საერთო რაოდენობა 171.781 კაცს (36.448 ოჯახი) შეადგენდა. დეპორტირებულები წლების განმავლობაში მიწურებსა და სიღარიბეში ცხოვრობდნენ. ბევრი შიმშილით გარდაიცვალა. ეთნიკური კულტურის რაიმე განვითარებაზე ხომ საერთოდ ლაპარაკი აღარც ღირს.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე მთელი რიგი გერმანული ეთნიკური რაიონები იქნა ფორმირებული. ოფიციალური მონაცემებით 1939 წელს სსრკ-ში 1 მილიონ 400 ათასი გერმანელი ცხოვობდა: რსფსრ-ში – 700 ათასზე მეტი, უკრაინაში – 323 ათასი, ბელორუსიაში – 8.488, აზერბაიჯანში – 23 ათასი, საქართველში – 20 ათასი, ყირგიზეთში – 8.426, სომხეთში – 433 კაცი. ვოლგისპირეთის გერმანელთა ავტონომიურ რესპუბლიკაში კომპაქტურად 366.685 გერმანელი მკვიდრობდა. 1940 წელს ქ. მურმანსკიდან და მურმანსკის ოლქიდან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები (გერმანელები, ლიტველები, ლატვიელები, ფინელები, შვედები, ესტონელები, ნორვეგიელები, პოლონელები, ბერძნები, კორეელები და სხვ.) კარელიაში დაასახლეს (2.540 ოჯახი). გერმანელთა, ბერძენთა გადასახლება ამ დროს ალტაის მხარეშიც მოახდინეს. 1941 წლის აგვისტოში ვოლგისპირეთის გერმანელთა ავტონომიური რესპუბლიკიდან, სარატოვისა და სტალინგრადის ოლქებიდან 446.480 გერმანელი გაასახლეს. ვოლგიისპირელი გერმანელების დეპორტაცია ორ ეტაპად განხორციელდა. მათ ადგილი ციმბირსა და ყაზახეთში მიუჩინეს. სექტემბრის თვეში მოსკოვიდან 8.617 გერმანელი გაიყვანეს, ხოლო როსტოვის ოლქიდან – 21.400. ამას მოყვა კრასნოდარელი, სტავრპოლელი, ტულელი, ყაბარდო-ბალყარელი, ჩრდილოოსეთელი გერმანელების დეპორტაცია, რომელთა რაოდენობა 142 ათასი იყო. შემდეგ გერმანელები უკრაინის ზაპოროჟიეს და ვოროშილოვგრადის (ლუგანსკის) ოლქებიდანაც გადაასახლეს (115

ათასი). საერთოდ, 1941-1945 წლებში მთლიანად დეპორტირებული გერმანელების რაოდენობა 1 მლნ 209 ათას კაცზე მეტი იყო. დეპორტირებულ გერმანელთაგან 400 ათასი ბავშვი იყო.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეთნიკური რეპრესიები განსაკუთრებით კავკასიის ხალხებს დაატყდათ თავს. პირველი ეთნოსი, რომელიც აქედან საკუთარი განსახლების ტერიტორიიდან გაასახლეს ყარაჩაელები იყვნენ. ყარაჩაელები რუსეთის ქვეშევრდომებად 1788 წელს იქცნენ. საბოლოოდ ყარაჩაის რუსეთთან მიერთება 1828 წელს მოხდა, რასაც 1828 წლის ოქტომბერში რუსეთის არმიისა და ყარაჩაელთა სისხლისმღვრელი ბრძოლა უძღოდა წინ. ძველად ყარაჩაის ტერიტორია ალანიის შემადგენლობაში შედიოდა. აქ იყო ალანელი მეფეების რეზიდენცია, ეპარქია. ყარაჩაელების ყარაჩაის ავტონომიური ოლქიდან გადასახლების დადგენილება საბჭოთა ხელისუფლებამ 1943 წლის 14 ოქტომბერს მიიღო. მათ ბრალად წაუყენეს ანტისაბჭოთა და გამყიდველური საქმიანობა, გერმანელებისადმი დახმარება. სამწუხაროდ, **ერთ-ერთ ყარაჩაელ ავტორს (*ი. ალიევს*) ყარაჩაელთა გასახლების მიზეზად სტალინ-ბერიას ინტერესები მიაჩნია, რათა ყარაჩაის ხარჯზე საქართველოს ტერიტორიის ფარგლები გაეფართოვებინათ. ცნობილია, რომ ყარაჩაის ერთ-ერთი რაიონი – ქლუხორის რაიონი საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს დაუქვემდებარა.** 1943 წელს 2 ნოემბერს გამთენიისას ორი საათის განმავლობაში ყარაჩაელები ამერიკულ სატვირთო მანქანებში – „სტუდაბეკერებში“ ჩაყარეს. უახლოესი რკინიგზის სადგურებიდან (კისლოვოდსკი, უსტ-ჯეგუტინი) რეპრესირებული ყარაჩაელები ტიპურ ეშელონებში შერეკეს. ყარაჩაელების გადასასახლებლად 30 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი იყო მობილიზებული. მთლიანად 69.267 ყარაჩაელი იქნა დეპორტირებული, რომელთაგანაც 53,9% (34.000) ბავშვი იყო, 28,1 % – ქალი და მხოლოდ 18% – მამაკაცი, ძირითადად მოხუცები, ომის ინვალიდები. დეპორტირებულებს შესაკრებად მხოლოდ ნახევარი საათი ჰქონდათ მიცემული, ისე, რომ მათ თან ტანსაცმელი და არსებობისათვის საჭირო მინიმალური საშუალებებიც კი ვერ წაიღეს. 36 ეშელონი აღმოსავლეთისკენ 20 დღეზე მეტს მიემართებოდა. ისინი ყაზახეთისა და

უზბეკეთის სხვადასხვა რაიონებში გაფანტეს. გზაში ადამიანები კვდებოდნენ სიმჭიდროვის, ანტისანიტარის, შიმშილისა და ავადმყოფობისაგან. გაჩერებებზე გვამებს მიწას, ზოგჯერ კი თოვლს მხოლოდ ზედაპიულად აყრიდნენ. ოფიციალური მონაცემებით გზაში 653 ყარაჩაელი დაიღუპა. დაღუპულთა რეალური რაოდენობა უცნობია. ჩრდილოეთ ყაზახეთიდან პამირის მთისწინეთამდე ყარაჩაელები 480 დასახლებულ პუნქტში გადაანაწილეს. ბუნებრივია, ასეთი დისპრესიული გასახლების მიზანი მომავალში ხალხის ასიმილაცია იყო. ყარაჩაიში ტოპონიმები შეცვალეს. სამეცნიერო, საცნობარო და მხატვრული ლიტერატურიდან გაქრა ეთნონიმის – „ყარაჩაელი“ ხსენება. გადასახლებულები უმძიმეს პირობებში აღმოჩნდნენ; პირველ წლებში სიცივის, ავადმყოფობისა და შიმშილისაგან დეპორტირებულთა 34,4% დაიღუპა. ლიტერატურაში ასეთი ფაქტია მოყვანილი: დეპორტაციისას ოჯახის უფროსი ომში იმყოფებოდა, დედა და ოთხი შვილი კი სხვადახვა ვაგონებში მოათავსეს, რადგან გასახლებისას ისინი სახლში არ იყვნენ, რის შედეგადაც ერთი ოჯახის წევრები სხვადახსვა ადგილებში აღმოჩნდნენ გაფანტულნი.

დეპორტაცია შეეხოთ ყალმუხებსაც. ყალმუხები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში XVII საუკუნის დასაწყისში შევიდნენ. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ცხოვრობდნენ დონის, ვოლგისპირეთის, ურალის სტეპებში, ნაწილი – ახლანდელი სტავროპოლის მხარეში. XX საუკუნისათვის ყალმუხების უმეტესობა ასტრახანის გუბერნიის ფარგლებში ულუსებში (შეესატყვისებოდა რუსულ ვოლოსტებს) იყო დაჯგუფებული. მეორე მსოფლიო ომში 40 ათასი ყალმუხი იბრძოდა. ყალმუხები მოღალატეობაში დაადანაშაულეს. დეპორტაციის წინ დასახლებული პუნქტები ალყაში მოაქციეს, ყალმუხების შესაძლო გაქცევის მიმართულებით კი საფარები მოაწყეს. დააპატიმრეს, „ანტისაბჭოთა ელემენტები“; მათ ბრალდება წაუყენეს, რომ ეხმარებოდნენ გერმენელ დამპყრობებს. 25 ათას-25 ათასი კაცი ალტაის, კრასნოარსკის მხარეებში, ომსკის ოლქში გადაასახლეს, 20 ათასი – ნოვოსიბირსკის ოლქში. დეპორტაცია დაიწყო 1943 წლის 28 დეკემბერს გამთენიისას. ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის ყალმუხები სტავროპოლის მხარი-

დანაც გაასახლეს, აგრეთვე – როსტოვის ოლქიდან (3.388 კაცი). საერთო ჯამში დეპორტირებული იქნა 93.139 ყალმუხი (26.359 ოჯახი). ოფიციალური მონაცემებით გასახლების დროს გზაში 1.640 ყალმუხი გარდაიცვალა.

ჩრდილოეთ კავკასიიდან დეპორტირებული იქნენ ჩაჩნები და ინგუშები. ეს ორი მონათესავე ეთნოსი ადგილობრივი, ავტოქტონი კავკასიელები არიან. XVI საუკუნეში ჩაჩნები და ინგუშები ცხოვრობდნენ როგორც მთაში, ისე ბარში. კავკასიის ომის დროს – XIX საუკუნეში გენერალმა *ერმოლოვმა* უმოწყალოდ დახოცა ქალები და ბავშვები, ასეულობით აული მიწის პირისაგან აღგავეს; დაბლობიდან ჩაჩნები და ინგუშები მთის გაუვალ და უნაყოფო ადგილებში შერეკეს. ოფიციალური მონაცემებით, 1943 წლის 15 აგვისტოს ჩაჩნეთ-ინგუშეთში 54 „ბანდჯგუფი“ იყო აღრიცხული (სულ 359 კაცი). ამ დროს ჩაჩანი და ინგუში მამაკაცები მეორე მსოფლიო ომში იბრძოდნენ. მათი გასახლება მოხდა 1944 წლის 23 თებერვალს. 29 თებერვალს 478.749 დეპორტირებული რკინიგზის ეშელონებში იყო მოთავსებული. ამათგან ინგუში იყო 91.250. **ჩაჩნეთსა და ინგუშეთში პირველად იქნა აპრობირებული „ადგილზე განადგურების“ პრაქტიკა, ვინც წინააღმდეგობას გასწევდა ან არ შეეძლო დამოუკიდებლად გადაადგილება, ასეთებს ადგილზე ხვრეტდნენ. სოფელ ხაიბახში დაახლოებით 700 ინგუში ცოცხლად დაწვეს. ბევრი ადამიანი გაანადგურეს მალხისტში.** იმავდროულად გაასახლეს ჩაჩანი აკიელები, რომლებიც დაღესტანში ცხოვრობდნენ (15 ათასი კაცი). ჩაჩნები და ინგუშები შუა აზიასა და ყაზახეთში გაფანტეს. ჩაჩნეთ-ინგუშეთში კი რუსეთიდან კოლონისტებს აგზავნიდნენ. რესპუბლიკის ტერიტორია დაღესტანს, ჩრდილოეთ ოსეთს, სტავროპოლის მხარეს, მთიანეთის ნაწილი საქართველოს გადასცეს.

დეპორტირებული აღმოჩნდნენ ბალყარელებიც. ისინი ყარაჩაელების თანამოძმეები არიან. საბჭოთა ხელისუფლებამ 1942 წლის ბოლოს ბალყარეთის ჩერკესკის ხეობის თითქმის მთელი მოსახლეობა ბანდიტებად გამოაცხადა. **რუსეთის არმიამ რამდენიმე სოფლის მოსახლეობა დახვრიტა, გადაწვეს სოფლები. ხელისუფლებამ სხვა ჩრდილოეთკავკასიელთა მსგავსად ბალყარელების სა-**

მუდამო გადასახლება გადაწყვიტა. 1944 წლის 8 მარტს ათეულ ათასობით უდანაშაულო ბარყარელი გაასახლეს, როგორც გამყიდველები და მოღალატეები. მათ შესაკრებად 15-20 წუთი მისცეს. 37.713 ბალყარელი შორეულ გზას გაუყენეს. როგორც ყველა სხვა ხალხს, ბალყარელებსაც წლობით შენაძენი ქონება, საქონელი, სახლები ბედის ანაბარად დარჩათ. ერთ-ერთი პარტიული აქტივისტი წერდა: **„როდესაც სიგნალი მოგვცეს, დაიწყო ხალხის მანქანებზე შერეკვა. ძნელი იყო გაგვერჩია ყვირილი, კივილი, ქალებისა და ბავშვების ტირილი, ძაღლების ყეფა, ძროხების ბღავილი; ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული. ისეთი სურათი იყო, თმები ყალყზე გვიდგებოდა. დღესაც ყურებში ჩამესმის ერთი ქალის კივილი, რომელსაც სახლში მიცვალებული ჰყავდა. მას არ შეეძლო მიცვალებულის დატოვება, დამმარხველი არავინ რჩებოდა. „მომკალით, მაგრამ არ დავტოვებ მას“ – კიოდა უბედური. მან იმ წუთას დაკარგა გონება...“** ბალყარელები 14 ეშელონით გააგზავნეს შუა აზიასა და ყაზახეთის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში. დეპორტირებულთაგან თითქმის ნახევარი ბავშვი იყო. ბალყარელთა გასახლების ბრძანებაში, რომელსაც ხელს *მ. კალინინი* აწერდა, ეწერა: „ბევრმა ბალყარელმა სამშობლოს უღალატა, რომლებიც ორგანიზებულად შეირაღებული რაზმების სახელით გერმანელთა მხარეზე გადადიოდნენ“. ბალყარელთა დეპორტაციის ერთი თვის შემდეგ შუა აზიის გზის 1.672 ყაბარდოელიც გაუყენეს.

ყირიმელი თათრებიც უკლებლივ გაასახლეს თავიანთი სამშობლოდან. ყირიმი რუსეთმა XVIII საუკუნეში დაიპყრო. იმპერიამ ვარგისი მიწების ძირითადი ნაწილი ყირიმელ თათრებს წაართვა. **კოლონიების ისტორიაში 1883 წელს რუსებმა უნიკალური აქტი ჩაიდინეს. შეკრიბეს ძველი და ახალი წიგნები, ძველი ხელნაწერთა კოლექციები, რომლებიც წინა დარბევებს გადაურჩა და მატიანეები, ქრონიკები, ეპიკური და პოეტური ნაწარმოებები ცეცხლს მისცეს**. ყირიმელ თათრებს ძვირად დაუჯდათ თებერვლისა და ოქტომბრის გადატრიალება. 1920 წელს ტერორმა 60 ათასი თათრის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო 60 ათასი კი 1921-1922 წლების შიმშილობამ შეიწირა. ყირიმელ თათრების გასახლება 1944 წლის 18 მაისს დაიწყო. 20 მაისისთვის დაპორტაცია

უკვე დამთავრებული იყო. დეპორტირებული იქნა 191.044 კაცი 67 ეშელონით. ოპერაციის დროს კი 1.137 „ანტისაბჭოთა ელემენტი“ დააპატიმრეს. შუა აზიის გზას გაუყენეს მოგვიანებით ომიდან დემობილიზებული 40 ათასი კაცი. ზოგიერთი ყირიმელი თათარი ალტაის მხარესა და ყაზახეთში მოხვდა. **წელიწადნახევარში გადასახლებული 195.471 კაციდან 46,2 % დაიღუპა.** ყირიმში მაშინვე ყველა თათრული და გერმანული ტოპონიმი რუსულით შეცვალეს.

რუსეთის მიერ ყირიმის დაპყრობის შემდეგ, ეკატერინე II-ის ბრძანებით, 30 ათასი ქრისტიანი ბერძენი აზოვისპირეთში დაასახლეს, სადაც მათი თვითმმართველობითი ოკრუგი ჩამოაყალიბეს. ოკრუგის ცენტრი იყო *ქ. მარიუპული.* ყირიმში 1944 წლისათვის 10 ათასი სომეხიც ცხოვრობდა. 1944 წლის 11 მაისს მიიღეს გადაწყვეტილება გერმანელთა ხელშემწყობი, დამხმარე 34 ბულგარელის, ბერძნის და სომხის გასახლების შესახებ. 1950 წლისათვის ყირიმიდან და კავკასიის შავიზღვისპირეთიდან დეპორტირებული იქნა სსრკ-ის ევროპული ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთსა და შუა აზიაში 57 ათასი ბერძენი, 12 ათასი ბულგარელი.

ამრიგად, საბჭოთა რეჟიმის მიგრაციული პოლიტიკა არსებითად არაფრით განსხვავდებოდა რუსეთის იმპერატორთა პოლიტიკისაგან, მაგალითად, 1779 წელს ყირიმიდან, სუვოროვმა აზოვისპირეთში 31 ბერძენი გადაასახლა, რომელთა სახლები, ქონება მაშინვე რუს ჩინოვნიკებს გადაეცა. 160 წლის შემდეგ ბერძნები იმავე დღეში ჩააგდეს. ყირიმიდან 1944 წლის ბოლოსთვის საერთო ჯამში 41.854 კაცის დეპორტირება მოახდინეს (ბერძენი, ბულგარელი, სომეხი). გასახლებულთა შორის სხვა ხალხთა წარმომადგენლებიც იყვნენ (გერმანელები, იტალიელები, რუმინელები) – 1.119 კაცი.

1941 წლის 8 ოქტომბერს სამხრეთ კავკასიიდან ყაზახეთში 48 ათასი გერმანელის დეპორტირება მოახდინეს. გერმანელი კოლონისტების პირველი პარტია საქართველოში 1818 წელს მოვიდა. ისინი ცხოვრობდნენ *სართიჭალაში, კუკიაზე, დიდუბეში, კოდაში...*

1944 წლის 17 ნოემბერს იგივე ბედი ეწიათ ქართველ მაჰ-

მადიანებს („მესხეთელ თურქებს“). საერთოდ, რუსეთის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციების შემოერთებამ (1828 წ., 1878 წ.) მაშინვე ამ რეგიონში მნიშვნელოვანი მიგრაციული პროცესები გამოიწვია. მაჰმადიანი მოსახლეობის ნაწილი ვერ ურიგდებოდა ქრისტიანული რუსეთის ქვეშევრდომობას და თურქეთში იხიზნებოდა. მუჰაჯირობა ორივე იმპერიის – რუსეთისა და ოსმალეთის – ინტერესებში შედიოდა. სამაგიეროდ, თურქეთიდან რუსეთის ხელისუფლება სომეხთა დიდ ჯგუფებს ასახლებდა საქართველოს ტერიტორიაზე. საბჭოთა პერიოდში სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობა აზერბაიჯანელებად ჩაწერეს. 1926 წლის აღწერით ახალქალაქის მაზრაში სულ 78.937 კაცი ცხოვრობდა. აქედან ქართველთა რაოდენობა 7.565 კაცს შეადგენდა, სომხებისა – 57.791-ს, თურქების – 6.940-ს, ქურთების – 930-ს, რუსების – 2.492-ს, უკრაინელებისა – 2.667-ს. ახალციხის მაზრის მოსახლეობა უფრო მრავალფეროვანი იყო. 96.973 კაციდან ქართველი იყო 24.353, თურქი – 49.170, სომეხი – 15.565, რუსი – 1.678, ქურთი – 3.094. აქ ცხოვრობდნენ აგრეთვე უკრაინელები, ბერძნები, ებრაელები, ქართველი ებრაელები (831 სული), პოლონელები. თურქებად გამოცხადებული მოსახლეობა ომისდროინდელ სამცხე-ჯავახეთში 98.987 კაცი იყო. 1944 წელს ნავარაუდევი იყო მაჰმადიანი მოსახლეობის არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთიდან, არამედ კახეთიდან (ლეკები) და აფხაზეთიდანაც გასახლება. ყაზახეთსა და შუა აზიის გზას 25 ეშელონით 81.324 ქართველი მაჰმადიანი გაუყენეს. საქართველოდან გასახლებულთა შორის იყვნენ თურქეთის საზღვარზედ მცხოვრები ქურთები და ჰემშელები (მაჰმადიანი სომხები). ქურთები გაასახლეს როგორც სამცხე-ჯავახეთიდან, ისე აჭარიდან, ხოლო ხემშილები – აჭარის სასაზღვრო რეგიონიდან. ოფიციალური მონაცემებით დეპორტირებულ ჰემშილთა რაოდენობა 1.385 კაცი იყო. XX საუკუნის 50-იან წლებში ახალი რეპრესიები დაიწყო, საქართველოდან შუა აზიაში მრავალი ოჯახი გადაასახლეს. ოპერაციის შედეგად 7.220 ოჯახი (31.606 სული) გადაუსახლებიათ. ესენი იყვნენ ტყვედ ჩავარდნილები და მათი ოჯახების წევრები, ოჯახები ვისაც ნათესავები ჰყავდა საზღვრის იქით – თურქეთის ტერიტორიაზე და სხვ.

II.15. ყირიმელი თათრების ემიგრაცია

რუსეთის იმპერიის მიერ ყირიმის სახანოს დაპყრობისთანავე, XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში, დაიწყო ყირიმელი თათრების განდევნა, გაფანტვა და ემიგრაცია. რუსულ დაპყრობებსა და კოლონიზაციას დაპყრობილთა დეეთნიზაციის პროცესიც ახლდა თან, მაგრამ ყირიმში ის, ფაქტობრივად, ვერ განახორციელეს. ეკატერინე ცდილობდა მოეხდინა ყირიმელ თათართა მურზების ასიმილაცია და ინტეგრაცია. მაგრამ ყირიმელ თათრებს რუსი მემამულეების მიწაზე გადასვლა არ შეეძლოთ და არც სურდათ. ანექსირებულ ტერიტორიაზე რუსული ეთნოსოციალური ქცევის სტერეოტიპების დანერგვა მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ყირიმელ თათართა ტრადიციებს. ასეთი ცდები კი ყირიმელი თათრების მხრივ იწვევდა როგორც აქტიურ, ისე პასიურ წინააღმდეგობას. აქტიური წინააღმდეგობა თავის გამოხატულებას პოულობდა ამბოხებასა და აჯანყებაში, პასიური კი – ემიგრაციაში. **ემიგრაცია ყირიმის სახანოს დაპყრობისთანავე დაიწყო. ემიგრირებული ყირიმელი თათრები ტოვებდნენ მიწასა და ქონებას, რადგან მყიდველიც არავინ იყო.** ამ მიწებს მაშინვე კი ადგილობრივი მურზები და რუსეთიდან შემოსული ავანტურისტები იტაცებდნენ. სულ რამდენიმე წელიწადში ყირიმის ეკონომიკა მოიშალა, რამაც ყირიმელი თათრების მიგრაცია უფრო დააჩქარა. პირველი ემიგრანტები იყვნენ ყირიმელი თათრები **შაგინ-გირეის** გვარიდან. გადაყენებისთანავე მათ 1783–1784 წლებშივე დატოვეს ყირიმი. ოსმალეთის იმპერიის ყოფილი ქვეშევრდომი ყველა ყირიმელი თათარი თურქეთში გადასახლდა.

1785–1788 წლებში თანდათან ემიგრანტთა ნაკადი კიდევ უფრო გაიზარდა. აყრილი თათრების რაოდენობა ზუსტად ცნობილი არაა. ასახელებენ სხვადასხვა ციფრებს – 8-დან 30 ათასამდე და 100 ათასსაც კი. მაგრამ განსაკუთრებით ბევრი ყირიმელ თათარი აიყარა 1787–1792 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ. იასის ზავმა მათ ყველა იმედს – ყირიმის სახანოს სტატუსის აღდგენისა და ყოფილი ეთნოსოციალური სტრუქტურის ტრადიციის აღდგენის შესახებ – წყალი საბოლოოდ გადაასხა. დაიწყო ყირი-

მელების მასობრივი გადასვლა ოსმალეთში. **განსაკუთრებით მიდიოდნენ „სტეპნიაკი“ ყირიმელი თათარები და ნოღაელები. ადგილზე უფრო მეტად ბინადარი მოსახლეობა რჩებოდა; ესენი იყვნენ მთიელები და სამხრეთ სანაპიროს მკვიდრნი. აქტიურობდნენ მოლებიც, რომლებიც ყირიმელ თათრებს მოუწოდებდნენ: „დატოვეთ მამების მიწა სიცოცხლისა და რწმენის შენარჩუნებისათვის“.** სოფლები მთლიანად იყრებოდნენ. ომის შემდგომი ემიგრაციის ამ ტალღის შემდეგ ყირიმი დატოვა დაახლოებით 100 ათასმა კაცმა. რუსეთის მიერ ანექსირებული ყირიმის სახანოდან სიღატაკესა და შევიწროვებას გაქცეული ყირიმელი თათრების ემიგრაცია პერმანენტულად მიმდინარეობდა. *ა. ბენინგსენის* სიტყვებით, **„1783 წლიდან 1893 წლამდე, ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ყირიმელი თათრების ისტორია წარმოადგენს ემიგრაციის ხანგრძლივ და ტრაგიკულ მწკრივს ყველაზე შესაბრალის პირობებში, რომლის მსვლელობაში ათასობით ადამიანი დაიღუპა ავადმყოფობისა და შიმშილისაგან.“**

ემიგრანტთა ნაკადს ორი ძირითადი მიმართულება გააჩნდა: ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ადიღეელთა ეთნოსფერაში, რომელიც ნომინალურად ოსმალური ხელისუფლების კონტროლს ქვეშ იყო და ანატოლიაში. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურ ნაკადს მიესალმებოდნენ როგორც მთიელები, ისე ოსმალები, რომლებიც ამ ზონაში თავისი პოზიციების გაძლიერებზე ზრუნავდნენ, რადგან ისინიც, თავის მხრივ, არანაკლებ განიცდიდნენ რუსეთის ზეწოლას. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ყირიმელი თათრები სახლდებოდნენ ძირითადად იმ ადგილებში, რომლებიც დაცული იყო რუსთა შემოჭრისაგან ორი მძლავრი ოსმალური ციხით – სუჯუყყალეთი და ანაპით. მათმა ერთმა შედარებით მცირე ნაწილმა უფრო სიღრმეში – შუა ყუბანამდე შეაღწია. ყირიმთან ახლოს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დასახლკარებულები, ჩვეულებრივ, თავიანთ ეთნიკურ სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდნენ.

შავი ზღვის ჩრდილოეთ რეგიონში რუსეთის ექსპანსიის დაწყებამდე ნოღაელები ყირიმელ თათრებთან, კაზაკებთან და კავკასიის მთიელებთან სიმბიოზში ცხოვრობდნენ. მათი სისტემა გამოირჩეოდა ძლიერი მოზაიკურობით. ნოღაელთა პირველი ძლიერი გან-

დევნა მათი ეთნოსფერადან XVIII საუკუნეში მოხდა. ის ყალმუ-ხებთან სტეპების ტერიტორიის გადანაწილების ფონზე მიმდინარე-ობდა. ნოღაელები უბრალოდ იმავე სტეპში სამხრეთისაკენ გადა-ადგილდნენ. ნაწილი, როგორც ცნობილია, წავიდა ჩრდილოეთ შა-ვიზღვისპირეთის სტეპებში, ნაწილი კი ჩრდილო-დასავლეთ კავკა-სიაში დაფუძნდა. ნოღაელთა მეორე გაძევება რუსეთის მიერ ყი-რიმის ანექსიის შემდეგ მოხდა. ნოღაელები თავისი ქცევის – სტეპური სტერეოტიპისა და ნომინალური მეთაურის – ყირიმელი ხანის ერთგული იყვნენ, მათ რუსეთში და რუსებთან ცხოვრება არ სურდათ. რუსეთს კი მათი გასახლების არეალი იმპერიის გა-საფართოვებლად ჭირდებოდა. რუსულ-ნოღაური ურთიერთობის კრიზისული ფაზა ნოღაელებისათვის კატასტროფით დამთავრდა.

შემდეგი კავკასიელები იყვნენ. რუსეთის იმპერიის პოლიტიკის გამო, კავკასიელი მთიელები არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ: ან მთლიანად დამორჩილებოდნენ იმპერიის წესრიგს, დაეტოვებინათ თავიანთი ეთნოსფერა და დასახლებულიყვნენ დაბლობში, სადაც მიუთეთებდნენ ხელისუფალნი, ან ემიგრირებულიყვნენ. ადიღე-აფ-ხაზების ეთნიკური მასივის დიდმა უმრავლესობამ აირჩია ემიგრა-ცია, დაკარგა თავისი ეთნოსფერა, და თავისი ეთნიკური ისტორია უკვე ოსმალეთის იმპერიაში გააგრძელა. რუსებსა და ადიღეელებს შორის გააფთრებულ ომს თავისი ეთნიკური მიზეზი გააჩნდა. რუ-სებამდე არც მონღოლები, არც ოსმალები, არც თათრები არ ცდი-ლობდნენ პოლიტიკურად და ადმინისტრატიულად დამაგრებულიყვ-ნენ, განმტკიცებულიყვნენ ადიღეელთა ტერიტორიაზე. ომის პრო-ცესში დიდ როლს თამაშობდა რელიგიური ფაქტორიც.

II.16. ბერძნული ემიგრაცია რუსეთში

ყოფილ საბჭოთა კავშირში ბერძნები საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობდნენ (1959 წელს – 309 ათასი). აქ ისინი ცხოვრობდნენ რუსეთში, უკრაინაში, კავკასიაში და შუა აზიაში. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე რუსეთში ბერძნული ემიგრაცია ძირითადად მიმართული იყო ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისაკენ.

ბერძენთა ემიგრაცია რუსეთში მიმდინარეობდა საბერძნეთში

თურქეთა ბატონობის თითქმის მთელ პერიოდში. მათ რუსეთში მიგრაციას ძირითადად რელიგიის ერთობა განაპირობებდა. რუსეთში, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით, ბერძნები პრივილეგიებით სარგებლობდნენ. ასეთი პრივილეგიები XVII საუკუნეში ჰქონდათ რუსეთში მაშინდელი ემიგრაციის ცენტრში – *ნეჟინაში* მცხოვრებ ბერძნებს. ნეჟინელი ბერძნების პრივილეგიები მუდმივად ფართოვდებოდა.

XVIII საუკუნეში რუსეთს შავ ზღვაზე გასასვლელად ოსმალეთის იმპერიასთან გაცხარებული ომები ჰქონდა. რუსეთის მეფეებს ბერძენი მიგრანტების მფარველობისათვის გარკვეული მოტივები გააჩნდათ. რუსეთ-თურქეთის 1768–1774 წლების ომის შემდეგ რუსეთში ბერძნული ემიგრაციის ყველაზე დიდი ტალღა მოვიდა. ეს ემიგრაცია აშკარად პოლიტიკური შეფერილობის იყო. ემიგრანტები რვა ბატალიონის მოხალისე ჯარისკაცები და ოფიცრები იყვნენ. რუსები ბერძნებისაგან აყალიბებდნენ ჯარის შენაერთებს. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ მოხალისეები ხომალდებით რუსეთში გაემართნენ. მათთან ერთად სხვა ბევრი ბერძენიც გადავიდა რუსეთში. გადმოსახლებულთა საერთო რაოდენობა რამდენიმე ათასს კაცს შეადგენდა.

ბერძენთა გადასახლებას ქუჩუკ-კაინარჯის ზავი ითვალისწინებდა, რომელიც არქიპელაგის მცხოვრებთ რუსეთში გადასახლების უფლებას აძლევდა ხელმოწერიდან ერთი წლის განმავლობაში. ამ ვადის ამოწურვის შემდეგაც ბერძნები განაგრძნობდნენ რუსეთში გადმოსახლებას. გადმოსახლებულთა შორის იყვნენ საბერძნეთის სხვადასხვა ოლქების მცხოვრებნი.

ოსმალეთის იმპერიიდან ბერძენთა გადმოსახლება პერმანენტულად მიმდინარეობდა. ახალი ბერძნულ კოლონიები, რომლებიც რუსეთში წარმოიქმნა 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, სწრაფი ტემპით იზრდებოდა. 1775 წელს რამდენიმე ათასი გადმოსახლებული ბერძენი რუსეთში მოვიდა ხმელთაშუა ზღვის ხომალდებით. ყველა გადმოსახლებული ე. წ. ალბანური ჯარის შემადგენლობაში შედიოდა. გადმოსახლებულთაგან, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი გაევლოთ რეგულარული სამხედრო სამსახური, 1779–1783 წლებში ფორმულირებული იქნა ბერძენთა პოლკი.

მაგრამ რუსეთის სამხედრო სამსახურში ყველა ბერძენი მიგრანტი არ შედიოდა. ბევრი მათგანი უფრო მშვიდობიან საქმიანობას ირჩევდა, რომლებიც *ქერჩსა* და *ენიკალეში* სახლდებოდნენ. 1775 წლის ეკატერინე II-ის ბრძანებით გადმოსახლებულები მნიშვნელოვანი პრივილეგიებით სარგებლობდნენ – 30 წლის განმავლობაში ყველანაირი გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ. 1776 წელს ბერძნებს *ტაგანროგში* დასახლებაც შესათავაზეს, სადაც ბერძნებმა ააშენეს საცხოვრებელი სახლები, ეკლესია, საზღვაო ხომალდი, სანთლის, არყისა და მაკარონის ფაბრიკები, გააშენეს ბაღები და ვენახები.

1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბერძნული თემი *ხერსონშიც* დამკვიდრდა. საბერძნეთიდან ემიგრირებულებთან ერთად ხერსონში კულნძულ *მენორკიდან* 100 ბერძენზე მეტი მოვიდა. 1768-1774 წლების ომის შემდგომ ბერძნულ ემიგრაციას თან დაემთხვა ყირიმის ძველბერძნული მოსახლეობის გადასახლება აზოვის ზღვის სანაპიროზე. ანტიკური პერიოდიდან ყირიმში მოსახლეობდა ბერძნული მოსახლეობა, რომელიც დროდადრო ივსებოდა. ყირიმის სახანოს პერიოდში ადგილობრივი ბერძნული მოსახლეობა მნიშვნელოვან თათრულ გავლენას განიცდიდა. ბერძნების მასობრივი გადასახლება ყირიმიდან ნოვოროსიაში 1778 წელს მოხდა. ბერძნებთან ერთად ყირიმიდან გადაასახლეს აგრეთვე ქართველები, სომხები და ვლახები. ყირიმი მაშინ დატოვა არანაკლებ 20 ათასმა ბერძენმა. ბევრი გადასახლებული გზაში ეპიდემიური ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა, ნაწილი კი ყირიმში მალე უკან დაბრუნდა. დანარჩენები აზოვის ზღვის სანაპიროზე დაფუძნდნენ, სადაც 1799 წელს ქალაქი *მარიუპოლი* და 20 სოფელი დაარსეს. ცარიზმი ყოველმხრივ ახალისებდა ბერძნებისა და სხვა ქრისტიანების ყირიმიდან ნოვოროსიაში გადასახლებას. ეს გადასახლებანი განაპირობებდა ნოვოროსიის სტეპების ათვისებასა და ერთდროულად ყირიმის სახანოს სერიოზულ დასუსტებას, რადგან ის კარგავდა მწარმოებელი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს. მარიუპოლელი ბერძნები იღებდნენ ბევრ პრივილეგიას, განსაკუთრებით მიწას, და ათი წლის განმვლობაში გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ.

რუსეთ-თურქეთის მეორე ომის შემდეგ რუსეთში ბერძენი ემიგრანტების მეორე ტალღა მოვიდა. იასის ზავის შემდეგ რუსეთის სამხრეთ გუბერნიებში გადმოსახლდა რამდენიმე ასეული ბერძენი და ალბანელი, რომლებიც ხმელთაშუა ზღვაში ბერძენ მოხალისეთა შემადგენლობაში იბრძოდნენ. მიგრანტებს ოდესის მიდამოებში 15 ათასი დესეტინა გამოეყოთ. 1795 წელს ოდესასა და მის მიდამოებში 62 ოჯახი ბერძენი დასახლდა და კიდევ 41 კაცი, რომელთაგანაც 27 ვაჭარი იყო.

1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა რუსეთში ბერძნული მოსახლეობის შემდგომ ზრდა განაპირობა, პირველ რიგში, ბესარაბიაში. ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს, ბესარაბიის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში (*იზმაილში, კილიაში, აკერმანში*) დასახლდნენ ბერძნები. ბესარაბიის რუსეთთან მიერთების შემდეგ კი აქ ახალი ბერძენული დასახლებები შეიქმნა. ამავე პერიოდში შავი ზღვის ჩრდილოეთში ბერძნულმა თემებმა ახალი შევსება მიიღეს. რუსეთში 1812 წლის შემდეგაც გრძელდებოდა ბერძენთა ემიგრაცია. 1812 წელს რუსეთში ბერძენთა 37-წლიანი ემიგრაციის პერიოდი დამთავრდა. ეს იყო ბერძენთა მასობრივი მიგრაციის პერიოდი. ბერძენთა თემების ჯაჭვი დუნაის შესართავიდან აზოვის ზღვამდე იყო გაჭიმული.

ბესარაბიის საქალაქო თემებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი იზმაილის თემი იყო. აქ ისინი ძირითადად ვაჭრებობასა და ხელოსნობას მისდევდნენ, ბევრი მათგანი მეზღვაურიც იყო... ბერძნები ბეასარაბიის სხვა რაიონებშიც ცხოვრობდნენ, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში. რუსეთის სამხრეთში ყველაზე წარმატებული იყო ოდესის ბერძნული თემი. 1795 წელს ბერძნები შეადგენდნენ ქალაქის მთელი მოსახლეობის 10%-ს. მომდევნო წლებში ეს რაოდენობა იზრდებოდა. აქ ისინი ვაჭრების ერთ-ერთ ძირითად ნაწილს შეადგენდნენ. ბევრნი იყვნენ მეფუნთუშეებიც. ოდესის მიდამოებში 1814 წელს ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები მიწას ამუშავებდნენ. ისინი ოდესის ბერძნული ბატალიონის მეომრები იყვნენ. კომერცია ოდესის ბერძნული თემის კეთილდღეობის ძირითად საფუძველს შეადგენდა. საერთოდ, იმდროინდელ რუსეთში ბერძნულ ბურჟუაზიას ფართო სავაჭრო ქსელი ჰქონდა შექმნილი.

ოდესიდან აღმოსავლეთით სანაპირო ზოლში ბერძნული თემები არსებობდა ხერსონში, ტაგანროგში, მარიოპულში, ნიკოლაევში. 1802 წელს ტაგანროგში 850 ბერძენი მამაკაცი იყო აღრიცხული. 1816 წელს მარიოპულში 11,5 ათასი ბერძენი მკვიდრობდა. მარიოპულელები, როგორც მათი ყირიმელი წინაპრები, ძირითადად მიწათმოქმედებაში, მესაქონლეობასა და მეთევზეობაში იყვნენ დასაქმებული. ეთნიკური და ყოფითი თვალსაზრისით ისინი სამხრეთ რუსეთის დანარჩენი ბერძნული მოსახლეობისაგან საკმაოდ განსხვავდებოდნენ. თანამედროვეთა მოწმობით, XIX საუკუნის პირველ ათწლეულში მარიოპულელი ბერძნები თათრულად იცვამდნენ და თათრულად ლაპარაკობდნენ. მათივე ბერძნული ენა, რომელიც მარიოპულის ყველა ბერძენმა არ იცოდა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საბერძნეთიდან გადმოსახლებულთა ენისაგან. ძველ მკვიდრთა და ახალმოსულთა კონტაქტები პირველთა შორის ახალბერძნული კულტურისა და ენის გავრცელებას უწყობდა ხელს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მარიოპულში 1820 წელს გახსნილმა სასწავლებელმა, სადაც სწავლა მიმდინარეობდა ახალბერძნულ ენაზე. ყირიმის დაპყრობის შემდეგ (1783 წ.) ძველად მცხოვრები ბერძნული მოსახლეობის გვერდით ბევრი ახალი ბერძნული დასახლებაც გაჩნდა. ხელისუფლება ხელს უწყობდა ბერძნულ ემიგრაციას ყირიმში. XIX საუკუნის დასაწყისში ყირიმის ბერძნული მოსახლეობა 16.500 კაცს ითვლიდა. ამ რაოდენობაში შედიოდა როგორც ადგილობრივი ძველი ყირიმის ბერძნული მოსახლეობა, ისე ოსმალეთის იმპერიიდან ემიგრირებულები. მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ ახლადმოსული ბერძნები (1774 წლის შემდეგ) *ფეოდოსიაში*, რომლებიც ძირითადად ანატოლიიდან იყვნენ გადმოსახლებულები. 1813 წელს მათი რაოდენობა აქ 1.500 კაცს შეადგენდა. ამავე დროს პატარა ბერძნული თემები არსებობდა *სევასტოპოლსა* და *ევპატორიაშიც.*

რუსეთში მცხოვრები ბერძნები მტკიცედ ინარჩუნებდნენ ნაციონალურ თავისთავადობას, ენასა და კულტურას. ამავე დროს მიგრირებულ ბერძნებს სამშობლოსთანაც ჰქონდათ მჭიდრო კავშირები. გადმოსახლების ჯგუფური ხასიათი ბერძენებს ნაციონალურ ცნობიერებას უნარჩუნებდა. მათ კომპაქტურ დასახლებებზე მიუთი-

თებს XX საუკუნის დასაწყისამდე ოდესაში ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებანი: „ბერძენთა მოედანი“, „ბერძნული ბაზარი“.

რუსეთის შავი ზღვის პორტების გაცხოველებული ეკონომიკური კავშირები აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან აგრეთვე განაპირობებდა სამხრეთ რუსეთის ბერძენული თემების თვითმყოფადობას. სამხრეთ რუსეთელი გლეხების რეგულარული სავაჭრო რეისები იძლეოდნენ შესაძლებლობას შეენარჩუნებინათ მუდმივი ურთიერთობანი თავიანთ ნათესავებთან და მეგობრებთან, რომლებიც ოსმალეთის იმპერიაში იყვნენ დარჩენილნი. ბერძენთა მნიშვნელოვანი ნაწილი დროთა განმავლობაში რუსულ და უკრაინულ ეთნიკურ გარემოში ასიმილირდებოდა. ყველაზე მეტად ეთნიკური მდგრადობა შეინარჩუნა აზოვისპირეთში მცხოვრებმა ბერძნული სოფლების მოსახლეობამ, რომლებიც ყირიმიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები იყვნენ.

II.17. ჩრდილოეთ კავკასიელთა მუჰაჯირობა

სამეცნიერო ლიტერატურაში ჩრდილოეთ კავკასიელთა ოსმალეთის იმპერიაში მასობრივი გადასახლება ცნობილია მუჰაჯირობის სახელით. ჩრდილოეთ კავკასიელების ოსმალეთში გადასახლება XIX საუკუნეში მიმდინარეობდა და ის უშუალოდ განპირობებული იყო რუსეთის იმპერიის კავკასიაში შემოსვლა-დამკვიდრებასთან. კავკასიელი მუსლიმების ოსმალეთში გადასახლება დროგამოშვებით პირველ მსოფლიო ომამდე გრძელდებოდა. მუჰაჯირობამ სხვადასხვა კავკასიური ეთნოსები მოიცვა: *აბაზები, ადიღეელები, ყუბანისპირელი ნოღაელები, ჩერქეზები, უბიხები, ჩაჩნები, ყარაჩაელები, ყაბარდოელები, მაჰმადიანი ოსები.* ოსმალეთი მუჰაჯირებს იმპერიის დაუსახლებელ ადგილებსა და რუსეთ-თურქეთის საზღვარზე ასახლებდა. **კავკასიელი მუსლიმების ოსმალეთში გადასახლებით რუსეთს სურდა ამ მხარეში პოლიტიკური სიმშვიდისათვის მიეღწია, გამოთავისუფლებული მიწები ფართო კოლონიზაციისათვის გამოეყენებინა და ესარგებლა მხარის ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობით**. კავკასიურ ომში რუსეთის გამარჯვებისთანევე კავკასიელ მუსლიმებში ოსმა-

ლეთში გადასახლების გაძლიერებული პროპაგანდა დაიწყო. პროპაგანდის შედეგად კავკასიელებს ოსმალეთში გადასახლება ხსნის ერთ-ერთ გზად მიაჩნდათ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული როლი ითამაშეს მუსლიმმა სასულიერო წრეებმა – ისინი მორწმუნეებს აშინებდნენ, რომ რუსეთი მათ რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფდა, ძალით გააქრისტიანებდა. თავის მხრივ, ოსმალთა მრავალრიცხოვანი ემისრები არწმუნებდნენ დამარცხებულ მთიელებს, რომ ერთმორწმუნე ოსმალეთი მათ ცხოვრების ნორმალურ პირობებს შეუქმნიდა. მუჰაჯირობას ხელი შეუწყო აგრეთვე ომის შედეგად შექმნილმა მძიმე ეკომომიკურმა პირობებმა და ცარიზმის მიზანმიმართულმა პოლიტიკამ.

ომის დროს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელები მოძრაობდნენ და აულები, სტანიცები, ტერიტორიული ჯგუფები ერთმანეთში ირეოდნენ. ადიღეელები რუსთა და კაზაკთა მოახლოვებისას თავიანთ აულებს არ იცავდნენ. მოსახლეობა აულებს ჩვეულებრივ ტოვებდა და თავს მთიან და ტყიან ადგილებში არსებულ სიმაგრებს აფარებდა. აულის განადგურებისას, მოსახლეობა სწრაფად ბრუნდებოდა და მოწნულ ქოხებს სწარაფადვე აღადგენდა. თუ კაზაკები (რუსები) აულის გარშემორტყმას მოასწრებდნენ, მაშინ მთელი მოსახლეობა, ქალების ჩათვლით, გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა. რუსების სამხედრო ექსპედიციები იწვევდა მთიელთა დამატებით გადაადგილებას, რომლებიც ბინადრობის ჩვეულ გარემოს ტოვებდნენ და მეზობლებთან გადადიოდნენ.

1804, 1807, 1813 და 1822 წლებში რუსებმა ყაბარდოელთა წინააღმდეგ რამდენიმე ექსპედიცია მოაწყვეს, რის შედეგადაც ბევრი აული განადგურდა და ყაბარდოელები ყუბანისიქით აბაძეხებთან და ბესლენელებთან გაიქცნენ. ყაბარდოელებისა და ბესლენელების მიქსაციამ ახალი ადიღური ერთეულის – ახლანდელი *ჩერქეზების* ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა.

ჩრდილოეთ კავკასიელთა გადასახლება თურქეთში 1858-1859 წლებში დაიწყო, კულმინაციას კი 1863-1864 წლებში მიაღწია. ყველაზე ინტენსიურად ეს პროცესი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან მიმდინარეობდა – ადიღეური/ჩერქეზული ტომები მასობრივად გადასახლდნენ თურქეთში. ცენტრალური და ჩრდილო-აღ-

მოსავლეთ კავკასიიდან გადასახლებულთა რიცხვი შედარებით მცირე იყო. დაღესტან-ჩაჩნეთისათვის თურქეთი შორს იყო; ოსები, ყაბარდოელები და ბალყარელები კი რუსეთის წინააღმდეგ ომში არ მონაწილეობდნენ. ჩრდილოეთ ოსეთის ახალფეხადგმული განათლებული ადამიანების აგიტაციის შედეგად მრავალი ოსი მუსლიმი სამშობლოში დარჩა. ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებულ მუჰაჯირთა საერთო რაოდენობა 750 ათასი კაცის ფარგლებში იყო. მათი ნაწილი ოსმალეთის მთავრობამ ბალკანეთში (ბულგარეთი, ალბანეთი), სირიაში, იორდანიასა და სხვა არაბულ ქვეყნებში დაასახლა. მუჰაჯირობა XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედსა და XX საუკუნის დასაწყისშიც გრძელდებოდა.

გადასახლება სათანადო მომზადებისა და ორგანიზაციის გარეშე მიმდინარეობდა. მუჰაჯირები შავი ზღვის ნავსადგურებიდან უვარგისი გემებით გადაყავდათ. მრავალი მათგანი გზაში ეპიდემიამ, შიმშილმა, სიცივემ იმსხვერპლა. თურქეთის ხელისუფლებამ მუჰაჯირებს უვარგისი, შეუფერებელი ადგილები მიუჩინა. ბევრი უმიწოდ და უბინაოდ დარჩა. მუჰაჯირთა ნაწილმა უკან დაბრუნება მოინდომა, მაგრამ ცარიზმმა მათი შემოშვება აკრძალა.

ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქის ირგვლივ მოსახლეობა ძირითადად ქრისტიანული იყო, აქ ცხოვრობდნენ ბერძნები და სომხები. საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ 1840-1870 წლების სტატისტიკური მონაცემებით, ოსმალები იმპერიის მთელი მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდნენ. ბუნებრივია, ასეთი მდგომარეობით შეწუხებული იყვნენ იმპერიის ხელისუფალნი; ისინი ცდილობდნენ ქრისტიანი მოსახლეობა მაჰმადიანებით ჩაენაცვლებინათ. ეს პრობლემა უფრო გააქტიურდა რუსეთ-თურქეთის ომის წინ და მისი მიმდინარეობისას. მოსახლეობის შევსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ კი ისინი ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმურ მოსახლეობას მიიჩნევდნენ. ინგლისელი ავტორის *ჯ. მაკ კარტის* მონაცემებით, **ჩრდილოეთ კავკასიიდან და ბალკანეთიდან მუსლიმური ეთნოსების მიგრაციის შედეგად 1878 წლიდან 1911 წლამდე ანატოლიის მოსახლეობა 50%-ით გაიზარდა.** უკვე XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ოსმალეთის ხელისუფლებამ დაიწყო ახალი პოლი-

ტიკის შემუშავება იმპერიის მოსახლეობის მიმართ. მიზანმიმართულად სირთულეები ექმნებოდა ქრისტიან მოსახლეობას, ხოლო ისლამის მიმდევრებს – პირიქით, ხელსაყრელი. თურქეთის ემისრები კავკასიაში ავრცელებდნენ ხმებს, რომ იმპერატორისა და სულთანის შეთანხმებით, ქრისტიანებს ნება ეძლეოდათ თურქეთიდან რუსეთში გადასახლებულიყვნენ, ხოლო მუსლიმები – თურქეთში, რამაც ასევე დააჩქარა ჩრდილოეთ კავკასიელთა ოსმალეთის იმპერიაში ემიგრაცია. 1856 წელს შეიმუშავეს ადიღეური ტომების გადასახლების დებულება. 1857 წლის მარტში მოქმედება დაიწყო კანონმა, რითაც მუჰაჯირებისათვის წესდებოდა მთელი რიგი შეღავათები. კავკასიიდან ემიგრაციის პარალელურად მიმდინარეობდა ქრისტიანი მოსახლეობის ოსმალეთის იმპერიიდან იმიგრაცია და რუსეთის ცენტრალური რეგიონებიდან კავკასიაში გადმოსახლება. ანალოგიური მიგრაციული პროცესები რუსეთის იმპერიის ინტერესებშიც შედიოდადა – ისინი ასეთ გადასახლებებს მიესალმებოდნენ. 1862 წლის 27 თებერვლის იმპერატორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, თურქეთის ანატოლიიდან ყველა არასლავური წარმომავლობის ქრისტიანს კავკასიაში გადასახლების ნება ეძლეოდა. თურქეთელ ბერძნებსა და სომხებს სამხედრო სამსახურის რვაწლიანი და გადასახდების გადახდის ექვწლიანი შეღავათი ეძლეოდათ. რუსეთის იმპერიიდან მუსლიმთა ნაკადი არსებითად გაძლიერდა XVIII საუკუნის ბოლოს, რამაც განსაკუთრებული სახე ყირიმისა და კავკასიური ომების წინ მიიღო. ზოგიერთი მონაცემებით, ყირიმიდან თურქეთში 300 ათასი თათარი გადასახლდა. რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი კავკასიელი მთიელები როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით (ევროპაში) ხშირად აგზავნიდნენ თავის დელეგაციებს, ხოლო ყველაზე ხშირად ეს დელეგაციები ერთმორწმუნე ოსმალეთის იმპერიაში მიემგზავრებოდნენ. ბუნებრივია, თურქეთის ხელისუფლება დაინტერესებული იყო მთიელთა მხარდაჭერაში. ეს მხარდაჭერა ორი გარემოებით იყო განპირობებული: 1. კავკასიელების გამოყენებით ყველაზე დიდი მტრის – რუსეთის წინააღმდეგ: 2. ქვეყნის მოსახლეობის მუსლიმებით შევსებით.

კავკასიური ომის დროს თურქეთის აგენტები ჩერქეზებს შო-

რის აწარმოებდნენ პროპაგანდას, აქეზებდნენ რუსეთის წინააღმდეგ და უთანასწორო ომის გაგრძელებისაკენ მოუწოდებდნენ. ხოლო ომის დამთავრებისთანავე კავკასიელებს აქტიურად მოუწოდებდნენ ემიგრაციისაკენ. 1864 წლის 1 ივლისით დათარიღებულ *მუხამედ ნასარათის* პროკლამაციაში ასეთი მოწოდება იყო: **„ძველთაგანვე თურქეთს ქვეშევრდომები ძალიან უყვარდა, როგორც ბავშვები, ის ყველა ღონეს ხმარობდა დაგხმარებოდათ... აიყვანეთ თქვენი ოჯახები და ყველა აუცილებელი ნივთი... ჩვენი ხელისუფლება იზრუნებს თქვენთვის სახლის აშენებაზე.“**

კავკასიური ომების დამთავრების შემდეგ, 1877-1878 წლების ომში ყველაზე აქტიური ძალა სწორედ მუჰაჯირები იყვნენ. დაგეგმილი იყო რუსეთ-თურქეთის ომის ფრონტზე 80 ათასი ჩაჩანის გამოყვანა. მართლაც, ეს გეგმა ფაქტობრივად შესრულდა. კავკასიელი იმიგრანტების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში და ჩაჩნეთში, დაღესტანსა და აფხაზეთში მიმდინარე ანტიკოლონიურ აჯანყებაში. ჩერქეზმა მეომრებმა, რომლებიც ფრონტის ყველაზე „ცხელ“ ხაზებზე იყვნენ გადასროლილი, სერიოზული დანაკლისი განიცადეს. დადგენილია, რომ ახალგაზრდა კავკასიელების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც იმიგრაციის შემდეგ შევიდნენ ოსმალეთის არმიაში, ფრონტიდან არ დაბრუნდა.

ამრიგად, რუსეთისა და თურქეთის ხელისუფალნი კავკასიური ომების დროს, ფაქტობრივად, ახორციელებდნენ „გაცვლას“ – კავკასიელთა მიერ მიტოვებულ განსახლების არეალში ათასობით სომეხი და ბერძენი მიგრირდა. თუ XIX საუკუნის შუა ხანებამდე ჩრდილოეთ კავკასიაში ასახლებდნენ ძირითადად კავკასიელ და სპარსელ სომხებს, საუკუნის დასარულიდან გადმოსახლებულთა უმეტესობა ოსმალეთის იმპერიის სომხური ოლქებიდან იყო, საიდაც, რუსული ორიენტაციის გამო, სომხების დევნა მიმდინარებდა. 1926 წლის აღწერით, ჩრდილო კავკასიაში სომხები რაოდენობრივად (162 ათასი) მხოლოდ რუსებს (3,8 მილონი), უკრაინელებსა (3,1 მილიონი. კაზაკების უმეტესობა თავის თავს უკრაინელებს უწოდებდა) და ჩაჩნებს (296.281 კაცი) ჩამორჩებოდნენ. კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ პეტერბურგისა და სტა-

მბულის მმართველი წრეების ინტერესთა გარკვეული თანხვედრა მოხდა, რომლებიც გაერთიანებული ძალით განაპირობებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების თურქეთსა და მახოლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში გადასახლებას.

სამხედრო და პოლიტიკური მოქმედებების, მუსლიმური სასულიერო პირების მოქმედების შედეგად თავის სამშობლოს მოწყვეტილი 750 ათასი ჩრდილოეთ კავკასიელი უცხო ქვეყანებში აღმოჩნდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან მასობრივი გადასახლების შედეგად ბევრი მათგანი გზაში შიმშილის, სიცივისა და ავადმყოფობისაგან დაიღუპა. თურქეთის ხელისუფალთა დახმარებით კი ძირითადად ე. წ. მუხაჯირთა ზედაფენა სარგებლობდა.

მუსლიმთა დაცვის საბაბით ოსმალეთის იმპერია გადასახლებას ახალისებდა. სინამდვილეში ოსმალეთი ცდილობდა გადასახლებულები იმპერიის საზღვრების დასაცავად და მრავალრიცხოვანი ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩასაქრობად გამოეყენებინა. მუჰაჯირების უმრავლესობა დასახლებული იქნა იმ რაიონებში, რომლებიც უმეტესად დასახლებული იყო ქრისტიანი მოსახლეობით. ოსმალეთის ზედაფენას ხელში უვარდებოდა მრავალრიცხოვანი და იაფი ტყვე-მონები. იმ დროს ტყვეებით ვაჭრობამ არნახული გაქანებას მიაღწია. ჩერქეზ მონა-ტყვეებზე ფასები 60-80 მანეთამდე, ბავშვებისა (11-12 წლისანი) კი 30-40 მანეთამდე დაეცა. სიღატაკე და შიმშილი მუჰაჯირებს აიძულებდა გაეყიდათ ცოლები და შვილები. მხოლოდ 1863-1864 წლებში მონად ჩრდილოეთ კავკასიიდან 10 ათასი გადასახლებული გაიყიდა. გადასახლებულებისათვის ერთ-ერთი პირობის დარღვევამ (20 წლიანი ბეგარისაგან განთავისუფლება) ახალი მოქალაქეები უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. აღნიშნულმა კი ჩრდილოეთ კავკასიელების სამხედრო სამსახურში აყვანა უფრო ადვილი გახადა. არ ჰქონდათ რა თავის გადარჩენის სხვა საშუალება, ბევრი მუჰაჯირი ადვილად თანხმდებოდა ოსმალეთის იმპერიის არმიაში სამსახურს, სხვები კი ცდილობდნენ დაბრუნებულიყვნენ ჩრდილოეთ კავკასიაში.

ჩრდილოეთ კავკასიის სწრაფად დამშვიდების სურვილით ცარიზმი, რომელიც ხელს უწყობდა ხალხების თურქეთში გადა-

სახლებას, ყოველთვის აქტიურად წინააღმდეგობას უწევდა მუჰაჯირების უკან დაბრუნებას. მხოლოდ ცენტრალური კავკასიის მცხოვრებთა უმნიშვნელო რაოდენობამ მოახერხა სამშობლოში დაბრუნება.

1857 წელს მაშინდელი კავკასიის არმიის მთავარი შტაბის მეთაურმა გენერალმა *ა. ილიუტინმა* ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელთა გასახლებისა და გამოთავისუფლებული მიწებზე რუსეთის შიდა რეგიონებიდან გადმოსახლებულებით დასახლების შესახებ იდეა წამოაყენა. 1861 წლის შემოდგომაზე ალექსანდრე II ყუბანის ოლქს ესტუმრა, რათა პირადად გაცნობოდა დასავლეთ კავკასიაში არსებულ სიტუაციას. მაშინ შედგა ორი შეხვედრა, რომლებმაც გარკვეულად განსაზღვრა დასავლეთ ადიღეელების შემდეგი ბედი. ტამანში მშვიდობიანი და არამშვიდობიანი ჩერქეზების დეპუტაცია იმპერატორს ცალ-ცალკე ეახლა. პირველი დელეგაციის უხუცესმა წევრებმა საომარი მოქმედებების, სოფლების განადგურების შეწყვეტა და კაზაკების მათ მიწაზე დასახლება ითხოვეს, სანაცვლოდ მორჩილებას შეპირდნენ: „ჩვენ ავაშენებთ გზებს, სიმაგრეებს, ყაზარმებს თქვენი ჯარისათვის და ვფიცავართ, რომ მათთან მშვიდობიანად და თანხმობაში ვიცხოვრებთ. ოღონდ ნუ გაგვასახლებთ იმ ადგილებიდან, სადაც დაიბადნენ და ცხოვრობდნენ ჩვენი მამები და პაპები. ამიერიდან ამ ადგილებს, თქვენს ჯართან ერთად, თანაბრად დავიცავთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე“. მეფემ აღუთქვა, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რომ მათი თხოვნა შესრულებულიყო. მაგრამ მეორე დღეს იმპერატორთან აბაძეხების, შაფსუღების და უბიხების სხვა, „არამშვიდობიანი“ ჯგუფი მივიდა, რომლებმაც ალექსანდრე II-ეს გადასცეს არზა, რითაც მოითხოვდნენ მათი მიწის ხელშეუხებლობას, ითხოვდნენ არ აეშენებინათ სიმაგრეები, სტანიცები და არ გაეყვანათ გზები. საპასუხოდ რუსეთის იმპერატორის პასუხი მკაცრი ყოფილა: **„გასახლდებით საითაც მიგითითებენ, ანუ გადასახლდებით თურქეთში“.** ამიერიდან გადასახლებამ ფართო გაქანება მიიღო.

ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა და ყოველ მათგანს გარკვეული თავისებურება ახასიათებდა. 1860 წელს სტამბოლში ჩამოყალიბდა გადასახლების უმა-

ღლესი კომისია. კომისია პასუხს აგებდა კავკასიელთა განსახ-ლებაზე და მათთვის მატერიალურ დახმარებაზე. თანამედროვე მკვლევარები არც ეჭვობენ იმაზე, რომ **კავკასიელი მუსლიმების გადასახლება იყო ურთიერთსახეირო ოსმალურ-რუსული პროექტი.** რუსეთის იმპერია სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიწებს (რომელ-ზედაც კაზაკებს ასახლებდა), ხოლო ოსმალეთი ჯანმრთელ მოსა-ხლეობას იღებდა, რომლებიც განვითარებული სამხედრო კულტუ-რის მატარებლები იყვნენ. ბალკანურ პროვინციებში კავკასიელების დასახლებით ქრისტიან მოსახლეობასთან სასაზღვრო ღობეს ქმნი-დნენ. ოფიციალურად გასახლება 1862 წელს დაიწყო.

1783 წელს რუსებმა ნოღაელთა ეთნიკური სისტემა დაამსხვ-რიეს. ნოღაელ ხალხს ეთნიკური ისტორიის ბუნებრივი განვითა-რება დაერღვა. ნოღაური ეთნოსი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის სტეპებში შერეკეს. ამით რუსეთის იმპერიას კავკასიის მთებისაკენ ექსპანსიის გზა გაეხსნა. დონის ეთნოსფერასა და ადიღეურ ეთ-ნოსფერას შორის ეთნიკური სიცარიელე წარმოიქმნა, რომლის შე-ვსება დაიწყო ბინადარი მოსახლეობით. ნოღაელები დაქსაქსული ჯგუფების სახით ყუბანის მარცხენა მხარეზე, ანაპის ახლოს ადი-ღეელების გვერდით მათ ეთნოსფერაში განსახლდნენ. **დაახლოებით 700 ათასი ნოღაელი ოსმალეთის იმპერიაში გადასხლდა. ეს იყო ნოღაელთა ემიგრაციის პირველ ტალღა.** მეორე ტალღა კი კავ-კასიური ომების ბოლოს მოხდა. 1785 წელს პოტიომკინის ბრძა-ნებით ყუბანის მარცხენა ნაპირიდან ნოღაელთა ნაწილი გადაასა-ხლეს ყიზლარის სტეპებში ყარანოღაელებთან. მაგრამ ყარანოღაე-ლები ახალმოსულებს საკმაოდ მტრულად შეხვდნენ და 14 წლის შემდეგ ისინი იძულებული იყვნენ კვლავ გადასახლებულიყვნენ, ამჯერად აჩიკულაკის მიჯნაზე.

კავკასიური ომების წლებში ერთიდაიგივე სცენარი მეორდე-ბოდა – სამხედრო ზეწოლით კავკასიელები რუსეთის ერთგუ-ლებაზე იფიცებოდნენ, მაგრამ, როგორც კი ჯარი გავიდოდა, თა-ვის დამოუკიდებელი ცხოვრების წესს უბრუნდებოდნენ. რუსეთი მათ ცბიერებასა და ფიცის დაუცველობაში ადანაშაულებდა. შემ-დეგ კი რუსეთის იმპერიულმა პოლიტიკამ დასავლეთ კავკასიაში გენოციდის ფორმა მიიღო. **კავკასიელების განსაკუთრებული ინ-**

ტენსიური გენოციდი მიმდინარეობდა კავკასიის ომის ბოლო ეტაპზე. *ა. ბენიგსენი* რუსეთის იმპერიის ქმედებას უწოდებდა განდევნით გენოციდს. ასეთი პოლიტიკის შედეგად კავკასიელები არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ: ან მთლიანად უნდა დამორჩილებოდნენ იმპერიულ წესრიგს, დაეტოვებინათ თავიანთი ეთნოსფერა და დასახლებულიყვნენ ხელისუფლებისაგან მითითებულ დაბლობ ადგილებში, ან ემიგრირებულიყვნენ. **ადიღეურ-აფხაზური ეთნიკური მასივის უმეტესობამ ემიგრაცია აირჩია, დაკარგა თავისი ეთნოსფერა და თავისი ეთნიკური ისტორია უკვე ოსმალეთის იმპერიაში საკუთარი ტერიტორიის გარეშე გააგრძელა.**

რუსეთის იმპერია არა მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ადიღეელებს, არამედ მათ ეთნოსფერასაც – ლანდშაფტს ებრძოდა; ხდებოდა ტყეების მასობრივი გადაწვა-განადგურება. ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ტყეების კაფვა რუსული ჯარის ერთ-ერთ მთავარ საქმიანობას წარმოადენდა. ასე რომ, ნელა, მაგრამ მეთოდურად ხდებოდა კავკასიელთა ბინადრობის ადგილის დარღვევა.

1861 წლისათვის ადიღეელთა ეთნოსფერას დასავლეთი ნაწილი კოლონიზაციისათვის უკვე ღია იყო, რასაც ლანდშაფტის ძლიერი შეცვლაც უწყობდა ხელს. ტყეების 50%-ზე მეტი გაიკაფა, ამ ტერიტორიაზე დაიწყო კაზაკების, რუსების, უკრაინელების, ბერძნების, გერმანელების, ბულგარელების და სხვების გადმოსახლება. 1861 წლისათვის ყუბანის დაბლობის მარცხენა სანაპიროზე გადასახლებული იქნენ ბჟედუხები, ხატუკაელები და ადამიელები. მათ ასახლებდნენ დიდ აულებად და რამდენიმე აულს ერთმანეთში ურევდნენ. 50-იანი წლების დასასრულს დაიწყო ყუბანის მარჯვენა ტერიტორიაზე მოსახლე ნოღაელების იძულებითი გადასახლება *ურუპისა* და *ლაბის* დაბლობ ადგილებში. ისინი გასახლებული იქნენ აღმოსავლეთით, ძირითადად დიდი ზელენჩუკის რაიონში. ვინც წინააღმდეგობას უწევდა, მათ ანადგურებდნენ.

ომის დაწყებიდან ხუთი წლის განმავლობაში მთელი ჩრდილო-დასავლეთი კავკასია დამორჩილებული იქნა. სხვადასხვა მონაცემებით, 1801-1864 წლებში აქ რუსეთის არმიამ 23 თასი ჯარისკაცი დაკარგა, ადიღეელებმა – ცოტათი მეტი. სხვა მონაცემებით, იმავე წლებში რუსეთის არმიის დანაკარგი 96 თასზე მეტს იყო.

1864 წლის ბოლოს ადიღეელთა ძირითადმა მასამ დატოვა დასავლეთი კავკასია. ოფიციალური მონაცემებით, 1858-1864 წლებში ოსმალეთის იმპერიაში, ყუბანისპირელი ნოღაელების ჩათვლით, 398.955 კაცი გადასახლდა. 1865 წლის დასაწყისისათვის დაბლობში დარჩა 106.798 ადიღეელი. მათზე მოდიოდა 220 ათასი კბილებამდე შეიარაღებული კაზაკი. მაგრამ ეს მონაცემები ზუსტი არაა, რადგან შეუძლებელი იყო ყველას აღრიცხვა, ვინც ომში მოკვდა და ვინც გადასახლების დროს ავადმყოფობით გარდაიცვალა. სხვადასხვა ავტორები გადასახლებულთა სრულიად განსხვავებულ რაოდენობას ასახელებენ. რუსული ისტორიოგრაფია მათი შემცირების ტენდენციას ამჟღავნებს, ხოლო კავკასიელი ემიგრანტებისა – გაზვიადებისას. **ბევრ მკვლევარს უფრო სარწმუნოდ მიაჩნია დაახლოებით 1 მილიონი ადიღეელის ემიგრაციაში წასვლა. ერთი რამ აშკარაა – ადიღეელთა უმეტესობა მშობლიური განსახლების არედან განდევნილი იქნა.**

ადიღეელთა ეთნოსფერა დაცარიელდა. მათი უმეტესება გააძევეს თავისი განსახლების არეალიდან. ხოლო უბიხებიდან არავინ დარჩენილა. ადიღეელები არა მხოლოდ თურქეთში, არამედ დუნაის, დუბრუჟის გასწვრივ ბულგარეთში და კოსოვოშიც კი დაასახლეს. ადიღეელთა დასახლება აღმოსავლეთ ანატოლიაშიც ხდებოდა. აქ მათ ძირითადად ქურთებისა და სომხების კომპაქტური დასახლების ადგილებში ასახლებდნენ. ადიღეელების განსახლების მესამე რეგიონი არაბული ახლო აღმოსავლეთი (ეგვპტე, სირია, მესოპოტამია, იორდანია) იყო. დღევანდელი მონაცემებით მთელი ადიღეური დიასპორა დაახლოებით 3 მილიონს ითვლის. ხოლო **უბიხებიდან აღარავინ დარჩა – ისინი გაქრნენ, ჩერქეზებს და ნაწილობრივ თურქებს შეერწყნენ.** თითქმის სრული ასიმილაცია განიცადეს აბაზებმაც. 1864 წელს ემიგრაციაში წავიდა ამ ეთნოსის ცხრა მეათედი. 1883 წელს ყუბანის ოლქში მხოლოდ 9.921 აბაზას ითვლიდნენ. ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებით აბაზების რაოდენობა ათჯერ შემცირდა. მიიჩნევენ, რომ **საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსმალეთის იმპერიაში 1,5-დან 2,5 მილიონამდე ადამიანი მიგრირდა.**

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ უბიხების შესახებაც. თანამედროვენი აღნიშნავენ, რომ უბიხები რუსებს არაადამიანურ წინააღმდეგობას უწევდნენ. 1860 წლის დასაწყისში უბიხები შაფსუღებსა და ნატუხაელებს ეხმარებოდნენ. ამასთანავე, ისინი საძებთან ერთად მოქმედებდნენ. მთელი 1862 წელი საბრძოლო შეტაკებებში მიმდინარეობდა. უბიხები მხოლოდ თავს კი არ იცავდნენ, არამედ აქტიურ და ხშირად გამანადგურებელ შეტევებზე გადადიოდნენ, ანადგურებდნენ სტანიცებს, იტაცებდნენ ტყვეებს, საქონელს. დამარცხებულმა უბიხებმა, შაფსუღებსა და საძებთან ერთად, გადაწყვიტეს ერთიანად ოსმალეთში გადასახლება და რუსეთის ხელისუფლებას გამოუცხადეს, რომ ყუბანზე არ გადასახლდებოდნენ. მუჰაჯირად წასული 5 ათასი უბიხის თურქეთში გადასახლება **1864 წლის აპრილში მოხდა. უკვე 19 აპრილს რუსეთის ჯარს ადგილზე აღარც ერთი უბიხი არ დახვდა. წასული საძები კი თავად წვავდნენ საკუთარ სახლებს. რამდენიმე გადატვირთული ხომალდი ზღვაში ჩაიძირა. შიმშილისაგან, სიცივისაგან, ტიფის ეპიდემიისაგან უბიხები და საძები სანაპიროზე იხოცებოდნენ.** ასახელებენ გადასახლებული უბიხების სხვადასხვა რაოდენობას. ერთ-ერთი გამოკვლევა ძალიან დიდ რაოდენობას – 74.567 კაცს მიუთითებს. ეს რაოდენობა ერთობ გადაჭარბებულია, იმის გამოც, რომ უბიხებს, საძებსა და აბაძეხებსაც უმატებენ. სხვა მონაცემებით მუჰაჯირი უბიხების რაოდენობა 25 ათასი იყო. უბიხები ჩერქეზებთან ერთად სამსუნის მიდამოებში, პანდერმაში (მარმარილოს ზღვა) და ძირითადად იზმითსა და საქარიას შორის საფანჯის ტბის ნაპირებზე დაასახლეს. 1990-იანი წლების დასაწყიში უკანასკნელმა უბიხთაგანმა *ტევტიკ ესენჩმა გ. შარაშენიძეს* მისწერა უკანასკნელი წერილი უბიხურ ენაზე. 130 წლის განმავლობაში ანუ ხუთ თაობაში უბიხები სრულიად ასიმილირდნენ.

ერთმანეთს თუ შევადარებთ ადიღეელთა მუხაჯირობამდე და მუხაჯირობის შემდეგი პერიოდის განსახლების არეალებს, აღმოვაჩენთ, რომ მისგან მხოლოდ პატარა ეთნიკური კუნძულები შემორჩა, რომლებიც ყუბანის დაბლობ ნაწილსა და მდინარე ყუბანის გასწვრივ არსებობს. სინამდვილეში, ეს კუნძულები წარმოადგენდ-

ნენ რეზერვაციებს, სადაც ცარიზმი სხვადასხვა ადიღეურ ჯგუფებს ერეკებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადიღეელები ბალკანეთშიც – დუნაის გასწვრივ დობრუჯაში, ბულგარეთში და კოსოვოშიც დაასახლეს. უნდა შევნიშნოთ, რომ კოსოვოში ცხოვრების 130 წლის შემდეგ, არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ, მათ გადაწყვიტეს თავიანთ ეთნიკურ სამშობლოში დაბრუნება. 1998 წლის აგვისტოში 35 ადიღეელთა ოჯახი დაბრუნდა ადიღეეს რესპუბლიკაში. კიდევ 20-ზე მეტი კაცი ცოტა მოგვიანებით დაბრუნდა. მაგრამ ყველაზე დიდი ჯგუფი ადიღეელებისა ცოტა გვიან მოვიდა, (როგორც კოსოვოდან დევნილები) 1999 მაისში, იუგოსლავიის დაბომბვის დროს (რამდენიმე ასეული კაცი).

ადიღეელთა ადაპტაციის პროცესი ოსმალეთის იმპერიაში რთული და არაერთგვაროვანი იყო. ადიღეელებისათვის ადაპტირება მაინც შედარებით ადვილი იყო იმის გამოც, რომ ისინი მუსლიმები იყვნენ. მაგარამ ოსმალეთს სჭირდებოდა არა უბრალოდ ადიღეელების ადაპტაცია, არამედ ასიმილაცია. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოეხდინა ადიღეელთა ასიმილაცია. **ყველაზე უკეთესად ადიღეელები არაბულ სამყაროში ადაპტირდნენ. დღესაც ადიღეელებს იორდანიაში უკავიათ მაღალი პოსტები სამხედრო, პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სფეროებში.**

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელთა ძლიერმა მიგრაციულმა ნაკადმა ჩრდილოეთ კავკასიის, ყირიმის და ოსმალეთის იმპერიის ვრცელი რაიონების რადიკალური ცვლილებები გამოიწვია. საერთო ჯამში მიგრაციულ პროცესებში ჩათრეული იყო 1,5-დან 2,5 მილიონამდე ადამიანი, რომლებიც ძირითადად განსახლებული იქნენ ორი იმპერიის – ოსმალეთისა და რუსეთის ეთნოსთაშორის საკონტაქტო ზონაში. ასეთი გადაადგილებები ასობით ათასი ადამიანისათვის ტრაგიკული იყო, რომლებსაც ჩვეული ლანდშაფტიდან ამოგლეჯილებს სხვა ლადშაფტში და სხვათა ეთნიკურ გარემოში მოუხდათ ადაპტირება. ოსმალეთი ასიმილაციის პოლიტიკას ახორციელებდა, რომელთა მიზანი იყო ეთნიკური ქცევის სტერეოტიპის სრული ან ნაწილობრივი მოშლა და დარღვევა.

ემიგრირებულ ადიღეელებს შორის გაქრა ტრადიციული ხელოს-ნობის დარგები, ისეთები როგორიცაა მეხალიჩეობა და იარაღის დამზადების ხელოვნება. საზღვარგარეთ წავიდნენ ცხენის სელექ-ციის საუკეთესო მცოდნენი. საერთოდ გაქრა მათი ენის ზოგიერთი დიალექტი. დანარჩენი დიალექტები ერთმანეთს შეერია. პარადოქ-სულია, მაგრამ ამ პროცესმა განაპირობა ერთიანი ადიღეური ენის გამომუშავება, რომელიც გასაგებია ყველა ადიღეელისათვის. არა-ბული და თურქული ენების გავლენა შეიცვალა რუსული ენის გავლენით. კავკასიის ომში დამარცხებამ ძლიერ შეარყია ადიღე-ელთა ეთნოფსიქოლოგია, რაც განპირობებული იყო მთელი რიგი დამამცირებელი პროცედურებით, ერთ-ერთი მათგანია განიარაღე-ბის პროცესი. ადიღეელი მეომრის სამხედრო ღირსების სიმბოლო ხანჯალი გახლდათ. მისი ტარება „ღირსების, პატივის ნიშანი“ იყო. განიარაღების უფლება მიეცა არა მხოლოდ კაზაკ მამაკაცებს, არამედ კაზაკ ქალებსაც, რამაც კაზაკების მიმართ ნეგატიური მოვლენებს მისცა დასაბამი.

ჯერ კიდევ ომის მსვლელობაში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ეთნოსფერაში ათეული კაზაკთა სტანიცა გაჩნდა. 1861-1862 წლე-ბში 37 სტანიცა დაარსდა და მომდევნო ორ წელიწადში ყუბანის-პირეთში კიდევ 74 გაჩნდა. გადასახლების მსურველ კაზაკთა რა-ოდენობა არც თუ ისე ბევრი იყო, მაგრამ მეფის ბრძანება უნდა შესრულებულიყო. ამიტომ ადიღეელთა ყოფილი ეთნოსფერას შე-სავსებად კაზაკთა შორის ერთადერთ საშუალებად კენჭისყრა იქცა. ადიღეურ ტოპონიმებს შორის გაჩნდა ბევრი რუსული ტო-პონიმი. გარდა კაზაკებისა, აქ ასახლებდნენ აგრეთვე რუსებს, სომხებს, ბერძნებს, უკრაინელებს. ქცევის სხვადასხვა სტერეო-ტიპთა კონფლიქტს რელიგიური ხასიათიც ჰქონდა – მტერზე გა-მარჯვებისა, ერთი მხრივ, მართლმადიდებელი მღვდელთმსახურები ლოცულობდნენ, მეორე მხრივ – მუსლიმი მოლები.

როგორც აღინიშნა, კავკასიის ხალხთა გადასახლების მეორე ტალღა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომთანაა დაკავშირე-ბული. საომარი მოქმედებების მსვლელობისას ხელახლა იფეთქა აჯანყებამ ჩაჩნეთში, დაღესტანში, აფხაზეთში. ამ აჯანყებების ჩაქ-რობის შემდეგ მისი მონაწილეები და თანამგრძნობები ციმბირში,

ვოლგისპირეთსა და რუსეთის შიდა რაიონებში გადაასახლეს. ვიღაცეებმა შეძლეს ოსმალეთში გაქცევა. მაგრამ გასახლების პროცესი შეეხო არა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიას, არამედ სამხრეთ კავკასიასაც. პირველი ტალღის ემიგრანტები მონაწილეობდნენ ბალკანეთის ფრონტზე. ომის დამთავრების შემდეგ – 1878-1881 წლებში ინტენსიური გადასახლება მიმდინარეობდა ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან. სან-სტეფანოს 1878 წლის 3 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე, მისი რატიფიკაციიდან სამი წლის განმავლობაში, რუსეთთან შემოერთებულ მუსლიმურ მოსახლეობას უფლება ეძლეოდა გაეყიდა უძრავი ქონება და გადასახლებულიყო ოსმალეთის იმპერიაში, ხოლო ოსმალეთის იმპერიის მოსახლეობა – რუსეთში. ყარსის ოლქიდან ემიგრირებული მუსლიმი მოსახლეობის ადგილზე ცარიზმმა სექტანტები (მოლოკანები, დუხობორები) დაასახლა, რუსეთის შიდა რაიონებიდან რუსები, ბერძნები და სომხები. რუსი ჩინოვნიკები ხელს არ უშლიდნენ გადასახლებას, პირიქით, დაინტერესებული იყვნენ ამ პროცესით. მუჰაჯირობა გრძელდებოდა გვიანაც, XX საუკუნის შუა ხანებამდე. სამოქალაქო ომის პერიოდში კავკასიის მთიელები დიდი რაოდენობით შეუერთდნენ ე. წ. თეთრ ემიგრაციას.

განათლებული ქართველების უმრავლესობა წინააღმდეგი იყო კავკასიელების აყრისა. ამის დამადასტურებელად შეიძლება მოვიყვანოთ თავად ***გრიგოლ ორბელიანის*** წერილი, რომელიც 1879 წელს გენერალ-ადიუდანტ თავად *დ. ი. სვიატიპოლსკ-მირსკის* გაუგზავნა. წერილში ის უარყოფდა იმ დროს გაბატონებულ საზოგადოებრივ აზრს, რითაც მთიელებს ველურებსა და ფანატიკოსებს უწოდებდნენ და რომლებსაც ამის გამო არ უნდოდათ განათლებული ქრისტიანი მონარქის ხელისუფლების ქვეშ ცხოვრება: „აჭარიდან და ყარსიდან გრძელდება გადასახლება შიდა თურქეთში. რას მივაწეროთ ეს უცვლელი მოვლენა? ყირიმი დაიცალა, ჩერქეზები 200 ათასზე მეტი კაცი გადასახლდნენ ყუბანიდან. აფხაზეთი მოსახლეობის გარეშე დარჩა. ახლა აჭარისა და ყარსის მცხოვრებნი მირბიან ჩვენგან, მართლაც შავი ჭირისაგან! ნუთუ მართლა ყველაფერი ეს ფანატიზმით აიხსნება?“

II.18. მიგრაციები პირველი მსოფლიო ომისა და მის შემდგომ პერიოდში

ხალხთა მიგრაციები ომების თანმხლები მოვლენაც იყო. შეიძლება გავიხსენოთ ებრაელთა და სომეხთა მიგრაციები. განსაკუთრებული გადაადგილებები მოხდა მსოფლიო ომების დროს. ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე XX საუკუნის დასაწყისში ლტოვილთა დიდი ნაკადის მიზეზად იქცა 1912-1913 წლების ბალკანეთის ომი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის ერთგვარი პრელუდია იყო.

1913 წელს მოსახლეობის მასობრივი „გაცვლა“ მოხდა ოსმალეთსა და ბულგარეთს შორის – მათ ერთმანეთს შორის დაახლოებით 50 ათასი ადამიანი გაცვალეს.

1914 წელს რუსეთის იმპერიამ არ დაუცადა ომის გამოცხადებას და დაიწყო გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის ქვეშევრდომების დაპატიმრება და ქვეყნიდან გასახლება. დეპორტაცია მოახდინეს არა მხოლოდ „ჯაშუშობაში ეჭვმიტანილების“, არამედ რამდენიმე ეთოსის წარმომადგენლებისა, რომლებიც გასაწვევი ასაკისანი იყვნენ (გერმანელები, ავსტრიელები, უნგრელები, პოლონელები, ებრაელები). გამონაკლისი დაუშვეს მხოლოდ ჩეხების, სერბებისა და რუსინების (კარპატებში მცხოვრები აღმოსავლეთ სლავური ეთნიკური ერთობა, რომლებსაც ზოგიერთი უკრაინელების ეთნიკურ ჯგუფად მიიჩნევს) მიმართ.

ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულებით, 1923 წელს თავისი მასშტაბებით თურქეთსა და საბერძნეთს შორის, მოქალაქეთა აქამდე გაუგონარი გაცვლა მოხდა: დაახლოებით 400 ათასი თურქი საბერძნეთიდან მცირე აზიაში (თურქეთში) გადაასახლეს, აქედან კი, თავის მხრივ, 1,2 მილიონი ბერძები იქნა დეპორტირებული. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებისა და მისი ტერიტორიის შეკვეცის შემდეგ ბალტიისპირეთიდან დანარჩენი გერმანიის ტერიტორიაზე დაახლოებით 1 მილიონი გერმანელი გადასახლდა. ამავე დროს დაახლოებით 600 ათასი გერმანელი პოლონეთიდან, რუსეთიდან და აღმოსავლეთ საფრანგეთიდან (ელზასი და ლოტარინგია) გერმანიასა და ავსტრიაში გადავიდა საცხოვ-

რებლად. იმავე პერიოდში პოლონეთს ლტოლვილების ნაკადი მიაწყდა უკრაინიდან და ბელორუსიიდან. ხოლო საფრანგეთში სამუშაოდ გადავიდა 300 ათასი არაბი, 46 ათასი პოლონელი, 33 ათასი ჩეხი და 67-67 ათასი რუსი და სომეხი. **XX საუკუნის 30-იან წლებში უკრაინაში (დონბასის მხარეში) რუსეთის ცენტრალური ოლქებიდან რამდენიმე მილიონი რუსი გადაასახლეს.**

1922 წელს პირველმა ებრაელმა ემიგრანტებმა დატოვეს ფაშისტური იტალია. ქვეყნის ხელისუფლება ცდილობდა შეეზღუდა ამერიკაში ემიგრაცია, 1930-იან წლებში კი გადასახლების ნაკადი მიემართა ახლად შეძენილი კოლონიებისაკენ, მაგრამ ამ ღონისძიებას წარმატება არ მოყოლია: ლიბიასა და ერიტრიაში მიგრირებული იტალიელების 50% მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისათვის უკან დაბრუნდა.

გერმანიის ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლის შემდეგ, ქვეყანაში ებრაელთა სისტემატიურმა დევნამ გაზარდა ებრაელი ემიგრანტების რაოდენობა. პირველ ხანებში ებრაელები თავშესაფარს ეძებდნენ მეზობელ ქვეყნებში – საფრანგეთში, შვეიცარიაში, შვეიცარიაში, ჩეხოსლოვაკიაში, აგრეთვე საბჭოთა კავშირში. ებრაელთა ემიგრაციის პირველი ტალღის ცენტრებად იქცა პარიზი, ამსტერდამი, პრაღა.

მიგრანტების სოციალური მდგომარეობა დამოკიდებული იყო მათდამი დამოკიდებულებაზე, საცხოვრებლის მიღებაზე, მატერიალურ მდგომარეობაზე. უმეტეს ქვეყნებში, სადაც ებრაელები ემიგრირდებოდნენ, მოქმედებდა კანონები უცხოელთა სამსახურში მიღების აკრძალვის შესახებ. სახელმწიფო სამსახურებს შეეძლოთ არასასურველი უცხოელების სამშობლოში ინტერნირება მოეხდინათ.

ევროპაში ფაშიზმის განმტკიცებამ ებრაელთა პალესტინაში მოზღვავება გააძლიერა; მოსახლეობაში მათი წილი 1929 წლის 15%-დან 1930-იანი წლის ბოლოსათვის 30%-მდე გაიზარდა. მიწების გამოსყიდვამ და ებრაელთა დიდმა ნაკადმა არაბი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. ამის გამო, ბრიტანელები, რომლებმაც 1922 წელს მიიღეს პალესტინის მართვის მანდატი, ცდილობდნენ იმიგრაციის შეზღუდვას.

ბოლშევიკური რუსეთიდან ემიგრაციამ, სხვადასხვა მონაცემებით 1,5 მილიონიდან 3 მილიონამდე კაცი შეადგინა.

1916 წლიდან 1920 წლის ჩათვლით ოკეანის გაღმა დაახლოებით 400 ათასი ევროპელი გაემგზავრა. მხოლოდ 1920-იან წლებში ოკეანის გაღმა 6-დან 7 მილიონამდე ევროპელი წავიდა საცხოვრებლად.

1921 წელს აშშ-ის კონგრესმა მიიღო კანონი, რომლითაც იმიგრანტებზე ეროვნული ნიშნით კვოტები წესდებოდა, ხოლო 1924-1929 წლების კანონებმა კიდევ უფრო შეზღუდა მიგრაცია. მიიჩნევდნენ, რომ მიგრაცია ქვეყანაში დასაქმებულობის დონეზე უარყოფით გავლენას ახდენდა. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და პოლიტიკურმა დაძაბულობამ 1930-იან წლებში ამერიკაში გადასახლებულთა რაოდენობა მკვეთრად შეამცირა (წელიწადში დაახლოებით 130-140 ათასი). უფრო მეტი, 1930-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის შედეგად აშშ-დან რეემიგრაცია დაიწყო და პირველად ევროპას მიგრაციის დადებით სალდო აღმოაჩნდა. მიგრანტები, უპირველეს ყოვლისა, დაბრუნდნენ დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, იტალიასა და პოლონეთში.

დასახელებული პერიოდისათვის კიდევ ერთი თავისებურებაა დამახასიათებელი – აშშ-ში თუ დასაწყისში ძირითადად ევროპელები გადასახლდებოდნენ, შემდეგ აშკარად იმატა მიგრაციამ აზიიდან, აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან.

II.19. მიგრაციები მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის შემდგომ პერიოდში

განსაკუთრებით დიდი იყო მიგრაციული პროცესები მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში. მაგალითად, საბჭოთა კავშირში ომის დროს ოკუპირებული და ფრონტისპირა ტერიტორიებიდან აღმოსავლეთით ევაკურებული იქნა 11 მილიონზე მეტი ადამიანი. მხოლოდ ლენინგრადიდან 1942 წლის იანვარ-თებერვალში დაახლოებით 1 მილიონი ადამიანი გაიყვანეს.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მიგრანტების დიდ ნაწილს შეადგენდნენ ლტოლვილები. ევროპაში 60 მილიონზე მეტი ადა-

მიანი საცხოვრებლის გარეშე დარჩა: ადამიანები ტოვებდნენ იმ ქალაქებს, რომლებიც ავიაციის მიერ იბომბებოდა. მხოლოდ ევროპაში საცხოვრებელი დატოვა დაახლოებით 30 მილიონმა ადამიანმა, ანუ კონტინენტის მოსახლეობის 5%-მა. ომის წლებში მოხდა ადამიანების მასობრივი ძალადობრივი გადაადგილება გერმანიაში, რომლებსაც ძალიან მძიმე სამუშაოებში იყენებდნენ: გერმანიაში ყოველწლიურად ამ პერიოდში მუშაობდა საშუალოდ 12-15 მილიონი უცხოელი მუშა-მონა.

მთლიანად (შეფასებითი მონაცემებით) მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპის კონტინენტის დაახლოებით 50-60 მილიონმა ადამიანმა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი.

აშშ-ში, იაპონელთა თავდასხმის სიფრთხილის გამო, ქვეყნის სიღრმეში გადაასახლეს 400 ესკიმოსი, ხოლო იაპონელთა თავდასხმის შემდეგ *პერლ-ხარბორზე* დეპორტირებული იქნა დაახლოებით 120 ათასი ამერიკელი იაპონელი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ევროპაში დარეგისტრირებული იყო დაახლოებით 13,5 მილიონი გადაადგილებული პირი.

ლტოლვილების პრობლემის გადასაწყვეტად ომის შემდეგ შემუშავებული იქნა მათი განსახლების გეგმა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარებით 1944-1951 წლებში რეპატრირებული იქნა დაახლოებით 8 მილიონი ლტოლვილი. 1946-1951 წლებში ევროპიდან ამერიკაში 7 მილიონი კაცი მიგრირდა. გრძელდებოდა მოსახლეობის მიგრაციული ნაკადი ავსტრალიაში, აგრეთვე აფრიკის რამდენიმე სახელმწიფოში (განსაკუთრებით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში).

ომისშემდგომ წლებში ყოფილი კოლონიებიდან დეკოლონიზაციის მიმდინარეობისას დაიწყო რეემიგრაციის პროცესი: ნიდერლანდებში დაბრუნდა დაახლოებით 300 ათასი კაცი, დიდ ბრიტანეთში – 750 ათასი. 1950-იან წლებში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან საფრანგეთში 200 ათასი კაცი დაბრუნდა, ხოლო 1962 წელს – თითქმის 1 მილიონი კაცი ალჟირიდან. პორტუგალიაში 1970-იანი წლების ბოლოს მოვიდა 750 ათასი მოზამბიკიდან და ანგოლიდან.

დასავლეთ, ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში ომის შემდგომი სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის შედეგად მოხდა მიგრაციული ტალღების სტიმულირება ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებიდან: 1950-დან 1970 წლამდე აქ მიგრირდა 2,3 მილიონი იტალიელი, 1,5 მილიონი – ესპანელი, 2 მილიონი – პორტუგალიელი, 600 ათასი – ბერძენი.

1948 წელს წარმოიქმნა ისრაელის სახელმწიფო, რომელშიც ცხოვრობდა 600 ათასი ებრაელი. იმ დროს აქედან დაახლოებით 850 ათასი არაბი გაიქცა. ასე წარმოიქმნა პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა. იმავე დროს მიმდინარეობდა ებრაელების აქტიური რეპატრიაცია ისრაელში. 1983 წელს ისრაელში უკვე ცხოვრობდა 3,4 მილიონი ებრაელი.

1965 წელს აშშ-მა გააუქმა კანონი ნაციონალური ნიშნით კვოტების შესახებ, მაგრამ შემოიღო ტერიტორიული შეზღუდვა. ამ პერიოდში გამოჩნდნენ არალეგალური მიგრანტები. 1980-იან წლებში აშშ-ში 6 მილიონი მიგრანტი მივიდა, ძირითადად იტალიიდან, ესპანეთიდან, პორტუგალიიდან, საბერძნეთიდან და თურქეთიდან.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეთნიკურმა მიგრაციებმა მნიშვნელოვნად იმატა. გამოყოფენ ამ პერიოდის ორ ეტაპს: 1945 წლიდან 1970-იანი წლების დასაწყისამდე და 1970-იანი წლების შუა ხანებიდან 1990-იან წლებამდე. პირველ ეტაპზე მიგრაციის ზრდა დაკავშირებული იყო მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ინვესტიციების კონცენტრაციასა და წარმოების განვითარებასთან, რის შედეგადაც შრომითი მიგრანტების დიდი რაოდენობა განვითარებადი ქვეყნებიდან მიგრირდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. მეორე ეტაპზე თავი იჩინა გადაადგილების ახალმა ფორმებმა, რომელიც შეეხო ძველ და ახალ მიმღებ ქვეყნებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიგრაციული ნაკადები ძირითადად შემდეგი მიმართულების იყო: ა. კოლონიური ქვეყნების მუშათა ყოფილ მონოპოლიებში მიგრაცია (მაგალითად, ინგლისში ირლანდიიდან, ინდოეთიდან, ვესტ-ინდოეთიდან და პაკისტანიდან; საფრანგეთში ჩრდილოეთ აფრიკიდან); ბ. სამხრეთ ევროპის ნახევ-

რადსამრეწველო და პერიფერიული ქვეყნებიდან (მაგალითად, თურქეთიდან – გერმანიაში); გ. ჩრდილოეთ ამერიკასა და ავსტრალიაში მუდმივ საცხოვრებლად გადასახლება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდ ბრიტანეთში იტალიელი მუშებისათვის შრომითი მიგრაციის უზრუნველსაყოფად მამაკაცების შრომითი ლაგერები შეიქმნა. ბელგია იტალიელ მამაკაცებს ქვანახშირის მაღაროებსა და შავ მეტალურგიაში სამუშაოდ (1963 წლამდე) იზიდავა. საფრანგეთში 1945 წელს შეიქმნა ნაციონალური იმიგრაციის ოფისი, რომელიც ფართოდ გამოიყენებდა ესპანეთიდან მიგრირებულებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. შვეიცარიაში ატარებდნენ ფართომასშტაბიან შრომით იმპორტს, სადაც 1970 წელს მუშახელის 1/3 უცხოელები იყვნენ.

ევროპის ქვეყნებისათვის მსხვილმასშტაბიანი იმიგრაციის შედეგების შესახებ შეიძლება საფრანგეთის მაგალითზე მსჯელობა. 1970 წლისათვის საფრანგეთში ცხოვრობდა 600 ათასი ალჟირელი, 140 ათასი მაროკოელი, 90 ათასი ტუნისელი, აგრეთვე იმიგრანტები სენეგალიდან, მალიდან, მავრიტანიიდან. აქ ისინი მიგრირდებოდნენ როგორც საფრანგეთის მოქალაქეები. მიგრანტებს შორის ბევრი იყო არალეგალურად მოსული, ძირითადად – დაბალკვალიფიცირებული მამაკაცები. საფრანგეთში ამ პერიოდში ჩამოყალიბდა მიგრანტთა ცალკე საცხოვრებელი რაიონები.

აშშ-ში მიგრაციის თავისებურებებს რაც შეეხება, ის ასე წარმოგვიდგება: 1960 წლამდე – ყოველწლიურად ქვეყანაში შედიოდა 250 ათასი კაცი, 1961 წლიდან 1970 წლის ჩათვლით – 330 ათასი.

კანადაში იმიგრაციის თავისებურება მასობრივი მიგრაციის პოლიტიკის გატარებაში მდგომარეობდა. 1950-1960-იან წლებში ქვეყანაში უშვებდნენ მხოლოდ ევროპელებს – ინგლისელებს, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპელებს, გერმანელებს, იტალიელებს, ჰოლანდიელებს. 1966 წელს დაიწყო არაევროპელთა იმიგრაცია იამაიკიდან, ინდოეთიდან, ფილიპინებიდან. ახალისებდნენ ოჯახებით მიგრაციას.

ავსტრალიაში ახორციელებდნენ იმიგრაციის პროგრამას მოსახლეობის მომატების მიზნით, რაც გაპირობებული იყო ეკონომიკუ-

რი და სტრატეგიული მიზეზებით. ომისშემდგომ პერიოდში ყოველწლიურად ქვეყანაში 70 ათასი მიგრანტი შედიოდა, მაგრამ იცავდნენ შესვლის მკაცრ პროპორციას – 10 ბრიტანელზე ერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენელი. ბალტიისა და სლავური ქვეყნებიდან ლტოლვილებს იღებდნენ როგორც „რასობრივი თვალსაზრისით მისაღებებს“. შემდეგში გააფართოვეს „მისაღები იმიგრანტების“ ცნება ჯერ ჩრდილო და შემდეგ სამხრეთ ევროპელების ხარჯზე.

II.20. თანამედროვე მიგრაციული პროცესების მიმართულებები

ადრე შუა საუკუნეებში ევროპა სხვადასხვა ხალხების მიმღები კონტინენტი იყო. აღმოსავლეთიდან აქ მიგრირებულმა სხვახასხვა წარმომავლობის ეთნიკურმა ჯგუფებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ევროპელი ხალხების ეთნოგენეზსა და ეთნიკურ ისტორიაში. ახალი ისტორიიდან ვითარება შეიცვალა და ევროპელებმა დაიწყეს სხვა კონტინენტებზე გადასახლება და, შესაბამისად, მონაწილეობა მიიღეს ახალი ეთნოსების ფორმირებაში. უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სიტუაცია კვლავ რადიკალურად შეიცვალა და ევროპაში ინტენსიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ხალხების მიგრაცია, ევროპა კვლავ ეთნოსების მიმღებ კონტინენტად იქცა. ხშირად ისმის კითხვა: რა ელის ევროპას? ხომ არ გახდებიან დასავლეთ ევროპის ხალხები ეთნიკური ექსპანსიის მსხვერპლნი? ამ კითხვაზე წინასწარ ზუსტ პასუხს ვერავინ გასცემს, მაგრამ მეცნიერთა პროგნოზები გარკვეულად შემაშფოთებელია.

ევროპის ეთნიკურ კოლონიზაციას ის ფაქტიც ემატება, რომ მას ერთგვარი რელიგიური ხასიათიც აქვს – ბევრი მიგრანტი ისლამის მიმდევარია. ისლამმა ევროპაში შეჭრა ჯერ კიდევ 1.300 წლის წინ დაიწყო, მაგრამ ამ თვალსაზრისით მას რაიმე წარმატებისათვის არ მიუღწევია. მიუთითებენ, რომ XXI საუკუნეში ევროპა მესამედ განიცდის ისლამის შეტევას. პირველი შეტევა შეჩერებული იქნა 732 წელს პუატიეს (საფრანგეთი) ბრძოლაში.

მეორე – 1684 წელს ვენის გალავანთან შეჩერდა, რომელიც ალყაშემორტყმული იყო თურქების მიერ. ისლამის მესამე ექსპანსიად მიიჩნევენ თანამედროვე ეპოქას. ლიტერატურაში მოყვანილია ციფრები, რომ **XXI საუკუნის დასაწყისში ევროპაში 55 მილიონი მუსლიმი ითვლებოდა, რომელთა რაოდენობა ყოველწლიურად 6%-ით იზრდება.** საფრანგეთში უკვე 6 მილიონი მუსლიმია, რომლებიც, რა თქმა უნდა, ეთნიკური ფრანგები არ არიან და ისინი ძირითადად აფრიკიდან გადმოსახლებული სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები არიან. ბელგიასა და ინგლისში მუსლიმები ხელისუფლების სტრუქტურებში მონაწილეობას მოითხოვენ. პოლიტოლოგების ვარაუდით, მომავალში საფრანგეთი შეიძლება ტრანსფორმირდეს ისლამურ რესპუბლიკად, როდესაც აფრომუსლიმების რაოდენობრივი უპირატესობა განმსაზღვრელი გახდება. საფრანგეთში უკვე 2000-ზე მეტ მეჩეთს ითვლიან, უფრო მეტს, ვიდრე მაროკოში.

დასავლეთში ინერგება რწმენა, რომ არსებითი განსხვავებაა ისლამსა და ისლამიზმს შორის და რომ შესაძლებელია დასავლურ ყაიდაზე მოდიფიცირებული „საერო“ ანუ „ზომიერი“ ისლამი, მაგრამ ამ რწმენას საფუძველი 2015 წლის პარიზის ტერაქტმა შეურყია.

ევროპის კავშირის ქვეყნებში უახლოეს მომავალში მოელიან ეთნიკურ კონფლიქტებს, რაც უფრო საშიში იქნება, ვიდრე ტერორიზმი, რადგან მიმდინარეობს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლა. ამიტომ იყო, რომ საფრანგეთიდან გაასახლეს ბოშები, შვეიცარიაში აკრძალეს მეჩეთების მშენებლობა, ხოლო გერმანიის კანცლერმა 2010 წელს საჯაროდ აღიარა გერმანულ საზოგადოებაში თურქული დიასპორის ადაპტაციის პოლიტიკის მარცხი. საფრანგეთს ხელიდან ეცლება ის მიღწევა, რაც მათ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში მოახერხეს – საფრანგეთის სახელმწიფოში მცხოვრები ეთნიკური ერთობების ფრანგი ხალხის გარშემო ინტეგრაცია. ხშირად საფრანგეთისა და გერმანიის ხელისუფლება აღიარებს ერთ ტერიტორიაზე მიგრანტებისა და ადგილობრივი ხალხების მშვიდობიანი თანაარსებობის სიძნელეებს.

XXI საუკუნეში ფრთები გაშალა ხალხთა გადასახლების მო-

რიგმა გრანდიოზილმა ციკლმა და კარდინალურად იცვლება ჩრდილოეთ ნახევარსფეროს რუკა. დღეს ე. წ. განვითარებად ქვეყნებში არნახული დემოგრაფიული აღმავლობა განაპირობებს ჩრდილოეთ ნახევარსფეროს განვითარებულ ქვეყნებში მიგრაციას. შენიშნავენ, რომ მიგრანტთა ნაკადი იმდენად დიდია, რომ ადგილობრივი კულტურები ვერ ასწრებენ მოსულების გადახარშვას, ინტეგრაციას, ასიმილაციას; მიგრანტები ახალ გარემოში ახალ კულტურას აყალიბებენ, თავის მხრივ კი ვერაფერს ვერ აძლევენ ევროპულ ცივილიზაციას. მაგალითად შეიძლება გერმანიაში თურქთა ეთნიკური ექსპანსია/მიგრაცია დავასახელოთ. მიუთითებენ, რომ ევროპასა და ამერიკაში არა მხოლოდ ახალი ეთნოსები, არამედ ახალი ცივილიზაციები ჩნდება. მიმდინარეობს ევროპის „დეევროპეიზაციის“ მუდმივი პროცესი, რომ ევროპაში მიგრაცია შუმჩნევლად გადაიზარდა კოლონიზაციაში, რამაც შეიძლება ახლო მომავალში მოსულებსა და ავტოქტონებს შორის დაპირისპირებაც გამოიწვიოს. საუბარია გლობალური კოლონიზაციის ახალ ხვეულზე. უკანასკნელი გლობალური კოლონიზაციური ტალღა დაკავშირებული იყო ევროპელთა აქტიურ საქმიანობასთან და მოიცავდა პერიოდს XV საუკუნიდან XX საუკუნის შუა ხანებამდე. ამის შემდეგ დაიწყო უკუგორება. ევროპელმა გადასახლებულებმა დაიწყეს ჩრდილოეთ აფრიკის, როდეზიის, ინდოჩინეთის დატოვება. გრძელდება გამოსვლა შუა აზიიდან, ყაზახეთიდან, სამხრეთ კავკასიიდან. კოლონიზაციური ვექტორი კარდინალურად შეიცვალა: ახლა ის მიმდინარეობს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. დასავლეთის სოციოლოგების ნაწილი შეშფოთებულია და ლაპარაკობს ისლამური და ქრისტიანული „ცივილიზაციების კონფლიქტზე“. მიუთითებენ, რომ მას საფუძვლად უდევს დასავლეთის ძველი ხალხების მოსახლეობის ნულოვანი ზრდა და „სამხრეთის“ ეთნოსების დემოგრაფიული ბუმი. გადამეტსახლებული ქვეყნებიდან გადასახლებულებს შეუძლიათ აითვისონ მთელი კონტინენტები, რაც არაერთგზის ხდებოდა წარსულში. დღეს მიმდინარე პროცესებმა შეიძლება რამდენიმე ათწლეულში შეცვალოს ვრცელი რეგიონების ეთნიკური იერსახე. მეცნიერები იმასაც მიუთითებენ, რომ ადრე თუ ეთნიკურ გადაადგილებებს/ექსპანსიებს ტექნიკა წყვეტდა,

დღეს ეს ფაქტორი აღარ მოქმედებს. კოსოვოში ალბანელებსა და სერბების დაპირისპირებაში ერთგვარად გადამწყვეტი აღმოჩნდა დემოგრაფიული ფაქტორი, რამაც სერბული მოსახლეობის წინაპართა მიწა-წყლიდან მასობრივ გადასახლებამდე მიგვიყვანა. აქ ეთნიკური ექსპანსია/მიგრაცია ეთნიკურ აგრესიაში გადაიზარდა. არ უნდა დაგავიწყდეს, რომ სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინ კოსოვოში სერბები დომინირებდნენ.

ეთნიკურმა მიგრაციებმა სულ რაღაც 30 წლის მანძილზე სერიოზულად შეცვალა საფრანგეთის, ნიდერლანდების, ცენტრალური ინგლისის, გერმანიის ბევრი რაიონის ეთნიკური იერსახე. თუ 1960-იან წლების დასაწყისში დასავლეთ ევროპაში სამხრეთელი ემიგრანტები ათასობით ითვლებოდნენ, 2000 წელს მათი რაოდენობა 15 მილიონი იყო. დღეს კი ამ ციფრმა 64 მილიონს გადააჭარბა, რაც მთელი ევროპის მოსახლეობის 9%-ს შეადგენს (ავსტრალიაში ეს პროცენტული მაჩვენებელი 15-ის ტოლია, ჩრდილოეთ ამერიკაში – 13-ისა). ადგილობრივი მოსახლეობის ნულოვანი და უარყოფითი ნამატის გათვალისწინებით ფრანგები და ინგლისელები თავიანთ დედაქალაქებში შეიძლება ეთნიკურ უმცირესობად იქცნენ, ხოლო სამი-ოთხი ათწლეულის შემდეგ – თავიანთ ქვეყნებშიც. იცვლება აშშ-ის მთელი რიგი ვრცელი რაიონების ეთნიკური იერსახეც. ჯერჯერობით ხუმრობით წუხან მექსიკელების მიერ იმ ტერიტორიის მშვიდობიან დაბრუნებაზე, რომელიც მექსიკელებმა XIX საუკუნის შუა ხანებში დაკარგეს. აქ, ტეხასში, ნიუ-მექსიკოსა და არიზონაში ეთნიკური სიტუაცია ჩვენს თვალწინ იცვლება. ნიუ-მექსიკაში ესპანური ენა უკვე მეორე სახელმწიფო ენადაც გამოცხადდა. დღეს მსოფლიოში ყველაზე მეტი ემიგრანტი მექსიკას ყავს. მათ რაოდენობას 10 მილიონით განსაზღვრავენ. ამ თვალსაზრისით მეორე ადგილზეა ფილიპინები, საიდანაც 7,6 მილიონი ემიგრანტია აღრიცხული.

თანამედროვე მსოფლიოში მიგირებული ხალხები დიასპორების სახითაც ცხოვრობენ. თუმცა ეთნიკური დიასპორების ისტორიას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ თვალსაზრისით ებრაული და სომხური დიასპორების დასახელებაც საკმარისია. ებრაული დიასპორები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 2600 წლის წინ

წარმოიქმნა, სომხური – 1000 წლის წინ. როგორც ებრაელებს, ისე სომხებს ოდესღაც სახელმწიფოებრიობა გააჩნდათ, მაგრამ, საგარეო ფაქტორის გამო, მათ ის დაკარგეს. დღეს ორივე ხალხს სახელმწიფოებრიობა გააჩნია. ებრაელები და სომხები ამჟღავნებდნენ ადაპტაციის მაღალ ხარისხს ნებისმიერ სოციალურ გარემოში, რომლებიც ინარჩუნებდნენ თავიანთ ეთნოკულტურულ სპეციფიკას; ეგუებოდნენ იმ ხალხებს, რომლებთათვისაც ისინი ყოველთვის „უცხოდ“ რჩებოდნენ. მიუთითებენ, რომ კულტურული თავისებურებების შენარჩუნებაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა მათი ნაციონალური რელიგიები/კონფესიები – იუდაიზმი და მონოფიზიტობა. ეთნოკულტურული თავისთავადობის შენარჩუნებაში დიდ როლს თამაშობდა ის გარემოებაც, რომ ისინი არცთუ იშვიათად საცხოვრებელ გარემოს იცვლიდნენ; ახალი და განსხვავებული ეთნიკური და კულტურული გარემო კი ხელს უშლიდა მათ ბუნებრივ ასიმილაციას. თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მათ შორისაც არის ბევრი ასიმილირებული, რასაც ძირითადად შერეული ქორწინებები იწვევდა და იწვევს.

დავუბრუნდეთ ისევ თანამედროვეობას. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ადამიანთა მასობრივი განსახლებანი თავიანთი ისტორიული სამშობლოს გარეთ შედარებით ახალი დაწყებულია და მის ასაკს 150 წლით განსაზღვრავენ. გადასახლებულთა მრავალრიცხოვანი ნაკადები საკუთარი ქვეყნიდან სხვათა ქვეყნებში დაიწყო XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ხოლო პიკს კი მიაღწია მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. 1990-იანი წლების შუა ხანებში დაახლოებით 125 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა თავისი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ყოველწლიურად ეს რაოდენობა 2,5 მილიონით იზრდება. მიგრაციების მთავარი მიმართულებად კვლავ რჩება ამერიკა და დასავლეთი ევროპა. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში მიემგზავრება ყველა გადასახლებულის ნახევარი. 2003 წლისათვის მიგრანტთა ყველაზე მიმზიდველ ამ ორ ქვეყანაში 41 მილიონი გადმოსახლებული იყო აღრიცხული. ერთ-ერთი მეცნიერის მტკიცებით, XXI საუკუნის პირველ ნახევრისათვის აშშ-ის ეთნიკური უმცირესობა უკვე ეთნიკურ უმრავლესობად გადაიქცევა. კანადაში იმიგრანტები ძირითადად ჩამოდიან აზიიდან (ჩინეთი,

ტაივანი, ჰონკონგი, ინდოეთი, შრი-ლანკა, ფილიპინები, ვიეტნამი). შედარებით ნაკლები არიან აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან. ევროპელი იმიგრანტები კი მხოლოდ 18%-ს შეადგენენ. ასე რომ, კანადა ეთნიკური და ენობრივი თვალსაზრისით თანდათან ჭრელი ხდება.

მიგრანტების დიდი ნაწილი ამ ქვეყნებში განსახლებულია დიასპორის სახით. დიასპორა კი ესაა ეთნოსის ან რელიგიური ჯგუფის ნაწილი, რომელიც ცხოვრობს თავისი ისტორიული სამშობლოს ფარგლებს გარეთ და რომელსაც არ სურს დაკარგოს ეთნიკური ჯგუფისათვის მახასიათებელი ნიშნები, რითაც შესამჩნევად განსხვავდება იმ ქვეყნის მოსახლეობისაგან, სადაც ეს დიასპორები იქმნება.

ზემოთ ებრაული და სომხური დიასპორების შესახებ საუბარი იმიტომ დაგვჭირდა, რომ ერთმანეთთან შეგვედარებინა ისტორიული და თანამედროვე ვითარება. ისტორიულად თუ ორი ხალხის — ებრაელებისა და სომხების — დიასპორები არსებობდა, დღეს ის უკვე საკმაოდ ბევრია.

იმიგრანტებისათვის სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული უნიკალური პირობები არსებობს. ამიტომაც დიასპორების ქცევა (ერთი ეთნოსისაც კი) სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. იმასაც შენიშნავენ, რომ ხშირად ეთნიკური დიასპორის შემჭიდროვებულობა განაპირობებს მის იზოლაციას, რამდენადაც მის ქცევებში, ღირებულებათა სისტემებში კონსერვირდება ელემენტები, რომლებიც სპეციფიკურია კონკრეტული ეთნოსისათვის. შესაბამისად დიასპორაში ძლიერდება დამცავი მექანიზმები და მუხრუჭდება ავტოქტონ მოსახლეობასთან შერწყმის პროცესი.

სამეცნიერო ლიტერატურაში იმასაც შენიშნავენ, რომ უცხო ეთნიკურ გარემოში ეთნიკური თავისთავადობის შენარჩუნება ზოგჯერ განპირობებულია მიგრანტების არა მხოლოდ რაოდენობით, არამედ ხარისხობრივი (პროფესია და განათლება) შემადგენლობითაც. საამისოდ ასახელებენ ოქტომბრის გადატრიალების შემდგომ წარმოქმნილ რუსულ დიასპორებს, რომლებიც ძირითადად შედგებოდა ოფიცრებისაგან, ჩინოვნიკებისაგან, მასწავლებლებისაგან, ვაჭრებისაგან. დღესაც დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში

არსებული რუსული დიასპორები ინარჩუნებენ თავიანთ სახეს და დაკავებული არიან უპირატესად ინტელექტუალურ შრომით სფეროში. სხვათა შორის, 1980-1990-იანი წლების ემიგრანტებიც ძირითადად ინტელექტუალებისაგან შედგებოდა. საპირისპირო მაგალითად გამოგვადგება ალჟირელები საფრანგეთსა და თურქები გერმანიაში, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ მუშებს და დაკავებული არიან არაკვალიფიცირებული და არაპრესტიჟული შრომით. დიასპორების განვითარებაში მეორე ეტაპსაც გამოყოფენ; ის ხასიათდება იმით, რომ ხდება თემების, ანკლავების ჩამოყალიბება. ამ ეტაპზე ხდება იმიგრანტების რაოდენობის მკვეთრი ზრდა. ქმნიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს. ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, როდესაც იმიგრანტების ახალ ტალღებს თან მოყავთ ოჯახები, ნათესავები. დიასპორებში თანამემამულეებთან მიმართებაში მძაფრდება პატრიოტიზმი. მესამე ეტაპისათვის დამახასიათებელია თემების/ანკლავების მაქსიმალური სიმტკიცე გარეშე ქმედებების მიმართ. ანკლავები წარმოადგენენ ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს ეთნოკულტურული სპეციფიკის შენარჩუნების საქმეში და ისინი ქმნიან უხილავ კედელს, რომლითაც მისი წევრები გარე სამყაროსაგან გამოყოფილი არიან. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ანკლავები/თემები სოციუმის განუყოფელ ნაწილად იქცევიან. მეოთხე ეტაპად მიიჩნევენ თემის დასუსტებას და მისი შიდა შეკავშირებულობის შესუსტებას. უწყვეტი პროცესის შედეგად დიასპორასა და მის მიმღებ საზოგადოებას შორის მცირდება კულტურული დისტანცია. ხდება ეთნოკულტურული ჯგუფის მენტალიტეტის ტრანსფორმირება. ასეთი გზა გაიარეს ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიის, სამხრეთ ამერიკის მულტიეთნიკური საზოგადოებების დიასპორებმა.

განსაკუთრებული ვითარებაა შექმნილი რუსეთში. დიასპორების საკითხს აქ აქტიურად სწავლობენ. ხდება რუსების დასავლეთის ქვეყნებში ინტენსიური მიგრაცია. ამავე დროს რუსეთი იღებს დიდი რაოდენობით ემიგრანტებს. შენიშნავენ, რომ სომხური დიასპორის რაოდენობა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დაახლოებით 2/3-ით გაიზარდა. აქ სომხებისათვის ახალი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნათესა-

ური და ეთნიკური კავშირები. ახალი სომეხი იმიგრანტებისათვის ყველაზე მიმზიდველი აღმოჩნდა კრასნოდარის მხარე, განსაკუთრებით კი შავიზღვისპირეთი, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობაც კი გამოიწვია. სოციალური თვალსაზრისით ესენი არიან აქტიური „ახალი სოხები“ – ბიზნესმენები, ვაჭრები, მშენებლები, ტრანსპორტის მუშაკები. მიუთითებენ აზერბაიჯანული თემების უპრეცენდენტო მატებაზეც, რაც განსაკუთრებით გააქტიურდა ყარაბაღის მოვლენების შემდეგ. აზერბაიჯანელთა ჩრდილოეთით მიგრაციის მიზეზი არის უმუშევრობა, სოციალური დაუცველობა და, რაც მთავარია, არნახული მატება (სხვათა შორის, შეიმჩნევა ირანიელი აზერბაიჯანელების თვით აზერბაიჯანში აქტიური მიგრაციაც). 2010 წლისათვის რუსეთში აზერბაიჯანელები უკვე 1 მილიონს ითვლიდნენ. რუსეთში მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან ქართველებიც. რუსეთისათვის თავისი შედეგებით პრობლემურია აზიის ქვეყნებიდან მიგრაციაც; შეიძლება დავასახელოთ ჩინელები, კორეელები, ტაჯიკები, ავღანელები, თურქმენები...

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებობს სხვადასხვაგვარი მიდგომა იმიგრანტებისადმი/დიასპორებისადმი. ფრანგი ავტორების აბსოლუტური უმრავლესობა ერთიანია მათდამი მიმართებაში და უცხოელთა მოქალაქეობასა და ინტეგრაციას მხარს უჭერენ. გერმანიაში კი მიუთითებენ იმის შესახებ, რომ ქვეყანა დე-ფაქტოდ „იმიგრაციულ ქვეყნად“ გადაიქცა: მიგრანტების ყოველწლიური ნაკადი რამდენიმე ასეული ათასი ადამიანისაგან შედგება (1990-იანი წლების დასაწყისში წელიწადში 400 ათასზე მეტი). ოფიციალურ პოლიტიკურ დისკურსში და ყოფით ენაში მიღებულია იმიგრანტებისათვის „უცხოელის“ შერქმევა. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ამ ადამიანების ქვეყანაში ყოფნას განიხილავენ როგორც დროებით მოვლენას. ამიტომაცაა, რომ იმიგრანტებს ისინი „გასტარბაიტერ“-ებს („სტუმრადმყოფ მომუშავეებს“) უწოდებენ. თუმცა „გასტარბაიტერების“ დიდი ნაწილი უკვე მთელი ცხოვრებაა გერმანიაში ცხოვრობს ან გერმანიაში დაიბადა. ამიტომაცაა რომ გერმანიის კანცლერმა *ა. მერკელმა* კითხვაზე გახდნენ თუ არა ისინი გერმანული საზოგადოების წევრები? – უარყოფითი პასუხი გასცა. კედევ ერთი ფრიად განმასხვავებელი

რამ, რაც ამ თვალსაზრისით ფრანგულ და გერმანულ საზოგადოებებს განასხვავებს ისაა, რომ ფრანგები ფერად იმიგრანტებთან საქორწინო ურთიერთობაში შედიან, გერმანელები – არა.

მართალია დასავლეთ ევროპაში მიგრანტების დიდი ნაწილი გერმანიასა და საფრანგეთზე მოდის, მაგრამ პატარა ქვეყნებშიც მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან: ლუქსემბურგში მოსახლეობის 31% უცხოელია, შვეიცარიაში – 18%, ბელგიაში – 9,1%, ავსტრიაში – 8,6%. ქვეყნებში ჩამოყალიბებულია ეთნიკური საზოგადოებები: ნიდერლანდებში – ინდონეზიელებისა და სურინამელებისა, ბელგიაში – მაროკოელებისა, გერმანიაში – თურქებისა, საფრანგეთში – ალჟირელებისა, დიდ ბრიტანეთში – ინდოპაკისტანელებისა და ბარბადოსელებისა.

თანამედროვე საერთაშორისო (ეთნიკური) მიგრაციების დამახასიათებელი თავისებურებაა მისი მასშტაბების მუდმივი ზრდა და მსოფლიო მიგრაციულ პროცესში თითქმის ყველა ქვეყნის ჩართვა. უცხოური სამუშაო ძალის ძირითადი მიმწოდებლები არიან: აზიაში – ინდოეთი, პაკისტანი, ფილიპინები, მალაიზია, ვიეტნამი; ახლო აღმოსავლეთში – ეგვიპტე, ლივანი, იორდანია, აფრიკაში – მაროკო, ალჟირი, ტუნისი, განა, მალი, ჩადი, გვინეა, მოზამბიკი, ბოსტვანა; სამხრეთ ამერიკაში – პარაგვაი, ბოლივია, კოლუმბია; ჩრდილოეთ ამერიკაში – მექსიკა; ევროპაში – პოლონეთი, პორტუგალია, იტალია, ირლანდია, თურქეთი.

საერთაშორისო მიგრაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ცალკეული ქვეყნების (აშშ, კანადა, ავსტრალია – ეს ის ქვეყნებია, რომლებიც იმიგრანტების მიერაა შექმნილი) დემოგრაფიულ განვითარებაში. ისრაელის მოსახლეობა ძირითადად მიგრაციის გზით იზრდება. მნიშვნელოვანმა ემიგრაციამ კი შეიძლება დეპოპულაციის პროცესი გამოიწვიოს, რაც ზოგიერთი ევროპის ქვეყანაში, მაგალითად, ირლანდიაში, საბერძნეთში, პორტუგალიაში შეინიშნება კიდევაც. აშკარა დეპოპულაცია მიმდინარეობს საქართველოშიც. დეპოპულაციას ის გარემოებაც იწვევს, რომ მიგრანტებს შორის ძირითადად ფერტილური ასაკის ადამიანები არიან.

მიგრაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია იძულებითი გადაადგილებებიც. დღეს მსოფლიოში დაახლოებით 50 მილიონზე მეტი

ადამიანია იძულებით გადაადგილებული. დევნილთა რაოდენობა კი 22 მილიონს უტოლდება. მნიშვნელოვნად იმატა ლტოლვილებისა და დევნილების რაოდენობამ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, რამაც შეიარაღებული ეთნოპოლიტიკური კერები წარმოქმნა. შეინიშნება ერთი ფაქტიც – ლტოლვილთა უმეტესობა ცდილობს განვითარებულ ქვეყნებში გადასვლას, რაც ადვილად ახსნადია. ამიტომაა, რომ ყველაზე მეტი ლტოლვილი დღეს გერმანიაში, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთშია თავმოყრილი. იძულებით გადაადგილებას მთელი რიგი ფაქტორები განაპირობებს – პოლიტიკურ მიზეზებთან ერთად შეიძლება ბუნებრივი ფაქტორები, მაგალითად, კატასტროფებიც დასახელდეს. თუმცა კატასტროფების დროს მიგრაციები ძირითადად ერთი ქვეყნის ფარგლებში ხდება, იშვიათად ქვეყნის გარეთ.

თანამედროვე დასავლურ სამყაროში მიგრაცია და თავისუფლად გადაადგილების უფლება ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებაა და ადამიანის უფლებების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ამიტომ დემოკრატიულ სახელმწიფოს მოქალაქისათვის ემიგრაციაში წასვლის აკრძალვის უფლება არა აქვს. მაგრამ დასავლეთის ქვეყნები უკონტროლო არალეგალური მიგრაციის პრობლემის წინაშე დგანან. ამის გამო, ამ ქვეყნებმა იმიგრაცია მკვეთრად შეზღუდეს. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ XXI საუკუნეში მიგრაციებმა დიდი მასშტაბები მიიღო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით დღეს მსოფლიოში 7 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს და 214 მილიონი თავისი ქვეყნის გარეთაა დაბადებული, ე. ი. მიგრანტია.

II.21. თანამედროვე მიგრაციული პროცესები კავკასიაში

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო კავკასიაში ისტორიულად მიმდინარე მიგრაციულ პროცესებს. მიგრაციული პროცესების შედეგი იყო მსოფლიოს ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში ეთნოსების ხშირი ცვლა. კავკასიაში ეთნიკური ვითარება რუსების მიგრაციისა და დამკვიდრების შემდეგ რადიკალურად შე-

იცვალა. XIX საუკუნის დასაწყისში კავკასიაში თუ ეთნიკური რუსები საერთოდ არ ცხოვრობდნენ, საბჭოთა პერიოდის ბოლოს მათი რაოდენობა 12 მილიონი იყო. ეს მდგომარეობა რუსებმა ადგილობრივი ეთნოსების განდევნითა და რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან კაზაკებისა და რუსების მასობრივი გადმოსახლების გზით მოიპოვეს. ჩრდილოეთ კავკასიაში ადგილობრივი ხალხები ეთნიკურ უმცირესობაში აღმოჩნდნენ. გარდა რუსებისა იმპერია კავკასიაში სხვა ეთნიკურ ერთეულებსაც ასახლებდა (სომხები, ბერძნები, გერმანელები...). ცარიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა შავისღვისპირეთის ათვისებას. ამ თვალსაზრისით აფხაზეთის დასახლებაც საკმარისია, რომლის ეთნიკური აჭრელება იმპერიის უპირველესი მიზანი იყო. თუმცა ამ მიზნის განხორციელებაში ცარიზმს ხელს კლიმატური ადაპტაციის ფაქტორი უშლიდა. გადმოსახლების მასობრიობის ფონზე დიდი იყო სიკვდილიანობა. ასე, მაგალითად, 1809-1811 წლებში ჩრდილოეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში 7.315 კაცი მომკვდარა, ხოლო 1818 წლის ეპიდემიის დროს მიგრირებული მოსახლეობა განახევრებულა. ამის გამოც იყო, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლში – *ტუაფსეს, სოჭის, ადლერის, ანაპის, ნოვოროსიისკისა* და *მაიკოპის* რაიონებში – 1870-1890-იან წლებში ხელს უწყობდნენ სომხების მასობრივ გადმოსახლებას. დიდი რაოდენობით დასახლდნენ სომხები დასახელებულ ადგილებში 1915-1916 წლებშიც.

XIX-XX საუკუნეებში რუსების რაოდენობა კავკასიაში მიგრაციის შედეგად იზრდებოდა. ასე, მაგალითად, 1897 წელს კავკასიაში თუ რუსების რაოდენობა 1 მილიონ 826 ათასი იყო (შესაბამისად ჩრდილოეთ კავკასიაში – 1 მილიონ 583 ათასი და სამხრეთ კავკასიაში – 243 ათასი), 1989 წლისათვის ამ ხალხმა აქ 12 მილიონს გადააჭარბა (შესაბამისად მის ჩრდილოეთ ნაწილში – 11 მილიონ 233 ათასი და სამხრეთ ნაწილში – 885 ათასი). XX საუკუნის 70-იან წლებიდან კი რუსების პროცენტული და რიცხობრივი რაოდენობა კავკასიაში თვალსაჩინოდ იკლებს. ეს კლება კი მათი კავკასიიდან გადასახლებითაა განპირობებული.

მნიშვნელოვანი მიგრაციები მიმდინარეობს კავკასიაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. რუსეთის მიერ გაჩაღებულმა ე. წ.

ეთნიკურმა კონფლიქტებმა დიდი მსხვერპლი და მოსახლეობის, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მნიშვნელოვანი გადაადგილება გამოიწვია. დიდი გადასახლებები მოყვა ჩაჩნეთის, ყარაბაღის, აფხაზეთისა და შიდა ქართლის ომებს. დიდია გადასახლებული ჩაჩნებისა და რუსების, სომხებისა და აზერბაიჯანელების, ქართველებისა და ოსების რაოდენობა. ბევრმა რუსმა დატოვა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები, დაღესტანი და ჩაჩნეთი.

რუსული ეთნოსი ჩრდილოეთ კავკასიაში XIX-XX საუკუნეებში დაკავებულ ეთნიკურ ნიშას ჰკარგავს: სტავროპოლის მხარეში ეთნიკური რუსების რაოდენობა მნიშვნელოვნად იკლებს და მის ადგილს დაღესტნის ნამატი მოსახლეობა იკავებს. მარტო 2006 წელს სტავროპოლის მხარის ექვსი რაიონიდან რუსების 30% წავიდა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ყაბარდო-ბალყარეთს მასობრივად ტოვებს რუსული მოსახლეობა. რუსების ასეთივე უკუდენა შეინიშნება ინგუშეთიდან, ჩაჩნეთიდან...

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსული მოსახლეობის პროცენტულ შემცირებას იწვევს აქ სხვა ეთნოსის წარმომადგენელთა გადმოსახლებაც. მაგალითად, კრასნოდარის მხარეში ათეულ ათასობით ლტოლვილი ცხოვრობს, რომლებიც ძირითადად აზერბაიჯანიდან გადმოსახლებული სომხრები არიან. ბევრი მათგანი სომხეთში იყო გაქცეული და გარკვეული დროის შემდეგ დასახლებულ რეგიონში მიგრირდა.

ჩაჩნეთში 300 ათასი რუსი ცხოვრობდა. 1991-1994 წლებში რუსები აქედან მიგრაციის შედეგად უმნიშვნელო რაოდენობით დარჩნენ. ამავე ჩაჩნეთიდან ყაზახეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში არა ნაკლებ 130 ათასი ჩაჩანი გადასახლდა. თანამედროვე ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის დამახასიათებელი ტენდენციაა ჩრდილოეთ კავკასიისავე რუსულ ადმინისტაციულ რეგიონებში გადასახლება (*სტავროპოლისა* და *კრასნოდარის* მხარეები). მიგრაციული ტალღები მიემართება აგრეთვე რუსეთის ცენტრალური რეგიონებისა და მოსკოვისაკენ. მიგრაციული პროცესების შედეგად ხდება ჩრდილოეთ კავკასიის ე. წ. რესპუბლიკების მონოეთნიზაცია. ეს პროცესი ყველაზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ჩაჩნეთში. ოფიციალური მონაცემებით, 1989 წელს აქ ჩაჩნების

რაოდენობა თუ მთელი მოსახლეობის 66% იყო, 2002 წელს ეს მაჩვენებელი 93%-მდე გაიზარდა. რუსების რაოდენობა კი დღეს 2%-იც აღარაა. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს დაღესტანშიც, სადაც 2002 წლისთვის რუსების პროცენტული რაოდენობა 5-ზე დავიდა. ხოლო იგუშეთში რუსების რაოდენობა 1%-ია.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ბოლო წლებში რუსული მოსახლეობის მიგრაციული ნაკადები ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან უფრო მეტია, ვიდრე ამას ანალიტიკოსები პროგნოზირებდნენ. რუსული მოსახლეობის უკუდენა კვლავ გრძელდება. ადგილზე დარჩენილი რუსებიდან აბსოლიტური უმრავლესობა აპირებს დატოვოს საცხოვრებელი ადგილი და საცხოვრებლად რუსეთში გადავიდეს. უკუდენის მიზეზი ეთნიკურია.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია სამხრეთ კავკასიაშიც. დღეისათვის აზერბაიჯანში დარეგისტრირებულია 782 ათასი ლტოლვილი (ამ რაოდენობაში შედის უზბეკეთიდან – ფერგანიდან გამოძევებული 43 ათასი „მესხეთელი თურქიც“). მიგრაციული პროცესების შედეგად აზერბაიჯანიდან დროებით ჩამოცილებული მთიანი ყარაბღი მონოეთნიკური გახდა. ეთნიკური კონფლიქტების შედეგად განხორციელებული მიგრაციების გამო დიდად შეიცვალა აფხაზეთის მოსახლეობაც – ეთნიკურად ყველაზე მრავალრიცხოვანი ქართველები დღეს აქ ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ. ეს დემოგრაფიული ცვლილებაც, ბუნებრივია, აფხაზეთიდან ქართველთა მასობრივმა გამოდევნამ გამოიწვია. მასობრივად გამოდევნეს ქართველები ე. წ. სამხრეთ ოსეთიდან (ცხინვალის, ზნაურისა და ახალგორის რაიონებიდან). შემცირდა ოსების რაოდენობა საქართველოში, რაც გამოწვეულია ამ ეთნოსის წარმომადგენელთა ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლებით.

XX საუკუნის უკანასკნელ წლებში კავკასიიდან ბერძნების, ებრაელების თითქმის სრული ემიგრაცია მოხდა, რაც საბერძნეთისა და ისრაელის სახელმწიფოების მიერ რეპატრიანტების მიღების მზადყოფნამ განაპირობა.

III. შიდა და გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში

მართალია, საქართველო ქართველების ქვეყანაა, აქ მოხდა მათი ეთნოგენეზი და განვითარდა ეთნიკური ისტორია, მაგრამ ისტორიულად ის მონოეთნიკური არასოდეს ყოფილა. ამას პირველ რიგში მისი გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებდა. სხვადასხვა მხრიდან მოსული მტრების ხშირი თავდასხმები საქართველოს მოსახლეობის სიჭრელეს თავისთავად ხელს უწყობდა. ერთნი თუ თავს აფარებდნენ ქართულ მიწა-წყალს (მაგალითად, სომხები), მეორენი ძალით სახლდებოდნენ. შენიშნულია საქართველოში უცხოეთნიკურ ერთეულთა გაჩენის მესამე გზაც: ქართველი მეფე-ხელისუფალნი, ზედაფენა თავად იწვევდნენ და ასახლებდნენ სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს ნასახლარებად ქცეულ ქართულ სოფელ-ქალაქებში. შესაბამისად მოზაიკური და ჭრელი იყო საქართველოს მოსახლეობა კონფესიური თვალსაზრისით. ადგილობრივ ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანებთან ერთად საქართველოში მკვიდრობდნენ კათოლიკენი, გრიგორიანელები, მუსლიმები, უფრო ადრე მაზდეანები, იუდაველები...

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე უფრო საგრძნობი გახდა ერთიანი სამეფოს დაშლისა და საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობის შედეგად ეს სიჭრელე საქართველოს მოსახლეობას დღემდე მოყვა. ალბათ ქართველი კაცის ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებებით უნდა აიხსნას, რომ ქართველ ხალხს მის მიწა-წყალზე მოსახლე სრულიად განსხვავებულ ეროვნულ და კონფესიურ ერთეულებთან არასდროს რაიმე დაპირისპირება და კონფლიქტი არ ჰქონია. გარე მიგრაციული პროცესების შედეგად საქართველოში ქართველთა ხვედრითი წონა ხან იზრდებოდა და ხან კლებულობდა. განსაკუთრებით ინტენსიური გახდა გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში ქვეყნის რუსეთის ფაქტობრივი ანექსიისა და მისი რუსეთის გუბერნიებად გადაქცევის შემდეგ. უცხო ეთნიკურ ერთეულთა საქართველოში შემოსახლების შედეგად ქართველთა პროცენტული რაოდენობა იკ-

ლებდა (მიუხედავად იმისა, რომ ქართველების ბუნებრივი მატება აშკარა იყო). ძალიან მძიმე იმიგრაციული სურათი XX საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომამდე შეიქმნა, როდესაც ავტოქტონი ეთნოსის პროცენტული რაოდენობა 61-მდე დავიდა. საერთოდ, როგორც სამართლიანადაა შენიშნული, მსგავსი დემოგრაფიული ვითარება თითქმის ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში იყო შექმნილი (მაგალითად, 1897 წელს ყაზახები თავიანთ სამშობლოში თუ უმრავლესობას წარმოადგენდნენ, 1959 წელს მათი პროცენტული რაოდენობა 29,8%-ზე დავიდა).

2002 წლის მონაცემებით საქართველოში უცხო ეთნიკური ერთობებიდან ყველაზე მეტნი აზერბაიჯანელები არიან. შემდეგ მოდიან: სომხები, რუსები, ოსები, ბერძნები, აისორები, ებრაელები, იეზიდები, ქურთები, ქისტები... იყვნენ: სპარსელები, გერმანელები... შერეული მოსახლეობა ძირითადად საქართველოს განაპირა მხარეებში იყო. უცხო ეთნიკური ერთეულების წარმომადგენლები აქ უფრო ადვილად ახერხებდნენ დასახლება-დამკვიდრებას. ჭრელი ეთნიკური სურათი გვქონდა საქართველოს ქალაქებში, ძირითადად კი თბილისში.

ლეონტი მროველის მიხედვით, ძველ ქართლში, ქართულთან ერთად, რამდენიმე სხვა ენაც ისმოდა. მემატიანე კონკრეტულად წერს: „და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: *სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული* და *ბერძული.* ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“.

მემატიანე უცხო ეთნიკური ერთეულებისაგან ქართლის გაწმენდას ალექსანდრე მაკედონელს მიაწერს: „და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა – იგი ჩუენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდეთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკურისასა მიხვევით, დაუკვირდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს მას. და ენება რათამცა აღმოფხურნა იგინი ქალაქებისა მისგან“. „დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი, და მოსრნა ყოველნი იგინი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყუევნა, და დედანი და ყრმანი უცებნი, თხუთმეტისა წლისა უმცროსნი; და

დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში არ ყოფილა. თუმცა, როგორც ჩანს, საქართველოს ტერიტორიაზე ოდითგანვე სხვადასხვა ეთნოსების შემოსვლა-დასახლება, ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, რეალურ ვითარებას უნდა ასახავდეს.

ლეონტი მროველი უცხო ეთნიკური ერთეულის საქართველოში შემოსახლებას მეფე საურმაგს მიაწერს. იმის გამო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მოსაზღვრე ქვეყანა – დურძუკეთი ვეღარ იტევდა გამრავლებულ მოსახლეობას და დურძუკების საშუალებით **„დაიპყრა ქართლი, და მოსრნა განდგომილნი მისნი“, „მაშინ ამან საურმაგ წარმოიყვანნა იგინი ყოველთა კავკასის ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მითულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“.** ვაინახთა სწორედ ამ შემოსახლების შედეგია საქართველოს მთიანეთში დამოწმებული რამდენიმე ვაინახური ტოპონიმი. დროთა განმავლობაში ქართულ ეროვნულ-კულტურულ სამყაროში დასახლებული ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელები ქართველთა მიერ ასიმილირებული იქნენ.

უცხო ეთნიკური ერთეულის საქართველოში შემოყვანა მიეწერება მეფე ფარანჯომსაც, რომელმაც „შეიყუარნა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლისმსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი მცხეთას“.

დაბოლოს, ისტორიულად საქართველოში სხვა მიგრაციული პროცესებიც მიმდინარებდა. ამ მხრივ კი გამოსაყოფია დავით აღმაშენებლის დროს ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებიდან თურქულენოვანი (მაგრამ ანთროპოლოგიურად ევროპეიდი) ყივჩაღების გადმოსახლება. ცნობილია, რომ ყივჩაღების დიდი ნაწილი საქართველოდან გავიდა, მაგრამ რაღაც ნაწილი დარჩა და დროთა განმავლობაში ქართველთაგან ასიმილირებული იქნა. ყივჩაღთა გაქართველების ფაქტს ქართულ ენაში ტერმინი – „ნაყივჩაღარიც“ – ადასტურებს.

ისტორიულად საქართველოში მცხოვრები არაქართველები სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ. ისინი სრულყოფილად

ფლობდნენ ქართულ ენას და საქართველოს მოქალაქეებად გაითვითცნობიერებდნენ თავს. *ჟან შარდენი* წერდა: საქართველოში „შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, თათრებს, მოსკვიტებსა და ევროპელებს. მათ მინიჭებული აქვთ თავისუფლება. აქ (საქართველოში) უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი“. მეორე ევროპელი, გიულდენშტედტი იგივეს წერდა: „მმართველობა და სამღვდელოება ამჟღავნებს სრულ რჯულშემწყნარებლობას სომხების, კათოლიკეების, მაჰმადიანი და ებრაელი მოსახლეობის რელიგიის მიმართ, რომლებიც სრულებით არ ეკუთვნიან ბერძნულ ეკლესიას და არ სდევნიან მათ“.

საქართველოში სხვა ხალხების მიგრაციის არაერთი ფაქტია დადასტურებული, მაგრამ, თუ არ ჩავთვლით ქართველი ხალხის იძულებით აყრა-გადასახლებას ირანში XVII საუკუნის დასაწყისში და ქართველი მუსლიმების ოსმალეთის იმპერიაში მიგრაციას, არ შეინიშნება ამ ეთნოსის ქვეყნის გარეთ ჯგუფური გადასახლებანი საბჭოთა ეპოქამდე (რა თქმა უნდა, სათვალავში ჩასაგდები არაა ცალკეული ინდივიდუალური მიგრაციები). სამართლიანად წერს *რევაზ გაჩეჩილაძე*: „საბჭოთა ეპოქაში ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებსა და ეთნოსებსაც კი დაუმკვიდრდათ მიგრაციული მობილურობის სტერეოტიპი: მაგალითად, ითვლებოდა, რომ ტაჯიკები, უზბეკები, ქართველები და ზოგი სხვა უფრო მეტად იყვნენ მიჯაჭვული თავის რესპუბლიკებს და ნაკლებად გადიოდნენ სხვაგან საცხოვრებლად...“ იმავე საბჭოთა პერიოდში არაერთხელ გაიგონებდა კაცი განათლებული ადამიანებისაგან, რომ ქართველებს ნოსტალგიის გრძნობა ძალიან აქვთ განვითარებული და იმიტომ არ გადასახლდებოდნენ ქვეყნის გარეთ. რა თქმა უნდა, ქართველთა სხვა ქვეყნებში მიგრაციისადმი ნაკლები ლტოლვა ნოსტალგიით არ იყო გაპირობებული და ასეთი მიგრაციული ქცევა (მიგრაციისადმი არამიდერკილება) მთელი რიგი მიზეზებით იყო განპირობებული. *რევაზ გაჩეჩილაძე* ასევე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ზემოაღნიშნული მოვლენა ისტორიული სოციალური სტრუქტურის და, კიდევ უფრო მეტად, არსებული ეკონომიკური ვითარების ანარეკლია, ვიდრე რაიმე, განსაკუთრებული პატრიოტიზმი-

სა. ქართველებს კი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონდათ საბაბი გარე მიგრაციისათვის.“ დიახ, ყველანაირ დიდ მიგრაციას გარკვეულ მიზეზთა კომპლექსი განაპირობებდა. უმთავარესი და ძირითადი მიზეზი გახლდათ საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ლანდშაფტი. თუ შევადერებთ ერთმანეთს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ლანდშაფტს აღმოვაჩენთ, რომ ამ თვალსაზრისით ქართველებს გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ. საქართველოს ლანდშაფტი საშუალებას აძლევდა ქართველს მტრის შემოსვლითანავე თავი შეეფარებინა მთიანი, ტყიანი ლანდშაფტისა და ხეობებისათვის. სომეხს კი ამის შესაძლებლობას ლანდშაფტი არ აძლევდა და მტრის შემოსვლისთანავე ისინი სხვადასხვა მიმართულებით მიგრირდებოდნენ. საქართველოდან აღმოსავლეთით ისტორიული ალბანეთის ტერიტორიაზე ძველი ალბანელების ადვილად ჩანაცვლება თურქულენოვანი ტომებით სწორედ ლანდშაფტმა განაპირობა.

მოსახლეობის მიგრაციას ხშირად გადამეტსახლება იწვევდა. ასეთი გადამეტსახლების პერიოდი კი საქართველოს არასდროს არ დასდგომია. პირიქით, ქვეყანა მწარმოებელის მუდმივ დეფიციტს განიცდიდა. ამიტომაც იყო, რომ ქართველი ხელისუფალნი ქვეყანაში უცხო ეთნიკური ერთეულების საქართველოში დასახლებას ხელს უწყობდნენ ან ზოგჯერ ასეთი მიგრაციების ინიციატორებადაც გამოდიოდნენ. XVIII საუკუნეში ამ მხრივ განსაკუთრებით აქტირობდნენ მამა-შვილი თეიმურაზი და ერეკლე. ერეკლე II-ეს ყაბარდოელების გადმოსახლების მცდელობაც კი ჰქონდა. სხვა ადგილებიდან გაქცეულ გლეხთა უკან დაბრუნებაც სახელმწიფოებრივ დონეზე ხდებოდა, რასაც „მყრელობას“ უწოდებდნენ.

გარე მიგრაციის თავისებური სახე იყო დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ისეთი მოვლენა, როგორიცაა **ტყვეთა სყიდვა.** ეს საზარელი მოვლენა დასავლეთ საქართველოში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან გავრცელდა (ჩრდილოეთ კავკასიელთათვის ის მეურნეობის თავისებური ფორმა იყო და მათ ოსმალებამდე ვენეციელი და გენუელი ვაჭრები აქეზებდნენ, რაც, თავის მხრივ, ადგილობრივთა საზოგადოებრივი და ეკონომიკური ფორმების სტაგნაციას იწვევდა). ძველი აფხაზების გაქრობასა თუ

ტრანსფორმაციაში სწორედ ლომის წილი ტყვეთა სყიდვას და თარეშებს უძევს. დასავლეთ საქართველო XVII-XVIII საუკუნეებში დემოგრაფიულ კრიზისს არ განიცდიდა და დასატყვევებელი და გასაყიდი ახალგაზრდა ადამიანების არც დეფიციტი იყო. ორი საუკუნის განმავლობაში რამდენი ტყვე ადამიანის გაყვანა მოხდა დასავლეთ საქართველოდან ამის სტატისტიკა არ გაგვაჩნია. სავარაუდოდ ასეთი სახის მიგრირებულთა რიცხვი რამდენიმე ასეული ათასი უნდა იყოს. ყველაფერი კი ეს იმ დროს ხდებოდა, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში დემოგრაფიული კრიზისი იყო და ხშირად ქართველი ხელისუფალნი იძულებული იყვნენ მწარმოებელი მოსახლეობა ქვეყნის გარეთ ეძებათ.

მცირე ქართული კოლონიის წარმოქმნა რუსეთში XVIII საუკუნის ოციან წლებში პოლიტიკური მიზეზებით იყო განპირობებული. თურქთაგან შევიწროვებული ვახტანგ VI 1724 წელს 1200 კაციანი ამალით რუსეთს გაემგზავრა, რომელთა შორის საქართველოს განათლებული საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადენლები იყვნენ (მარტო ვახუშტი ბაგრატიონის დასახელებაც კი საკმარისია). ისინი საქრთველოში უკან აღარ დაბრუნებულან.

III.1. ებრაელთა მიგრაცია საქართველოში

საქარათველოს არაქართული მოსახლეობიდან ებრაელები ყველაზე ადრე არიან მოსული. როგორც ამ საკითხისადმი მიძღვნილი სამეცნიერო გამოკვლევებიდან ჩანს, საქართველოში ებრაელ მიგრანტთა რამდენიმე ტალღა მოსულა ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში. ლეონტი მროველი ებრაელების პირველ დასახლებას საქართველოში ბაბილონის მეფეს ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას უკავშირებს (ძვ. წ. VI საუკუნე): „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქიან ზანავი.“ ებრაელთა შემდეგი მიგრაციული ნაკადი ძვ. წ. 169 წელს მოსულა. კიდევ ერთი ნაკადი ებრაელებისა ახ. წ. I საუკუნეში მოსულა: „და მეფობდეს შემდ-

გომად მისსა ძენი მისნი (ადერკის შვილები: ბარტამი და ქართამი – რ. თ.). ხოლო ამათსა მეფობასა უესპანიანოს ჰრომთა კეისარ-მან წარმოტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მო-ვიდეს მცხეთას და დასხდეს ძუელთავე ურიათა თანა...“ მცხეთაში აღმოჩენილი ებრაული ეპიტაფიები ებრაელთა დიდი კოლონიის არსებობას ადასტურებს. ქართლის დედაქალაქში „უბანი პურიათა“ არსებობდა. აქ მათ „ბაგინი ჰურიათა“ (სინაგოგა) ჰქონდათ.

შუა საუკუნეების საქართველოში ებრაელთა განსახლების ადგილებს ვახუშტი ბაგრატიონი ჩამოგვითვლის. XIX საუკუნეში საქართველოში ქალდეველი ებრაელებიც სახლდებიან. წინამორ-ბედების მსგავსად მათაც შეითვისეს ქართული ენა, ქართული ყოფა-ცხოვრება. XIX საუკუნეში საქართველოში მიგრირდნენ და ცხოვრობდნენ სპარსეთისა და ევროპელ ებრაელთა მცირერიცხო-ვანი თემები. სპარსელი ებრაელებისაგან განსხვავებით, ევროპელი ებრაელები თანდათანობით მრავლდებოდნენ. ისინი ძირითადად თბილისში ცხოვრობდნენ და ფლობდნენ ქართულ ენას. 1886 წლის საოჯახო სიებით საქართველოში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) 14.714 სული ებრაელი მკვიდრობდა. 1926 წლის მოსახლეობის აღწერაში 30.534 ებრაელი იყო დაფიქსირებული, 1939 წელს – 42.300, 1959 წელს – 51.582, 1970 წელს – 55.382, რაც ქვეყნის მოსახლეობის 1,2%-ს შეადგენდა. 1979 წლის აღწერით მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულია – ის 28.298 კაცს (0,6%) შეადგენდა. მომდევნო 1989 წლის აღწერაც ებრაელების შემცირებას ადასტურებს (24.795 სული. 0,5%). 2002 წელს ებრაელების რაოდენობა 3.372-მდე დავიდა (0,1%). ეს კლება ებრაელების ისრაელში და დასავლეთის სხვა ქვეყნებში ინტენსიური მიგრაციით იყო გამოწვეული. საქართვე-ლოში მცხოვრები სხვა ეთნოსებისაგან განსხვავებით ებრაელ-თა/ქართველ ებრაელთა დედაენა ქართული იყო.

III.2. სომეხთა მიგრაცია საქართველოში

XIX-XX საუკუნეების განმავლობაში საქართველოში უცხო ეთნიკურ ერთეულებს შორის ყველაზე მეტნი სომხები იყვნენ.

ისინი კომპაქტურად ძირითადად სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და თრიალეთში ცხოვრობენ. საქართველოში სომეხთა მიგრაცია თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე ხორციელდებოდა. სომხების საქართველოში ხშირი გადმოსახლება განპირობებული იყო იმით, რომ ისინი საქართველოს მოსაზღვრენი იყვნენ. მტერთაგან ლტოლვილნი სომხები უშუალოდ საქართველოს მოაშურებდნენ ხოლმე. ორ მოსაზღვრე ქვეყანას – საქართველოსა და სომხეთს – შორის იშვიათი არც საზღვრების შეცვლა იყო. სასაზღვრო ზოლში თითქმის ყოველთვის იყო ქართულ-სომხური შერეული მოსახლეობა. ცნობილია, რომ V საუკუნის ქვემო ქართლში ღვთისმსახურება ქართულთან ერთად სომხურ ენაზეც მიმდინარეობდა, რაც თავისთავად აქ სომხური მოსახლეობის არსებობაზე მიუთითებს. X საუკუნის II ნახევარში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ლორე-ტაშირის სომეხ კვირიკიანთა სამეფო წარმოიქმნა, რამაც აქ სომეხთა მომრავლება გამოიწვია.

სომხების საქართველოში მიგრაცია განხორციელდა რამდენიმეჯერ. მაგალითად: XI საუკუნის შუა ხანებში, როდესაც მათ სახელმწიფოებრიობა დაკარგეს, დავით აღმაშენებელს მიგრანტი სომხების ჯგუფი ქალაქ გორში დაუსახლებია. ამავე პერიოდიდან სომხეთის ჩრდილოეთი ნაწილი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. სომეხთა მნიშვნელოვანი რაოდენობა შემოსახლებულა საქართველოში XV საუკუნეში. *თომა მეწოფეცის* ცნობით, XV საუკუნის 30-იან წლებში სივნიეთიდან 6000 ოჯახი გადმოსახლებულა. 1774 წელს ერევანზე ლაშქრობისას ერეკლე II-ს რვა სომხური სოფლის მოსახლეობა აუყრია და საქართველოში დაუსახლებია.

საქართველოში დასახლებულ სომეხთა უმეტესობისათვის დედაენა ქართული იყო. არაერთი სომეხი დროთა განმავლობაში ეთნიკურ ქართველად იქცა.

სომეხთა მნიშვნელოვანი შემოსახლება მოხდა საქართველოში 1830 წელს, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში. სომხები აქ ცარიზმმა დღევანდელი თურქეთის ტერიტორიიდან: *არზრუმიდან, ყარსიდან, ბაიაზეთიდან...* გადმოასახლა. ისინი ძირითადად ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ მართლმადიდებელთა ნასოფლარებში დასახ-

ლდნენ; პირველნი 1829 წელს თურქეთში გადასახლდნენ, მეორენი კი თითქმის მთელი გვიან შუა საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოში მიგრირდებოდნენ. ქართველი მაჰმადიანები შორს არ მიდიოდნენ, ძირითადად არტაანის მხარეს სახლდებოდნენ. მაგრამ 1878 წელს, როდესაც რუსეთმა ყარსის ვილაეთიც შემოიერთა, ისინი ხელახლა თურქეთის სიღრმეში გადასახლდნენ. 1830 წელს თურქეთიდან სამცხე-ჯავახეთში მიგრირებულა 14.044 კომლი (90.000 სული) სომეხი. უფრო ადრე, რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომის დროსაც გადმოასახლა რუსეთის ხელისუფლებამ ისინი საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლში. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ცარიზმის ამ რაოდენობის სომხების სამცხე-ჯავახეთში დასახლება მიზნად არ ქონია. ისინი ყარსის, არზრუმისა და ბაიაზეთის ვილაეთებიდან თავდაპირველად 8. 000 ოჯახის შემოსახლებას აპირებდნენ. მაგრამ გადმოსახლების დროს ვითარება შეიცვალა. უფრო მეტმა კოლონისტმა ისურვა სამცხე-ჯავახეთში გადმოსახლება. 14 ათასზე მეტი ოჯახი აღმოჩნდა გადმოსახლებული. ამან რუსეთის ხელისუფლების გეგმები ერთგვარად შეცვალა, რადგან ისინი აქ კაზაკების გადმოსახლებასაც აპირებდნენ. სომეხ მიგრანტთა დიდმა რაოდენობამ კაზაკთა ჩამოსახლების საკითხი საბოლოოდ ჩაშალა. ამდენი მიგრანტი სომეხის სამცხე-ჯავახეთში დასახლების შესაძლებლობა კი იმან განაპირობა, რომ როგორც აღინიშნა, რუსეთის შემოსვლითანავე ქართველი მაჰმადიანები აიყარნენ და ოსმალეთის შიდა პროვინციებში გადასახლდნენ. სამეცნიერო ლიტარატურაში შენიშნულია, რომ თურქეთთან ომის დროს ახალციხის საფაშო გაუდაბურდა. ომის შიშით თურქეთში გადახვეწილი ქართველი მაჰმადიანები მამა-პაპათა საცხოვრისში ვეღარ დაბრუნდნენ. პირველ რიგში მესხეთს გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალები (ბეგები და აღები) ტოვებდნენ. *ივანე გვარამაძის* სიტყვებით, ისინი „ცარიელ-ტარიელნი გადაცვივდნენ, მამულ-დედული ოხრად დატოვეს“ და ბევრმა გლეხმაც მათ მიბაძა. ოხრად დაგდებული მიწა-წყალი სახელმწიფომ სახაზინო ფონდში ჩარიცხა. ცარიზმის მოხელენი ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ადგილობრივის აყრას. საამისოდ მიმართავდნენ შანტაჟს, დაშინებას და მუქარას. ქარ-

თული მიწები იყიდებოდა ცარიზმის მოხელეებსა და ვაჭრებზე. მაგალითად, ახალქალაქის სანჯაყბეგს მუთი-ბეგ ფალავანდიშვილს 29 სოფელი ხაზინისათვის მიუყიდია. მურჯახეთი, პრტენა, ნაქალაქევი სომეხ ვაჭრებს შეუძენიათ, ხოლო გოგაშენი კი სომხური ეკლესიის ხელში გადასულა. საერთოდ სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას მამულების დიდი რაოდენობა შეუძენია. ჯავახეთი ფაქტობრივად დაიცალა ქართველი მაჰმადიანებისაგან; აქ მხოლოდ ქართველ მაჰმადიანთა სამი სოფელი შემორჩა.

სამცხე-ჯავახეთში სომხების გადმოსახლების ერთ-ერთი ინიციატორი იყო გენერალი ვასილ ბებუთოვი. არზრუმის სომხებს გადმოსახლება 1830 წლის მაისში დაუწყიათ. გადმოსახლებულები საცხოვრებლად მკვიდრდებოდნენ ახლად მიტოვებულ სოფლებში, სადაც სახლების ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო დანგრეული, ხოლო სოფლის ყანები დათესილი იყო და მიწები მოხნული. კოლონისტი სომხების ერთი ნაწილი ისეთ სოფლებში დასახლდა, სადაც მკვიდრი მოსახლეობა კვლავ ცხოვრობდა. მნიშვნელოვანი რაოდენობით დასახლდნენ მიგრირებული სომხები ქალაქ ახალციხეშიც. ახალციხეში ძირითადად 2 ათასი არზრუმელი ხელოსანი და ვაჭარი დასახლდა. ისინი კერძო ბინებშიც კი შესახლებიან ადგილობრივ მოსახლეობას. ბევრი ახალციხელი კი ამის გამო იძულებული შეიქმნა ახალციხიდან საერთოდ აყრილიყო. სომეხთა ნაწილი (400 ოჯახი) 1836 წელს არზრუმში უკან გაბრუნებულა. სომეხი *ვერმიშევი* სომეხთა სამცხე-ჯავახეთში კოლონიზაციის შესახებ შემდეგს წერდა: **„ჩამოესახლნენ სომხები თურქეთის მხრიდნ, ახალქალაქის მაზრა თითქმის დაჰფარეს მჭიდრო მოსახლეობით, რომელთა შორის აქა-იქ პატარა ოაზისებად დარჩნენ ქართული სოფლები“**. ხოლო *ლ. ზაგურსკი* კი აღნიშნავდა: ქვეყანა ისეთ სახეს იღებს, თითქოს თავიდანვე სომხებით ყოფილიყო დასახლებული. *ივანე გვარამაძის* (*ვინმე მესხის*) სიტყვებიც უნდა გავიხსენოთ: „უცხო ტომნი შემოგვესივნენ ოთხკუთხივ და ძალისძალად ჩვენი წინაპარი მამაპაპის სისხლით მორწყულს მიწაწყალს, მთა-ბარს და ტყე-ღრეს გვტაცებენ ხელიდან, ინაწილებენ თავიანთში და ჩვენს ერთობას უმოწყალოდ ჰსმენ.“ **ჯავახეთის მაჰმადიანი ქართული მოსახლეობისაგან დაცლას ნიკო ბერძენი-**

შვილი „1829 წლის კატასტროფას“ უწოდებდა.

ასე შექმნა რუსეთის ხელისუფლებამ სამხრეთ საქართველოში ქართველთა დაუკითხავად დიდი სომხური კომპაქტური დასახლება. საქართველოში წინა საუკუნეებში მოსული სომხებისაგან განსხვავებით, ჯავახეთში მოსულ სომხებს არასდროს გამოუჩენიათ ქართული ენის შესწავლის სურვილი. ეს გასაგებიცაა, ისინი ხომ რუსეთის იმპერიამ გადმოასახლა საქართველოს ტერიტორიაზე იმ დროს, როდესაც საქართველო რუსეთის კოლონია იყო.

1886 წლის საოჯახო სიების მონაცემებით საქართველოში 172.000 სომეხი მოსახლეობდა, რაც მთელი მოსახლეობის 10%-ს შეადგენდა. 1926 წელს სომხების რაოდენობა 307.018 იყო (11,5%), 1939 წელს – 415.013 (11,7%), 1959 წელს – 442.916 (11,0%), 1970 წელს – 452.309 (9,7%), 1979 წელს – 448.000 (9%), 1989 წელს – 437.211 (8,1%), 2002 წელს – 248.929 (5,7%). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომხების საქართველოდან გადინების პროცესი გაიზარდა. მათი დიდი ნაწილი არა ისტორიულ სამშობლოში, არამედ რუსეთსა და უკრაინაში მიგრირდებოდა.

III.3. ბერძენთა მიგრაცია საქართველოში

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქართლში მცხოვრებ უცხო ეთნიკურ ერთეულთაგან შეიძლება დავასახელოთ ბერძნები. ძველი დროიდან ბერძნები დასავლეთ საქართველოში მკვიდრობდნენ. საქართველოს შავიზღვისპირეთში ბერძნულ კოლონიზაციას თან სდევდა ბერძნული მოსახლეობის დამკვიდრება ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში. არქეოლოგიური გათხრებით მცხეთაში ბერძენთა მცირე ჯგუფების არსებობას ვარაუდობენ. ისინი ძირითადად ხელოსნურ საქმიანობას ეწეოდნენ. შუა საუკუნეებში საქართველოში მსხვილი ბერძნული დასახლებები არ გვქონია. კომპაქტური ბერძნული დასახლებები ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე XVIII საუკუნის II ნახევარში ჩნდება. ცნობილია, რომ მეფე ერეკლე II-მ ანატოლიელი ბერძნები ახტალისა და ალავერდის სპილენძის მადნების დასამუშავებლად მოიწვია. ახტალაც და ალა-

ვერდიც თანამედროვე საქართველოს საზღვრებში აღარაა, დღეს ისინი სომხეთის შემადგენლობაში შედის. აქ მოსული ბერძნები 800 კაცის ფარგლებში ყოფილან და მიგრირებული იყვნენ არზრუმიდან და ყარსიდან. ახტალისა და ალავერდის მიწებზე ბერძენთა გადმოსახლება XIX საუკუნემდე არ შეწყვეტილა.

წალკის ველზე ლტოლვილი ბერძნების დიდი ჯგუფი დასახლდა 1830-იან წლების დასაწყისში გუმიშხანედან. თუმცა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ბერძენთა მცირე ჯგუფი სოფელ წინწყაროში უფრო ადრე – 1813 წელს მოსულა. თრიალეთში ქართული მოსახლეობა მჭიდროდ სახლობდა XVIII საუკუნის შუა ხანებამდე. აქ ქართველთა ნასოფლარებში ბერძენი კოლონისტების მოსვლამდე თურქმანული ტომები მომთაბარეობდნენ. ცარიზმს აქ ბერძენთა დასახლებით სურდა მოსაზღვრე ტერიტორიაზე ერთგული ეთნიკური ერთობა – ბერძნები დაესახლებინა. ბერძენ მოახალშენეთა პირველი პარტია სოფელ ბეშთაშენში დასახლებულა. ამ პერიოდში თრიალეთის მხარეში (წალკის რაიონში) მიგრირებულმა ბერძნებმა 18 ბერძნული სოფელი დააარსეს. ცოტა ხანში მოსულ ბერძენთა სხვა პარტიებს კიდევ რამდენიმე სოფელი დაუააარსებიათ. მოუგვარებელი ეკონომიკისა და მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო ხდებოდა ბერძნების უკან წასვლაც. ამ მხრივ განსაკუთრებით გააქტიურდნენ მას შემდეგ, რაც რუსეთმა ყარსის პროვინცია მიიერთა. ამ პერიოდში დაცლილა საქართველოს ერთ-ერთი ბერძნული დასახლება – სოფელი თეჯისი.

1830-იანი წლების დასაწყისში გადმოსახლებულან ურუმები თანამედროვე დმანისის რაიონშიც. ისინი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ვილაიეთებიდან გადმოსახლებულან. საბჭოთა პერიოდში ცხოვრობდნენ დმანისის რაიონის სამ სოფელში. ეს სოფლები იყო: *განახლება, ველისპირი* და *სარკინეთი.* ამავე რაიონის ორ სოფელში (*ბორა, საკირე*) ანატოლიელი ბერძნები იყვნენ გადმოსახლებული. მათი აქ გადმოსახლება 1810-იან წლებში მომხდარა. ბერძნების ამ ჯგუფს გადმოსახლების მომენტისათვის ენა უკვე შეცვლილი ჰქონდა – ისინი თურქულ ენაზე მეტყველებდნენ. შესაბამისად, საქართველოში მცხოვრები სხვა ბერძნებისაგან განსხვავებით, თრიალეთელი ბერძნები თავიანთ თავს „ურუმებს“, ე. ი.

რომაელებს უწოდებდნენ. ამავე დროს ბერძენთა 50 ოჯახი ჯავახეთის ახალქალაქში დასახლებულა, რომლებიც იქაურ სომეხთა ეთნიკურ-ენობრივ გარემოში გასომხებულან. აღნიშნულ დროს ბერძენთა 100-მდე ოჯახი სამცხის შავწყალის ხეობის ნასოფლარებში დასახლებულა, რომლებსაც შემდეგ თავი სოფელ ციხისჯვარში მოუყრიათ.

1860-იან წლებში ბერძნები დასახლდნენ ქვემო ქართლის სოფელ ირაგაში (თეთრიწყაროს რაიონი) და ბათუმის ირგვლივ რამდენიმე სოფელში. ბერძენთა მცირე ჯგუფების საქართველოში მიგრაცია მომდევნო პერიოდებშიც გრძელდებოდა, მაგრამ მიგრანტების ამ ჯგუფებს კომპაქტური დასახელებები არ შეუქმნია.

აფხაზეთში ბერძენთა გადმოსახლება თურქეთიდან 1869 წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც აქედან რუსეთის იმპერიამ ადგილობრივ აფხაზებს მუჰაჯირად წასვლა აიძულა. აქ პირველი ბერძნული დასახლებები იყო ალექსანდროვკა, ოლგინსკოე და გეორგიევსკი. აფხაზეთში მიგრირებული ბერძნების უმეტესობა ხელსნები (კალატოზები, ქვისმთლელები) ყოფილან. აფხაზეთში ბერძენთა დიდი ჯგუფი 1879-1880 წლებში გადმოსახლებულა. ეს ჯგუფიც ოსმალეთიდან იყო მოსული. აქ მოსული ბერძნების უმეტესობა ბერძნულ ენაზე მეტყველებდა. ბერძენთა ამ ჯგუფის სოფლებს საბჭოთა პერიოდში ლეკუხონე, შრომა, ოდიში და კელასური ეწოდებოდა. ბერძენთა ეს სოფლები ძირითადად სოხუმის მახლობლად მდებარეობდა.

აჭარაში, ბათუმის მიდამოებში მცირეაზიელ ბერძენთა გადმოსახლება 1881 წლიდან დაწყებულა. ერთ-ერთი პირველი სოფელი, სადაც ისინი დასახლდნენ დაგვა იყო. XX საუკუნის დასაწყისში აჭარაში მიგრირებული ბერძნების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

1886 წელს საქართველოში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) 28.774 ბერძენი მკვიდრობდა. 1897 წელს ბერძნების რაოდენობა საქართველოში 38.540 კაცი იყო. 1939 წლისათვის ამ ეთნიკური ჯგუფის რაოდენობამ 85 ათასს მიაღწია, 1989 წელს კი 100 ათასს გადააჭარბეს. საბჭოთა პერიოდის შემდეგ ბერძნების რაოდენობამ საქართველოში კატასტროფიულად დაიკლო, რაც ძი-

რითადად საბერძნეთში მიგრაციითაა განპირობებული – 2002 წლის აღწერით საქართველოში მხოლოდ 15 ათასი ბერძენი დაფიქსირდა. შენიშნულია ბერძნების მიგრაცია რუსეთის იმ რეგიონებისაკენ, სადაც ბერძნული კოლონიები კვლავაა შემორჩენილი.

III.4. იეზიდების/ქურთების მიგრაცია საქართველოში

დღევანდელი საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ეთნიკურ ერთეულს იეზიდები/ქურთები შეადგენენ, რომლებიც ძირითადად თბილისში მკვიდრობენ. 1886 წელს თბილისში მხოლოდ ორი ქურთი ცხოვრობდა. თბილისში ქურთები პირველი მსოფლიო ომის დროს არიან მოსული თურქეთიდან. თუმცა ქურთები საქართველოს ტერიტორიაზე ადრეც ცხოვრობდნენ (ლაპარაკია სამხრეთ საქართველოზე). 1886 წელს ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში ერთად 1.388 სული ქურთი მკვიდრობდა. გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის მიხედვით ქურთები XVI საუკუნის სამცხე-ჯავახეთში მომთაბარეობდნენ („ვინაიდან ირუქისა და იუზდეჯის ტომებს არ გაჩნდათ განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილი“). როგორც გარკვეულია, ისინი ყარს-ერევნის ტერიტორიიდან იყვნენ შემოსული. XIX ს-ის 80-იან წლებში ქურთები სამცხეში ურაველის ხეობის ხუთ სოფელსა და ჯავახეთის ორ სოფელში ცხოვრობდნენ. ქურთების მიგრაცია ახალციხის მხარეში 1830 წელსაც მოხდა. ისინი ერევნის ყოფილი სახანოდან და არზრუმიდან ჭაჭარაქში დასახლდნენ. მათ ნაწილს არზრუმში მიღებული ჰქონდა სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება და სომხურ ენაზედაც ლაპარაკობდა. დროთა განმავლობაში ეს ქურთები გასომხდნენ. საქართველოში ქურთები აჭარაშიც ცხოვრობდნენ, რომლებიც მომთაბარეები იყვნენ. მათი აჭარაში მიგრაციის დრო უცნობია. ქურთების ეს ჯგუფი საბჭოთა ხელისუფლებამ მეორე მსოფლიო ომის დროს, ჰემშილებთან ერთად, შუა აზიში გადაასახლა. 1926 წლის აღწერით საქართველოში 10.217 ეთნიკური ქურთი იყო აღრიცხული, ხოლო იეზიდების რაოდენობა 2.262 განისაზღვრებოდა. შემდეგდროინდელ აღწერებში იეზიდები აღარ აღირიცხებოდნენ. 1939 წლის აღწერას საქართველოში 12.915 ქურთი დაუფიქსირებია,

1959 წლის აღწერას – 16.212, 1970 წლისას – 20.690, 1979 წლისას – 25.688, 1989 წლისას – 33.331. 2002 წლის აღწერაში ქურთად თავი მხოლოდ 2.514 კაცს დაუფიქსირებია, ხოლო იეზიდად – 18.329 კაცს. მოყვანილი ციფრებიდან აშკარად ჩანს, რომ ქურთების/იეზიდების რაოდენობა საბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდებოდა. 1970 წლამდე თუ მათი პროცენტული მაჩვენებელი 0,4 იყო, 1979 წელს ის 0,5%-ს შეადგენდა, 1989 წელს – 0,6%-ს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღნიშნული ეთნიკური ერთობის კლება აშკარაა და 2002 წლისათვის მათი პროცენტული მაჩვენებელი ისევ 0,4%-ზე დავიდა, რაც გამოწვეულია რუსეთში მიგრაციით.

III.5. თურქული ტომების მიგრაცია საქართველოში

მნიშვნელოვან უცხოეთნიკურ ერთეულს საქართველოში აზერბაიჯანელები წარმოადგენენ, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თათრებად იწოდებოდნენ და რუსეთის ხელისუფალთა მიმართ ამ ეთნონიმითაც აღირიცხებოდნენ. უფრო ადრინდელ ქართულ საბუთებში ამ თურქულენოვან მოსახლეობას ეთნონიმი „ელი“ მიესადაგებოდა. ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, უფრო სწორედ ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილში (ყაიყულ-აბოცში, ტაშირში, ბამბაკში, შამშადილში. ეს ტერიტორიული ერთეულები ახლა საქართველოს შემადგენლობაში არაა) თურქმანული ტომების მიგრაცია და დასახლება XV საუკუნიდან დაიწყო, რის შემდეგაც ივრის, მტკვრის, ხრამის, დებედას ხეობებში ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა თურქმანული ტომებით შეიცვალა. აქ მათ ჩამოსახლებას ირანის ხელისუფლება ახდენდა, რათა ამით ქართლის სამეფოსათვის თავდაცვითი ზღუდეები მოერღვია (*ა. ბოშიშვილი*). ხოლო თურქულენოვანი ბორჩალოს ტომი ქვემო ქართლში XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ აბას I-მა დაასახლა. მიგრირებული თურქულენოვანი ტომები ქვემო ქართლსა და მის მიმდებარე სამხრეთ პროვინციებში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნახევრადმომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, როგორც შენიშნილია „სეზონურად იცვლიდნენ საცხოვ-

რებელ ადგილებს“ (*ა. ბოშიშვილი*). მიგრირებული თურქულენოვანი ტომების მეურნეობის ამ ფორმამ კი აქ ისედაც შემცირებული ქართული მოსახლეობა უფრო შეამცირა – ისინი სხვაგან (ძირითადად კახეთში) გადასხლდნენ. მართალია, ჩამოსახლების შემდეგ ბორჩალოელები ირანის ხელისუფალთ ექვემდებარებოდნენ, მაგრამ მალევე ისინი ქართლის მეფეთა და ფეოდალთა მფლობელობაში გადავიდნენ. XVII-XVIII საუკუნეებში თურქმანულ ტომებს ქვემო ქართლში უფრო ჩრდილოეთით წამოუწევიათ, სომხითში გადმოსულან და დმანისის ხეობამდეც მოუღწევიათ; დაუკავებიათ ქციისა და ალგეთის ხეობებიც. მტკვრის გაღმა კი ყარაიის ტერიტორიაც დაუკავებიათ. XVII საუკუნის 30-იან წლებში თბილისში სეიდების ტომი შაჰ სეფის დაუსახლებია, რის შემდეგაც დედაქალაქის ამ უბანს სეიდაბადი ეწოდა. იმის გამო, რომ ელის მუსლიმური ტომები მოძრაობითობით ხასიათდებოდნენ, ხშირად ტოვებდნენ საქართველოს ფარგლებს, ქვემო ქართლიდან აყრილა და განჯაში გადასულა ფახრალის ტომი. 1770-იანი წლების ბოლოს ფახრალის ტომის უკან დაბრუნება ერეკლე მეფეს თავად შიოშ არღუთაშვილისათვის დაუვალებია. დაბრუნებული ტომის „საქართველოს მიწაში მოსხმისათვის“ ის არღუთაშვილისათვის უბოძებია. ასეთი შემთხვევები XVIII საუკუნის ქართულ საისტორიო წყაროებში სხვაც არაერთია დადასტურებული. ერეკლეს დროს ბორჩალოელთა ხუთი სოფელი აყრილა და ერევნის სიახლოვეს გადასულა. 1755 წელს ერეკლეს ისინი ჯარის საშუალებით დაუბრუნებია. XVIII საუკუნის ბოლოს თურქულენოვანი მოსახლეობის რაოდენობა ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი მოსახლეობის 22%-ს (10.000 კომლი) შეადგენდა, ხოლო თანამედროვე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ისინი 5%-ის ფარგლებში (2000 კომლი) იყვნენ. თურქული ტომები კახეთშიც იყვნენ დასახლებული. XVIII საუკუნეში თელავთან ჰასანლუს ტომის ხუთი სოფელი წარმოქმნილა. ცხოვრობდნენ გარე კახეთშიც. 1801 წელს „იორზედ მსახლობელნი. მუღალნოელნი. ჭავჭავაძის გარსევან ეშიკაღაბაშის“ 24 კომლი ყმა ცხოვრობდა. ქვემო ქართლში მცხოვრები თურქულენოვანი მოსახლეობა ქართლ-კახეთის სამეფოს ღირსეული და ერთგული მოქალაქეები იყვნენ. ბორჩალოე-

ლთა წრიდან XVIII საუკუნეში საქართველოს ეროვნული გმირიც გამოვიდა. ეს იყო **ხუდია ბორჩალოელი, რომელსაც თეიმურაზ ბაგრატიონი „ყოვლისა საქართველოს ჩინებულ და მამაც“ პიროვნებად მოიხსენიებს.**

XVI-XVII საუკუნეების ქვემო ქართლსა და გარე კახეთში ყიზილბაშური ტომები დასახლდნენ. მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობდნენ თარაქამები სამცხე-ჯავახეთში. 1795 წელს როდესაც აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი ააოხრა, იმავე დროს მან ქვემო ქართლში მცხოვრები ელებიც დაიპყრო. მათი ერთი ნაწილი ხანს არ დაემორჩილა და ალი-ბეგის თავკაცობით ახალციხე-ყარსის მხარეში წავიდა საცხოვრებლად. 1799 წელს გიორგი XII ხონთქარს ელების დაბრუნებას თხოვდა. მაგრამ ახალციხისა და ყარსის ფაშები მომთაბარე ელებს (იგივე ყარაფაფახელებს, ანუ თარაქამებს) არ აბრუნებდნენ. ახალციხის ფაშებმა ეს ყარაფაფახელები ქართლის საზღვრის გაყოლებით დაასახლეს. ელები ახალციხის მხარეში XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ბორჩალოდან და ყაზახ-შამშადილიდან გადავიდნენ. აქ ისინი ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ. ქვემო ქართლიდან გადასახლებული ყარაფაფახები დასახლებული იყვნენ ჩილდირის მხარეში, ტყიან ჯავახეთში, ქალაქ ახალქალაქის სიახლოვეს. ყარსერევნის ხაზიდან ყარაფაფახელების 85 ოჯახი ქვემო ქართლში რუსეთის ხელისუფლებამ შემოასახლა. სომხების გადმოსახლების დროს, მათთვის ერთგვარი ბუფერის შექმნის მიზნით, ყარაფაფახების ერთი ნაწილი 1831 წელს აყარეს ჯავახეთიდან და ერუშეთის იმ ნაწილში დაასახლეს, რომელსაც ნიალის ველი ეწოდებოდა. ისინი აქ ლებისის საზოგადოების სოფლებში ცხოვრობდნენ. თარაქამები ცხოვრობდნენ აგრეთვე სოფლებში: *კოპაძე, იფნიეთი, კაკაველი, ნაზვრევი, დილიკა, ურავლის ხეობა.* XIX საუკუნის ბოლოს მესხეთში მცხოვრები თარაქამების დიდი ნაწილი კვლავ მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა და მიწაზე არ იყო დამაგრებული.

1886 წლის აღწერით თბილისის გუბერნიაში 68.364 სული თათარი ცხოვრობდა. თუმცა ამ მონაცემებით ძალიან ძნელია განვსაზღვროთ რამდენი იყო ეთნიკურად თათარი (თურქი) და რამდენი მაჰმადიანი ქართველი. 1926 წლის აღწერით საქართველოში

137.921 აზერბაიჯანელი ცხოვრობდა (5,2%), 1939 წელს – 187.841 (5,3%), 1959 წელს – 153.600 (3,8%), 1970 წელს – 217.758 (4,6%), 1979 წელს – 255. 678 (5,1%), 1989 წელს – 307.556 (5,7%), 2002 წელს – 284.761 (6,5%). მოყვანილ სტატისტიკურ მონაცემებს კომენტარი ჭირდება: 1926 და 1939 წლების აღწერებში აზერბაიჯანელებად იყო ჩაწერილი სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი ქართველობა. როგორც ცნობილია, აზერბაიჯანელებად ჩაწერილი მაჰმადიანი ქართველები საბჭოთა ხელისუფლებამ შუა აზიაში გაასახლა. ამიტომაა, რომ 1959 წლის აღწერამ აზერბაიჯანელების მკვეთრი კლება დააფიქსირა (1,5%-ით დაიკლეს). მიუხედავად ამისა, ამ ხალხს საქართველოში მოსახლე ეთნიკურ ერთობებს შორის ყველაზე მეტი მატება გააჩნია.

III.6. გერმანელთა მიგრაცია საქართველოში

1886 წლის საოჯახო სიებით საქართველოში 5.836 სული გერმანელი მკვიდრობდა. გერმანელ კოლონისტთა პირველი ჯგუფი (31 ოჯახი, 181 სული) თბილისში 1817 წლის 21 სექტემბერს ჩამოსულა. ისინი სართიჭალასთან დაუსახლებიათ. 1818 წელს თბილისში გერმანელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მოსულა (200 ოჯახი, 1000 სული). ისინი ძირითადად თბილისის გუბერნიაში განასახლეს. მათი ნაწილი რუსეთის ხელისუფლებას ძალით გადაუყვანია თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ასე გაჩნდა შამქორსა და განჯაში ორი გერმნული კოლონია. სამეცნიერო ნაშრომებით (გ. მანჯგალაძე, ა. სონღულაშვილი) ცნობილია, რომ 1819 წლის ბოლოს საქართველოში ექვსი გერმანული კოლონია იყო: 1. *მარიენფელდი* (სართიჭალასთან. ახლა სართიჭალის შემადგენელი ნაწილია). აქ 31 ოჯახი გერმანელი კოლონისტი ბინადრობდა; 2. *თბილისის კოლონია* – ცხოვრობდნენ ქალაქის მაშინდელ გარეუბან კუკიაზე (ახლანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტი). ეს კოლონია მხოლოდ 51 ხელოსნის ოჯახისაგან შედგებოდა; 3. *ალექსანდერდოფი* – დაასახლეს 23 ოჯახი დიდუბეში. გერმანელი ლუთერანების სალოცავი „კირხა“ დიდუბეში დღემდეა შემონახული; 4. *პეტერსდოფი* – მარიენფელდის მახლობლად. და-

ასახლეს 17 ოჯახი; 5. *ელიზავეტალი* – ქვემო ქართლში, დღევანდელი ასურეთი. კოლონია 65 ოჯახისაგან შედგებოდა; 6. *ეკატერინენფელდი* – 116 ოჯახიანი კოლონია ბოლნისთან მდებარეობდა [თბილისში გერმანული სასაფლაო ცალკე არსებობდა. ის ფუნიკულიორის ქვედა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო]. როგორც მიუთითებენ (*გ. მანჯგალაძე*) 1817-1818 წლებში საქართველოში გერმანელ კოლონისტთა ჩამოსახლებას ხელი შეუწყო გერმანიაში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პირობებმა. მათი უმეტესობა ვიურტემბერგიდან იყო. მცირე რაოდენობით იყვნენ ბადენელებიც. პირველი კოლონისტები თავიანთ სამშობლოში მევენახეობას მისდევდნენ და საქართველოზე არჩევანი იმიტომაც გააკეთეს.

შემდგომში საქართველოში კიდევ გადმოუსახლებიათ გერმანელები. მაგალითად, 1842 წელს აბასთუმანში 10 გერმანელი კოლონისტის ოჯახი დაასახლეს. მაგრამ აქ ისინი არ გაჩერებულან. მათგან ერთი ოჯახი რუსეთში წასულა, მეორე – ეკატერინფელდში. ბოლოს კი 1848 წელს ხელისუფლებას 8 გერმანული ოჯახი ცალკე კოლონიის სახით მარიენფელდის მახლობლად გადმოუყვანია. 1884 წელს გერმანელ კოლონისტებს სოხუმის მახლობლად ორი კოლონია შეუქმნიათ, რომლებიც რუსეთიდან იყვნენ გადმოყვანილი. სოხუმთან გერმანელებს ორი კოლონია ქონდათ შექმნილი – *ნაიდორფი* (53 სული) და *გრადენბურგი* (26 სული). XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში დასახლებულ კოლონიებს რამდენიმე კოლონია ცალკე გამოყოფია. ამავე დროს, XIX საუკუნის განმავლობაში გერმანიიდან და რუსეთიდან ხდებოდა ცალკეულ კოლონისტთა ჩამოსახლება. ისინი არსებულ კოლონიებში მკვიდრდებოდნენ. გერმანელი კოლონისტების დიდი ნაწილი სექტანტები იყვნენ, რომელთა უმეტესობა მოგვიანებით ლუთერანიზმს დაუბრუნდა. 1886 წლის საოჯახო სიებით თბილისის გუბერნიაში 650 კომლი (5.065 სული) გერმანელი ცხოვრობდა. გერმანელები ქუთაისის გუბერნიაში სულ 64 კომლი (471 სული) ცხოვრობდა. საერთო ჯამში საქართველოში გერმანელთა რაოდენობა 714 კომლი (5.779 სული) იყო. საქართველოს გერმანელი მოქალაქეები მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა ხელი-

სუფლებამ შუა აზიაში გადაასახლა.

III.7. რუსების გადმოსახლება საქართველოში

რუსების დასახლება საქართველოში XIX საუკუნეში განხორციელდა. ცარიზმი დაინტერესებული იყო საქართველოს გარუსებით. ამ მიზნით ცდილობდა პირველ რიგში ჩამოესახლებინა რუსი კოლონისტები. თავდაპირველად რუს-კოლონისტთა ჩამოსახლების რამდენიმე ცდა წარუმატებლად დამთავრდა. საქართველოს კოლონიზაცია ჯერ კიდევ მთავარმართებელ ციციანოვის დროს დაიწყო. მის დროს ჩამოასახლეს შავიზღვისპირელი და დონელი კაზაკები მდინარე ენგურზე. პირველად ჩვენში სახლდებოდნენ რუსეთის არმიაში ნამსახური ჯარისკაცები. 1837 წლიდან სამხედრო კოლონიები მოეწყო თბილისთან, წალკაში, მანგლისში, კოჯორში, ახალციხის მახლობლად... ეს კოლონიები ეწყობოდა იქ განლაგებული ჯარის ბანაკებთან. ცარიზმს იმედი ჰქონდა, რომ ამ დასახლებებით საქართველოს რუსიფიკაციას მოახდენდა, მაგრამ „ასტავნოი“ ჯარისკაცებმა ეს ვერ შეძლეს. პირიქით, XIX საუკუნის ბოლოს *ალ. ყიფშიძე* წერდა: „საუკუნის დასაწყისს დაბანაკებული ჯარისკაცნი ადვილად შეეჩვივნენ მეზობელ ქართველებს, ისწავლეს ქართული, ტანსაცმელი ნახევრად ქართული შემოიღეს, ხვნა-თესვის წესრიგი ხომ სრულიად ქართული აქვთ. ბაკურიანში დაბინავებულმა რუსობამ სრულიად დაივიწყა რუსული, მხოლოდ თითო-ოროლაღა ამტვრევს ჩიქორთულად რუსულს, სწორედ ტკბილი და მშვიდობიანი განწყობილება ჩამოვარდა ქართველებსა და პირველ რუს მოსახლეთა შორის“. პირველ გადმოსახლებულთა შორის იყვნენ აგრეთვე სამოქალაქო და სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლები.

მიგრანტთა შორის მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ სხვადასხვა სექტების წარმომადგენლები. ცარიზმი ასეთ სექტანტებს მიზანმიმართულად განაპირა მხარეებში ასახლებდა. ერთ-ერთი ასეთი განაპირა მხარე ახლად შეერთებული საქართველოც იყო. XIX საუკუნეში დასახლდნენ რუსი სექტანტები საქართველოში. მათი პირველი ნაკადი ჯავახეთში 1841 წელს მოსულა. დუხო-

ბორები ქართულ ნასოფლარებში დასახლდნენ, ოღონდ სოფლებს მათ თავიანთი ძველი სოფლების სახელები დაარქვეს (ტამბოვის, სარატოვის, დნეპროპეტროვსკისა და ზაპოროჟიეს მხარიდან მოტანილი სახელები). ჯავახეთის მთიანეთში დუხობორთა რვა რუსული სოფელი იყო: *ბოგდანოვკა, ტამბოვკა, არლოვკა, გორელოვკა, სპასოვკა, ტროიცკოე, ეფრემოვკა, როდიონოვკა.* **დუხობორების სოფლების ერთობლიობას იმდროინდელმა ხელისუფლებამ „დუხობორიაც“ შეარქვა**. ყველა ამ სოფელში იდგა ძველი ქართული ეკლესია. ხოლო **ტამბოვკაში მრავლად იყო დარჩენილი საფლავის ქვები ქართული წარწერებით**. 1841-1845 წლებში ჯავახეთში ჩამოსახლდა 4.097 სული სექტანტი (495 ოჯახი). 1844 წელს რუსი სექტანტების ნაწილი ქვემო ქართლში (*თეთრიწყარო, ომარაშენი, ყარაქილისა*) ჩამოსახლდა.

XIX საუკუნეში რუსული დასახლებები შეიქმნა კახეთშიც – ალაზნისა და ივრის ხეობებში. მაგრამ ალაზნის ველზე გადმოსახლებულ რუსებს ადგილობრივ კლიმატთან ადაპტაცია გაუჭირდათ და რამდენიმე სოფელი დაიცალა. თუმცა ლაგოდეხის რაიონში რამდენიმე რუსული სოფელი საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებამდე არსებობდა.

რუსების მნიშვნელოვანი რაოდენობა აფხაზეთში იყო გადმოსახლებული XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში. ამ პერიოდში სოხუმის, გაგრის, გუდაუთის, გულრიფშის რაიონებში რუსთა ბევრი სოფელი იყო შექმნილი. 1897 წელს აფხაზეთში უკვე 4,7 ათასი რუსი ცხოვრობდა. 1926 წელს აფხაზეთში რუსების რაოდენობამ 6 ათასს გადააჭარბა. ინტენსიურად გრძელდებოდა რუსების აფხაზეთში ჩამოსახლება საბჭოთა პერიოდშიც. აღნიშნული პოლიტიკის შედეგად 1959 წელს რუსების რაოდენობა აფხაზების რაოდენობას გაუტოლდა (87 ათასი). რუსული სოფლების შექმნა აფხაზეთში ცარიზმის კოლონიზატორული მიზამიმართული პოლიტიკით იყო განპირობებული. შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ რუსეთიდან საქართველოში ეთნიკური რუსების მიგრაცია რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან სტიქიურად მიმდინარეობდა.

1886 წლის საოჯახო სიებით საქართველოში 40.662 სული

რუსი მკვიდრობდა. ეს რაოდენობა მომდევნო პერიოდებში დიდად იცვლებოდა. ასე, მაგალითად, 1897 წლისათვის რუსების რაოდენობამ 101 ათასს გადააჭარბა. 1926 წლის აღწერაში 96 ათასი რუსია აღრიცხული. 1939 წელს საქართველოში თითქმის 308 ათასი ეთნიკური რუსი მკვიდრობდა, 1959 წელს – 407 ათასი. საქართველოში რუსთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, რა თქმა უნდა, არა მათი ბუნებრივი, არამედ მექანიკური მატებით – მიგრაციით იყო გამოწვეული. მნიშვნელოვნი რაოდენობით მიგრირდნენ რუსები საქართველოში მეორე მსოფლიო ომის დროს. საბჭოთა პერიოდში რუსული (და აგრეთვე უკრაინული და ბელორუსი) მოსახლეობის ზრდას სახალხო მეურნეობის განვითარების მიზეზებით ხსნიდნენ. XIX საუკუნეში რუსების ძირითადი ნაწილი თუ სოფლად ცხოვრობდა, XX საუკუნეში მიგრირებულ რუსებს ხელისუფლება ძირითადად ქალაქებში ასახლებდა. 1897 წლიდან 1959 წლამდე რუსების რაოდენობა საქართველოში 4,6-ჯერ გაიზარდა. რუსების ყველაზე ინტენსიური გადმოსახლების პერიოდი 1926-1939 წლების მონაკვეთი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეთნიკური რუსები ინტენსიურად მიგრირდნენ ისტორიულ სამშობლოში. 2002 წელს საქართველოში 67 ათასზე ოდნავ მეტი რუსი აღირიცხა (1939 წელს რუსები საქართველოს მოსახლეობის 10,1%-ს შეადგენდნენ, 1979 წელს – 8,5%-ს, 1989 წელს – 6,3%-ს.) 2002 წელს – 1,5%-ს).

III.8. ლეკების, ქისტებისა და უდიების გადმოსახლება საქართველოში

ისტორიული და თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ლეკებიც იყვნენ და არიან მიგრირებული. მათი მიგრაცია ქვეყნის უკიდურეს აღმოსავლეთში – აღმოსავლეთ კახეთში მოხდა. აღმოსავლეთ კახეთი ისტორიული ჰერეთის ნაწილია და XIX საუკუნიდან ის საინგილოს სახელს ატარებს და საბჭოთა პერიოდიდან აზერბაიჯანის შემადგენლობაში შედის. ესაა თანამედროვე კახის, ბელაქანისა და ზაქათალას რაიონები, სადაც ეთნიკური ქართვე-

ლების ორი ჯგუფი – ქრისტიანები და მაჰმადიანები – დღემდეა შემორჩენილი. 1886 წლის საოჯახო სიებით საინგილოში ანუ მაშინდელი ადმინისტრაციული დაყოფით ზაქათალას ოკრუგში „ნაროდნოსტის“ გრაფაში ქართველები და ინგილოები ცალ-ცალკე არიან წარმოდგენილი. ქართველებად ქრისტიანები არიან აღრიცხული, ხოლო ინგილოებად – მუსლიმი ქართველები. ზაქათალას ოკრუგში ქართველები 550 კომლი (3.703 სული) იყვნენ, ინგილოები – 1.586 კომლი (8.727 სული). ერთად მათი რაოდენობა 12.430 სული (2.136 კომლი) იყო. ქართველების პროცენტული რაოდენობა 16,7% იყო. აღმოსავლეთ კახეთში მცხოვრები თათრები 28,3%-ს შეადგენდნენ. ხოლო მოსახლეობის უმეტესობას ლეკები (აღწერით – ავარიელები) შეადგენდნენ (54%). ლეკური მოსახლეობა კი ისტორიული საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მიგრირებული იყო დაღესტნიდან, მას შემდეგ, რაც შაჰ-აბასმა XVII საუკუნის დასაწყისში ადგილობრივი ქართველების ნაწილი გაჟლიტა, ნაწილი კი ირანში გადაასახლა. საინგილოში მოსახლეობის ეთნიკური ცვლა XVI საუკუნეში დაიწყო და XVII საუკუნეში დასრულდა. ქართველთა ნასოფლარებში დაღესტნელი ხუნძები და წახურელები დასახლდნენ, რომლებმაც ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ყმებად გაიხადეს და გაამაჰმადიანეს. ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული დაღესტნელები თურქეთისა და ირანის მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

კახეთში ლეკები თავდაპირველად ინდივიდუალურად სახლდებოდნენ. ლეკების ინდივიდუალური მიგრაციის დამადასტურებელია ზოგიერთი გვარის დაღესტნური წარმომავლობაც. XIX საუკუნის 30-იან წლებში ყვარლის სიახლოვეს დაღესტნელებით (ხუნძებით და კაპუჭელებით) დასახლებული სამი სოფელი გაჩნდა: *თივი, თებელჯოხი* და *ხაშალხუტი*. თუმცა ხუნძები 1944 წლამდე ყვარლის რაიონის სხვა სოფლებშიც (ახალსოფელში 5 ოჯახი, 16 სული; ყვარელში 19 ოჯახი; ჭიკაანში 1 ოჯახი, ყორიანში 4 ოჯახი) ცხოვრობდნენ. კახეთში მცხოვრები დაღესტნელები არიან ანწუხისა და კაპუჭის თავისუფალ მეთემეთა შთამომავალნი. სოფელ თივსა და თებელჯოხში მხოლოდ ხუნძები ცხოვრობდნენ, ხაშალხუტში – ეთნიკური კაპუჭელები. 1944 წელს კახეთში

მცხოვრები ლეკები ჩაჩნეთში გადაასახლეს. გადასახლებული იქნა 633 კომლი (2.035 სული). 1955 წელს საქართველოდან ჩაჩნეთში მიგრირებული ლეკები კი ისევ უკან, საქართველოში გადმოასახლეს. ყვარლის რაიონში 1955 წელს უკან 612 ოჯახი დაბრუნდა. 1957 წელს ლეკთა ახალი ტალღა შემოვიდა ყვარელში, დაახლოებით 575 სული, რომლებიც სხვადასხვა სოფელში – ახალსოფელში, ბალღოჯიანში, ჭიკაანში – დაასახლეს. 1958-1959 წლებში ლეკების 4 სოფელი შეიქმნა: თივი, თხილისწყარო, სარუსო და ჩანტლისყურე. დღეს საქართველოში დაღესტნიდან ჩამოსახლებული ხუნძების მხოლოდ სამი სოფელია: თივი, სარუსო, ჩანტლისყურე და ერთი ქუჩა – ქალაქ ლაგოდეხში. ამ სოფლის მკვიდრი ლეკების ნაწილი დღეს საცხოვრებლად რუსეთშია წასული.

ქისტები პანკისის ხეობაში XIX საუკუნის შუა ხანებში არიან გადმოსახლებული ჩაჩნეთიდან და ინგუშეთიდან. მიგრაციიდან ცოტა ხანში ქისტების ნაწილი აყრილა; ისინი სამშობლოში დაბრუნებას აპირებდნენ. მაგრამ ხელისუფლებას ისინი უკან მოუტრიალებია. პანკისელი ქისტები მკვიდრობენ *დუისში, ჯოყოლოში, ბირკიანში, ომალოში, დუმასტურში.* 1886 წლის საოჯახო სიებში კიდევ ერთი სოფელი – *ხორეჯაა* დასახელებული (7 კომლი, 50 სული). 1901 წლის მონაცემებით, პანკისელი ქისტები ცხოვრობდნენ აგრეთვე *ჩხათანასა* და *ძიბახევში.* მიგრირებული ჩაჩნები და ინგუშები მთის ყველაზე ძნელად მისადგომი სოფლებიდან იყვნენ გადმოსახლებული. გადმოსახლებისას ისინი მართლმადიდებლებად მოინათლნენ, რამაც განაპირობა მათი ქართულსუფიქსიანი გვარები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პანკისელი ქისტები მაჰმადიანობას დაუბრუნდნენ. 2002 წლის აღწერამ საქართველოში 7.110 ქისტი დააფიქსირა.

საქართველოში უდიების ერთი სოფელი – *ზინობიანი* ყვარლის რაონში მდებარეობს. ისინი ძველი ალბანელების შთამომავლები არიან. გადმოსახლდნენ 1920-1922 წლებში აზერბაიჯანის სოფელ ვართაშენიდან. მათი აქ გადმოსახლების მიზეზი აზერბაიჯანელებისა და სომხების ურთიერთდაპირისპირება ყოფილა. უდანაშაულო უდიები ხშირად სისხლიანი დაპირისპირების მსხვერპლნი ყოფი-

ლან. ამის გამო, სოფლის თავკაცმა *ზინობი სილიკაშვილმა* მშვიდობიანი თავშესაფარი საქართველოში იპოვა და თავისი თანასოფლელები აზერბაიჯანის მოსაზღვრე საქართველოს ყვარლის რაიონში დაასახლა. ბუნებრივი თვალსაზრისით, უდიების ახალი საცხოვრისი ადრინდელი საცხოვრისისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. უდიებს აქ მუხნარი გაუკაფავთ და ახალი სოფელი დაუარსებიათ. ზინობიანი კი გადმოსახლების ინიციატორის ზინობის პატივსაცემად უწოდებიათ. სოფელ ზინობიანში დღეს უდიების რაოდენობა დაახლოებით 300 კაცია.

III.9 ოსთა მიგრაცია საქართველოში

უკანასნელი ორი-სამი საუკუნის განმავლობაში ოსები საქართველოში მცხოვრებ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლებში მიზანმიმართულად ხდებოდა საქართველოში ოსთა გადმოსახლების ისტორიის დამახინჯება. ასახელებენ სხვადასხვა თარიღს. ერთთა „მტკიცებით", ეს მოხდა ხუთი ათასი წლის წინ (ნ. ჯუსოითი), ხოლო უფრო ზომიერნი მიგრაციის პერიოდად XIII-XIV საუკუნეებს ასახელებენ. მესამე კატეგორიისანი კი აღნიშნულ ორ ძალიან დაშორებულ თარიღს შორის სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდს გვთავაზობდნენ. ხოლო ბოლო წლებში მითოლოგემების შექმნით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საბჭოთა ისტორიკოსმა მ. ბლიევმა, რომლისთვისაც, შეიძლება ითქვას, რომ საისტორიო წყარო არც არსებობს, ან, თუ არსებობს, იმ ინტერპრეტაციით, როგორც მას ეს წარმოუდგენია. მ. ბლიევის მიხედვით, თურმე ადრე შუა საუკუნეების ქართლის (იბერიის) სამეფო სხვა არაფერი იყო, თუ არა ქართულ-ოსური კონფედერაცია. უფრო შორსაც კი მიდის ზოგიერთი მეზღაპრე და საბჭოთა პერიოდის „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიას სარმატიას უწოდებს.

IV ს-ის 70-იან წლებამდე ოსთა წინაპარი ალანები ვოლგისა და აზოვის ზღვის მონაკვეთში მომთაბარეობდნენ, სადაც ისინი ჰუნებმა გაანადგურეს და გადარჩენილთა ერთმა ნაწილმა ჩრდილოეთ კავკასიის ველებში ჩამოინაცვლა, სადაც ბინადარ ცხოვ-

რებაზე გადავიდნენ, შექმნეს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი.

ალან-ოსების ისტორიაში მეორე, სამწუხარო, ეტაპი იწყება XIII საუკუნიდან. მონღოლთა შემოსევების შემდეგ, ხანგრძლივი წინააღმდეგობის მიუხედავად, დამარცხებულმა ალან-ოსებმა დაკარგეს არა მარტო სახელმწიფოებრიობა, არამედ განსახლების არეალიც. XIII-XIV საუკუნეებში სტეპებში მცხოვრები ალანები მთიელებად იქცნენ. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ალანების ნაწილი მთიელებად უფრო ადრეც – ადრე შუა საუკუნეების შემდეგაც იქცა. VI საუკუნის შუა ხანებში ავართა შემოსევების შემდეგ ისინი დასახლდნენ კავკასიის მთიანეთის დასავლეთ ნაწილში – თანამედროვე ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზეც. გვიანი შუა საუკუნეების დიგორელი ოსები სწორედ ძველი ჩამოსახლებული ალანების შთამომავლები არიან (ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მცხოვრები ოსები საერთოდ ოთხ საზოგადოებად, თემად ცხოვრობდნენ. ზემოთ დასახელებული დიგორის გარდა, ესენი იყო აგრეთვე ალაგირი, ქურთაული და თაგაური). XIII-XIV საუკუნეებიდან ალან-ოსები სწორედ აღნიშნულ სამ ხეობაში – ალაგირში, ქურთაულსა და თაგაურში – სახლდებიან. ეს ტერიტორია გეოგრაფების მიერ ცენტრალურ კავკასიადაა სახელდებული.

1774 წელს რუსეთმა ყაბარდო დაიქვემდებარა. ოსები ფორმალურად რადგან ყაბარდოს დაქვემდებარებაში იყვენენ, 1774 წელი ოსების რუსეთის შემადგენლობაში შესვლის თარიღადაა მიჩნეული. ჩრდილოეთ ოსეთის ოთხი ხეობიდან (საზოგადოებიდან) მხოლოდ სამი შევიდა ფორმალურად რუსეთის დაქვემდებარებაში. 1774 წლის ოქტომბერში ოსი ხალხის სურვილით ციხე-სიმაგრე მოზდოკში დაიწყო მოლაპარაკებები ასტრახანის გუბერნატორსა და ოცკაციან ოსურ დელეგაციას შორის. მოლაპარაკებების პროცესში შემდეგი საკითხები განიხილეს: **ოსების ცენტრალური კავკასიის მთისწინა ველებში ჩასახლება; ოსებით დასახლებული ტერიტორიების რუსეთის იმპერიასთან შეერთება;** მეზობელთაგან თავის დასაცავად სამხედრო სიმაგრეებისა და ფორფოსტების შექმნა. ყველა ამ საკითხზე ორივე მხარემ შეთანხმებას მიაღწია. ერთ რამეს უნდა გაესვას ხაზი, რომ ამ მოლაპარაკებებში მაჰმა-

დიანურ დასავლეთ/დიგორელ ოსებს მონაწილეობა არ მიუღიათ და 1774 წელს შესაბამისად ისინი არც რუსეთის ქვეშევრდომები გამხდარან. რაც შეეხება საქართველოში (დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში) მცხოვრებ ოსებს, ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგაც, რუსეთის ხელისუფლებას დიდხანს უწევდნენ წინააღმდეგობას. მაგალითად, ისინი რუსეთის ხელისუ-ფლებას 1830-იან წლებშიც ავჯანყებიან. რუსი კოლონიზატორების წინააღმდეგ განსაკუთრებით გამოუჩენიათ თავი სოფელ როკში მცხოვრებ თომაევებს. ოსების ძირითადი მიზანი ჩრდილოეთ კავ-კასიის მთისწინა ველებში სამოსახლო ადგილების მოპოვება იყო. ამის შემდეგ კი იწყება ოსთა ინტენსიური მიგრაციული პროცესი ჩრდილოეთისაკენ, რაც განსაკუთრებით ინტენსიური XIX საუკუ-ნის 20-იანი წლებიდან გახდა. მიგრაციის ამ მიმართულებამ ოსე-ბის საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაცია ფაქტობრივად შეაჩე-რა, თუ არ ჩავთვლით დვალეთში მცხოვრებ ოსებს, რადგან მათი განსახლების არეალი გეოგრაფიულად უფრო საქართველოსთან იყო დაკავშირებული, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიასთან.

XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში დიგორელთა რამდენიმე დასახლება მთისწინეთში გაჩნდა. მათ შორის, *კარაჯაევო, ყობანი, ვაშტილი, ვასელიგო* და *ტუმა* მდ. ურუხზე, *კუბათი* – მდ. დურ-დურის ხეობაში. უფრო ადრე, XVIII საუკუნის პირველ ნახევარ-ში ოსებმა ეთნიკური საზღვარი აღმოსავლეთითაც გაიფართოვეს. მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, XVIII საუკუნის 20-იან წლებში დასახლდნენ *ლარსში, ჩმიში, ბალთაში* (სამივე ეს სოფელი და-რიალის ხეობაში მდებარეობს. რუსული წყაროების ცნობებით, XVI-XVII საუკუნეებში *ლარსის* მიდამოებში, მდ. თერგის მარ-ცხენა მხარეზე ინგუშური მოსახლეობა მკვიდრობდა. აღნიშნულ სოფლებში დასახლებული ოსები ალაგირის ხეობიდან იყვნენ მიგრირებულნი. კლაპროტის მონაცემებით, ლარსში, ჩმიში და ბა-ლთაში მოსახლე ოსები ინგუშებს მიწის სარგებლობისათვის გა-მოსაღებს უხდიდნენ. არაერთი საბუთით დადგენილია, რომ თანა-მედროვე ოსეთის დედაქალაქი – *ვლადიკავკაზი* 1774 წლისათვის, როდესაც აქ რუსებმა ციხე-სიმაგრე ააშენეს, ინგუშურ სოფელს წარმოადგენდა და მას *ზაურეგი* ერქვა, რომელშიც ზაუროვების

გვარის ინგუშები ცხოვრობდნენ. XIX საუკუნე ოსთა მთიანი ხეობებიდან ბარში ინტენსიური და ჯგუფური გადასახლების პერიოდია. XIX საუკუნის 20-იან წლებში ოსური დასახლებები ვლადიკავკაზის დაბლობზე შეიქმნა.

ახლა ოსების საქართველოში მიგრაციის შესახებ. ყოველგვარ არგუმენტებსა და ფაქტებსაა მოკლებული და მხოლოდ ზოგიერთი ავტორის ახირებას ემყარება თეზისები ოსების საქართველოში ძველი დროიდანვე მკვიდრობის შესახებ. არც ერთი საისტორიო წყاროთი, საბუთით არ დასტურდება ოსების საქართველოში მიგრაცია და აქ საბინადროდ გადმოსვლა არც ძველი წელთაღრიცხვის სხვადასხვა მონაკვეთში და არც ახ. წ.-ის IV საუკუნეში ჰუნების შემოსევას ალან-ოსების საქართველოში დასახლკარება არ მოყოლია. როგორც ზემოთ ითქვა, ამ დროს ოსებმა დონისპირა და აზოვისპირა ველებიდან შედარებით სამხრეთით, ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველებში წამოიწიეს.

არ დასახლკარებულან ოსები საქართველოში არც VII და არც XIII საუკუნეებში, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს წარმოუდგენია. XIII საუკუნეში ოსებმა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში დაიწყეს შესვლა, რაც კარგა ხანს გაგრძელდა და დასრულდა ეს მიგრაციული პროცესი XV საუკუნის დასაწყისში. XIII საუკუნის მეორე ნახევარში მხოლოდ ოსების ერთმა ჯგუფმა სცადა შიდა ქართლში დასახლება, რომლებიც დარუბანდის გზით იყვნენ შემოსული. მათი სამხედრო რაზმი ილხანთა მონღოლური სახელმწიფოს ბრძანებით მოქმედებდნენ. **1292 წელს უმეფობის პერიოდში „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცვად და რბევად და ტყვევნად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა.“** ოსებმა ისარგებლეს საქართველოს დასუსტებით და მონღოლთა მხარდაჭერით ცდილობდნენ შიდა ქართლში სამოსახლო ადგილების მოპოვებას. ოსების მონღოლთა ეს ფაქტობრივად „საპოლიციო რაზმები“, გარკვეული ხნის შემდეგ, მეფე გიორგი V ბრწყინვალეს მიერ განადგურებული და გაძევებული იქნენ საქართველოდან („განასხნა და აღფხურნა“). ბრძოლაში ცენტრალური ხელისუფლების მხარეზე იბრძოდა მთის მოსახლეობაც: ქსნის საერისთავოს ლაშქარი ვირშელ ერისთავის მეთაურო-

ბით და „მთიულნი არაგვისანი“. ოსთა ამ რაზმების განადგურებისა და გაძევების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებმა კარგა ხნით მტკიცედ ჩაკეტეს ოსეთის ხეობებიდან საქართველოში შემოსასვლელი ორივე კარი (*დარიალი, კასრის-კარი*) და გარკვეული ხნით შეაჩერეს ოსთა საქართველოში მიგრაცია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ოსებს უფრო ადრეც ჰქონდათ მცდელობა საქართველოში დამკვიდრებისა. მაშინაც ისინი უცხო ძალას ეყრდნობოდნენ, მაგალითად, IX საუკუნის შუა ხანებში არაბმა მხედართმთავარმა *ბულა თურქმა* დარიალის გადმოსასვლელით 100 ოჯახი ოსი შემოიყვანა და ქვემო ქართლში, ანუ სამხრეთ საქართველოში, შიდა ქართლიდან საკმაოდ დაშორებით, ქალაქ *დმანისში* დაასახლა. წყაროებით არ ჩანს შემდგომში რა ბედი ეწია ეთნიკური ოსების ამ 100 ოჯახს. სავარაუდოდ ისინი ან მალევე ასიმილირდნენ ქართველთაგან ან გავიდნენ საქართველოდან. XIII საუკუნის შუა ხანებში მონღოლთა ხანის ბრძანებით მეფე დავით VII-ემ მიიღო მონღოლთა მოკავშირე ოსთა სამხედრო რაზმები და საცხოვრებლად *დმანისი* და *ყინვანი* მისცა. არც ამ სამხედრო რაზმების შემდგომი ბედია ცნობილი. ყოველ შემთხვევაში არავითარი ოსური ეთნიკური ანკლავი ქართული წყაროებით ამ ქალაქებში არ ჩანს.

კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული საქართველოს პროვინციაში – დვალეთში ოსების შემოსახლება XV საუკუნის ბოლოდან იწყება. ეს პროცესი აქ ძირითადად განხორციელდა XVI საუკუნეში, XVII საუკუნეში კი დვალეთში დასრულდა ადგილობრივ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის (ტერიტორიული ერთეულის) – დვალების ასიმილაცია ოსების მიერ. მაგრამ, როგორც ბ. კალოევის მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, დვალეთის ზოგიერთ ხეობაში, მაგალითად, ზახაში ორენოვნება დიდხანს იყო შემორჩენილი. ზახელების უმეტესობამ ქართული ენა კარგად იცოდა. დასახელებული ავტორი ამას საქართველოსთან ხანგრძლივი ეთნოკულტურული კავშირებით ხსნის, აგრეთვე, ზახის ეკლესიებში ქართული სასულიერო პირების მოღვაწეობითა და მათ მიერ ქართულ ენაზე ქადაგებით. ეს მასალა პირდაპირ მიუთითებს არა ორ სხვადასხვა

ეთნოსს შორის არსებულ ეთნოკულტურულ კონტაქტებზე, არამედ იმაზე, რომ დვალები ქართველი მთიელები იყვნენ და მოსულმა ირანულენოვანმა ერთობამ მათი ასიმილაცია მოახდინა. ზახაში ქართული ეკლესიების არსებობა, ქართველი მღვდლების მოღვაწეობა და ქართულ ენაზე ქადაგებაც იმის დამადასტურებელია, რომ დვალეთი ქართული მხარე იყო თავისი ქრისტიანული რელიგიით. იმავე ბ. კალოევს თავის ნაშრომებში იმის დამადასტურებელი მასალაც მოაქვს, რომ XVIII საუკუნის ბოლოსაც დვალეთის მკვიდრნი საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ჯარში ისევე იბრძოდნენ, როგორც სხვა მხარეების წარმომადგენლები. ოსების დვალეთში დასახლებამდე, ოსების მოწოლის, თარეშის, ლაშქრობების გამო, დვალების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა მხარეში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, რაჭა) განსახლდა. ადგილზე დარჩენილი დვალები, ოსთა ეთნიკურენობრივ გარემოში ამ უკანასკნელთა აქ ჯგუფური შემოსახლებისა და სწრაფი გამრავლების შედეგად ასიმილირებულ იქნენ. ქართველი მთიელი დვალები იყვნენ წარმოშობით: *ხადურები, ჩიფჩიურები, ბიგულები, თვაურები, ჩოჩოურები* (იგივე *ჩოჩიშვილები*), *ბელელურები, გუდიაურები, ბაგაურები, გერგაულები, თაბაურები, ხერხეულიძეები, ქესაურები, ფარუხაულები;* აგრეთვე: *ბიგანები* (*ბიგანიშვილები*), *ხაბარელები, ხეთერელები, ხაჩიძეები* (ადრინდელი *ხაჩიურები*). რაც შეეხება ნარ-მამისონის ქვაბულში (ანუ დვალეთში) მოსახლე ყველაზე დიდ ოსურ გვარს *ხეთაგურს* (*ხეთაგურებს*), მათი წინაპარი აქ ყაბარდოდან იყო მოსული და, ბუნებრივია, ქართულ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გვარსახელიც -ურ სუფიქსით გაიფორმეს. შემდეგ ოსურ ეთნიკურ გარემოში ეს გვარიც გაოსდა.

ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე – დვალეთში ოსებმა ძალით რომ გაიკაფეს გზა, მათ აქ დასალებას თავდასხმები რომ უძღოდა წინ, კარგად ჩანს ფოლკლორული მონაცემებითაც. მხედველობაში გვაქვს ხალხური ლექსი *„ძღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი“*, რომელიც სწორედ დვალეთის მეზობელ, საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – რაჭაშია შექმნილი. ამიტომაც ამ ლექსის, როგორც საისტორიო წყა-

როს მნიშვნელობა, ძალზედ დიდია. პირველ რიგში უნდა აღვ-ნიშნით, რომ ხალხური ლექსით კარგად ჩანს, რომ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინცია – დვალეთი, ოსეთში არას-დროს არ შედიოდა და რომ დვალეთში ოსებმა დასახლება ბრძო-ლით შეძლეს:

„ძალლა მთას მოდგა
უცხო ფრინველი
თეთრი ფრთოსანი.
ჟღელეს ჩამოდგა
დიდი ლაშქარი,
დიდი ლაშქარი – ***ოსი*** და ***დვალი.***
ომი შეიქნა ცისკრისა ჟამსა,
ცისკრისა ჟამსა, გათენიასა:
ქნევა ხმლისა, ძგერა შუბისა.
ხმალი ორპირი სისხლში სცურავდა,
შუბის ნალეწი ზეცას ცვიოდა,
მესამე დღესა ჩამოცვიოდა.
ვაჟკაცთ ყვირილით მიწა იძროდა,
სისხლისა ღვარსა კაცნი მოქონდა.
ჯაფარ გაიქცა, ვით რომ კაკაბი,
ოსი მისდევდა, ვით რომ არწივი.
ჯაფარ, ვერ წახვალ
შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან
ლაშქრულს ანბავსა,
ლაშქრულს ანბავსა,
წითელ კაბასა,
სიტყვა გათავდა, ჯაფარ წაიქცა,
ჯაფარ წაიქცა სვეტი ოქროსი.
ომი გათავდა, ომი გათავდა,
აგერ მოდიან მოწიფულები.
ჯაფარ მოაყვე:
თავი გოდრითა,
ტანი ლასტითა,
წვრილი წელები –

ხელკალათითა“.

ხალხურ ლექსში ასახულია დვალეთში შემოჭრილი ოსების ბრძოლა ადგილობრივ დვალებთან. სამოსახლო ტერიტორიებს დვალეთში ოსები ბრძოლით მოიპოვებენ. ოსები დვალებთან ბრძოლაში იმარჯვებენ. მრავალი დვალი დაიღუპა. გადარჩენილები კი მამა-პაპათა საცხოვრისიდან გაიქცნენ (და დასახლდნენ შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, რაჭაში, ზემო იმერეთში, სამცხეში). ***დვალთა ერთ-ერთი ლიდერი ჯაფარი დამარცხდა რა უთანასწორო ბრძოლაში, ის გაიქცა, „ვით კაკაბი“. გაქცეული ჯაფარი, რომელიც დვალებს ანსახიერებს, ოსებმა აკუწეს.*** რაც შეეხება იმას, რომ ეს ბრძოლა ნამდვილად მოხდა, კარგად ჩანს ხალხური ლექსიდან. ლექსში ნახსენები ორივე ტიპონიმი („მაღლა მთა“ და „ჟღელე“, სადაც ბრძოლა მოხდა) დვალეთშია. „მაღლა მთა“ ეს იგივე „მაღლა დვალეთია“. ასეთი გეოგრაფიაული ერთეული ნახსენები აქვს იოანე ბაგრატიონს. „ჟღელე“ კი დვალეთის ექვსი ხეობიდან ერთ-ერთი ხეობაა, რომელიც გეოგრაფიულად მთიან რაჭასთან ახლოსაა (მთიანი რაჭის სოფელ გლოლადან დვალეთის ჟღელეს ხეობაშია გადასასვლელი). ლექსის რამდენიმე ვარიანტში ნახსენებია ტოპონიმი „ქალაქა“. „ქალაქაც“ დვალეთის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი იყო. ლექსში ნახსენები „უცხო ფრინველი თეთრი ფრთოსანი“, რა თქმა უნდა, საომრად მოსული ოსები იყვნენ, რომლებიც დიდი ლაშქრით დაუპირისპირდნენ ადგილობრივ დვალებს. ხალხური ლექსიდან აშკარაა, რომ ერთმანეთს უპირისპირდება ორი ერთმანეთისათვის უცხო ხალხი: ბრძოლით მოსული ოსები და ადგილობრივი, ქართველთა ტერიტორიულ-ლოკალური ჯგუფი – დვალები. ამ ლექსით საფუძველი ეცლება ოსი ავტორების „მტკიცებას“, რომ დვალები ოსები იყვნენ. ლექსში ასახული ბრძოლის შემდეგ მოხდა სწორედ მოსახლეობის ეთნიკური შეცვლა საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ უძველეს პროვინციაში დვალეთში.

ოსური გადმოცემებიც ადასტურებენ, რომ ოსური ეთნოსი დვალეთში ბრძოლით არის მოსული. ადგილობრივ მოსახლეობას ისინი ებრძოდნენ, ამარცხებდნენ და ისე იკავებდნენ მათ საცხოვრებელ ადგილებს. ასეთი გადმოცემების საშუალებით შეიძლება დავა-

დგინოთ დვალეთის ადგილობრივი და მოსული ოსური გვარები. დვალეთში ფეხის მოკიდების შემდეგ ოსებმა შიდა ქართლის მთიანეთში გადმოინაცვლეს.

ნარ-მამისონის ქვაბულში (ანუ ისტორიულ დვალეთში) XVIII საუკუნისთვის განსახლებული ოსური გვარები ძირითადად ალაგირის ხეობიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. ხოლო თაგაურელი ოსები მასობრივად მიგრირდნენ თერგის ხეობის სათავესა (თრუსო) და საქართველოს სამხედრო გზის რაიონში. მკვლევართ შენიშნული აქვთ, რომ ოსეთის ხეობებიდან ალაგირის ხეობა ყველაზე ნაკლებ ნაყოფიერი იყო, რაც ალაგირელთა ინტენსიური მიგრაციის ძირითადი მიზეზი იყო. ვერ გაექცა დვალეთელი ოსების კავკასიურ საფუძველზე წარმოქმნის უტყუარ მასალას ბ. კალოევი, რომელიც აღნიშნავს, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ ალანების მიერ ადგილობრივი კავკასიური ტომების დვალების ასიმილაციის გზითო, თუმცა დვალების ეთნიკური ქართველობის აღიარება უჭირს.

საერთოდ, ოსების შიდა ქართლში მიგრაცია ძირითადად დვალეთის გზით ხორციელდებოდა. დვალეთში მოსახლეობის ეთნიკურ ცვლილებას, ამ პროვინციის საქართველოდან ჩამოცილება არ მოყოლია. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთელ მანძილზე და რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგაც დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. 1858 წლის 3 აპრილის კავკასიის მეფისნაცვლის *ა. ბარიატინსკის* ბრძანებით დვალეთი, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ ნარას უბანი, თანამედროვე ნომენკლატურით *ფიაგდონისა* და *არდონის* სათავეები (შედიოდა თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში), რომლის ფართობიც 3. 581 კვ. კმ.-ს შეადგენდა ჩრდილოეთ კავკასიის თერგის ოლქის „ოსეთის სამხედრო ოლქს“ შეუერთდა. 1858 წლით დათარიღებულ ერთ დოკუმენტში დვალეთის ზახას ხეობაში მცხოვრები აბაევები აღნიშნავენ, რომ მათი წინაპრები ერთგულად ემსახურებოდნენ ქართველ მეფეებს, იცავდნენ მათ ურჯულო ლეკებისა და სპარსელებისაგან. ბ. კალოევის მიერ მოხმობილი ეს საბუთი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ დვალეთი, მიუხედავად აქ მოსახლეობის ეთნიკური ცვლისა, მუდმივად საქართველოს განუყოფელი ნაწილი

იყო. ქართული წყაროებით დვალეთი ყოფელთვის საქართველოს განუყოფილი ნაწილი იყო. ვახუშტი ბაგრატიონიც აღნიშნავდა, რომ **დვალეთი მეფე ფარნავაზის დროიდან (IV–III საუკუნეების მიჯნა) შემოდიოდა საქართველოს შემადგენლობაში.** ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეებიც, დვალეთიც უშუალოდ სამეფო კარის დაქვემდებარებაში იყო, აქ ფეოდალური ერთეული – სათავადო არ შექმნილა. მათი მოვალეობა ძირითადად საზღვრების დაცვა იყო. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, XV საუკუნის მეორე ნახევრიდან დვალეთი ქართლის სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო. მხარეს მეფეთა მიერ დანიშნული მოხელეები – მოურავები განაგებდნენ. დვალეთის მოურავი XVII საუკუნის დასაწყისში იყო გიორგი სააკაძე.

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი დასახლებები ჩნდება თრუსოსა (მდ. თერგის სათავე) და მაღრან-დვალეთში (მდ. დიდი ლიახვის ხეობის სათავე). ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან XVII საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ოსებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკავებული შიდა ქართლის მთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ისინი აქ მხოლოდ დიდი ლიახვის ხეობის სათავეში (მაღრან-დვალეთში, რომელიც ცხრა „მთური სოფლის“ ერთობლიობას წარმოადგენდა) იყვნენ მიგრირებული. მთელი რიგი საისტორიო მონაცემებით, XVII საუკუნის პირველ ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი და პატარა ლიახვების ხეობები) ნასოფლარებით იყო მოფენილი. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა აქედან აყრილი და ბარში იყო საცხოვრებლად წასული. ვახუშტი ბაგრატიონი ხაზგასმით წერდა, რომ დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ოსები ქართველთა ნასახლარებზე იყვნენ დასახლებულნი: **„ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომთა მეპატრონეთა მათთგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან“.**

შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, მდინარეების დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ზემო წელში, ოსთა მიგრაცია ხდება

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. საქართველოში ნამყოფი რუსი ელჩის *მ. ი. ტატიჩევის* (1604–1615) ჩანაწერით, ჩერქეზეთსა და საქართველოს შორის მხოლოდ 200-სულიანი ოსური დასახლება არსებობდა. დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ზემო ჯავაში XVII საუკუნის შუა ხანებში ოსური მოსახლეობა რომ ჯერ კიდევ არ მკვიდრობდა, ჩანს ერთი დოკუმენტიდან. საბუთში წერია, რომ **„ამოწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან, ღმერთი იყოს მოწამე ასრე ამოწყდა, რომ კაცის ნაშენები აღარა იყო რა“.** საბუთში ლაპარაკია, რომ ზემო ჯავაში ადგილობრივი მოსახლეობა ოსთა თავდასხმებისა და მეკობრეობის შედეგად ამოწყდა. გაუკაცრიელებულ ზემო ჯავას ერთი ფეოდალისაგან მეორე ფეოდალი ყიდულობს. ამავე დოკუმენტში ამოწყვეტილ ქართულ გვარებზეცაა საუბარი. მიუხედავად ამისა, ოსმა ისტორიკოსებმა ის დამახინჯებულად თარგმნეს, რომ თურმე ზემო ჯავაში ოსური მოსახლეობა ამოწყდა: «Вымерла Верхняя Джава и не стало там осетин…». სინამდვილეში თარგმანი ასეთი უნდა ყოფილიყო: «Вымерла Верхняя Джава и опустошена (буквально: обезлюдена) осетинами… так вымерла, что никаких признаков людской жизни там не было». ამ დოკუმენტის მიხედვით ზემო ჯავის მკვიდრნი იყვნენ *ძიგანიძეები, ეფენიაშვილები, გურჯიშვილები.* ***1634–1658 წლების საბუთით მეფე როსტომი თავის მოხელეებს უბრძანებს, რომ არაფერი დაეშავებინათ ოსეთიდან აყრილი და ჯავის ზემოთ დასახლებული ოსებისათვის და თუ ვინმე კვლავ ჩამოსახლდებოდა ოსეთიდან, არც მისთვის შეეშალათ ხელი.*** უფრო ადრინდელი, XVI საუკუნის მეორე ნახევრის საბუთით ჯავის მკვიდრნი ყოფილან *გარაყანიძეები.* აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი მეფეები და თავადები ზოგჯერ თვით იწვევდნენ ოსებს დასასახლებლად ქართველთა ნასახლარ-ნასოფლარებში. ამის დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტი არსებობს. ოსები საქართველოში XVII საუკუნის შუა ხანებიდან რომ არიან მიგრირებულნი, ამას მათი გადმოცემებიც ადასტურებს – ყველა გვარს აქვს გადმოცემა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში 10–12 თაობის წინ გადმოსახლების შესახებ. ოსების საქორწინო ასაკს თუ გავითვალისწინებთ, ერთ საუკუნეში მხოლოდ ოთხი თაობა იბადებოდა. რეალურად ეს გადმოცემები წყაროებსა და დოკუმენტებთან სრულ

თანხვედრაშია: მიგრაცია XVII საუკუნეების შუა ხანებიდან განხორციელდა. თუმცა ოსმა მეცნიერებმა გამოსავალი აქაც მოძებნეს – ეს მიგრანტები ბოლო, მეორე ტალღის მიგრანტებად მონათლეს და „უწინდელი ოსების“ ცნება შემოიტანეს, რომლებიც, თურმე უფრო ადრე იყვნენ საქართველოში გადმოსახლებულნი და ქართველებმა ისინი გააქართველეს. საამისოდ ასამდე ქართული გვარსახელის მატარებელნი ძირად ოსებად მიიჩნიეს, ანუ მათებური ტერმინი რომ ვიხმაროთ, „უწინდელ ოსებად“.

ოსები თანდათან მოიწევენ სამხრეთისაკენ და XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის ითვისებენ დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვი ხეობათა მთიან ზოლს. გიულდენშტედტის მიხედვით, აქ, აღნიშნულ პერიოდში, ზოგიერთ მთიან სოფელში ოსები თანაცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ ქართულ მოსახლეობასთან ერთად.

XVIII საუკუნის მთელ მანძილზე ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში, ფაქტობრივად, არსად არ იყვნენ განსახლებული. ოსთა მიერ შიდა ქართლის მთისწინეთის ნასოფლარებში ჩასახლება იწყება XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში.

XVIII საუკუნის დასაწყისში ოსები სახლდებიან ჯეჯორის ხეობის სათავეში (*კუდარო*) და ქსნის ხეობის სათავეში (*ჟამური*). ჟამურში ოსთა მიგრაცია ხდება, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან, ისე დიდი ლიახვის ხეობის მთიანი ზოლიდან. სხვათა შორის, ცნობილი ოსი მეცნიერი *ვ. აბაევიც* აღნიშნავდა, რომ ქსნის ხეობაში ოსები სულ ორასი წლის დასახლებული არიანო. კუდაროში ისინი ძირითადად მიგრირებულნი არიან დვალეთიდან. შიდა ქართლის მთიანეთში ოსები ჯერ ესახლებიან დიდი ლიახვის ხეობაში, შემდეგ პატარა ლიახვის ხეობაში, ქსნის სათავეში (*ჟამურში*). XVIII საუკუნის დასაწყისში მცირე რაოდენობით ოსური მოსახლეობა ჩნდება მეჯუდას ხეობის სათავესა და ისროლისხევში. მეჯუდას ხეობის სათავეში ისინი პატარა ლიახვის ხეობის სათავიდან გადმოდიან. XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის ოსები რომ მხოლოდ შიდა ქართლის მთიანეთში, უვენახოუხილო ადგილებში მკვიდრობდნენ კარგად ჩანს ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს ატლასიდან. ოსთა დასახლებები მას 8-ით აქვს აღნიშნული.

XVIII საუკუნის ბოლოსათვის სამხრეთით ოსთა განსახლების უკიდურესი პუნქტები იყო (დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით): **კუდარო** (მდინარე ჯეჯორის სათავე რაჭაში) – **გუფთა** (მდ. დიდი ლიახვის ხეობა) – **აწერისხევის ხეობის ზემოთ** (პატარა ლიახვის ხეობაში) – **მეჯუდის ხეობის სათავეში ორი სოფელი – ჟამური** (ქსნის ხეობის სათავე) – **ღუდა** (მდ. თეთრი არაგვის ხეობის სათავე მთიულეთში) – **თრუსო** (მდ. თერგის სათავე). **XVIII საუკუნის ბოლოსათვის ოსები საერთოდ არ იყვნენ ლეხურას ხეობაში, მეჯუდას ხეობაში (მისი სათავის გამოკლებით), ქსნის ხეობის მთიანეთის დიდ ნაწილში, ფრონეების ხეობაში.** სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც ვახუშტი ბაგრატიონის დროს, ისე XVIII საუკუნის დასასრულს, ოსები საქართველოს ცალკეული ხეობების მხოლოდ „უვენახო-უხილო“ ზონაში ანუ „მთის ადგილებში“ ცხოვრობდნენ.

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ოსები იკავებენ პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს. ამ პერიოდიდან და განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ათეულ წელს ხდება ოსთა გაჟონვითი ანუ ინდივიდუალური განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში. ამ დროისათვის ოსთა ასეთი განსახლება განსაკუთრებით განხორციელდა პატარა ლიახვის ხეობის მთიანი მონაკვეთიდან (XIX საუკუნეში ოსთა მთიდან მთისწინეთსა და ბარში გადანაცვლების ფაქტები ახნუსხულია 1818, 1830, 1840, 1860, 1873, 1886 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერის დავთრებსა და საოჯახო სიებში).

XVIII საუკუნის დასასრულიდან ფაქტობრივად შეწყდა ოსთა მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან საქართველოს მიმართულებით, რადგან რუსეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ მათ დასახლების საშუალება მისცა ჩრდილოეთ კავკასიის ბარის რაიონებში. განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ დვალეთის ოსური მოსახლეობა, რომლებსაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაცია არ შეუწყვეტიათ თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე. საერთოდ, ოსების საქართველოს ტერიტორიაზე განსახლება უმეტესად დვალეთის გზით ხო-

რციელდებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან დვალეთში შემოსახლებულები გარკვეული ხნით აქ დამკვიდრების შემდეგ შიდა ქართლის მთიანეთში გადმოდიოდნენ საცხოვრებლად. თუმცა არაერთი ფაქტია დადასტურებული ოსთა გადმოსახლებისა უშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან, განსაკუთრებით მიგრაციის ადრეულ, საწყის ეტაპზე.

სინამდვილეს არ შეესაბამება ზოგიერთი ავტორის მტკიცება XVII–XVIII საუკუნეებში შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში ოსთა განსახლების შესახებ. XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება ოსთა მიგრაცია ფრონეების ხეობაში, მეჯუდას ხეობაში, ლეხურას ხეობაში და ქსნის ხეობის მთიანეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში. ფრონეების ხეობაში ოსების მიერ ქართველთა ნასოფლარებში დაფუძნება ხდება ძირითადად დიდი ლიახვის ხეობიდან, თუმცა, თვალშისაცემია, რომ პირველი ოსი მიგრანტები ფრონეების ხეობის ქართველთა ნასოფლარებში დვალეთიდან წამოსული ოსები იყვნენ. პატარა და დიდი ლიახვის ხეობებიდან გადმოდის მოსახლეობა მეჯუდას ხეობაში. ლეხურას ხეობაში ოსების მიგრაცია ძირითადად ქსნის ხეობიდან (ჟამური, ჭურთა) ხდებოდა. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის პირველ სამ ათეულ წელს, ლეხურას, მეჯუდასა და ფრონეების ხეობებში ოსთა დასახლკარებას ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია. ინტენსიურად ამ ხეობების მოშენება ძირითადად მოხდა XIX საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, ვიდრე 1880-იან წლებამდე.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩნდება თითო-ოროლა ოსური ოჯახი შიდა ქართლის გაღმამხარში, სადაც მათი მიგრაცია ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდნენ ოსები დღევანდელი ბორჯომის რაიონში (გუჯარეთის ხეობა).

კახეთსა და ქვემო ქართლში ოსები შიდა ქართლის მთიანეთიდან XX საუკუნის დასაწყისში გადასახლდნენ. XX საუკუნის ბოლო საბჭოთა აღწერით, ოსების რაოდენობა საქართველოში 164 ათასი კაცი იყო. ამ რაოდენობიდან „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე მხოლოდ 65 ათასი ეთნიკური ოსი ცხოვრობდა. თითქმის 100 ათასი კი დანარჩენი საქართველოს ტე-

რიტორიაზე მკვიდრობდა, ზოგან კომპაქტურად, ზოგან ქართულ მოსახლეობაში შერეულნი. 1886 წელს ეთნიკური ოსები 72.000-ს ითვლიდნენ. XVIII საუკუნის დასასრულს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე 2.130 კომლი (15.000 სული) ოსი ცხოვრობდა. ზოგიერთი ოსი ავტორი კი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ოსთა რაოდენობას ხან 6.000 და ხან 7.000 კომლით განსაზღვრავს, რაც არარეალურია და წყაროთა მონაცემებს არ ითვალისწინებს. სინამდვილეში, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამ ეთნოსის რაოდენობა 2.130 კომლი იყო. საერთოდ, მთელი XIX–XX საუკუნეების განმავლობაში ოსების პროცენტული რაოდენობა საქართველოში 3-დან 4-მდე მერყეობდა.

ოსების საქართველოში შემოსვლა და დასახლება მთლად მშვიდობიანი არ იყო. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მომწყვდეულმა ოსებმა ზოგჯერ ძალით გამოიკაფეს გზა. განსაკუთრებით ეს ითქმის მიგრაციის ადრეულ ეტაპზე როგორც დვალეთში, ისე შიდა ქართლის მთიანეთში. საისტორიო საბუთებით, გადმოცემებითა და ფოლკლორული მასალებითაც აშკარაა, რომ ადგილობრივი მთიელი ქართველი გლეხები ოსთა თავდასხმებით შეწუხებულნი, სტოვებდნენ მამა-პაპათა საცხოვრებელ ადგილებს და ბარში სახლდებოდნენ. ბარში კი მათთვის ამ თვალსაზრისით, ხელსაყრელი ვითარება იყო. მტერთა ხშირი თავდასხმებისაგან, შიდა ქართლის მთისწინა და ბარის რეგიონები დემოგრაფიული თვალსაზრისით კატასტროფამდე იყო მისული.

დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა მიგრაციას ერთგვარად ხელი შეუწყო აგრეთვე, იმდროინდელი საქართველოს სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ. მტერთა ხშირი თავდასხმებისაგან დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველო ვეღარ ახორციელებდა კონტროლს ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსასვლელ ჩამკეტ კარებებზე – **კასრის კარზე** და **დარიალზე**. სხვათა შორის, კასრის-კარი დვალეთის ჩრდილოეთით მდებარეობდა, საიდანაც ოსეთში იყო გასასვლელი. მის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: **„და არს აქ კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, დიდკამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი“**.

მომდევნო პერიოდისათვის (XVIII საუკუნე) იმდენად დაეცა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და იმდენად კატასტროფული შეიქმნა დემოგრაფიული სიტუაცია შიდა ქართლში, რომ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურები (მეფე, თავადები) თავად უწყობდნენ ხელს და ხშირად იწვევდნენ ოსებს საქართველოში დასასახლებლად. მაგალითად, იოანე ბაგრატიონის მიხედვით, სოფელ *დიღომში* ოსებს უცხოვრიათ. დიღომთან ოსების დროებით მკვიდრობის დამადასტურებელია XIX საუკუნის დასაწყისის სოფელ დიღმის მოსახლეობის კამერალური აღწერები, რომლებშიც არც ერთი კომლი ოსი და ოსურძირიანი გვარი არაა მითითებული, აგრეთვე 1799 წლის ერთი საბუთი, რომელიც გაცემულია მეფე *გიორგი XII-ის* მიერ თაგაურელი ოსებისადმი. საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ თაგაურელ ოსებს გამოუთქვამთ სურვილი საქართველოში გადმოსახლებისა. ამისათვის მეფეს ოსეთში გაუგზავნია აზნაური *ნინია გაბაშვილი*. გადმოსახლების მსურველ ოსებს მეფე უთვლის, რომ თქვენ იქნებით ჩვენი სახსო გლეხებიო და სხვას არავის ექნება თქვენთან საქმეო. პირველ ხანებში თქვენ უნდა მოხვიდეთ დიღომში და გაჩერდეთ აქ, შემდეგ კი შეგირჩევთ კარგ ადგილს, რომელიც მოგეწონებათ. სანამ ხვნა-თესვას მოეკიდებით, ჩვენ მოგეხმარებით სურსათ-სანოვაგის მომარაგებაში. დიღომთან ოსებით დროებითი მკვიდრობა ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება. XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე აქ 32-33 კომლ ოსს უცხოვრია. იმის გამო, რომ ოსები ქურდობდნენ (დიღმელ გლეხებს ჭაპანი და ღვედიც არ დაუტოვეს), დიღმელ გლეხებს ოსები სახრეებითა და კეტებით გაუყრიათ. მათ ოსები ბებრისციხემდე მიუცილებიათ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთისწინეთის არაერთ სოფელში ოსთა ერთ თაობაზე მეტს არ მოუწია ცხოვრება. მთისა და მთისწინეთის ამა თუ იმ სოფელში მცირე ხნით მკვიდრობის შემდეგ, ოსები უფრო სამხრეთით ეშვებოდნენ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის მასალებზე თვალის გადევნებით. XIX საუკუნის დასაწყისში მთისწინეთის სოფლებში დასახლებულნი, ამავე საუკუნის შუა ხანებიდან ინტენსიურად გადადიან საცხოვრებლად ბარის სოფლებში. ასე რომ,

XVIII საუკუნის ბოლოდან და XIX საუკუნის მთელ მანძილზე საქართველოს მაღალმთიანეთის სოფლებიდან დაბლობის მიმართულებით, ოსთა თანდათანობითი, ინტენსიური წინ წამოწევა აშკარაა, რასაც უდავოდ მიესადაგება ქართულ ისტორიოგრაფიაში ხმარებული ტერმინი „ჩამოწოლა“. იმდენად დიდი მოძრაობა ახასიათებდათ ოსებს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბარის სოფლებში დასახლებულნი, ბარისავე სხვა სოფლებში გადადიოდნენ საცხოვრებლად. 1886 წლის საოჯახო სიებით, მდინარეების დიდი და პატარა ლიახვის ხეობების 76-ზე მეტი მთის სოფლიდან XIX საუკუნის 60–70-იან წლებში 1.340 კომლზე მეტი ოსი აყრილა და ბარის სხვადასხვა სოფელში დამკვიდრებულა.

ოსები რომ დიდი ხნის ჩამოსახლებულნი არ იყვნენ შიდა ქართლის მთიანეთში, ამის დამადასტურებელია მათი სოციალური მდგომარეობაც. XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში დიდი ლიახვის ხეობაში მოსახლე ოსების საკმაოდ დიდი ნაწილი ხიზნებადაა ჩაწერილი. **ხიზანი კი, როგორც ქართული საისტორიო წყაროებითა და სათანადო გამოკვლევებით ცნობილია, საკუთარი სამკვიდრებლიდან აყრილი და სხვაგან თავშეფარებული გლეხია.** ხიზანი ფეოდალურ საქართველოში გლეხის გარკვეული კატეგორია იყო, რომელიც ყმა-გლეხისაგან განსხვავებით პირადად თავისუფალი იყო და მისი დამოკიდებულება ფეოდალ-მემამულეზე ამ უკანასკნელის მიწა-წყლით სარგებლობით განისაზღვრებოდა. ხიზანი წყაროებში ყოველთვის დაპირისპირებულია მკვიდრ მოსახლეობასთან, რადგან ის მოსული გლეხი იყო.

დვალეთი და შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი რომ ოსთა საცხოვრისი არ იყო და რომ აქ ქართველები მკვიდრობდნენ, ეს აშკარად დასტურდება ისეთი მონაცემებით, როგორიცაა ოიკონიმები (სოფლის სახელები). აქ დათარიღებული არც ერთი ტოპონიმი ოსური არაა. სოფლები ქართულ გამჭვირვალე სახელწოდებებს ატარებდნენ, მხედველობაში გვაქვს როგორც ტოპონომთა ძირები, ისე მათი მაწარმოებელი სფიქსები. მხოლოდ მთის სოფელთა რამდენიმე სახელწოდების ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით: *საცხენისი, ედემქალაქი, ბელოთი, აწერისხევი, ინაური, ჩაბარუხეთი, წიფორი, შამბიანი, ისროლისხევი, ქოლოთი, ქვითკირი, მო-*

ხისი, ბიეთი, ანდორეთი, გუფთა, პატარა ჯავა, ზემო ჯავა, სხლეები... დვალეთი რომ ეთნიკურად ქართული იყო, კარგად ჩანს XV საუკუნიის დასაწყისის მინაწერით *ღუდის* (*ღუნდის*) სახარებაზე. სახარება „თათრობის“ დროს დაკარგულა. ის *ივანე ხოროულს* უპოვია. შემდეგ კი სახარება გასაყიდად დვალეთში *ფარუხაულის* გვარის კაცს დედამისისთვის გაუგზავნია. მინაწერით დასტურდება, რომ დვალეთი ქართული მხარე იყო ქართული საღვთისმეტყველო ენით, სადაც მოთხოვნილება იყო ქართულ სახარებაზე, სადაც ქართულ სახარებას მყიდველი ყავდა.

საბჭოთა პერიოდის „სამხრეთ ოსეთი“ რომ ძველთაგანვე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და რომ აქ მხოლოდ გვიანობამდე ქართველები მკვიდრობდნენ, ამის დამადასტურებელია რამდენიმე ათეული ქართული ქრისტიანული არქიტექტურული ძეგლი, რომლებიც V–XVIII საუკუნეებით თარიღდება და მრავალი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზეა შესრულებული და რომლებიც საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ ვითარებას ასახავენ. იქნებ ვინმემ დაასაბუთოს, რომ ქსნის ხეობის სათავეში, ჟამურის თემში არსებული ციხე – „ბერციხე“ ქართველების აგებული არ არის? აქვე გავრცელებულია მხოლოდ შიდა ქართლის მთიანეთისათვის დამახასიათებელი ნალის ფორმის ე. წ. „ზურგიანი კოშკები“, რომლებსაც უკანა, მთისაკენ მიქცეული მხარე მომრგვალებული აქვთ. მსგავსი ტიპის კოშკები ოსთა სამშობლოში – ჩრდილოეთ კავკასიაში არსად დადასტურებული არაა, ისინი მხოლოდ საქართველოს ხუროთმოძღვრებისათვისაა დამახასიათებელი შემორჩენილია ასეულობით შუა საუკუნეების საისტორიო საბუთი, რომლებიც შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს (საბჭოთა პერიოდის „სამხრეთ ოსეთს“) ეხება. ამ დოკუმენტებში მხოლოდ ეთნიკური ქართველები არიან დასახელებული. ამ ტერიტორიაზე, ლარგვისის მონასტერშია დაწერილი XIV–XV საუკუნეების მიჯნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართული საისტორიო ძეგლი, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე – „ძეგლი ერისთავთა.“

ეკლესიურად დვალეთიცა და შიდა ქართლიც ორგანიზაციულად მთლიანად ნიქოზის საეპისკოპოსოში შედიოდა. ვახუშტი წერს,

რომ დვალები „აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად“, ე. ი. მათი ენობრივი ტრანსფორმაცია დასრულებული იყო, თუმცა თვითმხილველი-ისტორიკოსი იმასაც აღნიშნავს, რომ დვალეთში მცხოვრები ზოგიერთი ოსი, რომელიც ქართლსა და რაჭას დაიარება, ქართულადაც ლაპარაკობსო. დვალეთში ცოტა არ იყო ქრისტიანული კულტურის ძეგლები, თუმცა აქ მთისათვის დამახასიათებელი ქრისტიანობამდელი სალოცავებიც იყო, რომლებიც ოსურ ენაში ქართული ტერმინით „ძუარ“ (=ჯვარი) აღინიშნებოდა. ეს ქრისტიანობამდელი სალოცავები დვალეთში დასახლებულ ოსებს ადგილობრივი მთიელი დვალებისაგან ჰქონდათ შეთვისებული. მაგალითად, „ათინაგის ძუარი“ შეიძლება დავასახელოთ. ათენგენობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული დღესასწაული იყო, განსაკუთრებით ხევსურეთსა და თუშეთში.

XIX საუკუნის ყველა აღწერით ცხინვალში არც ერთი ეთნიკური ოსი არ ცხოვროდა. ამჯერად მხოლოდ 1818, 1830, 1860, 1873 და 1886 წლების საარქივო მასალების მითითებით დავკმაყოფილდებით. მხოლოდ 1830 წლის ცხინვალის აღწერაშია ერთი ოჯახი ეთნიკური ოსი (ხუთი სული) მითითებული, რომლებიც აქ მთიდან 1828 წელს მოსულან და მალევე აქედანაც აყრილან. ცხინვალი 1886 წლის საოჯახო სიებით კვლავ დასახლებული იყო ქართველებით და ქართულენოვანი სომხებითა და ქართველი ებრაელებით (XIX საუკუნის I მესამედის ავტორის *აიხვალდის* მიხედვით, **„ოსები ცხინვალის იქითა მხარეს, მთებში ცხოვრობდნენ. ადრე ისინი ცხინვალს გაუთავებლად ძარცვავდნენ და ხოცავდნენ. ახლა კი ქართველებს, ცხინვალის მოსახლეობას თავს ანათვლინებენ“)**. პირველად მხოლოდ 1922 წლის მონაცემებითაა ქალაქ ცხინვალში დაფიქსირებული ოსური მოსახლეობა – 613 სული, 1926 წელს აქ უკვე 1.152 სული ოსი ცხოვრობდა (ქალაქის მოსახლეობა მთლიანად 1926 წელს 5.352 სულს შეადგენდა). ეს მატება, რა თქმა უნდა, მექანიკური მატების ხარჯზე ხდებოდა. ცხინვალში ოსურმა მოსახლეობამ ქართულ მოსახლეობას მხოლოდ მაშინ გადააჭარმა, როდესაც აქაური ქართველი ებრაელები საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებში ისრაელში წავიდნენ და მათი სახლები კი ჯავის რაიონიდან ჩამოსახლებულმა ოსებმა დაიკავეს.

III.10. კახეთიდან მოსახლეობის აყრა და ირანში ძალადობრივი გადასახლება

ქართულ ეთნოსს ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების გარდა დიდი და აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა ირანმაც. განსაკუთრებით ეს ითქმის *შაჰ-აბასის* შესახებ. შაჰ-აბასის მიზანმიმართულმა ქმედებებმა კახეთი დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დააყენა. აღმოსავლეთ კახეთში ანუ დღევანდელ საინგილოში მოსახლეობის ეთნიკური ცვლა ქართველთა აყრამ და ირანში გადასახლებამ გამოიწვია. აქ ლეკები „ჩამოწვნენ". 1614 წელს პირველი ბრძოლა ქართველებს ირანელებთან *ერწო-თიანეთში – ჟალეთის* მახლობლად ქონდათ. ერწო-თიანეთიდან შაჰმა 30.000 ტყვე გაიყვანა. აყრილთა და გადასახლებულთა შორის ბევრი იყო კახეთის მოსახლეობა. 1615 წელს ყიზილბაშებმა 10 ათასამდე დატყვევებული რჩეული ქართველი ტყვედ წაიყვანეს. ასევე მოექცნენ *ენისელისა* და *ზაგემის* სანახების სამი ათასამდე ოჯახს, რომლებიც *ფეროჰაბადში* დაასახლეს. კახეთი თითქმის მთლიანად დაიცალა მოსახლეობისაგან, რაშიც ირანელებზე არანაკლები როლი დაღესტნელებმა ითამაშეს. 1616 წელს პირველი შემოსევისას, *ისქანდერ მუნშის* ცნობით, ქართველთა მხრიდან მოკლულთა რაოდენობა 70 ათასი ყოფილა, ტყვედ წაყვანილებისა კი 130 ათასს აჭარბებდა. იმავე წლის ბოლოს ტყვედ კიდევ 20 ათასი მცხოვრები გაუყვანიათ. **1614-1617 წლებში კახეთმა თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა – ასი ათასი მტერს შეაკვდა და ორასი ათასი ტყვედ იქნა წაყვანილი, რომლებიც ირანის შიდა პროვინციებში დაასახლეს.** იმ დროს გადასახლებული ქართველთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ *ფერეიდნის* (აქ მათ ქართული ენა და ქართული ეთნიკური ცნობიერება შეინარჩუნეს), *ისპაანის* პროვინციებში, *ხორასანში, მაზანდარანში* და სხვაგან. ფერეიდანში კახეთიდან იძულებით გადასახლებულ ქართველთა შთამომავალნი 14 სოფელში არიან განსახლებული. 1840 წელს ფერეიდანი მოუნახულებია ინგლისელ *ლეიარდს*, რომელიც აღნიშნავდა: **„აქ იყო ჯერ კიდევ შაჰ-აბასის მიერ დასახლებული ქართველთა კოლონია... ეს იყო შრომისმოყვარე ხალხი."** დღეისათვის ფერეიდნელი ქართველების

რაოდენობას 14 ათასით განსაზღვრავენ. ირანში მცხოვრებ ქართველთაგან მხოლოდ მათ შეინარჩუნეს ენა და ეთნიკური ცნობიერება.

კახეთში მოსახლეობის ეთნიკურ ცვლას ხელი შეუშალა 1659 წლის ბახტრიონის აჯანყებამ, რის შემდეგაც ის საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან (განსაკუთრებით კი მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგარაფიული მხარეებიდან) მოსახლეობის მიგრაციის შედეგად ხელახლა მოშენდა. თუმცა ადრინდელი ვითარების აღდგენა ბოლომდე ვერ მოხერხდა და კახეთის ზოგიერთ რაიონში სხვადასხვა რეგიონებიდან ქართველთა მიგრაცია XX საუკუნემდე გრძელდებოდა (მაგალითად, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს რაიონებში).

III.11. აფხაზთა მუჰაჯირობა

საქართველოში რუსეთის იმპერიის შემოსვლას აფხაზთა ოსმალეთის იმპერიაში მასობრივი აყრა-გადასახლება მოყვა. მაჰმადიანმა აფხაზებმა თავიანთ ჩრდილოკავკასიელ მონათესავე ეთნოსებს მიბაძეს. აფხაზთა მუჰაჯირობა მეცნიერებაში სათანადოდაა შესწავლილი. ამ პრობლემას გამოკვლევები უძღვნეს *გ. ძიძარიამ* და *ბ. ხორავამ.* აფხაზთა ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება ორჯერ (1867 და 1877 წლებში) მოხდა. **აფხაზთა მუჰაჯირობის შემსწავლელ აფხაზ მკვლევარებს, ისევე როგორც ადიღეური ეთნიკური ერთეულების შემსწავლელ მეცნიერებს, ახასიათებთ ტენდენცია, გააზვიადონ მიგრირებულ აფხაზთა რაოდენობა. ობიექტურმა მკვლევარებმა (*ბ. ხორავა*) დაადგინეს მუჰაჯირ აფხაზთა ზუსტი რაოდენობა. პირველი მუჰაჯირობის დროს, 1867 წელს მათი რაოდენობა 20 ათასი იყო, მეორე მუჰაჯირობის დროს, 1877 წელს აფხაზეთი დაახლოებით 30 ათასმა აფხაზმა დატოვა.** სხვათა შორის, ადიღეელთა მუჰაჯირობაზე საუბრისას ითქვა, რომ გადასახლებულ *უბიხებსა* და *საძებს* ისტორიკოსები ადიღეელებს მიაწერენ. ანალოგიურად იქცევიან აფხაზი მეცნიერებიც, რომლებიც გადასახლებულ საძებს და ჩრდილოეთ კავკასიიდან გადასახლებულ აბაზებს აფხაზებს მიაწერენ და ხელოვნურად ზრდიან

სამშობლოდან აყრილი აფხაზების რაოდენობას. აფხაზთა მუჰაჯირობის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში შემონახულია ოსმალეთის იმპერიაში 1867 წელს გადასახლებულთა სიებიც, რომელსაც ქვემოთ დავუბრუნდებით.

აფხაზები რუსეთის კოლონიურ ხელისუფლებას არ ეგუებოდნენ და რამდენიმე აჯანყებაც მოაწყვეს (1821-1824 წწ., 1840-1842 წწ., 1866 წ.). მაგრამ ცარიზმმა ეს აჯანყებები სისხლში ჩაახშო. განსაკუთრებით სისასტიკით გაუსწორდნენ ისინი 1840-1842 წლებში აჯანყებულ დალელებსა და წებელელებს (კოდორის ზემო და შუა წელი). რუსის ჯარმა აქ რამდენიმე სოფელიც კი გადაწვა. რუსებს, აფხაზთა დიდი წინააღმდეგობის გამო, გადაწყვეტილი ჰქონდათ დალელებისა და წებელელების გასახლება. მაგრამ ეს განზრახვა მაშინ ვერ განახორციელეს. ეს ჩანაფიქრი მხოლოდ გვიან მოიყვანეს სისრულეში, როდესაც 1867 და 1877 წლებში, ცარიზმის წაქეზებით, აფხაზებმა მშობლიური ადგილსაცხოვრისი მიატოვეს და უცხო ქვეყანაში, თურქეთში გადასახლდნენ. მუჰაჯირობა დიდი ტრაგედია იყო აფხაზი ხალხისათვის. რუსეთის იმპერიას შავი ზღვის სანაპირო ზოლი სჭირდებოდა და აქ მცხოვრები აფხაზები სწორედ ამის მსხვერპლნი შეიქმნენ. ქართველები აფხაზთა მუჰაჯირობის შესახებ დიდ გულისტკივილს XIX საუკუნეში, ამ პროცესის მიმდინარეობის დროსვე, გამოხატავდნენ. ქართულ პრესაში არა ერთი და ორი სტატია დაიბეჭდა აფხაზთა მხარდასაჭერად. 1920 წელს აფხაზმა მუჰაჯირებმა საქართველოს ხელისუფლებას თხოვნით მიმართეს, რათა დაბრუნებულიყვნენ აფხაზეთში. *გ. ძიძარიას* სიტყვით, მუჰაჯირების თხოვნა თბილისში „გაქრა“. სინამდვილეში საქართველოს ხელისუფლებამ მუჰაჯირი აფხაზების საკითხი, რაც ასე აღელვებდა აფხაზურ საზოგადოებას, ანტანტის უმაღლეს საბჭოში განხილვის საგნად აქცია.

XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიის შემოსვლის დროს, აფხაზთა განსახლების არეალი მთელ თანამედროვე აფხაზეთს არ მოიცავდა. ჩრდილო-დასავლეთით აფხაზებსა და საძებს შორის საზღვარი მდინარე *ბზიფზე* გადიოდა. ასე რომ, ბზიფიდან გაგრის ვიწ-

როებამდე საძები ცხოვრობდნენ. სამხრეთ-აღმოსავლეთით აფხაზები მდინარე *ღალიძგამდე* ვრცელდებოდნენ. ღალიძგის სამხრეთით მხოლოდ ეთნიკური ქართველები – სამურზაყანოელი მეგრელები ცხოვრობდნენ; აქ აფხაზების რაოდენობა უმნიშვნელო იყო. ოსმალეთის იმპერიაში აფხაზეთის ტერიტორიიდან პირველი მიგრაციული ნაკადი 1864 წელს განხორციელდა. ამ წლის გაზაფხულზე 20 ათას საძთან ერთად თურქეთის გზას ბდინარე ბზიფის ხეობის სათავეში მცხოვრები 5 ათასი ფსხუელიც გაუდგა. ფსხუელთა ნაწილი – 862 სული – ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუმის ხეობაში გადასახლდა.

1864 წლის ივლისის თვეში რუსეთის იმპერიამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა. ამ დროისათვის აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა 79 ათასი იყო. რუსეთის ხელისუფლების ქმედებებით აღშფოთებულმა აფხაზებმა 1866 წლის ივლისში აჯანყება დაიწყეს. რუსებმა აჯანყება ჩააქრეს და დაიწყეს მზადება აფხაზების ოსმალეთის იმპერიაში გადასასხლებლად. თავის მხრივ, მუსლიმ აფხაზებსაც არ სურდათ რუსეთის ქვეშევრდომობა და თავად მიისწრაფოდნენ თურქეთში გადასახლებისაკენ. პირველ რიგში რუსეთი ცდილობდა მთის თემები – წებელელები და დალელები – გაესახლებინა. **მუჰაჯირთა ორგანიზებული გასახლება 1867 წლის აპრილში დაიწყო.** აფხაზთა მუჰაჯირობაში დიდი როლი ითამაშეს ადგილობრივმა ფეოდალებმა, განსაკუთრებით ეს შეიძლება მარშანების შესახებ ითქვას. მუჰაჯირთა სიების მიხედვით *ბ. ხორავამ* დაადგინა, რომ ბიჭვინთის ოლქიდან გადასახლდა 226 კომლი (1.357 სული), დრანდის ოლქიდან – 629 ოჯახი (3.245 სული), წებელის ოლქიდან – 2.503 ოჯახი (14.740 სული). საერთო ჯამში მუჰაჯირთა საერთო რაოდენობა 19.342 სული იყო.

1877-1878 წლების ომის დროს, 1877 წლის 29 აპრილს ოსმალეთის საზღვაო დესანტმა სამი თვის განმავლობაში მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია. დესანტი ძირითადად 1867 წელს წასული აფხაზი მუჰაჯირებისაგან შედგებოდა. შემდეგ, აქედან უკან დახევის დროს, ოსმალთა არმიამ სულთანის ბრძანება მიიღო – გამოეყვანათ ყველა, ვისაც ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება სურდა. როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, თურქეთის დესანტს

ამის განხორციელებაში (აფხაზეთიდან აფხაზების გაყვანაში) რუსული ჯარი არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა. უფრო მეტიც, ბევრ მათგანს ძალით მიათრევდნენ ხომალდების ტრიუმებისაკენ. ასე რომ, ორივე ქვეყნის ხელისუფლება დაინტერესებული იყო აფხაზების თურქეთში გადასახლებით. **1877 წელს გადასახლებულთა ზუსტი რაოდენობა ბ. ხორავამ დაიანგარიშა – მათი რაოდენობა 31.964 კაცი იყო. თუ 1867 წლის მუჰაჯირობის დროს მთლიანად დაიცალა წებელი და დალი, 1877 წლის მუჰაჯირობის დროს თითქმის მთლიანად დაცარიელდა აფხაზეთის სანაპირო ზოლი.** 1877-1878 წლების ომის შემდეგ ცარიზმმა აფხაზები „დამნაშავე მოსახლეობად" გამოაცხადა და მათ აეკრძალათ სოხუმიდან 20 კილომეტრზე და სანაპირო ზოლში მდინარე კოდორსა და ფსირცხას შორის დასახლება.

1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში პირველი ჩაწერილია სოფელ *ფსირცხის* მკვიდრი *სოსრან კიკნაძე*, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ოჯახი გააფხაზებული ქართველი იყო. აფხაზთა შორის გააფხაზებული ქართველები მცირე რაოდენობით არ იყვნენ ამას მუჰაჯირთა გვარსახელებიც ადასტურებს. საამისო მაგალითები ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ, მაგრამ რამდენიმეს მოყვანაც საკმარისია: *გუბლია, ჭითანაუ, ბიგვა, მარღანი* (იგივე *მარღანია*), *ხალვაში, საბეკია, ჭითანაა, ჭკადუა, გაბელია, თორდუა, ბედია, გოგუა, ქუთელია, ფილია, შაკაია, გვარამია, ჯოჯუა, ფაჩულია, კობახია, კვეკვესკირი, მალანია, თორია, ჯინჯოლია, ბამბურაძე, ჭოლოკუა, ლასურია, ვარდანია, ხორაა/ხორავა, ლომია, კვარჭია...*

III.12. ქართველ მაჰმადიანთა მუჰაჯირობა

საყოველთაოდ ცნობილია ის ეთნიკური ცვლილებები, რაც რუსეთის იმპერიის კავკასიაში შემოსვლას მოყვა. კავკასიის მთელი მოსახლეობა ამოძრავდა; მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა მუჰაჯირების სახით ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდა. მუჰაჯირობა ქართველ მაჰმადიანებსაც შეეხო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაჰმადიან ქართველთა გარკვეული ნაწილი ოსმალეთის იმპერიაში მიგრირდა. მუჰაჯირობა შეეხო აჭარის, ქობულეთის, იმერ-

ხევის, კლარჯეთის მოსახლეობას. „მუჰაჯირი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს სამშობლოდან წასვლას, გასახლებას სხვა მხარეში. მუჰაჯირობას განიხილავენ და ადრეც განიხილავდნენ ხალხის ნებასურვილით წასვლას უცხოეთში. თუმცა მთელი გარკვეულობით უნდა ითქვას, რომ მუჰაჯირობა იყო პროვოცირებული.

საბჭოთა პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზი ესმოდა იმას, რომ მუჰაჯირობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ოსმალეთი. მხოლოდ გაკვრით აღნიშნავდნენ იმას, რომ მუჰაჯირობით ცარიზმიც იყო დაინტერესებული. კავკასიიდან მუსლიმთა მუჰაჯირობა შედიოდა როგორც ოსმალეთის, ისე რუსეთის ინტერესებში. ოსმალეთს სჭირდებოდა დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისება, რუსეთს კავკასიელი მუსლიმებით დასახლებული ტერიტორიების გამოთავისუფლება და ამ ტერიტორიებზე რუსთა და სხვა სანდო ხალხების დასახლება. ბუნებრივია, იმპერიას ახლად დაპყრობილ განაპირა მხარეებში მისთვის სასურველი უსაფრთხო პირობების შექმნა სურდა. რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა იმპერიაში დაუმორჩილებელი ხალხების მკვიდრობა.

როგორც აღვნიშნეთ, მუჰაჯირობა ქართველ მაჰმადიანებსაც შეხო. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, რუსეთმა კავკასიაში საზღვრები გაიფართოვა – შეიერთა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოდესღაც თურქთაგან მიტაცებული ტერიტორიის ნაწილი: *აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი* და *ტაოს* ნაწილი (*ოლთისის* მხარე). *სან-სტეფანოს* ზავით რუსეთის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს უფლება ეძლეოდათ სურვილისამებრ დაეტოვებინათ ტერიტორია და ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ. სან-სტეფანოს ხელშეკრულების 61-ე პუნქტი ბერლინის კონგრესმაც დატოვა ძალაში.

რუსეთის იმპერიამ აჭარა 1878 წლის 25 აგვისტოს დაიკავა. საერთოდ ახლად შეერთებულ ტერიტორიებზე ცარიზმა ორი – ბათუმისა და ყარსის – ოლქები შექმნა. ბათუმის ოლქში თავის მხრივ შედიოდა *ბათუმისა* და *ართვინის* ოკრუგები. ბათუმის ოლქში შედიოდა *აჭარა, შავშეთი* და *კლარჯეთი.* ხოლო შემოერთებული ისტორიული ტაოს ნაწილი ყარსის ოლქისადმი იყო დაქვემდებარებული. აქვე შედიოდა *კოლა-არტაანიც.*

რუსების შემოსვლას აჭარაში გარკვეული მღელვარება მოჰყვა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ჭვანა და ტბეთი გამოირჩეოდა. რუსეთმა შემოსვლისთანავე აჭარის მოსახლეობას გარკვეული გადასახადები შეაწერა. ბუნებრივია, ეს მოვლენაც ხელს უწყობდა და აჩქარებდა მუჰაჯირობას. როგორც ჩანს, ამას ცარიზმი შეგნებულად აკეთებდა, რათა რაც შეიძლება აჭარის მეტი მკვიდრი აყრილიყო მამა-პაპათა განსახლების არეალიდან. ასე რომ, მძიმე ეკონომიური პირობები აჭარიდან მუჰაჯირად წასვლის ერთ-ერთი მიზეზი იყო. ზოგიერთი იმდროინდელი მოხელე აღნიშნულ მოვლენას რელიგიურ ფანატიზმს მიაწერდა. *გრიგოლ ორბელიანი* მუჰაჯირობის მიზეზთა შორის მაღალ თანამდებობეზე მოუმზადებელი, არაპრაქტიკული და გაუნათლებელი ადამიანების დანიშვნასაც მიიჩნევდა. მუჰაჯირობის მიზეზი ოსმალთა აგიტაციაც იყო. უნდა ითქვას, რომ აჭარელთა მასობრივ გასახლებას თურქეთში ერთგვარად შეუშალეს ხელი პატრიოტმა ადამიანებმა, რომელთა შორის ხშირად *ლომინ ბერიძეს* ასახელებენ.

აჭარის მოსახლეობის ოსმალეთში გასახლებას ოფიციალურად თუ არაოფიციალურად ხელს უწყობდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის უფროსის მოადგილე *დ. სვიატოპოლკ-მირსკი.* ის თურქებთან რელიგიით დაკავშირებულ ხალხს იმპერიისათვის საშიშს უწოდებდა. ცარიზმის სხვა მოხელეებიც ხელს უწყობდნენ შემოერთებული ტერიტორიებიდან ქართველთა ოსმალეთში გადახვეწას, ოსმალებს ხელს უწყობდნენ, რომ თავიანთი მიზნები განეხორციელებინათ.

ოსმალეთისაკენ მიისწრაფოდა ბეგების ძირითადი ნაწილიც. ისინი ცდილობდნენ თან წაეყვანათ გლეხების ის ნაწილი, რომელზედაც მათ გავლენა ჰქონდათ. ბეგების ასეთი გამწყობილება კი გამოწვეული იყო იმით, რომ თურქების ბატონობის დროს სახელმწიფო სამსახურში იყვნენ, ღებულობდნენ გარკვეულ გასამრჯელოს. რუსების შემოსვლის შემდეგ კი გარკვეულ იზოლაციაში აღმოჩნდნენ ყოველგვარი საქმისაგან, შეელახათ თავმოყვარეობა და ამიტომაც ამხედრდნენ ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. მიწათმფლობელობის საკითხის გაურკვევლობის გამო, ისინი სათავეში ედგნენ ხალხის ოსმალეთში გასახლებას. თუმცა ბეგებს შორისაც

იყვნენ ისეთები, რომლების პირადულზე მაღლა ქვეყნისა და ხალ-ხის ინტერესებს აყენებდნენ; ასეთები იყვნენ: *იუსუფ შარვაშიძე, შერიფ ხიმშიაშვილი, აჰმედ ხალვაში, ნური ბერიძე, ჰასან ციცი-შვილი, ახმედ ხალიფაშვილი, დედი ნიჟარაძე, ხასან გვერდაძე, გულო კაიკაციშვილი* და სხვები. ოსმალეთში გადასახლების ხელისშემშლელთა შორის იყო სოფელ საღორეთის მკვიდრი *ჰასან სურმანიძეც*. ისინი ილაშქრებდნენ მშობლიური ადგილებიდან ხალ-ხის აყრის მომხრეთა წინააღმდეგ. მათი ღვაწლის შედეგი იყო, რომ აჭარის მოსახლეობის უმეტესობა მუჰაჯირად არ იქცა.

1879 წლის რუსეთ-ოსმალეთის კონსტანტინეპოლის ტრაქ-ტატით მუჰაჯირობის ვადა სამი წლით განისაზღვრებოდა და ის 1882 წლის თებერვალში უნდა დამთავრებულიყო. ამ **ტრაქტატის გამოქვეყნებიდან განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი ჰქონდა მუს-ლიმთა ყარსის ოლქიდან გადასახლებას. აქედან სამჯერ მეტი ხალხი გასახლდა, ვიდრე ბათუმის ოლქიდან. ყარსის მხრიდან მო-სახლეობის ძირითადი ნაწილი მიგრირდა. ოფიციალური მონაცემე-ბით ყარსის ოლქიდან მიგრანტთა რაოდენობა 111 ათასზე მეტი იყო**. აქაც რუსეთის ხელისუფლება, როგორც ყველგან, მალე აღა-დგენდა მოსახლეობას კოლონიზაციის გზით.

ყველაზე დიდი რაოდენობით მოსახლეობა ქობულეთის მხრი-დან გადასახლდა. რუსეთ-თურქეთის ომის დროს ძირითადად ქო-ბულეთის მოსახლეობა დაზარალდა. ერთ-ერთი რუსი მოხელის სიტყვებით: **„ჩურუქსუ ნახევრად დაცარიელდა, ამაზე მოწმობენ ცარიელი და ნახევრად გაპარტახებული სახლები. აღმოსავლური პატარა დუქნების გრძელი რიგი კი ნახევრად ცარიელია“.** აჭარიდან გასახლება 1879 წლის გაზაფხულზე დაწყებულა. ამ დროს ქვემო აჭარიდან 800 ოჯახი წასულა, ზემო აჭარიდან კი მხოლოდ – 60. იმავე პერიოდში მაჭახელიდან 80 ოჯახი მიგ-რირებულა. საერთო ჯამში 1879 წელს გასახლებულთა რიცხვი ათას ოჯახამდე ადიოდა, რაც 5.000 სულს შეადგენდა.

შედარებით ნაკლებად გადასახლებულან ფოცხოვის ხეობიდან. 1879 წელს ფოცხოვიდან მხოლოდ 63 ოჯახს ასახელებენ. საერ-თოდ, სექტემბრის დასაწყისისათვის ბათუმის ოლქიდან გადასახ-ლებულთა საერთო რაოდენობა 7.500 სულს შეადგენდა. აქედან

კი 5.000 სული მხოლოდ აჭარაზე მოდიოდა, ძირითადად კი ქობულეთზე.

ინტენსიური იყო ქართველ მაჰმადიანთა გასახლება *კლარჯეთის მურღულის* ხეობიდან. ზოგიერთი ცნობით მურღულის ხეობის მოსახლეობის 66%-ს დაუტოვებია წინაპართა მიწა-წყალი. ეთნოგრაფიული მონაცემებით, მურღულის ხეობა თითქმის მთლიანად დაცლილა. გადასახლების მიზეზად დღესაც ადგილობრივები გიაურების (რუსების) მხრივ მოსალოდნელ ხოცვას უკავშირებენ. გადასახლებიდან 7-8 წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მუჰაჯირებმა ინფორმაცია მიიღეს, რომ გიაურები ადგილზე დარჩენილ თანამემამულეებს არ ერჩოდნენ, ნაწილმა უკან დაიწყო დაბრუნება. ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით, მისი წინაპრები – ოთხი ძმა ცოლ-შვილით – სამსუნში გადასახლებულან. მაგრამ, გარკვეული ხნის შემდეგ, გაიგეს რა, რომ გიაურები არავის ერჩოდნენ, გადასახლებული ოთხი ძმიდან, ორი ძმა უკან დაბრუნებულა. ასე მოშენებულა ხელმეორედ მურღულის ხეობა. მუჰაჯირობის კვალი 1886 წლის საოჯახო სიებიდანაც კარგად ჩანს – ზოგიერთ სოფელში მხოლოდ თითო-ოროლა კომლიღაა აღრიცხული.

ირკვევა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში რელიგიური ფაქტორი ქართველთა აყრა-გადასახლებაში მხოლოდ საბაბი იყო. **ეთნოგრაფიული მასალებით მუჰაჯირობის მიზეზი არაპირდაპირი მონაცემებით დემოგრაფიული ფაქტორიც იყო. რეგიონი გადამეტსახლებული იყო.** ხშირად დიდი ოჯახის მხოლოდ ნაწილი მიდიოდა ოსმალეთში, მაგალითად, ოთხი ძმიდან ორი ადგილზე რჩებოდა და ორი მუჰაჯირად მიდიოდა.

მუჰაჯირთა ზუსტი რაოდენობის დადგენა ჯერჯერობით არ ხერხდება. ამის დადგენის საშუალებას თურქეთის არქივების დამუშავება მოგვცემს. სტამბოლის არქივში თურქეთის მოქალაქე ეთნიკურმა ქართველმა აღმოაჩინა 1884 წლის მუჰაჯირთა აღწერის დავთრები. აღწერა დამუშავების პროცესშია. ბათუმის ოლქიდან გასახლებულთა რაოდენობა სხვადასხვა წყაროებში სხვადასხვაა მითითებული: 30 ათასი, 38 ათასი, 21.500. უფრო სანდოდ 30 ათასს მიიჩნევენ. ბათუმის ოლქიდან გასახლებულთა შორის მხოლოდ მაჰმადიანი ქართველები როდი იყვნენ. ქვემო

აჭარიდან წავიდა უფრო ადრე აქ გადმოსახლებულ აფხაზთა ძირითადი ნაწილიც. ბათუმის ოლქში ცხოვრობდნენ ლაზებიც. აქედან 6 ათასამდე ლაზი აყრილა. თვით აჭარიდან წასულ ლაზთა რაოდენობა კი 1 ათასი ყოფილა. აჭარიდან გასახლებულ 10 ათასს კაცს თუ 4 ათასს ლაზსა და აფხაზს გამოვაკლებთ, მიგრანტი აჭარლების რაოდენობა 6 ათასი ოჯახი გამოდის. საერთოდ, ვერც ოსმალებმა და ვერც რუსებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, რადგან აჭარის, შავშეთ-იმერხევისა და კლარჯეთის მოსახლეობის უმეტესობა მშობლიურ მიწა-წყალზე დარჩა. კიდევ ერთი გარემოების შესახებ. **ისტორიული საქართველოს მხარეებიდან ქართველ მაჰმადიანთა ოსმალეთში გადასახლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ შეჩერებულა, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მიდი-მოდიოდა, უკვე ადგილზე მოწყობილებს თან მიჰქონდათ ხეხილის ნერგები. ქართველ მაჰმადიანთა გადინება მხოლოდ საბჭოთა პერიოდში, XX საუკუნის 30-იან წლებში, საზღვარზე მავთულხლართების გავლების შემდეგ შეწყვეტილა.**

XIX საუკუნის პრესაში აჭარიდან ქართველთა აყრა-გადასახლების საშინელი სურათებია აღწერილი. ისინი ტირილითა და გოდებით ტოვებდნენ თავიანთ სახლ-კარს, ჰკოცნიდნენ მიწას, ხეებს, სახლებს... გასახლებული ხალხის ნაწილი გზაში გარდაიცვალა, ნაწილი კი – თურქეთში ჩასვლის შემდეგ. ხშირი იყო ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხლა-შემოხლაც. დიდი ხნის განმავლობაში მუჰაჯირები უკუდურესად ცუდ პირობებში, გაჭირვებაში ცხოვრობდნენ. მუჰაჯირი *მემედ აღა ჭყონია იასე რაჭველს* წერდა: **„...რაც ჩემს ქვეყანას მოვშორდი, მერე ერთი ლაზათიანი დღე არ მინახავს“**. მეორე მუჰაჯირი კი შემდეგს წერდა: **„შვილო, მევლუდ, ცოტა ფარა მიშოვე და მე მაშინვე წამოვალ. აქეთ ნურავინ წამოვა. ყველანი გააფრთხილეთ, მანდ სიკვდილი სჯობია, უბედურება ვნახეთ, დაიღუპა ჩვენი საქმე“**. 1880 წელს ინგლისის საელჩოს თანამშრომელს კონსტანტინეპოლში ემიგრანტებით დასახლებული ადგილები მოუნახულებია. ის წერდა, რომ ესენი იყვნენ ქართველები ბათუმის ოლქიდან. მისი მითითებით მხოლოდ 7.000 ქართველი ყოფილა ისმენისა და მუდონის მიდამოებში. ქართველ მუჰაჯირებს თავშესაფრად მხოლოდ ხეების ჩრდილები გააჩნდა და

საკვებად – ხილი. 1880 წლის ივლისში ჩასული 1.400 სული ქართველი მუსლიმიდან 211 კაცი დაღუპულა.

მუჰაჯირთა უკან დაბრუნება აკრძალული ჰქონდათ. თანაც მათ სამშობლოში უკვე აღარაფერი გააჩნდათ, რადგან სახლ-კარი გაყიდული ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, მუჰაჯირთა რაღაც ნაწილი სამშობლოში დაბრუნებას მაინც ახერხებდა.

იმდროინდელი ქართული საზოგადოება გულისწყრომითა და მწუხარებით შეხვდა აჭარის მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლებას. იგი ცდილობდა ყოველმხრივ ხელი შეეწყო და დახმარებოდა მათ, რომ ხალხი მშობლიური მიწა-წყლიდან არ წასულიყო. გასახლების წინააღმდეგი იყვნენ, აჭარის მოსახლეობას მფარველობდნენ *ი. ჭავჭავაძე, გრ. გურიელი, ი. ალხაზიშვილი, დ. ჟურული, ს. ასლანიშვილი (ბავრელი), ს. მესხი, ლ. მჭედლიშვილი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ი. ფანცხავა, თ. სახოკია...*

ქართველ მაჰმადიანთა ოსმალეთში მუჰაჯირად წასვლა მხოლოდ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ როდი მოხდა. ეს პროცესი უფრო ადრე, 1829 წელს დაიწყო, როდესაც რუსეთის იმპერიამ სამცხე-ჯავახეთი შემოიერთა. ქართველი მუსლიმებისაგან ამ დროს, ფაქტობრივად, დაიცალა ჯავახეთი. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ სამცხე-ჯავახეთიდან ქართველი მუსლიმების აყრა-გადასახლებაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ მუსლიმი სასულიერო პირები. 1831 წლის ერთ რუსულ დოკუმენტში საუბარია იმაზე, რომ გადასახლებულთა დიდი ნაწილი განეკუთვნება მაჰმადიანურ სარწმუნოებას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამას რუსებისათვის დიდი სარგებელი მოაქვს, რადგან მათთან ერთად ოსმალეთში საცხოვრებლად გადადიან მოსახლეობის ფართო მასები. 1829 წელს ახალციხის მხრიდან (სამცხე-ჯავახეთი) ოსმალეთში მიგრირებული მუსლიმი ქართველების შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. მეცნიერებაში უფრო გაზიარებულია *ივანე გვარამაძის* მოცემული რიცხვი. ის მამა-პაპათა საცხოვრისიდან აყრილი მუსლიმი ქართველების რაოდენობას 10-12 ათასი ოჯახით განსაზღვრავდა. *ჯ. ვარდანიძე* სრულიად სამართლიანად ერთ ოჯახზე შვიდ სულს ანგარიშობს, რაც 70-75 ათას სულს უდრის.

მუჰაჯირი ქართველები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ თურქეთის მარმარილოს ზღვისა და შავი ზღვის რეგიონებში. მარტო ბურსის ვილაეთში 70 ქართული სოფელია. ინეგოლში, სადაც 20 ქართული სოფელია, მუსლიმ ქართველთა პირველი ნაკადი 1887 წელს გამოჩენილა. ინეგოლში ქართველთა მიგრაცია 1923 წლამდე გრძელდებოდა. საბჭოთა პერიოდში გადასახლებულებს ძირითადად გამოქცეულებად მოიხსენიებენ. მთელი ინეგოლის მოსახლეობა 220 ათასს შეადგენს და აქაედან 35% ეთნიკური ქართველია. აქ ცხოვრობენ ძირითადად *მაჭახლიდან, ჭვანადან, ღორჯომიდან, შუახევის* სოფლებიდან (*ნენია, ჭალა, ფურტიო, ჩანჩხალო, ოლადაური, ლომანაური, ტბეთი, დღვანა...*), *ხულოს* სოფლებიდან გადასახლებული ქართველები. მუჰაჯირ ქართველთა უმეტესობამ კარგად იცის თავისი ადრინდელი ქართული გვარი.

შავიზღვისპირეთში მარტო *სინოპის* მხარეში 56 ქართული სოფელია. წინასწარი მონაცემებით, დღევანდელ თურქეთში ეთნიკური ქართველები 220-ზე მეტ სოფელში ცხოვრობენ. მათი ძირითადი ნაწილი დღეს დიდ ქალაქებშია გადასახლებული, თუმცა სოფლებში სახლებსა და მიწის ნაკვეთებს კვლავ ინარჩუნებენ.

ქართველები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან თურქეთის ხელისუფლებამაც გადაასახლა. დიდი რაოდენობით იყვნენ ქართველები *არტანუჯის* მიდამოებში. ისინი აქედან 1946 წელს აუყრიათ და *ბურსის* ვილაეთში გადაუსახლებიათ. ეთნოგრადიული მონაცემებით, ასეთივე მცდელობა ჰქონია თურქეთის ხელისუფლებას *დევსქელისა* და *ქლასკურის* ხეობებში. მაგრამ აქაური ქართველობა ხელისუფლებას არ დამორჩილებია – შეიარაღებულნი ტყეში გასულან. სამი თვის ალყის შემდეგ არმიას ისინი ტყიდან ვერ გამოუყვანია. ასე გადარჩნენ ისინი წინაპართა სამშობლოდან აყრა-გადასახლებას.

III.13. შიდა მიგრაციული პროცესები საქართველოში

საქართველოს ისტორიაში მოსახლეობის მიგრაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ქართველები ყოველთვის სვამდნენ კით-

ხვას: რამ გადაარჩინა საქართველოს მოსახლეობა, როგორ დაძლია ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე არსებული მძიმე დემოგრაფიული ვითარება, როგორ ხდებოდა ქართული მოსახლეობის აღწარმოება იმ დროს, როდესაც ზოგიერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში ამის საშუალება ფაქტობრივად აღარ იყო. თავიდანვე უნდა ითქვას – შიდა მიგრაციულმა პროცესებმა საქართველოს ისტორიასა და კონკრეტულად ქართული ეთნოსის გადარჩენის საქმეში დიდი და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. თუმცა იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ გადარჩენისა და ქართველი ერის ჩვენამდე მოღწევის საქმეში შიდა მიგრაციული პროცესები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო და არა ერთადერთი.

წინასწარი დასკვნა, თეზისი საქართველოს შიდა მიგრაციული პროცესების მნიშვნელობის შესახებ ასეთია: 1) შიდა მიგრაციულმა პროცესებმა გარკვეული როლი ითამაშეს ადრე ფეოდალურ პერიოდში სხვადასხვა ქართული (და არაქართული) ტერიტორიული ერთეულების ასიმილაციაში და აქედან გამომდინარე ქართველი ერის ჩამოყალიბებაში და 2) გვიან ფეოდალურ პერიოდსა და XIX საუკუნეში საქართველოს მოსახლეობის შიდა გადასახლებები ხშირად ერთადერთი საშუალება იყო ზოგიერთ ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეში მოსახლეობის აღწარმოებისათვის; რომ არა საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში მოსახლეობის ჭარბი ნაწილის გადასახლება, მიტოვებულ, გაპარტახებულ რეგიონებში ქართული ეთნოსი აღარ იცხოვრებდა.

მანამ, სანამ ვისაუბრებთ მოსახლეობის მიგრაციის ამსახველ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებზე, მოკლედ უნდა აღვნიშნოთ, თუ რა წყაროების საშუალებით ხდება ამ სოციალური მოვლენის შესწავლა: 1) პირდაპირ და არაპირდაპირ მონაცემებს ვხვდებით ქართულ საისტორიო წყაროებში, ძველ ქართულ მწერლობაში; 2) მნიშვნელოვანია ჩვენამდე მოღწეული ქართული საისტორიო საბუთები; 3) აურაცხელი მასალა მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესების შესახებ დაცულია XIX საუკუნის მოსახლეობის კამერალური აღწერის დავთრებსა და საოჯახო სიებში. აგრეთვე მნიშვნელოვანია ჩვენამდე მოღწეული XVII–XVIII საუკუნეების მოსახლეობის აღწერის დავთრები; 4) პროცესის აღდგენა ხერხდ-

ება აგრეთვე ეთნოგრაფიული მონაცემებით და კერძოდ, გადმოცემებით გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ. ამ მონაცემებს ხშირად უტყუარს ხდის მოსახლეობის XVII–XVIII საუკუნეების და XIX საუკუნის აღწერის დავთრებთან შედარება; 5) მნიშვნელოვანი წყაროა აგრეთვე საკულტო ძეგლები და 6) ტოპონიმიკური მონაცემები. საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში გადასახლებულ მოსახლეობას თან მიჰქონდა მამა-პაპათა სალოცავის ნიში. ისინი ახალ საცხოვრისში იმავე სალოცავების ნიშებს აგებდნენ ანდა მიგრანტების შთამომავალნი გადმოსახლებიდან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სალოცავად წინაპართა თავდაპირველ საცხოვრისში დადიოდნენ. საქართველოს რუკას, ანდა სოფლების ჩამონათვალს თუ თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რამდენი წყვილი, ერთმანეთის მსგავსი ოიკონიმების (სოფელთა სახელწოდებანი) გვაქვს, რაც, ხშირ შემთხვევაში, მაჩვენებელია იმისა, რომ ჯგუფურად აყრილ მოსახლეობას, როდესაც ის გადასახლდებოდა ერთი რეგიონიდან მეორეში, თან მიჰქონდა თავისი სოფლის სახელი. ხშირად მიგრაციაქმნილი ტოპონიმები -ელ სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსითაა ნაწარმოები; მაგალითად: ფხოვი>ფხოველი, ფშავი>ფშაველი, მთიულეთი>მთიული, ახადი>ახადელი, მუქუ>მუქუელი, ხორხი>ხორხელი, ყვარა>ყვარელი, დვალეთი>დვალთა, გუდანი>გუდანელები, ხევსურეთი>ხევსურთსოფელი, ხადუ>ხადუელები, ღული>ღულელები... გვაქვს ორი და მეტი მაღარო, ბუშატი, ოკამი, ბოჭორმა, გომეწარი, წყნეთი, იწრია, წიფორი, რეხა, ერწო, ოძისი, რუისი, არმაზი, მაჩხაანი, თვალი, გომი, მეტეხი, ბაგრანეთი, ბიეთი, მძორეთი, სხლები, წრომი, მიწობი, გომარეთი, ქსოვრისი, ლოში, ჭართალი, ინაური, ხანდო (ხანდოეთი), ჯიღაური და სხვა მრავალი.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესების – გადასახლების ფორმათა შესახებ. როგორც თავის დროზე სამართლიანად შენიშნა *გ. ჩიტაიამ*, **გადასახლებანი იყო ორი ფორმის: ინდივიდუალური ანუ გაჟონვითი და ჯგუფური.** მიგრაციის ორივე ეს ფორმა ხორციელდებოდა საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე. ჯგუფური გადასახლებანი ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, შეინიშნება, იმ დროს, როდესაც უმე-

ტესად მთის რეგიონებში ჭარბი მოსახლეობა რაოდენობის გარკვეულ ზღვარს მიაღწევდა და საქართველოს ესა თუ ის რეგიონი (მთისწინეთი და ბარი) მოსახლეობისაგან ამოვარდებოდა. გაჟონვითი ანუ ინდივიდუალური გადასახლებანი კი მუდმივად ხდებოდა, რომლის მიზეზი კლასობრივ-სოციალური დაპირისპირება, მესისხლეობა, ეკონომიკური პირობები და სხვა მთელი რიგი გარემოებები იყო.

საქართველოში მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესები საკმაოდ ადრე დაიწყო. ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ პერიოდში და უფრო ადრეც ხდებოდა სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ერთეულთა შორის მოსახლეობის ხშირი გადაადგილება-გადმოადგილება, ერთმანეთში შერევა, ერთ ეთნიკურ ქვაბში გადახარშვა. მხოლოდ ნ. ბერძენიშვილს დავესესხებით: „ეთნიკურად საქართველოს აწინდელი მოსახლეობა მის ძველ მოსახლეობასთან შედარებით დიდად შეცვლილია, რომ ძველი ტომურ-ნათესაური სიწმინდით დღემდის არცერთ კუთხეს არ მოუღწევია.“ „ჩვენი დროის კახეთში, მაგალითად, მცირე ვინმეა ძველ კახთა და ჰერთა ჩამომავალი. ჩვენი დროის კახელს მცირე რამ აქვს საერთო ძველ კახთან და ჰერთან.“ „მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლა არანაკლებ თვალსაჩინოა საქართველოს ცენტრალურ რაიონში – ქართლში. ქართლის აწინდელ ქართველებში ძველი ქართელელებიდან ცოტა ვინმეს თუ იპოვით... ასეთივე მოვლენა აღინშნება, მეტი თუ ნაკლები ოდენობით, საქართველოს სხვა მხარეებშიც: ეგრის-აფხაზეთში, გურია-ფერსათში, არგვეთ-იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა თუ მესხეთ-ჯავახეთში. ყველგან თავდაპირველი მოსახლეობა სახეშეცვლილია და ვინ იცის, რამდენი „ნათესავის“ შერწყმის ნაყოფია თითოეული მათგანის აწინდელი აბორიგენი.“

საქართველოს მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესესები მთელი ისტორიის მანძილზე გრძელდებოდა. რაც აქეთ მოვდივართ, ეს მოვლენა უფრო ხელშესახებია. მაგრამ მიგრაციული პროცესების ამსახველი წყაროები ისტორიის სიღრმეშიც გაგვაჩნია. მიჩნეულია, რომ ქართლიდან ინტენსიურად ხდებოდა მოსახლეობის გადასახლება არაბების დროს, VII საუკუნის შუა ხანებიდან, დასავლეთ საქართველოში. საერთოდ, ასეთი მიგრაციული

გადასახლებანი უფრო ადრეც იყო და ეს პროცესი ჯერ კიდევ ძვ.წ.-ით თარიღდება. პარალელურად ხორციელდებოდა მოსახლეობის გადაადგილება სამხრეთ საქართველოდან როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულებით. საქართველოს ისტორიაში ცნობილია აგრეთვე, თუ როგორ მოაშენეს მურვან-ყრუს მიერ 735-736 წლებში მოსახლეობისაგან ამოწყვეტილი სამხრეთ საქართველო (შავშეთ-ტაო-კლარჯეთი) ქართლიდან გადმოსახლებულმა მოახალშენებმა. „კონსტანტი კახის წამება“ გვამცნობს, თუ როგორ ილტვოდნენ შიდა ქართლის გაღმა მხარის კონსტანტი კახას საუფლოში VIII-IX საუკუნეებში სხვადასხვა მხრიდან მოსული მოახალშენეები („მრავალნი მიივლტოდენ მისა შორით ქვეყნით ლტოლვილნი თანამდებთა თვისთაგან, ხოლო მან მხიარულებითა დიდითა გარდაჰხდის თანამდები იგი მათი“). იმავე დროს არგვეთისა და სამცხის მცხოვრებნი მკვიდრდებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეთხელებულ ფერსათში, გურიაში, ქვემო აჭარაში.

IX საუკუნეში სხვა მნიშვნელოვანი მიგრაციული მიმართულებებიც რომ ხორციელდებოდა, ამის დამადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ შიდა ქართლის მთიელთა – *წანართა* ინტენსიური აყრა-გადასახლება კახეთში. წანართა ერთდროულმა გადასახლებამ ამ ქართული ეთნოგრაფიული ერთეულის გაქრობაც კი გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, საშუალება მისცა სხვა ქართველ მთიელებს – *დვალებს* მათ ნამოსახლარებზე დაფუძნებულიყვნენ (მხედველობაში გვაქვს თერგის სათავე – *თრუსო*). XIII საუკუნის დასასრულს გაჭირვებაში ჩავარდნილი ქართლის გლეხობის გარკვეული ნაწილი სამცხეში გადასახლდა. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განუხორციელებია ამ მხრივ XV საუკუნის პირველ ნახევარში ალექსანდრე I-ს. მან მთის ნამატი მოსახლეობა კახეთში (*ყვარელში, მაღაროში* და სხვა სოფლებში) ჩაასახლა, ნასოფლარები ააღორძინა. 1470 წლის საბუთით „გუჯარი ქსნის ერისთავის ქვენიფნეველის შალვასი, ბოძებული ლარგვისის მონასტრისადმი“ ირკვევა, რომ ამ პიროვნებამ ხელახლა მოაშენა მეჯუდასა და ქსნის ხეობის რიგი სოფლები, სადაც „მურვანის ჟამსა უკანით კაცი არ სახლებულიყო“. ქსნის ერისთავების მიერ გაპარტახებუ-

ლი მთისწინეთისა და ბარის სოფლების მოშენება საერისთაოსივე მთის სოფლების მოსახლეობის მიგრაციის ხარჯზე ხდებოდა. ქვემო ქართლის თავადს, *ყაფლან ორბელიშვილს*, მოუხერხებია 40 წლის განმავლობასი მოსახლეობის დასხმა აოხრებულ სოფლებში. მისი საფლავის ეპიტაფია (გარდაიცვალა 1671 წელს) გვამცნობს: „...ბარსა და მთაში მტრისაგან გაოხრებული მკვიდრი მამული ჩემი აღვაშენე სოფელი 61“.

XVII საუკუნიდან საქართველოს ერთი მხრიდან მეორეში მოსახლეობის გადასახლება აშკარად ხელშესახებია. ამ პერიოდიდან მიგრაციათა შესწავლა გადმოცემებითა და გვართა სადაურობა-წარმოამვლობის ეთნოგრაფიული მონაცემებითაც შეიძლება. XVII-XVIII-XIX საუკუნეებში მთის ნამატი მოსახლეობა მთისწინეთისა და ბარის ნასოფლარებში ეფუძნება. ასე იქნა მოშენებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების მიერ ქართლისა და კახეთის მთელი რიგი ადგილები (მთლიანად ერწო-თიანეთი), მაგრამ საქართველოს ისტორიაში მთიელთა მთლიანად აყრამ მამა-პაპათა საცხოვრისიდან და მტრებისაგან გავერანებულ ბარში დასახლებამ დვალეთის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობათა მთიანი ნაწილის ქართული მოსახლეობისაგან დაცლა გამოიწვია. მთიელთა ამ გადასახლებას შედეგად ბარში თუ ქართულ მოსახლეობის კვლავ დამკვიდრება და მატება მოჰყვა, მთაში ეთნიკური სურათი მალე შეიცვალა; ქართველ მთიელთა ნასახლარებზე ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული უცხო ეთნიკური ერთეულის წარმომადგენლები – ოსები დაფუძნდნენ.

მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობა როდი მიგრირდებოდა მთისწინეთსა და ბარში. მსგავსი სურათი გვქონდა დასავლეთ საქართველოშიც. დიდი რაოდენობითაა დასახლებული სვანური ელემენტი ლეჩხუმში, რაჭაში, სამეგრელოსა და იმერეთში. ლეჩხუმელები და რაჭველები, თავის მხრივ, იმერეთში სახლდებოდნენ. აფხაზეთიდან, სამურზაყანოდან მიგრირებული არაერთი გვარი მკვიდრობს ენგურს გამოღმა სამეგრელოში, იმერეთში. ზემო იმერლები და რაჭველები გაპარტახებული შიდა ქართლის ამაღორძინებლები იყვნენ XVI-XVII და შემდეგ საუკუკნეებში. შიდა ქართლის მოსახლეობის XVII საუკუნის აღწერის დავთრების

ნაწყვეტებს თუ თვალს გადავავლებთ, ვნახვთ, წარმომავლობით თუ რამდენი იმერული და რაჭული გვარი მკვიდრობდა აქ (საამისოდ საკმარისია 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარში ჩახედვა). შიდა ქართლის ეს მოსახლეობაც XVIII საუკუნეში აღიგავა, რისი მიზეზიც ლეკიანობა, ყიზილბაშობა და ოსმალობა იყო. ბევრი კახეთს შეეხიზნა და „გაკახელდა". XVIII საუკუნეში უკვე მერამდენედ დაიცალა ქვემო ქართლი მოსახლეობისაგან. მათმა გადარჩენილმა ნაწილმა კახეთს შეაფარა თავი. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველი თავად-აზნაურები და მეფეები კვლავ ცდილობენ ააღორძინონ როგორც შიდა, ისე ქვემო ქართლი. მთიელებთან ერთად მათ უცხო ტომელებიც მოჰყავთ. XIX საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ნამატი მოსახლეობა ინტენსიურად ესახლება აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ქართლში, ისე კახეთში. იმერეთისა და რაჭის მოსახლეობამ იხსნა შიდა ქართლის ბარი. დღევანდელი ბორჯომის რაიონი (ისტორიული თორი) თითქმის მთლიანად ზემო იმერეთის მოსახლეობამ მოაშენა. XIX საუკუნის დასაწყისში ქართველები აქ თითქმის თითებზე ჩამოსათვლელები იყვნენ. დასავლეთ საქართველოდან მიგრირებული მოსახლეობის დიდი პროცენტია შიდა ქართლის – ხაშურის, ქარელისა და გორის რაიონებში, ასევე მრავლად ვხვდებით მათ კახეთში.

ინტენსიური იყო მოსახლეობის გაცვლა-გამოცვლა სამხრეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს შორის. ზემოთ აღვნიშნეთ: როცა საჭირო იყო, სამხრეთ საქართველოში აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა მკვიდრდებოდა; შავშელ-კლარჯელები გურია-აჭარაში მიგრირდებოდნენ, სამცხელები – გურიასა და იმერეთში, ჯავახები – ქართლში. ჯავახთა ქართლში გადმოსახლების დამადასტურებელი უნიკალური მასალაა დაცული 1818 წლის გორის მაზრის აღწერის დავთარში. ამ საარქივო დოკუმენტში დაფიქსირებულია მოსახლეობის მიგრაცია ჯავახეთიდან. მთელ რიგ გვარებსა და ოჯახებს მიწერილი აქვს, რომ „წინაპრები გადმოსახლდნენ ჯავახეთიდან ასი წლის წინ...", „...70 წლის წინ" და ა.შ. ამ მიგრაციულ მიმართულებებს გვიდასტურებს XVII და XVIII საუკუნეების ქართული საისტორიო საბუთებიც. ჯა-

ვახეთიდან ქართლში მირბოდნენ, მიგრირდებოდნენ არა მარტო ქრისტიანი ქართველები, არამედ გამაჰმადიანებულნიც, რომლებიც ხელახლა იღებდნენ მამა-პაპათა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. დღევანდელ შიდა ქართლში თითქმის არ არის სოფელი, რომელშიც ორი-სამი გვარი მაინც არ ცხოვრობდეს ჯავახეთიდან მიგრირებული. ქვემო ქართლში ჯავახები ჯგუფურადაც გადმოსახლებულან და სოფლები – გომარეთი, ყალამშია და სხვ. აუღორძინებიათ. ჯავახთა ქართლში გადმოსახლებამ ქართლის დემოგრაფიული ვითარების გამოსწორებას კი შეუწყო ხელი, მაგრამ სავალალო შედეგი გამოიღო ჯავახეთისათვის. იმავე დროს მაჰმადიან ჯავახთა თურქეთში გადასახლებამაც თითქმის მთლიანად ამოაგდო საქართველოს ეს კუთხე ქართული მოსახლეობისაგან. ასევე ინტენსიური იყო სამცხელთა მიგრაცია მოსაზღვრე იმერეთის რაიონებში.

XIX საუკუნე მთიულებისა და გუდამაყრელების ქართლის გაღმამხარში ჩამოსახლების პერიოდი იყო. XX საუკუნის დასაწყისში ქართველმა მთიელებმა შირაქის ველიც აითვისეს. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში კახეთში, ალვანის მინდორზე, თუშები დაფუძდნენ.

მსგავსი სხვა მაგალითი არაერთი შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს ისტორიიდან. შეიძლებოდა კონკრეტულად მრავალი მიგრირებული გვარის დასახელება, არაერთი საკულტო ძეგლის ჩამოთვლა რომლებიც სწორედ მოსახლეობის მიგრაციის შედეგად არიან წარმოქმნილი.

ამრიგად, მოსახლეობის შიდა მიგრაციების შედეგად ხდებოდა მტრისაგან გავერანებულ, მოსახლეობისაგან ამოვარდნილ ქართულ პროვინციებში ქართველი ხალხის აღწარმოება. ასეთი მიგრაციების შედეგად დარღვეული ეთნოდემოგრაფიული სიტუაციის აღდგენა მალე ხდებოდა. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს მთიანეთის პროვინციებმა, რადგან მთაში მოსახლეობის რაოდენობა ლიმიტირებული იყო და ნამატი ყოველთვის ბარში გადადიოდა საცხოვრებლად.

ცნობილია, რომ საქართველო გეოგრაფიული თვალსაზრისით ძირითადად სამი ერთეულის: მთის, მთისწინეთისა და ბარის ერ-

თობლიობას წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით, ვერტიკალური ზონალობის მიხედვით მოსახლეობის სიმჭიდროვე მნიშვნელოვან სხვაობას იძლევა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ბარში ცხოვრობდა. მთაში კი ყველაზე მცირე რაოდენობით იყო მოსახლეობა. მაგრამ დემოგრაფიული თვალსაზრისით მთა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ბარსა და საერთოდ ქვეყანაზე. მოსახლეობის ნამატი აქ დიდი იყო და ის მთისწინეთსა და ბარში ინაცვლებდა.

არაერთი ჯგუფური სახის გადასახლება განხორციელდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს. ძირითადად ეს იყო ორგანიზებული მიგრაციები. უმეტეს შემთხვევაში ეს ორგანიზებული გადასახლებანი მოსახლეობის ინტერესებს არ ითვალისწინებდა და იგი იძულებით ხორციელდებოდა. ორგანიზებული გადასახლების შედეგად იქმნებოდა ახალი სასოფლო დასახლებანი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს დაუსახლებელ აგილებში. ორგანიზებული მიგრაციები ძირითადად მთის მოსახლეობას შეეხო. ბარში მთიელთა ორგანიზებული ჩასახლებების მასობრივი ხასიათი იწვევდა მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების სამეურნეო, სოციალურ-კულტურული ტრადიციული სისტემების რღვევას, დემოგრაფიული სტრუქტურებისა და განსახლების სისტემის დეფორმაციას. მთიელთა ადაპტაცია მტკივნეულად მიმდინარეობდა იმიტომაც, რომ მათ ასახლებდნენ სრულიად განსხვავებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში (უდაბნო, ჭაობიანი ადგილი). იმდროინდელმა ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მთიდან მუდმივად მიმდინარეობდა მიგრაცია და საჭირო იყო ამ სტიქიური მიგრაციებისათვის მიმართულების მიცემა და არა ძალადობრივი აყრა. ჯარის ნაწილებმა ბარში ჩამოსახლებულ ხევსურებს ხევსურეთში სახლები დაუნგრიეს, რომ უკან დაბრუნება არავის ეფიქრა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელნი ფარულად დაბრუნდნენ და ტყეებში ცხოვრობდნენ, ემალებოდნენ ოფიციალურ ხელისუფლებას.

ორგანიზებული გადასახლებანი განხორციელდა აგრეთვე სამცხის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში, საიდანაც 1944 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ იძულებით აყარა თურქებად გამოცხადებული ქართველი მაჰმადიანები. სამცხეში 6.495 ოჯახის (25.707

სულის) ჩასახლება მოხდა რაჭიდან, ზემო იმერეთიდან, მთიულეთ-გუდამაყრიდან...

XX საუკუნის დასაწყისში თითქმის დაუსახლებელი იყო კახეთის ორი განაპირა მხარე – თანამედროვე ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს რაიონები. „განაპირა მხარეზე“ აქცენტი სპეციალურად გაკეთდა, რადგან საქართველოში ქართული მოსახლეობისაგან სწორედ ასეთი გეოგრაფიული რეგიონები ცარიელდებოდა. XX საუკუნის დასაწყისში ლაგოდეხის რაიონი ძირითადად იმერეთიდან მიგრირებულებმა მოაშენეს. რაც შეეხება დეოფლისწყაროს რაიონს, ქიზიყის ამ ნაწილში რამდენიმე სოფელი (ოზაანი, ზემო მაჩხაანი, მირზაანი, არბოშიკი) ძირძველი ქართული მოსახლეობა მკვიდრობს. ხოლო დანარჩენი მცხოვრებნი ძირითადად XX საუკუნეში გადმოსახლებული ქართველი მთიელები არიან, თუ არ ჩავთვლით რუსებს, რომელთა აქ დასახლება ცარიზმმა 1889 წელს დაიწყო და რომლებიც სამხედრო მოსამსახურეებისა („ასტავნოი“) და სექტანტების შთამომავალნი არიან. ქ. დედოფლისწყაროში ცალკე გამოიყოფა ხევსურთა უბანი – ისინი აქ XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს არიან გადმოსახლებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურები აქ პირდაპირ ხევსურეთიდან არ არიან მიგრირებული. მათ მიგრაციის შემდეგი გზა აქვთ გავლილი: ხევსურეთი (ძირითადად არხოტი)>ახმეტის რაიონის სოფელი კვერნაძეული>ქისტეთი (რომელიც მაშინ შეიყვანეს ყაზბეგის რაიონის შემადგენლობაში)>დედოფლისწყარო. ხევსურებს თავიანთი თავდაპირველი საცხოვრისი XIX საუკუნის 10-იან წლებში მიუტოვებიათ და დაბლობში – ახმეტის რაიონის სოფელ კვერნაძეულში ჩამოსახლებულან. მეორე მსოფლიო ომის დროს ისინი ხელისუფლებამ ქისტების ნასოფლარებში გადაასახლა (200 კომლი). იმავე პერიოდში მათი ნაწილი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ უზუნდარაში (გამარჯვებაში) გადასახლდა. ქისტების დაბრუნების შემდეგ ხევსურებს გამარჯვებაში დასახლების სურვილი ჰქონდათ. მაგრამ ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიიდან უკან დაბრუნებულები ქალაქ დედოფლისწყაროში დაასახლა.

შირაქში – დედოფლისწყაროს რაიონში – ძირითადად მთიელები მკვიდრობენ. პირველნი აქ ფშავლები დასახლდნენ სოფელ

ქვემო ქედში (ძირითადი ნაკადი 1905-1913 წლებში მოსულა). ამავე სოფელში ხელისუფლებას 1952 წელს კასპის რაიონის სოფელ ტყემლოვანიდან ხევსურები (18 ოჯახი) და მთიულები (29 ოჯახი) გადმოუსახლებია. ქვემო ქედშივე არიან 1936 წელს წალკიდან, სარკინეთიდან გადმოსახლებული ბერძნები. 1974 წელს აქ ბერძნები 147 კომლის რაოდენობით იყვნენ.

შირაქში სოფელ ზემო ქედში ფშავლებზე ოდნავ გვიან მთიულ-გუდამაყრელები ჩამოსახლდნენ. აქვე მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან დასახლებული ქსნის ხეობელი ქართველები (ე. წ. ქსნელები). „ქსნელების“ მიგრაცია 1930 წელს, კოლექტივიზაციის დროს მოხდა. ამავე სოფელში პირველი მსოფლიო ომის დროს მიგრირებული მოხევეებიც მკვიდრობენ.

დედოფლისწყაროს რაიონში სოფელი *თავწყარო* დასახლებულია როგორც ქართველი მთიელი ფშავლებითა და მთიულებით, ისე ოსებით. პირველი მიგრანტი ამ სოფელში XX საუკუნის 60-იან წლებში მოსულან. მთიელები კასპის რაიონის სოფელ ჩაჩუბეთიდან გადმოსახლებულან, ოსები – ატენის რაიონის ზემო წელიდან. ამავე რაიონში მიგრაციაქმნილია სოფელი *საბათლოც.* ოღონდ ის გარემიგრანტებს, აზერბაიჯანიდან მოსულ სომხებს დაუფუძნებიათ 1918 წელს. სოფელი სამთაწყარო 1930-იან წლებში საინგილოდან გადმოსახლებულმა ქართველებმა დააფუძნეს.

საყურადღებოა ისიც, რომ 1944–1950 წლებში ქართველი მთიელები იძულებით ჩაასახლეს ყარაჩაიში (ქლუხორის რაიონი). ქართველი ხალხისათვის უარყოფითი შედეგების მომტან ამ ორგანიზებულ გადასახლებას უარყოფითად შეხვდნენ, მაგრამ მაშინ ხალხს არაფერს ეკითხებოდნენ. 1957 წელს ყარაჩაიში უკვე დამკვიდრებული და მერუნეობამოწყობილი ქართველები (669 ოჯახი, 3.532 სული) კვლავ უკან გადმოასახლეს საქართველოში და უმეტესად არა იქ, საიდანაც გადასახლებულები იყვნენ, არამედ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. „იძულებით გადასახლების გამო, დიდი ტანჯვის გზა გაიარეს ქართველმა მთიელებმა – რაჭველებმა, სვანებმა, ხევსურებმა, მოხევეებმა. ფაქტობრივად ეს იყო მუშა-ძალის გადარეკვისა და გადმორეკვის უგუნური პოლიტიკის შედეგი“.

მოსახლეობის გარედან შემოსახლების ინტენსიური პროცესის პარალელურად XIX საუკუნეში მოსახლეობის მიგრაცია საქართველოდან საზღვარგარეთაც ხდებოდა. აქ შეიძლება 30.000-მდე აფხაზის თურქეთში გადასახლება გავიხსენოთ. ამავე პერიოდში 6-დან 8 ათასამდე მაჰმადიანი ქართველის ოჯახი გადასახლდა თურქეთში აჭარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინციიდან. ასევე ინტენსიური იყო ქართველი მაჰმადიანების თურქეთში გადასახლება სამცხიდან და ჯავახეთიდან, იმერხევიდან, კლარჯეთიდან. [ქართველ მაჰმადიანთა მუჰაჯირობის შესახებ დაწვრილებით იხილე შესაბამისი მონაკვეთი].

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გარედან მოსულთა მიგრაციული პროცესები ძირითადად ორგანიზებული და ჯგუფური ხასიათისა იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევარში კი სტიქიური მიგრაციები გააქტიურდა.

საქართველოში არსებულმა ოსურ-ქართულმა და აფხაზურ-ქართულმა ეთნოკონფლიქტმა მნიშვნელოვნად დაარღვია ის ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისის საქართველოში გვქონდა. არაერთი ქართველი თავის სამშობლოში დევნილად იქცა. აფხაზეთიდან 300 ათასი კაცი იქნა გამოდევნილი, რომელთაგან 200 ათასი ქართველია. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის გარეთაა ლტოლვილი, ძირითადად რუსეთში (რუსეთიდან საქართველოში კი 8.000-მდე ჩეჩენი ლტოლვილია შემოსული). 1989 წელს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 535,1 ათასი კაცი ცხოვრობდა, რომელთა შორის ქართველი იყო 244 ათასი ანუ მთელი მოსახლეობის 45,7%. აფხაზთა რაოდენობა დაახლოებით 94,7 ათასი იყო (მთელი მოსახლეობის 17,7%). სხვა ეთნოსების წარმომადგენლები 195,5 ათასზე ოდნავ მეტნი იყვნენ (დაახლ. 36,6%). 1897 წლისათვის მთელი აფხაზეთის მოსახლეობა 145,0 ათასი კაცი იყო, რომელთაგან ქართველი – 43,4 ათასი იყო. ამ მონაცემებით აფხაზეთის მთელი მოსახლეობა 1990-იანი წლების დასაწყისიდან 3,7-ჯერ შემცირდა, ქართველები კი თითქმის 6-ჯერ. დღეს ქართველები აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის 15%-ს შეადგენენ; ისინი ძირითადად სამურზაყანოში (დღევანდელი გალის რაიონი) ცხოვრობენ. აფხა-

ზეთში ქართული მოსახლეობის ასეთი შემცირება გამოწვეულია აფხაზ სეპარატისტ ხელისუფალთა მიერ წარმოებული ქართველთა გენოციდისა და ეთნოწმენდის პოლიტიკის შედეგად. მხოლოდ ეთნიკურ ნიადაგზე აფხაზებმა და მათ მიერ დაქირავებულმა ჩრდილეოთ კავკასიელებმა 5.738 მშვიდობიანი ქართველი მოკლეს. ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა კი ქართველების ცხინვალის რეგიონიდან განდევნა გამოიწვია. ბევრი ოსი კი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მკვიდრობდა, დღეს რუსეთის ფედერაციაშია გადასული.

1990-1995 წლების მონაკვეთში საქართველოს ყველაზე ინტენსიური მიგრაციული კავშირები რუსეთთან ჰქონდა, შემდეგ უკრაინასთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან. 1995-2000 წლების განმავლობაში გაძლიერდა საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია დასავლეთ ევროპაში. ამ მხრივ გამოირჩევიან ეთნიკური ბერძნები, რომლებიც თავის ისტორიულ სამშობლოს უბრუნდებიან. საქართველოდან ემიგრაციაში წასულ როგორც ქართველთა, ისე არაქართველთა უმეტესობას ახალგაზრდები წარმოადგენენ. მაგალითად, 1993 წელს მიგრანტთა 35,1% 16-დან 30 წლამდე ასაკისა იყო, ხოლო 25,2%-ის ასაკი 31-დან 40 წლამდე მერყეობდა.

III.14. კახეთის მთიელთა (ფშავ-ხევსურთა) მიგრაცია მთისწინეთსა და ბარში

XVII-XIX საუკუნეებსა და XX საუკუნის პირველ ორ ათეულ წლებში ფშაველთა და ხევსურთა ბარისაკენ გადასახლება ინტენსიური იყო. თუმცა ასეთი პროცესების არსებობას უფრო ადრე (XVII საუკუნის II ნახევრის წინარე ხანაში) გვავარაუდებინებს ისეთი რიგის მასალების შედარებითი ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა, როგორებიცაა ტოპონიმები და ადგილშეცვლილი საკულტო ძეგლები, მოსახლეობის ე. წ. „ძირ-სალოცავებთან“ დამოკიდებულება. აშკარაა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიდან (ამ შემთხვევაში, ფშავ-ხევსურეთიდან) მოსახლეობის მიგრაცია ისტორიულ-კანონზომიერ ხასიათს ატარებდა.

მთიელთა ბარში გადასახლების ისტორიული კანონზომიერების

დადასტურებამდე მივყავართ, აგრეთვე იმას, რომ ამ პროცესს ჰქონდა ეკონომიკური საფუძველი. მთური რელიეფი, გეოგრაფიული გარემო სამიწათმოქმედო მოსავლის სიმცირეს ქმნიდა და მთას მხოლოდ მოსახლეობის განსაზღვრული, გარკვეული ნაწილის გამოკვება შეეძლო. მოსახლეობის ნამატი იძულებული იყო სხვა საცხოვრებელი ადგილი ეძებნა. მთიელისათვის კი ასეთი საცხოვრისი თავისი სამეურნეო-ეკონომიკური სიმდიდრით არსებული ქვეყნის მთისწინეთი და ბარი იყო.

მთის მოსახლეობის ბარისაკენ მიგრაციის ძირითად მიზეზთან ერთად მოქმედებთა რიგი სხვა მიზეზი, თუ საბაბი: მეზობელ არაქართულ ეთნიკურ ერთეულებთან ზოგჯერ არაკეთილმეზობლური ურთიერთობა; ხალხური სამართლის ისეთი ფორმა, როგორიცაა თემიდან მოკვეთა, მესისხლეობა (ხევსურეთში), რაიმე უბედურების მომტანი ბუნებრივი მოვლენა, მაგალითად, ზვავი, და სხვა.

ფშავ-ხევსურთა ბარში ჩამოსახლების როლში ერთგვარად გვევლინება ის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, რომელიც ხშირად გარეშე ფაქტორთა გამო ჩნდებოდა ხოლმე საქართველოს მთისწინეთსა და ბარში. გაპარტხებულ, ნაოხარ, ნასოფლარ ადგილებს მშვიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ გლეხიკაცი „სჭირდებოდა“. ასეთ მოსახლკარედ კი მთის ჭარბი მოსახლეობა გვევლინება, რომელთა ჩამოსახლება-დაფუძნებას ხელისუფლებაც უწყობდა ხელს. ქართველი მეფე, თავადი, ეკლესია თვით ცდილობდნენ საკუთარ მიწაწყალზე, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ყმა დაესვათ.

მთიელთა მთისწინეთსა და ბარში მიგრაცია თავისი ერთგვარი კანონზომიერების გამო ქართველი ხალხის კვლავწარმოების საუკეთესო წყაროს წარმოადგენდა მაშინ, როდესაც საგარეო პირობების გამო ბარის პროვინციებში მოსახლეობა ხშირად წყდებოდა და ადგილები უკაცრიელდებოდა.

ფშავ-ხევსურთა გადასახლება მიმდინარეობდა აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთსა და ბარის თითქმის ყველა მხარეში, მაგრამ იგი განსაკუთრებით მიმართული იყო ივრის ხეობის ზემო წელის, ერწო-თიანეთის, კახეთის ბარის (პანკისისა და ილტოს ხეობები, გაღმამხარი, შიგნით და გარე კახეთი, შირაქი), არაგვის

ხეობის მისწინეთისა და ბარისაკენ.

მართლდება ქართულ ეთნოლოგიაში გამოთქმული მოსაზრება (*ვ. ჩიტაია*), რომ მთის მოსახლეობა უშუალოდ ბარში არ გადასახლდებოდა, არამედ ის გაივლიდა საფეხურს, შუალედურ რგოლს. მთიელები უმეტესად სახლდებოდნენ ზეგან, მთისწინ ადგილებში და მხოლოდ აქ გარკვეული ხნით მოსახლეობის შემდეგ ნაწილი ბარში გადადიოდა. ამასთანავე, მთისწინეთში გადმოსახლებულ მთიელს გააზრებული როდი ჰქონდა, რომ ის ან მისი შთამომავალი შემდეგ ბარში უნდა გადასაულიყო საცხოვრებლად.

ფშავ-ხევსურთა მთისწინეთსა და ბარში ჩამოსახლება XVII-XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის პირველი ნახევარში ძირითადად გაჟონვითი ხასიათისა იყო, XIX საუკუნის მეორე ნახევარსა – XX საუკუნის პირველ ორ ათეულ წელს თავს იჩენს მთიელთა ინტენსიური ჯგუფური გადასახლებები. კაპიტალიზმის ეპოქისათვის დამახასიეთებელი ჯგუფური გადასახლების ნათელი მაგალითებია ხევსურთა ერწო-თიანეთში მიგრაცია XIX საუკუნის II ნახევარში და ფშაველთა შირაქში ჩასახლება XX საუკუნის დასაწყისში. სხვათა შორის, ფშაველთა შირაქში ჩასახლებას ხელს უშლიდნენ ცარიზმი და მდიდარი ქართველი მეცხვარეები. ამ დროს ფშაველთა დამცველის როლში მოგვევლინა *ვაჟა-ფშაველა.*

ჩამოსახლებული ქართველი მთიელები ახალ საცხოვრისში ხშირად შეცვლილი გვარებით გვევლინებიან. ასეთ ე. წ. შტონაყარ გვარებს საფუძვლად გადასახლებულის სახელი უდევს.

მთის მოსახლეობის მიგრაციის ირგვლივ არსებული ეთნოგრაფიული მასალები მიუთითებენ, რომ ფშავი ისტორიულ-გეოგრაფიულად მოიცავდა არა დღევანდელი გაგებით ფშავს (ე. წ. წინაფშავი და უკანაფშავი), რომლის სამხრეთ საზღვრად ჟინვანს და გუდრუხს სდებენ, არამედ მხოლოდ უკანაფშავს, ფშავის არაგვის ხეობას ორწყალს ზემოთ. უკიდურეს შემთხვევაში სამხრეთით ფშავი კართანამდე და სოფელ წინკარამდე უნდა გაგრძელებულიყო. დღევანდელ წინაფშავში (მაღაროსკარის თემი) ფშავლები ფშავის არაგვის ხეობიდან არიან გადმოსახლებული. ასევე შეიძლება ითქვას „ივრის ფშავლების“ შესახებ. ტერმინი „ივრის ფშა-

ვი“ მხოლოდ პირობით უნდა ვიხმაროთ. აქ ლოკალიზდება ძველი ქართული თემი „ყვარელნი“; მათი აქედან წასვლის შემდეგ (XV საუკუნის I ნახევარი) ეს რეგიონი მთიელთა ბარში გადასახლების საფეხურად წარმოგვიდგება.

ფშავ-ხევსურთათვის ბარში გადასახლების საფეხურს, შუალედურ რგოლს, ივრის ხეობის ზემო წელს გარდა, წარმოადგენდა აგრეთვე ერწო-თიანეთი, ილტოს ხეობა, პანკისის ხეობის ზემო წელი, ხორხის ხეობა, არაგვის ხეობის მთისწინეთი. ზოგიერთი ჩამოსახლებული მთისწინეთში დასასახლებლად ირჩევდა გორაკის ძირებს, რაც მათ ადრინდელი საცხოვრებლის ანალოგიურობას უქმნიდა და უახლოვდებოდა გეოკლიმატურ პირობებს.

ისტორიულად გადმოსახლებული მთიელები, უპირველეს ყოვლისა, საეკლესიო ან სამეფო მიწებზე სახლდებოდნენ. მათ მხოლოდ შედარებით გვიან (XIX ს.) დაიწყეს თავადისა და აზნაურის მიწებზე დასახლება, მას შემდეგ, რაც პირველი ორის თავისუფალი მიწები დასახლებული აღმოჩნდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის მთისწინეთსა და ბარში მიგრაცია მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პროცესს წარმოადგენდა. გადმოსახლებული მთიელები ახალ გარემოში მათთვის უცხო სოციალურ ურთიერთობებში ებმებოდნენ. იმდენად დიდი იყო მთიელის სწრაფვა ბარისაკენ, რომ ის თმობდა მთაში არსებულ თითქმის სრულ თავისუფლებას და ახალ საცხოვრებელ გარემოში სხვაზე დამოკიდებული ხდებოდა – სამეფო, საეკლესიო, სათავადო და აზნაურის ყმად იქცეოდა.

გარდა ამისა, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მთიდან ჩამოსახლებულები მიწას ყიდულობდნენ, თავად იქცეოდნენ მიწის მფლობელებად, რაც კაპიტალისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. ეს განსაკუთრებით ითქმის სოციალურ-ეკონომიკურად დაწინაურებულ მოსახლეობაზე, რომლებიც ფშავში „ქევხას“ სახელით იყვნენ ცნობილი და ცხვრის საკმაო რაოდენობას ფლობდნენ.

მთიდან ჩამოსახლებული ცდილობდა ადრე ასევე მთიდან მოსული ბიძაშვილის, ნათესავის გვერდით დასახლკარებულიყო. ხშირად ჩამოსახლებულს თვით „მოჰყავდა“ მთიდან ნათესავი. მთიდან

მიგრაციის შედეგად გაჩენილი სოფლები ხშირად მოგვარეებით, თანამეთემეებით, ერთი ხატის ყმებითა და ხშირად ნათესავებითაა დასახლებული. გადმოსახლებული ცდილობს ახალ გარემოში ნათესავის, თავისი კუთხის წარმომადგენლის გვერდით დასახლდეს, რითაც აგრძელებს მთაში თანაცხოვრების ტრადიციას და ამასთანავე დიდხანს ინახავს ნათესაური და მეზობლური ურთიერთობის ძველ ფორმებს.

მთიდან ჩამოსახლებულები ახალ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში ახალ სამეურნეო ყოფაში ხვდებოდნენ. მთიდან მოსულებისათვის ახალი გარემოს სამეურნეო ათვისება დიდ წინააღმდეგობას არ აწყდებოდა, რადგან გადასახლება ერთ ეთნიკურ გარემოში ხდებოდა. ამასთანავე, ქართველი მთიელისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო მთისწინეთისა და ბარისათვის დამახასიათებელი ხალხური წეს-ჩვეულებები. გამონაკლისს შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა კულტურულ-სამეურნეო ადაპტაციის სიძნელეებსაც. სამეურნეო ყოფის ზოგიერთი დარგის (მაგალითად, მევენახეობის) ტრადიციის სრული აღდგენა ვეღარ ხერხდებოდა მთისწინეთის ისეთ რეგიონებში, სადაც მოსულს ადგილობრივი მოსახლეობა საერთოდ აღარ ხვდებოდა და მეურნეობის აქ არსებული ტრადიციაც გაწყვეტილი იყო. ბარში გადმოსახლებული მთიელები კი მაშინვე ეზიარებოდნენ ბარული სამეურნეო ყოფის ყველა მხარეს. ისიც უნდა ითქვას, რომ მთისწინეთში ჩამოსახლებული ქართველი მთიელი უშუალო დაკვირვებითა და ბარის მოსახლეობასთან ურთიერთობის შედეგად აღადგენდა ზოგიერთ სამეურნეო-კულტურულ დარგს. მაგალითად, ასე აღადგინეს ჩამოსახლებულმა მთიელებმა ერწო-თიანეთში მეხილეობა, ხოლო უფრო ზემოთ, ივრის ხეობის ზემო წელში, ფშავიდან მოსულებს უშუალოდ ტყის მცენარეებიდან გაუკულტურებით რამდენიმე ხის ჯიში.

გადმოსახლების შემდეგ მთიელები ავითარებდნენ მთიდან მოყოლილ მეცხოველეობის ტრადიციას: ხევსურები — მსხვილფეხა რქოსან მეცხოველეობას, ფშავლები — მსხვილფეხა რქოსან მეცხოველეობასა და მეცხვარეობას. ამასთანავე, მთისაგან განსხვავებით მთისწინეთსა და ბარში ჩამოსახლებულებმა გაზარდეს გამწევი საქონლის რაოდენობა.

მთისწინეთსა და ბარში მოსულმა ფშავლებმა და ხევსურებმა დაიწყეს მეღორეობაზე გადასვლა, რაც მთაში მათთვის უცნობი იყო. აღნიშნული მიგრანტის მატერიალურმა დაინტერესებამ განაპირობა.

ჩამოსახლებულები დღემდე ინახავენ გადმოცემას თავიანთი გვარის თავდაპირველი სახელის შესახებ და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ ქორწინებას იმათთან, ვისაც მათი ადრინდელი გვარი უტარებია ან ატარებს, აგრეთვე თავის ხატის ყმასთან, რაც თავისთავად გადმოსახლებამდე არსებული საქორწინო ტრადიციის გაგრძელებაა.

ჩამოსახლებულებს გადმოჰქონდათ მთური სინკრეტული სალოცავების ნიშები და შესაბამისად სინკრეტული რწმენა-წარმოდგენები, ხატმსახურება, დღეობათა რიტუალები და სხვა, მიუხედავად იმისა, რომ გადმოსახლებულ მთიელებს ამ მხრივ წინააღმდეგობა ხვდებოდათ ადგილობრივი ქრისტიანული ეკლესიის მოღვაწეთა მხრიდან. დროთა განმავლობაში მთიდან მოყოლილი რელიგიური მოვლენები ცვლილებებს განიცდიდნენ და უახლოვდებოდნენ ბარისათვის დამახასიათებელ ქრისტიანულ რელიგიურ რიტუალებსა და რწმენა-წარმოდგენებს. დღეისათვის სალოცავებმა ძირითადად დაკარგეს ის ფუნქცია, რომელიც მათ ეკისრათ და ასეთი დღეობები თუკი ახლა სადმე სრულდება, რელიგიური შინაარსისაგან დაცლილი არიან, წარმოადგენენ ძველი ტრადიციის შინაარსისაგან დაცლილი არიან, წარმოადგენენ ძველი ტრადიციის ინერციით გაგრძელებას და მათი ფუნქცია წელიწადში (ან რამდენიმე წელიწადში) ერთხელ ნათესავთა ერთად თავშეყრით, დროს გატარებით, წინაპართა პატივისცემით ამოიწურება.

თუ XIX საუკუნის II ნახევარში, ვაჟა-ფშაველას დაკვირვებით, ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონიდან ერწო-თიანეთში ჩამოსახლებული მთიელები ინახავდნენ თავიანთი მხარისათვის მახასიათებელ ეთნოგრაფიულ თავისებურებებს (ეს განსაკუთრებით ითქმის XIX საუკუნის II ნახევარში მოსულებზე), დღეს ასეთი მომენტები უკვე აღარ არსებობს.

ცვლილებები შეეხო გადამოსახლებულთ დიალექტს. ერწო-თიანეთში XIX საუკუნის II ნახევრამდე მოსულები ლაპარაკობდნენ

ე. წ. თიანურ კილოზე, რომელიც კახურის, ფშაურის და ხევსურულის ურთიერთგავლენის შედეგადაა წარმოშობილი, ხოლო ფშაურ და ხევსურულ დიალექტებზე (გარკვეულად სახეცვლილზე) ლაპააკობენ გვიან, XIX საუკუნის II ნახევრიდან ჩამოსახლებულები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უფრო ადრე კომპაქტურად დასახლებულ ფშავლებს (მაგალითად, ივრის ხეობის ზემო წელში).

III.15. ქართლის მთიელთა ბარში მიგრაცია

საისტორიო და ეთნოგრაფიული მასალებით აშკარაა შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მთისწინეთსა და ბარში მიგრაციის ინტენსიურობა. შიდა ქართლის მთიელთა მიგრაცია მიმართული იყო აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისაკენ, პირველ რიგში შიდა ქართლისავე მთისწინა (ზეგან) და ბარის რაიონებისაკენ. მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელები, ჭართლელები, მოხევეები, ქსნისხველები და სხვ. გარდა შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარისა მიგრირდებოდნენ აგრეთვე ერწო-თიანეთში, თრიალეთის ქედზე (როგორც ქვემო ქართლის, ისე შიდა ქართლის მხარეზე), კახეთში.

შიდა ქართლის მთიელთა მიგრაცია მთისწინეთსა და ბარში ბევრი რამით თითქმის ანალოგიური იყო კახეთის მთიელთა – ფშაველთა და ხევსურთა – მიგრაციებისა, თუმცა მათ განმასხვავებელი ნიშანიც არერთი გააჩნდათ. შიდა ქართლის მთიდანაც მოსახლეობის დაბლობისაკენ გადასახლება ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემებით აშკარად ხელშესახებია XVII საუკუნიდან და ეს პროცესი თითქმის დაუბრკოლებლად გრძელდებოდა XVIII, XIX და XX საუკუნეებში. მაგრამ ირკვევა, რომ ისე როგორც კახეთის მთიელები, შიდა ქართლის მთიელებიც ინტენსიურად და აქტიურად მიგრირდებოდნენ საქართველოს მთისწინეთსა და ბარში უფრო ადრეც – XVII საუკუნის წინა პერიოდებშიც. ამ დასკვნის გამოტანის საშუალებას საისტორიო საბუთებთან ეთრად ტოპონიმების ანალიზიც გვაძლევს. ამის დამადასტურებელია თუნდაც ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის

ხეობათა ქართული მოსახლეობის ერთდროულად აყრის შესახებ. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განუხორციელებია ამ მხრივ XV საუკუნის პირველ ნახევარში ალესანდრე I-ს. მეფეებს არც ქართველი ფეოდალები ჩამორჩებოდნენ; ისინი მუდმივად ზრუნავდნენ გაპარტახებული ბარის რაიონები ახალმოსახლეებით მოეშენებინათ და ასეთი ახალმოსახლეები ხშირად ქართველი მთიელებიც იყვნენ. საილუსტრაციოდ აქ 1470 წლის საბუთი „გუჯარი ქსნის ერისთავის ქვენიფნეველის შალვასი, ბოძებული ლარგვისის მონასტრისადმი“ შეიძლება მოვიყვანოთ: „აღვაშენე სოფელი ივრეთი, რომელ მურვანის ჟამსა უკანით კაცი არ სახლებულიყო. აგრეთვე ქსანსა ზედა სოფელი ჰერედა ოხერი აღვაშენე და ზუარი, ქურთა და სხუა, ვინცა ლარგვის მონასტრისათვის შეწირული იყო ჩვენთა პაპათა და ჩამომავალთაგან, ეგრეთვე უცვალებლად იყო“. როგორც ჩანს, ქსნის ერისთავები გაპარტახებული ბარისა და მთისწინეთის სოფლებს აღდგენას საერისთავოსივე მთის სოფლების მოსახლეობის მიგრაციის ხარჯზე ახდენდნენ. ამის დამადასტურებელი XVIII-XIX საუკუნეების საარქივო მონაცემები და ეთნოგრაფიული მასალები გაგვაჩნია.

ისტორიის სიღრმეში უფრო ღრმად თუ ჩავიხედავთ, IX საუკუნეში შიდა ქართლის მთიელთა ინტენსიური აყრა-გადასახლება მოხდა კახეთში. მხედველობაში გვაქვს თერგის ხეობაში მოსახლე ქართველი მთიელები წანარები, რომელთა ასეთმა ერთდროულმა მიგრაციამ წანართა ეთნოგრაფიული ერთეულის გაქრობაც კი გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, საშუალება მისცა ქართველ მთიელებს – დვალებს მათ ნამოსახლარებზე დაფუძნებულიყვნენ (თერგის ხეობის თრუსოს მონაკვეთი).

კახეთის მთიელთა მიგრაციის შესწავლის შედეგად აღნიშნული გვქონდა, რომ ქართველ მთიელთა მთისწინეთსა და ბარში მიგრაცია ერთგვარად კანონზომიერი პროცესი იყო. ეს კანონზომიერება დასტურდება მთიულთა, გუდამაყრელთა, მოხევეთა, ჭართლელთა, ქსნისხველთა და სხვათა მიგრაციული პროცესებითაც. თუმცა მთიელთა ბარში ერთდროულ აყრა-გადასახლებას კანონზომიერებად ვერ მივიჩნევთ. მხედველობაში გვაქვს ჯერ წანარების, შემდეგ დვალების და ბოლოს დიდი ლიახვისა და პატარა ლიხვის

მთიელთა ერთდროული აყრა და ბარში გადასახლება. ასეთივე მიგრაციები მიზეზთა სხვა ერთობლიობით იყო განპირობებული, ძირითადად კი მოსაზღვრე მთიანი ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებიდან უცხო ეთნიკური ერთეულების მოძალებით. მთიელთა კანონზომიერი მიგრაციის ჩარჩოებში მხოლოდ ისეთი მიგრაციები ექცევა, რომლებიც ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორებით იყო გაპირობებული. ცნობილია, რომ მთა მხოლოდ მოსახლეობის განსაზღვრულ რაოდენობას იტევდა და მოსახლეობის ნამატი იძულებული იყო სხვაგან მიგრირებულიყო. მთაში მოსახლეობის რაოდენობა ლიმიტირებული იყო. მთას შეეძლო გამოეკვება მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა. მთა ვერ იტანდა მოსახლეობის გადამეტსახლებას და ქართველი მთიელების მუდმივი გადასახლებანიც საქართველოს მთისწინეთსა და ბარში ამ მიზეზით იყო გაპირობებული. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ხდებოდა მთიელთა მიგრაციები მთისწინეთსა და ბარში. ასეთ მიგრაციულ პროცესებს ერთი მიმართულება როდი ჰქონდა. ის რამდენიმე მიმართულებით მიემართებოდა და ისტორიული პირობების გათვალისწინებით ეს მიგრაციული ნაკადები ხან ერთი არხით მიემართებოდა, ხან მეორეთი და ა. შ. თუმცა შეინიშნება ქართველ მთიელთა ქვეყნის გარეთ, ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიისაკენ გადასახლების შემთხვევებიც. აშკარაა, რომ საქართველოს მთიანეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთს შორის მოსახლეობის „გაცვლა“ მთელი ისტორიის მანძილზე მუდმივად ხდებოდა. ჩვენს მთაში, მის ყვალა მხარეში ასე ამანათად შემოხიზნული ძირად ვაინახი თუ ოსი, დაღესტნელი თუ ჩერქეზი არაერთი გვხვდება. ასევე ბევრი წარმოშობით ქართველია ამ დასახელებულ ხალხებში. ისტორიის ხანგრძლივ მონაკვეთებში მოსახლეობის მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიაში და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩვენს მთაში ძირითადად გაჯონვითი ხასიათის იყო. თუმცა XIX საუკუნეში ასეთმა მიგრაციებმა ჯგუფური გადასახლებების ფორმაც მიიღო. აქ შეიძლება გავიხსენოთ ქისტების პანკისის ხეობაში გადასახლება და მოხევეთა ვლადიკავკაზში მიგრაცია XIX საუკუნეში. 1860 წლიდან 1886 წლამდე ხევიდან შეინიშნება ინტენსიური მიგრაცი-

ული პროცესები. მოხევეთა ეს გადასახლება საქართველოს ბარში არსებული დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებას როდი ემსახურებოდა. ხევის მოსახლეობა თერგის დინებას მისდევდა და ჩრდილოეთ კავკასიაში, ძირითადად ოსეთში მკვიდრდებოდა. მართალია, 1886 წელს ასამდე ოჯახი (690 სული) მოხევეებისა, ხევში იყო ჩაწერილ-აღნუსხული, მაგრამ რეალურად ისინი უკვე ვლადიკავკაზსა და მის ოკრუგში ცხოვრობდნენ. აღარას ვიტყვით რაჭველთა მიგრაციაზე ანალოგიური მიმართულებით.

საქართველოს მთიანეთიდან მოსახლეობის მუდმივი მიგრაციული პროცესების მიუხედავად, ეს გეოგრაფიული რეგიონი მაინც ერთგვარად გადამეტსახლებული იყო. ისტორიული ბედუკულმართობის გამო, ქართველ მთიელს (და, მათ შორის, შიდა ქართლის მთიელებს) ყოველთვის არ შეეძლოთ თავისუფლად მიგრირებულიყვნენ საქართველოს მთისწინეთსა და ბარში. მთიელთა ინდივიდუალური, გაჟონვითი გადასახლებანი თუ მუდმივი პროცესი იყო, ინტენსიური და ჯგუფური გადასახლებანი მხოლოდ ქვეყანაში მშვიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ ხდებოდა.

მტერთა ხშირი თავდასხმებისა და ბარში უკიდურესი გაჭირვების დროს, პირიქითი მიგრაციული პროცესებიც ხორციელდებოდა — მტრისაგან დევნილი ბარელი ქართველები მთას აფარებდნენ თავს. მაგრამ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პროცესი მოსახლეობის მიგრაციისა ბარიდან მთაში ისეთივე ხასიათის როდი იყო, როგორც მთიელთა ბარში ჩამოსახლება. მთიელი მთისწინეთსა და ბარში მუდმივად ჩამოსახლდებოდა, ბარელთა მთაში ასახლებას მხოლოდ დროებითი ხასიათი ჰქონდა. მშვიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ, ბარელი ისევ უკან ბრუნდებოდა მამა-პაპათა საცხოვრისში (ჩვენი მთის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მკვიდრობენ გვარები, რომლებსაც ბარული წარმომავლობა აქვთ, თუმცა მცირე რაოდენობით) ფართო მინდვრისა და წინაპართა ჩაყრილი ვენახის დასამუშავებლად და თან მისი შემფარებელი მთიელიც მოყავდა, გადასახლების გზას უჩვენებდა და თავისი ძმისა და ბიძაშვილის, მეზობლისა და თანასოფლელის ნასახლარსა და პარტახტზე ასახლებდა. მთიელიც მოდიოდა და ხდებოდა ეკლესიის, მეფის, თავად-აზნაურის ყმა, — არ ერიდებოდა იმას, რომ

ჰკარგავდა თავისუფალი მწარმოებლის, მთიელის სტატუს, იმდენად დიდი იყო მთაში ეკონომიკური გაჭირვება. შიდა ქართლის მთიელთა, ისევე როგორც ფშავ-ხევსურთა, მთისწინეთსა და ბარში მიგრაციის მიზეზი იყო გეოგრაფიულ-ეკონომიკური ფაქტორი. ნიშანდობლივია ერთი მთხრობელის ნათქვამი, რომ „ერთი კომლის მიწა ხუთ ძმას ეჭირა“.

შიდა ქართლის მთიელთა (და ყველა ქართველი მთიელის) მიგრაციის ხელისშემწყობის როლში ერთგვარად გვევლინება ის ეკონომიკურ-სამეურნეო კავშირები, რომლებიც ოდითგანვე საქართველოს მთასა და ბარს შორის არსებობდა. მთა და მთიელნი არასოდეს არ იყვნენ ბარისაგან მოწყვეტილნი. მთიელები მუდმივად იცნობდნენ ბარში და ზეგანზე არსებულ სიტუაციას და ისინი ადვილად წყვეტდნენ მთიდან ბარში საცხოვრებელი ადგილის შეცვლის პრობლემას. სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირებში პირველ რიგში შიდა ქართლის მთიელთა (და სხვა მთიელთა) მიერ ბარის საძოვრების გამოყენებას ვგულისხმობთ, რაც ქართულ საისტორიო საბუთებში ჯერ კიდევ ადრეა დადასტურებული. ვახუშტი ბაგრატიონი კახეთის მთიელთა შესახებ წერდა: **„არამედ ამას წინათა კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდნენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი, და ამან ლევან დაიპყრნა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთს, და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთსა შინა და მიერითგან მოსცემდნენ ლაშკარსა და ბეგარასა“.** შესაბამისად შიდა ქართლის მთიელები შიდა ქართლის ბარში აბალახებდნენ ცხვარს. ქართველ ისტორიკოსებს მთისა და ბარის ეს ფორმა ადრე ფეოდალური პერიოდიდან აქვთ დადასტურებული, რომელმაც განსაკუთრებულ მასშტაბებს საქართველოში XIX საუკუნეში, კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების შემდეგ, მიაღწია. აღნიშნული თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მთიელთა გარე სამუშაოზე სიარულს, რაც ასევე ქართულ დოკუმენტებშია დადასტურებული. XVI საუკუნის საბუთით ტრადიციული იყო იყო სვანთა მთელ ბარში გარე სამუშაოზე სიარული. ისინი კახეთამდე, სამცხემდე და გურიამდე აღწევდნენ. მთიანი აჭარის, შავშეთ-იმერხევის მოსახლეობაც დადიოდა გარე სამუშაოზე.

მთიელთა მიგრაციას მთისწინეთსა და ბარში ხშირად აპირობებდა მთაში მომქმედი ხალხური სამართალი. მესისხლეობის გამო, შიდა ქართლის მთიელები მამა-პაპათა საცხოვრისს სტოვებდნენ. ასეთ მიგრანტებად მხოლოდ ერთი პიროვნება ანდა მისი ოჯახი კი არ გვევლინებოდა, არამედ რამდენიმე ცოლშვილიანი ძმა. ისიც მოხდა, რომ XVII საუკუნის დასაწყისში ხევსურეთის ორ სოფელში – მოწმაოსა და დათვისში – მცხოვრები ერთი გვარის ხალხი – გიგაურები მთლიანად აიყარნენ და ჭართალში ჩამოსახლდნენ, რაც თავის მხრივ, ასევე ხალხური სამართლისადმი პასუხისმგებლობის თავის არიდებით იყო გაპირობებული. ჭართალში გიგაურების დასახლებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მისი თავდაპირველი მკვიდრნი ბარში იყვნენ გადასახლებული.

შიდა ქართლის მთიელთა მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი იყო აგრეთვე ბუნებრივ-სტიქიური მოვლენები, მაგალითად ზვავის ჩამოწოლა. შიდა ქართლის მთიანეთის მოსახლეობისათვის გადასახლების ერთ-ერთი გამაპირობებელი ფაქტორი იყო სოციალური დაპირისპირებაც, განსხვავებით კახეთის მთიელებისაგან. არაგვის ერისთავების მიერ არაგვის ხეობის მთიანეთის (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი, ხევი) დამორჩილების შემდეგ, მთიელები სწორედ ამის გამოც გადასახლდებოდნენ სხვაგან. მთაში ყმობას, ბარში ყმობა სჯობდა. იხიზნებოდნენ არაგვის საერისთავოდან ქსნის საერისთავოში. XVIII საუკუნეში არაერთი მთიულ-გუდამაყრელი იყო ხიზნად ქსნის საერისთავოში. ქსნისხველები არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში იდგნენ, აგრეთვე მოსაზღვრე საამილახვროში.

ერთი ფეოდალური ერთეულის ფარგლებში ხშირადაა დამოწმებული ე. წ. „ორკომობა“. ბევრი მთიელი უცბად ვერ წყდებოდა მთას და ბარში იჩენდა ადგილ-მამულს. მაგალითად, ლეხურას ხეობის ზემო წელის სოფელი ქოლოთი და ბარის სოფელი მეჯვრისხევი ქსნის საერისთავოში შედიოდა. ქოლოთელები დღეს ძირითადად მეჯვრისხევში არიან გადმოსახლებულნი. ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ მეჯვრისხევში გადმოსახლებამდე ქოლოთელ მთიელებს აქ ქსნის ერისთავების მიერ ადგილი ჰქონდათ ბოძებული. გაუყრელი ოჯახის ერთი წევრი თუ მთაში ეწეო-

და მეურნეობას, მეორე – ბარში. ეთნოგრაფიული მასალა: „მეჯ-ვრისხევში ვენახი გვქონდა, ვენახში სახლი გვედგა და ვცხოვ-რობდით მთაში. ჩამოვდიოდით ბარვის, სხვლის და დაკრეფის დროს. ზოგი ღვინო მთაში მიგვქონდა. ორკომობაა ეგ, აქაც და იქაც რომ ვცხოვრობდით. ასეთ ორკომობას ბევრი ეწეოდა. მამუ-ლის მოძრაობა ჰქონდათ. ორგან რომ ცხოვრობ, ეგაა ორკომობა. ქოლოთში მცხოვრებ პაპაჩვენებს ერისთავიანთ მამულში სანახევ-როდ გაუჩენიათ ვენახები“. ასეთი ორკომობა ჩვეულებრივ ბოლოს „ერთკომობით“ მთავრდებოდა. მთიელები ბარში ირჩევდნენ ცხოვ-რებას, აქ დასახლკარდებოდნენ.

საქართველოს რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგ, XIX საუკუნეში მთიულების, გუდამაყრელების, ხანდოელების და ჭარ-თლელების მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ცარიზმის ხელი-სუფალთა მიერ საქართველოს სამხედრო გზაზე დაწესებული ე.წ. „საგზაო ბეგარა“. ბეგარა მთიელებისათვის იმდენად მძიმე იყო, რომ თავის დაღწევის მიზნით ისინი აქედან მიგრირდებოდნენ.

მთიულებისათვის მიგრაციის ერთ-ერთ გამაპირობებელ ფაქტო-რად იქცა აგრეთვე არაგვის ხეობის სათავეში – ღუდაში დასახ-ლებულ ოსებთან კონფლიქტები, მოსული არაქართული ეთნიკური ერთეულის მხრივ განხორციელებული ხშირი მეკობრეობა-ქურდო-ბა. სხვათა შორის, სწორედ ოსთა ხშირი ლაშქრობების, მეკობ-რეობის შედეგი იყო ის, რომ ქართველი მთიელებისაგან თავის დროზე დაიცალა ჯერ დვალეთი, შემდეგ მაღრან-დვალეთი, დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, მეჯუდას, ლეხურას და ქსნის ხეობა-თა სათავეები. შიდა ქართლის მთიანეთის ამ ხეობებიდან მოსახ-ლეობის „სოფლეურად აყრა“ დასტურდება როგორც ეთნოგრაფიუ-ლი მონაცემებით, ისე საისტორიო საუთებით.

ქართველ მთიელთა მთისწინეთსა და ბარში მიგრაციით დაინ-ტერესებული იყვნენ ქართველი მიწისმფლობელნი. მტერთა ხშირი თავდასხმების გამო, ბარში ბევრი იყო ნასახლარი, პარტახტი, ნა-სოფლარი. ქართველ ფეოდალს კი მიწის მუშა სჭირდებოდა. ისი-ნი კი ხელს უწყობდნენ მთის ნამატი მოსახლეობის ბარში და-ფუძნებას. ამით კი ერთგვარად წყდებოდა ეთნოდემოგრაფიული პრობლემებიც, რომლებიც ხშირად იჩენდა თავს.

XIX საუკუნიდან შიდა ქართლის მთიელთა მიგრაციამ განსაკუთრებულად ინტენსიური ხასიათი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ XV-XVIII საუკუნეებშიც შიდა ქართლის მთიელები ინტენსიურად გადასახლდებოდნენ მთისწინეთსა და ბარში, მასშტაბები XIX-XX საუკუნეებში შეიცვალა. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ XVII-XVIII საუკუნეებში და წინა პერიოდებშიც თითქმის მუდმივი საგარეო თავდასხმები არ აძლევდა მთიელებს მასშტაბური ჩამოსახლების საშუალებას. თუმცა მშვიდობიანობის ჩამოვარდნის პერიოდებში ჯგუფური გადასახლებები მაინც ხორციელდებოდა. XIX საუკუნეში კი როდესაც საგარეო საშიშროება აღიკვეთა და ქვეყანაში მშვიდობიანობა დამყარდა, შიდა ქართლის მთიელები (აგრეთვე კახეთის მთიელები) ინტენსიურად გადასახლდებოდნენ როგორც მთისწინეთში, ისე ბარში. ასე იქნა მათ მიერ ათვისებული თრიალეთის დაუსახლებელი ქედი, შირაქი და სხვა. მუდმივი საგარეო ფაქტორის გამო იყო, რომ XVII-XVIII საუკუნეებში და უფრო ადრეც ძირითადად მოსაზღვრე მთისწინა და ბარის რეგიონებში სახლდებოდნენ და მხოლოდ XIX საუკუნიდან დაიწყეს ინტენსიური წინ წაწევა დაშორებული და სანაპირო მხარეებისაკენ. ამ შემთხვევაში ანგარიშგასაწევია ადაპტაციის საკითხიც. როგორც სხვაგანაც აღვნიშნეთ, მთიელებს უჭირდათ მთის გეოკლიმატური პირობებიდან ბარის გეოკლიმატურ პირობებში უშუალოდ ჩასახლება. ამიტომ ისინი დასასახლებლად მთისწინა, ზეგან რეგიონებს ირჩევდნენ და მხოლოდ შემდეგ, ნელ-ნელა, რამდენიმე თაობის გასვლის შემდეგ მიიწევდნენ უფრო დაბლობისაკენ. არაერთი ეთნოგრაფიული მონაცემემი გვაქვს დაფიქსირებული, როდესაც შიდა ქართლის მთის მოსახლეობა ბარში უშუალოდ გადასახლების შემდეგ სტოვებდა ბარს და მთისწინეთსა და ზეგანს ირჩევდა დასასახლებლად.

მთიანეთის პროვინციებთან ახლოს მთისწინა და ბარის რაიონებში გადასახლებას უთუოდ ისიც განაპირობებდა, რომ მთიელი იყო მთის გარკვეული სოციალურ-რელიგიური ორგანიზაციის წევრი; ისინი იყვნენ ამა თუ იმ საგვარო, სასოფლო, სათემო ჯვარხატის ყმანი. მიგრანტი მთიელისათვის როგორც რელიგიური, ისე სოციალური თვალსაზრისით ძნელი იყო სრულიად მოწყვეტოდა

თავდაპირველ საცხოვრისს. მას მჭიდრო კონტაქტები სჭირდებოდა მთასთან. ტერიტორიული დაშორებულობა კი იმ ვალდებულებების განხორციელების საშუალებას ნაკლებად აძლევდა, რომელიც ტრადიციულად წინაპრებისაგან ჰქონდა მიღებული. ამ შემთხვევაში ერთგვარი შვების მომგვრელი, შემამსუბუქებელი შიდა ქართლის მიგრანტი მთიელებისათვის შეიძლება ყოფილიყო აღნიშნული მთური სალოცავების ნიშების გადმოტანა. მაგრამ, ირკვევა, რომ ასეთ პრაქტიკას თვით მიგრანტები იშვიათად მისდევდნენ. სალოცავთა ნიშები ძირითადად მიგრანტთა შთამომავლებს გადმოჰქონდათ. თანაც ამ ნიშების გადმოტანა ყოველთვის თავისუფლად როდი შეიძლებოდა. მთაში იყო სალოცავები, რომლებიც თავიანთ მიგრირებულ ყმათ ამის „ნებას“ არ აძლევდნენ; ყველა ვალდებულება მიგრირებულ მთიელებს ადგილზე მთაში, წინაპართა საცხოვრისში არსებულ რელიგიურ ცენტრში უნდა შეესრულებინათ. სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ ზოგიერთი სალოცავის ნიში მიგრანტთა შთამომავლებს მოპარული აქვთ, ფარულად აქვთ წამოღებული და არ არიან „ჩამობრძანებულები“ სხვა სალოცავების ნიშებსავით.

მიგრანტი მთიელებისა და მათი შთამომავლების საგვარო, სასოფლო, სათემო და გამაერთიანებელ სალოცავებთან დამოკიდებულების საკითხს ქვემოთ კვლავ შევეხებით, აქ კი კახეთის მთიელების (ფშავ-ხევსურების) მიგრაციის შედეგად მიღებულ დასკვნას გავიმეორებთ: მთიელები გადასახლებისას აუცილებლად გაივლიდნენ შუალედურ რგოლს მთისწინეთ-ზეგანის სახით. ასეთი შუალედური რგოლი, საფეხური მთიულებისა და გუდამაყრელებისათვის იყო არაგვისავე ხეობის მთისწინა ზოლი (ქაისხევი, ტონჩა-გრემისხევის მხარე, ხორხის ხეობა). ნაწილობრივ ასეთ შუალედურ რგოლს, საფეხურს წარმოადგენდა მიგრანტი მთიულ-გუდამაყრელებისათვის ჭართალი, სადაც უფრო ადრე, XVII საუკუნის დასაწყისში ხევსურეთიდან აყრილი გიგაურები დასახლდნენ. ჭართლის ადგილობრივი მოსახლეობა ბარში გადასახლებულა. XVI-XIX საუკუნეებში ჭართალში მიგრირებული მთიულ-გუდამაყრელები, ადგილობრივ ჭართლელებთან ერთად თანდათან დაბლობში გადადიოდნენ საცხოვრებლად.

მთიულ-გუდამაყრელების მიგრაციული მარშრუტები მიმართული იყო შიდა ქართლის მთიანეთის სხვა ხეობებისკენ, რომელთაც გადასასახლებელი ადგილები უთავისუფლდებოდათ თვით ამ ხეობათა მთიელების ბარში გადასახლების შედეგად. მაგალითად, ასე არიან მთიულები, გუდამაყრელები, ჭართლელები გადასახლებულნი ქსნის, ლეხურას და მეჯუდას ხეობების მთიან მონაკვეში.

შემდეგი რეგიონი, სადაც მთიულები, გუდამაყრელები, ჭართელები, ხანდოელები, ქსნისხეველები გადასახლდებოდნენ ერწო-თიანეთი იყო. ამ მთისწინა რეგიონში XVII-XVIII საუკუნეებში ძალზედ ინტენსიური იყო ფშავ-ხევსურთა ჩასახლება. შიდა ქართლის მთიელთა მიგრაცია ერწო-თიანეთში აღნიშნულ პერიოდში ფშავ-ხევსურთა მიგრაციას ვერ შეედრება, მაგრამ მაინც შესამჩნევია. განსაკუთრებით გააქტიურდა შიდა ქართლის მთიელთა ერწო-თიანეთში მიგრაცია XIX საუკუნეში.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან შიდა ქართლის მთის მოსახლეობა ჩამოწვა თრიალეთის ქედის როგორც სამხრეთის, ისე ჩრდილოეთის კალთებზე. აქ და ქვემო ქართლში ქსნის ხეობის მთიელებიც არიან მიგრირებული. აქტიურად მიმდინარეობდა მთიულ-გუდამაყრელთა მიგრაცია კახეთისკენაც, რომელმაც მასშტაბური სახე XX საუკუნის დასაწყისიდან მიიღო. შიდა ქართლის მთიელთა მიგრაციას შიდა ქართლის მთაში მოსახლეობის ამოვარდნა არ გამოუწვევია.

მთიელი მიგრანტები, უპირველეს ყოვლისა, თავისავე ხეობას მიუყვებოდნენ, ჯერ ხეობის მთისწინეთში, შემდეგ ბარში სახლდებოდნენ. თავიანთი ხეობების მთისწინეთისა და ბარის ათვისების შემდეგ, შიდა ქართლის მთიელთა მიგრაციული ნაკადები აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულებისაკენ იქნა მიმართული. ასე არიან გადასახლებული არაგვის ხეობელი მთიელები არაგვისავე ხეობის მთისწინეთსა და ბარში, მეჯუდას ხეობის მთიელები – მეჯუდას ხეობის ბარში და ა. შ.

ისევე როგორც კახეთის მთიელთა, შიდა ქართლის მთიელთა მიგრაციის შესწავლა ძირითადად ხდება გადმოცემებით გვრთა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ. მიგრაცია იყო ხშირად ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მიგრანტები და მისი შთამომავლები

გვარს იცვლიდნენ. მიგრაციის შედეგად ახალი გვარსახელები წარმოიქმნებოდა, რის მიზეზიც გარდა მესისხლეობით გამოწვეული გადასახლებისა, ერთი სოციალური გარემოდან მეორეში გადასვლაც იყო. თუმცა არცერთი მიგრანტი და მისი შთამომავალი არ ივიწყებდა თავის მთურ გვარს და ხშირად ორი გვარის მატარებლებად (მფლობელებად) გაიაზრებდნენ კიდევაც თავს.

ზემოთ ითქვა და კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ შიდა ქართლის მთიდან მოსახლეობის ბარისაკენ მიგრაცია მთაში მოსახლეობის დემოგრაფიულ სტაბილიზაციას იწვევდა. ბარისაკენ გადმოსახლდებოდა ძირითადად მოსახლეობის ჭარბი, ზედმეტი ნაწილი. მთაში რჩებოდა მოსახლეობის ზღვრული რაოდენობა. მთაში ფაქტობრივად ოჯახები არ უქმდებოდა – ორი ძმიდან ერთი მიდიოდა, სამიდან – ორი და ა. შ.

ზემოთ ისიც ითქვა, რომ მთიელთა (და, მათ შორის, შიდა ქართლის მთიელთა) სალოცავებს ბარში მიწები ეკუთვნოდათ. ამ მიწებზე ძირითადად ვენახები იყო გაშენებული. აქ დამზადებული ტკბილი მთაში მიჰქონდათ, ქვევრებში ასხამდნენ და სახატო დღეობებზე სვამდნენ. შიდა ქართლის მთიელებს ბარში მიწები სხვადასხვა გზით ჰქონდათ შეძენილი: 1. საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში განსაკუთრებული დამსახურების გამო მეფეთაგან ბოძებული; 2. ფეოდალებისაგან ბოძებული, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ თავადის სამფლობელო მთასაც მოიცავდა და ბარსაც; 3. თვით მთიელებისაგან შეძენილი. მაგალითების მოყვანა არართი შეიძლება. მეფეთა მიერ ბარში ბოძებულ აგილებში ძირითადად ვენახებს აშენებდნენ. თავდაპირველად ამ ვენახებს ადგილობრივებს ამუშავებინებდნენ. შემდეგ ამ ვენახების მიწებზე მთიელების ერთი-ორი ოჯახი გადმოსახლდებოდა და მთური ხატ-სალოცავის კუთვნილ ვენახში სალოცავის ნიში გადმოჰქონდათ, ნიშნად იმისა, რომ ეს მიწა, მამული, ვენახი მთის ამა თუ იმ სალოცავს ეკუთვნოდა. მთიელთა და მათი ჯვარ-ხატების კუთვნილ ბარის ვენახში სალოცავის ნიშის გადმოტანა ამ მიწის კუთვნილობის ერთგვარი იურიდიული დამადასტურებელიც იყო. შემდეგ კი მთური სალოცავის კუთვნილი ვენახის ნიშის გარშემო ხდებოდა მთიელ მიგრანტთა კონცენტრირება.

ხშირ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, ფეოდალები თავად ახდენდნენ მთიელთა მიგრაციის ორგანიზებას. მაგალითად, არაგვის ერისთავებმა ასე გადაასახლეს ჭართლის სოფელ ბუჩანთკარში მცხოვრები ბუჩაშვილები დუშეთის მახლობლად, აზნაურმა ჩრდილელებმა – რამდენიმე მოხეური გვარი ბაზალეთში. როდის უნდა გაჩენილიყო მთიელთა მიერ ბარში მთური სალოცავის სახელზე მიწის შეძენა, ეთნოგრაფიული მასალებით, ძნელია ამის განსაზღვრა. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ სალოცავებისათვის მიწების შეძენის ფაქტი და ამ სალოცავის ნიშის გარშემო მთიელთა გადმოსახლება განსაკუთრებით ხელშესახებია XIX საუკუნიდან.

საყურადღებოა, რომ გადმოსახლებული მთიელები და მათი შთამომავლები მთური სალოცავების ნიშებს ხშირად მართავდნენ ძველ სალოცავ-ეკლესიათა ნანგრევებზე, რომელთა სახელწოდებანიც, ადგილობრივი მოსახლეობის ამოვარდნის გამო, თითქმის აღარავინ იცოდა.

მიგრანტ ფშავ-ხევსურებისაგან განსხვავებით, მთისწინეთსა და ბარში გადასახლებულ მთიულებსა და გუდამაყრელებს ძირითადად საერთო, გამარეთიანებელი ანუ ცენტრალური სალოცავების ნიშები გადაჰქონდათ. მიგრანტ ფშაველებსა და ხევსურებს კი ცენტრალურ სალოცავებთან ერთად საგვარო და სასოფლო სალოცავთა ნიშებიც გადაჰქონდათ. მთიულთა საერთო სალოცავის „ლომისას“ და გუდამაყრელთა ყველაზე ძლიერი სალოცავის „პირიმზე ფუძის ანგელოზის“ ნიშები არაერთი გვხვდება ყველა იმ რეგიონში, სადაც კი ისინი არიან გადასახლებული. მთიულთა საგვარო სალოცავის ნიშები, ერთი გამონაკლისის გარდა, თითქმის არსად არ გვხვდება. ვფიქრობთ, აღნიშნული გარემოების მიზეზი მთის კუთხეების განსხვავებულ სოციალურ სტრუქტურაში უნდა ვეძებოთ. შიდა ქართლის მთიანეთი სოციალური თვალსაზრისით უფრო წინ წასული იყო, ვიდრე კახეთის მთიანეთი. თუ კახეთის მთიანეთისათვის მთლად უცნობი იყო სოციალური დიფერენციაცია და ფშავი, ხევსურეთი და თუშეთი ჭეშმარიტად ავტონომიურად ფუნქციონირებდა ქართულ სახელმწიფოებრივ სისტემაში, მთიულეთში, გუდამაყაში, ხანდოში, ჭართალში, ხევში ჩამოყალიბებუ-

ლი იყო ფეოდალური ურთიერთობები, თუმცა არა ისეთი ფორმით როგორც ბარსა და მეზობელ ქსნის ხეობაში.

მთისწინეთში (ზეგანში) გადმოსახლებულები მეურნეობის იმ დარგებს ავითარებდნენ, რომლებსაც მთაში მისდევდნენ (მეცხოველეობა და მემინდვრეობა), ბარში კი სხვაგვარ პროცესებთან გვაქვს საქმე. შირაქში მიგრირებული შიდა ქართლის მთიელები მთაში საკმაო რაოდენობით ნაყოლ საქონელს ყიდდნენ, რაც ხმარდებოდა ადგილობრივი პირობებისათვის მისადაგებულ სამეურნეო ცხოვრების მოწყობას, საცხოვრებლის გამართვას. თუმცა ახალ გარემოში საერთოდ უარს როდი ამბობდნენ მეცხოველეობაზე. ისევე როგორც ბარის სხვა სოფლებში, აქაც ოჯახისათვის საჭირო რაოდენობას იტოვებდნენ.

მიგრანტ მთიელებს ახასიათებდათ ტენდენცია ჯგუფურად, ერთ სოფლად, ერთ უბნად დასახლებისა. სათემო ურთიერთობების შენარჩუნება პირველ პერიოდებში თითქმის ყველგან ხდებოდა, სადაც კი კომპაქტურად სახლდებოდნენ. თუმცა ბარის გავლენა მთიდან მოტანილ ასეთ ტრადიციულ ერთობებს მალე შლიდა. მთიულ-გუდამაყრელთაგან ტერიტორიული თემის ტრადიციების ახალ საცხოვრისში გადატანის ფაქტები შეიმჩნევა თრიალეთის ქედზე დასახლებულებში.

ამრიგად, შიდა ქართლის მთიელთა მიგრაცია, ისევე როგორც მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობისა, მთისწინეთსა და ბარში მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პროცესს წარმოადგენდა. ყელაზე მთავარი საქართველოს ისტორიისათვის კი ისაა, რომ მთიელთა მუდმივი გადასახლებით მთისწინეთისა და ბარის მოსახლეობისაგან ამოვარდნილ პროვინციებში მოსახლეობის კვლავწარმოების საშუალება გვეძლეოდა და დარღვეული ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია მალევე აღსდგებოდა. ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა მთის ჭარბი, ნამატი მოსახლეობის მიგრაციას ბარის რაიონებისაკენ. ამ პროცესებმა საქართველოს გადარჩენის საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს, თორემ მთისწინეთისა და ბარის ბევრი რეგიონი, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა არაქართული ეთნიკური ერთობების სამოსახლოებად იქცეოდა.

III.16. ჯავახეთა მიგრაცია XVII-XIX საუკუნეებში

მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან ერთად ჯავახეთის მოსახლეობა ყოველთვის ქართული იყო. ეს კარგად ჩანს 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან.“ იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხარის მოსახლეობის ანთროპონიმია ქართული იყო. დღეს აქ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სომხები წარმოადგენენ, რომლებიც თურქეთიდან გადმოასახლა რუსეთის იმპერიამ. ისინი 1830 წელს რუსეთმა ქართველთა ნასოფლარებში ჩაასახლა. სად წავიდნენ ჯავახეთის ქართველები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას ქართული წყაროები, საარქივო დოკუმენტები და ეთნოგრაფიული მონაცემები გვაძლევენ.

ვახუშტი ბაგრატიონი ჯავახების შესახებ წერდა: „...კაცნი და ქალნი გზავსნი ქართლისა გლეხთა, ტანოვანნი, შუენიერ-ჰაეროვანნი, ...სარწმუნოებით გლეხნი ჯერეთ ქრისტიანენი სრულიად, არამედ არღარა უვით მწყემსი ეპისკოპოზი, გარნა ჰყავთ მღუდელი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული...“ ასეთივე ეთნიკურ-ენობრივ სიტუაციას აგვიწერს *გიულდენშტედტი (*XVIII საუკუნის 70-იანი წლები): **„ჯავახეთი არის ქართული მხარე, რომელიც ამჟამად მთლიანად თურქების ხელშია და ეკუთვნის ახალციხის გუბერნიას.“** იგივე ავტორი ქართველთა გათათრებაზე (გამაჰმადიანებაზე) და ქართულთან ერთად თურქული ენის გამოყენებაზეც მიუთითებს.

ივანე ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა, რომ „მთელ ამ კუთხეში, განსაკუთრებით ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. რუსეთის აქ შესვლას 1828 წელს ამ მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა მოჰყვა შედეგად, მეტადრე ჯავახეთითგან (ეხლანდელს ახალქალაქის მაზრას) და უფრო ნაკლებ სამცხითგანაც (ახალციხის მაზ.). ... ამავე დროს, ოსმალეთითგან, ყარსისა და არზრუმის საფაშოებითგან, იქაური სომხობა გამორბოდა და საქართველოში თავშესაფარს ეძებდა... მათ დასასახლებლად საახალშენო კომიტეტი იყო დაარსებული და ზემოთ მოყვანილი რიცხვითგან 30.000-მდე სომეხი დასახლებულ იქნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში“. „ეროვნული შემადგენლობის მხრივაც

მდგომარეობა ჯავახეთში ანუ ახალქალაქის მაზრაში ძირიან-ფესვიანად შეიცვალა: თუ წინათ აქ მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა, 1832 წელს ქართველთა მაგიერ უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდნენ და ქართველ მაჰმადიანებს რიცხვით მხოლოდ მეორე ადგილიღა ეჭირათ. ასე შემთხვევით და ამ გზით გაჩნდნენ სომხები ჯავახეთში, ქართული კულტურის ამ ძველისძველ კერაში.“

ვახუშტი ბაგრატიონის დროს მცირე რაოდენობით სომეხნი და ურიანი მხოლოდ ორ მცირე ქალაქში (გოკიოში და ბარალეთში) მკვიდრობდნენ. 1595 წლისათვის საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ქართული და არაქართული მოსახლეობის პროცენტული თანაფარდობა ასეთი იყო: ხერთვისის რაიონში ქართველები 99,28%-ს შეადგენდნენ, ტყიანი ჯავახეთის რაიონში – 99,2%-ს, ბუზმარეთის რაიონში – 99,5%-ს, აკშეჰირის რაიონში – 92,6%-ს, თმოგვის რაიონში – 82,98%-ს, ნიალისყურის რაიონში – 96,51%-ს. უცხო ეთნიკური ერთეულების წარმომადგენლებს (სომხებსა და თურქებს) ცალკე სოფელი არ ჰქონდათ; მათი უმნიშვნელო რაოდენობა მხოლოდ ქართულ სოფლებში ქართველებთან ერთად თანაცხოვრობდა. ამასთანავე, ამ დროს საქართველოს ამ პროვინციაში მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია იყო: მოსახლეობა უაღრესად შეთხელებული იყო. 1595 წელს ჯავახეთის 153 სოფელში იყო მოსახლეობა. იმავე აღწერით აქ 102 ნასოფლარია დაფიქსირებული. სოფლების მხოლოდ 60 პროცენტში იყო მოსახლეობა შემორჩენილი. XVI საუკუნის მიწურულისათვის ჯავახეთში 2.033 კომლი იყო აღრიცხული. რეალურად უნდა მივიჩნიოთ იმ დროს შვიდსულიანი კომლი. ამდენად, 1595 წელს ჯავახეთში დაახლოებით 14.231 სულს უცხოვრია. ნასოფლარების რაოდენობის გათვალისწინებით, მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში ჯავახეთში შეიძლება 7.000 კომლსა და 50.000-მდე სულს ეცხოვრა. მაგრამ XVII-XVIII საუკუნეებში ჯავახეთის მოსახლეობამ მაინც იმატა ბუნებრივი გამრავლების გზით.

XVII-XVIII საუკუნეებში ჯავახეთის მოსახლეობის აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსახლების არაერთი ფაქტია ფიქსირებული ქართულ საისტორიო საბუთებში. მხოლოდ ზოგიერთი მათ-

განიდან მოვიყვანთ ამონაწერებს. იორამ თარხნის მიერ თევდორე მაღრაძისადმი მიცემულ 1751 წლის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ქ. ...წყალობის წიგნი დავსწერეთ და გიბოძეთ ჩვენ, ბატონმან თქვენმან *თარხანმან იორამ*... თქვენ, ჩვენსა ყმათ ხიზაბავრელთ *თევდორეს, ოქროასა, მაღრაძესა მახარასა, ადუასა*, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა; – ასე რომე, ჯავახეთიდამ გადმოხვედით და ჩვენ ყმათ დაგვისახლდით, **სართო და მამული გვთხოვეთ და ჩვენ გიბოძეთ თვალზედ ჩვენის ყმის ბასილაშვილის მამული...**“ ჯავახეთიდან ამ ოთხი კომლის მიგრაცია შიდა ქართლის გაღმა მხარეში მოხდა. *თარხნიშვილებს* ჯავახეთიდან სხვა გლეხებიც მოსვლიათ. 1768 წლის საბუთით ირკვევა, რომ ჯავახეთიდან ქართლში გადმოსახლებულ გლეხებზე ფეოდალებს ცილობა შეექმნათ: „**ქ. *აბულაძე თამაზა* ჯავახეთიდამ აყრილიყო და *ზაზა თარხნიშვილს* მისლოდა. ... ახლა სამართლით *აბულაძის თამაზას* შვილი *ბერი თარხნიშვილებს* დარჩათ, ამისათვის რომ ჯავახეთიდამ ზაზას მოსლოდა, მკვიდრი ჯავახი იყო და ზაზას ყმობოდა...**“

1769 წლის არზით ირკვევა, რომ ჯავახეთიდან ქართლში გადმოსახლებულა *დანდურიშვილების* ოჯახი, რომელიც თხუთმეტი ხიზანისაგან შედგებოდა. ჯავახეთიდან *დანდურიშვილების* ოთხი ძმა ყორიასაულბაშს გადმოუყვანია. დანდურიშვილებისათვის მეფის წიგნი ჩაუტანია ყორიასაულბაშს ჯავახეთში, ოღონდ თათრის ქვეყნიდან გადმოდით და ვისაც გინდათ ყმად იმას დაუდექითო. *დანდურიშვილები* ყორიასალბაშთან მისულან.

1776 წლის ერთ-ერთი განაჩენიდან ჩანს, რომ ქართლელი თავადები ჯავახეთიდან ძალით ყრიდნენ სოფლებს და ქართლში გადმოჰყავდათ. „...მოურავი ასე ჩიოდა: ჩემი აზნაურშვილი *მელვინეთხუციშვილი ფირან* ოთხმოცამდინ ჩემის კაცით პეტრე ავალიშვილთან იყო, **ჯავახეთიდამ ერთი სოფელი აჰყარესო, სულ *პეტრე ავალიშვილმა* დაისახლაო და რომელიც ჩემი ყმანი იყვნენ *ჩილინგდრიშვილებიო* ოთხი კომლი კაცი, არც ესენი დამანებაო. ფირანიც სამართალში მოვიდა. ასე ამბობდა: „ხეობაში მე რომ ჯარით აველ, *პეტრე ავალიშვილი* იქ იყოო, მაშინვე იმ სოფელში კაცი გაგზავნაო, ჩვენც ჯარით წავედით, იმ სოფლიდამ კაცები**

ამოვიდნენო, ჩვენ რომ ჯარით გვნახეს, უმეტესად შეშინდნენ და უფრო ამ მიზეზით აიყარნენო. ჩვენ სხვა სოფლის დასაკარგავად გაგვგზავნა და თითონ იმათ წამოუძღვაო.“ სხვა საბუთიდან ირკვევა, რომ პეტრე ავალიშვილს გლეხები *ჯავახეთის* სოფელ *ძლაშისხევიდან* აუყრია. როგორც ჩანს, ქართველ ფეოდალთა მიერ ჯავახეთის ამა თუ იმ სოფლის მკვიდრთა აყრა და ქართლში გადმოსახლების ეს არც პირველი შემთხვევა იყო და არც უკანასკნელი. 1811 წლის ბოლოს რუისელები, ქარელელები და სხვები ყოფილან ჯავახეთში გადასული, რათა სოფელი *კოთელია* აეყარათ. „მაშინ ქართველნი რუისით და ქარელით და სხვა წარსრულ იყვნენ ასაყრელად *კოთელიისა*, ვინადგან კოთელიელთა სწადდათ გადმოსახლება ქართლად.“

ჯავახეთიდან ქართლში მიგრაცია ასახულია 1785 წლის დოკუმენტში: „ასე რომ, პაპა ჩემს საამს ორი საკონბლო მამული ეყიდა *ეზატსა* და (?) *გუდალეთს დავით ზაალიშვილსაგან.* ამ ივანე მჭედლის მამა ზედ დასახლებულიყო. **აწაყა ამ ივანეს მჭედლის მამა ჯავახეთიდამ გადმოსული იყო.** მე აღარ მეყმო.“ *თარხნიშვილები* აქტიურად ავსებდნენ თავიანთი ყმების რაოდენობას ჯავახეთიდან გადმოსახლებულებით. 1794 წლის ბატონყმობის წიგნიდან: „ქ. ესე წიგნი მოგეც მე *ზერეკიძე ოქრუამ* თქვენ, *თარხნიშვილს ზაზას* შვილს *ლუარსაბს*; ასე რომე, **კოთელიიდამ გეახელ და პური გთხოვე. ... მაისს გადმოვიდე *კოთელიიდამ* და თქვენ *ზაზაშვილებს თარხანოვს* გეყმოთ. თქვენ გარდა არავისთან არ მივიდე.**“ ქართლში მოსახლეობის მიგრაციას XVII საუკუნეში ადასტურებს 1695 წლის წყალობის წიგნი, რომელშიც ვკითხულობთ: „...ახლა ეს მამული კიდავ ჩვენ შემოგიმატეთ და გიბოძეთ კავთისხველს *თელათუბანს* ჯავახი *მექანარიშვილი* და *დათუნასშვილი თევდორა*...“ 1646 წლის როსტომ მეფემ (1633-1668 წწ.) სუფრაჯ *ბაინდურ ტერაშვილს თრიალეთს* უწყალობა „ოხერი“ და სახასო *ახალქალაქის* აშენების ნება დართო და **უწყალობა მისი მოურაობა იმ პირობით, რომ სამცხიდან, ჯავახეთიდან და ლორედან მოესხა და აქ დაესახლებინა თავიანთი სურვილით წამოსული გლეხები**“. იმავე როსტომ მეფემ 1654 წელს სვეტიცხოველს *თრიალეთში* შესწირა სახასო სოფელი *ზემო ბეშქენაშენი* **იმ**

პირობით, რომ თუ *ზემო ბეშქენაშენში* ჯავახეთიდან აყრილი კაცი შეეხიზნებოდა, მასზე სვეტიცხოველს არავინ შეეცილებოდა. 1656 წლის საბუთით ***ელიაშვილი პაპუნა* და მისი შვილები: *ზაზუტა, ბერიკა, გიორგი ელისე თბილელს* ჯავახეთიდან მოუყვანია და *წინარეხში* დაუსახლებია.** აქედან მისი ოჯახი აყრილა და კახეთში წასულა. შემდეგში, თბილელის ბრძანებით, კვლავ *წინარეხში* დაბრუნებულან. ხოლო მოგვიანებით, თბილელს ისინი *კისისხევში* დაუსახლებია.

1750 წლის საბუთით ჩუტკერაშვილი აცხადებდა, რომ **„ჯავახეთიდამ გადმოვედით *აჭენს,* ბატონის სამსახურში მოვედით და სამ წელიწად იქ ვიყავით“.** ამ საბუთში საუბარია იმაზე, რომ ჯავახეთიდან *ჩუტკერაშვილი ბერუას* პაპა ყოფილა გადმოსახლებული. 1769 წლის განჩინებიდან *თამაზა სავანელის* სასისხლო საქმეზე: „**ჯავახეთიდამ ორი ამოსული ბიჭი მყავდა — *ხიზანა* და *ივანიკა.*“** 1766 წლის არზა: „...**ჯავახეთი აიყარა, წამოვიდა. *ორჯონიკიძეს პაპუას* მოსლოდა. თათრები ყოფილიყო, პაპუა დაენათლა...“** ეს საბუთი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მასში საუბარია ჯავახეთიდან მოსახლეობის აყრაზე. როგორც ჩანს, ქართლში ჯავახეთიდან მხოლოდ ქრისტიანები როდი გადმოსახლდებოდნენ. მაჰმადიანი ქართველებიც მიგრირდებოდნენ და გადმოსახლების შემდეგ ქრისტიანდებოდნენ. 1773 წლის დოკუმენტი: „ჩუმლაყში ... **ეს კაცნი ზოგი ოსეთიდამ არიან ჩამოსული და ზოგი ჯავახეთიდამ**“. კომენტარი არ სჭირდება 1774 წლის არზას: „ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი თქვენს **ყმას ბარალეთიდამ მოსხმულს *ღვინიას, გოგიას, გლახას, ბეროასა, ნასყიდასა, ივანესა* და *მამასახლისაშვილს გიორგის* მოსცეს. მერმე ამას მოვახსენებთ: თქვენ რომ ასპინძას გაიმარჯვეთ, ჩვენ ბარალეთიდამ ექვსი კომლი ავიყარენით და აქ გიახელით.** ... ჩვენ ჩვენის ნებით ზემო ხოდაშენს გვინდა დგომა...“.

შიდა ქართლის გაღმა მხარეში ჯავახეთიდან მიგრაციის დამადასტურებელია 1780 წლის არზა, რომელშიც ვკითხულობთ: „ **...მერმე ერთი კაცი ჯავახეთიდამ მამივიდა *გუდალეთს*.** ეს *გოგია ბიჭი* იქ დაიბადა, შაიქნა. ამ ბიჭმა ასე იჩივლა: მამაჩემი *გუდალეთს* გარდმოვიდა, ათი წელიწადი იქ დაყო, მაგრამ მასუკან აქა-

იქ დავიარებოდით, ზაზას ყმა არ ვართ. ზაზა ასე ჩიოდა: ეს ბიჭი ჩემს სოფელში დაიბადა, იქ იდგა. **ჯავახეთიდამ გადმოსულ კაცს ვინ მედავებაო, ჯავახეთიდამაც ჩვენ გარდმოვიყვანეთო მამა ამისიო**.“ 1783 წლის საბუთში ჯავახეთიდან კახეთში გადმოსახლებაზეა საუბარი: „ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს **ჯავახეთიდამ გადმოსულს *გიორგისა* და *ოქრუაშვილებს ბოდბისხევში* მსახლობელთ. *ივანე ბოდბელმა* იქ დაგვასახლა და წმინდა ნინოს ვეყმევით, საწირავიც მივართვით ბოდბელსა**...“.

ჯავახეთიდან მიგრირებული გლეხები ცდილობდნენ საეკლესიო მიწებზე დასახლებულიყვნენ. 1784 წლის არზა: „ქ. ღმერთმან მისის უმაღლესობის ჭირი მოსცეს ქვათახევის მღთის მშობლის ყმას *ნარიაშვილს თეოდორეს*. **ორმოცი წელიწადი არის მამაჩემი ჯავახეთიდამ გადმოსულა და მღთისმშობლისათვის თავი შეუწირავს**“. ამ საბუთში გადმოსახლების თარიღი – 1744 წელი – არის მითითებული.

ზემოთ *ჩუტკერაშვილების* გადმოსახლებაზე გვქონდა საუბარი. აღნიშნული გვარისანი ქართლში სხვებიც გადმოსახლებულან. 1794 წლის არზა: „ქ. ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მომცეს თქვენ სამარადისო მლოცველს *ჩუთკერაშვილს* მღვდელს ნიკოლოზს. უმაღლესო ხელმწიფევ, **ურჯულოს ქვეყნიდამ ამისათვის გიახლნენ მამა და ბიძა, რომ პირველად ქრისტიანობა უნდოდათ და მერე თქვენი ყმობა სურდათ. შენს საბრძანებელს ატენში გიახლნენ და ფურცელაძის ქალმა დანათლა...** ... თქვენი ყმობა მსურს და უსამართლოთ ბატონყმობისაგან გამათავისუფლე. და **თუ არა მეშველება რა, კურთხეულ არის ღმერთი, სადიდამაც ჩემი მამა და ბიძა მოსულა, მეც იქ წავალ. მრავალი ქრისტიანე არის უსჯულოში ტყვეთ და მეც იქ წავალ**“. 1782 წლის არზაში ვკითხულობთ: **„ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს ჯავახ *ლომიტაშვილ კაციას*. მერე ამას მოვახსენებ: მე ჯავახი გახლავარ, იქიდამ ავიყარე და *რევაზს მელვინეთხუციშვილს* ვეყმე...**“ 1788 წლის საბუთში ვკითხულობთ: „**ჩვენ პირველად ჯავახეთიდამ გახლავართ და მე ქალაქს ვარ დაბადებული.** სიღარიბემ შემაწუხა, მიველ *პატარძეულს* და ხიზნად ვდგავარ. არც მამული მაქვს და არც დედული. ჩემმა ძმამ თავის თავი წმინდის დავით *გარეჯის*

მონასტერს შესწირა. და მეც ჩემი თავი ამ მონასტრისათვის შემიწირავს...“. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ჯავახეთიდან *პატარძეულში* მოსული *ოთარაშვილების* ადრინდელი გვარი *ზარიძე* ყოფილა.

შიდა ქართლში ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია ასახულია XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში. განსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს 1818 წლის *გორის* მაზრის სახლმწიფო და საეკლესიო გლეხების აღწერის დავთრები. მანამ, სანამ ამ აღწერის დავთრებიდან ჯავახეთის მოსახლეობის შიდა ქართლის სოფლებში მიგრაციის დამადასტურებელ მონაცემებს მოვიყვანთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ არ იყო სოფელი, რომელშიც ჯავახეთიდან გადმოსახლებულ ორ-სამ გვარს მაინც არ ეცხოვროს. 1818 წლის კამერალური აღწერის დავთრებში ფიქსირებულია ქართლში მოსახლეთა და მათი წინაპრების მიგრაცია დროის მითითებით. სოფელ *ნადარბაზევში (კვერნაკზე)* ჯავახეთიდან გადმოსახლებული არაერთი კომლი მკვიდრობდა. სახელმწიფო გლეხების აღწერაში *სამადაშვილების* ორ კომლს მიწერილი აქვს, რომ **„ჯავახეთიდან გადმოსახლდნენ 17 წლის წინ“** (ე. ი. 1801 წელს). ამავე სოფელში ჯავახეთიდან ყოფილა მიგრირებული *ყაზიშვილების* ორი ოჯახი. მათ მიწერილი აქვთ: **„ჯავახეთიდან გადმოსახლდნენ 15 წლის წინ“** (ე. ი. 1803 წელს). *ნადარბაზევში ჭიჭინაძეების* ერთი ოჯახი **„გადმოსახლებულა ჯავახეთიდან 17 წლის წინ“** (ე. ი. 1801 წელს). თუმცა აღნიშნულ ოჯახებს 1830 წლის აღწერაში მიწერილი აქვთ, რომ ისინი ჯავახეთიდან XVIII საუკუნის ბოლოს მოსულან. 1801 წელს ჯავახეთიდან ყოფილან მოსული *ჩალაძეები* და *ზენკლაძეები.* **„ჯავახეთიდან გადმოსულან 15 წლის წინ“** (ე. ი. 1803 წელს) *ივანე ბლორძელი* და *კეთილაძეების* ოჯახი. *ზენკალაძეების* გვარისანი *ნადარბაზევში* 1813 წელსაც გადმოსახლებულან. ამავე დროს მომხდარა *მჭედლიშვილების* ერთი ოჯახის მიგრაცია. *რაჯაბაშვილების* ჯავახეთიდან ქართლის სოფელ *ნადარბაზევში* გადმოსვლა 1811 წელს მომხდარა. *ნადარბაზევში* ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია ფიქსირებულია 1830 წლის აღწერაშიც. *კაციაშვილებს, მჭედლიშვილებს, კედელაძეებს, ალექსიძეებს, ამბარდნიშვილებს, ოქრომჭედლიძეებს, ლომიტაშ-*

ვილებს მიწერილი აქვთ, რომ მოსული არიან ჯავახეთიდან 30-ზე მეტი წლის წინ, ე. ი. XVIII საუკუნის ბოლოს.

1818 წლის აღწერა უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ მასში დაფიქსირებულია ჯავახეთიდან ქართლში რამდენიმე ათეული წლის წინ მიგრაცია. ასეთი დიდი ხნის გადმოსახლებული ოჯახები მკვიდრობდნენ *კარალეთში, ძევერაში, მარანაში... კარალეთში* აღრიცხულ *დავით ჭილაძის* ოჯახს მიწერილი აქვს: **„40 წლის წინ ჯავახეთიდან გადმოსახლებულები“**, ე. ი. 1778 წელს. ამავე სოფელში მცხოვრებ *თევდორე ოქრუაშვილის* ოჯახს მიწერილი აქვს: **„50 წელია ჯავახეთიდან გადმოსახლებულია“,** ე. ი. 1768 წელს. ამ ოჯახის წინაპარს თავდაპირველად *ცხინვალში* უცხოვრია. *კარალეთში* ჯავახეთიდან სხვა ოჯახიც იყო გადმოსახლებული. 1818 წლის საეკლესიო აღწერაში *კარალეთში მცხოვრებ ტატუა ამბარდნის* ოჯახს ნიწერილი აქვს, რომ **„ჯავახეთიდამ მოვიდნენ 10 წლის წინ“,** ე. ი. 1808 წელს. სოფელ *ძევერაში* მოსახლე *ქიტესა მინაძის* ოჯახი, უფრო სწორედ მისი მამა და პაპა ჯავახეთიდან 60 წლის წინ გადმოსახლებულა, ე. ი. 1758 წელს. 1818 წელს სოფელ *მარანაში* აღრიცხული იყო *„მახარე ჯავახი გოდერძიშვილი“,* რომელსაც მიწერილი აქვს, რომ **„წინაპრები ჯავახეთიდან გადმოსახლებულან 100 წლის წინ. მარანაში ცხოვრობს 15 წელია“**, ე. ი. აღნიშნული ოჯახის წინაპარი ჯავახეთიდან ქართლში 1718 წელს მიგრირებულა. ასეთივე მინაწერი აქვს გაკეთებული მარანელი *ჯავახიშვილების* კომლს 1830 წლის აღწერაში: **„ჯავახეთიდან მოსულან 100 წელზე დიდი ხნის წინ“**.

1830 წლის აღწერაში შეტანილ *„გოგია სამადაშვილის* ქვრივს“ მიწერილი აქვს: **„50 წლის წინ ჯავახეთიდან“**, ე. ი. *გოგია სამადაშვილის* ოჯახი შიდა ქართლში ჯავახეთიდან 1780 წელს მოსულა. *სობისში* ჯავახეთიდან გადმოსახლებული ზარიძეებიც მკვიდრობდნენ. 1818 წლის აღწერაში *ტეტია ზარიძის* ოჯახს მიწერილი აქვს: **„ჯავახეთიდან 30 წლის წინ არის გადმოსახლებული“,** ე. ი. 1788 წელს.

სოფელ *ზერტში* 1818 წელს აღრიცხულ *ბერუა ჯავახს* მიწერილი აქვს: „**ჯავახეთიდან მოსულა 30-ზე მეტი წლის წინ. ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილებში**“. 1830 წლის აღწერაში შეტანი-

ლია უკვე *„ბერუა ჯავახის შვილი გოგია ჯავახიშვილი“*, რომელსაც შემდეგი მინაწერი აქვს: *„ამისი მამა ბერუა ჯავახეთიდან გადმოსახლდა 50 წლის წინ“*, ე. ი. 1780 წელს. *დიდ მეჯვრისხევში* მკვიდრ *ცისკარიშვილების* ოჯახს, რომელთან ერთად ცხოვრობდა ცოლ-შვილიანი ძმა, მიწერილი აქვს, რომ **„ჯავახეთიდან დიდი ხნის წინ მოსულია ხიზნად. ეხლა მიეკუთვნება სახაზინო გლეხებს. გადმოსახლებულია გიორგი მეფისაგან“.** ჯავახეთიდან მოსულები ცხოვრობდნენ *მეჯვრისხევის* მეზობლად სოფელ *უკულმართშიც*. მაგალითად, *გიორგი ფილიპაშვილის* კომლს მიწერილი აქვს შემდეგი: **„ხიზანი. ჯავახეთიდან დიდი ხნის წინ მოსული. ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილებში, აქ ცხოვრობს ორი წელიწადია“.** საინტერესო მინაწერი აქვს *ივანე ვარძელაშვილის* 29 სულიან დიდ ოჯახს სოფელ *ახალუბანში:* **„ამისი მამა 100 წლის წინ წამოვიდა ჯავახეთიდან. ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილებში და გადადიოდა ხელიდან ხელში“**.

სოფელ *ჯარიაშენში* მოსახლე *გიორგი მწარიაშვილის* ოჯახს 1818 წლის აღწერაში შემდეგი მინაწერი ახლავს: **„მისი წინაპრები გადმოვიდნენ ჯავახეთიდან. ცნობილი არაა, რამდენი წელია. ამ სოფელში ცხოვრობენ 80 წელია.“** *მწარიაშვილების* კომლის ჯავახეთიდან მიგრაცია დასტურდება 1830 წლის აღწერითაც: **„წინაპრები 100 წელზე მეტია გადმოსახლდნენ ჯავახეთიდან**. *ჯარიაშენში* ჯავახეთიდან მიგრირებული სხვა გვარიც ცხოვრობდა. 1818 წლის საეკლესიო გლეხების აღწერაში *ჯარიაშენში* მოსახლე *სოსია გოგილაშვილს* ასეთი მინაწერი აქვს: **„ჯავახეთიდან 80 წელზე მეტი ხნის გადმოსახლებულნი“**.

შიდა ქართლის სოფელ *ტირძნისში* მკვიდრ *გიორგი მაისურაძის* ოჯახს 1818 წლის აღწერაში ასეთი წარწერა აქვს: **„სამცხის ყოფილი მკვიდრი. შემდეგ გადმოსული ჯავახეთიდან 100 წლის წინ“**. *ტირძნისში* მკვიდრობდა *მახარობელ პატენაძის* ოჯახიც. მინაწერში ვკითხულობთ: **„გადმოსული ოსეთიდან. უწინარესად ჯავახი. გადმოსახლებულია აქ რვა წელია“.** ამავე სოფლის მკვიდრი *გოგია ზერეკიძე* XVIII საუკუნეში მიგრირებულა. მას მიწერილი აქვს: **„ჯავახეთიდან გადმოსახლებული 47 წლის წინ“,** ე. ი. 1771 წელს. *ზერეკიძეების* 35-სულიანი ოჯახის ჯავახეთიდან მიგრაცია

1830 წლის აღწერაშიც არის დაფიქსირებული. ამ შემთხვევაში მინაწერია: **„ჯავახეთიდან 60 წლის წინ“,** რაც 1770 წელს უდრის. 1778 წელს ყოფილა ჯავახეთიდან გადმოსახლებული *ტირძნისელი ივანე ღვინიაშვილის* ოჯახი.

ჯავახეთიდან მიგრირებულები მკვიდრობენ *რუისშიც.* ერთი კომლი *„კიკოლა გიგაშვილი“* 30 წლის წინ, ე. ი. 1788 წელს იყო მიგრირებული, სამი კომლი კი XIX საუკუნეში: *„ივანე ჩაკუნაშვილი“* – 15 წლის წინ, ე. ი. 1803 წელს, *აკობაშვილი* და *ვარძელაშვილი* – 4 წლის წინ (ე. ი. 1814 წელს). *გიგაშვილების* ჯავახეთიდან მიგრაცია 1830 წლის აღწერაშიცაა ფიქსირებული. 26-სულიან *გიგაშვილების* ოჯახს ასეთი მინაწერი აქვს: **„ჯავახეთიდან 40 წლის მოსული“**. აქვე მკვიდრობდა ჯავახეთიდან მიგრირებული **„მამულა ჯავახიც“**. ჯავახეთიდან გადმოსული არაერთი ოჯახი მკვიდრობდა სოფელ *დირბში. გოგია თამაზაშვილის, ივანე რაზმაძის* და *ტეტია ხორბალაძის* ოჯახებს 1818 წლის კამერალური აღწერის დავთარში მითითებული აქვთ, რომ **„18 წელია გადმოსახლდნენ ჯავახეთიდნ“,** ე. ი. 1800 წელს. *პეტრე ხუციშვილის* ოჯახი *„ჯავახეთიდან მოსული იყო 23 წლის წინ“,* ე. ი. 1795 წელს. *დავით ჯავახიშვილის* ოჯახი *„ჯავახეთიდან 16 წლის გადმოსახლებულია“,* ე. ი. 1802 წელს. დირბში 14 წლის წინ, ე. ი. 1804 წელს დამკვიდრებულან *დავით* და *გოგია დავლაშერიძეების* ოჯახები. აქვე *ვასილ ნებაძის* კომლი ჯავახეთიდან 20 წლის წინ, ე. ი. 1798 წელს იყო გადმოსახლებული. *დირბში* ჯავახეთიდან მოსახლეობის მიგრაციას 1830 წლის კამერალური აღწერაც გვიდასტურებს. ოღონდ *ხორბალაძეების* ოჯახს ასეთი მინაწერი აქვს: **„ჯავახეთიდან მოვიდნენ 33 წლის წინ“,** ე. ი. 1797 წელს, ნაცვლად 1818 წლის აღწერაში მითითებული 1800 წლისა. დანარჩენების გადმოსახლების თარიღებს შორის სხვაობაც ორი წელია.

საარქივო მასალები ცხადყოფენ, რომ ზოგჯერ სანამ ქართლის ამა თუ იმ სოფელში დამკვიდრდებოდნენ, ჯავახეთიდან გადმოსახლებულები, კარგი ადგილის, მათთვის სასურველი ბატონის ძებნაში იყვნენ. მაგალითად, 1818 წლის კამერალურ აღწერაში ფრონეების ხეობის სოფელ *თიღვაში* მოსახლე *ნინია კურატიშვილის*

ოჯახს ასეთი აღნიშვნა აქვს: **„მისი წინაპრები ჯავახეთიდან დიდი ხნის წინ მოვიდნენ ხიზნად. ამ სოფელში, *თიღვაში* დამკვიდრდნენ 12 წელია“**, ე. ი. 1806 წელს.

ფრონეების ხეობის სოფელ *ავლევში* ჯავახეთიდან მიგრირებული გვარები იყვნენ *მაისურაძეები* და *ხმალაძეები. დავით მაისურაძის* ოჯახს *ავლევში* მოსვლამდე *ქარელში* უცხოვრია. მას მიწერილი აქვს: **„ჯავახეთიდან 15 წლის წინ გადმოსახლდა“** (ე. ი. 1803 წელს). *დავით ხმალაძის* კომლს კი შემდეგი აღნიშვნა აქვს: **„ჯავახეთიდან მოსული. ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილებში. ბოლოს აქ დასახლდა არადეთიდან 7 წლის წინ“.** აღნიშნული გვარების *ავლევში* მიგრაცია 1830 წლის კამერალურ აღწერაშიც არის დადასტურებული, რომელშიც *ხმალაძეების* ორ ოჯახს მიწერილი აქვს, რომ **„50 წელიწადია გადმოსახლდნენ ჯავახეთიდან“**, ე. ი. 1780 წელს.

მნიშვნელოვანი რაოდენობით მოსახლეობდნენ ჯავახეთიდან გადმოსახლებულები სოფელ *სამწევრისში* (ძამის ხევზე, საციციანოში). ჯავახეთიდან 19 წლის აყრილები ყოფილან (ე. ი. 1799 წელს) *ივანე წივილაშვილისა* და *საბა ხიზანიშვილის* ოჯახები. *თევდორე მურჯიკნელს* მიწერილი აქვს, რომ გადმოსახლდა ჯავახეთის სოფელ *მურჯიკანიდან*, ოქრუა *ალხანაშვილს* და *თომაშვილს* – ჯავახეთის სოფელ *კოთელიიდან*. მურჯიკნელები ძირითადად *წრომში* ცხოვრობენ და მათი ადრინდელი გვარი იყო *ბაბლიძე. სამწევრისში* ჯავახელთა მიგრაცია აისახა 1830 წლის აღწერაშიც, რომელშიც ზემოთ დასახელებულ *წივილაშვილებთან* და *მანძულაშვილებთან* ერთად ჯავახეთიდან მიგრირებულად დასახელებული არიან *ზაალიშვილები* და *სიხუაშვილები* (1800 წელს).

შიდა ქართლის სოფელ *ხიდისთავში* 13 წლის (ე. ი. 1805 წელს) მიგრირებული იყო სამი კომლი: *სტეფანე მასურაშვილი, თევდორე ჯავახი* და *სოსია ლონდარაშვილი*. სოფელ *ზემო ხანდაკში* ჯავახეთიდან მოსულთა შორის შეიძლება დავასახელოთ *გიორგი ბალახაძის* ოჯახი. ისინი აქ 1815 წელს დასახლებულან. ერთი კომლი (*ბერუა ხიზანიშვილი*) ჯავახეთიდან გადმოსახლებული *ნოსტეშიც* ცხოვრობდა. ისინი აქ 1802 წელს დასახლკარებულან. *ზემო ხანდაკში* ჯავახთა მიგრაცია შემდეგაც გაგრძელებულა.

1830 წლის აღწერაში მინიშნებულია, რომ *გლახა მარტიაშვილის* კომლი 15 წლის წინ (ე. ი. 1815 წელს) დასახლდა, ხოლო *ომან ამილბარაშვილისა* – 20 წლის წინ (ე. ი. 1810 წელს).

სოფელ *კავთისხევში* 1818 წელს *დავლაშერიძეების* ოთხი ოჯახი და *ნაცვლიშვილების* ერთი ოჯახი იყო აღრიცხული, რომლებიც ჯავახეთიდან გადმოსახლებულან დაახლოებით 1808 წელს. *კავთისხევში* ჯავახეთიდან მიგრირებული გვარები 1830 წლის აღწერაშიცაა ფიქსირებული. *ბასილ თუნიაშვილის* ოჯახი 1805 წელს დამკვიდრებულა დასახელებულ სოფელში, რომელიც შემდეგ *გომარეთში* გადასახლებულა. *ბერუა რევაზიშვილი* აქ 1805 წელს მიგრირებულა, *მეჩიტაშვილი* კი – 1810 წელს.

სოფელ *მეტეხის* 1818 წლის საეკლესიო გლეხების აღწერაში ჯავახეთიდან გადმოსახლებულებს შორის დასახელებული არიან *გოგია* და *ქიტესა შარიფაშვილები*. მათ მიწერილი აქვთ, რომ **„ჯავახეთიდან გადმოსახლდნენ 60 წლის წინ“**, ე. ი. 1758 წელს. სოფელ *მეტეხში* **ჯავახეთიდან 70 წლის გადმოსახლებული ყოფილა** (ე. ი. 1748 წელს) *აბუაშვილების* ოჯახი.

გორის მაზრის სათავადო გლეხების 1818 წლის აღწერაში სოფელ *ახრისში* ჯავახეთიდან გადმოსახლებულთა შორის დასახელებული არიან *ყანდურაშვილები* და *ბერაძეშვილები* (ორ-ორი ოჯახი). ისინი აქ *ამილახვრების* ყმები იყვნენ. **მათი მიგრაცია ჯავახეთიდან 60 წლის წინ (ე. ი. 1758 წელს) განხორციელებულა**.

სოფელ *ახალსოფელში ლუარსაბ ორბელიანის* ყმად ჩაწერილია *კასრაშვილების* ერთი ოჯახი, რომლებიც ჯავახეთიდან 30 წლის წინ, ე. ი. 1788 წელს გადმოსახლებულან. 1830 წლის აღწერაში *ახალსოფელში კაციაშვილების* ოჯახს მიწერილი აქვს: **„ნადარბაზევიდან. საერთოდ ჯავახეთიდან გადმოსახლებული“**.

ჯავახეთიდან გადმოსახლებულები სოფელ *ტყვიავშიც* ცხოვრობდნენ. 1818 წლის საბატონო გლეხების კამერალური აღწერის დავთარში *ბერუა ჯავახს* მიწერილი აქვს: **„მისი წინაპრები გადმოვიდნენ ჯავახეთიდან 200 წლის წინ“,** ე. ი. 1616 წელს. აქვე *გოგია მღვდლიშვილის* ოჯახს მიწერილი აქვს: **„ჯავახეთიდან დიდი ხნის წინ გადმოსახლებულნი“,** 1830 წლის აღწერაში *ტყვიავში* მცხოვრებ *როსებაშვილს* მიწერილი აქვს: **„ჯავახეთიდან გად-**

მოსახლდნენ 50 წლის წინ“, ე. ი. 1780 წელს.

სოფელ *კულბითში* 1818 წლისათვის ჯავახეთიდან მიგრირებულთა შორის დასახელებულია *ანდრია ელისაშვილის* ოჯახი. მისი წინაპრები აქ **„100 წელზე მეტი ხნის წინ მოსულან ჯავახეთიდან“,** ე. ი. 1718 წელზე ადრე. ამავე დროს იყო ჯავახეთიდან სოფელ *შინდისში* მოსული *ბერუა ჯავახიშვილის* წინაპარი. რაც შეეხება *ღვთისია მეზვრიშვილის* წინაპარს, ის ჯავახეთიდან შინდისში **80-ზე მეტი წლის წინ**, ე. ი. 1738 წელს მიგრირებულა.

1817 წლის აღწერით ქალაქ *გორში* ჯავახეთიდან იყვნენ გადმოსახლებულნი: *კახიაშვილები – კოთელიიდან, ნინია აბუაშვილი – ჯავახეთის* სოფელ *ფრაგიდან, ავთანდილაშვილები, ძამუაშვილები* – ჯავახეთის *ახალქალაქიდან, თაყნიაშვილები – პტენადან, ჭედლიძეები (ორი კომლი) – ბარალეთიდან. გორშივე* არაერთი კომლი მკვიდრობდა სამცხიდან გადმოსახლებული. აქვე *არტაუჯიდან* მოსული *პავლე სიმონიშვილიც* იყო აღრიცხული, რომელიც კათოლიკური აღმსარებლობის ქართველი იყო.

ჯავახეთიდან მიგრირებულები გვხვდებიან *კუმისსა* და *თელეთში.* 1823 წლის აღწერით, *კუმისში* მკვიდრობდნენ *ჯავახი დიმიტრი* და *ანტონ ტარასაშვილები, თელეთში – გაბრიელ ვარდანაშვილი, მოსე ქიტესაშვილი.* 1823 წელს ჯავახეთიდან მიგრირებულები გვხვდებიან *დიდუბეშიც*: გოგიჯანაშვილები (რვა კომლი), ყანდინაშვილები, *კარსაკუჩაშვილები, ბერუაშვილები, მაგასაშვილები. ჩულურეთში* ასეთები იყვნენ: *ბაბიურიშვილები, პაჩაძეები, მალხაზიშვილები.* სოფელ *კლდეისში* (ქვემო ქართლი) 1845 წელს მიგრირებული ჯავახი *გიორგი ოქროპირიძე* ცხოვრობდა. აქვე *გიორგი* და *იოსებ ასპალოვები* ჯავახეთის სოფელ *ჩუნჩხადან* იყვნენ გადმოსახლებულნი 1845 წელს.

1860 წლის *დიდი თონეთის* აღწერაში ჯავახეთიდან გადმოსახლებულად ჩაწერილია *სიმონ კოხტაშვილის* ოჯახი. 1843 წლის აღწერით ქვემო ქართლის სოფელ *კოდაში* ჯავახეთიდან მიგრირებული ყოფილან: *ალავერდაშვილები, „ჯავახიშვილი ივივე ოსებაშვილი“, ძამაშვილი, ტატუაშვილი, ბადალაშვილი, ზარიძეშვილი.* თუმცა ისინი ძირითადად თბილისში გადასულან საცხოვრებლად.

ასე რომ, ჯავახეთიდან მიგრირებულები ქართლის თითქმის

ყველა სოფელში ცხოვრობდნენ. საისტორიო საბუთებითა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის აღწერების მიხედვით, ჯავახთა მიგრაცია ქართლში მთელი XVIII საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა, აგრეთვე: XIX საუკუნის პირველ ორ ათეულ წელს.

ჯავახეთიდან მოსახლეობის მიგრაციის ფაქტები დადასტურებულია XVIII საუკუნის აღწერის დავთრებშიც. მაგალითად, *ლამისყანას* აღრიცხულია **„ხიზანი ჯავახეთიდამ გადმოსული ზეიკიძის შვილი ბერო“.** აგრეთვე: **„ხიზანი ჯავახეთიდამ გარდმოსული ბერის ობოლი გოგია, ივანე და ტეტია“**. ქსნის ხეობის აღწერაში *ლარგვისში* აღრიცხულია ***„ჯავახეთიდამ გადმოსული თავისი ნებით მონასტრისათვის თავშეწირული ღვინია, ისე და თევდორე“.*** იქვე, სოფელ *მონასტერში* აღწერილია *„ჯავახი ღვინია“, ლამისყანაში – „ჯავახ მახარას შვილი ასპალა“* და *„ჯავახი გიგოლა“, უფუეთში – „როსტომ ჟურულის ყმა ჯავახი თევდორა“. გარეჯვარს* ცხოვრობდნენ: *„ბოვანო ანდრია ჯავახი“, „ჯავახი ბერი ბოვანო“. გორის ახალდაბის* აღწერაში შეტანილი არიან: *„ჯავახი პაპიაშვილი ხიზანი“, „ჯავახი ონაშვილი ივანე ხიზანი“, „ჯავახი ბერძენა მეწისქვილე ხიზანი“. ხელთუბანში* ეწერა: „ნასყიდი ჯავახი *ასლამაზიშვილი ნასყიდა,“ „ხელთუბანს სამადაშვილი ჯავახი შალუტა ხიზანი,“ „ჯავახი ძამაშვილი ელია ხიზანი“, „ჯავახი მირაქაშვილი გიორგი ხიზანი დემეტრესი.“ ხელთუბანში* ჯავახები სხვებიც სახლობდნენ: *„ჯავახი როსტომაშვილი მიქელა ხიზანი“, „ჯავახი გერმანოზიშვილი გოგია ხიზანი“. კირბალში* მკვიდრობდა *„ჯავახი თევდორე ხიზანი“*.

ჯავახები და მესხები გვხვდებიან XVII საუკუნის შიდა ქართლის აღწერების ნაწყვეტებში. მაგალითად, XVII საუკუნის II ნახევრის *როსებ ტატიშვილის* ყმის დავთარში შეყვანილია *„ჯავახი კვამლი“*. XVII საუკუნის დამდეგის *ღვერთეთის* აღწერაში გვხვდებიან: *„მესხი შიო“, „მესხი თამაზა“, „მესხი მახარა“, მესხი ხოსიტაშვილები“.* XVII საუკუნის პირველი ნახევრის *ღვერთეთის* აღწერაში: *„მესხიშვილი მუხისგული“, „მესხი თამაზა“, „მესხი მახარა“, „ბერი მესხი“.*

1796 წლის ყმების ნუსხაში კახეთის სოფელ *ხორხელში* დასახელებულია *„ჯავახი დარჩია“, ოჟიოს – „ჯავახი ივანე“*. 1734

წლის მეჯუდის რუზედ მომუშავე ნუსხაში დასახელებული არიან *„პეტრე ჯავახი“* და *„ჯავახის ბიჭი“*. 1766 წლის განჩინებაში სოფელ *ჭალას* ნახსენები არიან *„ხიზანი შალუტა ჯავახი“* და *„ხიზანი ელია ჯავახი“*. 1715 წლის *რუისის* სამწყსოს დავთარში შეტანილი არიან: *ზემო ძვიმლეთს – „ჯავახი ბერო“, ბერძენაულს – „ჯავახი ელისა“, „ჯავახი ნასყიდა“, ჭალის სოფელში – „ჯავახი ზაქარია“.*

აღმოსავლეთ საქართველოში ჯავახეთიდან მოსახლეობის მიგრაციის დამადასტურებელი არაერთი ეთნოგრაფიული მასალაც შეიძლება მოვიყვანოთ. მაგალითად, შიდა ქართლის სოფელ *მერეთში* მცხოვრები *მემცხვარიშვილების* წინაპრები ჯავახეთიდან გადმოსახლებულან. მათი ადრინდელი გვარი *ლომსაძე* ყოფილა.

ეთნოგრაფიული მასალებით, *დიღმის ხეობის სოფელ თელოვანში* მოსახლე *ფირუზაშვილები* აზნაურ *მაღალაშვილებს* ჯავახეთის *ახალქალაქის* სანახებიდან ყავდათ გადმოყვანილი. სოფელ *დიღომში* ჯავახეთიდან გადმოსახლებული რამდენიმე გვარი – *ხოსიტაშვილი, ხმალაძე, ბროლაძე* – მკვიდრობს. *ბროლაძეები* ანუ, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი უწოდებენ, „ჯავახიანი“ *დიღომში* მოსული არიან ჯავახეთიდან XVIII საუკუნის მიწურულს. რაც შეეხება *ხოსიტაშვილებს,* ჯავახეთის სოფელ *გოგაშნიდან* მიგრირებულთა ერთი ნაწილი დიღომში დამკვიდრებულა, მეორე ნაწილი გარე კახეთის სოფელ *გიორგიწმინდაში* დასახლებულა, მესამენი კი – ქიზიყის სოფელ *ბოდბისხევში.* ბოდბისხევის მკვიდრნი გამხდარან *ხიზაბავრადან* მოსული *ზურაბაშვილები,* რომელთა ადრინდელი გვარი *გვარამაძე* ყოფილა. *ხოსიტაშვილები* ჯავახეთიდან დიდი ხნის აყრილნი რომ იყვნენ, ამას საისტორიო დოკუმენტები ადასტურებენ. XVII საუკუნის დამდეგს ისინი შიდა ქართლის სოფელ *ღვერთეთში* იყვნენ აღრიცხულნი, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რამდენიმე კომლი ჩანს გარე კახეთში, 1781 წლის *დიღმის* აღწერაში კი შეყვანილნი არიან: *„აზატი ხოსიტაშვილი პატარკაცი,“ „ხოსიტაშვილი გიორგი შეუძლებელი აზატი.“ ხოსიტაშვილები* დიღმის მკვიდრებად 1674 წლის ყმის ნასყიდობის წიგნში მოწმეებად მოიხსენიებიან. ასე რომ, ამ გვარისანი ჯავახეთიდან XVI საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყვნენ

წამოსულნი.

დუშეთთან მდებარე სოფელ *არღუნში ჯავახიშვილები* ცხოვრობენ. ეთნოგრაფიული მასალებით, „ჯავახიანებს ვეტყვით მაგათ. ცეცხლიჯვარში მიყავდათ ბავშვები. **ადრე *მიქელაძეები* ყოფილან და ჯავახეთიდან მოსულან.** *მიქელაძეები* ყოფილან აგრეთვე შიდა ქართლის სოფელ *აბანოში* მცხოვრები *კოკოლაშვილები.* მათი ჯავახეთიდან მიგრაცია და ადრინდელი გვარი დასტურდება საარქივო მასალებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით, არაგვის ხეობისავე დაბლობის სოფელ *კენჭაკლდეში* არის სალოცავი – „**ჯავახის წმინდა გიორგი**“, რაც მოსახლეობის ჯავახეთიდან მიგრაციასთან არის დაკავშირებული.

შიდა ქართლის სოფელ *ხოვლეში ილარიონის* გვარისანი მკვიდრობენ, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო რეგიონიდან მიგრირებულან. მათი ადრინდელი გვარი *ნუსხელაძე* ყოფილა. იქიდანვე ყოფილან მოსული ხოვლელი *მერაბიშვილებიც*. ისინი ჯერ *რკონში* დასახლებულან და შემდეგ გადმოსულან *ხოვლეში.* რაც შეეხება ხოვლელ *ჯალალებს*, ისინი ძირად ჯავახები არიან, გვარად *ხმალაძეები.*

ქვემო ქართლის სოფელ *დიდ თონეთში* გლეხი *თაქთაქიშვილები* მკვიდრობენ, რომლებიც დღეს აქ 30 კომლის რაოდენობით არიან. ისინიც ჯავახეთიდან გამოქცეულან. *დიდ თონეთშივე* ცხოვრობენ *ლონდარიძეები,* რომლებიც ჯავახეთის სოფელ *სარიდან* არიან გადმოსახლებულნი. *ლონდარიძეების* წინაპრები XX საუკუნის 20-იან წლებამდე სალოცავად *ვარძიაში* დადიოდნენ.

სოფელ *ნოსტეში ხიზამბარელის* გვარისანი მკვიდრობენ. ეთნოგრაფიული მასალა: **„ჩვენი გვარი მოსულია *ხიზამბარადან.* ჯავახეთისკენაა. ერთი კაცი წამოსულა და მისი შთამომავლები ვართ. ჩვენი მთავარი გვარი არის *ტატურაშვილი.* ხიზამბარაშიც მისული იყო, მიხიზნებული. ფრანგების ნასხლეტები ვართ** (ე. ი. კათოლიკური სარწმუნოებისანი – რ. თ.). დამალა გვარი და სოფლის გვარზე დაეწერა. 14-15 წლისა ვიყავი, როცა მთელი გვარი წავედით *ხიზამბარაში* სალოცავად.“ *ხიზაბავრიდან* ყოფილან წარმოშობით შიდა ქართლის სოფელ *სკრაში* მცხოვრები *მუღაშაშვილები,* რომელთა ადრინდელი გვარი *პაწაძე* ყოფილა. ხიზაბავრელები

თბილისშიც იყვნენ გადმოსახლებულნი. სამცხე-ჯავახეთის შემოერთებამდე ხიზაბავრის რამდენიმე დევნილი ოჯახი სოლოლაკში იყო დასახლებული. სამცხე-ჯავახეთის შემოერთების შემდეგ ძველ „სოლოლაკელებს“ ხიზაბავრელთა ახალი ნაკადი შეემატა.“

სოფელ *თელათგორში მუხიგულაშვილები* მკვიდრობენ. ეთნოგრაფიული მასალებით, „ახალციხის მხრიდან ვართ. იქ *ჟუჟუნაძეები იყვნენ.* შეიცვალეს გვარი“. *კავთურას ხეობაში* მცხოვრები *აბუაშვილებიც* ჯავახეთიდან, სოფელ *ბარალეთიდან* ყოფილან გადმოსახლებულნი.

მეჯუდას ხეობაში, *ისროლისხევზე* იყო სოფელი „*ჯავახთა*“. ეთნოგრაფიული მონაცემებით, **„აქ ძველად ჯავახებს უცხოვრიათ. ეგენი მოსულები ყოფილან. გვარიც ჯავახი იყო. გაფანტულან ახლომახლო სოფლებში: ფლავი, ფლავისმანი, სათემო“.**

ფშავის სოფელ *ხოშარაში* (გაბიდაურთ თემი) ნაკვეთაურები ცხოვრობდნენ. ეთნოგრაფიული მასალებით, *ნაკვეთაურების* პაპა ჯავახეთიდან წამოსულა და შემოხიზნულა *ხოშარის* თემში. ჯავახეთიდან ყოფილან მოსული ფშავის სოფელ *შუაფხოში* ბერიანიც: „გაქისტაურებულნი იყვნენ: ბერიანიც. ამათი პაპა გამოქცეული ყოფილა ჯავახეთიდან“.

ქართლში მცხოვრები *ანანიაშვილები* ჯავახეთიდან არიან გადმოსახლებულები, ხოლო ჯავახეთში უფრო ადრე *არტაანიდან* მოსულან. ბორჯომის რაიონის სოფელ *ტაძრისში* მცხოვრები *ბალახაძეებიც* ჯავახეთიდან, სოფელ *ვარევანიდან* მოსულან. სოფელ *ტაძრისში შაყულაშვილები* ცხოვრობენ. აქ ისინი *კასპის* რაიონის სოფელ *კავთისხევიდან* არიან გადმოსახლებული. თავის მხრივ, კი *კავთისხევში* ჯავახეთიდან (*სამსარიდან)* ყოფილან მიგრირებულნი.

ეთნოგრაფიული მასალებით, ჯავახეთიდან არიან გადმოსახლებული *პატარა ლილოში* მოსახელე *ყარყარაშვილები. ყარყარაშვილების* ადრინდელი გვარი *ნაკაშაშვილი* ყოფილა. *ყარყარაშვილების* წინაპარი *ნაკაშაშვილები* ჯავახეთიდან თურქებს გამოქცევიან.

ჯავახეთიდან არიან გადმოსახლებული ქვემო ქართლის სოფელ *გომარეთის* მცხოვრებნი XVIII საუკუნის დასასრულს. *დიდ გომარეთში* ჯავახეთიდან მიგრირებულან: *ხმალაძეები, სამდაშვილები, ჭალიძეები, გვარამაძეები, ლაგურაშვილები, ელბაქიძეები,*

ჩაჩანიძეები, ხიზანიშვილები, მუჯირიშვილები, ბალახაძეები, მურჯიკნელები... ქვემო ქართლში, სოფელ *დიდ კლდეისარში* მცხოვრები *ასპანიძეები* ჯავახეთიდან გადმოსახლებულან. ქვემო ქართლშივე, სოფელ *განთიადში* (დმანისის რაიონი) *დევნოზაშვილების* წინაპარი *დევნოზ ნათენაძე* ჯავახეთის სოფელ *გოგაშენიდან* რვა თაობის წინ გამოქცეულა. ჯავახეთიდან ქვემო ქართლში მისი მიგრაციის მიზეზი თათრის მოკვლა ყოფილა. სხვათა შორის, დღესაც *გოგაშენში* მცხოვრებ *ნათენაძეებს* და *განთიადში* მცხოვრებ *დევნოზაშვილებს* „ყურდუანთ“ ეძახიან. *განთიადშივე* (ძველი *ყალამშია*) მკვიდრობენ *ციხელაშვილები*, რომელთა წინაპარიც ჯავახეთიდან XVIII საუკუნის ბოლოს გადმოსახლებულა. *განთიადში* XIX საუკუნის 20-იან წლებში ჯავახეთიდან სხვა გვარებიც მიგრირებულან: *კავლელიშვილები, ოკმელიშვილები, ბერიძეები, ლონდარიშვილები, დათუაშვილები.* 1784 წლის ერთ საბუთში ვკითხულობთ: **„მამაჩემი ჯავახეთიდამ გადმოსულიყო და ქართლში ცხოვრებულიყო... მშობლები დამეხოცნენ, პატრონი... არავინ მყავდა... მოველ ჩემის ნებით... ჩემი თავი გაყმე (ნათლისმცემლის მონასტერს)...“**

ჯავახეთიდან ქართლში პრივილეგირებული ფენების წარმომადგენლებიც გადმოსახლებულან. ჯავახეთიდან მიგრირებულ აზნაურულ გვარებს შორის *იოანე ბაგრატიონი* ასახელებს *ტარსაიჭაშვილებს, მახვილაძეებს, ჩივაძეებს, ვაჩიანიძეებს.* გადმოცემით ჯავახეთიდან არიან ქართლში მოსული აზნაური *ალექსიძეებიც. მახვილაძეები* რომ ნამდვილად ჯავახეთიდან იყვნენ, ამას 1712-1714 წლებით დათარიღებული ერთი დოკუმენტიც ცხადჰყოფს: „...ეს **მახვილაძე როსტევან და იმის შვილები ჯავახეთიდამ აგვიყრია და წასული ისრე მოგვიყვანია და *ოძისს* ჩვენს ნასყიდში დაგვისახლებია...**“.

აღმოსავლეთ საქართველოში ჯავახეთიდან მხოლოდ ქრისტიანები როდი გადმოსახლდებოდნენ. მიგრანტთა შორის იყვნენ მაჰმადიანებიც. გადმოსახლების შემდეგ, ისინი მაშინვე ქრისტიანებად ინათლებოდნენ. სამწუხაროდ, **მაჰმადიან ქართველთა დიდი ნაწილი, რომელთა დედაენა კვლავ ქართული იყო თურქეთში გადადიოდა საცხოვრებლად. ეს მიგრაციული ნაკადი უფრო გაიზარდა**

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან. XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში ქართველ მაჰმადიანებს ძალიან ხშირად ასეთი ფრაზები აქვთ მიწერილი: „პასპორტის გარეშე წავიდა თურქეთში ოჯახით. უკან აღარ დაბრუნებულან“; „წასულია თურქეთში“... ძალიან მრავალმა იერლიმ (მაჰმადიანმა ქართველმა) დატოვა ჯავახეთი და თურქეთში გადასახლდა 1918 წელს. ამ წელს მათ მიუტოვებიათ: *ხოსპიო, მურჯახეთი, ღულალისი, პატარა ხანჩალი...* მათ ნასახლარებზე კი სომხები სახლდებოდნენ. 1933 წელს ადგილობრივი მუსლიმი ქართველები მხოლოდ სამ სოფელშიღა იყვნენ შემორჩენილნი: *ოკამში, თოკში* და *ქილდაში.* აქედან თურქეთში 60 ათასი მაჰმადიანი ქართველი გადასახლდა. მთელი XIX საუკუნეში ქართველ მაჰმადიანთა თურქეთში გასვლა ინტენსიური იყო. ასე დაიცალა ჯავახეთი ქართული მოსახლეობისაგან.

ვახუშტი ბაგრატიონი 1660-იანი წლების ამბების აღწერისას წერს: „...რამეთუ აწ უმეტესადრე მოოხრდებოდნენ ეკლესიანი დიდშუენიერნი და იქმნებოდნენ პირუტყვთა სადგურნი და **ივლტოდნენ კუალადაცა რომელთა არა ინებეს მაჰმადიანობა ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს** და წარუქუნდათ ხატნი და ჯუარნი და წმინდათა ნაწილნი, მოისპობოდნენ ეპისკოპოზი, თუ სადმე იყო, და მონაზონნი და მწყემსნი“. ე. ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან ქართველი ქრისტიანები საქართველოს თითქმის ყველა მხარეში გადასახლდებოდნენ.

„ახალ ქართლის ცხოვრება“: „მიერითგან იქმნა რისხვა ღვთისა საათაბაგოსა ზედა. ...წარიღეს თანა წმინდანი ხატნი და ჯვარნი და ნაწილნი და **წარმოვიდეს რომელნიმე საქართველოსა შინა, და რომელნიმე გურიასა და იმერეთს და დაემკვიდრნენ იგინი სანახებთა ქართლისათა და იმერეთისათა, და, რომელიცა დაშთეს მუნ ნეშტნი ქრისტიანენი...“** ამრიგად, ჯავახების მიგრაცია XVII-XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის პირველ ორ ათეულ წელს ძირითადად ქართლისა და კახეთისაკენ იყო მიმართული, ხოლო სამცხის, შავშეთ-კლარჯეთის და ზემო ქართლის სხვა მხარეების მოსახლეობა ძირითადად იმერეთში, გურიასა და ოდიშში გადასახლდებოდა.

ჯავახთა სხვადასხვა მხარეში გადასახლება იყო როგორც ინდივიდუალური ოჯახებით, ისე ჯგუფური. ასე ერთპირად აყრილან ჯავახეთის სოფელ *ხუირანის (ხორანიას)* მკვიდრნი XVII საუკუნის დასაწყისში და შიდა ქართლში, სოფელ ბებნისში დასახლებულან. ბებნისში დამკვიდრებულ მოსახლეობას *მანუჩარ ათაბაგი* რუისის საყდარს სწირავს: „...ჩვენ ათაბაგმან ბატონმან მანუჩარ ... რუისის საყდარსა ღვთაებისასა და ხატს ფერიცუალებისასა **შემოგწირეთ სრულიად ხუირანიელნი ბებნის მსახლობელნი და რაცა ამ ქუეყანასა იყუნენ და ან იქიდაღმა ჩამოვიდნენ ვერავინ შემოეცილოს *რუისის* საყდარსა...**“.

ამრიგად, ჯავახეთის ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში (ძირითადად შიდა ქართლში, აგრეთვე: ქვემო ქართლსა და კახეთში) არის მიგრირებული. ეს მიგრაცია ინტენსიური იყო XVII-XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის დასაწყისში. ჯავახეთიდან გადმოსახლებულებისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართლელი ფეოდალები, რადგან შეთხელებული მათ სამფლობელოები შევსებას საჭიროებდნენ. მიგრაციის ამ მიმართულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში წახდენილი დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად. ჯავახეთიდან გადასახლებით კი ჯავახეთში ეთნოდემოგრაფიული ვითარება უარესდებოდა, მითუმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მუსლიმი ქართველები თურქეთში გადადიოდნენ (ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მხარის რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ, XIX საუკუნეში). ჯავა-ხთა გადასახლებებმა საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისათვის კატასტროფული შედეგები გამოიღო, რასაც საბოლოოდ აქ სხვა ეთნოსების (სომხების, სექტანტი რუსების) დამკვიდრება მოჰყვა. ჯავახეთი მთლიანად ქართული მხარე იყო, 1830 წელს ეს ვითარება აქ უკვე რადიკალურად შეცვლილია. ამ დროს შექმნილი ეთნიკური ვითარების შესახებ სომეხი *ვერმიშევი* წერდა: **„თურქეთის მხრიდან ჩამოსახლდნენ სომხები და ახალქალაქის მაზრა თითქმის დაჰფარეს მჭიდრო მოსახლეობით, რომელთა შორის აქა-იქ პატარა ოაზისებად დარჩნენ ქართული სოფლები“.**

დაბოლოს, არ შეიძლება არ ითქვას, რომ ქართლის მოსახლეობის შემავსებელი მხოლოდ ჯავახეთი არ იყო. ქართლისათვის მოსახლეობის შევსების წყაროს წარმოადგენდა აგრეთვე საქართველოს მთიანეთი, რაჭა და იმერეთი.

III.17. ქართველ მაჰმადიანთა შუა აზიაში გადასახლება

საბჭოთა იმპერია აგრძელებდა ცარიზმის პოლიტიკას სხვადასხვა ხალხებისადმი – ეს იყო ამა თუ იმ ეთნოსისა და მისი გარკვეული ჯგუფის განსახლების არეალიდან შორს გადასახლება. იმპერიის მსხვერპლი საქართველოში მოსახლე სხვადასხვა ჯგუფებიც შეიქმნენ. მეორე მსოფიო ომის დროს საკუთარი განსახლების არეალიდან სასაზღვრო ზოლში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანებიც გაასახლეს. რუსეთმა სამცხე-ჯავახეთში ეთნიკური ვითარება უფრო ადრე შეცვალა, როდესაც აქ 1830 წელს ოსმალეთის იმპერიიდან დიდი რაოდენობით სომხები შემოასახლა.

საბჭოთა მთავრობამ სამცხე-ჯავახეთიდან მაჰმადიანი ქართველების გადასახლება 1944 წლის ნოემბერში მოახდინა. ეს მოსახლეობა ომამდელ პერიოდში ხელისუფლების მიერ ხან თურქებად და ხან აზერბაიჯანელებად იყო აღრიცხული. გასახლების დოკუმენტებში საუბარია მათ ეთნიკურ თურქობაზე. 1944 წლის სექტემბრის თვით დათარიღებულ დოკუმენტში მითითებულია თურქების (სინამდვილეში მაჰმადიანი ქართველების) რაოდენობა – 87.168 კაცი. ხოლო გასახლების სხვა დოკუმენტში 77.500 სულია ნაჩვენები, რაც, როგორც მიუთითებენ, გამოწვეული იყო მამაკაცების ნაწილის შეიარაღებულ ძალებში ყოფნით.

ირკვევა, რომ თავდაპირველად განზრახული ჰქონდათ მაჰმადიანი მოსახლეობის აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში 50-60 კომლის ჩასახლება. მაგალითად, ხაშურის რაიონში 250 ოჯახი უნდა ჩაესახლებინათ, ქარელის რაიონში – 500, გორის რაიონში – 560, კასპის რაიონში – 500, წალკის რაიონში – 720, თიანათის რაიონში – 210, გურჯაანის რაიონში – 900, სიღნაღის რაიონში – 400, ყარაიზის რაიონში – 800, ბორჩალოს რაიონში

– 900, ბოლნისის რაიონში – 800, საგარეჯოს რაიონში – 1000, ბაშკიჩეთის რაიონში – 970, თეთრი წყაროს რაიონში – 700, წითელწყაროს რაიონში – 1500, თელავის რაიონში – 700, ყვარლის რაიონში – 1000, ლაგოდეხის რაიონში – 500, თბილისის რაიონში – 250, სტალინირის რაიონში – 250, ზნაურის რაიონში – 250. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ეს წინადადება ჰქონდა წარდგენილი საკავშირო მთავრობაში. დოკუმენტი მხოლოდ 200 ოჯახის დეპორტაციას ითვალისწინებდა საქართველოს გარეთ – შუა აზიასა და ყაზახეთში. გეგმა ითვალისწინებდა გასახლებულთა სოფლებში ქართველთა ჩასახლებას, ოღონდ ეს არ უნდა მომხდარიყო საზღვრისპირა 16 სოფელში, სადაც იმ დროს 1.460 ოჯახი მკვიდრობდა. გადასასახლებელთა რაოდენობა განსაზღვრული იყო 14.860 მეურნეობით (ანუ ოჯახით) და 77.500 სულით.

მაგრამ 1944 წლის ივნისში ეს გადაწყვეტილება შეიცვალა და შეიმუშავეს საზღვრისპირა რაიონებიდან მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლების ახალი გეგმა – საქართველოს ფარგლებს გარეთ. ასე რომ, შიდა მიგრაციის ნაცვლად გადაწყდა გარე მიგრაცია. აგრეთვე ახალციხის რაიონში ჩაუტარებიათ მაჰმადიან ქართველთა გვარების აღრიცხვა და გაარკვიეს, რომ 20 სოფელში შემონახული იყო ქართული ენაც.

მ. ნათმელაძემ სარქივო დოკუმენტებზე დაყდრნობით დაადგინა გასახლებულთა ზუსტი რაოდენობა: ბათუმიდან თურქი – 84 ოჯახი, ქურთი – 75 ოჯახი, ხემშილი – 6 ოჯახი (სულ 165 კომლი). ბათუმის რაიონიდან ეს მაჩვენებელი ასეთი იყო, შესაბამისად: თურქი – 346 ოჯახი, ქურთი – 472 ოჯახი, ხემშილი – 231 ოჯახი (სულ 1049 ოჯახი). ქობულეთის რაიონიდან შესაბამისად ეს რაოდენობა ასეთი იყო: 70, 198 და 34 (სულ 61 კომლი). გასახლება მოხდა ხულოს რაიონიდანაც: 124, 35 და 28 (სულ 187 ოჯახი). ახალციხის რაიონიდან გაუსახლებიათ 2.609 ოჯახი თურქი და 389 ოჯახი – ქურთი (ერთად 2.998 კომლი). ადიგენის რაიონიდან – თურქი 5.649 კომლი, ახალქალაქის რაიონიდან – თურქი – 614 კომლი და ქურთი – 155 ოჯახი (ერთად 769 კომლი), ასპინძის რაიონიდან თურქი ყოფილა 3.743

ოჯახი და ქურთი – 488 ოჯახი (ერთად 4.231 კომლი), ბოგ-დანოვკის რაიონიდან: თურქი – 157 ოჯახი, ქურთი – 6 ოჯახი (სულ ერთად 163 კომლი). საერთო ჯამში საქართველოს სამხრეთი რაიონებიდან 1944 წლის მოემბერში გაუსახლებიათ 69.869 კაცი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 16.131 კაცით ნაკლებია. ეს **მიგრაციული პროცესი ხელისუფლების მიერ შეფა-სებული იყო როგორც სასაზღვრო ზონის საეჭვო ელემენტები-საგან გაწმენდის ღონისძიება. მიუთითებენ სამხედრო-სტრატეგიულ და პოლიტიკურ მიზეზებზეც.**

ირკვევა, რომ 1956 წელს სპეცგადასახლებულთაგან საქარ-თველოში ხელისუფლების ნებართვის გარეშე დაბრუნებულა 242 ოჯახი (1.030 კაცი). ისინი ჩასახლებულან ბათუმის, ქობულეთისა და ხაშურის რაიონებში.

სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებულთა სახლებში ასევე იძულე-ბით ჩაასახლეს მოსახლეობა ბორჯომისა და ხაშურის რაიონები-დან. ბორჯომის რაიონიდან იძულებით ჩაუსახლებიათ 545 კომლი (2.503 კაცი). ასპინძის რაიონში გადაასახლეს დუშეთის, ჩხარის, ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების მკვიდრნი.

III.18. ეკომიგრანტები საქართველოში

XX საუკუნის საქართველოში ეკოლოგიური კატასტროფებით გამოწვეული მიგრანტებიც გაჩნდნენ. ადამიანთა ჯგუფების ეკომი-გრაცია უმეტესწილად გამოწვეულია წყალდიდობებით, მეწყერე-ბით, ზვავებით, მიწისძვრებით. სტიქიურ მოვლენებს კი უმთავარე-სად ანთროპოგენური ფაქტორები განაპირობებს, რომელთაგანაც შეიძლება დავასახელოთ: არამდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქ-ტიკა, უსისტემო ურბანიზაცია, წიაღისეულს მოპოვება და ტყის ჭარბი ჭრა. ეკოლოგიური კატასტროფებით XX საუკუნის საქარ-თველოში მთიანეთის ორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე გა-მოირჩეოდა – აჭარა და სვანეთი. როგორც ზემოთ აღინიშნა, სა-ქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან დაბლობისაკენ ისტორიულად მუდმივი მიგრაციული პროცესები მიმდინარეობდა. ამ მხრივ გამონაკლისს არც აჭარა და სვანეთი

წარმოადგენდა. სხვათა შორის ორივე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე XX საუკუნის საქართველოში ყველაზე მჭიდროდ იყო დასახლებული, რადგან აქ შობადობის მაღალი დონის ტრადიცია კვლავ შენარჩუნებული იყო. ქართველ მუსლიმთა მუჰაჯირობაზე სათანადო მონაკვეთში იყო საუბარი, სადაც აღინიშნა, რომ აჭარიდან 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომს აჭარელთა ინტენსიური გადასახლება მოყვა მარმარილოს ზღვისა და შავი ზღვის რეგიონებში. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ რელიგიურ ფაქტორთან ერთად, ქართველ მუსლიმთა გადასახლებას ხელი შეუწყო აგრეთვე ეკონომიკურმა და დემოგრაფიულმა ფაქტორებმაც – მხარე გადამეტსახლებული იყო. მთის რეგიონების ეს გადამეტსახლება იწვევდა მათ მიგრაციას.

აჭარიდან მოსახლეობის მიგრაციის საკითხები სათანადოდაა შესწავლილი (*თ. ფუტკარაძე*) და მანამ, სანამ ეკოლოგიური ფაქტორებით გამოწვეულ მიგრაციებს შევეხებით, აქედან გადასახლების დამადასტურებელ ზოგიერთ ფაქტს უნდა გავეცნოთ. აშკარად შეიმჩნევა, აჭარის ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, საქართველოს სხვადასხვა მხარეში მიგრაცია. საყურადღებოა, რომ თ. ფუტკარაძემ აჭარაში არაერთი გვიანფეოდალური პერიოდის ნასახლარი დაადასტურა და, რაც მთავარია, ადგილობრივები ასეთ ნასოფლარ-ნასახლარებს **„ნაქართლის“** სახელით მოიხსენიებენ. ჩვენი აზრით, ეს „ნაქართლები“ ქრისტიანთა („ქართველთა“) მიტოვებული უნდა უყოს, როდესაც ოსმალები ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ისლამს აღებინებდნენ. „ნაქართლებში“ მცხოვრებმა მოსახლეობამ რელიგიური ფაქტორის გამო დატოვა მშობლიური მხარე. XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე *ტაკიძეები* სოფელ ჭვანადან (დღევანდელი შუახევის რაიონი) გურიაში გადასახლებულან. აჭარაში არაერთი სოფელი გვარის სახელს ატარებს, მაგალითად, *შავაძეები, ინწკირველები, ხაბელაშვილები, რუაძეები, ლომსიანიძეები...* მაგრამ ამ გვარსახელის მატარებელი აქ აღარავინ ცხოვრობს – ისინი დღეს საქართველოს სხვადასხვა მხარის მკვიდრნი არიან, რაც ასევე აჭარიდან მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციის დამადასტურებელია.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ინტენსიური ყოფილა აჭარის

მთის სოფლებიდან ზღვისპირა სოფლებში გადასახლება. ეს პროცესი მკვლევართათვის ხელშესახებია XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან. ამ დროს ჩამოსახლებულან მთიელი აჭარლები ქობულეთში, ბობოყვათში, ალამბარში, ჭახათში და სხვა სოფლებში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მთიანი აჭარის სოფელ ღორჯომიდან ორას კომლზე მეტი გურიაში – ზოტსა და ჩხაკურაში გადასახლებულა. იმავე პერიოდში აჭარლები გურიისა და სამცხის კიდევ რამდენიმე სოფელში (ასკანა, კიკიბო, დერცელი...) მიგრირებულან. აჭარაში შექმნილ მძიმე დემოგრაფიულ ვითარების გამო იყო, რომ მის მკვიდრთათვის დროებითი მიგრაციები იყო დამახასიათებელი – გარე სამუშაოზე სიარული, რომელიც გამოკვეთილად სვანეთისა და რაჭის მოსახლეობასაც ახასიათებდა. საგულისყუროა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აჭარლებს ხარითა და ცხენით ჭიათურის მაღაროებში უვლიათ სამუშაოდ.

ინტენსიური გახლდათ აჭარის მოსახლეობის მიგრაცია XX საუკუნის 20-იანი წლებიდან. სხვათა შორის, კოლექტივიზაციის დროს არა ერთი აჭარის მკვიდრი თურქეთში გადავიდა საცხოვრებლად. ასეთი სახის მიგრაციებს მოსალოდნელი რეპრესიებიც იწვევდა. კვლავ ინტენსიური იყო 1949-1959 წლებში მთიანი აჭარიდან ზღვისპირეთის სოფლებში ჩასახლება. ამავე დროს მიგრაციის მიმართულება სამცხეც იყო. 1921-1960 წლებშია აჭარიდან დაახლოებით 15 ათასი კაცი გადასხლებულა. 1950-იან წლებში აჭარელთა 500 ოჯახზე მეტი მთავრობამ შუა აზიაში გადაასახლა. გადასახლებულთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომლებსაც ნათესავი თურქეთში ყავდა.

1960-1970-იან წლებში მთიანი აჭარიდან, ძირითადად კი ხულოს რაიონიდან სამცხესა (ადიგენის რაიონი) და გურიაში (უპირატესად შუახევიდან და ქედადან) 8 ათასამდე ოჯახი გადაასახლეს. 1971-1988 წლებში აჭარის ზღვისპირეთში, გურიაში, ქართლსა და კახეთში 21.496 კაცი გადაასახლეს. ამ პერიოდში აჭარელები მნიშვნელოვანი რაოდენობით ასპინძის რაიონის სოფლებში – რუსთავი, ოთა, ოშორა, ივერია, გულსუნდა, მირაშხანი – ჩასახლეს. 1979 წელს დამკვიდრდნენ ისინი ქიზიყის სოფელ სამთაწყაროში, სადაც 1928-1929 წელს საინგილოდან გადმოსული

ქართველები მკვიდრობდნენ. აჭარიდან სამთაწყაროში დასახლებულთა რაოდენობა 170 ოჯახი იყო. 1981-1989 წლებში მთიანი აჭარიდან გურიაში გადასახლებულთა რაოდენობა 900 ოჯახი იყო, სამცხე-ჯავახეთში – 344, კახეთში – 328.

1989 წლიდან აჭარიდან მოსახლეობის მიგრაცია ძირითადად სტიქიური მოვლენებით იყო განპირობებული. ეს პროცესი 1989 წლის 19 აპრილის ტრაგედიის შემდეგ დაიწყო. ორგანიზებული მიგრაცია ძირითადად მიმართული იყო სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლისაკენ. 1997 წლისათვის ახალქალაქის რაიონში 439 ოჯახი ჩაასახლეს. თუმცა 182 ოჯახი სხვადასხვა მიზეზით უკან დაბრუნდა. მათი ჩასახლება მოხდა ნინოწმინდის რაიონში დუხობორების მიერ მიტოვებულ სახლებშიც, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ მათ აქ ჩასახლებას დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ სომხები, რომლებმაც ეს პროცესი ფაქტობრივად შეაფერხეს. 1989 წლის მოვლენების შემდეგ აჭარიდან ეკომიგრანტები ასპინძისა და ადიგენის რაიონებში ჩაასახლეს (55 ოჯახი). აღნიშნულ პერიოდში ეკომიგრანტები ქვემო ქართლშიც მიგრირდნენ. აქ 11 სოფელში 601 ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად. 1997-1998 წლებსა და მომდევნო წლებში აჭარის მკვიდრნი თრიალეთში (წალკის რაიონი) ჩაასახლეს (სოფლები: ხარაბა, გუმბათი, ხანდო, კარაკუმი, ბაშკოვი, ჩაპაევკა). 2004 წლისათვის აჭარიდან წალკის რაიონში 2000 ოჯახი იყო ჩასახლებული, და ისინი 24 სოფელში არიან გაფანტული, თუმცა, უნდა ითქვას, მათ შორის ყველა სტიქიისაგან დაზარალბული არ იყო. გადასახლდნენ შიდა ქართლის რამდენიმე სოფელში (კასპისა და გორის რაიონები), კახეთში (ლაგოდეხის რაიონის სოფელი ულიანოვკა – 12 ოჯახი და სიღნაღის რაიონის სოფელი ერისიმედი – 83 ოჯახი). 1989-2000 წლებში ქართლსა და კახეთში საერთო ჯამში 1.066 კომლი იქნა აჭარიდან ჩასახლებული.

აჭარიდან ეკომიგრანტები დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებშიც ჩაასახლეს. იმერეთში გადაასახლეს 780 ოჯახი, სამეგრელოში – 424, გურიაში – 750 (საერთო ჯამში 1.984 კომლი). მაგრამ აქ ჩასახლებულთა საკმაოდ დიდი ნაწილი უკან გაბრუნდა (632 ოჯახი). უკანდაბრუნებული

ოჯახებიდან 119 ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და თრიალეთში გაიფანტა. უკუმიგრაციის ძირითად მიზეზად სამეცნიერო ლიტერატურაში ადაპტაციის პრობლემას მიუთითებენ.

ეკოლოგიური კატასტროფების გამო მნიშვნელოვანი მიგრაციები მოხდა სვანეთიდან. მანამ, სანამ მოკლედ ამ პრობლემას შევეხებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეებიდან, ისტორიულად სვანეთიდანაც მიმდინარეობდა დაბლობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში მოსახლეობის გადასახლება. სხვანაირად წარმოუდგენელიცაა, რადგან მთას მხოლოდ მოსახლეობის განსაზღვრული რაოდენობის გამოკვება შეეძლო და მისი ნამატი აქედან მიგრირდებოდა, ძირითადად დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ ეთნოგრაფიულ მხარეებში: რაჭაში, ლეჩხუმში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში... საამისოდ არაერთი ეთნოგრაფიული ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ გვარების სადაურობა-წარმომავლობის შესახებ. ამჯერად მხოლოდ რამდენიმე ფაქტის მოყვანით დავკმაყოფილდებით. როგორც ეთნოლოგმა *დავით შავიანიძემ* გაარკვია ოკრიბაში არაერთი გვარი სვანეთიდანაა მიგრირებული, მაგალითად, *ხორხომელიძეები, შალიკიანები* (ძირად ჩარკვიანი), *ხერხაძეები, ყიფიანები, სანდუხაძეები, ბაბუხადიები, მესხორაძეები, გვეტაძეები, სოფრომაძეები, კორტები, გაბრიაძეები.* სვანეთიდან წარმომავლობენ ზემო იმერელი *მწყერაშვილები.* ლეჩხუმში სვანეთიდან არიან გადმოსახლებულნი *გუგავები, მუშკუდიანები, ბენდელიანები, ცხვედიანები, ხვადაგიანები, ზალკალიანები, გურგუჩიანები, მეიფარიანები, მაღრიანები, სვანიძეები, საღინაძეები, ჯამბურიძეები, შკუბლიანები...* სამეგრალოში ძალიან ბევრია გვარი, რომლებიც სვანეთიდან არიან გადმოსახლებული: *სოტკილავა, ფიფია, გაბუნია, აფაქიძე, კვარაცხელია...*

ამჯერად საუბარი გვაქვს იმ ეკოლოგიური კატასტროფებით გამოწვეულ მიგრაციებზე, რომელიც აქ მოხდა. თუმცა, უპრიანი იქნება, მოკლედ იმ გადასახლებებს შევეხოთ, რომლებიც ხელისუფლებამ 1940-იანი წლებიდან განახორციელა. ეს იყო ე. წ. გეგმიური ჩასახლება ბარის რაიონებში. 1944 წელს სვანეთიდან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი დეპორტირებული ყარაჩაელების ტერიტორიაზე გადაასახლეს, რომელიც მაშინ ქლუხორის რაიო-

ნის სახით საქართველოს რესპუბლიკას გადმოეცა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ ყარაჩაელთა მშობლიურ ადგილებში დაბრუნების შემდეგ, ისინი უკან დააბრუნეს.

1949 წელს ქვემო სვანეთის რამდენიმე სოფლიდან (ზესხო, ხელედი, ლექსურა, მახაში, ჭველიერი, სასაში...) 92 კომლი აფხაზეთში – გულრიფშის რაიონის სოფელ ჩინსა და გაგრის რაიონის სოფელ ბზიფში გადაასახლეს. 1952 წელს ზემო სვანეთის სოფელ უშგულიდან და ლენტეხიდან გუდაუთის რაიონის სოფელ ოთხარაში 52 ოჯახი ჩაასახლეს, რომელთა ნაწილი ექვსი წლის შემდეგ უკან დაბრუნდა. 1955-1965 წლებში გურიასა (ოზურგეთის რაიონი) და იმერეთში (ხონის, წყალტუბოს რაიონები) 111 კომლი გადაასახლეს. აღნიშნული მიმართულებით მიგრაციული პროცესი მომდევნო წლებშიც მიმდინარეობდა. გეგმიური ჩასახლების შედეგად 1950-1970-იან წლებში ქვემო სვანეთი 500-მდე ოჯახმა დატოვა. 1968 წლიდან მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში ზემო სვანეთიდან თბილისის საგარეუბნო ზონაში (ლილო, კრწანისი, უდაბნო) 90-მდე კომლი გადამოასახლეს.

1987 წელი სვანეთისათვის ტრაგიკული წელი იყო. სტიქიამ დაანგრია და დააზიანა სახლები, დაიღუპა 85 ადამიანი. ამის გამო, ზვავსაშიში ადგილებიდან 16 ათასამდე ადამიანი გამოიყვანეს. უსახლკაროდ დარჩენილი ქართველი მთიელები ძირითადად ქვემო ქართლსა და ნაწილობრივ გარე კახეთში გადმოასახლეს, სადაც მათ გამოეყოთ მიწის ნაკვეთები. ყველაზე მეტი ოჯახი თეთრი წყაროსა და დმანისის რაიონებში ჩაასახლეს. გარდა ამისა ისინი გადმოასახლეს ბოლნისის, გარდაბნის, მარნეულის რაიონებში. თეთრი წყაროს რაიონში დამატებით ქვემო სვანეთიდან 330 ოჯახი იქნა მიგრირებული. აქედანვე დასავლეთ საქართველოში – წყალტუბოში (270 კომლი), ოზურგეთში (85 კომლი), ხონში (27 კომლი), ხობში (140 კომლი) – იქნა გადასახლებული. პირველ გადმოსახლებულებს იმავე 1987 წლის ზაფხულში მიგრანტების ახალი ტალღა მოყვა თეთრი წყაროს (110 ოჯახი), ბოლნისის (10 ოჯახი), გარდაბნის (200 ოჯახი), წყალტუბოს (35 ოჯახი) რაიონებში. მიგრანტთა ეს რაოდენობა ძირითადად ქვემო სვანეთიდან იქნა გადმოყვანილი.

როგორც მთავრობის მიერ გამოცემული აქტებით ირკვევა, დაიგეგმა 49 ახალი სოფლისა და 5.700 სახლის მშენებლობა, თუმცა ეს გეგმა სათანადოდ არ შესრულებულა. 1993 წელს შექმნილი იყო 20 ახალი სოფელი და აშენებული იყო 2.421 სახლი. სვანეთი თითქმის ნახევრად დაცარიელდა. როგორც სათანადო ლიტერატურაშია (*ლ. ნიჟარაძე*) მითითებული სვანეთში მთელი რიგი სოფლები დემოგრაფიული თვალსაზრისით კატასტროფის წინაშე დადგა. 1994 წლისათვის უშგულში 120 ოჯახიდან მხოლოდ 35 იყო დარჩენილი, მულახის სოფელ ჟამუშში – 90-ის ნაცვლად დარჩენილა 10 ოჯახი, კალაში – 170 ოჯახის ნაცვლად 40 ოჯახი...

სვანეთიდან მოსახლეობის მიგრაცია უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაშიც ინტენსიური იყო, მაგალითად, ცხენისწყლის ხეობის სათავეში სოფლებში ზესხოსა და ცანაში ამ 15-ოდე წლის წინ თუ რამდენიმე კომლი კვლავ მკვიდრობდა, დღეს უკვე აღარავინ ცხოვრობს.

III.19. იძულებითი გადასახლებები XX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 1941 წელს ეთნიკური გერმანელები საბჭოთა მთავრობამ საქართველოდან გაასახლა. მათი განსახლების ადგილებში კი რაჭიდან, ლეჩხუმიდან და ზემო იმერეთიდან 2.390 კომლი დაასახლეს. სამცხიდან 1944 წელს მუსლიმი ქართველების შუა აზიასა და ყაზახეთში გადასახლების შემდეგ მათ სოფლებში იმერეთის, ქართლის და მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობა ჩაასახლეს. ახალჩასახლებულთა რაოდენობა 5.500 კომლი იყო. 1944-1950 წლებში აფხაზეთის დაუსახლებელ ტერიტორიებზე სამეგრელოდან, იმერეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან და სვანეთიდან 4.200 ოჯახის გადასახლება მოხდა. 1940 წელს ხევსურეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ხელისუფლებამ იძულებით შირაქსა და სამგორის ველზე გადმოასახლა. ამ გადასახლებას იძულებითი ხასიათი ჰქონდა. 1921-1989 წლებში ე. წ. სამხრეთ ოსეთის მთიანი ნაწილი, კერძოდ, ჯავისა და ახალგორის მთის

სოფლების მკვიდრი ეთნიკური ოსები დაბლობში, ძირითადად, კი ქალაქ ცხინვალში (აგრეთვე ვლადიკავკაზში) გადასახლდა, რის შედეგადაც ამ ორი მთიანი რაიონის მოსახლეობა 34,7%-ით შემცირდა და 114 სოფელი ნასოფლარად იქცა.

საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეებისათვის ფაქტობრივად უცნობია კიდევ ერთი იძულებითი მიგრაციის ფაქტი, რომელიც მოხდა 1953 წელს: „ზოგს ბრალად დასდეს კონტრაბანდისტული საქმიანობა 20-იან წლებში, არალეგალური მიმოსვლა თურქეთში, ზოგს ოჯახის წევრების თავის არიდება ომის დროს საბჭოთა არმიისათვის, ზოგს ახლო ნათესავის ემიგრაცია თურქეთში, ზოგს ყოფილი ემიგრანტობა ევროპაში, ზოგს ტყვეობა გერმანელებთან და ნებაყოფლობითი შესვლა ფაშისტური არმიის „ქართულ-ეროვნულ ლეგიონში“ ან გერმანელთა სხვა სამხედრო შენაერთებში და ა. შ.“ (მ. ნათმელაძე). ასეთი „დამნაშავენიც“ ოჯახებით გაასახლეს ყაზახეთსა და შუა აზიაში.

1949 წელს აფხაზეთში ჩაატარეს დეპორტაცია „ვოლნას“ სახელწოდებით. აღრიცხვაზე ყოფილა გადასახლების კანდიდატი 7.242 ოჯახი: თურქეთის ყოფილი ქვეშევრდომები, რომლებიც იმ დროს მოქალაქეობის გარეშე იყვნენ (144 ოჯახი), საბჭოთა კავშირის მოქალაქეები, რომლებიც ადრე თურქეთის ქვეშევრდომებს წარმოადგენდნენ (561 ოჯახი), სულ 2.887 სული. გადასახლების ამ კონტიგენტში შედიოდა აგრეთვე ბერძნების 5.519 ოჯახი, რომელთა შორის 3.889 სული მოქალაქეობის არმქონე საბერძნეთის ყოფილი მოქალაქე იყო და 1.218 ოჯახი, რომლებსაც საბჭოთა მოქალაქეობა ჰქონდათ (სულ 23.992 სული). გასახლებულთა შორის ეთნიკური სომხებიც იყვნენ, რომლებიც „დაშნაკებს“ მიეკუთვნებოდნენ (705 ოჯახი, 2.886 სული). ყველა კატეგორიის გადასასახლებელი ერთად შეადგენდა 29.735 სულს. გადასახლება დაწყებულა 1949 წლის 14 ივნისს ქალაქებში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, სოხუმი, ფოთი, გაგრა) ღამის 3 საათზე, ხოლო რაიონებში ერთი საათით გვიან. ამ ოპერაციის შედეგად სულ 7.211 ოჯახი (31.666 სული) გაუსახლებიათ, გათვალისწინებულზე მეტი. გადასახლებულთა ეთნიკური შემადგენლობა ასეთი იყო: თურქები – 831 ოჯახი, 2.508 სული, ბერძნები – 5.710 ოჯახი,

26.392 სული, სომეხი „დაშნაკი“ – 670 ოჯახი, 2.766 სული. აფხაზეთიდან გასახლებულებს საკუთარი სურვილით დამატებია გასახლებულთა ნათესავები, რომლებმაც ახლობლებთან ყოფნა არჩიეს. ამის გამო, დამატებითი ოპერაციის დროს კიდევ გაიყვანეს 1.047 ოჯახი (5.009 სული). ამრიგად, 1949 წელს საქართველოდან სულ მოახდინეს 8.285 ოჯახის (36.675 სულის) დეპორტაცია. აყრა-გადასახლების მიზეზი სახელმწიფოსადმი ერთგულებასანდოობა ყოფილა. დეპორტირებულებისათვის ჩამოურთმევიათ ცარიზმის დროინდელი ოქროს მონეტები, უცხოური ვალუტა, თოფები და ცივი იარაღი.

ორიოდე სიტყვით უნდა აღინიშნოს, რომ **ქართველების გარკვეული რაოდენობა საბჭოთა ხელისუფლებამ 1944-1950-იან წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში აქედან გასახლებული ჩრდილოეთ კავკასიელების ტერიტორიაზე ჩაასახლა. ერთ-ერთი ასეთი რეგიონი იყო ქლუხორის რაიონი და ზემო სვანეთის რაიონის იალბუზის სასოფლო საბჭო.** აქ ქართველი მთიელები ბალყარელთა და ყარაჩაელთა მიწებზე დაასახლეს. ეს მოსახლეობა დასახელებული ეთნოსების გამართლების შემდეგ, 1957 წელს ისევ უკან დააბრუნეს (700 კოლი), მაგრამ არა თავიანთი თავდაპირველი განსახლების არეალში, არამედ ბოლნისის რაიონში, და აფხაზეთში (გალის, ოჩამჩირის და გულრიფშის რაიონებში). აღნიშნული კონტიგენტი სხვა რაიონებშიც (ოზურგეთი, თელავი, ზუგდიდი) ჩაუსახლებიათ.

საქართველოს კარგს არაფერს უქადის ის მიგრაციები, რომლებიც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მიმდინარეობს. არ წყდება მასობრივი ემიგრაცია. თავდაპირველად საქართველოდან საზღვარგარეთ თუ ძირითადად სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები გადიოდნენ (არაქართული მოსახლეობის წილი 1989-2002 წლებში 23,6%-დან 16,2%-მდე შემცირდა), შემდეგ ამ პროცესში ინტენსიურად ჩაერთვნენ ქართველები.

ქართველები ძირითადად მიგრირდებიან რუსეთში, თურქეთში, საბერძნეთში, გერმანიასა და აშშ-ში. 1989 წელს საქართველოს მოსახლეობა თუ 5 მილიონ 400 ათასი იყო, 2002 წელს 4 მილიონ 372 ათასამდე დავიდა. ხოლო 2014 წლის აღწერის შედეგად საქართველოში უფრო ნაკლები მცხოვრები დაფიქსირდა –

3 მილიონ 589.509. ე. ი. ათი წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა 641.509 კაცით შემცირდა. ესაა კატასტროფიული დემოგრაფიული ვითარების მაჩვენებელი. [რეალურად უფრო მძიმე ვითარებაა, რადგან აღწერაში აფიქსირებდნენ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია საქართველოში არ ცხოვრობენ და მოქალაქეობაზე უარი არ უთქვამთ.] ყოველწლიურად საქართველოს მოსახლეობის დანაკარგი 120 ათასი იყო. ნორმალური ბუნებრივი განვითარების გზით კი, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საქართველოს მოსახლეობას 6 მილიონისათვის უნდა მიეღწია. ქვეყანაში სავალალო დემოგრაფიული პროცესები მიმდინარეობს (ფერტილური ასაკის ადამიანთა მიგრაცია, სიკვდილიანობის მაღალი დონე და შობადობის დონის დაცემა). ქვეყანაში აშკარა დეპოპულაციის პროცესი მიმდინარეობს.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში დაბრუნებას ელოდება ქართველ მაჰმადიანთა ის დიდი ჯგუფი, რომელთა სამცხიდან დეპორტირება მოახდინა საბჭოთა იმპერიამ 1944 წელს როგორც არასანდო ჯგუფისა და რომლებიც ოფიციალურად ხან თურქებად და ხან აზერბაიჯანელებად ყავდათ ჩაწერილი. დღეს ამ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დეეთნიზებულია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში გადმოსახლების სურვილი მათ მთლიან რაოდენობას არ გამოუთქვამს. განცხადება უკან დაბრუნების შესახებ მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილს – 5.841 სრულწლოვან პირს აქვს დაწერილი (არასრულწლოვანთა ჩათვლით პოტენციური რეპატრიანტების რაოდენობა სულ 13.000 კაცია), რომელათთვისაც განცხადების წარსადგენად დროის გარკვეული პერიოდი (2010 წლის 1 იანვარი) იყო გამოყოფილი.

III.20. დევნილები საქართველოში

საბჭოთა კავშირის დანგრევას ეთნიკური კონფლიქტები მოყვა. რუსეთის დღევანდელმა იმპერიამ ეთნიკური კონფლიქტები საქართველოშიც გააჩაღა – ერთმანეთს ქართველები და აფხაზები, ქართველები და ოსები დაუპირისპირა, საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე მივიდა. ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში საქა-

რთველო რუსეთთან დამარცხდა. რუსეთმა ქართველები თავიანთი ძირძველი ტერიტორიებიდან გამოაძევა – მამაპაპათა საცხოვრისიდან აყრილებმა თავი საქართველოს სხვადასხვა მხარეს შეაფარეს. ისინი დევნილებად იქცნენ. ბუნებრივია, იძულებით გადაადგილებულებმა, დევნილებმა საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნეს.

იძულებით ადგილნაცვალი არის ის პირი, რომელმაც მის წინა საცხოვრებელ ადგილზე ეთნიკური დაპირისპირებისა და შეიარაღებული კონფლიქტის გამო იძულებით შეიცვალა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რადგან მის ან მისი ოჯახის წევრების მიმართ გამოიჩინეს ძალადობა, ან არსებობდა რეალური საშიშროება მისი ეთნიკური (აგრეთვე: რასობრივი და სარწმუნოებრივი) კუთვნილებიდან გამომდინარე.

იძულებით გადაადგილებულების, დევნილების დიდი ნაკადი აფხაზეთიდან 1991-1992 წლებში განსახლდა, ხოლო ე. წ. სამხრეთ ოსეთიდან – 1989-1992 წლებში. დევნილების მესამე ეტაპი კი დაკავშირებულია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან; ამ დროს დაიცალა ქართველთაგან ცხინვალის ჩრდილოეთით არსებული ქართული სოფლები და კოდორის ხეობა ანუ დალის სვანეთი. პირველი ორი მიგრაციის დროს დევნილები საქართველოს მოსახლეობის 6%-ს შეადგენდნენ.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში დევნილების რაოდენობის სხვადასხვა ციფრებს ასახელებდნენ. 2008 წლის ომმა საქართველოს 26.000 დევნილი შემატა. 2015 წლის მარტის მონაცემებით საქართველოს ტერიტორიაზე დარეგისტრირებული იყო 263.598 დევნილი.

2008 წლის ომის შემდგომი დევნილებისათვის სახელმწიფომ უფრო უკეთესი პირობები შექმნა, ვიდრე 1990-იანი წლებში.

დევნილთა უმრავლესობა ცხოვრობს კონფლიქტის მიმდებარე ტერიტორიებზე – სამეგრელოში, იმერეთში, შიდა ქართლსა და იმერეთში. დანარჩენი დევნილები გაფანტული არიან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. შიდა ქართლში დევნილთა ჩასახლების რაოდენობა 691-ია (აქ მათი საერთო რაოდენობა 16.828), სამეგრელოში ეს მონაცემები შესაბამიდად 443-სა და 85.188-ს უტოლ-

დება, იმერეთში – 154 და 25.228, ქვემო ქართლში – 12.691, მცხეთის რაიონში – 3-სა და 10.956-ს, აჭარაში – 11-სა და 6.622-ს, კახეთში – 9-სა და 1.477-ს, სამცხეში – 10-სა და 2.333-ს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 12-სა და 834-ს.

სამეგრელოში დევნილთა კომპაქტური ჩასახლებების ყველაზე დიდი რაოდენობა (207) ზუგდიდშია, სადაც 14.383 იძულებით გადაადგილებული პირია შესახლებული. დიდი რაოდენობით არიან დევნილები ქუთაისში (6.130), მცხეთაში (9.770), ქვემო ქართლში დევნილთა უმეტესობა ცხოვრობს რუსთავში (2.221), აჭარაში (3.052). მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან დევნილები ბორჯომშიც (1.871). აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ბევრი ლტოლვილი რუსეთსა და უკრაინაშიც ცხოვრობს.

2002 წლის აღწერის მონაცემებით, ადგილნაცვალ პირთა 98,9% ქართველი იყო. 2002 წლისათვის საქართველოში ლტოლვილებიც იყვნენ, რომლებიც ძირითადად რუსეთიდან (ჩაჩნეთიდან) იყვნენ მიგრირებული (3.327 კაცი). ქვეყანაში ლტოლვილთა შემოსვლას ძირითადად ორგანიზებული ხასიათ ჰქონდა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა საქართველოდან ეთნიკური ოსების მიგრაციაც გამოიწვია. საყოველთაო განუკითხაობის დროს ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ეთნიკური ოსების დაცვა ბანდიტური ჯგუფებისაგან, რომლებიც პატრიოტიზმს იყვნენ ამოფარებული. არაერთი ნასოფლარი გაჩნდა ბორჯომის, ქარელის, ხაშურის, გორისა და კასპის რაიონებში.

IV.1. დასკვნის მაგიერ ანუ ეთნიკური მიგრაციები, რომლებიც წინამდებარე წიგნში არ აისახა

წინამდებარე სახელმძღვანელოში ყურადღება შეჩერდა მსოფლიოში მიმდინარე ეთნიკურ მიგრაციებსა და საქართველოსთვის დამახასიათებელ შიდა და გარე მიგრაციულ პროცესებზე. ეთნიკური მიგრაციების თემა ძალიან ფართო და ამოუწურავია. ფაქტობრივად წიგნში არაა საუბარი აზიასა და აფრიკაში ისტორიულად მიმდინარე მიგრაციულ პროცესებზე. უფრო მეტი: თავად ევროპა თავდაპირველად ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ეთნოსების განსახლების არეალი არ ყოფილა. როგორც მიუთითებენ ამ ენათა ოჯახის მატარებელი ეთნოსების განსახლების არეალი მცირე აზია იყო, საიდანაც ისინი ევროპის (დასავლეთის) და აზიის (აღმოსავლეთის) მიმართულებით გადაადგილდნენ.

ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქამდე ევროპაში განსახლების ვრცელ არეალს ფლობდნენ კელტური მოდგმის ეთნოსები. შემდეგ მათი ეთნოსფერა ძალიან შეიცვალა, რაც ეთნიკურმა მიგრაციებმა განაპირობა. კელტებს ეკავათ არა მხოლოდ კონტინენტური ევროპა (თანამედროვე საფრანგეთის, ესპანეთის, ბელგიის, ავსტრიის, ჩრდილოეთ იტალიის... ტერიტორიები), არამედ ბრიტანეთიც. ბრიტანეთშიც თავის დროზე კელტები კონტინენტიდან იყვნენ გადასახლებული.

წიგნში არაფერია ნათქვამი „ჯვაროსნების ლაშქრობების“ შესახებ, რომელიც XI-XV საუკუნეებში მიმდინარეობდა და, რაც, ფაქტობრივად, სხვადასხვა ევროპული ეთნოსების აღმოსავლეთით მიგრაციას წარმოადგენდა. ამ ლაშქრობების შედეგად მცირე აზიაში, კუნძულ კვიპროსზე, არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ მონაკვეთში დაახლოებით 250 ათასი ევროპელი (ძირითადად ფრანგი) დასახლდა.

მნიშვნელოვანი იყო ინგლის-საფრანგეთის ასწლიანი ომის პერიოდში (1357-1453 წწ.) ფრანგების ინგლისში გადასახლება. სამეცნიერო ლიტერატურაში გადასახლებულ ფრანგთა რაოდენობას 100 ათასის ფარგლებში მიუთითებენ.

წიგნში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ამერიკის კოტინენტზე ევროპელთა კოლონიზაციას, მაგრამ ახალ ეპოქაში სხვადასხვა ევროპული ეთნოსების ცალკეული ჯგუფები სხვა კონტინენტებზედაც გადასახლდებოდნენ. XVII-XIX საუკუნეებში მათი ინტენსიური მიგრაციული პროცესები მიმდინარეობდა აფრიკაში, აზიასა და ავსტრალია-ოკეანეთში. მაღრიბის ქვეყნებში (ალჟირი, ტუნისი, მაროკო) მილიონზე მეტი ფრანგი გადასახლდა. 1788-1868 წლებში ინგლისიდან და ირლანდიიდან ავსტრალიაში 162 ათასი მსჯავრდებული გადაასახლეს. იმავე ავსტრალიაში ინტენსიური იყო ბერძნებისა და იტალიელების მიგრაცია – XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე აქ 3 მილიონზე მეტი ბერძენი და იტალიელი მიგრირებულა.

შეუძლებელია ორიოდე სიტყვით არ აღინიშნოს სამხრეთ აფრიკის კოლონიზაციის შესახებაც. ეს პროცესი აქ XIX საუკუნეში მიმდინარეობდა. აღნიშნული საუკუნის ბოლოს სამხრეთ აფრიკაში ჰოლანდიიდან და ინგლისიდან მიგრირებული ერთ მილიონზე მეტი ადამიანი მკვიდრობდა.

მნიშვნელოვანი ეთნიკური მიგრაციები განხორციელდა მახლობელ აღმოსავლეთში ისრაელის სახელმწიფოს შექმნით. სახელმწიფოს შექმნის მომენტისათვის თუ ისრაელში სულ რამდენიმე ათასი ებრაელი ცხოვრობდა, 1966 წელს მათი რაოდენობა უკვე 2,5 მილიონზე მეტი იყო. ბუნებრივია ებრაელთა ეს მატება მექანიკური მატების შედეგს წარმოადგენდა. ისრაელის სახელმწიფოს შექმნამ, მეორე მხრივ, არაბების მიგრაცია გამოიწვია – აქედან დაახლოებით 700 ათასი პალესტინელი არაბულ ქვეყნებში გადასახლდა.

დიდი მიგრაციული ტალღები ახლდა თან 1947 წელს ინდოეთიდან პაკისტანის სახელმწიფოს გამოყოფას. ორმხრივი მიგრაცია დაახლოებით 8 მილიონ ადამიანს შეეხო.

ასეთია მოკლედ ეთნიკური მიგრაციის საკითხები, რომელთა სათანადოდ წარმოჩენა სამომავლო საქმედ გვესახება.

სარჩევი

I.ხალხთა მიგრაციების შესახებ 3
I.1. შესავალი 3
I.2. ტერმინების შესახებ 6
I.3. ხალხთა მიგრაციები: ეთნოლოგია და ისტორია 9
I.4. ხალხთა მიგრაციის სახეები და მიზეზები 12
I.5. ხალხთა მიგრაციები და ეთნოსები 15
II.მსოფლიოს ხალხთა მიგრაციები 21
II.1. ბერძენთა კოლონიზაცია 21
II.2. რომაელთა კოლონიზაცია 27
II.3. ებრაელთა მიგრაციები 35
II.4. ხალხთა დიდი გადასახლებანი 46
II.5. სლავი ტომების მიგრაცია ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში 59
II.6. ირანული და თურქული ეთნოსების მიგრაციები 64
II.7. არაბთა მიგრაციები 87
II.8. უნგრელების მიგრაცია 92
II.9. ნორმანების (ვიკინგების) ექსპანსია/მიგრაცია 93
II.10. რუსების მიგრაცია 98
II.11. სომხეთა გადასახლებანი 102
II.12. ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიზაცია 115
II.13. ლათინური ამერიკის კოლონიზაცია 120
II.14. ხალხთა გადასახლებები რუსეთის იმპერიაში 128
II.15. ყირიმელი თათრების ემიგრაცია 138
II.16. ბერძნული ემიგრაცია რუსეთში 140
II.17. ჩრდილოეთ კავკასიელთა მუჰაჯირობა 145
II.18. მიგრაციები პირველი მსოფლიო ომისა და მის შემდგომ პერიოდში 159
II.19. მიგრაციები მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის შემდგომ პერიოდში 161
II.20. თანამედროვე მიგრაციული მიმართულებები 165
II.21. თანამედროვე მიგრაციული პროცესები კავკასიაში 174
III.შიდა და გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში 178
III.1. ებრაელთა მიგრაცია საქართველოში 183
III.2. სომეხთა მიგრაცია საქართველოში 184

III.3. ბერძენთა მიგრაცია საქართველოშ.....188
III.4. იეზიდების/ქურთების მიგრაცია საქართველოში.....191
III.5. თურქული ტომების მიგრაცია საქართველოში.....192
III.6. გერმანელთა მიგრაცია საქართველოში.....195
III.7. რუსების გადმოსახლება საქართველოში.....197
III.8. ლეკების, ქისტებისა და უდიების გადმოსახლება
საქართველოში 199
III.9 ოსთა მიგრაცია საქართველოში 202
III.10. კახეთიდან მოსახლეობის აყრა და ირანში ძალადობრ-
ივი გადასახლება.....221
III.11. აფხაზთა მუჰაჯირობა 222
III.12. ქართველ მაჰმადიანთა მუჰაჯირობა 225
III.13. შიდა მიგრაციული პროცესები საქართველოში.....232
III.14. კახეთის მთიელთა (ფშავ-ხევსურთა) მიგრაცია
მთისწინეთსა და ბარში 244
III.15. ქართლის მთიელთა ბარში მიგრაცია.....250
III.16. ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია XVII-XIX
საუკუნეებში.....263
III.17. ქართველ მაჰმადიანთა შუა აზიაში გადასახლება.....283
III.18. ეკომიგრანტები საქართველოში 285
III.19. იძულებითი გადასახლებები XX საუკუნის მეორე
ნახევარში 291
III.20. დევნილები საქართველოში.....294
**IV.1. დასკვნის მაგიერ ანუ ეთნიკური მიგრაციები,
რომლებიც წინამდებარე წიგნში არ აისახა** 297

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge